ISSN 0132-6023
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

9-10/92

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიროსმანი

მხატვარი

მანანა ბობოხიძე



მარჯორი უორდროპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

სექტემბერ-ოქტომბერი № 9-10.

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1857 წ.

თბილისი
1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბადათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
მამუკა სალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი სულაკაური
იორამ ქემერტელიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
ვახტანგ ღლონტი
თემურ შავლაძე
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პმ/გ მდივანი)
გოდერძი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მხატვარი
ვახტანგ რურუა

# შინაარსი

## პოეზია და პროზა

3. მიხეილ ქვლივიძე — ლექსები
13. რევაზ მიშველაძე — ნოველები
26. გიორგი შანტურია — მოსე. რომანი. გაგრძელება
47. გივი ალხაზიშვილი — ლექსები
52. ჯანსუღ კორძაია — ლექსები
55. დალი ცაავა — ლექსები
60. ზაზურა არაბული — ლექსები
62. გია ხუბუა — უხეირო თამაში. მოთხრობა
82. მადონა ჩხარტიშვილი — ლექსები
84. დალი ლოლაძე — დედა, მოთხრობა
96. აკაკი დაუშვილი — კაზინო, მოთხრობა
109. ბადრი თევზაძე — ლექსები
112. თენგიზ ლიძოკელი — ტკივილი. მოთხრობა
118. ელგუჯა ზარდია — ლექსები

## ახალი თარგმანები

122. ვლადიმირ ნაბოკოვი — ლოლიტა. რომანი, გაგრძელება. თარგმნა თამარ ლომიძემ

## ინტერვიუ

145. ჯანსუღ ჩარკვიანი — ნეტავი იმ დროს

## წერილები

151. დავით თევზაძე — „აკადემიური ასოციაციის“ პოეზია
159. გიორგი ზახუნია — ქალები! ქალები!! და ქალები!!!
165. დალი ხინჯარაძე — მითოლოგიური ელემენტები ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნააზრევში
172. თათია ქემერტელიძე — სასპერთა გაერთიანების შესახებ
181. მიხეილ ლანიზაშვილი — და საქართველო ისევ აღსდგება...

## ხელოვნება

185. ემზარ კვიტაიშვილი — მშვენიერების მაძიებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიხეილ ქვლივიძე

## გარდასულ დღეთა ქრონიკა

(წიგნიდან „უჯრის პატიმრები")

ნახევარი საუკუნის მანძილზე, სხვადასხვა წლებში დაწერილი (1942-დან 1992-მდე) ეს ლექსები თავის დროზე არ გამოქვეყნებულა. საბჭოთა ცენზურის პირობებში მათი დაბეჭდვა კი არა, ხმამაღლა წაკითხვაც სახიფათო იყო. ამის გამო, ზოგმა ლექსმა 10, 15 და 50 წელიც „უჯრის პატიმრობაში" გაატარა და ახლა, დამოუკიდებელ საქართველოში ეღირსა რეაბილიტაციას...

რაც შეეხება ეროტიკულ ლექსებს, მკითხველს მინდა შევახსენო, რომ მეც მისნაირი ადამიანი ვარ და „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის". ლექსების დათარიღება შესაძლოა მთლად ზუსტი არ იყოს, მაგრამ მიახლოებით სწორია.

ავტორი

### ხაშმი. 1942 წელი.

ბაყაყების ქორალური მოთქმა...
განთიადის ნაცრისფერი ბური...
საცოდავი, დამშეული მოდგმა, —
სამშობლოშიც გვენატრება პური.

ალარა აქვს მიწას ძველი სარჩო,
დასნეულდა მწუხარებით მეტით...
ბაყაყების ლაშქარიღა დარჩა
კმაყოფილი საკუთარი ბედით.

●

თუ გალიმებულს მაჩვენებ ლიტველს,
თუ გალიმებულს მაჩვენებ ქართველს,
ლიტველს, რომელიც სულ მუდამ ითმენს,
ქართველს, რომელიც არ ამხელს
სათქმელს,

თუ დამანახებ ერთ მოქალაქეს,
არ იმოკლებდეს ენას კბილებით, —
იმ „ხალხთა ძმობას", შენ რომ ქადაგებ,
მეც ვირწმუნებდი დანამდვილებით!

1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პარტიას

შენ მომიწოდებ სადლაც წამოგყვე
და თაყვანი ვცე ახალ სალოცავს, —
მე კი არა მწამს შენი სამოთხე
და არ ვაპირებ ღმერთის გამოცვლას.
შენ საზეიმოს მპირდები ამინდს,
საგანგებოს და თითქო საჩემოს
და შენი კერპის მელოტი თავი
გსურს ამომავალ მზედ მომაჩვენო...
რამდენიც გინდა ხარჯე სიტყვები,
ვერ გაჭრის შენი ფიცი-მტკიცება, —
მე ისევ იმ ჩემს ბილიკს მივყვები,
შარაგზაზე რომ არ გაიცვლება.
მე ისევ ჩემი მომწონს ხატები,
ავის და კარგის ვიცი გარჩევა,
თუ მაიძულებ, ტყვედ ჩაგბარდები,
მაგრამ რას მოგცემს ეს გამარჯვება,
ვერც გიერთგულებ,
ვერც გემონები,
შენთან ვიქნები და არც ვიქნები,
თუ ხელსაყრელი დადგა მომენტი,
ზურგს შეგაქცევ და გადაგიდგები!

1950

## „მმართველი კლასი"

ქარხნის მუშას, კოლმეურნეს,
ქალაქელ და სოფლელ მრეწველს,
მით უმეტეს, ხელოვან კაცს დაეკარგათ ფასი,
რადგან ყველას და ყველაფერს დღეს განაგებს ყოვლისშემძლე,
„პერსონალურ მანქანების" მფლობელების კლასი!
მე მახარებს ქვეყნისათვის მათი დიდი გარჯილობა,
მომწონს მათი ყოფაქცევა — სოლიდური, დინჯი,
მათი მიუკარებლობა... მაგრამ როცა საჭიროა,
ნემსის ყუნწში გაძრომის და გამოძრომის ნიჭი!
გულს მიჩუყებს ამ „ივანიჩ-ილიჩების" ტკბილქართული,
საუწყებო კილოკავი, ზეპირი თუ წერა
და ზემდგომი სავარძლისკენ მოკრძალებით მიმართული
მუდამ ფრთხილი,
შიშნარევი,
მომლოდინე მზერა.
მათ ქუჩაში ვერ შეხვდებით, რადგან ფეხით არ დადიან,
გასაიდუმლოებული აქვთ მისამართიც სახლის,
„გადარეკვა-გადმორეკვით" (ეს მეთოდი ნაცადია!)
აგვარებენ ნებისმიერ საქმესა და საკითხს.
ო, ისინი მთლად უსაქმოდ როდი სხედან მაგიდასთან,
კაბინიდან კაბინეტში გადადიან როცა, —
ჰალსტუხიან მემკვიდრეებს იმ „სახალხო კომისართა"
სხდომა-თათბირებისაგან სულ არა აქვთ მოცლა!
სულ რაღაცას იხილავენ, კრძალავენ ან ნებას რთავენ,
სულ ქაღალდებს წერენ, წერენ (ფუსფუსებენ, მოკლეთ!)
უწყებას და სამმართველოს, კომიტეტს და დეპარტამენტს
უგზავნიან მითითებებს, ბრძანებებს და ოქმებს!

ლიტერატურა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მე ამგვარ უსასრულო კარუსელის კვალობაზე
უცებ თავში გამიელვებს ერთი სალი აზრი:
იქნებ დროა, გავაუქმოთ მშრომელების კმაყოფაზე
თვითნებურად გადასული ეს „მმართველი კლასი"?

1980

## განა — დამოუკიდებელი სახელმწიფო

პატარას რომ არვინ ერჩის,
რისგანაა განა?

განზე დგომა რომ არჩია,
იქნებ იმისგანა?

ნეტა ჩემი საქართველოც
იმას დაამგვანა!

1985

## შეგონება

რაც ჩვენ ვეწამეთ, რაც განვიცადეთ,
უნდა იცოდნენ ჩვენმა შვილებმა,
აი, რას ამბობს ჩვენი ტკბილ-მწარე
**ისტორიული გამოცდილება:**

რევოლუცია მუდამ ფარსია
და ნუ მოელით მისგან სიამეს,
**სამშობლოსთვის** კი ერთი ფასი აქვთ
„მეტიანებს" და „ნაკლებიანებს"![1]

1985

## პრაღა. აგვისტო. 1968 წელი

თავისუფლება, მას რუსულად „სვობოდა" ჰქვია.
ხელებშეკრული წაიყვანეს პრაღიდან მოსკოვს...
თავისუფლება, რა თქმა უნდა, მშვენიერია,
მშვენიერი კი თავისთავად ჭეშმარიტია,
ჭეშმარიტება კი უთუოდ სიმართლეს ნიშნავს,
რასაც რუსულად „პრავდა" ჰქვია,
ჰოდა, ეს „პრავდა"
იუწყებოდა იმ დღეებში:
გუშინ სვობოდას[1].
მოსკოვი შეხვდა ტაშითა და ყვავილებითო!

---

[1] ე. ი. „ბოლშევიკებს" და „მენშევიკებს" (რუს.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე აგვისტოს მზემ გადასწვა ლორთქო ბალახი,
მერე ვაცლავის[1] მოედანზე ხალხი მოგროვდა...
ჩირაღდანივით
აბრიალდა
იან პალასი[2]
და ყველასათვის ცხადი გახდა —
იან პალახი[2]
1968

●

როგორც მინდორში — წვიმას,
როგორც მოსეულ მკბენარს,
ვერ გავექეცი ვერსად
ამ „დიად“ რუსულ ენას.

სადაც წავედი, წამყვა,
შემიჩნდა, როგორც სენი...
მან შეიწირა მსხვერპლად
ქართველკაცობა ჩემი!
1968

## კოსმონავტიკის ობელისკი მოსკოვში, „ვდნხ“-ს გამოფენაზე

გამოფენის დიდ ალაყაფს
ტრანსპარანტი ამშვენებს.
ზედ წერია, რომ კომუნიზმს
წარმატებით ვაშენებთ.

ხოლო იქვე (ორ ნაბიჯში!)
ამის დასამოწმებლად
აღმართულა ობელისკი —
იმპოტენტის ოცნება!
1978

●

ქუჩებში კეკლუც ქალთა
შეუწყვეტელი დენა,
მაღაზიების კალთა
და რეკლამების ენა.
აბრები სხვადასხვანი,
ქალთა აყოლა მოდებს, —

რამდენიც გინდა «Ткани»,
ოღონდ ფულები გქონდეს!
რამდენიც გინდა «Кафе»,
თუ გინდა ფული თესო...
სინდისის სიიაფე —
დროა საუკეთესო!
1952

## მატარებელში „თბილისი — მოსკოვი“

კუპეში მე და ქალი ვართ მარტო,
ქალი კვლავ ღია კარებში დგას და
ყოყმანობს და მე თვალებზე ვატყობ,
უჭირს პირისპირ დარჩენა კაცთან...

— შიგ შემობრძანდით... დაწექით, ალბათ
დაიღლებოდით... მე არ გიყურებთ...
ჩემი ფარაჯა იხმარეთ საბნად,
რომ არ გაცივდეთ, კარი მიხურეთ...

---

1 ვაცლავი — ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის გვარია.

2 იან პალახი — სტუდენტი, რომელმაც პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაქრობ სინათლეს და მერე ბნელში
მესმის შრიალი და ჩუმი ფშვინვა
და ამ ხმისაგან ჭკუიდან შეშლილს,
მყის მავიწყდება — სად ვარ და ვინ ვარ...

ხელის ფათურით მივიწევ მისკენ,
გულში რეკავენ ვნების ზარები...
და მერამდენედ, ისევ და ისევ
სხვის ქვეყანაში მივემგზავრები!

1942

## მიძღვნა

აზრი უცხო სტუმარია შენი შავი თვალების, —
იშვიათად თუ შემოვა, ისიც უმისამართოდ,
ლამაზი ხარ... ლამაზი ხარ, როგორც ყველა ქალები,
როგორც ყველას, გეუბნები: „შეგიძლია გამართო?“

დავიღალე, მეც არ ვიცი, რა ჯანდაბამ დამღალა,
ქვეყნად არვინ მეგულება ჩემი ბედის მკითხავი...
მოდი, მუხლზე დამიჯექი თეთრი, თვალებმაყვალა,
შენებურად, ძველებურად
სისულელე მითხარი!

1949

## კაფეში

კაფეში შიშველი ქალი ზის
და ირგვლივ ჟრუანტელს აფენს.
ო, ეს არ გეგონოთ პარიზის,
რომის ან ბერლინის კაფე, —

არა, ეს მოსკოვის კაფეა,
(წარწერა: „დაკლება ფასთა!“)
ეტყობა, აქ გაიაფება
ქალების სინდისსაც გასწვდა!

1952

## თვალსაზრისი

„წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“,
შეწყდა სიონის ზარის გუგუნი
და მკვლელის ფერხთით გართხმული
ჩრდილიდან

ამოიზარდა შავი უკუნი...
მაშინ დააკლდა ლექსს ქართველობა
და ქართულ სიტყვას — ნათელ-მირონი
და ხარბად სწოვდნენ ძუძუს ევროპას
„ყანწელები“ და გალაკტიონი.

1988

## გოდება

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“
ჩემო მშობელო მიწაო,
შენს ხელში რაც უნდ ვეწამო,
მაინც შენ უნდა გიწამო.

სად წამესვლება შენს იქით,
(ხელი გაქვს თუმც დახორკლილი)
შენზე ნათქვამი ლექსიც კი
მძიმეა, როგორც ბორკილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურფა ხარ და საარაკო,
ხან ყბედი, ხანაც უთქმელი,
სხვამ იმდენი რა დაგაკლო,
რაც თვითონ შენს თავს უქენი?
სად გადაჰკარგე, მითხარი,
ვინც შენთვის მიწყივ ეწვალა,
ალბათ თამადა იყავი
და მათთვის აღარ გეცალა:
ქებას ასხამდი ორგულთა,
ერთგულთა დაამიწებდი,
შენი ხელითვე მოკლულთა
სახელს და მზეს იფიცებდი...
შენზე გული რომ მომივა, —
გაცინებულზე, მტირალზე, —
ხან თათქარიძე მგონიხარ,
ხან კვაჭი კვაჭანტირაძე!

1970

●

ილო ბეროშვილის ხსოვნას

გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს, —
ის უკვდავების ღია კარია,
ცოდვილ სხეულთან სულის გათიშვა
ახალ ცხოვრების საწინდარია.
იგი გარდაცვლის დღიდან იწყება
და უსასრულო დროში ვრცელდება,
სადაც სახელის არდავიწყების
მუდმივი ნატვრა ხორციელდება;
სადაც მოკვდავი უფალს ედრება,
სუფევს სიმშვიდე და იდილია
და სადაც დგანან ნიშანსვეტებად
შოთა,
დავითი,
ვაჟა,
ილია!

●

აღარ თავდება კრება და სხდომა,
რადიოც გაჰქუხს მარშებს და ჰიმნებს
და ისევ ებრძვის წარსულის ხსოვნა
ახალფეხადგმულ მომავლის იმედს.

როდემდე, ღმერთო? ღმერთო, როდემდე?
ნუთუ არ დადგა ჩვენი საშველი?
კვლავ ყვავილებით რთავენ პორტრეტებს
და გაჰყვირიან ლექსებს ბავშვები;

პრეზიდიუმში ისმევა წყალი,
სცენაზე შრომის ფერხულს უვლიან...
და თუმცა აღარ ვახსენებთ სტალინს,
რაც არის ირგვლივ — სტალინურია!

1975

## ნუ ვეძებთ მკვლელებს!

ნუ ვეძებთ მკვლელებს საქართველოს ფარგლების გარეთ, —
რადგან ქართველებს ქართველები თვითონვე ჰკლავენ!
ნუ ვეძებთ სხვაგან ავაზაკებს და ქურდბაცაცებს, —
რადგან ქართველებს ქართველები თვითონ ძარცვავენ!
გადაგვარების ჩვენის მიზეზს ნუ ვეძებთ სხვაგან, —
დამნაშავენი ყველაფერში ჩვენა ვართ რადგან
და ჯობს სარკეში ჩავიხედოთ
და ყველამ ერთად
პასუხი ჩვენი წაბდენისთვის
მოვთხოვოთ ჩვენ თავს!

1992

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხუთწლედის გეგმა — ვადამდე!",
ანუ თერთმეტი — ათამდე,
ატმის კამპოტი — ატმამდე
და ქათმის სუპი — ქათმამდე!

როდემდე ანდა სადამდე?
ღმერთო, მოგვეცი შეძლება!
ამ საშინელ და გადამდებ
სიგიჟეს რა ეშველება?!

1972

## ჩვენს პარლამენტში

,.. მის აზრს რომ არ დავეთანხმე, ამიხირდა მოკამათე,
შემაჩვენა, დამასია თავის კარისკაცები.
წინათ „ხალხის მტერი" მერქვა, ახლა — „ერის მოღალატე",
გამოდის, რომ მე ვყოფილვარ საქართველოს დამქცევი!

ჰოდა, მეზღო საკადრისი, არ მაკმარეს გინება!
საბოლოოდ ცხადი გახდა — სად ვცხოვრობთ და რანი ვართ.

. . . . . . . .

ამ სტრიქონებს საფლავში ვწერ...
პრესა იტყობინება,
თურმე ქუჩის გადასვლისას
ავტოს გავუტანივარ!

1991

## მწერლების თავმჯდომარე

ზის სავარძელში მდუმარედ,
დაღლილი მთქნარებ-ზმორებით
და მაგიდაზე სფინქსივით
დაუბჯენია ტორები.

მისჩერებია ერთ წერტილს
უკვე რამდენი ხანია.
სახეზე ვერც კი შეატყობთ —
რა უჭირს, რა უხარია?!..

იქნება ვინმემ იფიქროს:
ბრიყვია ანდა ბრექია.
არა, ბატონო, ეს კაცი
თავისი თავის მეგლია!

ვერ იტყვით: „ხელთუქმნელია!",
ანდა „ამას რას ელირსა?",
რადგან თვით არის შემქმნელი
თავისი თავის ძეგლისა!

1991

## ფრანსუა ვიიონის მონოლოგი

რა პოეტი ხარ, თუ არ გაძაღლდი,
თუ არ გაწვალდი ქალთან ნამყოფი,
თუ არ გათეთრდი, როგორც ქაღალდი
და არ დამჭლევდი, ვით ავადმყოფი;

თუ არ დაგჭირდა სადღაც გაქცევა
და მიტოვება ყველა საქმეთა,
თუ სანეტარო, ვით ალტაცება,
არ განიცადე სასოწარკვეთა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მარტოხელამ არ მოინდომე
ისევ ახალი ქალის გაცნობა,
თუ მის გულისთვის, მის სიახლოვეს
არ დაივიწყე რაა და-ძმობა;

თუ მის ლარივით გათლილ ფეხებთან
არ დატრიალდი, როგორც ჩიკორი,
თუ არ შესწირე მის ერთ შეხედვას
ახალშობილი ლექსის სტრიქონი?!

1957

●

მე არ ვიცი, რას ფიქრობენ, რას ამბობენ სხვები,
მე კი პურისჭამა მიყვარს, ქალსაც არ ვეკრძალები
და მე ვფიქრობ, ვისაც მოსწონს დუმიანი ცხვრები,
არ იქნება, არ მოსწონდეს შარვლიანი ქალები!

1960

## ალმოსავლური

ნეტარებით იზმორები, ელოდები დაღამებას
და ბოროტად გიელავენ სიბნელეში თვალები.
შენი ძუძუ იმეორებს ჩემი პეშვის ჩაღრმავებას,
შენ გამდნარი ბაჯაღლო ხარ, მე ვარ შენი ყალიბი!

1977

## ეზოში

ეზოში სარეცხს — პერანგს და შარვალს —
მკლავებშიშველი აფენდა ქალი,
მას იღლიები უჩანდა შავად
და მე იქითკენ გამექცა თვალი.
მერე ის ქალი, შინ რომ შებრუნდა,
მეცხრე სართულზე ფანჯრებს წმენდავდა
და საგანგებოდ თუ უნებურად
ახალ ცდუნებად გამომეცხადა.
მერე და მერე... ისევ ის ქალი...
(აქ დროა დავსვათ მრავალწერტილი)
ერთია — კაცის უძლები თვალი,
სხვა არის მისი ხედვის წერტილი!

## უნგრელები კახეთში

ათოვდა ზამთრის ალავერდს,
ტაძარი ჰგავდა ზმანებას.
სტუმრები ველარ მალავდნენ
ცრემლებს და აღფრთოვანებას.

და როცა სუფრას შევყევით,
წამოდგა პეტერ დობაი
და ალავერდის მშენებლის
დალია შესანდობარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერენცმაც არ დააყოვნა,
მანაც გაივსო სასმური
და შეავედრა მაცხოვარს
ჩვენი დიადი წარსული.
მერე ამღერდა ორივე
და როგორც ტკბილი რეფრენი,
მათ ბანს აძლევდნენ შორიდან
ესტერჰომი და ვესპრემი!

1990

## სიყვარულის სამკარედი

(რჩეულთა რჩეული)

შვილს

ჩემო პატარა გოგია,
ბიჭი ხარ — ერთი მტკაველი.
ნეტავი ამალოკინა
რაც კი გაქვს გზა გასავლელი,
რომ ფეხი არსად დაგიცდეს
და არაფერი იტკინო,
შარაგზაზე და გზაწვრილზე
სულ გაბედულად ირბინო!
ბიჭი ხარ — პურის მარცვალი,
ყლუპი, რომელიც მწყურია.
გული მტკაველიც არ არი,
მაგრამ ის მაინც გულია!
შენ მთელი ჩემი საძმო ხარ,
პატარა საქრისტიანო...
ნეტავ იმდენ ხანს მაცოცხლა, —
მოვასწრო,
დაგაფრთიანო!

1986

●

მეუღლეს

სულ მენატრები...
მაშინაც კი, როცა ვართ ერთად
და ჩემს გარშემო
და ჩემს გვერდით შენა ხარ მარტო.
მუდამ და ყველგან —
ძილშიც, ცხადშიც, უშენოდ, შენთან —
სულ განუწყვეტლივ მენატრები
და შენზე ვდარდობ!
სულ მენატრები...
ერთი წუთით არა მაქვს მოცლა,
დაგეძებ, როგორც ძაღლი ეძებს
დაკარგულ პატრონს...
და მე არ ვიცი, რა დავარქვა ამ გრძნობას,
როცა
ჩემში ხარ გულის ფეთქვასავით
და მაინც გნატრობ!

1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## III

ნაწვიმარია. მთაწმინდაზე თეთრი ნისლი წევს.
ჯერ არ გამშრალა ქვაფენილზე სველი ლაქები.
ქუჩაში მიდის მამაჩემი, გოგი ქელივიძე —
ერთ დროს ცნობილი ინჟინერი და ქალაქელი.

მას ძველმოდური, გაცრეცილი პალტო აცვია,
ჭალარა თავზე ქალაქური კარტუზი ხურავს.
მიდის ქუჩაში მარტოხელა ბერიკაცი და
ჰგავს უცხო სახლწინ ალალბედად მოხვედრილ სტუმარს...

მახსოვს, მოსკოვში გამოგზავნილ წერილში მწერდა:
„ვერა გავუგე ვერაფერი ახალ ცხოვრებას,
გადავილალე ჭიდაობით ავბედით წლებთან
და ვგრძნობ აშკარად დასასრულის მოახლოებას.
თბილისში ვცხოვრობ და ქალაქურ ადათ-წესს ვნატრობ
და აღარ მესმის — ვინ ვინ არის ან მე ვინა ვარ...
გუშინ მთელი დღე რუსთაველზე ვიდექი მარტო
და იცი, ერთმა ნაცნობმა არ გამოიარა!
ეტყობა, ჩემი დრო წასულა. არ ვარ საჭირო.
უკანასკნელი ქალაქს შევრჩი, როგორც მძევალი
და მის ქუჩებში დღეს რომ სადმე ფეხი გავჭიმო,
არავინ იტყვის: „ეს ხომ გოგი ქელივიძე არი!"
არადა, შვილო (ნუ ჩამითვლი ამ სიტყვებს კვეხნად),
დრო იყო, ქალაქს ამშვენებდა ჩემი კაცობა..."

მამაჩემივით,
რუსთაველზე
მე ვდგევარ ეხლა
და ვუცდი, —
იქნებ გაიაროს ვინმე ნაცნობმა?!

1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე



# ნოველები

## ვარამი

ჩხამის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი გახლავართ, ბატონო. თომა მამაცაშვილია ჩემი სახელი და გვარი.

ყვირილას მარცხენა ნაპირზე ზევით, მთებშია ჩვენი სოფელი.

პატარა სოფელია. რუკაზე ხან არის აღნიშნული და ხან არა.

მიწისძვრამ ჩვენც დაგვაქცია და დაგვანელა, მარა გაზეთებში ჩვენს სოფელზე მაინცდამაინც ბევრი არაფერი დაწერილა.

რა ვიცი, რისი ბრალია, ჟურნალისტებმა მეტი ყურადღება მთავარგზისპირა სოფლებს მიაქციეს, ჩვენ ქე მივრჩით უყურადღებოდ.

ისე, ასორმოცდაათამდე მოსახლე ვართ ჩხამში და, რომ არ მოგატყუო, ასი სახლი მაინც იქნება პირწმინდად დანგრეული. კედლებდაბზარულ და კრამიტჩამოცვენილ სახლებს არ ვაგდებ სათვალავში.

ასი მოსახლე, სამ ბავშვს გეფიცები, ან ბელლებში ვათევთ ღამეს, ან კარვებში, მესამე თვეა.

ე ზაფხული ხელად შემოგვადნება ხელში. მერე, სექტემბრის ბოლოს, გრძელი წვიმები დაიწყება და, წვიმებიც რომ არ დაიწყოს, ჩვენ-ჩვენი პაწია ჭირნახულის დაბინავებას შევუდგებით ყველა. ორი ლუკმა თვარაფერი მევიმარაგეთ, მთავრობას ხომ არ შევაჩერდებით ხელებში. მთავრობას თუ რამე აქ, ქე გაჭმევს, თუ არა და ქე გეტყვის უარს. რავა, თუ არაფერი იქნა, მთავრობა კი ვერ დაგიხატავს სარჩო-საბადებელს.

ახლა იყო დრო რამეს გაკეთების და ჯერჯერობით ვერაფერი პირი უჩანს ჩვენს საქმეს.

მევიდა კომისია მაშინათვე. მეორედ რომ დაგვარტყა მიწისძვრამ. აღარ მახსოვს, რა რიცხვი იყო. ტვინი მაქვს დარდით და ფიქრით დამდღვლეული.

გაზომა, აწონა კომისიამ ზარალი. დაგვახარისხა დაქცეულ-დანაყულები. ზოგი ახალი სახლის აშენების სიაში ჩაგვწერა, ზოგი შესაკეთებლისაში.

ახლაო, ერთ კვირაშიო, მასალას შემოვიტანთ და დავიწყებთ შენებასო.

თქვენ მასალის დასაყრელი ადგილი მოგვინიშნეთ, მეტი თქვენგან არაფერი გვინდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანგრეულ სახლებს ხელი არ ახლოთ, რავარც არი, ისე იყოს, თვარა მეორე კომისია ჩამოივლის და, ეგება, ეჭვი შეიტანოს ჩვენს გადაწყვეტილებაშიო, ეზოს დაგვილ-დასუფთავებულს რომ დაინახავს, იტყვის, მიწისძვრა არაფერ შუაშაა, მიწისძვრამდელი ამბავია ესო. რავა, უმიწისძვროდ არ დანგრეულა ლიბომომპალი სახლიო? ასე იტყვის კომისიაი და ქე ამოგიღებს ახალი სახლის სიიდანო.

მესამე თვეა, გითხარი მისი არ იყოს, ვუცდით მასალას და ხელოსნებს. სალაცა-სალაცა ქე დაიწყეს მშენებლობა, გალმა სოფლებშიო, ხმა გამოვიდა. ჩემი თვალით, გითხრა სიმართლე, არ მინახამს, მარა ამ ჩვენს სოფელში ჯერე წკირი რომ არ გადაბრუნებულა, ხატზე დავიფიცებ.

არაფერ შარში ჩავაგდოთ ე პატიოსანი კომისიათქვა და ვართ ჩვენც გულხელდაკრეფილები. ამ ნაშალ ქვალორლს და დალეწილ ფიცრებს მაინც დავაწყობდით ცალ-ცალკე. ბალავარის თხრას მაინც დავიწყებდით ჩვენ თვითონ და პატარაზე წინ წევიგდებდით საქმეს, მარა არც ამაზე გვიშვებენ და ქე ვართ ასე.

არა და, რა უბედურნახევარი ყოფილა ე კარავი, ეს ოხერმუდრეგი. ვისაც შიგ არ უცხოვრია, ვერც მიხვდება.

სიცხეში სული გეხუთება, წვიმაში ნესტისაგან მუხლისტეხვა გეწყება. საბანს რომ გამოიტან მზეზე გასაფენად, ცხრა ფუთია.

ჩემს თავს არ დავეძებ, ბავშვები დამიავადდებიან.

გადაზამთრებამ რომ აქ მოგვიწიოს, გაზაფხულამდე სულს ვერ მივატანთ ვერცერთი.

ყოველ მესამე დღეს თათბირს ატარებენ დანგრეულ კულტურის სახლში თბილისიდან ჩამოსული უფროსები.

აბა, რავა არი საქმეო. შეფერხებები ხომ არ გვაქვს მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებაშიო, იკითხავს კომისიის თავჯდომარეი.

მომკალი, თუ გინდა, სულ თეატრი მგონია, რაც იქ ხდება.

დგებიან რიგრიგობით საკრებულოების ენაალესილი თავჯდომარეები და აცხადებენ:

ჩვენთან კაათ მიდის საქმეო. ორიათასი დანგრეული სახლიდან ათასშვიდასი ავაშენეთ უკვეო. მოპირკეთების შიდა სამუშაოებზე ვართ გადასული და მალე ჩავაბარებთ ახალ სახლებს პატრონებსო.

დახმარება ხვარაფერი გინდათო, ეჭვით იკითხავს თბილისიდან ჩამოსული მინისტრი.

არაფერი, ბატონო, მადლობელი ვართ ყველაფრისთვისო.

არა, მაინც, მაინც, ეგება შემოგაკლდათ რამე და გრცხვენიათ თქმაო.

რაღაი არ იშლით თქვენსას, სამიათასი ტონა ცემენტი გამოგვიგზავნეთ, მაინც ყოველიშემთხვევისთვის, მარაგად. ეგება შემოგვაკლდეს ბოლოშიო, ამოღერღავს მთხოვნელი.

სამიათასი ტონა ცემენტი მაგას, ხვალვეო! უბრძანებს გვერდით მდგომს კომისიონერი.

არ უნდა ლაპარაკიო, თავს უქნევს გვერდით მდგომი.

ხის მასალის საქმე რავა არიო, იკითხავს მთავარი არტისტი.

კაათ, კაათ, ყველაფერი გვაქო! ერთხმად აყვირდებიან ინჟინერ-ბრიგადირები.

რაკი წუწუნის ხალხი არა ხართ, ორას-ორასი კუბომეტრი პოლის ფიცარი თითო სოფელს ჩემგან საჩუქრადო, გულუხვია სიტყვაში სამინისტროს წარმომადგენელი.

ეტყობა, გაკეთდა სხვა სოფლები და ე ჩხამი ქე გამორჩათ სიაში მეთქი და ავწიე ხელი.

წარმოადგინეთ თქვენი თავიო, თავმჯდომარემ.

თომა გახლავართ, ჩემო ბატონო, მამაცაშვილი ვარ, ჩხამიდან, მასწავლებელი მეთქი.

აქეთ და იქით ქე მიგიყვანიათ ყუყზე საქმე და ჩვენ ისე ვართ, გეგონებათ, ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევარი საათის მომხდარია მიწისძვრა მეთქი.

რავაო?

ჩავა და ერთი ცალი აგური და ერთი „მეშოკი" ცემენტი არ შემოუტანიათ ჯერ ჩვენთან მეთქი.

არც ჩვენთან, არც ჩვენთან! ტყუილია ეს ლაპარაკი აქანაო. ატყუებენ ერთმანეთს ჩვენს გასაგონად და ბოლოს ჩვენ დავრჩებით მოლორებული, ვატყობთ ჩვენს იღბალს ჩვენო! აყაყანდა ხალხი.

თურმე ყველა ჩვენს დღეშია და პირში წყალი აქვთ დაგუბებული.

ისე, გატყობთ კოჭებში, ბატონო, ჩვენი სახლების ამშენებელი თქვენ არ ხართ და ჩვენ მაინც მიგვიშვით ამ ჩვენს გაუბედურებულ საქმესთან მეთქი.

რას გვთხოვთ, რა გინდათ, გვითხარით პირდაპირო, უჭირს ქვეყანას და ხომ არ წაგვიჭერთ ახლა ყელში ხელსო, იმან, ხვარაფერი გინდათ დამატებითო, რომ ყვიროდა.

სოფელს, ბატონო, ლუკმა-პური ქე აქვს, ღვთის მადლით, ჯერჯერობით, სამათხოვროდ და ხელისგასაწვდენად არ გაგვხდომია ჯერ საქმე მაგ მხრივ მეთქი. მადლობელი ვართ თქვენი, ამ ნამიწისძვრალზე სამჯერ დაგვირიგეს ორ-ორი „ბუხანკა" პური, ფრანგული სოსისის თითო კონსერვი და ორ-ორი ბოთლი ჩვენი ლუდი. მადლობელი ვართ, რასაკვირველია, მარა შიმშილით არ მოვკვდებით ცოტა ხანს. ჩვენი ჭირი და სნება ე დანგრეული სახლებია და, თუ რამე შეგეძლოთ, ამაში უნდა მოგვხმარებოდით მეთქი.

გლეხკაცის მოტყუება ძნელი არ არი და ვერაფერ სახელს მოგიტანთ. აღდგომა და ხვალეო, უთქვამს ჭკვიან კაცს მეთქი.

მოგვეცით ხე-ტყის ლიცენზია, რამდენიც დაჭირდება ამ ჩვენს სახლებს. აგვიზომეთ ფუნდამენტი, თუ სადმე მოახერხოთ, ცემენტი მოგვაშველეთ, ქვაქვიშას ჩვენ მოვაქუჩებთ რავარცხა იქნება, ჩვენ თვითონ შევუდგებით ნაგეში ერთმანეთს და ევიყვანთ კედლებს. თითო ოთახში მაინც რომ შევასწროთ ზამთარს, უბედურებას მაინც ავიცილებთ და გაისად კიდევ რაღაც იქნება მეთქი.

დარბაზი გაისუსა.

რას იტყვით თქვენო, საკრებულოს წევრს მიუბრუნდა მინისტრის ამხანაგი.

ვაგზავნით ყველაფერს, ბატონო, მარა რეკეტიორები და პიკეტიორები დგანან გზაში და ამიტომაც ბევრ სოფელში ადგილზე არ მიდის ჩვენი დახმარებაო, სამადამემ.

გაიცინა ხალხმა, სიმწრის სიცილით.

ადრე რაიკომებს ვაბრალებდით ჩვენს გაყვლეფას, ახლა რეკეტიორებს ვაბრალოთ და ვიყოთ ასე, არაა ჩვენი საშველი, ქე ვხედავთ ჩვენო.

ადგა ნირწამხდარი სტუმარი, არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, საჩუქრად უნდა მოერთმია ახალ ხელისუფლებას ახალი სახლები თქვენთვის, მარა რალაი არ გამოდის, შევისწავლი ამ საკითხს, ვითათბირებთ ზევით და ორ დღეში, შემდეგ შეხვედრაზე, რავარც თქვენ გინდათ, ისე იქნება ყველაფერიო.

ორი კვირა ხვალ სრულდება, რაც ეს სიტყვა თქვა. შენ არ მომიკვდე, მეტად ჩვენთან არაფერი მოეტანოთ და არც თათბირზე დავემაზოთ ვინმეს.

გეჩქარება ძალიან? საათზე რომ დაიხედე, იმიტომ გკითხე.

ვიცი, ბატონო, სხვისი გაჭირვების მოსმენა, მითუმეტეს, როცა არ შეგიძლია შველა, ერთობ მძიმე რამეა. მეც იმიტომ გიყვები, გულს ვიოხებ თქვენთან, თვარა მეტი რაი. რომც დაწეროს ეს ამბავი, მაინც არაფერი შეიცვლება.

ჯერ ერთი, შენ დაგიწყებენ კბენას, ცილს გეწამებს, აბა როდის არი ასე გლახად საქმეო. გამეიგონა ტყვილი და ვითომ ეს გამოუჩნდა ახალ ქომაგად ახლა გლეხსო. თავის გამოჩენა უნდა, მეტი არაფერი მაგასო.

შენ ხომ შენსას დაგმართებენ, არც ჩვენი საქმე წეიწევა წინ. „კილაოზნიკი", უმადური ხალხი ნაცხოვრება ჩხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მში და რა ჩიტსაც დეიჭერენ მაგნაირი ენაჭარტალით, ნახონ მაგათმაო, იტყვიან უფროსები.

ამიტომ წუწუნ-ჩივილის ფირფიტას გამოვიცვლი ახლა და ახვა ამბავს მოგიყვები ამ მიწისძვრასთან დაკავშირებულს.

ჩვენზეით მიწისძვრამ და მეწყერმა ოსების სოფელი რომ დეიტანა, გეცოდინება. წყავი ერქვა სოფელს. აქედან სულ თოთხმეტი კილომეტრია, პირდაპირ თუ გადაჭრი, ბილიკ-ბილიკ, მთაზე. ორმოცდაოთხი მოსახლე ისე ჩაინთქა ქვესკნელში, რომე ნასახლარიც ალარ დარჩა. სამი ბავშვი გადარჩენილაო, მაშინ თქვეს, სკოლა გოუცდენიაო და ტყეში ყოფილან საშურდულე თხილის მოსაჭრელად წასულებიო. ი სამი ბავშვი ჯავაში წაიყვანეს ნათესავებმაო, ხმა გამევიდა მერე. სად არიან ახლა, ამ წუთში, ვერ გეტყვი, ვერ მოგატყუებ.

ამ ერთი კვირის წინ, გედევიკიდე ზურგჩანთაი, ჩავაწყვე შიგ ხუთი სანთელი, ყველი, პური, ერთი ბოთლი ღვინოი და გოვუდექი გზას წყავისაკენ.

მე, ჩემდა სასირცხვილოდ, ერთხელ ვიყავი ჩამოვლით მარტო (მჟავე წყლებიდან ვბრუნდებოდი) ამ რვა წლის წინ ნამყოფი წყავში და, ვერ დევიტრაბახებ, არც ნაცნობ-მეგობარი მყავდა იქ ვინმე.

ფეხით გადავედი მოკლეზე, მარა კაი გვარიანათ შემაგვიანდა. ხამად ვიყავი იმ გზაზე და ტყემ მხარის აქცევა იცის, მოგეხსენება.

ახალშელამებულზე ჩავედი სოფელში.

სოფელში მეთქი, გეუბნები, მარა, თუ ნამეტანი დააკვირდება კაცი, მეწყრისპირა ჩაქცეულ შუკაზე და ალაგ-ალაგ შერჩენილი ღობის ნამთზე თუ შეატყობ, კაცი, რომ ნასოფლარია, სხვაზე ვერაფერზე.

უშველებელი აკლდამა. ამობრუნებული მიწა და ქვესკნელში ჩატანილი სიცოცხლე-სოფელი. უარესს ნახავს კაცი რამეს?

ჯოჯოხეთის კალო დატრიალებულა და ეს არის.

ჩამოვჯექი ქვაზე და ვიტირე.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი. მთვარე რომ დამადგა თავზე, ზურგჩანთიდან სანთლები ამოვიღე და იქვე, გადატეხილ წაბლის ხის ფუღუროიაში დავანთე. ერთი-ლუკმა ყველი-პური წავიხემსე, დანარჩენი გაზეთზე დავდე, ღვინოს თავი წავუქციე და ისიც, პატარა ჭიქიანად, ბებერი ხის შავ ქერქს მივაყუდე, გამოვტრიალდი და მივდივარ.

ასიოდე მეტრიც არ მექნება გავლილი, ჩემს ყურთან ქვამ გაიწუილა და იქვე, კბოდეზე ჩაგორდა.

შევჩერდი.

მეორე ქვამ კინალამ ყური წამაცალა. წავხტი და ჯირკს ამოვეფარე.

— ვინ ხარ! რას მერჩი?!

ხმა არავინ გამცა.

საფარიდან სიბნელეს მოვავლე თვალი. ჩემგან ოციოდე მეტრში თხრილში ლანდი ირხევა.

ხელი აღმართა და ორჯერ გადაიშხუილა ქვამ ჩემს თავზე.

ეს არ ხუმრობს მეთქი, ზურგჩანთა შემაღლებულზე დავდე და ხოხვით გავუწექი. გზაზე ხელში მოყოლილი თოხისტარისხელა ჯოხი ამოვიღლიავე, უკნიდან მოვუარე, სანგარში ჩავუხტი და დავუყვირე:

— ხელები! თვარა გაგათავე!

არ მომკლაო, იბღავლა.

ვინ ოხერი ხარ! რას დაეხეტები ამ შუაღამეზე, ქვა ასე გამეტებულად რომ მესროლე, რომ მომხვედროდა, შენ მირჩენდი ოთხ შვილს მეთქი!? ამოდი ახლავე, უნდა წაგათრიო, სადაც ადგილია მეთქი.

თხრილიდან ამოფორთხდა, შემომხედა. უკან დავიხიე, ფეხებში არ მსტაცო! მეთქი, მუხლებზე დაეშვა, თავი ხელებში ჩარგო და აქვითინდა.

ვაცალე ტირილი და მერე გამოვკითხე ყველაფერი წვრილ-წვრილად.

აქაური ვარო, პარასტაშვილი, ბალო მქვიაო. ცხენის ჩამოსაყვანად ვიყავი სათიბზე, როცა ცამ დაიქუხა და მიწამ რყევა დაიწყოო. ცხენის ჭიხვინმა ყური კინალამ გამიხერითა, დაჰკრა ქუსლი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდორს ისე გაუწვა, ქარიც ვერ მიეწეოდაო. მიწა რომ დაწყნარდა, ბაწრით ხელში გამოეტრიალდი და სოფელს რომ გადმოვადექ, თვალში სინათლე დამეკარგა, რეტი დამესხა, ყვირილი მინდოდა, მაგრამ ყელიდან ხავილის მეტი არაფერი ამომივიდაო.

ორი შვილი, ცოლი და სამოცდაათი წლის დედა ჩამიყლაპა მეწყერმაო.

მარტო ვარ დარჩენილი ტყის ნადირივით, სად წავალ, ამ ადგილს როგორ მოვშორდები, ჩემიანი ყველა აქააო ჩამარხული.

ქურდი მეგონე და ქვა დაგიშინე. არ მომკლა, თორემ დიდ ცოდვას ჩაიდენ, ამ სოფლის ერთადერთი გადარჩენილი კაცი ვარო.

წავიყვანე და წაბლის ფუღუროსთან მივიყვანე. ჩემი დანთებული სანთლები ისევ ბჟუტავდნენ. ესა და ეს კაცი ვარ მეთქი. რისი ქურდი, რა ქურდი, დაქცეულ სოფელს სანთელი დავუნთე. ჩხამიდან ვარ, ამისთვის გამოვჯარე ამხელა გზა და შენ, განუკითხავად, ქვა კინაღამ მდრუზე ზურგში, სული კინაღამ გამაფრთხობინე მეთქი.

ღვინისჭიქა გავუვსე და მივაწოდე.

დალია. ჭიქას ფსკერზე აკოცა. ხელი ჩამომართვა, მხარზე მემთხვია; მერე მოწყვეტილივით დაეშვა მუხლებზე, ფუღუროს თავი სამჯერ მიარტყა და აზლუქუნდა.

დავამშვიდე, ვითომ ჩემი ჭკუით, რა უნდა უთხრა ასეთ დროს კაცს, მაგრამ მაინც ცოტა მოვაზედე, მუშტებით ცრემლი შეიმშრალა და წამოჯდა.

სანამ კარგად არ აცივდა, ვიჯექით დამეხილ წაბლზე მხარიმხარმიდებულები და ვმუსაიფობდით.

ჩხამში ჩამოვიყვანე.

სამ დღეს ჩემთან იყო.

მისი საცოდაობით იწვებოდა მთელი სოფელი. სამი დღის მერე ცხინვალს წასვლა მოიგუნება.

დავბან-დავასუფთავეთ (წვერი არ გაიპარსა), დიდი აბგა ტანსაცმლით გავუვსეთ, საგზალი გავუმზადეთ და წავიდა.

დავბრუნდებიო, გინახულებთო, დაგვიბარა.

ღმერთმა სულისდგმა ნუ მოაკლოს, აღარ გამოჩენილა.

## სარდალთან

ინტელიგენტი აივენგო დოლაბერიძე ასე დაბნეული ჯერ არ ყოფილა. ტროლეიბუსის გაჩერებაზე იდგა და არ იცოდა, საით წასულიყო.

შეჰყურებდა ინტელიგენტი მოქალაქეთა მოღუშულ, გაბრაზებულ და უკუღმართი ცხოვრებისგან ნერვატოკებულ სახეებს და, უნდა გამოგიტყდეთ, არა თუ ეცოდებოდა, ეხარბებოდა კიდეც მათი.

ქალაქი, ჟურნალისტების ენით რომ ვთქვათ, პარალიზებული იყო.

მოსწავლე არ სწავლობდა, მხაზველი არ ხაზავდა, ჭონი არ ჭონობდა და მარკშრეიდერი არ მარკშრეიდერობდა.

მაშ, რა ეხარბებოდა ინტელიგენტ აივენგო დოლაბერიძეს ამ საზეარეული ადამიანებისა?

რა და ყველა მათგანმა იცოდა, დილით სახლიდან გამოსული, რომელ აქციას, მიტინგს თუ მანიფესტაციას შეერთებოდა. აივენგოს კი ვერა და ვერ გადაეწყვიტა.

იდგა და გამვლელ-გამომვლელთ არცთუ უაზროდ ათვალიერებდა.

დაბნეულობა წუხელ ღამითვე დაეუფლა შინ მობრუნებულს.

ცოლს, რა თქმა უნდა, არ აგრძნობინა, რომ დაბნეული იყო, დამეძინება და გამივლისო.

რის ვაი-ვაგლახით მამლის მეშვიდე დაყივლებაზე ჩაეძინა.

სიზმარი არ უნახავს. გაეღვიძა მაშინ, როცა რადიოსადგური „თავისუფლება“ უკანასკნელ ცნობებს მეოთხეჯერ იმეორებდა.

საწოლზე წამოჯდა, კეფა-კისერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი ჩამოისვა, ფოსტლებში ფეხი წაჰყო და კარსუკან მიყუდებული სამფეროვანი ეროვნული დროშა აივანზე გაჰკიდა.

აივენგო პირველ სართულზე ცხოვრობდა და დროშას ღამღამობით ჩამოხსნიდა ხოლმე. უდროშო გამვლელმა ე მანდ ხელს არ გააყოლოსო.

მადაგასკარელ მკითხველს, რომელიც ამ ნოველას მალაგასიურ ენაზე წაიკითხავს, ალბათ, გაუკვირდება „დროშის მოპარვა". ყველაფრის მოპარვა გაუგონია ალბათ, აფრიკის სამხრეთელ მეზობელს დროშის მოპარვის გარდა, მაგრამ, უნდა დავამშვიდო, რომ დემოკრატიის კლასიკურ ქვეყნებში სათანადო ორგანოებს დროშის მოპარვის არაერთი შემთხვევა აღუნუსხავთ.

ამ უცნაურ ქურდობებს თუ ბინისა და მანქანის ქურდობების მსგავსად არ აზმაურებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ დროშის ღამეულ ხელყოფას ძირითადად არაპროფესიონალი ქურდები ან ხელმოცარული პოლიტიკოსები სჩადიან.

თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო. აივენგომ თავ-საზე გაიპარსა (თავს იგი ყოველ მეორე დღეს იპარსავდა, სახეს — ყოველ მესამე დღეს), პარსვისას გაჩენილ ჭრილობებზე ქაღალდის ნაგლეჯებიც მიიწება, ჩაიც დალია, ლურჯ პერანგზე განუყრელი თაგვისფერი ჰალსტუხიც გაიკეთა, და კიბეზე რომ ეშვებოდა, სწორედ მაშინ შეატყო თავს, რომ დაბნეული იყო.

დაბნევის მიზეზს ხვდებოდა, მაგრამ თავს არ უტყდებოდა.

რამ დააბნია და გუშინ ზედიზედ ორ მიტინგზე ყოფნამ.

პირველ მიტინგზე გამომსვლელნი ცას შეჰღაღადებდნენ: რა დაგიშავეთ, ღმერთო, რომ ასე დაგვსაჯეო. ჩვენი მოძმენი გაგვირისხდნენ და ჩვენსკენ, კანონიერი ხელისუფლებისკენ, იარაღით მოიწევენო. წუხელის სამჯერ მოგვიწია სიმღერითა და კალამბური თქმებით კბილებამდე შეიარაღებულ თავდამსხმელთა მოგერიებამ. გადავდგებოდით, მაგრამ ჩვენი გადადგომის მერე ქვეყანა დაიღუპებაო. საკმარისია გადავდგეთ, რომ მიწაზე ბალახი არ ამოვა და მდინარეები აღმა ივლიანო, ქალაქად პური არ გამოცხვება და კანალიზაცია არ იმუშავებსო.

„კანალიზაციამ" ცოტა შეაფიქრიანა აივენგო, მაგრამ იმდენად გულწრფელნი და შეშინებულნი ჩანდნენ მომიტინგენი, რომ „კანალიზაცია", ალბათ, წამოცდათო, გაიფიქრა ინტელიგენტმა და გულწრფელად უთანაგრძნო კანონიერ ხელისუფლებას.

ინტელიგენტს სხვა რა შეუძლია, იგი უთანაგრძნობს, ან უკიდურეს შემთხვევაში, არ უთანაგრძნობს მოვლენებს. მორჩა და გათავდა.

აქეთობისას უნივერსიტეტში შეიარა. იქნებ, შემთხვევით იმ თვის ხელფასი მაინც მომცენო. უარი უთხრეს, მოსკოვი ფულს ველარ გვიგზავნის, ტკიცინა ქაღალდი შემოაკლდა და რასაც ბეჭდავს, თვითონაც ძლივს ყოფნისო.

რა ვქნათ, აბა, როგორ იქნება ჩვენი საქმეო, ჰკითხა აივენგომ მომხიბვლელ მოლარე ჯულიას, რომელიც სალაროში ისე მინაბულიყო, როგორც მტრედი გალიაში.

რა მოგახსენოთ, ბატონო აივენგო, ქმარ-შვილი მეც მშიერი მყავსო, ჯულიამ.

გულამღვრეული ინტელიგენტი ვარაზისხევის დაღმართზე დაეშვა და ტელევიზიასთან მეორე მიტინგზე ამოჰყო თავი.

ჩვენაო, ცრემლიანი თვალებით გაჰყვიროდნენ მეორე მიტინგის ქადაგნი, კანონიერ ხელისუფლებას არას ვერჩითო. თვით გვიბღვერენ და თვალებს გვიბრიალებენო. გვლანძღავენ და მამის სულს გვიხსენებენ, თუ გავბედავთ და დემოკრატიულ მოთხოვნებს წამოვაყენებთო. ხმას არ ამოვიღებთ, თუ ორ პაწაწკინტელა მოთხოვნას მაინც შეგვისრულებენ ხელისუფალნიო: პირველი — ერთი საათი მაინც გამოგვიყონ ტელევიზიაში, გული რომ მოვიოხოთ და თავი შევიქციოთო; მეორე — გაანთავისუფლონ სინდისის პატიმარი კომბლე თჩიგავა, რომელიც ამ ერთი თვის წინათ ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმიზეზოდ და უსინდისოდ დააპატიმრესო.

აივენგომ ვერც მეორე მიტინგზე გამომსვლელთა სიმართლეში შეიტანა ეჭვი და დაბნეულობისგან გააკანკალა. ერთი მხარე აშკარად ცრუობს, თორემ როგორ შეიძლება ორივე მხარე მართალი იყოსო. ჩანს, მოხუცდი, გულჩვილობა და გულუბრყვილობა მომერია, ალღომაც მისუსტა; ალბათ, პოლიტიკაში, რაც დრო გავა, უფრო და უფრო ვეღარ გავერკვევიო.

ამ ფიქრით გულდამძიმებული დაბრუნდა გუშინ თავის ოროთახიან ულოჯო ბინაში ინტელიგენტი აივენგო დოლაბერიძე. ამ დილით კი მოქალაქეთა რიარიას რომ დააკვირდა, როგორც გითხარით, ერთი დაბნევა დაიბნა, მაგრამ საათიანი ჭოჭმანის შემდეგ გადაწყვიტა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმიის მთავარი შენობისკენ წასულიყო.

თუ რა საქმე ჰქონდა სექტემბრის ამ ნელთბილ დილაზე შტაბში (სადაც მანამდე არასოდეს ყოფილა) აივენგოს, ცოტა მოთმინება ვიქონიოთ და ახლავე შევიტყობთ.

კიბესთან შეჩერდა და ძალლილი ნაბიჯებით წინდაუკან მოსიარულე შაშხანიან რუსის ჯარისკაცს უხმო.

ჯარისკაცმა ყურადღება არ მიაქცია და წინდაუკან სიარული განაგრძო, მაგრამ მეორე დაძახებით სამხედრო პირის ყურადღების მიპყრობა არ დაჭირვებია აივენგოს. მისკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალ ორ პატრულს პირადობის მოწმობა უჩვენა და სარდლის ნახვა მსურსო, განუცხადა.

პატრულებმა ჯერ პირველ სართულზე, სამორიგეოში შეიყვანეს აივენგო. ერთი მათგანი გვერდით მიუჯდა, მეორე მაგიდაზე გაფენილ ექვსი ტელეფონიდან ერთ-ერთს დაწვდა და ისე, რომ სტუმრისთვის თვალი არ მოუცილებია, ჩაილაპარაკა:

— აქ ერთია, ინტელიგენტი ვარო, სარდალთან მიღებას ითხოვს.

ჩანს, იქითა მხარემ რაღაც ჰკითხა, რაკიღა მორიგემ ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა აივენგო და დაეჭვებული კოლეგა დაამშვიდა:

— არა მგონია... ნორმალური ჩანს.

პირადობის მოწმობა სამორიგეოში დაიტოვეს, გულდასმით გაჩხრიკეს და სათვალიანმა ლეიტენანტმა ლიფტით ააცილა მესამე სართულზე. იქ, ლიფტის კარებთან სამოქალაქო ფორმაში (?!) გამოწყობილი პაჭკიანი კაცი დახვდა. თავაზიანად დაუკრა თავი, მოსაცდელში შეიყვანა და მოუბოდიშა — სარდალი დაკავებულია, თუ არ შეწუხდებით, ხუთიოდე წუთი მოითმინეთო.

ეს სიტყვები დამთავრებულიც არ ჰქონდა თანაშემწეს, რომ ზარის წკრიალი გაისმა და აივენგომ უზარმაზარ კაბინეტში ამოყო თავი. გრძელი, ოქროსფერი მაგიდის თავში წითური, თმაშეთხელებული, ლოყებდაბერილი გენერალი იჯდა. აივენგომ შეამჩნია, რომ გენერალს თმა და სახის კანი ერთი ფერისა ჰქონდა, რაც მას, პირადად, სხვებისათვის არასოდეს შეუმჩნევია.

გენერალი წამოდგა, სტუმარს ხელი ლონივრად ჩამოართვა და ჩუქურთმიან სკამზე მიუთითა. აივენგო დაჯდა და თანაშემწეს შეხედა. თანაშემწე, აქაოდა რა ჩემი საქმეა, რაზე ისაუბრებენო, ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა.

— დოლაბერიძე? — გენერალმა ექვსდღიურას შეავლო თვალი.

— დიახ, — წამოდგა აივენგო.

— დაბრძანდით, გისმენთ.

— მე... ინტელიგენტი გახლავართ... ასე ვთქვათ, ფოლკლორის სასახლეში ვმუშაობ, ხალხურ სიმღერებს ვაგროვებ. მე მოვედი თქვენთან, რათა ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით მადლობა მოგახსენოთ.

გენერალს სახე გაებადრა.

— საერთოდ კი, მაგრამ ახლა კონკრეტულად რა დამსახურებისათვის?

— რომ არ ერევით ჩვენს საქმეებში. თქვენ კარგად ხედავთ, აქ რაც ხდება. ცხრა აპრილის ამბები, იმასთან, რაც ახლა ტრიალებს, ხალხური თვითშემოქმედების კონცერტს ჰგავდა. მაშინ თქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ ჩაერიეთ, ახლა განზე დგახართ. თქვენი ჯარისკაცები რომ ამოქმედებულიყვნენ, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

გენერალმა პენნე მოირგო და ახლა ასე დააკვირდა უცნაურ მემადლობეს. რაკილა დარწმუნდა, გულწრფელად ამბობსო, წელში გაიზნიქა და ჭერს ახედა.

— არ დაგიმალავთ, მქონდა ლაპარაკი მოსკოვთან, შეხედულებისამებრ იმოქმედეთო. მე მიმაჩნია, რომ მაშინაც შეცდომა იყო ჩვენი ჩარევა, მაგრამ როდიონოვმა ქართველი კაცის ხასიათი არ იცოდა და იჩქარა. მე მოვახსენე უმაღლესს, რატომ უნდა გავხადოთ რუსული ხიშტი მსოფლიოს საქილიკოდ და საგინებლად, რაც სხვებისთვის სისხლი ვღვარეთ, არ გვეყო მეთქი? მადლობელი მაინც არავინ არის. ჯობს ჩვენ განზე გავდგეთ და სეირს ვუყუროთ. ქართველები როგორმე აუვლენ-მეთქი ერთმანეთს.

— მართლაც რომ „ავუდივართ".

— ასეა ნამდვილად. ახლა ყველაზე კარგი საქმე ჩვენი აქედან გასვლა და თქვენი ღვთის ანაბარა დატოვებაა. გარეთ რომ გაგვიგულებთ, თქვენ უფრო ენერგიულად დაერევით ერთმანეთს. უმაღლესი რომ ნებას მომცემდეს, სიამოვნებით გავიყვანდი ჯარს თქვენი ტერიტორიიდან და ექვსი თვის შემდეგ მუხლებზე დაცემულ, დაჩეჩქვ-დაბერტყილ საქართველოში ისევ შემოვიდოდით. თქვენ არ იცით თქვენი ისტორია, ჩვენ კარგად ვიცით, ასე იყო მაშინაც, გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ. თქვენმა პაწაწინა მეფე-მთავრებმა ერთმანეთი დაკორტნეს და რუსმა მაშინაც იჩქარა, შეგვეცოდეთ, ბოლომდე არ გაგწირეთ, შემოვედით და ერთმანეთის ჭამა მიგატოვებინეთ. ხუთი წლის დაგვიანებით რომ შემოსულიყავით, ახლა ეს პრობლემები აღარ იქნებოდა. გადაგარჩინეთ და თქვენ, ჩვენს ფრთებს ქვეშ გაცოცხლებულ-დასუქებულებმა ამ ბოლო დროს ოკუპანტებად გამოგვაცხადეთ, ჩვენი ბრალია ყველაფერი. რომ იცოდეთ, რასპუტინი მართალია, თქვენ ავადმყოფი ერი ხართ. თქვენ ერთმანეთს ვერ იტანთ, ერთმანეთი გძულთ, რომელ თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი.

— მე მინდოდა გამეგო, — აივენგოს სიბრაზისაგან ენა გაუშრა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, რომ გალიგვებული ხორხიდან ოდენ ხავილი არ აღმოხდომოდა, — საერთოდ რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ, თუ საიდუმლო არ არის, რასაკვირველია.

— დასამალი რა გვაქვს. მუხლზე ჩოქვითაც რომ გვთხოვოთ თქვენს, საქმეში არ ჩავერევით. ჩვენ მხოლოდ მეთვალყურის როლს დავჯერდებით. მშვენივრად ესვრით ერთმანეთს ტყვიას, არა უშავს. რომ შეჭამეთ როდიონოვი, აი, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ცხრა აპრილს ხომ ერთი ტყვია არ გავარდნილა. ქალები ხომ ჭყლეტაში დაიხოცნენ?

— ბარები?

— ხო, ვთქვათ ბარიც მოხვდა ზოგიერთს, ჯარისკაცი ჯარისკაცია, ყოველთვის ვერ მოზომავს. ახლა? ერთი თვის განმავლობაში ხუთჯერ რომ ესროლეთ ერთმანეთს, რაო, ვის უნდა გადააბრალოთ? ბოლმისგან გისკდებათ, ალბათ, ეგ ამაყი გულები, რაკილა თქვენი ხოცვა-ჟლეტა ჩვენთვის ვერ დაგიბრალებიათ.

— ესე იგი..., როგორ გავიგო... თქვენ აპირებთ თუ არა გახვიდეთ საქართველოდან?

— მე პირადად, დაუყოვნებლივ გასვლის მომხრე ვარ. ასე ჯობს, მაგრამ ჩვენ ვინ მოგვცა პოლიტიკის ჭკუა, რუსი კიდეც რომ მიხვდეს და ჯარის გაყვანა გადაწყვიტოს, შევარდნაძე არ იზამს. შევარდნაძე ქართველია და იცის, რა მოჰყვება ჩვენს წასვლას. თუ შევარდნაძემ ხელი დაიბანა და საქართველოს სიყვარული გულიდან ამოიღო, ალბათ, გაგვიჯვანს. აი, სწორედ მაშინ ჩაესვენება საქართველოს მზე. რომ იცოდეთ, რა მშვენიერი სანახავები იქნებით: ზემოთ თქვენი მოსისხლე მტერი — მთიელთა რესპუბლიკა, აქეთ თურქული სამყარო, იქეთ ჭირვეული სომხეთი, მუცელში ორი სამართებელი — აფხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ოსი და, რაც მთავარია, საქართველოს ყველაზე დიდი მტერი — ქართველთა გაუთავებელი შინაომი. რა ბუკეტი იქნება? ორი წელი მომიცია, ორ წელიწადში საქართველოში ქართველთა ჭაჭანება არ იქნება.

აივენგომ ვეღარ მოითმინა.

— ასეც ვიცოდი. მადლობელი ვარ, რომ ჩემი ეჭვი გაამართლეთ. თქვენ ხელს გამოიღებდით და საქართველოს საქმეებში ავად ჩაერეოდით, აქ რომ ყველაფერი კარგად მიდიოდეს. საქართველოში სიმშვიდე და ურთიერთშეთანხმება რომ სუფევდეს, აი, მაშინ გაცოფდებოდით და პროვოკაციების ნიაღვარს დაგვატეხდით. გასაგებია, თქვენ ხელს გაძლევთ, რაც ახლა საქართველოში ხდება და ერის ხელახლა დასამონებლად უკეთეს ამინდს ვერ ინატრებდით, მაგრამ მაპატიეთ კადნიერება და ახლა ჩემი მოსვლის ნამდვილი მიზანი უნდა გაუწყოთ: მე გამომგზავნა საქართველოს ჭეშმარიტმა ინტელიგენციამ, ვისაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა გულის ფიცარზე ამოუტვიფრავს და დამე არ აძინებს,—გემუდარებით, წადით აქედან, თუ სამხედრო სინდისი და თავმოყვარეობა ცოტა მაინც შეგრჩათ, წადით და დაგვტოვეთ ღვთის ანაბარა — ჩვენი ბედისა და ისტორიის წინაშე.

— ვიცოდი, რომ თქვენ აქ მადლობისათქმელად არ იყავით მოსული.

რაც შეეხება ჩვენს წასვლას, სამწუხაროდ, ეს ჩემსა და თქვენს სურვილზე არ გახლავთ დამოკიდებული, თორემ, როგორც ჩანს, ჩვენ იოლად შევთანხმდებოდით. მიპატიებია თქვენთვის კადნიერება. მე კი დღევანდელი უგუნებობისთვის ისიც მეყოფა, რომ კიდევ ერთ უმადურ ქართველს ველაპარაკე.

...აივენგო დოლაბერიძე ლიფტით ისევ იმ სათვალიანმა ლეიტენანტმა ჩამოაცილა.

— ნუ კაკ? — ჰკითხა მორიგემ და პირადობის მოწმობა გაუწოდა.

— ვსიო ნარმალნო, — მშვიდად, რაც შეეძლო მშვიდად, უპასუხა ინტელიგენტმა და ტკივილიანი, ცრემლიანი, ღიმილით გაუღიმა.

## ქრისტეფორე

— ალო, გისმენთ, ბატონო!

ყურმილში მოხუცის ხრინწიანი ხმა გაისმა.

— საბანაძის ბინაა? ლევანი თუა შინ.

— მე გახლავართ, ბატონო.

— თქვენი ნახვა მინდოდა, თუ შეიძლება.

— მაპატიეთ, ვინ ბრძანდებით?

— მე თქვენ არ მიცნობთ, ყოფილი იურისტი — ქრისტეფორე შონია გახლავართ.

— ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ბატონო ქრისტეფორე, მუხლი მტკივა და ვწევარ. ვერ გეახლებით. თუ შეიძლება, ტელეფონი მიბოძეთ და ორ-სამ დღეში მე თვითონ მოგაკითხავთ.

— თუ ძალიან არ შეგაწუხებთ, მე თვითონ მოვალ. გადადებული საქმისა ხომ იცით.

— ძალიან ცხელა, ბატონო, გაგიჭირდებათ.

— არაუშავს, მოვალ. თამარაშვილის თერთმეტია, ხომ? რომელი სადარბაზოა?

— მეოთხე სადარბაზო, მეათე სართული.

— დიდი მადლობა. წამოვალ აბა, ნელა-ნელა.

ერთ საათში მოვიდა, კაფანდარა, სანდომიანი სახის ბერიკაცი. ხელში საქაღალდე უჭირავს. სულს ძლივს ითქვამს. სახეზე ოფლი ღვარად გადასდის.

დაჯდა და სახე ვენტილატორს მიუშვირა. ოფლი რომ შეაშრა, ვენტილატორი გამომართვევინა, გამაცივებსო. მეუღლემ ცივი ბორჯომი და ხილი შემოიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომი დალია. ხილზე უარი თქვა, არ გეახლებითო.

— ხომ გითხარით, შეწუხდებით მეთქი. ამ სიცხეში რამ წამოგიყვანათ, ბატონო ქრისტეფორე.

— მართლაც ძალიან ცხელა. ეს ოხერი, ტაქსიც აღარ შემხვდა და ფეხით მომიწია წამოსვლამ. აქედან შორს არ ვარ, კეკელიძეზე ვცხოვრობ, მაგრამ მაინც კარგა მანძილია. ჩემი შესაძლებლობა და ივლისი ვერ გავითვალისწინე. ასე თუ ცხელოდა, არ მეგონა. იქნება ახლა ასე, ორმოც გრადუსამდე.

— „მომაბემ" ოცდათვრამეტი გამოაცხადა.

— რაღა აკლია.

საქაღალდე მიიჩოჩა, გაშალა და მუხლებზე დაიდო.

— ბატონო ლევან, მე, როგორც გითხარით, ყოფილი იურისტი გახლავართ. ყოფილი იმ გაგებით, რომ კარგა ხანია აღარ ვმუშაობ, პენსიაზე ვარ. თქვენ რომ დაიბადეთ, იმ წელიწადს, 1940 წელს ხართ, ხომ, დაბადებული?

— დიახ, — გამიკვირდა, საიდან იცის მეთქი.

— დიახ, 1940 წელს უკვე სამი წლის სტაჟი მქონდა მუშაობის, სამოცდათვრამეტის გახლავართ. მამათქვენი ხომ არის ცოცხალი?

— კი, ბატონო.

— რამდენის ბრძანდება?

— თითქმის მაგდენის.

— აგაშენათ ღმერთმა, მამის ტოლი ვყოფილვარ. ყოფილი მეთქი, რომ გითხარით, იურისტს, ისე როგორც მწერალსა და ჟურნალისტს, ყოფილი არასოდეს ეთქმის, მაგრამ, რომ აღარ ვმუშაობ, ყოფილს ვეძახი ჩემს თავს. ყოფილი ვარ, აბა რა. ორმოცდაათი წელი დავმრგვალე ამ პროფესიის სამსახურში. გამომძიებლობით დავიწყე, პროკურორის თანაშემწეც ვიყავი, პროკურორიც, მოსამართლეც, ბოლოს ადვოკატურაში ვმუშაობდი და ასე დავამთავრე ჩემი მოღვაწეობა. რატომ მოვედი ახლა თქვენთან, ბატონო ლევან.

— გიისმენთ, ბატონო, ყურადღებით.

— მე ოცდაჩვიდმეტგამოვლილი კაცი ვარ. ოცდაჩვიდმეტში დავამთავრე უნივერსიტეტი. სწორედ იმ წელიწადს ვიყავი პრაქტიკაზე რესპუბლიკის პროკურატურაში. შარვალგამოხეული, ღარიბესი, მეგრელი ბიჭი, რა ვიქნებოდი სტუდქალაქსშეფარებული, თბილისში ერთი შორეული ნათესავიც არ მყავდა. პრაქტიკის ბოლო დღეები იყო, პროკურორმა მიხმო. შონია, გინდა ჩვენთან მუშაობა? პირდაპირ მკითხა. ასეთ ბედნიერებას მე ვინ მაღირსებს მეთქი. წადი აბა, თავისუფალი ხარ, მოვიფიქრებთ რამესო. რესპუბლიკის პროკურორთან საქმე არ მქონია, მე, უბრალო პრაქტიკანტს, მასთან ვინ შემიშვებდა, არც მიცნობდა, რასაკვირველია, მაგრამ, ეტყობა, ვიღაცამ უთხრა, კარგი ბიჭიაო და დაინტერესდა. ახლა შევწყვიტოთ ამ თემაზე ლაპარაკი და ბოლოს დავუბრუნდეთ, თუ დრო დაგვრჩა. ახლა სჯობია, მე მგონი, პირდაპირ იმ საქმეზე გადავიდეთ, რისთვისაც მოვედი.

მე, თქვენ, ბატონო ლევან, დიდი ხანია თვალს გადევნებთ. ყველაფერს ვკითხულობ თქვენს დაწერილს. თქვენი პაექრობებიც და შეხლა-შემოხლებიც ვიცი. თქვენზე შინ ერთი დიდი საქაღალდე მაქვს. ლევან საბანაძე აწერია. თუ არ გჯერათ, მობრძანდით ერთ დღეს ჩემთან და გიჩვენებთ. თქვენ რომ ლიტერატურაში ფეხი შემოდგით, მაშინვე ვთქვი, ამას დიდხანს არ დააცლიან და ყველაფერს, რასაც დაბეჭდავს, შევაგროვებ, ვინ იცის, ვის დაჭირდება მეთქი.

ოცდაათი წელია თვალყურს გადევნებთ და უკვე თქვენი აზრების ამოცნობის უნარი გამომიმუშავდა. უნამუსობა ზენიტს რომ მიაღწევს, უკვე ველოდები თქვენს გამოსვლას. ლევანი ამას არ მოითმენს მეთქი, ვიტყვი და ერთ კვირაში მართლაც გამოჩნდება სადმე თქვენი ნაწერი. მერე უკვე ვიცი, მოვლენები როგორ განვითარდება. ორგანიზებულად თავს დაგესხმიან, გაგლანძღავენ, გაგათათხავენ (ვითომ მაგათი ჭკუით). მერე დრო გავა, ნიჭი თავისას იზამს და ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევ წამოტივტივდებით, ვერ გელევიან, ბოლომდე არ გწირავენ. თქვენი სიყვარულის გამო კი არ აკეთებენ ამას, ხალხის რისხვისა ეშინიათ; საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახლაც, შვილიშვილებს გეფიცებით, დღედღეზე ველოდი თქვენს სიტყვას. თქვენც არ დააგვიანეთ, სხვა არავინ იყო ამის მთქმელი. ნუ მოჰყვებიან ტრაბახს გადახტომამდე. ყველა შემუდრულია თავის გალიაში მშვენიერ-კარგად. თქვენგან ამ საქციელს ახლა გაბედულებაც აღარ ჰქვია. მე ვიცი ძალიან კარგად; თქვენ სხვანაირად არ შეგიძლიათ. ეს თქვენი ხასიათია, თქვენი ცხოვრების სტილია. გამოექომაგეთ უსამართლოდ დასჯილ მასწავლებლებს, აბა რა უნდა გექნათ. იცოდეთ, ბატონო ლევან, როგორც კი ეს უსახური დადგენილება გამოაცხადეს ტელევიზორში, გულის სიღრმეში ყველამ თქვენსკენ მოიხედა; საბანიძე რას იტყვისო. თქვენც რომ გაჩუმებულიყავით, ერის ღალატი იქნებოდა.

როგორ თქვა თქვენზე? კოჭი გაუგორაო. „კოჭის გაგორება" მაშინ იქნებოდა, აღზევებულს, თანამდებობიანს რომ მოფერებოდით. თქვენ გაგდებულ, დასჯილ ხალხს გამოექომაგეთ, ეს რა კოჭის გაგორებაა, თუ ღმერთი გწამთ.

არ ვიცი, პასუხს აპირებთ თუ არა.

— ვფიქრობ! შეიძლება თავი არ გავუყადრო და ორიოდე სტრიქონით, ირონიულად ვუპასუხო.

— ერთი სიტყვით, თქვენი საქმე თქვენ იცით, მაგრამ მე, მოხუცებულმა იურისტმა, ჩემი თავი მოვალედ ჩავთვალე, მოვსულიყავი და ორიოდე რჩევა მომეცა.

— გისმენთ, ბატონო, წინასწარ დიდი მადლობა.

— ამ კოდექსებს დაგიტოვებთ, გვერდები ჩანიშნულია და ჩახედეთ. ჯერჯერობით ეს კოდექსები ძალაშია. ესე იგი მოქმედი კოდექსებია. თქვენ, ვიცი, სიტყვის კაცი ხართ, მაგრამ მაგნაირებს მარტო სიტყვით კი არა, კანონის ძალითაც უნდა ელაპარაკო. კანონი კი, რომ ჩახედავთ, დარწმუნდებით, ასე ამბობს: პროფესიული ხაზით მუშაობის სამუდამო აკრძალვას ჩვენი მართლმსაჯულება არ ითვალისწინებს. ასე რომ, სამუდამოდ აეკრძალოთ პედაგოგიურ დაწესებულებაში მუშაობაო, რომ გამოუცხადეს იმ უბედურებს, ეს ბავშვური შეცდომა იყო. სასამართლოს შეუძლია განსაკუთრებულ გარემოებაში პროფესიით მუშაობის აკრძალვა მხოლოდ ორიდან შვიდ წლამდე. ჩვენს შემთხვევაში კი, გამოძიება-სასამართლო არ ჩატარებულა და განაჩენი ადმინისტრაციული ხაზით იქნა გამოტანილი. ამ უკანასკნელს იურისტების ენით, თანამდებობის ბოროტად გამოყენება ჰქვია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე. ხედავთ რაშია საქმე? ასე რომ, თუ პასუხს გასცემთ, ცარიელი სიტყვებით მაგათთან ბრძოლა ამაოა, შეგონება მაგათთან არ გაჭრის. უკანონობას კანონი უნდა დავუპირისპიროთ. ახლა ისევ იმას მივუბრუნდები, რითაც დავიწყე: ოცდაჩვიდმეტგამოვლილი კაცი ვარ მე.

შენ, როგორც მწერალს, ბევრი საბუთი გაქვს ოცდაჩვიდმეტზე და დაგიწერია კიდეც არაერთხელ ამ საკითხზე. მე, ოცდაჩვიდმეტელი იურისტი, სუფთა ხელებით რომ არ ვიქნები გამოსული იმ წლებიდან, ამასაც მიხვდები. რასაკვირველია, პატარა-პატარა უსინდისობები (დიდი არა) მეც ჩამადენინეს, მაგრამ ერთ მთავარ კითხვაზე პასუხი არც თქვენ გაქვთ და არც სხვას, რამდენადაც ვიცი, გაცემული: კერძოდ, რატომ გახდა შესაძლებელი ეს მასობრივი რეპრესიები. რატომ გაკეთდა ოცდაჩვიდმეტი?

დამიგდეთ კარგად ყური. პირველი საქმე, რომელიც მე დამაწერეს, ინჟინერ ჭილაძის საქმე იყო. ორი სიტყვით გეტყვით: სამი კაცი, — ბრიგადირი, მუშა და ინჟინერი არიან ახლანდელი „დომსვიაზის" სხვენზე. სხვენს არემონტებენ. შეხედეთო, ინჟინერს უთქვამს იმ ორისათვის, სასტუმრო რა მშვენივრადაა აშენებულიო, როდის ვისწავლით ჩვენ ასე შენებასო. ორი ახალი შენობა დაიდგა რუსთაველზე, „დომსვიაზი" და

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზარია ვოსტოკა“, არც ერთი არ ზის არქიტექტურულად თავის ადგილზე, არც ერთი არ უქნია ღმერთსო. ესაა სულ ჭილაძის დანაშაული. იმ სამიდან ერთ-ერთმა დაასმინა: დაიჭირეს კაცი და ათწლიანი მუხლი მიუყენეს.

გავეცანი საქმეს, შევედი განყოფილების უფროსთან და ვეუბნები, მე აქ დანაშაულს ვერ ვხედავ მეთქი. რა მოხდა, კაცმა თავისი აზრი გამოთქვა-მეთქი. განყოფილების გამგემ მიიხედ-მოიხედა, კარი ჩარაზა, მაგიდიდან ქაღალდი აიღო და გამომიწოდა, წაიკითხეო. ამ კვარტალში დამატებით გეძლევათ სამი ათასი ხალხის მტრის განადგურების ლიმიტიო, საკავშირო შინაგან-საქმეთა მინისტრის მოადგილე სწერდა ჩვენს მინისტრს. ხედავთ? ლიმიტით იყო, დაგეგმილი იყო ადამიანების დახვრეტა. ჩვენი განყოფილების გამგემ, საიდან მოვიყვანოთ ამდენი ხალხის მტერიო. თუ გეგმას ვერ შევასრულებთ, ერთ კვირას არ გაგვაჩერებენ აქაო. კიდევ კარგი, ჩვენს ლაპარაკს არავინ ისმენდა, აქ რომ ახლა მესამე კაცი ყოფილიყო, ამ წუთში უნდა გამეცა შენი დაპატიმრების ორდერიო. წადი ახლა და ასეთი სისულელე მეორეჯერ არ წამოგცდესო. უნივერსიტეტში ნასწავლი სიბრიყვენი გამოიბერტყე თავიდან. ცხოვრება სხვაა და წიგნი სხვაო.

გამოვედი. ადგილს ვერ ვპოულობ. რისთვის ვუსჯიდით კაცს ათ წელიწადს. მე, ახალგაზრდა პროკურორმა, ნუთუ ჩემი პირველივე გამოსვლა სიცრუით უნდა დავიწყო? ვიწრიალე, ვიწრიალე და შევედი რესპუბლიკის პროკურორთან. ასეთ და ასეთ საქმეზე ვარ, ათ წელს უსჯიან ამ დანაშაულისათვის და ბევრად მეჩვენება მეთქი, თქვენ რას მირჩევთ, რამდენი მოვითხოვო მეთქი. ჭკუა ნასწავლი მაქვს, უდანაშაულობაზე ხმა არ ამომიღია.

ეგ ჭილაძე, როგორც ჩანს, მოლაყბეაო. სხვენზე რემონტის გასაკეთებლად აუშვიათ, რა შედარებები აუტყდა, ვერ დაეტია თავის კანშიო? ათი წელი ბევრია, მაგრამ ხუთი კი ნამდვილად ეკუთვნისო, ხუთი მოითხოვე და ეგ იქნებაო.

მეც ასე მოვიქეცი. ერთი კვირის შემდეგ განყოფილების გამგემ ჩემზე შედგენილი საქმე დამიდო წინ. კოლეგია იხილავს პროკურატურიდან ჩემი გაგდების საკითხს. დანაშაული? უვიცობა, ლიბერალიზმი, ხალხის მტრების მიმართ გულჩვილობის გამოჩენა. ჩავხედე საქმეს. ჩემი კოლეგები იძლევიან ჩვენებებს. ასე და ასეო. თავიდანვე ვატყობდით, ჩვენს საქმეში რომ არ გამოდგებოდაო. ზოგი შორს მიიწევდა და ჩემს დაპატიმრებას მოითხოვდა.

ვდგევარ კოლეგიაზე ოცდასამი წლის ბიჭი, თავჩაღუნული. ჭიკჭიკებენ ჩემს დანაშაულზე ახალგაზრდა და ძველგაზრდა პროკურორები. „შემარცხვენელი“, „საეჭვო ორიენტაციის მქონე“, რა არ მიწოდეს. ბოლოს რესპუბლიკის პროკურორმა მიხსნა. ჩემი პასუხისმგებლობით მივიღე შონია აქ სამუშაოდ. ეგ ხუთი წელიც ჩემთან კონსულტაციის შემდეგ მოითხოვა. ასე რომ, ქვეყანა არ დაუქცევია. ჭილაძეს იმ დანაშაულისათვის ხუთ წელზე მეტი არ ეკუთვნოდა, ნუ შევჭამთ ახალგაზრდა კაცს, არ დაუქცევია ქვეყანა, კვლავ ჩემი პასუხისმგებლობით ვტოვებ მას ჩვენთან სამუშაოდ და იმედია, ამ გაკვეთილიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანსო.

დამტოვეს. ალბათ, აღარაა საჭირო იმის თქმა, რომ „ჭკუანასწავლმა“ ვიცხოვრე და ვიმუშავე დარჩენილი წლები. რატომ მოგიყევით ახლა ეს, თუ იცით, ბატონო ლევან? სხვა არავინ ადგა პროკურატურის ასცხრამეტი თანამშრომლიდან, რომ ეკითხა: რა დააშავა ასეთი შონიამო. ერთხმად გამწირეს და მოსაკვეთად გამამზადეს.

თქვენ ის კაცი ხართ, „ჭკუა რომ ვერ ისწავლეს“, ვერც კომუნისტებმა და

ნოემბერი ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც ამათ. კომუნისტებს თქვენ ჭირი-ვით სძულდით, მაგრამ დაგინდეს, არ გაგწირეს. ახლა სხვა დროა. ჰაერში ახლა არცთუ სასიამოვნო სუნი ტრიალებს. თქვენ ის კაცი არა ხართ, რომელსაც ახსნა დასჭირდება.

მე მეგონა, ეს ბოლო სამი წელი საზოგადოების ნალებს — ინტელიგენციას შეცვლიდა. თქვენც არ მომიკვდეთ, ვატყობ, დღესაც ისეთივე ინტელიგენციაა, როგორიც ოცდაჩვიდმეტში იყო: დადედლებული, შეშინებული, დაცვედნებული.

როგორ ვიფიქრებდი, რომ ხმას არავინ ამოიღებდა.

როგორ წარმოვიდგენდი, გვერდით არც ამჯერად დაგიდგებოდათ არავინ და მარტო დაგტოვებდნენ.

ეს მოხდა ოცდაჩვიდმეტში, სხვა არაფერი. სხვამ სხვისთვის თავი არ გამოიდო და გათითოკაცებულ საზოგადოებას ადვილად მოუარეს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, მაგრამ ძალიან მაშფოთებს თქვენი ბედი.

ახლა მე წავალ და ერთ რამეს გთხოვთ: ჩემი გვარი არსად გაამხილოთ. ცალი ფეხი სამარეში მიდგას და არ მინდა დარჩენილ ორ პარასკევს მათრიონ და მაჯანჯღარონ, ან საფლავი შემიგინონ.

თქვენ სხვა კაცი ხართ, მე მაგდენი აღარ შემიძლია...

თქვენი საქმე თქვენ იცით.

კარგად ბრძანდებოდეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## გიორგი ჭანტურია

# მოსე

რომანი

## ნაწილი II

VII.

მოხუცი და ბიჭი. მოხუცი ძალიან **მოხუცია**. თეთრიწვერი ლამის მუხლებამდე სცემს და კბილიც არა აქვს დარჩენილი პირში. ჭინჭშემოხვეული ჯოხი უჭირავს და მისი დახმარებით დადის... ახლა კი ჩამოჯდა და ბიჭს ესაუბრება.

ქართველი ერის ისტორია, შვილო, მარტო ცოდნით კი არ უნდა იცოდე, არამედ უნდა გტკიოდეს. თუ არ გტკივა და მხოლოდ ცოდნა გაქვს, რაც უნდა ზუსტი იყოს შენი ეს ცოდნა, მაინც აღარ არის ცოდნა, რადგან არ გტკივა, ვერ გრძნობ... ბიჭი პირდაფჩენილი შეჰყურებდა. ის ბიჭი კი თვითონაა, ზის ახლა აქ, ამ წყეულ **წყეეულ** — რატომღაც ექო ჩაესმა... საოცარია! შენობაში, მოხუცი კი რამდენი ხანია უკვე ცოცხალი არ არის.

ქართველი ერის **ისტორია**: გაჭრილი სხეულიდან სისხლი მოედინება. სისხლს სწრაფად შედედების უნარი აქვს... ეს რომ არა, ადამიანი რამდენი ხანია უკვე სისხლისგან დაიცლებოდა.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 8.

...მაგრამ ჭრილობა კვლავ მოუშუშებელია: შედედებული სისხლი შემხმარა და ტკიპასავით მიკვრია კანს. დაჭრილი სუნთქავს და ასეთი სისხლისთვის მადლობას უძღვნის შემოქმედს.

**საქართველო**: ბებერი ხარები შეუბამთ უღელში და ახვნევინებენ მიწას. გონჯი ლოთი კი — ეჰეო, და წკნელს გადაუჭერს ორივეს ზურგზე.

ახსოვს. ყველაფერი ახსოვს.

მოიხსენიოს ღმერთმა სასუფეველსა შინა მონა... ალბათ, სამოთხეშია; ისეთი ტკბილი ბერიკაცი იყო, რომ უთუოდ სამოთხეში იქნება. არა, ცოდვები ვის არა აქვს და მასაც ექნებოდა ახალგაზრდობაში, მაგრამ მაინც სამოთხეში იქნება, აუცილებლად.

ძალიან უნდა. მას ძალიან უნდა ეს. გულით სურს მისთვის სიკეთე და კვლავ ლოცულობს მისი სულისთვის. აუცილებლად სამოთხეში იქნება.

ვიღაც უშნოდ დედაზე მღერის სიმღერას. უშნო უშნოდ მღერის, მაგრამ უყვარს — დედა უყვარს. დედა ყველას უყვარს. ყველა მიწიერ ქმნილებათაგან ადამიანისთვის ყველაზე მეტად ძვირფასი და საყვარელი დედაა მხოლოდ.

მოამბე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბათ, მიტომაც დაურთო თავში კაცთა მოდგმამ მისთვის საყვარელ საგნებს სიტყვა დედა...

საკნის კუთხეში მიკუნჭულა კაცისმკვლელი, პურის ქერქს ლოღნის და დედაზე ფიქრობს! სიმღერამ დედა გაახსენა, ის კი, ძალად მომღერალი არ ეშვება და იჭაჭება: „დეეედააა, დეეედააა..." კაცისმკვლელმა ლამის ტირილი დაიწყოს. სხვებსაც აუჩვილდათ გული, ის კი მაინც მღერის.

თვითონ კი, როგორც ყოველთვის — მშვიდი, მეთვალყურის როლშია — არც მღერის და არც ტირის — ის უყურებს და ფიქრობს, ფიქრობს. თვით ამ სიტყვის გახსენებაც კი მას, საკუთარ თვალში, სხვებზე მაღლა აყენებს: ჭიანჭველები დაფუსფუსებენ, გარბი-გამორბიან, რაღაც ახალ-ახალ ამბებს უცვლიან ერთმანეთს, ფორიაქობენ... ვინმე კაცი კი ზევიდან დაჰყურებს და იღიმება. რაღაცას იღეჭება და იღიმება. ის ფიქრობს, ძალიან ბევრს ფიქრობს.

გამარჯვებული მკვდარი მოაქვთ მხრებზეშემოდებული... ხალხი კი ქუდს იხდის და ყვავილებს აყრის.

...სულერთი კი არც მკვდრისთვისაა და არც ხალხისთვის.

ესმის ეს, ამ ლამაზი სურათის წარმოდგენისას სახეზე ნათელი გადაუვლის, მაგრამ არ უნდა... არ უნდა მკვდრად ყოფნა. გამარჯვებული — კარგია, მაგრამ — მკვდარი?... ხვდება, ხვდება, მაგრამ ძალით ისულელებს თავს — არ უნდა მკვდრობა!

გინდა გამოცანები გითხრა? ჩაესმა ყურში. არც შემხტარა და არც გაკვირვებია. უკვე ყველაფერს შეეჩვია. თხა მოფრენილა — ცალი თვალი მოუჭუტავს და სახეზე ცბიერი ღიმილი დასთამაშებს.

გინდა გამოცანები გითხრა? უნდა — „მინდა" არ გაკვირვებია, თხა რომ დაინახა, რატომღაც მოშვებულა, აღარაფერი არ უკვირს, არც თხა... არც ის უკვირს, რომ სრულებით არ უნდოდა გამოცანები, მაგრამ მაინც მინდაო... თხას კი უკვე დაუწყია.

...არა, არც ხილს ჰყიდის, არც ბორცს, არც მზესუმზირას... ბაზარშიც ვერ ნახავს კაცი, რომ ჩამომჯდარიყოს და რამეს აქებდეს: „იყიდეთ, იყიდეთ, ჩემი ჯობია ყველას..." არადა, გამყიდველია! ყველგან პატივს სცემენ, მისი ეშინიათ და ზოგ-ზოგებს „უყვართ" კიდეც — უმეტესობამ იცის, რომ გამყიდველია — ერის მეხსიერებს ძულს (ამ სიტყვებზე თხა დაიჭყანა) — ვინ არის ნეტავ და რას ჰყიდის?

პასუხს არ დაელოდა, მეორე გამოცანა ისე დაიწყო:

— ბრწყინვალედ მოკაშკაშე და თვალისმომჭრელ ქვეყანაში, მდიდარ და ძლიერ ბაბილონში სად არის პატიოსანი კაცის ადგილი?

...კაცის, რომელსაც ძალიან უყვარს თავისუფლება, თავისი ხალხი... კაცი, რომელიც ადიდებს ჭეშმარიტ ღმერთს და სიმართლეს ამბობს ყველგან და ყოველთვის... სად არის მისი ადგილი? სად?

ეეეჰ, კი იცის პატიმარმა, სად არის ასეთი კაცის ადგილი და თხას მრავალმნიშვნელოვნად, ნაღვლიანად უღიმის. კი, ბატონო, სწორი ხარ — ცი-ხე-ში! დამარცვლა თხამ და საწრაფოდვე მიაყოლა შემდეგი გამოცანა:

— რას იმსახურებს ღორი, რომელიც ტლაპოში ჩაწოლილა და ნეტარებით ღრუტუნებს?.. მაგრამ ის ღორია და ეპატიება.. .ხალხი, ხალხი კი?

რას იმსახურებს ის ხალხი, რომელიც ყელამდე სიბინძურეში ჩაფლულია და იმ დღეს, იმ საშინელ და თავზარდამცემ დღეს, როდესაც ის სიბინძურეში მოისროლეს — ზეიმობს, იხსენებს და უხარია.

...აი, ამდენი და ამდენი წლის წინათ აღმოჩნდიო ამ ჭუჭყში!

აქ თხა თვითონვე დანაღვლიანდა, შემდეგ ცალი თვალი კვლავ მოჭუტა და იკითხა:

რა ქვია მას, რომელიც სიკეთეს ბოროტებას არქმევს და ბოროტებას კი სიკეთეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ან მას, რომელიც ყოველივე ამას იჯერებს?

პატიმარს პასუხი უნდოდა გაეცა, მაგრამ თხამ ანიშნა, ჩუმად იყავიო და გააგრძელა:

— ხელების ცეცებით რომ კაცი მიდის გზაზე, უფსკრულს რომ მიუახლოვდება, ვერ დაინახავს და გზას გააგრძელებს — რა ქვია იმ კაცს?

კაცი რომ მამის დანატოვარ ხატს დააგირავებს, ნაშოვნი ფულით ნაყიდი ღვინით კი ლუციფერთან კაცის დაძმობილების სადღეგრძელოს დალევს — ვინ არის ის კაცი? თხა ჩაფიქრდა, ნიკაპს ხელის გული აუსვ-ჩამოუსვა და მშვიდად, ძალიან მშვიდად განაგრძო საუბარი:

— ქრისტე ერთადერთი იყო და განუმეორებელი, მაგრამ რადგან კაციც იყო, ამიტომ ადამიანის ტიპადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ (თუმც ვერავინ შეძლო ასეთ იდეალამდე ამაღლება სრულად!).

ტიპია ასევე პილატეც — ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც ყველაფერზე ხელს იბანს და არაფერი მას არ აწუხებს — მთავარია თვითონ იყოს კარგად

ტიპია ის ბრბოც, რომელიც იერუსალიმს შემობრძანებულ მაცხოვარს „ოსანას“ შეძახილებით ხვდებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ხმამაღლა გაჰყვიროდა: ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი

ტიპია ასევე ფარისეველიც — ყველას დასანახად რომ მორწმუნისა და კეთილი ადამიანის როლს თამაშობს, ყველას მალლიდან დაჰყურებს, სინამდვილეში კი ჭეშმარიტებას დანით დასდევს დასაკლავად.

ტიპი არის იუდაც — მისნაირნი მრავლად იყვნენ და არიან კიდეც. გაყიდიან ადამიანს, გაყიდიან ყოველივე წმინდას და, მიხვდებიან რა თავიანთი საქციელის სიმდაბლეს, — თავს იკლავენ. დამახინჯებული, მაგრამ მაინც სინანულია.

...მაგრამ იმ ტიპს რა ჰქვია ადამიანისას (აქ კი გაცხარდა თხა და კისერიც წაიგრძელა), იუდას საქციელს რომ სჩადის — მაგრამ თავს არ იკლავს. არ იკლავს არა იმიტომ, რომ ჭეშმარიტი სინანული დაეუფლა და შემდგომი კეთილი საქციელით სურს ცოდვების გამოსყიდვა... არამედ იმიტომ, რომ თავი დამნაშავედ არ მიაჩნია.

დადის დინჯად, ამაყად. ხალხს ზიზღიან მზერას ესვრის ხოლმე და ღრმად არის დარწმუნებული საკუთარ სიმართლესა და ღირსებაში... რა ჰქვია?

— იცი, რა ეწერა დავითის საფლავს? — იკითხა მცირე ხნის შემდეგ.

— რა? — დაიბნა პატიმარი, საიდან სადაო?..

— რა და: „დავით! იყავი, ხარ და იქნები — სანამ ქართველი ერი არსებობს! საქართველო იყავი, ხარ და იქნები — სანამ დავითი გახსოვს!“

და პატიმარმა მოულოდნელად:

—ვინ ხარ შენ?

ახლა კი თხა დაიბნა, გაჩერდა, თავი გააქნია აქეთ-იქით და მისთვის უჩვეულო ხმით — დაბალი ხმით მიუგო:

— ვიცი და არ გეუბნები? ვიყავი ყველაფერი — მორწმუნეც და ურწმუნოც, კეთილიც და ბოროტიც, გმირიც და მხდალიც... ჩემზე არ იყო დამოკიდებული და არც ახლა...

— აბა, ვისზეა დამოკიდებული? — დაინტერესდა პატიმარი.

თხამ ქვემოდან ახედა და გაუღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

პატიმარი თვალებს ხუჭავს და წმინდა გიორგი დაუდგება წითელ ფონზე:

**თეთრ ცხენზე ამხედრებული ქრისტეს ერთგული რაინდი და შუბით მარადიულ ბოროტებას გმირავს. ბოროტებას — რომელიც იყო, არის და ახალ იერუსალიმამდე იქნება კიდეც.**

**...დაგვიცევ, წმინდა ძლევაშემოსილო!**

— იყო ერთი ინგლისელი პოეტი, მილტონი და, იცი რა თქვა?

— რა? — შეეკითხა პატიმარი („კვლავ საიდან სადაო?“).

— დაიცა, დაიცა — დაფიქრდა თხა — იყო თუ არის, შესაძლოა მომავალში იყოს, ერთი სიტყვით, მნიშვნელობა არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს, მაგრამ აი, ამ მილტონმა, იცი, რა თქვა?

— რა?

— რა და: „სირცხვილი მხოლოდ თვით ბუნების სიწმინდეს ბღალავს, პატიოსნებას ბილწავს და ხდის უპატიოსნოდ“.

—მერე რა? რა შუაში იყო ახლა მილტონი, სირცხვილი და ჭატიოსნება? — გაცხარდა პატიმარი.

— გლლი ხომ, ვერ მომყვები ხომ ფიქრში? არა უშავს, ისწავლი.

— რა შუაშია პატიოსანი და უბიწონი რომ იყვნენ?

— ვინ?

— რა ვინ?

— ვინ იყვნენ პატიოსანი და უბიწონი?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს — შენ მოუსმინე.

რა უნდა ექნა და გაჩუმდა, თხამ კი გააგრძელა: — პატიოსანი და უბიწონა რომ იყვნენ, რომ არ იცოდნენ — რა იყო ქალი და კაცი — თამაშობდნენ ერთად, არავითარ უხერხულობას არ გრძნობდნენ და მათზე ბედნიერი, ალბათ, ადამიანი არ იყო დედამიწის ზურგზე. მრავალი წლის შემდეგ კი... დგანან მტკვრის პირას და, ერთმანეთს რა უთხრან, არ იციან — თუმც კელავინდებურად უყვართ ერთმანეთი.

თხამ ღრმად ამოიოხრა და პატიმარს შეხედა.

პატიმარსაც სხვა რა გზა ჰქონდა, მანაც ამოიოხრა. გაგებით კი ვერაფერი გაიგო. შემდეგ ერთმანეთს შეხედეს და სიცილი წასკდათ. გულიანად იცინეს.

მაცხოვარი ზღვის ნაპირას ჩამომჯდარა და ადამიანზე ფიქრობს. მისი მზერა ზღვის მეორე ნაპირსაც წვდება. ფიქრობს, თუმც ყველაფერი იცის — ფიქრობს, რადგან უყვარს.

ზღვის თბილი წყალი მის ქუსლს ოდნავ ეხება და საამო სისველეს ტოვებს. თოლიები რატომღაც არ ჩანან და მზეც ნელ-ნელა ძირს მიიწევს, ჩასასვლელად ემზადება.

მაცხოვარი მზერას ზღვაში მოძრავ წერტილს მიაპყრობს და სახეს გაბრწყინებს. წერტილი თანდათან ახლოვდება და დიდდება. მაცხოვარი კი უკვე ხედავს, რადგან თავიდანვე შეამჩნია, ცოდნით კი სამყაროს შექმნამდევე იცოდა — რამდენი ხანი ელოდა ამ ნათელ დღეს!

ამ წუთით ბედნიერი გამარჯვებულ კაცთა მოდგმას შეჰყურებს:

**ზღვაზე მოციქული პეტრე მოაბიჯებს**: მოდის დინჯად, მშვიდად, მტკიცედ.

მისი თვალები ქრისტეს შეამჩნევენ და დაირცხვენენსავით.

აბა, რას გეუბნებოდიო, ფიქრობს მაცხოვარი და პეტრეს ჩუმად ეძახის: — მოდი! მოდი!

დაბრუნდა საკანში. თვალები გაახილა. თხა წასულა. საკანი, საკანი... უცნაური სიტყვაა... საკანი, ადგილი, რომელიც ვერ გელევა, რომელსაც დიდი სიამოვნებით შეელევი, მაგრამ... ძალიან, ძალიან გიყვარს, რადგან აქ, ამ ოთახში ყველაფერი შენით სუნთქავს, შენით არის.

წამოწვები ბინძურ თივაზე, მეზობელს სიტყვას გაუცვლი და გაიფიქრებ:

— არა, მაინც კარგი რამ არის ცხოვრება (ქათამმა წყალი დალია და ცას ახედაო)!

...საკანი კი მუნჯია, მშვიდი, წყნარი. მას სტუმარი ჩემამდეც ყოლია და, ალბათ, ჩემს შემდეგაც არ მოაკლდება.

Dies IRAI, dies iLLA.

სატანა ერთმორწმუნის ნიღბით მოუცოცდა. გულუბრყვილოს ყველა გულუბრყვილო ეგონა და დაუჯერა. სატანამ კი სული მოსთხოვა, სამაგიეროდ თითსაც ვერავინ ვერ დაგაკარებს და შენი სხეული უშიშოდ იქნებაო. ქაღალდს რომ ხელს აწერდა, უკვე კი ხვდებოდა რაღაცას, მაგრამ გვიანღა იყო. ასე „დაძმობილდნენ“ კაცი და სატანა!

სოფელში მზე თან ჩადის და თან მალიანდება რაღაც — არ აპირებსავით ჩასვლას. მდიდარი იყო სოფელი. ახლა ქათმის კრიახი ყველაზე შეძლებულის ეზოდანაც არ ისმის. ჩამოივლიან ლუციფერის „ოპრიჩნიკები“ და უკანასკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელ ლუკმას წალლიტავენ ხოლმე. გლეხი ზოგჯერ ვერ ითმენს და მამაპაპისეულ ხმალს გამოარბენინებს სახლიდან, მაგრამ მარტოა და თან ხმარებაც აღარ ახსოვს... იქვე აკუწავენ ხოლმე.

არისტოკრატია. ქალები და კაცები. მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი ხალხი. მამაკაცნი: არწივის ცხვირით და გამოხედვით, დასისხლული ტუჩებით და შავი თმით... თვალები ანთებული, ოო, რარიგ ანთებულნი!

დედაკაცნი: გრძელი კისრით და მაღალი მკერდით — მკერდი ქალწულებრივი, ჯერ კიდევ ხელშეუვლებლები... პატარა ტუჩები, ოო, როგორი საყვარელი და ჩასაკბეჩად გამზადებული! თეთრი ხაზი გამოჩნდება ხოლმე ტუჩთა ცმაცუნს შორის — უზადო კბილები! შავზე შავი თვალები. წყლიანი, ჭკვიანიეშხიანი თვალები. ცხვირი სწორი, მარმარილოსიაო.. პოეტნი, მებრძოლნი, ფილოსოფოსნი, მღვდელნი, მეცნიერნი... ნალები რძის ნალები, ოხშივრიანი ნალები. მსჯელობენ, კამათობენ, ეძებენ... გამოსავალის პოვნა უნდათ და თითქოს პოულობენ, მაგრამ... ერთი პატარა იუდა მათ შორისაც არის, ხოლო სიტყვით ქრისტიანებს გოლგოთის აუცილებლობა და თვად მაცხოვრის სიმტკიცე აღარ ახსენდებათ და განუხრცელებელ, ჯერ კიდევ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲖᲔ სასტიკ უარს აცხადებენ და სატანას ერთგულებას ეფიცებიან... არაფერი არ გვიფიქრიაო შენს წინააღმდეგ, ᲑᲔᲜᲐᲪᲕ... არაფერი არ გაგვიბედიაო, ᲑᲔᲜᲐᲪᲕ...

მზე ამოდის და ჩადის. შემდეგ კიდევ ამოდის და კიდევ ჩადის. მთვარე ხანდახან ჩანს ღამით, ხანდახან კი შემალულა ღრუბლებში. გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, ზაფხულს შემოდგომა, შემოდგომას ზამთარი და ზამთარს კი გიჟი მარტი.

ვიზეიმოთ დამმობილება, ეუბნება სატანა კაცს. კაცი თანხმდება: თან ეშინია, თან მართლა საზეიმო ჰგონია ეს ამბავი. რამდენი მზის წინ დავმმობილდით მე და შენ, ეუბნება სატანა და გულის პატარა ნაწილს ჩამოაფშვენის ხმელეთს, გაციებული უკვე... მაგრამ მაინც დიდი სიამოვნებით ილუკმება ჯოჯოხეთის პირმშო. კაცს ტკივა, მაგრამ ითმენს. ჩვეული ჭირიო. და მისთანა სისულელეები.

სუფრა საზეიმო: ალუდა ქეთელაურის სიზმარს ჰგავს.

დიდი ქვაბები: ქვაბში ხორცი — ხორცი ადამიანის.

მამაკაცთა ხორცი ცალკე ქვაბებში, დედაკაცთა ცალკე.

მწვანილეულობა, ბალახბულახი უხვად: ადამიანის თმები — შავი, თეთრი, ღია, წაბლისფერი, ჟღალი...

ტანწერწეტა დოქები ღვინით არის სავსე: ადამიანის სისხლის ყურძნისაგან დაწურული ღვინო, წითელი ღვინო — სისხლი კაცთა! თამადის ახლომახლო ადამიანის მოჭრილი თავი დევს და პირში ბოლოკი აქვს გარჭობილი. თამადა რომ შეჭამს — თავის ქალას გადააგდებენ (ყველამ კი არ იცის თავის დაჭრა და ჭამა, ესეც ხელოვნებაა, ამასაც სპეციალისტი სჭირდება). ქეიფი ჩაღდება, ვიდღესასწაულოთ! ვიზეიმოთ! ჩვენს დამმობილებას, გათე... შემდეგ სიმღერას იწყებენ:

მარად ერთად, მარად ერთად,
ლუციფერი კაცთან ერთად!

...დიდი ჭრილობა კი კვლავ მოუშუშებელია. ხშირ-ხშირად ადებენ თითს და აწვალებენ, ჭრილობა არ უნდა მორჩეს. სისხლის სუნს კი მრავალი ბუზი მოყვება და სისხლში მოფუთფუთე, სისხლით მთვრალი ბუზები მანამდე არ ტოვებენ საოცნებო ადგილს, სანამ ახალი პარტია თანამოძმეებისა არ მოფრინდება.

... დოლი კი მონოტონურად, ყრუდ გუგუნებს და ლაპარაკობს:

— არაფერი არ გაბედოთ! ბუმ-ბუმ! არაფერი არ გაბედოთ! ბუმ-ბუმ!

— ერეკლე, შენი... — გაჰყვირის პატიმარი.

ერეკლეს მოასვენებენ ასები და ათასები. პატარა კახი მომკვდარაო, ფეხზე დგას მთელი საქართველო. უკანასკნელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ მაგრატონს თავზე სპარსული ქუდი ახურავს და მარჯვენა საჩვენებელი თითი კი რუსული მელნითა აქვს მოთხვრილი.

სამგლოვიარო პროცესიას წინ დიდთვალება ბიჭი გადაუდგება: სერიოზული, მოწყენილი სახე, მშვიდი გამოხედვა და ჩაჭყლეტილი ნიკაპი — ნებისყოფის ნიშანიაო. ცხედარს ჭირს დააწევინებს, ერეკლეს სახეს დააკვირდება... ბიჭი აშკარად რაღაცას ათამაშებს და ატრიალებს პირში... პატარა კახის სახეს არაფერი გმირული არ შერჩენია: დაბნეულია მიცვალებული, გაკვირვებული, სუსტი... ბიჭს შეეცოდება გმირყოფილი და დიდი ხნის ნაგროვებ ჩერწყვს მიწისკენ გადატყორცნის.

Dies IRAI, dies iLLA.

ვინ საით... ვინ სად... თავს უშველეთ!

მოსე კი ამაყად დგას ფარაონის წინ და ეუბნება:

— სანამ ღვთის რისხვა ეგვიპტისაგან ფერფლს და ნაცარს არ დატოვებს, მანამდე არ გაგვიშვებ?

პატიმარი დამშვიდდა. მისი ფიქრები და აზრები უცბად დაწყნარდა და დალაგდა.

მოსემ კი თქვა ეს სიტყვები და ფარაონიც ხედავს, რომ ღმერთი მოსესთან არის. ფარაონი ხედავს იმ უბედურებებს, რაც თავს დაატყდა ეგვიპტეს. მაგრამ ებრაელთა გაშვებაც რომ არ სურს...

მოსეს ჯერ არ სურდა აქ მობრუნება, მაგრამ ცეცხლმოდებულ ბუჩქთან ისეთი ძალა იგრძნო, რომ უკვე ველარ შეძლებდა ღვთის ნება-სურვილისთვის წინააღმდეგობა გაეწია და, სიმართლე რომ ითქვას, უკვე არც სურდა მას ეს. ახლა ხომ ძლიერია, ერთიანი და ღმერთს მისთვის ძალა და ბევრი კარგის ქმნის ნიჭიც აქვს მოცემული. ის იხსნის თავის ერს.

სტალკერი მიდის და ჩვიბარი ბავშვი მხრებზე ჰყავს შესმული... მოსემ უნდა გაიყვანოს ეგვიპტიდან ღვთის რჩეული ერი, მოსემ უნდა მიიყვანოს ებრაელნი აღთქმულ მიწაზე... მაგრამ თვითონ ვერ იხილავს აღთქმულ მიწას და ეს პატიმარმა იცის. პატიმარმა კიდევ წაილო ხელი ყურისკენ და ეს უკვე აღარ უკვირს.

ადრე მოსეს ეშინოდა, ყველაფრის ეშინოდა. ის თანდაყოლილი ებრაული შიში ტანში ჰქონდა ჟრუანტელივით გამჯდარი და დროდადრო დაუვლიდა იმ ამბის შემდეგ. ეგვიპტე რომ დატოვა — საბოლოოდ გადაწყვიტა, წყნარად და მშვიდად გაეტარებინა სიცოცხლის დარჩენილი დღეები.

სანამ ღმერთი უშუალოდ დაანახებდა მოსეს თავის ძალას და მოუწოდებდა, მანამდეც გრძნობდა მოსე რაღაც-რაღაცებს... გული ეგვიპტისკენ მიუწევდა, ტანჯული და დამონებული თანამემამულენი ელანდებოდა, ზოგჯერ ცრემლიც კი წამოსვლია, მათი მონური ყოფა რომ გახსენებია... მაგრამ ეს ხანდახან? ესეც ღვთისგან იყო და მოსემ ესეც იცოდა, მაგრამ მაინც არ უჯერებდა გულს — შიში, შიში...

შემდეგ ღმერთმა უკვე პირდაპირ მოუწოდა და მოსემ რამდენი არ ისუნსულა აქეთ-იქით, იქნებ გამოვძვრე როგორმეო, ბოლოს შეეგუა მაინც, გამოსავალი არ იყო, ღვთის ნება-სურვილი უნდა აღესრულებინა. შემდეგ შერცხვა კიდეც, ღმერთმა ამხელა საქმე მომანდო, გამომარჩია, მე კი... ან ვისი მეშინია, როდესაც ღმერთი ჩემთან არისო და ხმამაღლა, მაგრამ მხოლოდ თავისთვის გაიცინა.

ხმამაღლა გაიცინა.

...ახლა კი დგას ფარაონის პირდაპირ და აცოფებს პირდაპირ. ფარაონმა იცის, რომ მოსესთან ღმერთია, თორემ რამდენი ხანია კვერთხით გაუჩეჩავდა თავს.

„წადით!"

წადითო, ეს მან, ფარაონმა თქვა, მაგრამ მადლობა მას კი არა, მადლობა ღმერთს რომელმაც აიძულა ეს სიტყვა ეთქვა: „ᲬᲐᲓᲘᲗ!"

...და ისინიც ემზადებიან წასასვლელად. ზოგს არც კი მიუწევს გული. „რად მივდივართ, ვის მივყვებით?", ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისთვის საერთოდ სულერთია, ზოგიერთი კი ღრმად არის დარწმუნებული, ეგვიპტეში რომ ცხოვრობდნენ, იმაზე ცუდად არსად არ იცხოვრებენ... მოსე დუმს, მისი ძმა კი ოქროპირობს:

— აღსდგება ჰურიასტანი! აღსდგება ჩვენი სამშობლო! ღმერთმა აღთქმული მიწა მოგვცა და დიდება მას! ღმერთი საბოლოოდ დასცემს ძირს ბაალს, იშთარს, ოზირისს, თამუზს.. იზარებს სული ჩვენი უფლისა მიმართ!

ქანაანი ჩვენ მოგვცა უფალმა, ჩვენია აღთქმული მიწა — შევხვდებით ქანაანში! შევხვდებით ქანაანში!

...და ებრაელები ჯგუფ-ჯგუფად გადიან, ჩუმად, თავჩაქინდრულნი — დიდ უმრავლესობას არც კი სჯერა, რომ შეხვდებიან ქანაანში და ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ... ამაზე უარეს დღეში სადღა უნდა ჩავარდნენ? ხანდახან ვინმე ჩააზველებს და სიჩუმე ამითღა ირღვევა მხოლოდ, მოსე კი მტკიცეა ერთიანი, შეკრული და ებრაელთა ჯგუფებს მრისხანე მზერას ავლებს:

— ჰაი, ნაზირო ურწმუნოო! ჰაი, მოდგმავ უმადურო! ღმერთმა ყველა სხვა ხალხისაგან გამოგარჩია, ყველაზე მაღლა დაგაყენა... ახლაც სასწაულებრივად გამოყავხარ ეგვიპტიდან, შენ კი სევდიანობ, უიმედოდ იყურები წინ და ისერა, ყოველი შემთხვევისათვის ადგამ ფეხს — ამაზე მეტი რაღა უნდა წავაგოო... რა მოგდის, ჩემო ერო? ჩემო ერო! — ყვირის ხმა მოსეში და თვალზე ცრემლი ადგება. ოო, როგორი ნაღდი ებრაელია თვითონაც, საფეთქლებიდან ფეხის კოჭებამდე ებრაელია — ასე როგორ ჰგავს შვილი მშობელს. — „ერო ჩემო!“ მას უყვარს ეს ხალხი, ეს უნდო, კუშტი ხალხი! ეს სუსტი, ლერწამივით აქეთ-იქით მოქანავე ხალხი — „ერი ჩემი, ხალხი ჩემი“ — უმადურებიც არიან ზოგჯერ და, რაც მოსდით, სულყველაფერი მათი ბრალია, ზოგჯერ ცბიერნიც არიან და გაუტანლებიც... მსოფლიოს არც ერთ ხალხში არ არის მოცემული ადამიანის ყველა თვისება ისე, როგორც მათში, და არამარტო ცუდი!.. ბრძენი ერი — გონიერი ერი!

— ნუ სტირ, სარრა, ლია, რაქილ... ნუ სწუხთ, დედანო ჰურიათაო, აღთქმული მიწა გველის ჩვენ — შევხვდებით ქანაანში, შევხვდებით ქანაანში!

...ზღვამ კი „ყლაპ“-ო და უგუნური ფარაონი თავის ეტლებიან-ჯარისკაცებიანად ჩაყლაპა და პირი მომუწა — ზღვა კვლავინდებურად მშვიდია, წყნარი... ებრაელები კი მიდიან, მიდიან იქ, სადაც აღთქმული მიწა, ღვთის მიერ მოცემული მიწა ეგულებათ. აარონ კი კვლავინდებურად ოქროპირობს. — შევხვდებით ქანაანში!..

## VIII.

ჩანგუ, ბეთიარ და ბზისიხარ მედილიგენი არიან. სამივეს ასაკი ერთად სამოცდათხუთმეტი — ჰა, ჰა, ოთხმოცი იქნება. სამივე თბილისელია და სამთავე სიზარმაცემ მოიყვანა აქ. მართლა ზარმაცების სამუშაოა: რამოდენიმე ჯერ საჭმლის დარიგება ხანდახან ჭუჭრუტანაში შეხედვა: რას აკეთებენ? ხომ არ აფუჭებენ რასმე? და იმ საკნებიდან, სადაც ფეხსალაგი არ არის პატიმრების გაყვანა აიმ ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ასეთ მომენტში, პატიმრები რომ ფეხსალაგში გაჰყავთ, თვითონ ცხვირები აქვთ აბზუებული, ბებიამაო, ფიქრობ! კოჭლი ნასომხარი (მისი მეზობელია საკანში), თვითონ არ დაეთრევიან იქა...

მეტი რა, მეტს რას აკეთებენ? დანარჩენ დროს ყბედობაში და ქაღალდის თამაშში კლავენ. შემდეგ კი შემცვლელნიც მოდიან და მთავრდება სამუშაო დღე.

ჩანგუც, ბეთიარიც და ბზისახარიც თბილისელები არიან, ეს კი იმას ნიშნავს რომ ან არ იციან რომელ ერს ეკუთვნიან, ან მალავენ და ამაყ სიტყვა „თბილისელს“ ეფარებიან. ისე, რა სისხლი არ ჩქეფს მათ ძარღვებში: სომხის, არაბის, სპარსის; ბზისახარს ბებია ებრაელიც კი ყოლია... ბეთიარია ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზე ბედნიერი: დედაჩემის დედა ქართველი იყოო და უზომოდ იბღინძება, ჩანგუს და ბზისახარს შურთ, მაგრამ არ იმჩნევენ. თუმც ვინ იცის, შესაძლებელია არც იყო ქართველი და ბეთიარი ტყუის... ერთი სიტყვით, სამივე თბილისელია და თუ ვინმე ძალიან ცნობისმოყვარე ჩააცივდება და ძირისძირობამდე მოინდომებს რომელიმე მათგანის წარმომავლობის გაგებას, ამაოდ დაშვრება:

— თბილისელი ვარ! — ბოლო სიტყვა ეს იქნება მაინც.

თბილისში სპარსელთა გარნიზონია, ისინი კი მაინც თბილისელნი არიან, თუმც სპარსელებს მსახურობენ აქ, ამ წყეულ (ექო აღარ ისმის) შენობაში.

— ჩანგუუუ! — დაიყვირებს ვინმე პატიმარი და ჭუჭრუტანაში გამოჩნდება ჩანგუს ელამი თვალი.

— როგორ იყო, ბებიაშენს რომ ბაბუაჩემი აჭენებდა ორთაჭალის ბაღში...

ყველა იცინის, კარს იქით კი ჩანგუს ცხრასართულიანი გინება ისმის:

— ... დედას გიტირებ, შე არაბო, შენა!..

— აი, შენ მყავხარ-რა ბაგრატიონი! — პასუხობს „არაბი“ და კვლავ იცინიან.

ჩანგუმ კი სიბრაზისაგან ლამის თავი დაარტყას კარს და ფიქრობს თუ შური რითი იძიოს, რა გაუფუჭოს, რით დასაჯოს...

ბეთიარი მოდის. ამშვიდებს ამხანაგს, შემდეგ თვითონაც იხედება ჭუჭრუტანაში და ხმამაღლა ამბობს:

— ნუ გაგიჟდათ თავს, წესიერად იყავით, თორემ ციხის უფროსი რომ ჩამოივლის, ყველას ჯურღმულებში ჩაგყრით...

პატიმრები კი კვლავ იცინიან — მათ ჯურღმულების არ ეშინიათ — გინდ ერთი სართულით მაღლა ყოფილხარ, გინდა დაბლა — მაინც პატიმარი ხარ... და ბეთიარსაც აგინებენ ქართველი დედის პატრონ დედას... კვლავ იგივე, აწ ბეთიარი ამჟღავნებს ქართული ენის უბადლო ცოდნას და ისეთი თავბრუდამხვევი გინების კორიანტელს აყენებს, რომ ნამდვილ ქართველებსაც უკვირთ — მართლა ეყოლებოდა მას ბებია ქართველი!

პატიმარი კი არც იგინება და სიცილისგანაც თავს იკავებს, იშვიათად, ძალისძალით თუ გაიღიმებს მხოლოდ და ეს ღიმილიც მოწყალებასავით არის, თან ხარკიცაა ერთგვარი — ციხეს და ციხის წესებს რომ უხდის. ის, როგორც ყოველთვის, მეთვალყურეა და არაფერში არ ერევა, ის აზროვნებს და არც ჯურღმულისკენ მიუწევს გული მაინცდამაინც.

თხა მოვიდა. მოვიდა, ამბობს, თორემ მოფრინდა; მაგრამ მის ფრენასაც შეეჩვია უკვე.

— აი, ის, რაც მინდოდა — ამბობს თხა და რაღაც ფურცლებს უჩვენებს პატიმარს.

— რა არის? — ეღიმება პატიმარს რატომღაც (სულ „რაღაც“, „რატომღაც“, — იმიტომ, რომ ზუსტად არაფერი არ იცის და სიფრთხილეა საჭირო. მართლაც, აბა, რატომ ეღიმება პატიმარს? თვითონაც არ იცის — რატომღაც ეღიმება).

— რა არის და მწერალია ერთი, რამდენიმე საუკუნის შემდეგ იოანე ღვთისმეტყველზე მოთხრობა დაწერა, აპოკალიფსზე, მომავლის დღეებზე... წაგიკითხო?

პასუხს არც ელის, ისე იწყებს:

ომი, შიმშილი, გაჭირვება, ათასგვარი ავადმყოფობა... მაგრამ ბოლი, ერთი და იგივე უსიამოვნო ხმა, რომლის თანხლებითაც როკავენ და აქეთ-იქით იზნიქებიან... ის უსაზღვრო ცბიერება, რომელთან შედარებით ჩვენი ყველაზე დიდი ფარისევლის ცბიერება ბალღის ხუმრობადღა რომ გამოჩნდება მხოლოდ... გარყვნილება, გარყვნილება, ბაბილონში არ აკეთებდნენ და სოდომ-გომორმა არ იცოდა მსგავსი. გაუტანლობა და შური, ბოროტება და ვერცხლის მსახურება, რაღაც უმაღლეს ხარისხში აყვანილი, დახვეწილი ფორმებით და გამამართლებელი ფილოსოფიებით... ნიღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, შენიღბვა — ხალხის უკეთესი მომავალი! — საბოლოო ჯამში უაზრო სისხლისღვრა. მოძღვარი ბევრ მოწაფეს კარგავს, ვინც არ დაიკარგა — ნეტარ არს... ვაი, დაკარგულს!

— ვინ არის მოძღვარი? — შეაწყვეტინა.

თხამ მრისხანედ გახედა, შემდეგ მოწყალე სახე მიიღო და, უნიჭო მოწაფეს რომ აუხსნიან რამეს, ისეთი კილოთი, უთხრა:

— უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, შე დაბნეულო, შენა...

სისხლისფერ დრაკონსაც ვხედავ, მისი ვეება კუდის დანახვაზე ჟრუანტელი მივლის — იმდენად საზიზღარია (პატიმარსაც ჟრუანტელმა დაუარა იოანე ღვთისმეტყველივით და დრაკონის აქერცლილი (?) კუდი წარმოუდგა თვალწინ...) აი, სატანას ღვთის უწყინარი და მშვენიერი ქმნილების პირველსახის როგორი გარდაქმნა და დამახინჯება შეუძლია... და ის ხომ ასეთი შენ არ შეგიქმნია, უფალო, ვიძახი გულში და პასუხს არც ველოდები, ვიცი პასუხი. კუდით ცას წვდება და ვარსკვლავების ნაწილს ციდან ტყაპატყუპით ყრის დედამიწაზე. მისი ყველას ეშინია, ყველა კანკალებს. მაგრამ მე ვხედავ და ვიცი — ადამიანი კი დრაკონს ვერ ხედავს, რადგან მას ნიღაბი აქვს აფარებული და ლამაზი, მაგრამ გახრწნილი დიაცის სახეს ატარებს: ყველას მოღიმარი ეგებება, პირზე კოცნით, თავზე ხელის გადასმით, დაუყვავებს, ეფერება, საჩუქრებითაც იგებს გულს და ისე შეუმჩნევლად პარავს ყველაზე მთავარს — სულს, რომ ის საბრალო აზრზეც ვერ მოდის.

ყველაზე გამჭრიახთ კი უკვე დიაცის ლამაზი მკერდის მიღმა დრაკონის შავი სული დაინახეს და იმიტომ არ ტყუვდებიან. დრაკონიც უმალ იბრუნებს თავის ჭეშმარიტ სახეს და პირიდან ცეცხლის მფრქვეველი მათ შორის ყველაზე სუსტთ ყლაპავს. რა სიგიჟეა! რა ქაოსი! ბაბილონი, ალბათ, წესრიგისა და სიმშვიდის განსახიერება იყო ამასთან შედარებით. სამი ექვსიანი, სამი საშინელი ექვსიანი, აი, თავი და თავი ყოველი უბედურების.

...ყველაზე დიდი სულიერი — სინდისი — კვდება და უხმო პროცესია უკანასკნელ გზაზედ მიაცილებს. ყველა გახარებულია, რომ ამ მძიმე ხასიათის პატრონი სულისგან განთავისუფლდნენ, მაგრამ სიხარულის გამომჟღავნება არ შეიძლება და ისინიც პირმოკუმულნი და თავდახრილნი მიჰყვებიან პროცესიას ჭეშმარიტი ჭირისუფალივით. ვაი, თქვენ და ფარისეველნო...

მომავლის მწიგნობრები უზარმაზარი ჩანთებით დადიან ქუჩაში და ყველგან ხაზს უსვამენ — აი, რა განათლებული ხალხი ვართო. კოდალა კი კაკ-კუკ, კაკ-კუკ, უკაკუნებს მათი თავების კარებს და პატარა ჭიაყელას მოლოდინში ნისკარტს ფართოდ ხსნის.

სწრაფად მოსიარულე რკინის ურჩხულები. დიდიდან პატარამდე ყველა სიამოვნებით ჯდება შიგ. შიგნით მყოფი ავიწყდებათ ყველაფერი, აღარაფერი აღარ აინტერესებთ და მხოლოდ ერთი სიტყვა აკერიათ პირზე:

— წინ! წინ! წინ!

ქალები მორცხვობენ და ნელაო, კრძალვით იტყვიან, მაგრამ ტყუილია, ეს ყველაზე მეტად სწრაფად სიარული და **წინ** მათ უნდათ.

სადღაც, ქალაქთან ახლოს, მწვანეში, შიმშილით კვდებიან პატარა ბიჭი და მისი ტანმორჩილი ბებია. ერთმანეთს უხმოდ შესცქერიან და ხანდახან, თუ ძალიან დიდი ძალა დაატანეს თავს, ნაღვლიან ღიმილს გაცვლიან ერთმანეთში... შეტრიალებული ქალი კი ბიჭის მალულად პატარა, ძვლებიან მუშტს გამხდარ მკერდზე დაიბაგუნებს და... **ვაი, შვილო! ვაი, შვილო!**

ყვავ-ყორნები ცაში წრეებს არტყამენ და ქვემოთ მყოფთ უსიამოვნოდ, ავის მომასწავებლად თავს დასჩხავიან.

სქელ, ღიპიან ლუდის კასრს კი ვეება მბოლავი ჯოხი გაუჩრია პირში და მაღალ, კოპლებიან ძაღლს ეთამაშება. ხორცის ნაჭერი უჭირავს ხელში და ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა-მაღლა წევს... ძაღლიც მალიმალ ხტება და ძალიან უკვირს, რომ ხორცა უფრო და უფრო შორდება მას და უფრო ზევით ადის.

ვიღაც გრძელი კაცი ყეყეჩივით დამდგარა შუა ქუჩაში და პატარა ჯოხს გულმოდგინედ აქნევს აქეთ-იქით. ყველა რკინის ურჩხული მას ემორჩილება. და მას შესციცინებს სახეში... ისიც გახარებულია და კაცივით, საქმიანი ადამიანის სახით, ენერგიულად ატრიალებს თავის ჯოხს მაღლა-დაბლა და ხანდახან ჩასტვენს კიდეც რაღაცაში...

პატარა ბავშვები ვეება ჩანთებით, მოღუშული სახეებით სასწავლებლებისაკენ მიეშურებიან... დედების გამოტანებულ პურსა და ყველს იქვე, სანაგვე ყუთში ტოვებენ და ხელებსაც იქვე იფერთხავენ.

თეატრიდან გამოსული გამხდარი, სათვალებიანი, ჩია კაცი კი ფიქრობს:

— რა კარგი და მშვენიერია სიცოცხლე!

შემდეგ ლაბაბმოკიდებულ, სქელ მეუღლეს ხელს გაუყრის ხელში და ფინიასავით აედევნება. ბედნიერია, ძალიან ბედნიერი.

აგერ ვიღაც ძაღლისახა კაცსაც ვხედავ — ვამჩნევ მამონას მსახურს. ხვეტს და ხვეტს ოქროს, ყიდის ყველაფერს, რისი გაყიდვაც შეიძლება. მანაც შეიტყო სინდისის გარდაცვალება და ძალიან გახარებულია, თუმც თქმით სხვას ამბობს:

— რა კაცი იყო... რა კაცი დავკარგეთ...

ყველაფერზე გულგრილ ადამიანებსაც ვხედავ: არაფერი არ აინტერესებთ და არაფერი არ ეკითხებათ. მთელი სამყარო ამდგარა ღვთის წინააღმდეგ და მათ ხორციელ თუ სულიერ ლაშქარს წინ მოუძღვის თვით ლუციფერი... საბრძოლო დროშები და ბუკის ხმა — ომია! ომი!

ისინი კი თვალზედ ცრემლმომდგარნი, მაგრამ მტკიცენი, დედამიწის ყოველ კუთხეში გაფანტულნი და ხორციელად გათითოკაცებულნი, მაგრამ სულიერად ერთიანნი და მთლიანნი — დგანან და ელიან — ელიან მის მეორე მობრძანებას, ღვთის საბოლოო და სრულ გამარჯვებას ცოდვაზედ. უხმოდ იტანენ ყოველგვარ ტანჯვას, რამეთუ იციან: აღდგომისკენ მიმავალი გზა გოლგოთაზე დევს.

შენ კი, განა შენ არ გიჭირდა გოლგოთაზე? შენს ხორციელ ბუნებას ხომ ძალიან ტკიოდა, ციოდა, სწყუროდა, შიოდა — ხომ საჭიროებდა საყრდენს, დახმარებას...

კუბოები! კუბოები! კუბოები!

მოსიარულე კუბოები, ფეხზე მდგარი კუბოები, მჯდომარე კუბოები... კუბოები მიწაში და კუბოები მიწის ზემოთ და... კუბოების სიმფონია — მუსიკის ქვეშ კუბოები ცეკვავენ და ცეცხლზედ იხრუკებიან მატლიან-კაციანად...

თხამ დაამთავრა ნაწყვეტების კითხვა:

— როგორია?

პატიმარმა ბევრი რამ ვერ გაიგო, მაგრამ მაინც თავი დაუქნია, კარგიაო.

— სამი ექვსიანი რა არის, ვერ გავიგე?

— სატანის ნიშანია, მისი რიცხვი.. უფრო ზუსტად ვერ გეტყვი, თავად არ ვიცი — ისე კი იოანე ღვთისმეტყველს უწერია სამი ექვსიანის შესახებ გამოცხადებაში...

— ვინ ხარ შენ, თხაო? — კვლავ ეკითხება პატიმარი თხას და კვლავ უდიმის.

— ხომ გითხარი... — ამოღერღა თხამ და რატომღაც მოიწყინა.

პატიმარმა ყურს დაუწყო წვალება და თხამ ყურადღებით შეხედა... შემდეგ დაემშვიდობნენ ერთმანეთს და თხა გაფრინდა. პატიმარმა საკანს გახედა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ყველა იქ მყოფი უყვარდა, თვით ყველაზე საზიზღარნიც კი (ან რა სიტყვაა „საზიზღარი?“ როგორ შეიძლება ეს სიტყვა იხმარო ადამიანზე?).

ჩანგუ, ბეთიარ და ბზისახარ ქალალდს თამაშობენ, ბეთიარი უკვე საკმაოდ ბევრ ფულს აგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგრეა, — ამბობს ბზისახარ, — ქართველებს ქალალდში ბედი არა გაქვთ ... შემდეგ ჩანგუს შეხედავს და ორივენი ხარხარს იწყებენ.

ბათიარი რაღაცას ბურტყუნებს — თან აგებს, თან დასცინიან — oო, ბებო, ერთი წამოგაყენა საფლავიდან — შენი ქართველობა არ სჯერათ!

— მორიგეობის შემდეგ სად დავლიოთ?

— ჩემი ფულით, არა? — გაწიწმატდა ბეთიარი.

— შენ აგებ, ძმაო, და...

— სად და მიკირტუმასთან, — ამბობს ჩანგუ და ბზისახარ თანხმობის ნიშნად თავს აქნევს.

— კარგი ღვინო აქვს მიკირტუმას.

— კი, კარგი, კარგი.

ახლა უკვე სამთავე აქნევს თავს.

შემდეგ ერთი მათგანი დგება და რიგრიგობით ჩამოივლის ყველა საკანს, ყველა ჭუჭრუტანაში შეიჭვრიტინებს, შემდეგ უკან აბრუნდება და თამაშიც გრძელდება.

— წყნარად არიან?

— კი, წესრიგია.

ყველა წყნარად არის და ციხეში სანიმუშო წესრიგია გაბატონებული. პატიმარს ეკლესიის ზარების ხმა მოესმის და ბავშვივით ხარობს — ლოცვა დაიწყო ტაძარში. თვალებს ხუჭავს და ტაძარს წარმოიდგენს შიგნიდან: ოქროსფერი კანკელი და ფართოდ გახსნილი ალსავლის კარი, რომლის შიგნით ტრაპეზის ფერთა ელვარება ჭრის კაცს თვალს... ალსავლის კართანვე დგას ოქროსფერივე სამოსში დარბაისელი მოძღვარი ჭაღარაშეპარული წვერით. მარჯვნივ წმინდა გიორგის დიდი ხატი, მარცხნივ დედა ღვთისმშობლისა... გუმბათიდან კი იესო პანტოკრატორი იცქირება მრისხანედ — აი, ასეთი ვიქნები მეორედ მოსვლის ჟამს!

მარცხენა კედელზე იგივ იესო, ოღონდ არა მრისხანე, არამედ მორჩილი და კაცთადმი დიდი სიყვარულით ალსავსე თავდახრილი დგას წყალში და იოანე ნათლისმცემელს მოუწოდებს, რათა წყლით გაანათლოს ძე ღვთისა... იესოს ორი სახე, მისი ჰარმონიული ერთიანობა: მოწყალე, მორჩილი და კაცთა ცოდვათა მომთმენ-მიმტევებელი; და იესო მრისხანე, განმკითხავი, ცოდვილთა რისხვა და მეუფე ზეციური იერუსალემისა... არა წინააღმდეგობა, არა გაორება, არამედ ღვთის სიბრძნე-სიყვარულის ორნაირი გამოვლენა...

ვიღაც მოხუცი ქალი დაფუსფუსებს უკვე დაცარიელებულ ტაძარში და ნაგავს ცოცხით ერთ კუთხეში აგროვებს — ლოცვა მორჩა. ორიოდ მორწმუნეღა, დარჩენილი ტაძარში, დაუნთებელ სანთლებს ანთებენ და ნაჩქარევად პირჯვარს იწერენ...

— შეიმუსრება პანდემონიუმი, დაინგრევა და დაიშლება! — ჩაჰყვირა ძილღვიძილში მყოფ პატიმარს ვიღაცამ. თვალი გაახილა — თხა. თხა ქოშინებს და სიხარულს ვერ მალავს.

— მან, მან მითხრა ეს.

— ვინ? — უგულოდ ეკითხება პატიმარი.

— ვინ და მწერალმა, რამდენიმე საუკუნის შემდეგ რომ იქნება, წაგიკითხე ადრე კიდეც...

— ჰო, ჰო გამახსენდა. რა გითხრა იმ შენმა მწერალმა?

— რა და ყურადღებით მისმინე... — და თხა კითხვას იწყებს, პატიმარი კი უკვე სიცილს ძლივს იკავებს — სასაცილოა თხა, ძალიან სასაცილო და საყვარელი.

ადრე თუ გვიან გაიმარჯვებს, იცის ეს, იმედი აქვს ამის, იმედი კი არა — რწმენა, იმიტომ რომ ზუსტად იცის: **ღმერთს ასე უნდა?**

დაინგრევა და დაიშლება პანდემონიუმი, კაცთა მტერს ზეციური ცეცხლი შემუსრავს, დემონები თავშესაფრის ძიებას დაიწყებენ, რომ ღვთის რისხვას გაერიდონ, მაგრამ ამაოდ... და ძლოკვებბი; ეს საზიზღარი ძლოკვებიც, საკუთარ სისხლში მოსრიალენი იმედიან თვალს მიაპყრობენ კაცთა მტერს, მაგრამ მისგან ფერფლი და ნაცარი იქნება უკვე დარჩენილი... და ის, უსახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო სახელნი, დიდი დავით აღმაშენებლის მცირე და ცოდვილი სეხნია, ქრისტეს ერთგულ სხვა რაინდებთან ერთად იქნება მახვილი მესიის და ვაი, ღმერთის, მისი ხალხის და სიკეთის მტერს... დაიღალა, მაგრამ რარიგ სასიამოვნო იყო მისთვის ეს დაღლა. ძალაც დაუბრუნდა და ღონეც.

ყველაფერი კარგად იქნება. ყველაფერი ძალიან კარგად იქნება.

— ვინ უნდა გაიმარჯვოს, რაშია საქმე? — უკვე აღარ ფარავს პატიმარი იმას, რომ ვერაფერი ვერ გაიგო.

— ვინ და დავითი, დავითის შვილი, ოჩოპინტრეძეყოფილი, დემონებს ორმოში ჰყავთ და აწამებენ, მაგრამ ამოვა, უსათუოდ ამოვა ზევით და... თუმც რას გიყვები, აგერ ამ ნაწყვეტსაც მოუსმინე:

ორმოდან კი ამოვა, აუცილებლად ამოვა და ქრისტეს ერთგულ სხვა რაინდებთან ერთად ცეცხლს მისცემს პანდემონიუმს, მის წევრებს კი ღვთის რისხვას დაატეხს თავს — ახლა უკვე აქვს ამის უფლება, აწ უკვე სრულად უკურთხებს უფალი მარჯვენას. ის მთლიანად განწმენდილია... და ის ებრძვის მიწას, ის ებრძვის ყველაფერს, რაც კი ორმოშია და ორმოსთან არის დაკავშირებული, რადგან მას იმედი აქვს, იმედი კი არა, რწმენა უკვე და სანამ სუნთქავს, ეს რწმენაში გადასული იმედი ბოლომდე ექნება — რომ ამოვა, აუცილებლად ამოვა და განთავისუფლებული თავის ერსაც თავისუფლებას მოუტანს.

თხამ გამომცდელად შეხედა თვალებში. პატიმარს რაღაც უნდა ეთქვა, თხის გამოხედვა ამას ნიშნავდა, პატიმარი კი ისედაც აპირებდა...

— ამოვა?

— აუცილებლად! ყოველ მიზეზგარეშე. მაშინ ხომ აზრი არ ექნებოდა არაფერს, დავითი რომ ორმოდან ვერ ამოძვრეს... ამოვა!

პატიმარი ჩაფიქრდა, ამოიოხრა და:

— ვინ იცის!

ვინ იცისო თქვა, მაგრამ თვითონვე არ დაიჯერა თავისი სიტყვები, პირიქით, რაღაც სიხარული იგრძნო სხეულში და ეს სიხარული თბილი კი არა, ცხელი იყო, მთელ ტანს უწვავდა, შიგნეულობას უტრიალებდა, მაგრამ მას სიამოვნებდა ეს და ვინ იცისო — ამბობდა რა ამას, თვითონაც არ სჯეროდა თავისი სიტყვების, რადგან ეს სიხარული, ეს ცხელი, ანთებული სხეული მას არწმუნებდა, რომ დავითი უთუოდ ამოვიდოდა ორმოდან, ამოვიდოდა, ამოვიდოდა...

თხა პატიმრის ანთებულ თვალებს უყურებდა და ხედებდა, მიზანი მიღწეული იყო, რადგანაც მთის წვერზე რომელიღაც ძირძველი ყინული დნებოდა და ანკარა წყლად ეშვებოდა ქვევით...

ჩანგუ, ბეთიარ და ბზისახარ მიკირტუმასთან ზიან და ღვინოს სვამენ — კარგი დუქანი აქვს მიკირტუმას. დუქნის კედლები ლატაკი ქართველი მხატვრის მოხატულია. მხატვრის თვალი ძალიან გულუბრყვილოა და ბავშვური, მის ნახატებში რაღაც ზრდადაუსრულებლობა, მრგვლოვანი სიკეთე შეიგრძნობა. მიკირტუმამ იცის, რომ ასეთი ნახატები მთვრალ ადამიანს მოსწონს და ამითაც იზიდავს მუშტარს.

მიკირტუმა სომეხია, მაგრამ დუქანი ქართულ ყაიდაზე აქვს მოწყობილი: ოდნავ მბჟუტავი სანთლები — სუფრას რომ ანათებენ მხოლოდ, დუქანში კი ბნელა; უხეში, გაუსწორებელი კედლები — მხატვრის ნახატებით და დათვების ტყავებით... აქ-იქ ვერცხლის ხანჯალიც არის ჩამოკიდებული — გულს ახალისებს.

სმა ფიალებით და გაუპრიალებელი, დაუმუშავებელი ჯიხვის ყანწებით. პურმარილიც ქართულია, საქართველოს ყოველი კუთხის საჭმელ-სასმელს წააწყდები კაცი აქ და ყველაფერი გემოვნებით და კარგად არის გაკეთებული — მიკირტუმას რჩეულ-რჩეული მზარეულები ჰყავს.

...საცივი და ჭყინტი ყველი, ელარჯი და ხაშლამა, ღორის მწვადი და ბასთურმა, ბატის წვენი და ჩანახი, მწვანე ლობიო და ნიგვზიანი ლობიო, ჯონჯოლი და ზეთისხილი, კეცის მჭადი და შამფურგაყრილი შეწითლებული წიწილა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭული ლორი და ჩამწვანებული ჩაქაფული, ბროწეულით დატენილი კუპატი და მთლიანად შემწვარი ზბო, შემწვარი კალმახი და წითელი თუ შავი ხიზილალა, რძეში მოხარშული ციკანი და სუნელებიანი გოჭი... ღვინო კი მხოლოდ კახური აქვს მაკირტუმას, მაგრამ ისეთი ღვინოა, რომ სხვა ღვინოს დალევას არ მოგანდომებს: ჯერ რომ მშვიდად, წყნარად, მიდის, მერე ერთბაშად გეტაკება და გაავებულ კატასავით ბრჭყალებს ჩამოგისვამს, შემდეგ კი კვლავ დაწყნარებული „კახური სიდარბაისლით" „გააგრძელებს გზას და პირშიც რაღაც მწკლარტე, მაგრამ სასიამოვნო გემოს ტოვებს.

მაგიდები დაბალი და სკამებიც პატარა, ხისგან გამოთლილი სამფეხები. მორიგეობას კი უკვე რამდენი ხანია მორჩნენ და ჩანგუ, ბზისახარ და ბეთიარი ქართულ საუბარში ეჯიბრებიან ერთურთს... იღვრება და დნება ტკბილი სადღეგრძელოები, გული სუსტდება ამდენი ფერებით და ყურადღება დუნდება ამდენი ყურადღებით.

... და უცებ, ბეთიარი ფიალას ივსებს, თამადას არ ეკითხება, ისე ამბობს:

— ეს ჩვენს პატიმრებს გაუმარჯოს! განსაკუთრებით იმათ გაუმარჯოს, რომლებიც საქმისათვის ზიან...

ბზისახარ და ჩანგუ გაკვირვებით შეხედავენ ერთმანეთს, შემდეგ მეზობელ მაგიდებს გადახედავენ, ვინმემ ხომ არ გაიგო? ბეთიარი კი ფიალას იყუდებს და ერთბაშად სვამს... ბეთიარს ბებია ჰყავდა ქართველი!

ოკუპანტები კი დადიან ქალაქში მოხრილი ხმლებით და თავზე ჩალმებით, უტიფარი ღიმილით და გამომწვევი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ყველაფერს და ძალიან უხარიათ:

უხარიათ: რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მოჰამედია წინასწარმეტყველი მისი;

უხარიათ: რომ მუსულმანნი არიან და „ჭეშმარიტი" ღმერთი შეიცნეს;

უხარიათ: რომ ალაჰმა გამარჯვება მისცა გიაურებზედ და აწ მათ დედაქალაქში ბატონ-პატრონად გრძნობენ თავს;

უხარიათ: ბევრი რამ, ბევრი რამ უხარიათ...

მოღალატე ქართველებსაც უხარიათ, მაგრამ თან ეშინიათ...

ეშინიათ: რომ ასე ყოველთვის არ შეიძლება იყოს და სულ ასე გაგრძელდეს — ესეც შეუძლებელია;

ეშინიათ: რომ ადრე თუ გვიან პასუხს მოთხოვენ და თითოეული ერის მოღალატე შესაძლოა ერმავე დიდ ხეზე თოკით ჩამოკიდოს;

ეშინიათ: რომ შვილები, რომლებსაც უკვე არ სურთ მამის მსგავსად ღალატის გზას დაადგნენ — აუმხედრდებიან და მათი „გაკვალული" ბინძური გზით არ ივლიან... და, საერთოდ, ეშინიათ!

ნამდვილი ქართველობა კი თავის ზვინში შემალულ ხმალ-ხანჯალს ყოველწამს დაჰხედავს ხოლმე: „არ დაიკარგოს, არ დაჟანგდეს, პატრონი არ დააviwყდეს..." ქართველობა ხმალს ლესავს.

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ..." მათი ჰიმნია და მათ არაფრის არ ეშინიათ.

არ ეშინიათ: რომ შესაძლოა დააპატიმრონ და დიდი ხნით მოსწყვიტონ საყვარელ ოჯახს, საყვარელ ადამიანებს, მშობლიურ გარემოს, თავისუფლებას...

არ ეშინიათ: რომ გამძვინვარებულმა როსტომმა შესაძლოა თავებიც მოაჭრას და მეჯთასწორ შაჰს გაუგზავნოს საჩუქრად;

არ ეშინიათ: რომ მცნებებისა და სიტყვების შეტრიალების საუკუნეში მათ, ქართველ პატრიოტებს, ქართველი მოღალატენი მოღალატეებს უწოდებენ, ხოლო სპარსნი კი პაპის პროპაგანდას აყოლილ დაბნეულ, ერთეულ სულებს...

მათ არაფრის არ უშინიათ, თვინიერ ღვთისა.

„უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შენ შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენ აკურთხე საქმენი ჩვენნი!“ ამბობენ ისინი და იბრძვიან.

მოღალატე როსტომ მეფე კი თრიაქს ეწევა სასახლეში, მუსულმანურ ყაიდაზე აქვს ფეხები მორთხმული და მლიქვნელი კარისკაცების ტკბილსიტყვაობით ხარობს. „რასაცა შევჭამთ ჩვენია, რაც არა დაკარგულია!“ ღმერთი არ სწამს როსტომს და არც მის ამალას. ქრისტიანობა გარკვეული მოსაზრებების გამო შეცვალეს მუსულმანობით, მუსულმანობა კი გარკვეული მოსაზრებების გამო მიიღეს და არიან ასე — არც ქრისტიანნი, არც მუსულმანნი და საერთოდ არარანი, არაფერნი — „რასაცა შევჭამთ ჩვენია...“

მოასწარით! მოასწარით! თორემ ჩამოჰკრა საათმა, ჟამი არს... დადგა დრო! ნიურნბერგი! ნიურნბერგი! ნიურნბერგი!

ძრწოდეთ, კაცისმკვლელნო, ფარისეველნო, მოღალატენო, ჯალათნო, უგუნურნო... ძრწოდე შენ, ულმერთო და ურჯულო ბრბოვ!

მოსეს ნათელი ადგას თავზე. სინას მთიდან მცნებები ჩამოუტანა მან ხალხს. „აი, ასე იცხოვრებთ, აი, ამ მცნებას დაიცავთ!“

ხალხი თვალს ვერ უსწორებს მოსეს:

— ეს რა აქვს თავზე?

— ღმერთი არს შენთან, ძმაო! — ეუბნება გაკვირვებული აარონ.

— ჩვენთან, ჩვენთან! — და მოსე თვალს ავლებს ხალხს.

მოსე ერთიანია, მთლიანი, განუყოფელი. ბოლო მოეღო ჭიდილს, ორთაბრძოლას, გაორებას... და მან ეს ვერ შეამჩნია. ვერ შეამჩნია იმიტომ, რომ თვალად კი არ ისწრაფოდა ამ ერთიანობისაკენ და თვით კი არ გაიარა ეს გზა (მოსე ასე ფიქრობს), არამედ ღმერთმა აჩუქა, ღმერთმა მისცა (ჭადრაკის ფიგურას იღებენ ერთი უჯრიდან და დებენ მეორეზე) „რა კარგია! რა სიხარულია! რა ძალაა!“ ფიქრობს გაკვირვებული მოსე და ღმერთს მადლობასეუბნება — „თითოეული ადამიანი ასეთი მთლიანი უნდა იყოს, თითოეული ერი და მაშინ ბოროტი ვერაფერს ვერ გახდება!“

სტალკერია მოსე, მაგრამ მოსემ ეს არ იცის, ეს შემდეგ ეცოდინებათ, ძალიან შემდეგ.

უკან არს ცოდვანი, წყეული ქვეყანა, წინ კი აღთქმული მიწა, წინ — იერუსალემია!

„აღაშენე უფალო ზღუდენი იერუსალემისანი“ — იტყვის შემდეგ დავით წინასწარმეტყველი და მოსემ არც ეს იცის — შემდეგ ეცოდინებათ ეს, ძალიან შემდეგ.

მოსეს ახლა ვერც კი წარმოუდგენია თუ როგორ ცხოვრობდა ადრე; მარტო ჩაკეტილი, თავისთვის... როგორ არ ფიქრობდა ამ ხალხზე, მის ხალხზე? როგორ არ ახსოვდა ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ნებისმიერ ცხვრის ფარას წინ ერკემალი უნდა მიუძღვოდეს, ერკემალი სჭირდება... თვითმარქვია ერკემალი თვითონაც გადაიჩეხება და ფარასაც გადაჩეხავს, მაგრამ ღვთისგან ვინც არის (მოსემ იცის უკვე, რომ თვითონ ღვთისგან არს), მან ბოლომდე, ფარეხამდე უნდა მიიყვანოს ცხვრის ფარა და მწყემსსაც უკლებლივ უნდა ჩააბაროს.

— ვინ ხარ შენ, თხაო?

თხა ჩაფიქრდა, თავი ასწია და ჭკვიანი თვალები პატიმარს შეანათა: — ცხენი ვიყავი მე, თეთრი ცხენი!

პატიმარი რაღაცას ხვდებოდა, ძალიან ნელა, ნელ-ნელა, მაგრამ რაღაცას ხვდებოდა. თხის თვალებიც ახლა აღიქვა და მიხვდა — თხას დიდი, ლამაზი, ცხენის წყლიანი თვალები ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი მაინც... როგორ?..

— როგორ — ცხენი?

— ლამაზი, თეთრი ცხენი, ზღაპარში რომ რაშს უწოდებენ... ცოტნეც მე მივიყვანე კოხტასთავში და სხვაც ბევრი...

თხას ცრემლები მოადგა თვალზე:

— ახლა კი თხა ვარ, გესმის — თხა!

...პატიმარი შეჰყურებდა ცხენყოფილს და, უკვე გარკვეული, აზრზე მოსული და ყველაფერს მიმხვდარი, კანკალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყავდა ატანილი, აცივდაო, მაგრამ ეს სიცივის არ იყო და საერთოდ არ იცის, რის იყო... პატიმარს აკანკალებდა.

IX.

თხამ ამჯერადაც გაიყვანა ქალაქში — თბილისი მოგენატრებოდაო. მოენატრა და თან როგორ? ხარბად ყლაპავდა თავისუფლების ჰაერს და ნაცნობ სახლებს ძველი მეგობარივით უღიმოდა.

ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ვიღაც სპარს ჯარისკაცს კინაღამ მიახტა და აკოცა: „რა ამის ბრალიაო, აქ რომ არის... ამასაც ეყოლებაო ცოლშვილი, ექნებაო სახლ-კარი, ვენახი... არა, ვენახი არა — რა უნდა სპარსეთში ვენახს" (აპატიეთ, აქ გული აერია უზერხემლო ჰუმანიზმზე)...

— დღეს შენ წარმოუდგენელ რამეს ნახავ!

— რას? — დაინტერესდა პატიმარი.

— აიდე, — და თხამ ფურცელი გაუწოდა.

პატიმარმა ხარბად დაიწყო კითხვა და გაურკვევლობის ის ნაცნობი გრძნობა დაეუფლა, თან რომ ესმის და თან აზრზე რომ ვერ არის მოსული...

### ცხოველთა კლუბის წარმოუდგენელი და განსაცვიფრებელი საღამოს პროგრამა:

1. „რანი ვიყავით" — მომხსენებელი თხა.
2. „რანი ვართ" — მომხსენებელი ყვავი.
3. „რა დავკარგეთ, თან როგორ" — მომხსენებელი ფინია ძაღლი.

მოხსენებების შემდეგ გაიმართება კამათი;

საღამოს უმასპინძლებს ცხოველთა კლუბის მუდმივი დიასახლისი ბებია ვასასი.

სასმელ-საჭმელი უფასო, მსურველები მიიღებენ თრიაქსაც.

საღამოზე დაიშვებიან მხოლოდ გულდამწვრები!

გელით! გელით! გელით!

კლუბის დირექცია

— პირველი მომხსენებელი მე ვარ! — შესცინა თხამ სახეში.

— კარგი, ძალიან კარგი — თქვა პატიმარმა, თუმც სრულებით არ იცოდა და არ ესმოდა, რა იყო „კარგი".

საღამომდე დრო რომ მოეკლათ, გაიარ-გამოიარეს თბილისის ქუჩებში, პატიმარმა ძველი, ბედნიერი დღეები გაიხსენა, დღეები, რომლებიც ისტორიის კუთვნილებაღა იყო მხოლოდ, თუმც არა, პატიმრისაც კიდევ — ეს დღეები პატიმრის კუთვნილებაც იყო და ამ საუნჯეს იგი არავის არ დაუთმობდა.

მეხსიერება. დემონი დამჯდარა და ფიქრობს — სურს ისეთი მანქანა გამოიგონოს, კაცს რომ მეხსიერებას დააკარგვინებს — არ ემახსოვრება წარსული, არ ეცოდინება გუშინდელი დღე... მავნეა მეხსიერება, საშიში. როსტომ მეფე და მისი მბრძანებელი შაჰიც ოქროთი აავსებენ მას, ვინც ასეთ მანქანას გამოიგონებს. სინდისს კიდევ მოითმენს კაცი (თუმც მაგიც კარგი რამაა!), მაგრამ მეხსიერება? ის ხომ ხალხს რყვნის, აფუჭებს, ათახსირებს..., მუშაობენო ამ მანქანაზე! მანქანა-მანქანებასატანა! ეშმაკი კვანტს უდებს ადამიანს და თან იცინის — „ხერხით გაჯობეო, ხერხით გაჯობეო..."

— აი, ჩვენი კლუბიც! — და თხამ რუხ შენობაზე მიუთითა.

პატიმარს ასეთი სახლი არც ჰქონდა ჯერ ნანახი და არც წარმოედგინა თუ ასეთი შენობა თბილისში იქნებოდა: დეფორმირებული კედლები, პიზის კოშკივით ოდნავ დახრილი, თითქოს საცაა წელში გადატყდებაო, ექსსართულიანი...

— ასეთ სახლებს რამდენიმე საუკუნის შემდეგ ააშენებენ, შენ კი დღეს ნახე... ხედავ, როგორ გიმართლებს?

პატიმარმა თავი დაუქნია, კიო.

შევიდნენ.

შევიდნენ და პატიმარს გული შეეკუმშა. გაურკვევლობამ და მოულოდნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობამ იცის ეს — ამდენი ცხოველი ერთად არასდროს არ ენახა.

ყველანი ისხდნენ, საუბრობდნენ (?!?), ფინჯან ჩაის (ყავააო, აუხსნა შემდეგ თხამ) სვამდნენ, კამათობდნენ... თხის გამოჩენას ტაშისცემით შეხვდნენ.

შემდეგ ბებია ვასასიც გამობადუნდა, ოთხმოციოდე წლის დაპრანჭული ბერიქალი, ძუძუები რომ ლამის მუხლისთავებამდე ეკიდა, მეჭეჭიანი ვეება ცხვირი კი თითოეულ სიტყვაზე აქეთ-იქით ირხეოდა და მნახველს პანიკაში აგდებდა — „არიქა, უშველეთ, არ ჩამოვარდესო“. მახინჯი, მაგრამ კეთილი ქალი იყო ვასასი.

— გულდამწვარია? — დაიჩლიფინა მოხუცმა.

— თან როგორი! — ამაყად მიუგო თხამ. — მაგრამ ბევრი რამ აკლია...

— შეიძენს, შეიძენს... — კვლავ დაიჩლიფინა მოხუცმა და კვლავ სადღაც გაბადუნდა... ცოტა ხანში კი საღამოც გაიხსნა.

პირველი მომხსენებელი თხა იყო და ისიც ჩვეული ენერგიით, მგზნებარებით შეუდგა საქმეს.

— რანი ვიყავით, ძმებო და დებო, რანი, ხომ გახსოვთ? მე ჩემს თავზე არ ვილაპარაკებ, უხერხულია, მაგრამ აი, შენ, ლორო, ბინძურო ლორო (კი არ გეწყინოს), გახსოვს, რა ტახი იყავი? რა ლამაზი, რა ტანსრული. ან კოჩლები როგორ გიხდებოდა. საქართველოს მეფეს საიდან უნდა ჩამოსვლოდა სტუმარი, რომ შენზე სანადიროდ არ წაეყვანა — შენით ამაყობდა და შენით მოჰქონდა თავი. ახლა კი ვინ ხარ? — ბინძური ლორი (არ გეწყინოს, ხომ იცი...). წევხარ ტყლაპოში და ღრუტუნებ. იმიტომ, რომ შენც იცი, ბინძური რომ ხარ და საცოდავი. ვინ აღარ გირტყამს გულში დანას. ჯამ-ჭურჭლის ყოველ გარახუნებაზე შენ უნდა დაგკლან, შე უბედურო, შენა...“

ლორი აქსუტუნდა და ცრემლიანი თვალები დამალა.

„ — ან შენ, ვითომ რქოსანო პირუტყვო, აწ რქამელოტო, რქები რომ არ შეგრჩენია თავზე და თმებივით რომ გაგცვენია... გახსოვს, რა კამეჩი იყავი, მტერს როგორ უბრმავებდი თვალს? ახლა კი გამხდარი ძროხა ხარ და რძესაც ვერ იძლევი ხეირიანად და დღედღეზე შენც მოუსვლელისკენ გაგისტუმრებს პატრონი, ადრე კი, ადრე... ადრე შეგაბამდა გამრჯე ქართველი გლეხი უღელში და მშობელ მიწას გახვნევინებდა — შენც კმაყოფილი იყავი და ისიც.

ფინია ძაღლო, შე უბედურო, ჯიბეში რომ ჩაეტევი კაცს, ის თუ გახსოვს, რამხელა იყავი, შენი როგორ ეშინოდათ „მეცხვარე ძაღლიაო“. ვინ მობედავდა შენი შიშით ცხვართან ახლოს... ახლა კი ცვედანი მამაკაცებისა და გაუთხოვარი ქალების სათამაშო თოჯინა ხარ, შეგაბამენ ყელზე ბაფთს და დაგაპორწიალებენ აქეთ-იქით.

ყვავო, შენზე რა ვთქვა? შენი ხმა ვის არ გვახსოვს, ვის არ მოგვისმენია. ინდოეთიდანაც კი მოდიოდნენ შენს მოსასმენად, საქართველოში ასეთი და ასეთი ბულბულიაო, ახლა კი?..

ან შენ, ბელურავ, — სიცივეში რომ თრთი და მოხუცი კაცების გადმოყრილი პურის ნაფშვენებით რომ იკვებები, ყველაფრის რომ შენ გეშინია და ყოველ გაფაჩუნებაზე რომ იცი ზევით აფრენა, თუ გახსოვს, არწივი რომ იყავი თუ გახსოვს, დაჭრილი რომ გნახა ვაჟამ, რა ლექსი დაგიწერა?

ანდა შენ, კუ, — შენი სისწრაფე და საზრიანობა ყველას გვაკვირვებდა. კურდღელი ბევრი გვენახა, მაგრამ შენნაირი არავინ. ერთი სიამოვნება იყო შენზე ნადირობა, აწ კი ძლივს დალოღავ და როგორც გავიგე, ამ საღამოზე რომ მოხვედრილიყავი, თურმე სამი კვირის წინ გამოსულხარ სახლიდან... — კუმ დაიმორცხვა, თან გაუკვირდა, საიდან გაიგოო ეს?,

რომელი ერთი ჩამოვთვალო, ვინღა დავასახელო?

ჩვენო ტკბილო და თბილო ბებია ვასასი — თუ გახსოვს, დიანა რომ ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რქვა სახელად და ამ მწარე „ბებია ვასასის“ რომ არ გეძახდით? თუ გახსოვს ის დღე, შენი მშვენიერებით მოხიბლული აქტეონი შენს შიშველ, უნაკლო სილამაზეს მალულად რომ ჭვრეტდა, რის გულისთვისაც შენ ის დასაჯე? თუ გახსოვს, ყველანი როგორ ვცხოვრობდით ერთად თავისუფლად, იქ — ტყეში? შენ იყავი ჩვენი ლამაზი და საყვარელი დედა. ჩვენი მარად ახალგაზრდა და ნორჩი მფარველი... აწ კი საყვარელი კვლავინდებურად, მაგრამ ლამაზი? ახალგაზრდა?.. ოო, არა, არა, სამწუხაროდ, არა!“

ვასასი-დიანაც აცრემლდა, თხა კი მონოლოგს ამთავრებდა უკვე:

„ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ მტერმა, ბოროტმა ძალამ არამარტო ფიზიკურად დაგვამახინჯა, არამედ სულიერადაც გაგვხრწნა და გადაგვაგვარა... თუგინდ ეს რად ღირს, პროგრამაში რომ წერია თრიაქზე — აი, საიდან შემოიჭრა ცოდვა, საიდან გვიტევს. გულდამწერები ხართ, ბოროტებას ვერ იტანთ, მაგრამ ზოგჯერ, თუ არა ხშირად, ვერ ემიჯნებით თავად თქვენ ბოროტისაგან და ნებსით თუ უნებლიეთ მისი მონები, ცოდვების თანაზიარი ხდებით.

მე მარტო თრიაქზე არ მაქვს ახლა ლაპარაკი, საერთოდ ვამბობ და ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და თავის თავს კითხოს — ფიზიკურად სახეშეცვლილი სულიერადაც ხომ არ შეცვლილა და გადაგვარების გზას ხომ არ ადგას?“.

ტაშმა ერთბაშად იხუვლა, პატიმარი კი მთელი ძალით ურტყამდა ხელისგულებს ერთმანეთს და ბავშვივით ხაროხდა — „არა, საკუთარ თავსაც კი გადააჭარბა...“ „ბრწყინვალეა, ბრწყინვალე!“ (თუმც გულში იმასაც აღნიშნავდა, თხამ თავის თემას გადაუხვია და მეორე მოხსენებაც თვითონვე წაიკითხაო).

თხამ მდაბლად დაუკრა თავი პუბლიკას და თავის ადგილზე, პატიმრის გვერდით დაჯდა.

მეორე მომხსენებელი ყვავი იყო, ბულბულ-ყოფილი. თავისი სიტყვა ასე დაიწყო:

„Carthaginem esse Delendam!“

— კართაგენი უნდა დაინგრესო. შემდეგ ბოროტება დაახასიათა და აღნიშნა, როგორც კართაგენი, ისევე ეს ახალი ბაბილონი უნდა დაინგრეს და დაიქცესო, შემდეგ მიწას მარილი უნდა დავაყაროთ, რომ ბოროტის ნასახლარზე ყვავილებმაც არ იხაროსო.

მიმბაძველთა მონურ ბრბოსაც გადაწვდა — „Servum pecus im itatorum“ — მაგ მათხოვრები, მაგენიო, მაგათ რა უჭირთ — ყვავი ბულბულობს, მე ვიკითხო, ბულბულმა, ყვავი რომ გავხდიო, გაყიდეს ყველაფერი, სინდისი აღარ შერჩენიათო. ძალზე გულმოსულად ლაპარაკობდა, ძალიან გამწარებული იყო. შემდეგ ისიც მიაყოლა, ერთად უნდა ვებრძოლოთ ბოროტების წინააღმდეგ! მე კი სიმართლეს ყველგან და ყოველთვის ვიტყვი, თუგინდ თავი მომჭრანო. რანა ვართ და მათხოვრები, მშიერები და მონებიო... სიტყვა ლათინურივე გამოთქმით განასრულა:

„Dixi et Salvavi Animam Meam!“

— მე, ბატონო, სიმართლე ვთქვი და ამით ვიხსენი ჩემი სული, დანარჩენი თქვენზეა, თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამო, მოუთარგმნა გლეხურად... ისიც ტაშისცემით მიაცილეს თავის სკამამდე და ყვავიც ამაყად დაჯდა, შემდეგ კი მოწყალე მზერა მოავლო დარბაზს: კარგია, ვასო, კარგი! — ყვავის პირობაზე მართლაც კარგი იყო.

შემდეგ ფინია ძაღლი აწკმუტუნდა და დაიწყო თავისი მოხსენება თემაზე თუ „რა დავკარგეთ, თან როგორ“.

ყველაფერი დავკარგეთო, სინდისი, ნამუსი, ღირსებაო... თავისუფლება დავკარგეთო და სახეც დავეკარგაო. თხამ მართალი ბრძანა, მარტო ფიზიკურად კი არ დავმახინჯდით, სულიერადაც გავიხრწენითო... შემდეგ ის ახსნა თუ როგორ დავკარგეთო: როგორო და ამპარტავნებამ, ჩვენმა ცოდვებმა დაგვაკარგვინაო ყველაფერი, ჩვენმა გულუბრყვილობამ და მიმნდობლობამო, მტერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის კარი ფართოთ გავუღეთ და შინ შემოვიყვანეთო, ერთმანეთის გატანა და სიყვარული არ გვქონდა, სოლიდარობა გვაკლდაო და ა. შ. და ა. შ.

ფინია ძაღლი წკავწკავით ჯდებოდა სკამზე, დარბაზი კი კვლავ ტაშს უკრავდა — მისი სიტყვაც შთამბეჭდავი და ძლიერი იყო, კამათიც მალე მორჩა და მცირე შესვენება გამოაცხადეს.

...შემდეგ დაიწყო ღრეობა, ღრეობა და რა ღრეობა!

ალბათ, ლუკულუსი საფლავში ტრიალებდა და ვენებს იჭამდა, ასეთი ქეიფი მე როგორ არ ვიცოდიო.

ჯერ თითქოს იკავებდნენ თავს, მაგრამ ცოტათი რომ შეთვრნენ, შემდეგ აიშვეს, იგინებოდნენ, ველურებივით ხარხარებდნენ, ამტვრევდნენ ჭიქებს, შემდეგ მაგიდაც გადაატრიალეს... ერთი-ორმა არწყია კიდეც და საკუთარ ნარწყევშივე ამოუშვა ხვრინვა.

ზოგი თრიაქს მიეძალა და გამობენტერებული პირდაპირ იატაკზე ჩაჯდა უაზრო სახით.

„მამრი-ტაიფუნები“ კი მდედრთა ზევით, ოთახებში ატყუებას ლამობდნენ. დადიოდა ბებია ვასასი და მოთქვამდა:

„დავიღუპეთ, დავიქეცით!“

პატიმარს ცოტა კი გაუკვირდა მათი ასეთი ქცევა, თან შენიშნა, თხა არც სვამდა, არც თრიაქს იკარებდა პირში და ნაღვლიანი თვალებით იყურებოდა სივრცეში.

პატიმარს წასვლა მოუნდა, მაგრამ თხამ დაასწრო, თვალები ისევ სივრცეში რაღაცისთვის ჰქონდა გაშტერებული და უთხრა:

— ესენი გულდამწვარნი, მაგრამ შეგუებულნი და შეჩვეულნი არიან, მე კი არა, არ შევეგუები, მე ცხენი ვიყავი, თეთრი ცხენი, ჩემზე ცოტნე იჯდა, დადიანი, და ამხანაგების დასახსნელადაც ჩემით მივიდა... ჩვენ არ შევეგუებით, ხომ ასეა?.. — და გაუღიმა პატიმარს.

პატიმარმაც გაუღიმა და მიხვდა, რომ მართლა, მართლა ძალიან-ძალიან უყვარდა ეს თხა, უფრო სწორად, ცხენი, რაში და მის გარეშე უკვე არსებობას ვერ შეძლებდა.

შემდეგ თხამ ხელი (?) გადახვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— წავიდეთ აქედან, ჩვენ აქ უკვე საქმე აღარ გვაქვს.

ჩუმად, გამოუმშვიდობებლად გამოვიდნენ გარეთ და თხამ შეახსენა, რომ უკვე დაბრუნების დრო იყო — მას საპყრობილეში ელოდნენ:

— ყველას თავისი ჯვარი აქვს, ჩემო პატიმარო, და შენც შენი ჯვარი ბოლომდე უნდა ატარო ზურგით...

— მესმის, — და კვლავ ერთმანეთს გაუღიმეს. უკვე ესმოდა პატიმარს თხის, უკვე იცნობდა იგი მას, ხოლო სიყვარულით, ალბათ, პირველი თუ არა, მეორე შეხვედრიდან უკვე უყვარდა, მაგრამ ახლა, ამ ბოლო ხანს მიხვდა ამას.

უკვე ბნელა და ნახევარმთვარეც ციხის სახურავზე კოხტად, საყვარლად არის წამოსკუპებული. პატიმარი კი უკვე თავის საკანშია, თავის პატიმრებთან და ფიქრობს — დღევანდელ დღეზე ფიქრობს.

ხმაური. ჩხუბი. პატიმარი დგება და აშველებს მოჩხუბართ. შემდეგ კვლავ ფიქრი: ჩაერია, საქმეში ჩაერია. მიხვდა. თუ საჭირო გახდა, მისი დაცვაც უნდა შეეძლოს... ამას გვასწავლიდა ჩვენ ქრისტე. კი, მაგრამ საიდან იცის მან თუ რას გვასწავლიდა ქრისტე? რაღაც უცნაური ამბები ხდება მის თავს — არ იცოდა და იცის, ვერ ხვდებოდა და მიხვდა... თავისით? რაღაცაშია საქმე. რაში? რაში, რაში, თხა რაში ყოფილა ადრე, ზღაპრული რაში.

არა, მეთვალყურეობა ყველას შეუძლია, მან კი სიკეთისთვის უნდა იბრძოლოს კიდეც. ის ჯვაროსანია, კი, კი, ჯვაროსანი. ახლა მოუვიდა ეს აზრი თავში და საოცრად მოეწონა — „ჯვაროსანი, ჯვაროსანი“...

„განთავისუფლებული იერუსალემი“ — ამოტივტივდა გონებაში ბავშვობაში წაკითხული რომელიღაც წიგნიდან ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი სიტყვა — „განთავისუფლებული იერუსალემი".

„იერუსალემი ერშალაიმია მგონი ებრაულად" — ფიქრობს პატიმარი და გრძნობს, ძილი ეკიდება. ყურს კიდევ ერთხელ აუსვ-ჩამოუსვამს თითს და ძილს ნებდება, გვიანაა უკვე, თან დღეს რამდენი განიცადა, რა დღე იყო...

დიდი ებრაელი კი განრისხებულია. მან მცნებები ჩამოუტანა მთიდან, ღვთის აღთქმას აზიარა, ჭეშმარიტება დაანახა, ისინი კი კერპთაყვანისმცემლობისკენ იხრებიან („გოჭის თავს სუფრის თავში დებენ, მას კი ტყლაპოსკენ უჭირავს თვალიო" — გაიფიქრა პატიმარმა)...

მოსე მრისხანებს და ღვთის ცეცხლით ემუქრება დაბნეულთ. ხალხი მართლაც რომ ცხვარია, ნამდვილი ცხვარი...

„ღმერთი მოგცემთ ქანაანს, დაგასახლებთ, გაგამრავლებთ; გამარჯვებას მოგაპოვებინებთ მტერზედ... გავა ხანი — ებრაელობა გამრავლდება, როგორც ქვიშა უდაბნოში, მაგრამ ორჯერ უფრო მეტად გამრავლდება ცოდვა თქვენი. თქვენი შვილები კერპთაყვანისმცემელთა ქალებს მოიყვანენ ცოლებად და სახლში კერპებსაც გაიჩენენ, თქვენი ბრბო ღვთის გამოგზავნილ წინასწარმეტყველებს ქვებით გაუმასპინძლდება და ჩაქოლავს, თქვენი რწმენა ყველაზე საიმედო ნავსაყუდელს — გულს დასტოვებს და გარეგნულ მსახურებადღა იქცევა, გაამპარტავნდება ერი თქვენი და დაივიწყებს შემოქმედს, დაივიწყებს მას, ვინც ის ეგვიპტიდან გამოიყვანა, ვინც მას მიწა უბოძა.

...და რა იხილავს ღმერთი თქვენს ცოდვებს, თქვენს უმადურებასა და სულმოკლეობას, შეგრისხავთ და აიღებს თავის მარჯვენას თქვენზე, შებრუნდება თქვენგან და წაგასწრებთ მტერი მფარველის, შემწის გარეშე — მოგდებათ და ქვას ქვაზე არ დატოვებს იზრაელისგან...

ღმერთი შეგიქმნით იზრაელს, მაგრამ ღმერთივე წაგართმევთ იმით, რომ გაჭირვებაში აღარ დაგეხმარებათ და თქვენს სამეფოს წარმართნი დააქცევენ და გაიყოფენ.

გამოხდება ხანი, მზე ამოვალს და მზე ჩავალს, თაობა თაობას შეცვლის და ზღვის მრავალი ტალღაც მოასკდება თქვენს მიწას... განიბნევით და განიფანტებით მთელს ქვეყანაზე, ჭიანჭველებივით მოედებით ქვეყნიერებას და აღარ გვქნებათ არაფერი, რაც ერს ჭირდება — არც სამეფო, არც ერთიანი ცხოვრება, არც ერთიანი სულიერი სიმდიდრე, არც ერთიანი მიზანი, ენასაც კი დაივიწყებთ მშობლიურს და იმ ქვეყნის ენაზე დაიწყებთ საუბარს და იმ ქვეყნას ენას გაიხდით მშობლიურად, სადაც იცხოვრებთ და იმოღვაწევებთ.

...თქვენი ბრმა თვალი ვერც ხორცშესხმულ ჭეშმარიტებას იხილავს — პირიქით, ამ ჭეშმარიტებას დევნას დაუწყებთ და მისი სისხლითაც მოისვრით ხელებს...

აღდგება ყოველი ერი და ყოველი ხალხი თქვენზე, ყველა თავს მოვალედ ჩათვლის, რომ ერთი ურია მაინც მოაკვდინოს, თქვენგან ერთს მაინც მიაყენოს ზიანი დიდი... არ დაინდობენ არც ქალებს თქვენსას, არც ბავშვებს და მრავალი, მრავალი თქვენგანი საშინელი ტანჯვით და წამებით ჰპოვებს აღსასრულს... მაგრამ! მაგრამ ბოლოს, სულ ბოლოს ღმერთი გაიხსენებს, რომ თქვენ ხართ ერი მისი და ის არის ღმერთი თქვენი, სულ ბოლოს ღმერთი მაინც მოწყალე თვალით გადმოგხედავთ და აღსდგება იზრაელი, აღსდგება თვალის მომჭრელი ბრწყინვალებით, დიადი ძალით... ღმერთი კვლავ შეგკრებთ გაფანტულთ, კვლავ წაართმევს ურწმუნოთ აღთქმულ მიწას და თქვენთვის გამოიმეტებს... ჭეშმარიტებასაც დაგანახვებთ და დაბრმავებულ თვალებსაც აგიხელთ, რომ ბოლოს, სულ ბოლოს მართალნი წარსდგეთ ღვთის წინაშე, რომ მოგენიჭოთ სიცოცხლე საუკუნო... ერო ჩემო და ხალხო ჩემო, მე მიყვარხართ თქვენ, მაგრამ რა არის ჩემი სიყვარული ღვთის სიყვარულთან შედარებით, ამიტომ მოითმინეთ და ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბედურება, ყოველი ტანჯვა მიიღეთ უდრტვინველად, მშვიდად და იმის შეგნებით, რომ ეს არის საზღაური თქვენი ცოდვების, ეს არის საშუალება თქვენი განწმენდის და ცხონების... ერო ჩემო, ხალხო ჩემო...“

მოსეს ცრემლები გადმოუგორდა თვალთაგან და ლოყები დაუსველა. ერთი-ორი წვეთი წვერშიაც ჩაიპარა და მთელი სახე განწმინდა ამ სუფთა ცრემლმა, ამ სიყვარულის ცრემლმა, ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲛᲐ... შემდეგ მოსე შეტრიალდა და დინჯი, ამაყი ნაბიჯებით გაშორდა პირდაღებულ ბრბოს:

— ჯუზეპე! ჯუზეპე! — ყვიროდა ვიღაც ქალი და ლამაზ, ბრიალათვალებიან ბიჭს მოჩხუბარი ბავშვების ჯგუფში ეძებდა.

გავა დრო და ეს ბიჭი იტალიის უგვირგვინო მეფე გახდება, ალბათ, მისი ყველაზე თავდადებული, უანგარო პატრიოტი. გავა დრო და უკვე კაცს, ყოველთვის ემახსოვრება დედის ეს: — ჯუზეპე! ჯუზეპე!

ნოსტალჯია!

იტალიელები ასე გამოთქვამენ ნოსტალგიას და ამ ერთ ჯ-ში ჩაქსოვილია ძველ რომზე სევდა... იგულისხმება ამაყი და უდარდელი გამოთქმა — „არა უშავს, დღესაც მაგრები ვართ“ და... შეიგრძნობა იტალიური ენის კეთილხმოვანებაც.

„იტალიელი იტალიაშიც ემიგრანტად გრძნობს თავს — მისი სამშობლო ძველი რომია!.. ის კი ორგზის ემიგრანტი იყო! ორმაგი ემიგრანტი... როგორ შეიძლება სხვანაირად ითქვას? იტალიაში იყო და ძველ რომს ნატრობდა, სამშობლოს მოწყვეტილს იტალიის ცა ელანდებოდა... ემიგრანტი იტალიაში და ორგზის ემიგრანტი იტალიის გარეთ — სამშობლოს ერთგული, გონიერი და ტრაგიკული შვილი.

— აი, ვინ გვჭირდება! — გაიფიქრა პატიმარმა. „არა, შეცდომები როგორ არ ჰქონდა, ზოგიერთი ძალიან მძიმეც კი, მაგრამ თავდადება? სიმტკიცე? უდიდესი ნებისყოფა?“ „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐ“.

„ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ?“

თხა. კვლავ მოსასხამით. გახარებული სახე და ანთებული თვალები. თხის ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ.

— დავითი ამომძვრალა ორმოდან! — მიახარა.

პატიმარი მიხვდა და კვლავ ის ნაცნობი სიცხე ესტუმრა სხეულში...

— როდის? სად? — მიაყარა კითხვები უაზროდ.

„დავითი ორმოდან ამომძვრალა...

შეუძლებელი შეძლო. უფრო სწორად ღმერთმა შეუძლებელი შეაძლებინა. სასწაული, ჭეშმარიტი სასწაული და კიდევ ერთხელ „დიდება შენდა ღმერთო!“

ასე ძლიერი ის არასდროს არ ყოფილა. ღმერთს დაუდია მის მხრებზე მარჯვენა და იმ სასიამოვნო ტვირთით თუ არის ძლიერი... ᲬᲔᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ, ᲬᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ... ეს წელი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, პანდემონიუმიც არასდროს არ შეიმუსრებოდა, არადა შეიმუსრება... დავითმა უკვე ხმალი იპოვნა და ქრისტეს ერთგულ რაინდთ შეუერთდა. მოდიან და მოიმღერიან:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება!“

დავითი ამომძვრალა ორმოდან...“

— როგორ? როგორ შეძლო? — წრიალებს პატიმარი და ᲠᲐᲦᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ. რა არის ეს ᲠᲐᲦᲐᲪ, ჯერ არ იცის.

— როგორ შეძლო? ორმოდან ამოსვლა ხომ შეუძლებელი იყო? — წამით ჩაფიქრდა — რა? იმედი ჰქონდა და იმედმა შეაძლებინა?..

— რწმენა, ჩემო კარგო, რწმენაში გადასული იმედი და ამ რწმენამ, ამ უსაზღვრო საოცრებამ ღვთის წყალობა დაამსახურებინა და ამოვიდა. არადა, როგორ იბრძოდა, როგორ წვალობდა, რამდენჯერ სცადა... მაგრამ არავითარი ეჭვები, არავითარი სისუსტე, ერთიან-

იყო, ძლიერი იყო, მოქმედი იყო, გესმის...

პატიპარს ყველაფერი ესმოდა. საჭირო იყო მოქმედება, გაბედული და აქტიური მოქმედება და შორიდან ჭვრეტა და მეთვალყურის როლში ყოფნა საქმეს არ შველოდა, არც ბუნდოვანი იმედი იყო, რალაც მყარი — რწმენა იყო საჭირო, დიდი, ღრმა რწმენა, კლდესავით რწმენა.. ამ წამს ეს მოფილოსოფოსო ტერმინიც შეძულდა — „გაორება, გაორებული ადამიანი...“ კაცი მტკიცე უნდა იყოს, ერთიანი, ჩამოქნილი და ყოველგვარი ზედმეტობებისაგან, „სირთულისაგან“ თავისუფალი... ადამიანი ჯერ თავის თავში უნდა განთავისუფლდეს. ცოდვისა და ზედმეტობების [illegible]ბისაგან უნდა შეძლოს თავის დახსნა და შემდეგ კი მოუტანოს ეს თავისუფლება სხვასაც... სხვას კი არა, თავის, თავის ერს — ეს რა სხვაა? თავისუფლება — შინ, და თავისუფლება — გარეთ...

გამარჯვებული მკვდრის სიდიადესაც ახლა აწვდა — „თუკი გამარჯვებულია, მკვდარი როგორლა იქნება? გამარჯვებულნი უკვდავნი არიან“.

თხა ხვდება იმას, რომ პატიმარი უკვე ყველაფერს, ყველაფერს მიხვდა, ღიმილით, მაგრამ გამომცდელად შეჰყურებს და ეუბნება:

— დღეიდან ყველაფერი და მათ შორის ჩემი ბედიც შენს ხელთაა...

(გაგრძელება იქნება)

# გივი ალხაზიშვილი



## ივლისის დღიური

●

თითქმის სულ ერთია...

ცოტაც და გაქრება „თითქმის“ და გაიელვებს გულგრილი „სულ ერთია“.. ვიდრე — თითქმის სულ ერთია, ვგრძნობ ტკივილის კანონზომიერებას.

დიახ, თითქმის სულ ერთია...

დიდხანს თუ გავიმეორებ ამ აკვიატებულ სიტყვებს, ძველებურად აღვივსები დარდით და ჩემი თვალებიდან გამოიხედავს სინანულის ნაპერწკალი — ძველი სიყვარულის ნამცეცი, იმის დასტურად, რომ სამწუხაროდ, ჯერაც არაა თითქმის სულ ერთი.

●

ველოდი ამ დღეს, არა როგორც ქვეყნის დასასრულს, არამედ როგორც უახლესი დროის დასაწყისს.

საბრალოვ, შენთვის ვინღა მოიცლის, ასე ერთგულად ვინ შეგიყვარებს, ვინ გეტყვის სიტყვას ჩემებრ გულწრფელად?!

შენ სხვაგან დარჩი, ჩემთან ერთად ვეღარ იარე.

მე ახლაც მესმის, ჩუმი ქვითინით როგორ ავსებ შენი ღამის სიცარიელეს...

●

რამდენი წლისაა ფოთლის ანაბეჭდი, მიწაში რომ ჩატოვა რომელიღაც შემოდგომამ?! დგას კი ის ხე ახლომახლო, საიდანაც ფოთოლი მოწყდა რომელიღაც ფოთოლცვენისას?!

სად არის შენი სიყვარულის ჰერბარიუმი?! ოთხი წელი მე ყვავილებს გიგროვებდი, შენ კი ახმობდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ არ გგონია, ერთ მშვენიერ დღეს შეყვარებულებს გაგახსენებს ყვავილების ხმელი ფურცლები?! დაგავიწყდება, ფურუსულები ვინ დაგიკრიფა, ვინ შეგიგროვა ველის ზამბახი და შროშნების თაიგული ვინ შეგიკონა...

რამდენი წლისაა ფოთლის ანაბეჭდი, მიწაში რომ ჩატოვა რომელიღაც ფოთოლცვენამ?! რამდენი წლისაა შენი მაცდური ღიმილი და შენი სისხლი, მავანმა რომ გიანდერძა რომელიღაც ათასწლეულში?! რა იმალება შენს დუმილში?!

მე ვარ წარსული და შენი სახე ჩემს თვალებში ასვენია, როგორც იმ ფოთლის ანაბეჭდი, რომელიც მოწყდა რომელიღაც ფოთოლცვენისას.

●

ვუსმენ წვიმის ნაბიჯებს: სახურავზე, ფანჯრის რაფაზე, გუბეებზე, ხის ტოტებზე დასეირნობს წვიმა.

დავცქერ სიტყვების წვიმას გადაჩხაპნილ ფურცელზე — იქაც ტალახია, იქაც გუბე, იქაც შემოდგომის ყვავილები, იქაც შენი ცბიერი თვალები...

●

დღეს მყინვარწვერი მოჩანდა. მზის შუქი დაჰფენოდა გორაკებს, გიორგობა მზესავით ჩახჩახებდა — გრილი, დიდებული, შეუცნობელი.

ტყე დაილალა ფოთოლცვენისგან, გაირინდა, ტყეს საკუთარი სიჩუმისა ეშინია.

●

მასაც ხომ უყვარს ვიღაც? სიმბოლურად, მაგრამ უყვარს! სიმბოლური სიყვარულის ფონზე იგი თვლის, რომ თავგანწირვის ტოლფასია ღალატი, იმას კი ვერ გრძნობს, რომ მექანიკურ სათამაშოს დაემსგავსა: როცა დაქოქავენ, მაშინ ხტის, ისიც კი გაზეპირებული აქვს, როდის, რაგვარი ბგერები გამოსცეს.

საბრალო, სიყვარულის იმიტატორი.

●

მთელი სიცოცხლე მოწყენილობას ვებრძვი. მომავალი ბურუსითაა მოცული, იმ ბურუსში ძლივს ილანდება იმედისა და უიმედობის ერთი, გამთლიანებული სილუეტი...

●

თანდათან ვშორდები. ჯერ კიდევ არსებობს უმნიშვნელო იმედი, რომლის საბოლოო დასამარება მიხსნის მისი ტყვეობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, ჯობს თვითონ გადავჭრა ყველა გზა, რათა დასრულდეს ახირებული თემა. მე თვითონ ვიქეცი ჩემი გამონაგონის პერსონაჟად, დამავიწყდა ჩემი თავი, დამავიწყდა მისი ნამდვილი სახე, ისიც პერსონაჟად ვაქციე. თამაში დასრულდა, კვლავ დაბრუნდა მკაცრი სინამდვილე. სინამდვილის ფონზე პერსონაჟებმა დაკარგეს უმთავრესი ფუნქცია. გაქრა სცენა, დეკორაციები, მუსიკა, გაქრა ყველაფერი.

ის, ვინც მე მიყვარდა, გარდაიცვალა, დარჩა მხოლოდ მსგავსი გარეგნობის ადამიანი, რომელშიც უცხო სული აღორძინდა.

მე ვდარდობ არა შენზე, არამედ იმაზე, ვინც შენში მოკვდა. შენ სიყვარულის საფლავი ხარ.

## აკათია

1. თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა...

რა იმალება შენი თვალების სიცხიერეში?! ანგარება, გორილას ჰაბიტუსი და სიყვარულის საფლავი.

რა იმალება უფრო შორს? საცოდავი სინამდვილე, რომელსაც სიცრუის ხავსი რომ მოაცილოს კაცმა, გამოჩნდება მხოლოდ შენი მწვანე თვალების ნაღვლიანი გუბეები, სადაც ჩემი სიტყვები კენჭებივით ცვივა და შენს გაწყალებულ სისხლში მარყუჟებივით ჩნდებიან მოგონებები.

თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა...

ცხოვრობს ვინმე ამ ქალაქში?! თითქმის არავინ, გაყინულია ყველა გული, ყველა კარი ჩაკეტილია, არის მხოლოდ გულღია ღვინო, მაგრამ ღვინოშიც სიყვარულის აჩრდილი ფეთქავს.

თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა...

ანარეკლი ყოფილა ყველაფერი, — ანარეკლი, ანარეკლი...

დაშრა წყალი, ქვიშიან ფსკერზე რა გამოჩნდება?!

რა უაზროდ იღიმებიან ღობის ვარდები, თვალები მეწვის მათი სიწითლით, მათი სიმრავლით, მათი ეკლებით. ეს კოკრებიც მაცდუნებლად მაგონებენ შენს უბეში დამალულ...

თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა...

საცოდავი ფიტულების თამაში, სხეულის კარნახით წამოცდენილი ბგერები: ააამმმააოოოეეებიიისს... დასტური.

თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა...

2. სულ ერთია, ვინ გაიმარჯვებს. მთავარია, ვიღაც დამარცხდეს... რა მნიშვნელობა აქვს, მზიანი დღეა თუ უმზეო...

მთავარია, რომ დღეა...

სულ ერთია, ვისთან ხარ...

მთავარია, რომ სადღაც ხარ...

გაქრნენ მეტაფორები, გაქრნენ ჩუქურთმები, გაქრა ჰარმონია...

თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა...

არსებობს საქართველოში ქალაქი, ან თბილისში უბანი, სადაც არ...

თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა... თვალთმაქცობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნატურმორტი

ქარვისფერ ვაშლზე მოწითალო წინწკლები — გაღიმებული მზის შხეფები და დილის ცვარი და კიდევ ნაზი ნაკვალევი ევას თითების, სიმწიფით მთვრალი ჰაერის სუნთქვა...

## ტკივილის თვალი

ვაზის ცრემლივით იბადება დუმილში სიტყვა და სიტყვა იგი ბრწყინავს, როგორც ტკივილის თვალი.

●

თვალების ცაში ვარსკვლავები რომ გიციმციმებს, შენი უსიტყვო სიხარულის ნაპერწკლებია, მე შევიგრძენი შენი სულის უსასრულობა და უმწეობა შენი სხეულის...

ჩვენ დღეს ერთმანეთს მხოლოდ თვალებით მოვეფერებით და სათქმელსაც თვალებით ვიტყვით.

## შორისდებული

ფოთლის შრიალი, ბალახის ჩქამი და მდინარის ხმით სავსე ხეობა, ბარტყის ჭყლოპინი, გუგულების გადაძახილი...
ალსავსეა სივრცე ბგერებით, მარადიული სიცოცხლის ხმებით.

ჩვენც მხოლოდ მაშინ ვბაძავთ ბუნებას — მეტყველების უნარს რომ ვკარგავთ, როცა ხორხიდან ამოთქრიალებს უნებლიე შორისდებული. კამერტონიც შენსავით თრთის, თუმცა იგი ერთადერთ ბგერას გამოსცემს, შენში კი მთელი ორღანოა ჩამალული. შენი სხეულის ყოველი ნაწილი კლავიშია, სიმია, ბგერები ისე ბუნებრივად იშლებიან ჰაერში, როგორც ყვავილები, შენი ძარღვებიც ისე თრთიან, როგორც სხივები.

ამ სასწაულმა შეიწირა თითქმის ყველა თაობა...

ჩვენც ვეწირებით...

●

დასრულდა წიგნი, ბოლო ფურცელი,
როგორც შეზვედრა უკანასკნელი,
არის ალსავსე მარად უცვლელი
სინანულით და მწარე დასკვნებით.

არის სიცივე გაუცხოების
და ხმა, ყალბად რომ განაზებულა
და არის ეჭვი, თითქოს ცხოვრება,
ჩვენი ცხოვრება არც არსებულა.

ჩემივე ნებით წავალ ზამთართან
და დაწყევლილი ვრჩები წყეულად,
გაოგნებული ვფიქრობ: დამთავრდა,
რაც არასოდეს არ დაწყებულა.

●

გამახსენდება ღიმილი შენი,
როგორ მხიბლავდი თვალებით ნუკრის,
დღეს, სამწუხაროდ, ველარას გშველი
და გეფერები საოცრად გულგრილს.

ჩემი გვარიდან აწვდილი ხაზი —
ალივით ანთებს შენს მაცდურ მღვიმეს,
წინათ მღეროდი სხვანაირ ხმაზე
და მაგებებდი სხვანაირ ღიმილს.

დღეს უმარტივესს ვიხსენებ გამას,
ვეძებ კლავიშებს, ვერთობი ჩემთვის,
რომ შენი სისხლის ჩამქრალი ღამე
განათდეს ჩემი მკლავების დენთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დამეხსენი, დარდო,
მომარიდე ჭაობისფერი თვალები,
ნულარ გამახსენებ შენს ცბიერ სიღრმეს
და ზედაპირს, ცრუ ღიმილით მოფარდაგებულს,
რატომ მეგონა, შენი წასვლით
რომ სიცოცხლე დასრულდებოდა,
რომ ვარსკლავები ღამის ცაზე გაქვავდებოდნენ?!
სულ არაფერი შეცვლილა ქვეყნად,
მარტოოდენ მე შევიცვალე.
დამეხსენი, დარდო,
მომარიდე შენი ჭაობისფერი თვალები,
ნუ იხედები ჩემს სიზმრებში,
ნუ მაღვიძებ შუაღამისას!
რარიგ ჭრელია ეს ქვეყანა და საცოდავი.
შენც ისეთივე საბრალო ხარ, მიუსაფარი.
კი, მარტივია დასასრული და გაცვეთილი:
შენც ხომ სხვებივით წარმავალი ყოფა გიზიდავს?!
დამეხსენი დარდო,
მომარიდე შენი ჭაობისფერი თვალები,
შენს განწირულ ღამეებში იქვითინე,
შენს ხავსიან პოლიტიკას ჩაებღაუჭე,
რადგან სული გაყიდულია,
სიყვარული გაყიდულია,
რადგან ყულფში ვიწროვდება ამაოების.
დამეხსენი დარდო,
მომარიდე შენი ჭაობისფერი თვალები...
დრომ გარდასულმა გულზე ღრიალით გადამიარა
და შენს ნაპირთან ცოცხალ-მკვდარი რომ გამომრიყა,
რად მომეჩვენა რომ გადავრჩი შენი წყალობით,
მე კი ნებით, ჩემი ნებით ღალატისკენ ვეშურებოდი.
დამეხსენი დარდო,
მომარიდე შენი ჭაობისფერი თვალები.

●

ჩემო დაუვიწყარო სინანულო,
ჩემს ძვლებზე ამოღერილო
შემოდგომის ყვავილო,
სადაც არ უნდა წახვიდე,
მუდამ აქ ხარ,
ჩემს გულში ცხოვრობ,
მე ვარ შენი მარადი სახლი,
საბოლოო თავშესაფარი.

●

მე ისევ მარტო ვრჩები
ამ გულამღვრეულ ჟამთან
და სასჯელივით ველი
მოახლოებულ ზამთარს.
ეს დღეც წავიდა სადღაც,
სადაც ყოველთვის მიდის
და მეორდება თვალწინ
მარადიული მითი.
შემოპარულა ღამე,
ჩამუქებულა ქედი,
მხოლოდ ტკივილი მოჩანს,
სხვა არაფერი მეტი..
გასკდა ლოდინით გული,
არავინ ამბობს მართალს,
ალარაფერი ქვეყნად,
ბუნდოვანების გარდა.

●

თითქმის ორი საათი ვგლეჯდი ბალახს, ვიდრე თითები არ დამისისხლიანდა, ვიდრე სიცხით არ გავითანგე, გამძაგებული ვთხრიდი, თან განუწყვეტლივ შენზე ვფიქრობდი. მერე შევჩერდი, მივხვდი:

ბალახის კი არა, შენი ამოძირკვა მსურდა მეხსიერებიდან, შენს ხსოვნას ვებრძოდი, შენს მაცდურ ღიმილს...

შენც ამ ხშიარა ბალახივით ყველგან იზრდები და შენთვისაც სულ ერთია, ჭის მოეზვევი და ცრუ სიყვარულს ვის დააჯერებ...

ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლები და სარედაქციო კოლეგიის წევრები ულოცავენ პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს დაბადების მე-60 წლისთავს, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ჯანსუღ ჩარკვიანი

## ტერენტი გრანელის ჩანაწერებიდან

(1991 წლის 25 თებერვალი)

უდაბნო... ელდა... და მეწამული
სისხლის და შიშის და ძრწოლის დელგმა,
და ჰორიზონტად მექცა მამული,
დაუსრულებლად რომ მიდის ჩემგან.

ვკივი... მაკივლებს გამშრალი ცრემლი,
ჩამქრალი დღე და ზეცა მზებნელი,
ქართულ ტაძარში არ არის მრევლი,
ვკივი ამაოდ მღაღადებელი.

●

როგორც აბრაამს, რომ აღმითქვას მეც ზეციერმა,
რომ ჩემს მამულში, ჩემს მიწაზე, ჩემს სამშობლოში
განვების სასჯელს, უსასტიკეს და აღმგველ სასჯელს,
ღვთაების რისხვას გადურჩება ქალაქი, სადაც
თუნდ ათი კაცი მაინც ცხოვრობს არაცოდვილი,
მე, ამ დღეების,
ამ უგონო ქაოსის მომსწრემ,
ამ ჩემს მამულში,
ჩემს მიწაზე,
ჩემს სამშობლოში
რომელ ქალაქზე მიუთითო მამაზეციერს?

## პოეზიას

სინამდვილე,
ნაძერწი
შენი სითამამიდან,
შენი გადაელვებით ანთებული წამიდან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სინამდვილე,
შექმნილი
შენი მზით და რიტმებით,
შენით აელვარებულ ცისფერ ჭეშმარიტებით.

სინამდვილე,
ნაგები
შენი წარმოსახვიდან,
შენით ამოტყორცნილი სივრციდან და ჟამიდან.

სინამდვილე,
შექმნილი
შენი ხმით და ჰიმნებით,
ნამდვილ ზეცის სიღრმის და ნამდვილ ღმერთის მიგნებით,

ზეობს
სულის სიცოცხლის
დვრიტად,
არსად,
მთიებად,
ყოფნის ეჭვზე უეჭვო ყოფნის შურისძიებად.

## დავით აღმაშენებელი

(გელათის ფრესკა)

ის კვლავაც ცოცხლობს,
გარდაქმნილი
სიცოცხლედ ნაზრის,
იმ მაღალ აზრის —
ქართულ გზის
და ფიქრის საწყისის,
და ამ სიცოცხლით
აქანდაკებს
იდუმალ საზრისს
ქართული სულის
აღზევების და
კათარზისის.

ის კვლავ გრძელდება...
და ფრესკაზე
გელათის ტაძრის
დგას სავსე სიბრძნით,
სავსე ძებნით,
სავსე მიგნებით,
და ძალმოსილი
გამოხატავს
უმაღლეს საზრისს
თავისუფლების
ნაოცნებარ
პირამიდების.

●

რეზო თაბუკაშვილის ხსოვნას

მე კვლავ დავბრუნდები, გაცოცხლდება
ჩემი სულისთქმა და მაჯისცემა,
ფიქრში დახატული სინამდვილე
როცა სინამდვილედ გადიქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ყველა ფიქრს თავის ზუსტი ფერი აქვს,
სული ყველა ფიქრს ხატავს ფერებით,
ზოგს უმრუმესი გუაშებით და
ზოგს უნათლესი აკვარელებით.

დრო აელვარებს ამ ფიქრებს ფერადს,
ფერად ოცნებებს და სულს ნაწამებს.
...ჩემი ოცნება თეთრია ყველა,
რადგან შენა ხარ მათი სათავე.

## დღეს შენ მნიშვნელობ

ცისფერ აკორდად გადმონაღვარი,
იდუმალ შუქად გადმონაფენი,
დღეს შენ მნიშვნელობ
და სხვა არავინ,

სხვა არავინ და სხვა არაფერი.

დღეს შენ მნიშვნელობ! და პირამიდებს
აგებ ციური და მიწიერი,

აუსაზღვროებ ჩემს სინამდვილეს
შენგან გადახსნილ
თვალსაწიერით.

ცისფერ აკორდად გადმონაღვარი,
იდუმალ სხივად გადმონადენი,
დღეს შენ მნიშვნელობ და სხვა არავინ,
მხოლოდ შენ, მეტი სხვა არაფერი.

## პირველი ნაწყვეტი ციკლიდან: „დ რ ო“

ყველაფრის ამხსნელ
აზრს
არ ძალუძს
ახსნას ის ფაქტი,

რომ არსებობდა,
რომ ცხადად და
ნამდვილად იყო
დრო — ჩემი,
მაგრამ დრო — შენამდელი.

## მეორე ნაწყვეტი ციკლიდან: „დრო“

ყველაფრის დამტევ მოგონებას არ შეუძლია,
რომ გაიხსენოს დრო,
რომელიც ნამდვილად იყო,
მაგრამ, როდესაც არ იყავ ჩემში.

●

როგორც გამხელა იდუმალების,
როგორც წამყოფა სულის კაეშნის,
ისე კრთებიან შენი თვალები
ამ,
უშენობით სავსე,
ღამეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დალი ცაავა



## კაპრიჩიო — 13

ა. ი. ბროდსკის ხსოვნას

ნუ მეტყვი...
რომ მოსწყდა ცას ბედის ვარსკვლავი... და თეთრი ლოტოსი
ნაღველმა გარინდა... გორდიას კვანძივით განხმულა ქვესკნელნი...
დგას სულთა მეუფე ამღვრეულ ნაპირთან...

ნუ მეტყვი...
რომ გაჰყვა გარდასულ მაისებს... უდაბნოს ქარებით
შეშლილი ოცნება... რომ ტირის რაქილი და უკაცრიელი...
გზის დასალიერი დაბინდეს ფიქრებმა...

ნუ მეტყვი...
რომ ისევ ამაოდ მელოდე... ხელში აბედივით
ჩაგადნა სუმბული... რომ ლევიათანის ხახაში ჩაეშვა...
მთვარე და განქარდა ნეტართა კუნძული...

ნუ მეტყვი...
რომ განვლე წრე რიგით მეშვიდე... ახლო არს ზამთარი
და ჟამი გლოვისა... რომ ცეცხლის წვიმებმა წალეკეს სოდომი...
სიცოცხლეს ეჯრება მონაი უფლისა...

ნუ მეტყვი...
რომ ფერფლად მიიქცა იმედი... ლანდების მხარეში
დარია მწუხარე... რომ ისევ ალხევდა ხმა ემმაკეული...
და შავი კირჩხიბი მილოლავს ქვიშაზე...

ნუ მეტყვი...
რომ იქაც არ არის საშველი... აღსრულდა უკლისად
ღვთის დანაპირები... რომ ტანი ქარვისფერ ტალღებში განბანეს...
და ამქვეყნიური არ გახსოვს ცოდვები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ მეტყვი...
რომ იქაც ღამეა მარადი... სიჩუმედ ქცეული
სიჩუმით იღლები..., მე თავად შლეგი ვარ და დაბადებიდან
ქალდეველ ქურუმთა მაწვალებს ხილვები...

## კაპრიჩიო — 14

დუმს ვიოლინო,
ნერვიულად ცრის ოქტომბერი,
იგონებს წარსულს გაწყვეტილი ოდესღაც სიმი...
თეთრი ქედანი უკვე გასცდა ცეცხლისფერ ღრუბლებს
და სულში კვნესის უნუგეშო ცის რექვიემი.

ვიცი, ეს ღამე უეჭველად მიმიყვანა ზღვასთან,
მახსოვს ნაპირი,
მთვარეული ხომალდის აფრა...
ეთხოვებოდა პერსეფონე ვარდების მხარეს,
ღვთის გარეგანი იცინოდა ბნელეთის კართან.

ვიცი, ეს ღამე არასოდეს მომიყვანს შენთან,
მახსოვს ნაპირი,
აღარ მახსოვს ხე — ძირნაყარი...
ბედის გამრიგეს დაეხურა წიგნი სამისნო
და შემზარავად ახლო იყო გზის გასაყარი.

ვიცი, ეს ღამე ნაწვიმარი ქუჩებით დამღლის,
დაეკიდება საკვამლურზე
ფიქრი უვნებო,
გადავეყრები კუდიანი ვარსკვლავის აჩრდილს,
რომ სიკვდილამდე ქარში მეძებო...

...მეძებე, როცა შორეული დღეების ექო,
აზრიალდება დამშეული ლომის ხახაში,
მზე ჭიაფერი
საპყარივით აივლის ბექობს
და მობეზრდება უდღეური ბედის თამაში.

მეძებე, როცა შემოდგომის გვიანი ჟამი,
აბოჭავს ფოთლებს,
დაოკდება ღამე — აფთარი
და არსაიდან მარტოობის ცალი ქალამნით,
ჩამოშვავდება უმკაცრესი შენი ზამთარი.

მეძებე, როცა გაიშლება ხსოვნის ყვავილი,
ცაიერადი შემოიხსნის ვერცხლის არტახებს,
შვების სანაცვლოდ სულს წაიღებს სატანაელი
და შავნაღველი დახშულ კარებს გააპარტახებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეძებე, როცა ამღერდება სიმი ეული,
გადაიქუხებს უდაბნოში ხმა მოლაღადე...
მოვა თიბათვე,
გამთენიის ნამით ცვრეული
და უმიზეზოდ იბობოქრებს ზღვა —სამარაგდე...

...დუმს ვიოლინო,
ფანჯრის მიღმა სხვა ზამთარია...
თოვს ტირისდენი, თავდაღმართზე მიქრის მარხილი,
ქორონიკონი მოსისხარის ხელმა არია
და მერმისიდან აღარ ისმის ჩემი ძახილი...

ნუ მესიზმრები,
უდაბური სულის სენაკი
გადაეჩვია გაზაფხულის კორიანტელებს,
შავი ბქატის კრიალოსანს მარცვლავს ეშმაკი
და დაღლილ მხრებზე უხმაუროდ მაყრის ფანტელებს...

ჟღერს კაპრიჩიო...
სიყვარულის გვიანი ხარკი.
ცის კაბადონზე უფლისწულად ზის ორიონი,
თენდება, ფურცელს ღვთაებრივი ანათებს ბაკმი
და მისდევს მშვიდად სიტყვას სიტყვა, სტრიქონს სტრიქონი...

## კაპრიჩიო — 15

დიდი ხანია
არ გიგზავნი შეშლილ წერილებს,
არ ვუხმობ მისანს — აღარ ველი ამბავს შორიდან,
გავხსნი კიდობანს, მოგონებით მოვრთავ საღამოს,
აი, სიმდიდრე... იმ მეჯლისებს რაც გადაურჩა.

ყალამქარივით მსუბუქია ჩემი სხეული,
ვზი მარტოსული,
მთვარის შუქზე ვძერწავ კელაპტარს
და როგორც მონას ოდინდელი ხელზე ბორკილი,
მომენატრები... ისევ მძულხარ! ისევ მიყვარხარ!

შეჰყრია ზაფრა შემოდგომის ნისლიან ბაღებს,
ცრის ოქტომბერი, იწრიტება სხივი ნათელი...
მივმართავ სიმებს,
სომნამბულთა ავშლი ქარავანს,
რომ ყიამეთში მისტერიად იქცეს ნაღველი.

ჩივხურავ სარკმელს...
უსავანო სულის სალბუნად —
გადავშლი გულანს, მივენდობი წყობილ სტრიქონებს

ბიბლიოთეკა

და უდრტვინველი, ვით რაქილი, მეშვიდე ზამთარს
ძველ სავარძელში უშენობას გადავიტკივებ...

არ გეთხოვები!
კვლავ შევხვდებით ალთქმულ ჭალაკში,
ორი მოწამე, ორი ლანდი, ორი ცოდვილი...
ცა განიხვნება, შეიკვრება ჟამთა კარიბჭე
და მოადგება მარადიულ ნაპირს ქარონი...

## კაპრიჩიო — 17

შენ კი გეგონა,
უშენობას ვერ ავიტანდი,
ზამთარში ზვავი წამლეკავდა, გაზაფხულზე — წარღვნის ნაკადი,
ნისლის ყურეში შავნაღველი აშლიდა აფრებს,
ყრუ და ბრმობილი მარტოობით შევშლიდი ქარებს.

შენ კი გეგონა,
ეფემერას ჰგავდა იმედი,
ქვეყნის კიდემდე მიმიყვანდა შორეული გზების ხავერდი,
მობეზრდებოდა სულს ობლობა და უდრტვინველი
მიიძინებდა სამსხვერპლოზე ლურჯი ფრინველი.

შენ კი გეგონა,
მხოლოდ შენთვის მღეროდა თარი,
დაღლიდა სიმებს ძველი სევდა და საკვნესარი,
გადამიხსნიდა მაჯას სივრცე უგანთიადო,
აყვავდებოდა ქვა — საკვერე, გახმებოდა ხე — ავოკადო.

შემოდგომაა...
ნაღამური ბორგავს მდინარე,
ავდრის ღრუბლებმა წნორის ჭალებს გადაუარეს,
წუხს უსახური, ხან ოწინარს, ხანაც ჭიშკარს ამიჭრიალებს,
ვუზივარ სართავს და ვიგონებ ჩამქრალ ჩქერალებს.

შემოდგომაა...
ო, მაშინაც ჟამი ფარსაგი
იდგა ედემში, წენგოსფერი მეცვა პერანგი,
ცა იყო მღერიე და უგონო, ადიდებდა ღამეს ბოროტი,
მერქვა ცოდვილი... წყალს მიჰქონდა მთვარის ნაფოტი.

შემოდგომაა...
ნოემბერი ხლართავს ფარდაგებს,
მალე სიკვდილი ამ კუნძულსაც გააჩანაგებს,
ნისლის ყურეში მიმცხრალ აფრებს აშლის ქარავი,
წავალ საითმე, იქნებ ვინმემ შენი ყოფის მითხრას ამბავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კაპრიჩიო — 18

ტატიანა დიშლენკოს

ჟანმი მიიწურა... მალე გათენდება ღამე იავარი...
თოვლის ქალბატონი ცივი და სასტიკი...
ჩაივლის ზამთარი...

მალე გათენდება... იდუმალ გრაგნილებს გადახსნის ფატუმი...
და შეაფითრდება ცას მოხეტიალე...
ვარსკვლავთა ალლუმი...

ჟამი მიიწურა... საცაა წარსდგები მსაჯულთა წინარე...
და აირეკლება გაბზარულ სარკეში.
გარემო მწუხარე...

სულს უიმედობის ნალველში ჩაძირავს... ამაო ძახილი...
ტოტი მიიდრიკა... არც ერთი ფოთოლი...
არც ერთი ყვავილი...

ხეო ვარამისა... ასე განძარცული დარჩები მარადის...
რომ მხოლოდ სიზმარში იხილონ ფესვებმა...
ფერი სამარაგდის...

ღია სამარისკენ ივლი წყვდიადებით... ასე მარტოსული...
აქ უკვე დარია... და ისევ უშენოდ...
მოდის გაზაფხული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## მაზურა არაბული

●

ორი ნაწნავი, გიშერი...
მზეო, რაც უნდა ელავდე,
უკვე ვერაფერს მიშველი
ჭაობში ჩაფლულს ყელამდე.
კარგად ეტყობათ სიმთვრალე
ღვინით ავსებულ ხელადებს,
როდის მოგვივა აპრილი,
ფოთლებს რომ შეაფერადებს...
„ასი წელია, მოვდივარ,
ვერ მოვაღწიე შენამდე!..."

### ნ. დ-ს

დავჯექ მგოსნად და ამულად,
თუმც მთებში ელავს ელვა!..
ტკბილი დღეები მაჩუქა
ნათიამ თელაველმა.
ვერა ვარ კაი ბიჭი და
კაი მიჯნურიც ვერ ვარ —
შორიდან ყველას ვაჩვენებ
ჩემგან ფეხდადგმულ მწვერვალს!..
ვზივარ. მინთია ბუხარი,
ვგრძნობ გარეთ ყინვის ჭახჭახს,
თვალს კაი ქალი უხარის
და ფიქრსაც — კეთილ ყაჩაღს.
ჯიხვების ნაჯახჯუხარი
შავი კლდე რა შორს დარჩა,
მას ველარ ვკოცნი, ვინც მიყვარს,
ვერც ვახურდავებ ხანჯარს!..
თუნდ თავდაყირა დადექი,
არ ჩანს, საშველი არ ჩანს!..

●

გამომიწოდა ტოტი —
ხეს ჩამოვართვი ხელი...
წარსულს ბარდება ძველი —
ახალი წელი მოდის.
თვალს გადავავლებ წამით
ძველ წელს, წელიწადს ცხენის.
ჩვენ ძეგლს ვუნგრევდით ლენინს,
ასეთი იდგა ჟამი.
თუმც მომავალიც ვზარდეთ,
თუმცა ვებრძოდით ნისლებს,
მაინც ქართველი ისევ
თოფს უმიზნებდა ქართველს.
როგორ ამდენი შხამი,
როგორ ამდენიც გესლი,
ქართველი ქართველს ესვრის
და კლავს დღისით და ღამით.
არკეთილ სიზმრებს ვხედავ
და ლამის გასკდეს გული.
კარგს რას მოგვიტანს, ნეტავ,
ეს წელი მაიმუნის?..

ლეკსიკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

რაც უფრო დიდხანს იცოცხლებსო,
უფრო კარგია, უფრო დიდხანს
იტანჯებაო, —
ასე ფიქრობს ჩემი მტერ-მოყვარე!..

## ერთ წიგნზე მინაწერი

კაცი წერს: 1903 წელს დავიბადეო
და იქვე:
აკაკი რომ გარდაიცვალა,
რვა წლისა ვიქნებოდიო!..
ან საკუთარი დაბადების თარიღი არ
ახსოვს,
ან ის არ იცის,
რომელ წელს გარდაიცვალა აკაკი!...
უფრო კი საფიქრებელია:
1915-ს რომ 1903 გამოვაკლოთ,
რამდენია, არ იცის!..
არსებობენ ასეთი მწერლებიც!..

## დაეჭვება

ვერ დამიამებს ტკივილებს ლექსი,
რითმა და მეტაფორის მალამო...
იქნებ რასაც ვწერ, არავის ესმის,
იქნებ ტყუილად გტანჯავ, კალამო?
ხსოვნას შემორჩა ფოთოლი თუთის,
თოვს. გაზაფხულზე ისევ ვოცნებობ...
პირში მითხარით კარგიც და ცუდიც,
ხმა ამოიღეთ, კრიტიკოსებო!

●

თუმც არ მინახავს ჯერ ირლანდია,
თუმცა არ ვიცნობ ირა ლანდიას,
რასაც ვპოულობ, იმასაც ვკარგავ
და დაკარგულზე არ მიდარდია.
სადაც არ სჯობდა, არ გავეცალე,
მაინც გავხსენი შუბით კლდეკარი,
თუმცა მე სხვებზე მეტად ვეწამე
და გულშიც ბევრი დამრჩა ეკალი.
სამჯერ მოვკვდი და აღვსდექ მესამედ,
ბილწთ ზავით მაინც არ შევეკარი!..

## საათი

საათი გამიფუჭდა
და გამეხარდა!..
რად გამეხარდა?
იმიტომ ხომ არა,
რომ ახალ საათს ვიყიდი...
მაგრამ მე ხომ მდიდარი არ ვარ.
ორმოცდაათი მანეთი,
რაც საათში უნდა მივცე,
ხომ მძიმედ დააწვება
ჩემს ბიუჯეტს...
ფსიქოლოგებო, გზას ვერ გაიკვლევთ
ჩემი ფიქრების უდაბურ ტყეში.

●

ბიძას კი უყვარს ძმისწული,
ძმისწულს თუ უყვარს ბიძა?
მხოლოდ თქვენს გამო ვცახირობ,
მხოლოდ თქვენს გამო მღვიძავს!..
თქვენ დამალვარეთ ცრემლი და
თქვენ დამაყარეთ მიწა!..

[illegible]

## გია ჩუბუა

# უხეირო თამაში

### მოთხრობა

ჩვენი ელექტროსადგური ენერგეტიკულ გიგანტთა რიცხვს როდი განეკუთვნება, იგი პატარაა და ასევე პატარა დაბითურთ, ციცაბო მთებს შორის მოქცეულ, ლამაზ, მაგრამ მეტისმეტად მივარდნილ ხეობაშია მიკარგული. უახლოეს დასახლებულ პუნქტს — სოფელს, სადაც თხუთმეტიოდე კომლილა ცხოვრობს — მანქანით თითქმის ორი საათის სავალი მანძილით ვართ დაშორებული, ხოლო ქალაქში ჩაღწევას ნახევარ დღეზე მეტხანს ვუნდებით მიყრუებულ ადგილებშიც ზოგჯერ ხდება ღირსსაცნობი ამბები, მაგრამ სამწუხაროდ, გარემოებათა გამო, ეს ამბები საინფორმაციო საშუალებების ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე და დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა.

ჩვენთან გამართული „საფეხბურთო პროგნოზის“ ერთ ტირაჟზეც ადგილობრივთა გარდა, ცოტა ვინმეს თუ სმენია რაიმე; პრესაში და რადიო-ტელევიზიაში ამაზე არაფერი თქმულა, თავისთავად კი, ისე ულმერთოდ ვართ მოწყვეტილი ქვეყნიერებას, კანტიკუნტი ხმებიც იშვიათად თუ გასცდება ჩვენს ხეობას. სწორედ აღნიშნული ტირაჟის გარშემო მინდა მოგითხროთ იმის იმედით, რომ, მიუხედავად ფეხბურთისადმი დამოკიდებულებისა, ჩემი მონათხრობი საინტერესოც იქნება თქვენთვის და საგულისხმოც.

ზუსტად არავინ იცის, როგორ გაჩნდა იდეა, რომელმაც შემდგომ მთელი თვით უკიდურესად დამუხტა და დაძაბა ბიჭები, და განა მარტო ისინი. ახლა გახსენებაც არ უნდა არავის, მაშინ კი, იმ ერთი თვის განმავლობაში, ბევრი იჩემებდა იდეის ავტორობას — მე ვთქვი პირველად, არა-მეო. ყველა, ვინც ამას ამტკიცებდა, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულს ჰგავდა, ასე რომ ძნელა სათქმელია, პირველად ვის შეასკუპდა ეშმაკი მხარზე — ავთოს, გოგის, გოდერძის თუ ფეოლას — საფეხბურთო გუნდ „ტურბინის“ მთავარ მწვრთნელს, სხვებზე მეტად, ესენი აქტიურობდნენ, თუმცა მათ გენური და ნოდარიც ბევრად არ ჩამორჩებოდნენ.

ასეა თუ ისე, იდეა გაჩნდა და მალე მას ხორციც შეესხა. „საფეხბურთო პროგნოზის გათამაშებამ (ასე მონათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს იგი მონაწილეებმა, უფრო სხარტი ტერმინი — „სპორტპროგნოზი“ მაშინ ჩვენთან არავის გაეგონა, თორემ, ალბათ, მას მიანიჭებდნენ უპირატესობას) დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია დაბაში. გულგრილი არავინ დარჩენილა, თავგადაკლული გულშემატკივრებიდან დაწყებული — პატარა ბავშვებით, ქალებით და იმ მამაკაცებით დამთავრებული, ვისთვისაც ფეხბურთი ბურთის უაზრო, მოსაწყენი გორებაა მხოლოდ. შესაძლოა, ეს იმითაც აიხსნას, რომ აღნიშნული გათამაშება საერთოდ ახალი ამბავი იყო მაშინ, და საკმაო დროით უსწრებდა შემდგომ სოკოებივით მომრავლებულ და სახელმწიფო დონეზე აყვანილ ნაირგვარ „სპორტპროგნოზებს“. როგორც მერმინდელმა მოვლენებმა აჩვენა, დაბადება იდეისა, ერთობ მაცდური რომ გამოდგა დაბელებისათვის, შემთხვევითი კი არ ყოფილა, სავსებით კანონზომიერი რამ გახლდათ. ერთბაშად გამდიდრების ილუზიის მომხიბვლელობა თურმე მთელს საზოგადოებრიობაში შეუმჩნევლად ამწიფებდა სათანადო იდეებს და მალე კიდეც აგორდა პროგნოზომანიის ტალღა. ჩვენთან ვნებათაღელვა ერთ თვეში დაცხრა და მას შემდეგ ხაზგასმული გულგრილობით უყურებენ მსგავს გატაცებებს, იმ გათამაშებას კი, სიტყვას მალით თუ ამოაღებინებთ, მეტად უხალისოდ და უნდობლად იხსენებენ...

მეცამეტე მსოფლიო ჩემპიონატი კარს იყო მომდგარი. დედამიწის ხუთივე კონტინენტზე ენით გამოუთქმელი ნეტარების მოლოდინში იყვნენ გულშემატკივრები. მოუთმენლად ელოდნენ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას დაბელი ფეხბურთის მოყვარულებიც. ფეხბურთი მათთვის ნიშნავდა ცოტა მეტს, ვინემ, ვთქვათ, ქალაქელი გულშემატკივრებისათვის. დაბაში იგი ხშირად ერთადერთი გასართობი იყო. ელექტროსადგურში მომუშავეთა ცხოვრება ერთთავად ტურბინების შრიალში, გენერატორების გუგუნში და ტრანსფორმატორების ზუზუნში გატარებული დღეებისა და უშფოთველი, წყნარი საღამოებისაგან შედგებოდა. ამ მომაბეზრებლად მონოტონურ ყოფაში ფეხბურთს, მით უმეტეს, მსოფლიო ჩემპიონატს, დიდი გამოცოცხლება შემოჰქონდა. საზრუნავიც მრავლად გასჩენოდათ ბიჭებს: ვის ტელევიზორის შეკეთება უნდა მოესწრო, ვინ — ფერადი ტელევიზორის შეძენას ჩქარობდა; დაბის თავზე აღმართული რეტრანსლატორიც მოსაწესრიგებელი იყო. ეს პრობლემა ფეხბურთის მოყვარულებს ძალიან აწუხებდათ; ტელეგადაცემების ხარისხი თუ არ გაუმჯობესდებოდა, მათთვის ჩემპიონატს ელფერი დაეკარგებოდა. ყოველდღე შეახსენებდნენ ამას პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს, ისიც დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდა ტელეცენტრში.

საფეხბურთო თემა სულ უფრო მეტ ადგილს იჭერდა საუბრებში. იხსენებდნენ წინა მსოფლიო ჩემპიონატებს, ცალკეულ დაუვიწყარ მატჩებს, მსჯელობდნენ მათი შედეგების კანონზომიერებასა და სამართლიანობაზე. სულ უფრო ხშირად გაიგონებდით ძველი თუ ახალი თაობების გამოჩენილ ფეხბურთელთა გვარებს, სახელებს, მეტსახელებს. აღტაცებით ლაპარაკობდნენ მათ მიერ გატანილ ლამაზ გოლებზე. არჩევდნენ, ვინ გახდებოდა მომავალი მსოფლიო ჩემპიონი, ვის ჰქონდა საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი. აფასებდნენ, წონიდნენ, ერთმანეთს ადარებდნენ მონაწილე გუნდების შესაძლებლობებს. ბუნებრივია, შეხედულებები ხშირად განსხვავებული იყო, არცთუ იშვიათად — საპირისპიროც, და იწყებოდა კამათი, დავა, საკუთარი თვალსაზრისის ემოციური დასაბუთება. ერთნი ბრაზილიას უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას, მეორენი — გერმანიას, მესამენი თვლიდნენ, რომ იტალია შეძლებდა ჩემპიონობის შენარჩუნებას. მავანი იმასაც კი ამტკიცებდა, პირველობას საბჭოთა ნაკრები მოიპოვებსო! ღიმილისმომგვრელი პროგნოზები სხვაც იყო... ერთხელ, მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ხალისიანი მასლაათისას, ვიღაცამ თქვა: მოდი, ფული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდოთ და შედეგების გამოცნობაში გავეჯიბროთ ერთმანეთს, აი, მაშინ ვნახავთ, ვის ესმის უკეთესად ფეხბურთიო. თავდაპირველად ამ წინადადებას მაინცდამაინც არავინ ალუფრთოვანებია, სერიოზულ ნათქვამად არც კი ჩაუთვლიათ. ზოგს საერთოდ არ გამოუვლენია თავისი დამოკიდებულება, ზოგმა ჩალიმებით გამოხატა იგი, ორმა-სამმა კი — კარგიო, სხვათა შორის თქვა. იმ დღეს ამით დამთავრდა ყველაფერი; რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ჩამოვარდა ამ თემაზე ლაპარაკი. არც ამჯერად შეცვლილა ბიჭების რეაქცია, წინააღმდეგი არავინ იყო, მაგრამ არც ნამდვილ, რეალურ საქმედ მიუჩნევია ვინმეს; ჩაიცინეს, წაიხუმრეს და ჩაჩუმდნენ. წესად ჰქონდათ ქცეული: იტყოდნენ რალაცას, წაიკამათებდნენ, დანაძლევდებოდნენ, პირობას დადებდნენ, საქმე კი იშვიათად მოსდევდა სიტყვას და შერჩეულ-შეგუებულნი იყვნენ ამას.

ხსენებული იდეა დროდადრო მიინავლებოდა, მაგრამ ისევ შეუბერავდა სულს რომელიმე და ხელახლა გააღვივებდა.

შვებულებიდან ახლად დაბრუნებულ ვასიკოსათვის ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც შესვენების წინ მაღალი ძაბვის ლაბორატორიიდან გამოვიდა და დერეფნის ბოლოში, სიგარეტის მოსაწევ კუთხესთან შეჯგუფული ამხანაგ-მეგობრები დაინახა. ისინი, რა თქმა უნდა, ფეხბურთზე ბჭობდნენ. ვასიკო ღიმილით შეუერთდა მათ, ხელი ჩამოართვა ყველას და ტყუილად დაობთო, თქვა, ვარიანტი არაა, რომ ჩემპიონი ბრაზილია არ გახდესო. გოდერძი მაშინვე შეეკამათა, — არა, ჩემპიონი ინგლისი იქნებაო და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— ოჰ, ამან რამე უნდა დაარეხვოს აუცილებლად! — გაღიზიანებით თქვა ავთომ.

— თუ გინდა, დაგენაძლევები! — მასაც შეეპასუხა გოდერძი. თავისი სიტყვებით მოგვრილი კმაყოფილების ნათელი ედგა ისევ თაფლისფერ თვალებში. — დაჰკა! დაჰკარი ხელი! — გამომწვევად გაუწოდა გაშლილი მტევანი.

— იტყვის რაღაც სისულელეს და უხარია! — განაგრძო ავთომ.

— თუ სისულელეს ვამბობ, რად არ მენაძლევები? — მშვიდად უთხრა გოდერძიმ.

— რა აზრი აქვს შენთან დანაძლევებას, ოდესმე გიკისრია რამე?!

— წამიგია რო?

— უსმინე ახლა ამას!

ავთომ გაბრაზებით ჩაიქნია ხელი, შენთან ლაპარაკი არა ღირსო. გოდერძიმ კი იმავე კილოზე განაგრძო: — ვისაც უნდა, იმას დავენაძლევები, რომ ჩემპიონატის ბომბარდირი ლინეკერი გახდებაო.

— ჩემპიონი ბრაზილია იქნება და ბომბარდირი კარეკა, — დაბეჯითებით თქვა ვასიკომ. — გინდათ, დაგიმტკიცოთ? ჯერ ერთი, ბრაზილია პოტენციურად ყველაზე ძლიერია; მეორეც, ბრაზილიამ ოთხი წლის წინათ მწარე გაკვეთილი მიიღო და მაშინდელ შეცდომებს მეტად აღარ გაიმეორებს; მესამეც, ბრაზილიას კარგადა აქვს დაცდილი მექსიკის სტადიონები, 1970 წლის ტრიუმფი ხომ გახსოვთ, ახლაც იგივე განმეორდება.

— მაშინ პელე ჰყავდათ, — შენიშნა გენურიმ.

— მართალია, — კვერი დაუკრა გოგიმ, — პელე ნახევარ გუნდს უდრიდა!

— მწვრთნელს ჩარლტონი რომ არ შეეცვალა გერმანიასთან თამაშის დროს, მაშინაც ინგლისი გახდებოდა ჩემპიონი!

ვასიკოს საწინააღმდეგოდ ბევრი სხვა არგუმენტიც გამოითქვა: — ბრაზილიელთა თამაშს მიზანდასახულობა აკლიაო, რიგიანი მეკარეც არა ჰყავთო; რომანტიკული ფეხბურთის დრო წავიდაო, ევროპაში უფრო რაციონალურ და პრაქტიკულ ფეხბურთს თამაშობენო...

— ძმებო, ასეთი ლაპარაკი არ გათავდება, სანამ ამას წინათ რაც ვთქვით, ისე არ მოვიქცევით, — ჩაერია საუბარში ფეოლა. იგი აქამდე ჩუმად იდგა, პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რში სიგარეტი გაერჭო და ბოლში გა- ხვეულიყო. — ყველას რომ ფეხბურთის პროფესორებად მოგაქვთ თავი, რისა გეშინიათ, დავდოთ ფული და, ვისაც პროგნოზიც გამართლდება, იმან წაი- ღოს.

— შიში რა შუაშია, თუ არიან მსურ- ველები, მე აგერა ვარ.

— კი მაგრამ, როგორ უნდა გავითა- მაშოთ?

— როგორ და, დავწეროთ, ვინ გავა საპრიზო ადგილებზე.

— ეგრე არა, თამაშების შედეგები უნდა დავწეროთ.

— წინასწარ რომ არ ვიცით, ვინ ვის შეხვდება?

— ჯგუფებში ხომ ვიცით!

— მერე?

— მერე... მოფიქრება უნდა მაგას.

— დავსხდეთ ერთად და მოვიფიქროთ, აბა, რისთვის მყავხართ ამდენი ინჟი- ნერი.

ფეოლამ სიგარეტის ნამწვი სანაგ- ვე ყუთისკენ ისროლა, პირიდან კვამ- ლის ბოლო რგოლები გამოუშვა და ბი- ჭები დაანამუსა, ამ საქმეს სახვალიოდ ნუ გადავდებთ, დღესვე გადავწყვიტოთ საბოლოოდო.

ამასობაში შესვენების მაუწყებელი ზარიც დაირეკა. ვასიკო შინ სადილობ- და ხოლმე, ამიტომ ავთოსთან ერთად ჩამოშორდა შეკრებილებს და დაბაში მიმავალი ავტობუსისკენ გაემართა. ნა- შუადღევს ფოიეში, ელვა-ინფორმაციის დაფაზე ახალ განცხადებას რომ მოჰკ- რა თვალი, პროგნოზების ამბავიაო, გა- იფიქრა, მაგრამ შეცდა. ელექტროსად- გურში ერთი საძილე გარნიტური მი- ღოთ განაწილებით, მსურველებმა პრო- ფკომიტეტს მიმართონო, ეწერა განცხა- დებაში.

შესვენების შემდეგ ფეხბურთისათვის ვეღარ მოიცალეს, საგენერატორო დარ- ბაზში ფარზე მოკლე ჩართვა მოხდა, რამაც აგრეგატის გამორთვა გამოიწვია. ავარიის ლიკვიდაციას დარჩენილი სა- მუშაო დროც შეეწირა და მთელი საღა- მოც, თერთმეტი საათი ხდებოდა, როცა საქმეს მორჩნენ. ვასიკო ისე დაღლილი დაბრუნდა შინ, არაფრის თავი აღარ ჰქონდა.

— ამდენ ხანს სად იყავი? — ჰკით- ხა ციურიმ. ვასიკოს არაფერი უპასუხ- ნია, მეუღლის ხმაში თანაგრძნობა უფ- რო ისმოდა, ვიდრე კითხვა. ციურიმ, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა ელექ- ტროსადგურში მომხდარი შემთხვევის ამბავი. საერთოდ, ყველაფერი, რაც ელექტროსადგურში ხდებოდა, სრული- ად უმნიშვნელო წვრილმანიც კი, გასა- ოცარი სისწრაფით, თითქმის იმავდრო- ულად ედებოდა დაბას.

— გარნიტური რომ მიუღიათ, გაიგე? — შემპარავად წამოიწყო ციურიმ, რო- დესაც ქმარს ვახშამი გამოუტანა და თვითონ წინ ჩამოუჯდა.

— არა, — რაც შეიძლება დამაჯერე- ბლად მიუგო ვასიკომ.

— ყველამ გაიგო შენს გარდა!

— ხომ იცი, ავარია გვქონდა.

— ვიყიდოთ, რა, — თვალებში მუდარა ჩაიყენა ციურიმ.

— რა გარნიტურია? — გრძელი პაუ- ზის შემდეგ გულგრილად იკითხა ვასი- კომ.

— საძილე, რუმინული... ოჰ, ვითომ არ იცის! გეხვეწები, ვიყიდოთ, რა, თო- რემ ყოველთვის არ იქნება.

— კარგი... თუ მოგვცეს.

— რატომ არ უნდა მოგცენ, ჯერ არ- აფერი გამოგიტანია განაწილებით!

— მარტო მე ხომ არა ვარ ასეთი.

— შენ რა, მაინცდამაინც ყველაზე ბო- ლოს უნდა გერგოს?! დროულად თუ ეტყვი, მოგცემენ, დღესვე უნდა გეთქვა.

— ტელევიზორის ყიდვა რომ გვი- ნდოდა?

— ფერად ტელევიზორს თუ არ ვუ- ყურეთ, ამით არაფერი დაგვაკლდება, გარნიტური უფრო საჭიროა, მომკლა ზამბარებდაჯდრეულ საწოლზე წოლამ.

— ვნახოთ...

— ვნახოთ არ უნდა ამას, დილითვე უთხარი, იცოდე, ხვალ!.. გოგოებს უნდა ვთხოვო, ამ თვის ლატარიის ფული მე დამითმონ, ხუთასი მანეთი ხომ გაქვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელფასსაც რომ დაუმატებ, მოგროვდება...

იმ ხუთასი მანეთითა და ხელფასით ვასიკო ტელევიზორის ყიდვას აპირებდა (მუშათა მომარაგების საქონელმცოდნეს სიტყვა ჰქონდა მიცემული — „ელექტრონს" გამოგატანინებ თავის ფასშიო), მაგრამ ცოლმა აზრი შეაცვლევინა. ქალი მართალი იყო. საძილე გარნიტური აუცილებლად სჭირდებოდათ, ფერადი ტელევიზორის გარეშე კი არა უშავდათ რა. „აგერ, ნიკუშასთან ვუყურებ ფეხბურთს", გაიფიქრა ვასიკომ და პირობა დადო — ხვალ, დილით დაველაპარაკები პროფკავშირის თავმჯდომარეს, თუ საჭირო შეიქნა, დირექტორსაცო. ციური ოცნებანარევი ხმით შეუდგა იმის დაგეგმვას, თუ როგორ განალაგებდა ახალ ავეჯს. ვასიკო ცოტა ხანს უსმენდა, მერე შხაპი მიიღო და დაწვა. ეგონა, მაშინვე დაეძინებოდა, ჩასთვლიმა კიდეც თითქოს, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ უეცარმა ფიქრმა გაუარა ტვინში და თვალი გაახელინა. ზაფხულის სიცხეები იდგა, ღამით ოდნავადაც არ აგრილებულა, პირიქით, უფრო ჩამოიხუთა. სიცხემ და სასთუმალთან ბომბდამშენებივით მოპიკირე კოღოებმა საბოლოოდ გაუკრთო ძილი. მთლად გამოფხიზლდა თანდათან. მიხვდა, რომ დიდხანს ვერ დაიძინებდა და გაღიზიანდა. უცნაური მოუსვენრობა დაეუფლა, აწრიალდა, წარამარა იცვლიდა გვერდს, ოფლით დაეცვარა სხეული. ბოლოს საშინლად გაბეზრებული, საწოლზე წამოჯდა, წუთიერი ჭოჭმანის შემდეგ უხმაუროდ ადგა, ბავშვს დახედა, გადახდილი საბანი გაუსწორა და მეორე ოთახში გავიდა. შუქი ჩართო, კაშკაშა სინათლემ თვალი მოსჭრა, ჭაღი ჩააქრო, სამაგიდო ელექტროლამპა აანთო და ძველი გაზეთების ქექვას შეუდგა. ხუთიოდე წუთში საჭირო გაზეთი ამოძებნა, გაშლილად დადო მაგიდაზე, მერე რვეულის შუა ფურცლები ამოხია, დაჯდა და კალამი მოიმარჯვა. ფურცელი ექვს გრაფად დაჰყო, გრაფებში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ჩაწერა ჯგუფების მიხედვით. ერთხანს თამაშების კალენდარს ჩაჰკირკიტებდა, რაღაცას ინიშნავდა, აზუსტებდა. კალენდარი გაუგებარი მინაწერებითა და ნიშნებით აავსო, მერე რვეულის ფურცელს დააშტერდა ჩაფიქრებული. ვასიკოს აზრით, მეხუთე ჯგუფში სამი, თანაბარი ძალის გუნდი იყო შეყრილი, დანარჩენ ჯგუფებში აშკარად იკვეთებოდა ორ-ორი ფავორიტი. იმ გუნდების ჯერებით აღნიშვნა დაიწყო, მისი ვარაუდით, შემდგომ ეტაპზე რომ გავიდოდნენ. თორმეტი გუნდი არ აეჭვებდა, მაგრამ ამის შემდეგ იწყებოდა თავსატეხი, რადგან ამა თუ იმ გუნდის ბედს განსაზღვრავდა არა მარტო საკუთარი შესაძლებლობები და შედეგები, არამედ სხვა ჯგუფებში არსებული მდგომარეობაც. აქ რაიმეს განჭვრეტა თითქმის შეუძლებელი იყო. ვასიკო მაინც ფიქრობდა, თუნდაც მცდარი ანალიზის საფუძველზე გაკეთებული პროგნოზები აერჩია და რაიმე ხელჩასაჭიდს ეძებდა. ლამპის შუქი არათანაბრად ადგა სახეზე, ფიქრით გართულს, რაღაცნაირი იდუმალი გამომეტყველება ჰქონდა. მისი ისედაც გრძელი ცხვირი კედელზე მიფენილ ჩრდილში კიდევ უფრო დაგრძელებული ჩანდა. ზოგიერთ პოზაში, როცა ცხვირის ჩრდილი ოთახის კუთხის ხაზზე ტყდებოდა, ცხვირი პელიკანის ნისკარტს ემსგავსებოდა და სასაცილო ხდებოდა.

მერვედფინალში გამსვლელი გუნდების განსაზღვრას რომ მორჩა, თითოეული მატჩის პროგნოზის წერას შეუდგა. მეტოქე წყვილს რამდენჯერმე იმეორებდა გულში, რაც ზოგჯერ გახმოვანებულ ფიქრად იქცეოდა და ტუჩებს ჩურჩულად სწყდებოდა. გონების თვალს წარსულისკენ მიმართავდა, იხსენებდა განვლილი თამაშების შედეგებს, პერიპეტიებს. სანამ გუნდების ახლანდელ შესაძლებლობებზე წარმოდგენა შეექმნებოდა, ეს კი წინასწარი შეხვედრების შემდეგღა მოხდებოდა, მთლიანად სტატისტიკას უნდა დაყრდნობოდა. პროგნოზები რომ ჩამოაწიკწიკა, კმაყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება დაეტყო, სხივჩამდგარი მზერა ერთხელ კიდევ გადაავლო ნაწერს. ერთგან ანგარიში გადაშალა, სხვა დაწერა. მეორეგანაც იგივე დააპირა, მაგრამ შეყოყმანდა და კითხვის ნიშანი დასვა. მალე ქუთუთოების დამძიმება იგრძნო, თვალი რამდენჯერმე დახუჭა-დააჭყიტა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ უმთავრესი დავიწყებოდა — ჯერ „საფეხბურთო პროგნოზის" გათამაშების წესები უნდა მოეფიქრებინა. თვალებში ხელი ამოისვა, ძილს თავი წაართვა და ისევ აიღო ხელში კალამი. პროგნოზირება ეტაპობრივად უნდა ჩატარებულიყო, ეს ღრმად სწამდა ვასიკოს. პირველ თამაშებზე გუნდების მზადყოფნის დონეს ნახავდნენ, რაც შემდგომ პროგნოზირებას გააადვილებდა და ფეხბურთში უკეთ გათვითცნობიერებულთ მოგების მეტ შანსს მისცემდა. ვასიკო პუნქტებად აყალიბებდა წესებს. ყოველი მატჩის შედეგის გამოცნობა ქულების გარკვეული რაოდენობით უნდა შეფასებულიყო, ანგარიშისა — კიდევ დამატებითი ქულებით...

წერას რომ მორჩა, გულდასმით გადაიკითხა დებულება, რაღაც-რაღაცები ჩაასწორა, მერე ფურცელი ოთხად დაკეცა და იმ პერანგის ჯიბეში ჩაიდო, რომლის ჩაცმასაც აპირებდა დილით. ლოგინის ჭრაჭუნზე ციურის გაეღვიძა, ქმარს შეხედა შემკრთალმა, რას აკეთებდიო, წაიჩურჩულა მისუსტებული ხმით.

— ფულს ვიგებ! — ხმამაღლა უთხრა ვასიკომ. — ერთ თვეში ჩეჩქივით წამოვა ფული!

ციურის არაფერი უთქვამს, ძილი დააპირა ისევ, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ თვალები ფართოდ გაახილა და უკვე მძინარე ქმარს დაკვირვებით შეხედა...

დილით სამსახურში მისულმა ვასიკომ პირველ რიგში დეფექტების ჟურნალი გადაათვალიერა. ღამის განმავლობაში ახალი არაფერი მომხდარიყო, ვასიკომაც თერთმეტი საათისთვის მოილია საქმეები, ლაბორატორიაში განმარტოვდა და წუხანდელ ნამოღვაწარს გადახედა. ერთგან კიდევ დასვა კითხვის ნიშანი, მერე ყველაფერი ახალ ფურცელზე გადაიტანა, ძველი ნაკუწ-ნაკუწად აქცია და სანაგვე ყუთში ჩაყარა. შესვენების წინ გოგის დაურეკა — ფეხბურთის პროგნოზებზე რას შვრებითო. გოგის და ავთოს სამ საათამდე არ დაუძინიათ თურმე, ფეოლასაც გაეკეთებინა რაღაც მონახაზი. შესვენების შემდეგ, ფეოლა რომ ამოვა სტადიონიდან, პროფკავშირის ოთახში შევიკრიბოთო, ასე შეთანხმდნენ.

სალამოსათვის დებულება უკვე მზად ჰქონდათ დასაბეჭდად. საერთო აზრამდე ადვილად არ მისულან. ავთოს და გოგის ვარიანტით, მხოლოდ პრიზიორების განსაზღვრით უნდა შემოფარგლულიყვნენ. ფეოლა და გენური მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპებზე გამარჯვებულთა პროგნოზირებას თვლიდნენ გათამაშების საფუძვლად. ვასიკოს მიერ შეთავაზებული დებულება თავდაპირველად ყველამ დაიწუნა სირთულის გამო — ამას ჩვენი ბედოვლათები ვერ გაიგებენო, მაგრამ განსჯა-განხილვის შემდეგ მაინც მასზე შეჩერდნენ, ოღონდ ცვლილებებიც საკმაოდ შეიტანეს. გოდერძიმ წინადადება წამოაყენა, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელისა და ბომბარდირის გამოცნობისათვის დამატებითი ქულები დავრიცხოთო. ეს წინადადება ერთხმად მიიღეს. ამით შემთხვევითობა გამოირიცხება და მოგების მეტი შანსი გვიჩნდებაო. დებულების პრეამბულაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ „საფეხბურთო პროგნოზის" მიზანია, ბოლო მოეღოს დაუსრულებელ კამათს და დადგინდეს, ვინ ერკვევა ყველაზე უკეთ ფეხბურთშიო.

ამონაწერი დებულებიდან:

„მსოფლიო ჩემპიონატის ფორმულიდან გამომდინარე, „საფეხბურთო პროგნოზი" ტარდება ეტაპობრივად. პროგნოზირება ხდება მეტოქე გუნდების დაწყვილების შემდეგ. მონაწილე ვალდებულია საორგანიზაციო ჯგუფს წარუ-

დგინოს ხელმოწერილი პროგნოზები ეტაპის დაწყებამდე რვა საათით ადრე. პირველი ეტაპის ჯგუფებში გამარჯვებულთა გამოვლენის შემდეგ, მონაწილე ვალდებულია დაასახელოს მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები (I–II–III–IV ადგილები), აგრეთვე საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი. თითოეულ მატჩში შედეგის გამოცნობისათვის დაირიცხება სამი ქულა, ანგარიშის გამოცნობისათვის — ხუთი ქულა. პრიზიორების გამოცნობისათვის შესაბამისად ოცდაათი, ოცდახუთი, ოცი, თხუთმეტი ქულა. საუკეთესო ფეხბურთელისა და ბომბარდირის გამოცნობისათვის ათ-ათი ქულა".

საორგანიზაციო ჯგუფი ხუთი წევრის შემადგენლობით აირჩიეს, ჯგუფის ხელმძღვანელად პროფკავშირის თავმჯდომარე დაინიშნა. დიდი ბჭობა გაიმართა შესატანი თანხის ოდენობაზე. შეკრებილთა უმეტესობას ასი მანეთი მიაჩნდა ოპტიმალურად, მაგრამ ფეოლამ და ნოდარმა თავიანთი გაიტანეს და საბოლოოდ სამას მანეთზე დაითანხმეს ყველა (ჩიტი ბდღვნად უნდა ღირდესო). ასევე ხანგრძლივი დებატები ჰქონდათ საპრიზო ფონდის განაწილების თაობაზე. ერთნი მხოლოდ გამარჯვებულის დაჯილდოების მომხრენი იყვნენ, სხვები მეორე-მესამე ადგილებზე გასულთა აღნიშვნასაც მოითხოვდნენ.

დებულების განხილვა საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა შეაჯამა.

— მაშ, მოვრჩით, — თქვა მან ჩვეული ოფიციალურობით. — პირველი პრიზი განსაზღვრულია შემოსული თანხის ორმოცდაათი პროცენტის ოდენობით, მეორე — ოცდაათი პროცენტის ოდენობით, ხოლო მესამე — ოცი პროცენტის ოდენობით. გისურვებთ წარმატებებს!

— მოიცათ! — წამოიძახა გოდერძიმ, რომ კარისკენ დაძრული ბიჭები ერთბაშად შეაჩერა. — ამოდენა ღონისძიებას რომ ვატარებთ, ბოლოს არ უნდა დავასველოთ? მე ჩემდათავად ეჭვი არ მეპარება მოგებაში და თქვენ თითო ჭიქით რომ არ მომილოცოთ, ძალიან მეწყინება. ჰოდა, ისედაც დაზარალებულებს ფულის შეგროვება რომ არ დავჭირდეთ ისევ, სჯობია, საპრიზო ფონდიდან რაღაც ნაწილი, რამდენსაც თქვენ იტყვით, წინასწარ გადავდოთ პურ-მარილისათვის.

— სწორია!

— ყოჩაღ, გოდერძი!

— გადასარევი აზრია! — კვერი დაუკრეს აქეთ-იქიდან.

— გამარჯვებულებმა თვითონ იკისრონ! — წამოიძახა რომელიღაცამ.

— არა, ძმებო, გამარჯვებულებმა თუ ვიკისრეთ, ეს რა მოლოცვა გამოვა!

ყოველ იქ მყოფთაგან დიდი იმედი ჰქონდა, რომ ერთ-ერთ პრიზს დაეუფლებოდა, ამიტომ საპრიზო ფონდს საკუთარივით უფრთხილდებოდნენ, ზოგს ხუთ პროცენტზე მეტი ხრ ემეტებოდა სუფრისათვის, რაც აშკარად არასაკმარისი იყო, ზოგს პირველი პრიზის შემცირება არ უნდოდა. გამოსავალი ისევ პროფკავშირის თავმჯდომარემ გამონახა:

— თქვენ იცით, რომ მიღებული გვაქვს ერთი საძილე გარნიტური. მე მაქვს ასეთი წინადადება: მესამე ადგილზე გასულს მიეცეს ამ გარნიტურის რიგი. ვფიქრობ, სრულფასოვანი კომპენსაცია იქნება, თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ, იმპორტულ ავეჯზე რა ამბავია ახლა. თუ თქვენ თანახმა ხართ, მე შევათანხმებ ამ საკითხს ხელმძღვანელობასთან და პროფკომიტეტთან, თანხის ოცი პროცენტი კი დაიხარჯოს „საფეხბურთო პროგნოზის" საზეიმო დახურვისათვის.

ვასიკოს გარდა, ყველა კმაყოფილებით შეხვდა ასეთ წინადადებას, ხმაურით გამოიშალნენ გარეთ და დაბაში დაეშვნენ.

ახალმა ელვა-ინფორმაციამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია მეორე დღეს. განცხადება და ორ გვერდზე დაბეჭდილი დებულება ერთად იყო გამოკრული. ერთბაშად იმდენი ხალხი მოგროვდა ფოიეში, რამდენიც კაი ხანია არ ახსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდა კოლექტივის საერთო კრებას. თითქოს საგანგებოდ, ეს ყველაფერი ხელფასის დღეს მოხდა. საღამოს ცნობილი იყო, რომ მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ოც კაცზე მეტმა. მსურველთა რიცხვი იზრდებოდა, გათამაშებაში მონაწილეობას ითხოვდნენ დაბის ის მცხოვრებლებიც, რომლებიც ელექტროსადგურში არ მუშაობდნენ. საკითხის დამატებითი განხილვის შემდეგ, მონაწილეობის ნება დაერთოთ მუშათა მომარაგებისა და სახანძრო რაზმის წარმომადგენლებს.

ივნისის მზიანი დღეები სწრაფად მისდევდა ერთმანეთს. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე აღარაფერი რჩებოდა, ტელეცენტრიდან კი არავინ ჩანდა. პროფკავშირის თავმჯდომარეს მოთმინება გამოელია, ერთ დილას ფეოლა ჩაისვა მანქანაში და ქალაქის გზას დაადგა. ის იყო, პირველ სოფელში უნდა შესულიყვნენ, რომ „მოსკვიჩი“ შემოხვდათ. ფურგონის საქარე მინას მიმაგრებულ ფირნიშზე „ტელევიზია“ ეწერა. გვერდის ავლისას მანქანის კარზე იგივე ამოიკითხეს. ნაღდად ჩვენთან მოდის, სხვა გზა აქეთ არ ექნებაო, თქვეს წამიერად დაბნეულმა პროფკავშირის თავმჯდომარემ და ფეოლამ. მანქანა მოაბრუნეს და ფურგონს აედევნენ. ტელევიზიის მანქანა მართლაც დაბაში მოდიოდა. ტელეოსტატმა ნახევარ საათში აღმოფხვრა რეტრანსლატორის დეფექტი. ვიღაც ხელმრუდს გამაძლიერებლის ბლოკში ტრანზისტორი ამოეჭრა თურმე. ამ ფაქტმა ყველა აღაშფოთა, ასეთი სინდისგარეცხილი ვინ გამოგვერიაო, მაგრამ დაბელთა გულისწყრომა წუთზე მეტს არ გაგრძელებულა, საქმე უკვე გამოსწორებული იყო და ქურდობის შემთხვევაც დავიწყებას მისცეს, ტელევიზიის წარმომადგენელი კი დიდი პატივით გააცილეს.

ჩემპიონატის გახსნის წინა დღეს დირექტორმა თათბირი დანიშნა და ელექტროსადგურის ყველა წამყვანი თანამშრომელი მიიწვია. რაზე დაგვიძახესო, თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს დირექტორის კაბინეტში შეკრებილნი და მხრებს იჩეჩავდნენ, არავინ იცოდა, რა საკითხზე უნდა ეთათბირათ. დირექტორი ღრმად ჩაფიქრებული იჯდა სავარძელში და ხმის ამოღებას არ ჩქარობდა.

— მაშ ასე, — თქვა ბოლოს, — ალბათ, ყველამ იცით, რომ ხვალ იწყება მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ქალბატონებიც არიან საქმის კურსში, თუ, არა? — ღიმილით იკითხა მერე და დადებითი პასუხი რომ მიიღო, მკაცრი სერიოზულობით განაგრძო: — ეს ჩვენს წინაშე აყენებს ახალ, ძალიან საპასუხისმგებლო ამოცანებს. გაიზრდება დატვირთვები, გახანგრძლივდება პიკის საათები. ელექტროსადგური გამართულად უნდა მუშაობდეს ყოველთვის, მაგრამ ახლა განსაკუთრებული თავგამოდება დაგვჭირდება. ფეხბურთის დღეებში ენერგიის შეწყვეტას არავინ გვაპატიებს, ამიტომ გთხოვთ და ამავე დროს მოვითხოვ, ვიმუშაოთ მაქსიმალური მობილიზებით, დავაწესოთ სადღეღამისო მორიგეობა, შაბათ-კვირას არავინ უნდა გავიდეს დაბიდან. ავარიული თუ რამე გვაქვს, კეთილი ინებეთ და დარჩენილ დროში შეაკეთეთ. აგრეგატებმა ხვალ საღამოდან შეუფერხებლად უნდა იბრუნონ!

ბოლო სიტყვებზე დირექტორმა ხელით ისე შემოხაზა წრე, თითქოს დოლაბს ატრიალებსო, მერე თავის მოადგილეს მიმართა — სათქმელი ხომ არაფერი გაქვსო.

— ქალაქში რომ ვცხოვრობდი, მაშინ ერთი მილიციელი მყავდა მეზობელი, უბნის ინსპექტორად მუშაობდა, — წამოიწყო დირექტორის მოადგილემ. — ცოტა სხვანაირი კაცი იყო, შუქის ყოველ გამორთვაზე ცოფდებოდა პირდაპირ. ოჰ, მონტიორების სისხლი დამალევინაო, რამდენჯერ უნატრია. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთის ფანატიკოსი, გიჟი... ფეხბურთის მეტი რომ არაფერი ახსოვს... ჰოდა, უყურებს ასეთი კაცი ბრაზილიის თამაშს და ამ

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დროს ჩვენ გამოვურთეთ შუქი! რა შეიძლება ამას მოჰყვეს?

— რომც არაფერი გვითხრან, — ჩამოართვა სიტყვა დირექტორმა, — ეს იქნება ჩვენი დიდი სირცხვილი. მე მგონი, ყველას გვესმის ეს...

თათბირის მონაწილენი სახემოღიმარნი გამოვიდნენ დირექტორის კაბინეტიდან. გოგიმ ფეოლას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ორთავენი უკან შებრუნდნენ და დირექტორს „საფეხბურთო პროგნოზში" მონაწილეობა შესთავაზეს, მაგრამ თავაზიანი უარი მიიღეს. ელექტროსადგურის სხვა ხელმძღვანელებმაც თავი შეიკავეს.

ჩემპიონატის გახსნის დღე უსაშველოდ გაიწელა. ვასიკომ ათჯერ მაინც გაშალა ფურცელი, რომელზეც თავისი პროგნოზები ეწერა. თითქოს ყველაფერი აწონ-დაწონა, ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო ნიუანსებიც კი გაითვალისწინა, მაგრამ ეჭვის თუ უკმარისობის რაღაც ჩანასახი მაინც გაუჩნდა. იქნებ, ცოტა სხვანაირად სჯობდა.. თუმცა, ვინ იცის.. ფეხბურთის დაწყებამდე ნიკუშასთან გადავიდა. ნიკუშა შუახნის, ერთი თავისებური, მართოხელა კაცი იყო, კარჩაკეტილი ცხოვრების მიმდევარი. ფეხბურთში არავისზე ნაკლებად არ ერკვეოდა და დიდი გულშემატკივარიც გახლდათ. ახალი, ფერადი ტელევიზორი მსოფლიო ჩემპიონატის საყურებლად იყიდა საგანგებოდ. ტელევიზორი მართლაც კარგად აჩვენებდა. ასეთ ეკრანზე ფეხბურთის ყურებას სულ სხვა ეფექტი ჰქონდა, მკვეთრი, ცინცხალი ბუნებრივი ფერები თვალს უნებურად ატკბობდა, და ვასიკოს კიდევ უფრო აუმაღლდა განწყობა. მსოფლიო ჩემპიონატზე ტკბილ საუბარში, აზრთა საინტერესო გაცვლა-გამოცვლაში ნანატრი წუთიც დადგა. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ, მსაჯმა ენერგიულად ჩაჰბერა სასტვენს და მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო! დაიწყო უჩვეულო მღელვარებაც...

— აი, ჩვენი მთავარი კონკურენტი, — მოესმა ხმადაბალი გადალაპარაკება ვასიკოს, როდესაც ორშაბათ... დილით ხალხით სავსე ავტობუსში ასვლას ცდილობდა. მიხვდა, რომ მას გულისხმობდნენ. სახელურს ჩაეჭიდა, საფეხურზე გაჭირვებით ადგა ფეხი და კარის დაკეტვის მოლოდინში წელი შეიზნიქა. კარი რომ მოიხურა, ცერებზე აიწია და იქით გაიჭყიტა, საიდანაც ხმა მოესმა. მესამე რიგში მსხდომი ბიჭები იყვნენ — ახალგაზრდა სპეციალისტები. ერთს თამაზი ერქვა, მეორის სახელი არ იცოდა; მუშაობა ახალი დაწყებული ჰქონდათ და კარგად არ იცნობდა მათ. „აი, ჩვენი მთავარი კონკურენტი", ძალიან ეამა ეს სიტყვები.

დებულების თანახმად, სხვათა პროგნოზების გაცნობა ეტაპის ბოლომდე არ შეიძლებოდა, მაგრამ ზოგიერთები მაინც ახერხებდნენ ამას. იწერდნენ პროგნოზებს და, ასე თუ ისე, იცოდნენ, ვის რამდენი ქულა ჰქონდა. ვასიკოს არცთუ ცუდად მისდიოდა საქმე, თუმცა ერთიორჯერ ძალიან განერვიულდა. ას კი როგორ შეეძლო მშვიდად შეხვედროდა ვიღაც სირაკოვის გოლს მსოფლიო ჩემპიონის, იტალიის კარში, რამაც ერთბაშად ხუთი ქულა დაკარგვინა! პირველი ტურის შედეგები უმეტესწილად დაემთხვა მის მიერ ნავარაუდევს, თუმცა ანგარიშის გამოცნობა მეტად ძნელი საქმე გამოდგა. რამდენჯერმე ძალზე ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ საბოლოოდ თითო გოლში მაინც შეცდა. არცთუ განიცდიდა ამას ჯერჯერობით. სხვების პროგნოზებით არ დაინტერესებულა, ისედაც იცოდა, რომ ბევრად უკეთესი მაჩვენებელი არავის ექნებოდა. ვის შეეძლო ეწინასწარმეტყველა, ვთქვათ, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მატჩის ანგარიში. ვის იფიქრებდა, რუსები ასე რომ აიწყვეტდნენ და ნოკაუტში ჩააგდებდნენ უნგრელებს.

და აი, პირველი ზუსტი გასროლაც! „ჩვენი მთავარი კონკურენტი", — ვასიკომ, რა თქმა უნდა, მშვენივრად უწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოდა, რასაც გულისხმობდნენ ამ სიტყვებში. წუხანდელი თამაშის ზუსტმა პროგნოზმა ჩააყენა იგი ფავორიტთა რიგებში. ბრაზილია — ესპანეთი: ერთით-ნოლი... 1:0.

დაუზარებლად უყვებოდა ყველას, თუ როგორ გამოიცნო ეს ანგარიში. ბრაზილია ძლიერია ესპანეთზე, — ამბობდა იგი, — ამდენად, ლოგიკურად, ბრაზილიას უნდა მოეგო. ამასთან, ესპანეთი არ გახლავთ ხელწამოსაკრავი გუნდი, ანგარიში არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა დიდი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ესპანელებს ჰყავთ კარგად ორგანიზებული დაცვა და შესანიშნავი მეკარე, მატჩი არ შეიძლებოდა ყოფილიყო უხვგოლიანი. მხედველობაში მივიღე ისიც, რომ ჩემპიონატი ახალი დაწყებულია, ფავორიტები ძალებსაც ზოგავენ და ბევრ რამესაც მალავენ. ამრიგად, ლოგიკური მსჯელობით მივედი დასკვნამდე: ბრაზილია მოიგებდა ერთით ნოლს, რაც გამართლდა კიდეც.

— მსაჯს რომ ჩაეთვალა ესპანელების ასპროცენტიანი გოლი, მაშინ ნახავდი, ვისი პროგნოზიც გამართლდებოდა, — არ ეთანხმებოდა ვასიკოს ფეოლა.

— რა, შენ ერთით-ერთი გეწერა?

— არა, მე ორით ერთი მეწერა, მაგრამ ის გოლი რომ ჩაეთვალა მსაჯს, ბრაზილიელები მეორე ბურთსაც გაიტანდნენ და ხუთ ქულას შენს მაგივრად მე ჩავიწერდი.

— ეს ზღაპარია!

— ზღაპარი კი არა, ნაღდია!

— კარგი, ასე იყოს...

მეორე ტურიდან ვნებათაღელვამ იმატა. თამაშების გარჩევა ავტობუსის მოსაცდელთანვე იწყებოდა. მისალმების შემდეგ, მეორე სიტყვა ფეხბურთს ეხებოდა უსათუოდ. მსჯელობა, დავა, კამათი გრძელდებოდა სამუშაო ადგილებზეც. დებატებში ერთვებოდნენ ქალებიც, განსაკუთრებით „საფეხბურთო პროგნოზში“ მონაწილეთა ცოლები აქტიურობდნენ. დღის პირველი ნახევარი განვლილი მატჩების პერიპეტიების განხილვას ეთმობოდა, მეორე ნახევარში კი მოახლოებულ თამაშებზე ლაპარაკობდნენ და ფიქრობდნენ, მერამდენედ იხედებოდნენ პროგნოზებში, პირველი შთაბეჭდილებების მიხედვით ხელახლა აანალიზებდნენ მათ, ზოგჯერ კორექტივების შეტანის სურვილიც უჩნდებოდათ, მაგრამ საორგანიზაციო ჯგუფი ასეთ დათმობაზე არ მიდიოდა.

საღამოობით ისევ მიეჯაჭვებოდნენ ტელევიზორებს. ავთო, გოგი, გოდერძი და ფეოლა ერთად უყურებდნენ ამ უკანასკნელთან. ავთო და გოდერძი ფეხბურთის დაწყებამდე მდინარეში ცოტაოდენი თევზის დაჭერასაც ასწრებდნენ. ფეოლა თევზს შაბიან წყალში ხარშავდა, ლუდი წინასწარ ჰქონდათ მომარაგებული. მაცხვარში ჩაციებულ ლუდს წრუპავდნენ ნება-ნება და ასე უყურებდნენ საფეხბურთო ორთაბრძოლებს. სხვებიც ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, გარდა ვასიკოსი, რომელიც თავის „რეკორდს“ მიუჯდებოდა ხოლმე. პირველი ტელერეპორტაჟისას, თამაშის მეორე ნახევარში, ნიკუშამ უცბად მოიწყინა რატომღაც, მოიღუშა, გაიბუტასავით; ვასიკოს რეპლიკებს ერთხელაც არ გამოხმაურებია. „ალბათ, განმარტოებით ყურება ურჩევნია, ჩემი ყოფნა არ სიამოვნებს“, გაიფიქრა ვასიკომ და იმის მერე ნიკუშას აღარ გაკარებია. მარტო ყურება თვითონაც ჭკუაში დაუჯდა, ასე ყურადღება არ ეფანტებოდა და თამაშს უკეთ აღიქვამდა.

ფეხბურთის დროს ისინი, ვისაც ბურთის გორება და, მით უმეტეს, ბურთის გორებისთვის თვალის დევნება სულელურ საქმედ მიაჩნდა, ქვევით, ეზოში ჩადიოდნენ, ძელსკამებზე სხდებოდნენ, სუფთა ჰაერს ყლაპავდნენ და მხიარულ ლაპარაკში გაჰყავდათ ცხელი, დახუთული საღამოები. ქალები ჭორაობდნენ, ხანაც ოთახებში ჩაკეტილ „გულშემატკივრებზე“ ქილიკობდნენ. ვასიკოს სმენას მათი სიცილ-კისკისი სწვდებოდა ზოგჯერ. თუ კარგ ხასიათზე იყო, თვითონაც მოეძალებოდა ღიმილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა — საშინლად აღიზიანებდა მათი ხმის გაგონება.

ციურის სამი დღე ფეხბურთზე სიტყვა არ დასცდენია, თითქოს ოდნავადაც არ აინტერესებდა არც მსოფლიო ჩემპიონატი და არც ფულის მოგება-წაგება. ბავშვს რომ დააძინებდა, ქვევით ჩადიოდა საქსოვით ხელში, გვიანობამდე იჯდა მეზობლებთან, მერე კი უსიტყვოდ წვებოდა. ბრაზილია-ესპანეთის მატჩის შემდეგ ვასიკოს ყიჟინაც არ გაუგონია თითქოს, მაგრამ მეოთხე საღამოს ვითომ სხვათა შორის ჰკითხა, რომელ ადგილზე ხარო და, როცა ვასიკომ მიუგო, — ლიდერთა შორისო, თვალები გაუბრწყინდა და თბილი ხმით წარმოთქვა:

— მართლა რომ მოიგო!

— ათასმანეთიან კაბას გიყიდი, — უთხრა ვასიკომ, წელზე მოხვია ხელი და მიიზიდა.

— დღეს მკითხავთან ვიყავი...

— ვინ მკითხავთან?

— სომეხი ქალი რომ დადის ზაფხულობით, ტასიკო, ყავაზე რომ მკითხაობს...

— მერე?

— ისეთი არაფერი უთქვამს.

— არ მოიგებსო?

— არ უთქვია.

— მაშინ არაფერი სცოდნია.

— მოგება არა, მაგრამ შეძენა გელითო, მნიშვნელოვანი შენაძენიო.

— ეს ერთი და იგივე არაა? ესე იგი, ვიგებ!

— ჩვენ ვინ მოგვცა მაგის ბედი!

ვასიკო ერთხანს ჩაფიქრებული და გულისხმაში ჩავარდნილი იჯდა, მერე ისევ გაუნათდა სახე.

— თუ სადმე სამართალია, მე უნდა მოვიგო. კანონით, მე უნდა გავიდე პირველ ადგილზე, საპრიზოზე რომ გავალ, ეს ოდნავადაც არ მეეჭვება. ხუთიექვსი კაციღა ერკვევა, ასე თუ ისე, ფეხბურთში, ჩემამდე ისინიც ვერ მოვლენ, დანარჩენები საერთოდ, აზრზე არ არიან.

— ჯერ მოიგე და მერე იტრაბახე!

— ნოდარმა თქვა, ქალაქში ერთი ნაცნობი ახალივით „ჟიგულს" ჰყიდისო — შვიდიათას ხუთასად. ვინ იცის, ეგება „ჟიგულში" ჩაზრძანდე!

— აბა, აბა!

— შენ გატარებინებ, არ დაგმშვენდება თუ!

— კარგი ერთი!

— ხომ გადაირევიან ზოგ-ზოგები.

ვასიკომ იმ საღამოს სამ თამაშში ორის შედეგი გამოიცნო, მაგრამ ანგარიში, ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, არ დაემთხვა, შემდგომ დღეებში კი ორჯერ მოახვედრა ანგარიში. მაგრამ სრულიად გაუგებარი ამბები ხდებოდა მეექვსე ჯგუფში. ინგლისმა და პორტუგალიამ ვასიკოს ნერვები დააწყვიტა. როგორ წარმოიდგენდა, რომ პორტუგალია დაამარცხებდა ინგლისს, ეს ხომ ეუსებიოსდროინდელმა ბრწყინვალე გუნდმაც ვერ შეძლო. ეს კიდევ არაფერი. პორტუგალია, თავის მხრივ, დამარცხდა... მაროკოსთან და საერთოდ გამოეთიშა ჩემპიონატს. ინგლისი-პოლონეთი — ერთით-ერთი ეწერა, ესაოდა, ინგლისს ამ დროს მერვედფინალში გასვლა გარანტირებული ექნება და ფრეს დასჯერდებაო. მაგრამ ინგლისს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, მანაც თავი გამოიდო და დამაჯერებლად გაიმარჯვა. ერთი სიტყვით, სულ აირ-დაირია ყველაფერი. ვასიკომ მეექვსე ჯგუფის მატჩების პროგნოზებში ვერც ერთი ქულა ვერ აიღო და თავის სიცოცხლეში პირველად დალია დამამშვიდებელი წამალი.

— რა მოგდის, არ გაგიჟდე მთლად, — აწყნარებდა ციური.

განა მარტო ვასიკო იყო ასეთ დღეში.

— რა მიყო, ბიჭო, ინგლისმა!.. — თავზე ხელებს იშენდა ავთო.

— რაფერ დამღუპა მაროკომ, — სიმწარეგარეულად ხუმრობდა ნოდარი.

— გოდერძის რა ეშველება, სულ ინგლისი და ლინეკერიო, რომ გაიძახოდა! — ირონიით ამბობდა გენური.

თვითონ გოდერძი, თუმცა მეექვსე ჯგუფის მატჩების პროგნოზებით მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ სამი ქულა დააგროვა, შედარებით მშვიდად გამოიყურებოდა. ინგლისი შემდეგ წრეში ხომ გავიდაო, ამით ინუგეშებდა თავს.

პირველი ეტაპი რომ დამთავრდა, „საფეხბურთო პროგნოზში“ ბოლო ადგილზე მყოფ ანდრო ბუსკანძის ცოლი მოიჭრა ელექტროსადგურში და პროფკავშირის თავმჯდომარეს ერთი ამბავი დააწია. მუშაობის ნაცვლად, რაღაც ეშმაკობებს იგონებთ, ქმარს მისულელებთ და ოთხ ბავშვს მშიერს მიტოვებთო; სანამ ეს ამბავი სადაც ჯერ არს, იქ არ მიცნობებია, ფული დამიბრუნეთო. პროფკავშირის თავმჯდომარე, საორგანიზაციო ჯგუფის წევრებთან ერთად, ბევრს ეცადა, როგორმე დაეშოშმინებინა პირგამეხებული ქალი, მაგრამ ვერაფერს გახდა. მიუხედავად დანარჩენ მონაწილეთა პროტესტისა, ბუსკანძის ცოლს სამასი მანეთი დაუბრუნეს. ანდრო ძლივს გადაურჩა „ფუფლოდ“ მონათვლას.

მერვედფინალური შეხვედრები ახლოვდებოდა. ვასიკომ გადაწყვიტა, ჯერ პრესას გასცნობოდა და შემდგომი პროგნოზებისათვის ფეხბურთის სპეციალისტების თვალსაზრისიც გაეთვალისწინებინა. პირველი შედეგების მიხედვით, მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, ჟურნალისტებს უთუოდ ჩამოუყალიბდებოდათ შეხედულებები მსოფლიო ჩემპიონატზე, ფავორიტებზე, აუტსაიდერებზე; დაზუსტდებოდა, დაკონკრეტდებოდა პროგნოზები... ვასიკო მოუთმენლად ელოდა გაზეთებს, დაბაში საშუალოდ სამ დღეში ერთხელ რომ მოჰქონდათ. პრესამ სწორედ დროულად მოუსწრო.

ყველა გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილ მასალებს. მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავდნენ დანიისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა შთამბეჭდავ გამოსვლას, მათ დამაჯერებელ გამარჯვებებს. ასევე გამოყოფდნენ ბრაზილიის, ესპანეთის, საფრანგეთის და არგენტინის გუნდებს. იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი მონაწილე ჯერჯერობით არ ამჟღავნებდა თავის შესაძლებლობებს, ბოლომდე არ ხსნიდა კარტებს. ვასიკო გულდასმით გაეცნო პროგნოზებსაც: პელე კონკრეტული გუნდის დასახელებისაგან თავს იკავებდა, სალდანია, რამსეი, კრუიფი და დი სტეფანო ბრაზილიელთა ჩემპიონობას წინასწარმეტყველებდნენ. „რუსებმა თამაში ისწავლეს“, გამაფრთხილებლად აცხადებდა პლატინი. პროგნოზისტთა უმეტესობა ფავორიტად რამდენიმე გუნდს ასახელებდა — ბრაზილიას, იტალიას, გფრ-ს, საბჭოთა კავშირს... სპორტული ჟურნალისტები მრავალნაირად აშუქებდნენ პროგნოზებს და არც იმის აღნიშვნა ავიწყდებოდათ, რომ ფეხბურთში პროგნოზები სახიფათო და უმადური საქმეა.

„სახიფათო და უმადური“, — თავისთვის ჩაილაპარაკა ვასიკომ, როცა გაზეთები გადაიკითხა. სანამ ამ სახიფათო საქმეს შეუდგებოდა, ბუნების წიაღში გასეირნება გადაწყვიტა. ერთხანს დაბის გარშემო იარა უკაცრიელ ბილიკებზე, მერე ტყისკენ გადაუხვია, მთიდან გამოტოტვილ პატარა მაღლობს თავზე მოექცა, მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, ქვევით დაეშვა და ბზის ტევრით დაფარულ ხევში ჩაიკარგა. ხევის ძირში ანკარა ნაკადული მოწანწკარებდა, ვასიკომ ფეხსაცმელი გაიხადა და ალმა აუყვა წყალ-წყალ. წყლის სიგრილე და კენჭებზე სიარულს შეუჩვეველ ფეხისგულებზე ტკივილის შეგრძნება სიამოვნებდა. ჩანჩქერამდე მიატანა ტყაპან-ჭყაპანით, მოხერხებულად ჩამოჯდა ლოდზე და წყლის ჩხრიალს მიუგდო ყური. ბზის ხშირი ბუჩქები, ხვიარებით გახლართული მურყანები და ჯაგრცხილები გადმომხობოდა ნაკადულს ორივე მხრიდან, შვების მომგვრელ სინედლესა და სიმწვანეს მოეცვა იქაურობა. ცა მხოლოდ ერთგან მოჩანდა, თანაც მისი სილურჯე ისე გამუქებულიყო, ვასიკომ ისიც კი იფიქრა, შავმა ღრუბელმა ხომ არ დაფარაო ტატნობი უცაბედად. თითქმის ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი საათი იჯდა გარინდებული, ცდილობდა, ყველაფრისგან გამოთიშულიყო და ბუნებით დამტკბარიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა ამას.

რვა მერვედფინალური მატჩიდან ხუთის პროგნოზი გადაწყვეტილი ჰქონდა დილიდან. პირველ რიგში გუნდების სპორტულ ფორმას ითვალისწინებდა, არც სტატისტიკასა და ტრადიციებს უგულებელყოფდა. საფეხბურთო სტატისტიკაში მთლიანად მეხსიერებაზე იყო დანდობილი, რაც უკვე არასაკმარისად მიაჩნდა. მას ხომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეთა მხოლოდ ერთი ნაწილის მაჩვენებლები ახსოვდა ასე თუ ისე, ხოლო დანარჩენებზე, ვთქვათ, პარაგვაის ან მაროკოს გუნდებზე თითქმის არაფერი იცოდა. ამითაც ხსნიდა პირველ ეტაპზე თავის წარუმატებლობას და ნანობდა, რომ ცოტა მეტი არ გაისარჯა საჭირო ინფორმაციის დასაგროვებლად. მარტო შედეგების გამოცნობა დიდად ვერ წასწევდა წინ, შესაძლოა, მეცხრე ადგილიდან ვერც კი დაძრულიყო. ვასიკოს აზრით, გუნდების ადაპტაციისა და ფორმაში შესვლის გამო შედეგიანობა გაიზრდებოდა, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მომავალ მატჩებში უფრო თანაბარი კლასის გუნდები შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ამასთან, თუ თამაში ფრედ დამთავრდებოდა, ყველაფერს თერთმეტმეტრიანები გადაწყვეტდა. ასეთ შემთხვევაში მატჩი უხვგოლიანი გამოვიდოდა. ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანი ეჩვენებოდა, საფეხბურთო ასპარეზობათა ოცი პროცენტი ხომ ფრედ მთავრდება. მომავალ რვა შეხვედრაშა რომელია ის ორი, სადაც ძალთა თანაფარდობაა მოსალოდნელი? იქნებ უაზრობაა ამაზე ტვინის ჭყლეტა? ვასიკო მაინც ცდილობდა განეჭვრიტა საყაიმო ვარიანტები.

შესანიშნავ ფორმაში მყოფ საბჭოთა ნაკრებს აუცილებლად უნდა მოეგო ბელგიელებისათვის — აქ ჯგუფებში ნაჩვენები თამაშების ხარისხი და სტატისტიკაც საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ მეტყველებდა. თექვსმეტი წლის წინანდელი მათი შეხვედრაც ზედმიწევნით ახსოვდა, ოთხით ერთზე რომ მოუგეს ბელგიას. მეორე გოლი ასათიანმა გაიტანა. საბჭოთა კავშირის გარდა, წარმატების დიდი შანსი ჰქონდათ ბრაზილიას, ესპანეთს... იტალია-საფრანგეთის უაღრესად საინტერესო დუელში პირველს ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ ფრანგების ბრწყინვალე თამაშიც აფიქრებდა. იქნებ, სწორედ აქ იყო მოსალოდნელი ფრე?.. ვასიკოს ფიქრი პრიზიორების განსაზღვრასაც დასტრიალებდა. პირველი ადგილის ბედი გადაწყვეტილად მიაჩნდა, ვინ იქნებოდნენ დანარჩენები? გერმანია, ინგლისი, საბჭოთა კავშირი თუ იტალია, ესპანეთი? გერმანია და არგენტინა აშკარად ვერ იყვნენ ფორმაში. მექსიკა? იგი ხომ ჩემპიონატის მასპინძელია, სანჩესის სახით პირველხარისხოვანი თავდამსხმელიც ჰყავს... არა, მექსიკას სუსტი გუნდი ჰყავს, სასწაულები ძალზე იშვიათად ხდება ფეხბურთში და მათზე იმედის დამყარება ფუჭი საქმეა. ბომბარდირად კარეკას დასახელება ედო გულში. კიდევ ვის შეეძლო თავი გამოეჩინა? ლინეკერს? მხოლოდ მაშინ, თუ ინგლისი ნახევარფინალში გავიდოდა, ინგლისი კი ერთობ უსახურ ფეხბურთს აჩვენებდა. ელკიაერი, ბელანოვი?.. ბუტრაგენიო? არა, არჩევანი კარეკაზე შეაჩერა საბოლოოდ. რაც შეეხება საუკეთესო ფეხბურთელს, ასეთად, მიუხედავად არგენტინის ნაკრების შედეგისა, მარადონა მიაჩნდა.

აჭავლებულ წყალში თვალჩასობილ ვასიკოს მუსიკის ხმა ჩაესმა უეცრად. შეკრთა, ზევით აიხედა და სახეზე გაკვირვება გამოეხატა. კოპლებიანი ბურთები დაფრინავდნენ ცაში ტრიალ-ტრიალით. უცებ მოეჩვენა, რომ დედამიწაც ბურთად იქცა, კოპლებიან ბურთად, და ელვის სისწრაფით აიჭრა მაღლა. კი არ მოეჩვენა, არამედ მთელი არსებით შეიგრძნო, როგორ ავარდა მაღლა დედამიწასთან ერთად და უნებურად ლოდს ჩაეჭიდა ორივე ხელით. ლაჟ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდოვან სივრცეში მიჰქროდა და ფეხბურთის მარშივით აჟღერებული მუსიკა ესმოდა. ენით აუწერელი სილამაზე იშლებოდა ირგვლივ. ტრიალებდნენ კოპლებიანი ბურთები, შორს მიფრინავდნენ და პატარავდებოდნენ, ახლოვდებოდნენ და იზრდებოდნენ. თვალისმომჭრელად ბრუნავდნენ ელვარე ვარსკვლავები და პლანეტები, ბრუნავდნენ და ბურთებად იქცეოდნენ. ჟღერდა მუსიკა და ივსებოდა კოსმოსი ჭრელი, კოპლებიანი ბურთებით...

ვასიკოს თავბრუ დაეხვა, შეირხა, თვალები დახუჭა, ისევ გაახილა, საშინელი სისწრაფით ქროლვის განცდა მოიშორა. რა იყო ეს? ნათელხილვა? კარგად ენიშნა ზეციური ჩვენება, მაგრამ გაურკვეველი შიშიც დაეუფლა, წამოიჭრა და ფაცხაფუცხით დაეშვა დაბისკენ.

მადლობა ღმერთს, დღეს ფეხბურთი არ იყო, ადრე დაწვებოდა, კარგად გამოიძინებდა და ენერგიას აღიდგენდა. შინ დაბრუნებისთანავე მაგიდას მიუჯდა, ამჯერად ბევრი არ უყოყმანია, ათიოდე წუთში ჩამოწერა პროგნოზები. შებინდებისას დაწვა და მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა. შუაღამე იქნებოდა, სიზმარმა რომ გამოაღვიძა. ოფლში ცურავდა, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, მხარ-მკლავი მობუჟებოდა. შეეცადა გონებაში აღედგინა სიზმარი, მაგრამ ვერ შეძლო. ცუდი სიზმრის განცდა თანდათან გაუნელდა. ბუნდოვანი, ქაოსური სიზმარი არასოდეს ახდენია და ამით დაიმშვიდა თავი. მერე უცებ ეაზრა, რომ ლაბორატორიაში რეოსტატი ჩართული დარჩა და სახეზე ალმური მოეკიდა, გონება დაძაბა — გამორთო თუ არა? ვაითუ, ხანძარი გაჩნდეს მისი მიზეზით! სამი დღის წინათაც ასე დაემართა, ეგონა, დენური წრედი ღია დარჩა, მაგრამ ყველაფერი წესრიგზე აღმოჩნდა, ახლაც ასე იქნებაო, გაიმაგრა გული და ნელ-ნელა ისევ დამშვიდდა.

იწვა და ჭერზე გამოსახულ აბაჟურის მქრქალ რგოლებს შესცქეროდა. ფიქრში კვლავ ფეხბურთი შემოვიდა. იტალია-საფრანგეთის მატჩის ბედი აწუხებდა ყველაზე მეტად. პროგნოზისტთა დიდი უმეტესობა საფრანგეთს ანიჭებდა უპირატესობას. საფრანგეთის ნაკრები მართლაც უფრო შთამბეჭდავად თამაშობდა, მას ჰყავდა პლატინი, მაგრამ... ვასიკო იტალიელთა მწვრთნელს არ ენდობოდა. აკი განუცხადებია ჟურნალისტებისათვის, ვინც ნელა მიდის, შორს წავაო. მისი შავსათვალეანი, ცხვირჩაჭყლეტილი, ტუჩებცმაცუნა სახე უდგებოდა თვალწინ. იტალია კერკეტი კაკალია, ოთხი წლის წინათაც ასე ულიმღამოდ დაიწყო, მერე კი თვით ბრაზილიაც გააკრა ბეჭებზე. ყოველ შემთხვევაში, თუ თამაში ფრედ დამთავრდა, პენალტებით იტალია მოიგებს...

დილით სამსახურში მიმავალ ვასიკოს ნათლად გაახსენდა რეოსტატის გამორთვის მომენტი. ჩაეღიმა, რა მემართებაო. „გადაღლა!" თვითონვე დასვა დიაგნოზი. დეფექტების ჟურნალში ამჯერადაც არაფერი ეწერა მისთვის, საერთოდ, ელექტროსადგურში წესრიგი სუფევდა. ყველა გამზომი ხელსაწ[illegible] ნომინალურ პარამეტრს უჩვენებდა.

სამუშაოზე ყოფნა მაინც უმძიმდათ და ამის მიზეზი ამინდი იყო. მთელი ორი კვირის განმავლობაში, ცაზე ღრუბლის ნასახიც არ გამოჩენილა. დილიდანვე ცხელოდა ხოლმე, შუადღეზე მთლად პაპანაქება დგებოდა, იწვებოდა, იხრუკებოდა ქვეყანა. ლაბორატორიაში არც კონდიციონერი ჰქონდათ, არც ვენტილატორი და ჰაერი, როგორც თონეში, ისე ხურდებოდა. ვასიკო შიგ ჩაიკეტა მაინც, პროგნოზების ჩაბარების ბოლო ვადამდე კიდევ ჰქონდა რამდენიმე საათი, ეს დრო მთლიანად გამოიყენა. სულის უცნაურ გაორებას ვერ სძლია, წუხანდელი ნაწერი შეასწორა, შეცვალა, მერე ოპტიმისტური გამომეტყველებით მიიტანა პროფკავშირის ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთ-იტალიის მატჩის წინ სასიკეთოს უგრძნობდა გული, დგება ჩემი საათიო, ფიქრობდა და მღელვარებამორეული ითვლიდა ფეხბურთამდე დარჩენილ წუთებს. ამ შეხვედრას იგი გარდამტეხად მიიჩნევდა. „საფეხბურთო პროგნოზში" დაწინაურებულნი საფრანგეთს ანიჭებდნენ უპირატესობას, სიტყვით ვასიკოც ეთანხმებოდა მათ, გულში კი სხვას ფიქრობდა. მისი აზრით, იტალია გაანადგურებდა საფრანგეთს. ენცო ბეარზოტს წინა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, შეუდარებელ მწვრთნელად თვლიდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის გამონათქვამს ბიჯენაროს შესახებ. ფეხბურთის მოყვარულებს, შესაძლოა, ახსოვთ იტალიელთა მწვრთნელის განცხადება — მე მყავს უნივერსალური სტილის ახალი ნახევარმცველი, რაც ტაქტიკური სიახლეების გამოყენების საშუალებას მაძლევსო. იტალიის ნაკრების გამარჯვების შემთხვევაში, ვასიკო ერთი — ორი ადგილით წაიწევდა წინ და პირველ ხუთეულს მიუახლოვდებოდა, ამასთან ერთად, იზრდებოდა დამატებითი ქულების მიღების შესაძლებლობაც. ერთი სიტყვით, თუკი იტალია გაუმართლებდა იმედებს, ვასიკოს მერე არ გაუჭირდებოდა თავისი უპირატესობის დამტკიცება. გონებაში წარმოუდგებოდა ფინიშს მიახლოებული სტაიერთა ჯგუფი, რომელშიც ჩამორჩენილი მორბენალი შეუმჩნევლად უმატებდა სიჩქარეს და ყველასათვის მოულოდნელად, ზედ ფინიშის ხაზთან ასწრებდა მეტოქეებს. ის სტაიერი, რა თქმა უნდა, თვითონ იყო.

როშტოსა და სტოპირას გოლებმა იმედი გაუცრუა. მეორე დღეს აღიარა, რომ უმტყუნა რეალურობის გრძნობამ, ოთხი წლის წინანდელ შთაბეჭდილებებს დაეყრდნო, ძალთა შეფარდების ცვლა არაფრად ჩააგდო, თვით პლატინის შესაძლებლობებიც კი არ ირწმუნა. „საფეხბურთო პროგნოზში" თავისი მძიმე მდგომარეობით ხსნიდა ამას. დაწინაურებულთა შორის რომ ყოფილიყო, საფრანგეთის მოგებას დაწერდა უთუოდ, მაგრამ ჩამორჩენამ აიძულა თავი მოეტყუებინა, დაეჯერებინა ის, რაც ძალზე ეეჭვებოდა. გარისკა და არ გაუმართლა. როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ასე?!

ინგლის-პარაგვაის მატჩის ზუსტმა პროგნოზმა ოდნავ დაამშვიდა. ესპანეთ-დანიის შეხვედრაში პირველს მიანიჭა უპირატესობა და არც შემცდარა. ცოტათი გულმოცემული, ახლა საბჭოთა კავშირ-ბელგიის თამაშზე ამყარებდა იმედებს.

იმ საღამოს, როდესაც საბჭოთა კავშირისა და ბელგიის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს, სამსახურიდან დაბრუნებულს, შინ უსიამოვნება დახვდა. ბავშვისთვის უცბად აეწია სიცხეს და უწყვეტი ღებინება ჰქონდა. აშკარა მოწამლვა იყო, მაგრამ დაბის სამედიცინო პუნქტის მორიგემ, ახალგაზრდა ექიმმა ქალმა, ამორეცხა შუაღამემდე ვერ გაბედა. ეშინოდა, კრუნჩხვები არ დაემართოსო, მაგრამ ყველაფერმა კეთილად ჩაიარა. კუჭის ამორეცხის შემდეგ, ბავშვს ღებინება შეუწყდა და ჩაეძინა. სიცხე კვლავ მაღალი ჰქონდა და ძილში წარამარა კრთებოდა. ციურიმ და ვასიკომ ის ღამე თეთრად გაათენეს, დილით სიცხე დავარდა და ღონემიხდილი, მაგრამ აშკარად გამომჯობინებული ბავშვი შინ წაიყვანეს.

ვასიკოს სამსახურში შეაგვიანდა. ათ საათზე ფეხით გაემართა ელექტროსადგურისაკენ. მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა, ბავშვის კარგად ყოფნას დამეული განცდები და დაღლა დაევიწყებინა მისთვის. გზაზე გენური წამოეწია მანქანით.

— ცხვირზე რა მოგივიდა? — ჰკითხა ვასიკომ. მას მაშინვე მოხვდა თვალში გენურის გაწითლებულ-გამობურცული ცხვირის წვეტი.

— რა ვიცი, კოღოს ნაკბენია, ალბათ, მოვიფხანე და გამიმიზეზდა, — უგუნებოდ მიუგო გენურიმ და ცხვირზე ხელი მოისვა. — რა თამაში წააგეს წუხელ ჩვენებმა!.. ტყუილუბრალოდ გავტეხე ღამე მაგ ფინაჩების გულისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ, ბელგიასთან წააგეს? — აღმოხდა ვასიკოს.

— წააგეს სამით ოთხზე. შენ რა, არ გიყურებია?.. ჩვენი დაცვა დადგა ჯორივით, ამ დასაევისაც არა მწამს, რამდენიც დაურტყეს, ყველა გაუშვა.

ვასიკოს ხმა არ ამოუღია, თვალებში შეეტყო მხოლოდ წყენა, მინა ჩასწია და ჯავრიანად გადააფურთხა.

საბჭოთა ნაკრების დამარცხებამ ფეოლას გარდა, ყველა დაბოღმა, ფეოლას კი ზეიმი ჰქონდა. მას, მართალია, შემთხვევით, მაგრამ ანგარიშიც მოეხვედრებინა (ფრე და ოთხით-სამი, პენალტებით).

— სსრკ-ს გუნდი არაა მაღალი კლასის, ამიტომ სტაბილურობით ვერ გამოირჩევა, — ამბობდა ფეოლა. — უნგრეთს რომ მოუგეს ექვსით ნოლი, მაშინვე ვიცოდი, ამდაგვარი რამ დაემართებოდათ; იოლ გამარჯვებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა დამარცხება. ვინც საფეხბურთო საქმეებში ჩახედულია, იმისთვის ეს ჭეშმარიტებაა!

ფეოლას ტრაბახს ყურს არავინ უგდებდა, ხან ფრიდრიქსონს აგინებდნენ — ორი გოლი აჩუქაო ბელგიელებს, ხან კიდევ ლობანოვსკის, — აზია მაგაზე წაგება, სულაქველიძე რად არ შეიყვანა ნაკრებში, ან ჩივაძე რატომ არ ათამაშაო.

ქულების ჩუმ-ჩუმად თვლა გრძელდებოდა, პროგნოზისტთა უმრავლესობამ იცოდა კონკურენტთა შედეგები, თუ ზუსტად არა, საორიენტაციოდ მაინც. ზოგიერთები ისედაც არ მალავდნენ დაგროვილი ქულების ოდენობას. იყვნენ ისეთებიც, დეზორიენტაციის შეტანას რომ ცდილობდნენ შეგნებულად. თამაზი და მისი პარტნიორი ყველაზე მეტ გულმოდგინეობას იჩენდნენ ქულების თვლაში, არათუ უახლოეს მდევართა, მეორე ათეულში მყოფთა მაჩვენებლებსაც ანგარიშობდნენ. მერვედფინალების შემდეგ მათ მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ ვინმე მარშანია, რომელსაც აქამდე მეთორმეტე ადგილი ეკავა, კიხალამ წამოსწეოდათ. რვა თამაშიდან შვიდში მისი პროგნოზი ზუსტი გამოდგა, რაც ჭეშმარიტად ფანტასტიკური წარმატება იყო. შეფიქრიანებული ლიდერები საორგანიზაციო ჯგუფის შტაბში მივიდნენ, ეს მარშანია ვინ არისო, იკითხეს და ახლად მოვლენილი, უაღრესად საშიში კონკურენტის შემდგომი პროგნოზების ნახვა მოიწადინეს. ვასიკოც იქ იმყოფებოდა მაშინ. სულის სიღრმეში ეწყინა, ლიდერები მისი შედეგებით ოდნავადაც რომ არ დაინტერესდნენ, ადრე ხომ მას მთავარ კონკურენტად მიიჩნევდნენ. გულს იმაგრებდა მაინც, სხვაობა არ იყო კატასტროფული, ჯერაც ბევრი რამის გამოსწორება შეიძლებოდა.

„მოიცათ თქვენ", ღვარძლით გაიფიქრა მეორე დილით, როდესაც დერეფნის ბოლოს სახეკმაყოფილი, ერთმანეთთან ტკბილად მოუბარი თამაზი და მარშანია დაინახა. „ჩვენა ვართ, რაცა ვართ", — ამოიკითხა მათ გაბადრულ სახეებზე. ისე იყვნენ გართული ლაპარაკით, ვასიკო არც შეუმჩნევიათ. „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის", — გაიფიქრა ვასიკომ. წუხელ ორივე თამაშის ანგარიში მოახვედრა და ისევ მოეცა გული. ათი ქულა მიუმატა ერთბაშად თავის ყულაბას და, ალბათ, ორ-სამი ადგილით წაიწია წინ. ავთოც არ იყო ურიგო ხასიათზე, ძველ პოზიციას ინარჩუნებდა და ახალი ნახტომისათვის ემზადებოდა. გოდერძი კვლავ მხურვალედ გულშემატკივრობდა ინგლისს, მეტსახელად „ლინეკერს" ეძახდნენ უკვე. გოგის და ფეოლასაც არ გადასწურვოდათ იმედი საბოლოოდ.

რაც უფრო ხურდებოდა ვნებები „საფეხბურთო პროგნოზის" გარშემო, მით უფრო სულშემხუთველი ხდებოდა სიცხეებიც. სინდიყი ღამითაც არ ეშვებოდა ოცდაათ გრადუსზე დაბლა, ჰაერი ოდნავადაც არ იძვროდა. სიცხეს ელექტრომოწყობილობებიდან გამოყოფილი სითბოც ემატებოდა და ელექტროსადგურის ირგვლივ აუტანელი ბული იდგა. სამი კვირის განმავლობაში ნორმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურად გამოუძინებელ ბიჭებს ამან მთლად გამოაცალა არაქათი. ძლივს დალასლასებდნენ სამმეტრიანი ღობით შემოზღუდულ ტერიტორიაზე, თვალებჩაწითლებულ-შეშუპებულნი, საზენაღვლიანნი. ხუთიოდე წუთით შეაფარებდნენ თავს მართვის ფარს (უსაქმოდ ყოფნა იქ აკრძალული იყო), კონდიციონერების წინ დადგებოდნენ; სახეს, თავს, მკერდს უშვერდნენ მაცოცხლებელ, გრილ ჰაერს.

მსოფლიო ჩემპიონატმა ელექტროსადგურის ხელმძღვანელობას გაუთვალისწინებელი პრობლემებიც გაუჩინა. ღამით ცვლის გადაბარების დრო მატჩების ტელერეპორტაჟს ემთხვეოდა, ცვლაში მომუშავეთაგან ზოგიერთებს პასუხისმგებლობის გრძნობა არ ჰყოფნიდათ, ფეხბურთის ყურებას ვერ ელეოდნენ და აგვიანებდნენ. დაირღვა მუშაობის საათივით აწყობილი რიტმი. ამას კიდევ არა უშავდა რა, ოპერატიული პერსონალი თვითონ მორიგდებოდა ერთმანეთს შორის, — საგანგაშო უფრო ის იყო, ძილნაკლულ ელექტრიკოსებს რამე არ შეშლოდათ და ძაბვის ქვეშ არ მოყოლილიყვნენ. უბედურების თავიდან ასაცილებლად, მთავარი ინჟინერი იძულებული გახდა, საგანგებო განკარგულებაც კი გამოეშვა. ამ განკარგულებით იკრძალებოდა ყოველგვარი საკომუტაციო გადართვები უკიდურესი აუცილებლობის გარეშე, თანაც, მანიპულაციები უნდა ჩატარებულიყო მთავარი ინჟინრის ან მისი მოადგილის კონტროლით.

საბედნიეროდ, უმნიშვნელო უწესრიგობებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ელექტროსადგური გამართულად მუშაობდა; ელექტროსადგურის ხელმძღვანელობა მაინც თითებზე ითვლიდა ჩემპიონატის ბოლომდე დარჩენილ დღეებს.

„საფეხბურთო პროგნოზში" ჩართულთ კიდევ არაერთი უძილო ღამე ელოდათ. ვასიკო მთლიანად ამოვარდნილიყო რეჟიმიდან. დაღლილ-დაქანცული წვებოდა შუაღამისას, მაგრამ მაინც ვერ იძინებდა. სიცხითა და კოღოების წუილით გატანჯული, ორიოდე საათით მოატყუებდა თვალს და რიჟრაჟიც იწყებოდა. რაღაც მზაკვრობით, დროზე ადრე გაღვიძებაც დასჩემდა. თვალებამღვრეული და უპეებდასიებული დილით უფრო დაღლილად გრძნობდა თავს, ვიდრე საღამოს. სამსახურში მთელი დღე ლანდივით დაბობღავდა, ნაშუადღევს უჭირდა განსაკუთრებით. სადილის შემდეგ კიდურები მოუდუნდებოდა, სხეული მოემჩვარებოდა, ამგვარ დღეში მყოფი გაჭირვებით ებრძოდა ძილს. სამუშაო დღის მიწურულს ცოტათი გამოცოცხლდებოდა, მერე, ფეხბურთის ტელეგადაცემის მოახლოებასთან ერთად, თანდათან მოუთმენლობა ეუფლებოდა, შინაგანად იძაბებოდა და აღიგზნებოდა. უკეთესი დღე არც სხვებს ადგათ. ზოგიერთებს კუჭი აეშალათ ნერვიულობისაგან, ბევრს გამოაყარა და ქავილი აუვარდა. ყველაზე შესაბრალისად გენური გამოიყურებოდა, — ცხვირის წვეტზე ამოხრდილი პატარა, ზაფრანისფერი მუწუკი, კოღოს ნაკბენი რომ ეგონა, იზარდა, იზარდა და, თხილისოდენა ძირმაგარად ამოუწიფინდა.

გულშემატკივართა ვნებათაღელვამ მაქსიმუმს ბრაზილია-საფრანგეთის მატჩის დროს მიაღწია. ვასიკომ ტელევიზორი კინაღამ ფანჯარაში მოისროლა. საფრანგეთის ნაკრების გამარჯვებამ ცივი წყალი გადაასხა „საფეხბურთო პროგნოზში" მონაწილეთა უმეტესობას. მათთვის ჩემპიონატიცა და ლატარიაც ამ თამაშით დამთავრდა ფაქტიურად. უნდა გენახათ მეორე დღეს სამსახურში მომავალი თავჩაქინდრული, მხრებჩამოყრილი, დაღონებული ბიჭები, ზოგჯერ გულგარეთ, ძალად, უნიათოდ რომ იღიმებოდნენ, ვითომ არაფერიც არ მოხდაო. ფეხბურთზე სიტყვაც არ დასცდენიათ, დამდურებულებივით მიაშურეს სამუშაო ადგილებს. თანამშრომელმა ქალიშვილმა ერთი ორჯერ სცადა ვასიკოსთან ფეხბურთზე საუბრის გაბმა, მაგრამ ვერაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა. ვასიკოს დანა პირს არ უხსნიდა, ფანჯარას მიშტერებოდა და საცოდავად და სასაცილოდაც გამოიყურებოდა.

ბრაზილიის ნაკრების გამოთიშვას ჩემპიონატიდან, როგორც გამოირკვა, დაწინაურებულ პროგნოზისტთა მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია. თამაზი და მისი პარტნიორი კვლავინდებურად წინ იყვნენ. მათ შვიდი ქულით ჩამორჩებოდა მარშანია. სხვათა შორის, მან ზუსტად გამოიცნო გფრ-საფრანგეთის მატჩის ანგარიში, ხოლო ლიდერებმა არგენტინა-ინგლისის შეხვედრის სწორი პროგნოზით გაიხარეს.

ამ უკანასკნელმა თამაშმა კვლავ განაახლა ფეხბურთის ნამდვილ გულშემატკივართა ხმაურიანი სჯა-განხილვა და კამათი. კონკრეტულმა შედეგებმა თითქოს უკანა პლანზე გადაიწია, აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ ინგლისელთა კარში მარადონას მიერ გატანილ ფანტასტიკურ გოლზე. ადარებდნენ ამ გოლს პელეს ვირტუოზულ გოლებს, მექსიკელი სანჩესის მიერ მაკრატელათი გატანილ ლამაზ ბურთს. ინგლისთან გამარჯვებამ რამდენადმე გაზარდა არგენტინის ნაკრების შანსები, თუმცა იგი მთლად ფავორიტი არ უნდა ყოფილიყო. მარადონას მწყობრიდან გამოიყვანენ და მორჩა არგენტინის საქმეო, ამტკიცებდნენ; ინგლისელები ჯენტლმენები არიან, სხვა გუნდები ასე თავისუფლად არ ანავარდებენ მარადონასო.

გოდერძიმ ძალიან განიცადა ინგლისელთა მარცხი. იხტიბარს მაინც არ იტეხდა და ისევ თავისას გაიძახოდა, მსაჯმა გააფუჭა თამაში, თორემ ნახავდით, არგენტინა რასაც მოიგებდაო; მარადონამ პირველი ბურთი ხელით გაიტანა, რაც არ უნდა ეპატიებიათ, უნდა დაემტვერიათო. ლინეკერი ბომბარდირთა სიას ჯერჯერობით სათავეში ედგა, მაგრამ მისი მდგომარეობაც არ იყო მყარი. გოდერძის ახლა ბელგიაღა შერჩენოდა საიმედოდ, თუ ბელგია მესამე ადგილზე გავიდოდა, კიდევ შეიძლებოდა რაღაცაზე ფიქრი.

ნახევარფინალური მატჩების წინ დაწინაურებული პროგნოზისტები შესანიშნავ ხასიათზე იყვნენ და იმაზე ფიქრობდნენ, როგორ გამოეყენებინათ მოგებული ფული. სხვებს უკვე დაეყარათ ფარ-ხმალი და ინერციით მიჰყვებოდნენ მოვლენათა მსვლელობას. გოგი და ვასიკო მეორე ათეულში მიჩანჩალებდნენ, გოდერძი და ფეოლა სხვებთან ერთად მერვე-მეთორმეტე ადგილებს იყოფდნენ, ავთო მეხუთე იყო, ნოდარი კი — მესამე და ბიჭები მას გულშემატკივრობდნენ, ეგება როგორმე გაუსწროო მაგ ხამ მარშანიას. ციური და ვასიკო სამასი მანეთის წაგებას არ ჩიოდნენ, უფრო საძილე გარნიტურის დაკარგვა ადარდებდათ.

ნახევარფინალურ თამაშებს ბევრი არაფერი შეუცვლია და უკვე არავის არაფერი ეეჭვებოდა. ეგ იყო მხოლოდ, ავთომ მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა და პრიზიორებში მოხვედრის თეორიულ შესაძლებლობას ინარჩუნებდა.

არგენტინა-გფრ-ს ფინალურმა მატჩმა ისევ მიუსხა ტელეეკრანებს ფეხბურთის მოყვარულები, იმედახდენილნიც და იმედგაცრუებულნიც. მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მოევლინა არგენტინის ნაკრების სახით და მეცამეტე მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ისტორიის კუთვნილება გახდა.

„საფეხბურთო პროგნოზის" საორგანიზაციო ჯგუფი მეორე დილიდან შეუდგა შედეგების შეჯამებას. თამაზი პარტნიორითურთ, მარშანია და ნოდარი მოლოცვებს იღებდნენ. ამ დროს პროფკავშირის ოთახში სახანძრო რაზმელმა არქიფო კურცხალიამ შემოიხედა. ჭოჭმანის შემდეგ, იგი ჩვეული ბოდიშებით შემოვიდა ოთახში. მღელვარება ეტყობოდა სახეზე, მარჯვენა ხელი, რომელშიც ქაღალდები ჩაებღუჯა, თვალშისაცემად უკანკალებდა.

— დიდი ბოდიში, მარა... თუ შეიძლება, მე რომელ ადგილზე ვარ?

ღიმილით შეხედეს არქიფოს, მეოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედფინალებამდე იგი ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო და მას მერე სათვალავში აღარავის ჰყავდა. არქიფოს პროგნოზებს რომ გადახედეს და საბოლოო შედეგი იანგარიშეს, თავდაპირველად თვალებს არ დაუჯერეს, მერე საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს შეუკავებელი სიცილი აუვარდათ. არქიფოს კონკრეტული მატჩების პროგნოზებში თავი ვერაფრით გამოეჩინა, სამაგიეროდ, ოთხი პრიზიორიდან ორი სწორად განესაზღვრა. მხოლოდ მას ეწინასწარმეტყველა შეუმცდარად ჩემპიონისა და მესამე პრიზიორის ვინაობა, რამაც ერთბაშად ორმოცდაათი ქულა შესძინა, ამას კიდევ საუკეთესო ფეხბურთელის გამოცნობისათვის ათი ქულა დაემატა და არქიფო ყველას გადაასწრა. მან ერთი ქულით გაუსწრო თამაზსა და მის პარტნიორს. ამ უკანასკნელთ კინაღამ გადმოუცვივდათ თვალები ბუდეებიდან, შეცბუნებულება, როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ არქიფოს გამარჯვებაში, გინება-გინებით გაცვივდნენ ოთახიდან. ნოდარს ფერი ეცვალა, იგი პრიზიორთა მიღმა დარჩა. ყველაზე მოულოდნელი თვითონ არქიფოს რეაქცია იყო. მას უეცრად ბრაზმა წამოუარა და სახე წამოუჭარხალდა.

— ფუჰ, ძუნწი ვერასდროს ვერაფერს მოიგებს! — წამოიძახა და ქაღალდები მაგიდაზე დაახეთქა.

როგორც გამოირკვა, მას სამასი მანეთის დადება ვერ გაერისკა. მეხანძრეებს შესჩენოდა და მათთვის ოცდაათ-ოცდაათი მანეთი დაედებინებინა. რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ მოგების შემთხვევაში, ფულს თანაბრად გაინაწილებდნენ. ჰოდა, არქიფოს, რომელიც თვითონ წერდა ყველა პროგნოზს, ახლა ცხრა კაცისთვის უნდა გაეყო ფული.

როგორც კი არქიფო მწარე სინანულით მოჰყვა ამას, სირენების კივილი გაისმა და ელექტროსადგურის ჭიშკარს სახანძრო მანქანები მოადგნენ. წუთის შემდეგ ცხრავე რაზმელი ყურებამდე გაღიმებული შემოვარდა ოთახში.

მარშანიამ, რომელიც მოულოდნელობით დაბნეული, უსიტყვოდ იჯდა და უაზროდ ჩაჰყურებდა ქაღალდებს, საძილე გარნიტურზე უარი განაცხადა. მე ავეჯი არ მიჭირს და, როცა ამდენი თანამშრომელი რიგში დგას, გარნიტურის გადაყიდვას ვერ ვიკადრებო, თავმომწონედ დაიბარა და კარი გაიჯახუნა.

მეხანძრეების მიერ ფულის მოგების ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა.

— წაგება არ მწყენია იმდენად, — ამბობდა ვასიკო, — მეხანძრეების მოგებამ უფრო დამწყვიტა გული, ფეხბურთის ბაიბურში არმყოფმა ხალხმა რაფერ გვაჯობა, რატომ დაგვცინა ასე იღბალმა!

თავად არქიფომ საკმაოდ ლოგიკურად ახსნა თავისი წარმატება: არგენტინას ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავდა და ახლა მარადონა რომ დაემატა, გახდებოდა ჩემპიონი, აბა, რა იქნებოდაო. მერე, ცოტა არ იყოს, ირონიულად დასძინა: დღეიდან მაინც იცოდეთ, თანამედროვე ფეხბურთში ვარსკვლავები წყვეტენ თამაშის ბედსო.

ბიჭები მეტისმეტად გულგატეხილნი იყვნენ.

— აფსუს, რა ჩემპიონატი ჩავიმწარე! — დანანებით ამბობდა ფეოლა. — უყურებ ფეხბურთს და თამაშით ტკბობაზე კი არ ფიქრობ, არამედ იმაზე, შენი პროგნოზი გამართლდეს როგორმე. სცენარი კი წინასწარ დაწერილია ზევით, იგი იშვიათად თუ ემთხვევა შენსას და მთელი სიამოვნებაც იკარგება. მორჩა, ამგვარ საქმეში ამიერიდან არასოდეს გავერევი!

ფეოლამ ყველას გულისნადები გამოხატა.

საღამოს ვასიკოს ნიკუშა შეეფეთა სადარბაზოში.

— რომელ ადგილზე გახვედი? — ჰკითხა.

— არ ვიცი, არ დამიზუსტებია, — მიუგო ვასიკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მესამეზე გაველი!

— მესამეზე?.. შენ რომ არ მონაწილეობდი?

— როგორ არა! აგერ პროგნოზები, — ნიკუშამ თორმეტფურცლიანი რვეული ააფრიალა.

— ამას ვინ ჩაგითვლის აწი, წინასწარ უნდა დაგედო ფული, — უთხრა დაბნეულმა ვასიკომ.

— ფულზე კი არა, შე კაცო, — წყენის კილოთი თქვა ნიკუშამ, — ისე, ჩემთვის, თავის შესაქცევად...

— ააა!

ღამით, როგორც იქნა, მოიღრუბლა და დილიდან თავსხმა წვიმა დაუშვა. მთელი კვირა გადაუღებლად იწვიმა. ჰაერი გაიწმინდა, აგრილდა. წვიმამ დაბის ქუჩებში დაგროვილი მტვერი და ჭუჭყი გადარეცხა, წყლით გაპიპინებულ გზისპირა თხრილებში ჩაიტანა და მერე ღელეს, ხოლო ღელემ მდინარეს გადააბარა. ცხოვრება ნელ-ნელა ჩვეულ კალაპოტში დგებოდა. ელექტროსადგური მუშაობის ნორმალურ რეჟიმზე გადავიდა. მსოფლიო ჩემპიონატისა და „საფეხბურთო პროგნოზის" ექო თანდათან დაცხრა. მშვიდი საღამოები ენაცვლებოდა ერთმანეთს. დაბას ადგილობრივი მასშტაბით მნიშვნელოვანმა ახალმა ამბებმაც გადაუარა. გოგის მესამე გოგო შეეძინა, გენურის ბებია მოუკვდა, ციურიმ და ვასიკომ საძილე გარნიტური გამოიტანეს მაღაზიიდან, პატარა სუფრა გაშალეს და მეზობლები მოიპატიჟეს...

ჰო... ჩვენს მოთხრობაში „საფეხბურთო პროგნოზის" საზეიმო დახურვაზეც უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა. როგორც მკითხველს ახსოვს, ბანკეტისმაგვარი რამ ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ სინამდვილეში არავითარი საზეიმო დახურვა არ შემდგარა. ამის მიზეზი ქეიფის ხასიათზე არყოფნა როდი იყო. სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ სეიფში, სადაც შეგროვილი ფული ინახებოდა, ვიღაცას მრუდე ხელი მოეფათურებინა და სუფრისთვის გადადებული ნაწილი გაექრო. კიდევ კარგი, ყველა არ წაუღია, თუმცა იმასაც ამბობდნენ, საპრიზო ფონდსაც საკმაოდ დააკლდაო... დააკლდა კი არა, თითქმის არაფერი დარჩაო... ამის გარშემო მეტი არაფერი ვიცი. ბიჭები იმდენად გაწბილებულნი და გულგატეხილნი იყვნენ, აღარავის ჰქონდა სურვილი გარკვეულიყო, თუ რა მოხდა, როგორ მოხდა და ზუსტად რა თანხა დაიკარგა. თვით გამარჯვებულებსაც ბოქლომი შეეკიდათ პირზე, არც საორგანიზაციო ჯგუფის წევრების პატიოსნება ეეჭვებოდა ვინმეს და ამ თემაზე ისედაც ყრუ მითქმა-მოთქმა მალე შეწყდა. ყველანი ცდილობდნენ დაევიწყებინათ მომხდარი, სამუდამოდ ამოეშალათ მეხსიერებიდან, და მომავლისათვის მიემართათ იმედიანი მზერა. ერთ რამეშიც ერთსულოვანნი იყვნენ ბიჭები — ამგვარ თამაშში მეტად აღარ მიეღოთ მონაწილეობა. მერამდენედ იმეორებდნენ ამას ფიქრშიც და ხმამაღლაც, რომ ასეთ საქმეში აღარ გაერეოდნენ ამიერიდან, გულში არ გაივლებდნენ არასდროს, არასდროს... ყოველ შემთხვევაში, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატამდე მაინც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადონა ჩხარტიშვილი

●

პირველი წვეთი მოაწყდა მინას,
შრიალებს ქარი, თუთებს აწვალებს.
ეს უეცარიც ჩაივლის წვიმა,
ქუჩებში წაშლის მტვერს და ნაკვალევს.
ეს უეცარიც ჩაივლის წვიმა,
გამოაცოცხლებს დაქანცულ ივლისს
და აბორგებულს, სიცხით გათანგულს
წუთით წვიმისფერს ვიხილავ თბილისს.

●

მე მივატოვე უფლისწულის სასახლე ვრცელი,
ტროგლოდიტივით ვცხოვრობ მიწურში.
ო, ნუ ეცდებით დახმარების მიბოძოთ ხელი,
კმაყოფილი ვარ არჩევანის ბედნიერ წუთით.
აქ ყველაფერი წარსულით და ველურად სუნთქავს,
რაც თვით მკარნახობს დავიწყებას მივცე ახალი,
სიძველისადმი განწყობილვარ..., მადლობა უფალს,
მეც რომ მიბოძა ერთი ძველი მიწურთაგანი.

●

მთელი დღე ნისლი,
საღამოს წვიმა,
წვიმა და
მარტის ქუჩები სველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღე ვეძებ,
ვპოულობ,
ვკარგავ,
ვპოულობ...
ვკარგავ
და ისევ ველი...
მთელი დღე ვფიქრობ...
მიყვარს და მიტომ
ვპოულობ,
ვკარგავ
და ისევ ველი...

●

...და ქარიშხლისგან ხსნას მოელის
უქარო ღამეს,
ღრუბლის ხაფანგში მომწყვდეული
ბებერი მთვარე...

●

— აი, ზამთარი! დაწყებული ცივი
წვიმებით,
ქრისტეშობისთვის
პირველ კვირას
ძალებს რომ იკრებს,
სუროდახვეულ ბებერ ხესთან მიითვლის
ქარვად
შემოდგომის დღის
დანატოვარ
ქარვისფერ ფიქრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## დალი ლოლაძე

# დ ე დ ა

### მოთხრობა

ᲙᲐᲠᲖᲔ ისეთი ძალით დააბრახუნეს, რომ სამმა საწოლმა ერთდროულად დაიჭრიალა და სამი წყვილი თვალი წყვდიადით მოცულ ოთახის ჭერს უაზროდ მიაშტერდა.

ბრახუნი, განმეორდა.

— ხოჭოლავა, დაყრუვდი?! ჩამოგივიდნენ! — ტყვიასავით გაიწუილა და ყველა ხვრელში გაატანა შიშდამფრთხალი მორიგის გამყინავმა ხმამ, რომლის სუსხი კარგს არაფერს მოასწავებდა ხოჭოლავასათვის.

ხოჭოლავას ხსენებაზე ციმბირელი გენია გონს მოეგო, კბილები დაალრჭიალა და შემზარავად წაისისინა: — «Зарежу»!

ხოჭოლავა, რომელიც შიშველ ფეხებს ფეხსაცმელში, თავს კი სვიტერის საყელოში ერთდროულად ტენიდა, დამფრთხალი, კარისკენ გაქანდა და თავის ამოყოფისათვის არც კი დაუცდია, დერეფანში გაიჭრა,

„ნამდვილად დამკლავენ ეს ბიჭები და ახიცაა, ორი დღეა, რაც ლუტუშა გავისტუმრეთ... ვინ არის, ან რა ტრანსპორტით ჩამოვიდა ეს ჩემი ცოდვით სავსე, უთენიას რომ დაგვატყდა თავზე?! სესიები მაინც არ იწყებოდეს, სინათლე ახლახან ჩავაქრეთ“, — ამ ფიქრებით ჩაუქროლა გოგა ხოჭოლავამ დერეფანში მიმავალ სანახევროდ ჩაცმულ მორიგეს, რომელიც გათოშილ ფეხებს მიაბაკუნებდა და ქართველების მისამართით კარგს არაფერს ბურტყუნებდა.

ვესტიბიულში სინათლე საცოდავად ბჟუტავდა. მწვანედ მოციმციმე კედლის საათი ხუთს უჩვენებდა. გოგამ მიმოიხედა. გრძელ ხის სკამზე კაცი იჯდა, თბილი ქუდი თვალებამდე ჰქონდა ჩამოფხატული, იქვე ქალი ტრიალებდა, მუქი ფერის შალი მხრებზე ჩამოსცურებოდა, აწეწილი თმა უჩანდა, სკამის ფეხთან ნაჭრით თავგადაფარებული ტყავის მოზრდილი ხელჩანთა იდგა, ეტყობოდა, ელვა კარგა ხანია აღარ მუშაობდა.

გოგამ ნაბიჯი შეანელა, დააკვირდა. ფეხის ხმაზე ქალმა მოიხედა.

— დეიდა მატო! — თვალებს არ დაუჯერა გოგამ.

მატო ადგილს მოსწყდა. გოგა ბავშვივით მის წინ ახტუზა.

— სქანი გოლუაფირო, გოგია! რა კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგია, რომ გნახე, ბიჭო! — მატომ გოგას ალერსიანად თავზე ხელი გადაუსვა, კოცნაზე, რატომღაც, თავი შეიკავა.

გოგამ თვალი სკამისკენ გააპარა, მატო მიხვდა, რომ მას მიშიკოს ცნობა გაუჭირდა და სასწრაფოდ მიეშველა.

— მიშიკოა მაგი, ჩემი მიშიკო!..

გოგა საზტად დარჩა. საცოდავად სკამის ზურგს მისვენებულ მიშიკოს ცხვირში სინათლე გასდიოდა, ჩამომხმარ პირისახეზე ბიასავით ყვითელი ფერი ედო, თვალები ფოსოებში ღრმად ჩასცვენოდა.

— მიშიკო ძალიან ცუდად მყავს. აქ თუ მიშველიან, თორემ არაა სხვა იმედი, — წასჩურჩულა გოგას მატომ და მერე ხმამაღლა განაგრძო: — გზაში მალიან გავწვალდით, ხან სად გაგვაჩერეს ხან სად. აეროპორტში დილამდე მოცდა შემეშინდა, ვინ იყო იქ პატრონი, შენზე გულშემატკივარი აქ არავინ გვყავს, ბიჭო!

— რა აწუხებს, დეიდა მატო?

— თირკმელა, აგია ჩვენი გაჭირვება, — ამოიოხრა მატომ.

გოგამ შენიშნა, რომ მატო ფეხზე ძლივს იდგა, დედა-შვილის მოსვენება იყო საჭირო.

— მე ამათ ცოტა ხანს ჩემთან შევიყვან, — მიუბრუნდა გოგა მოახლოებულ მორიგეს.

— ვერსადაც ვერ შეიყვან, იქ ხალხს სძინავს, სჯობია, დროზე გაისტუმრო. რით ვერ გააგებინე შენიანებს, რომ აქ სასტუმრო არ არის. საერთოდ, არ უნდა შემომეშვა, — სიცივე და სიბრაზე ერთიანად მოეძალა მორიგეს.

— დეიდა ვერა, ახლა სად წავლენ, ბიჭი ავადაა, მოსვენება სჭირდება, —გოგას ხმაში ხვეწნა ისმოდა.

— მით უარესი, ახლავე წაიყვანე სადაც გინდა. შემოიტანენ კიდევ რამეს და მოედება მთელ საცხოვრებელს. ნუთუ ამდენი არ გესმის! შენც ექიმი გქვია?!

— გადასადები არაფერი აქვს, თირკმლები სტკივა. ჩემს ლოგინზე დავაწვენ, მე გადმომედოს, არ მეშინია.

— არ ვიცი მე არაფერი. დაუჭირე ტაქსი და მიიყვანე სასტუმროში, — უტევდა გოგას დეიდა ვერა.

მატო შეშინებული შესცქეროდა მოსაუბრეებს. მიშიკოს ეტყობოდა, ძალ-ღონე ელეოდა.

— რაო, არ გვიშვებს? — გულის ფანცქალით იკითხა მატომ.

— გადასადები რამე რომ ჰქონდეთ, რა ვქნა მერეო, სამსახურიდან გამაგდებენო.

— უთხარი, გადასადები რომ ყოფილიყო, აქამდე ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა, მე იმიტომ ჩამოვიყვანე, რომ ჩემი თირკმელა მივცე.

— როგორ თუ მისცეთ? — გაუფართოვდა თვალები გოგას.

— მითხრეს, სხვა არაფერი უშველის, ახალი თირკმელა უნდაო, ნათესავმა უნდა მისცესო. ვინ ჰყავს ჩემზე ახლობელი. რად მინდა თავი, ეს თუ არ მეყოლა.

გოგა გაშრა, მატოს მიაშტერდა, სიტყვები დაეკარგა. დედამისის ნათქვამი გაახსენდა: „ჯერ ქმარმა შეიკლა ხელში უბედური მატო, ეს ბიჭი კი ნამდვილად საფლავში ჩაიყვანს".

გაზევებული გოგას დანახვამ მორიგე კიდევ უფრო გააბრაზა და ენერგიულად შეუტია:

— რას უდგახარ! წადი, ჩაიცვი და სანამ გათენდებოდეს, წაიყვანე ესენი აქედან, დეზინფექცია არ გამიხდეს გასაკეთებელი.

გოგას მორიგის სიტყვები აღარ ესმოდა, ის დედა-შვილს მისჩერებოდა. მიშა ხელიდან ეცლებოდათ, მოცდის დრო აღარ იყო. გოგა ბიჭების მოსაყვანად გაიქცა.

გალიზიანებულმა მორიგემ იერიში დედა-შვილზე მიიტანა.

— აქ არ შეიძლება, აქ სტუდენტები ცხოვრობენ, სწავლობენ. რატომ სასტუმროში არ მიხვ...ით. ვინმეს რომ გადაედოს? აქ ვერ გაგაჩერებთ, — სეტყვასავით დააყარა სიტყვები და განზე გადგა.

მატომ დაინახა, რომ მორიგეს სიყვითლის გადადებისა ეშინოდა, შვილის ხელების თბობას თავი დაანება და ახსნაგანმარტებას მოჰყვა:

— Почка... почка... мой...—ему...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატომ ერთი ხელი წელზე დაიდო, მეორე მიშიკოსკენ გაიშვირა.

— რა?! — მორიგე მატოს სიტყვების გაგებას შეეცადა.

მიშიკომ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ვერ გაუძლო და გრძნობა დაკარგა.

მატო გათეთრდა, მიშიკოს მივარდა.

— მიშიკო, მიტუშა, არ გამაგიჟო, შვილო, მოდი გონს!.. არ დამღუპო, გაახილე, ბიჭო, თვალი!... გოგია! — „მიშველეთ რამე... წყალი... ვოდა... ვოდა! —აერია ყველაფერი მატოს.

მიშიკო თვალს არ ახელდა. მატომ შვილის თავი გულში მაგრად ჩაიკრა, ეშინოდა, ბიჭი სკამიდან არ გადმოვარდნილიყო, თან ყურებს უზელდა, გონზე მოყვანას ცდილობდა. თავისი უძლურებით შეძრწუნებულს, ისეთი მწუხარება ეხატა სახეზე და ისეთი ვედრებით შესცქეროდა მორიგეს, რომ მორიგე დაიბნა, უაზროდ მიმოიხედა, მერე წყლის მოსატანად გაიქცა.

— Надо же, надо же... с этими грузнами...

ქალები ვერაფერს გახდნენ. მორიგემ ჭიქა მატოს შეატოვა, თვითონ კი დერეფანში გაიჭრა.

— ხოჭოლავა, ბიჭებო, ჩქარა, უშველეთ, გონება დაკარგა! — შესძახა კარებში.

ბიჭები ოთახიდან გამოცვივდნენ, წინ თვალების ხამხამით გოგა გამორბოდა, უკან ვალერა და გენია მისდევდნენ.

სასოწარკვეთილი დედა ტუჩებს იჭამდა, შვილს ხან უაზროდ ანჯღრევდა, ხან წყლით სახეს უსველებდა.

ბიჭები მიშიკოს გარს შემოეხვივნენ, გენიამ იმწამსვე მაჯაზე წაავლო ხელი.

— Есть пульс! — თქვა ავტორიტეტულად.

— ცოცხალია, ცოცხალი! — მიახარა მორიგემ მატოს, რომელიც უხმოდ იშენდა თავში ხელებს.

— დეიდა ვერა, წყლის მეტი არაფერი გაქვთ? — გენიამ ექიმის როლი შეიფერა.

მორიგემ თავისი ოთახიდან ნიშადურის ბოთლი მოარბენინა. ნიშადურმა მაშინვე გაჭრა, მიშიკომ თვალები გაახილა. ყველამ შვებით ამოისუნთქა.

— მოდი, წავიყვანოთ, — თქვა ვალერამ.

— თვითონ ვერ წავა, მომეხმარეთ, ავწიოთ, — გენიამ მიშიკოს მხრებში წაავლო ხელი, ბიჭები ფეხებში ჩააფრინდნენ. მატოს პალტოს კალთები ეჭირა, დერეფანი რომ არ მოეწმინდათ.

— ხოჭოლავა, დააწვინე შენს საწოლზე, თეთრეულს მერე გამოგიცვლი, — მისცა ნება დეიდა ვერამ, როცა ბიჭებმა მიშიკო ოთახში შეაფხოწიალეს.

მორიგემ დედა-შვილის ნივთები კუთხეში დააწყო და მიშიკოს თერმოსით ცხელი ჩაი შემოუტანა. მიშამ სული მოითქვა, სიცოცხლის ნიშატი დაუბრუნდა. მორიგე თვალს არ აშორებდა.

— სასწრაფოს არ დავურეკოთ? — იკითხა, როცა დაინახა, რომ მიშიკომ საბოლოოდ მოიხედა. მას საერთო საცხოვრებლიდან დედა-შვილის გასტუმრების სურვილი განუახლდა.

— გავერკვევით ახლავე ყველაფერში და მერე, — დინჯად უთხრა გენიამ.

— ჩქარა ქენით, ხომ იცით, აქ გაჩერება არ შეიძლება, მალე ყველა გაიღვიძებს, — ვერამ თერმოსს თავი დაახურა, წასასვლელად მოემზადა.

— კარგი ქალი ხარ შენ, კარგი..., — მატომ სიტყვებს გულიც თან ამოაყოლა.

ცხელმა ჩაიმ თავისი გააკეთა, მიშას ჩაეძინა. მატო მძიმედ დაეშვა სკამზე. გოგამ ჩაიდანს ხელი წამოავლო და ოთახიდან გაიტანა. გენია და ვალერა ოთახში წესრიგის აღდგენას შეუდგნენ, ძილზე აღარავინ ფიქრობდა.

მატომ ოთახს თვალი მიმოავლო. საკმაოდ მოზრდილი ოთახი ფართო ფანჯრით შიდა ეზოში გადიოდა. ფანჯარა ბიჭებს მაცივრად ექციათ, ჩარჩოებს შორის ადგილი უამრავი ქილითა და კოლოფებით იყო ამოვსებული.

მატომ მზერა მაგიდასთან მოფუსფუსე ბიჭებზე გადაიტანა. ვალერა ზედმეტად მაღალი მოეჩვენა, მხარბეჭიანი გენია კი ძალიან მოეწონა, კაი ჯანიანი ბიჭია, მაგის დედამ თქვას, ვაჟკაცი გავზარდეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რავა წიწილასავითააო, გული დასწყდა.

ოთახში გოგა დაბრუნდა, ადუღებული ჩაიდანი შემოიტანა. მატომ ბიჭების მოკრძალებულ საუზმეს თავისი სახელდახელო საგზალიც მიუმატა. ყველანი მაგიდას მიუსხდნენ.

— რა ჭირს მაინც ამ ხალხს? — მოთმინება გამოელია გენიას, გოგას გახედა, რომელიც ორივე ყბით ხაჭაპურს ილუკმებოდა.

— ახლავე, — გოგამ სასწრაფოდ ლუკმა გადაყლაპა, მატოს საუბარი გაუბა.

ვალერამ მიაყურა, ნეტა, თუ რამის გარჩევა შეიძლებაო, გაიფიქრა. მატოს ლაპარაკი ბიჭებს არ აღიზიანებდა, დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ამ არაფრით გამორჩეულ ქალს, რომელიც ძარღვებად ქცეულ ხელებს ჩაის ჭიქაზე ითბობდა, სახე ყველა მიმართულებით ღრმა ღარებით ჰქონდა დასერილი და ტანზე, ლენინგრადის სიცივისაგან თავის დასაცავად, სართულ-სართულ ეცვა საკუთარი ხელით ნაქსოვი სხვადასხვა ფორმისა და ფერის ჯემპრები.

გენიას ყურადღება მატოს თვალებმა მიიქცია, ცისფერთვალა ქართველ ქალს პირველად ხედავდა. შენიშნა, რომ ვალერაც მატოს თვალებს მისჩერებოდა, სევდით სავსე უპეებში ცისფრად რომ ლივლივებდნენ. ლამაზი იქნებოდა, ალბათ, ეს ქალი, დაასკვნა ბოლოს.

უცებ გოგა რაღაცამ საშინლად ააღელვა, თვალების ხამხამს მოჰყვა.

— რაო? — ვერ მოითმინა ვალერამ.

— დიაგნოზიც კი არ ჩამოუტანიათ, ექიმის ნახვას ვერ ვასწრებდითო, მიმართვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მე რა, აქ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ვარ, სადაც მოისურვებენ, იქ დავაწვინო?! — გოგა მზად იყო ატირებულიყო.

— შეიძლება ვინმე დაპირდა დაწვენას? — დააშვიდა გენიამ.

— ვისი იმედით ჩამოხვედით, დეიდა მატო?

— შენი, ბიჭო!

— ჩემი?! — გოგას ტირილის სურვილი დაეპყრა.

— ჰო. ლუტუშამ მითხრა, გოგა გასწავლებელია იგი, ვინც ოპერაციას აკეთებსო.

— ივან ივანიჩი?! — გოგას ენა ჩაუვარდა, ლუტუშასთვის ენის ამოძრობის უდიდესი სურვილი გაუჩნდა. მერე ივან ივანეს ძე წარმოიდგინა, ტანში გააჟრჟოლა.

ივან ივანიჩის ხსენებაზე ბიჭები ყველაფერს მიხვდნენ.

— დეიდა მატო, თქმაც რომ შევძლო, ვინ ვარ მე, ივან ივანიჩმა თხოვნა რომ შემისრულოს. ხომ იცით, რამდენი ქალალდია საჭირო საავადმყოფოში დასაწვენად.

— რავა ვინ ხარ?! სტუდენტი ხარ მისი, მომავალი ექიმი. სტუდენტი ხელმწიფის ტოლი კაცრაო, გამიგონია ბებიაჩემისგან.

გოგას საცოდავი სახე ჰქონდა, თავს ხელმწიფედ რატომღაც ვერ გრძნობდა, ენის ბორძიკით ბიჭებს საქმის ვითარებას უხსნიდა.

— ბიჭო, მასე უსაშველო თუა, მე მაჩვენე და გამეცალე შენ. ფეხებში ჩავუვარდები, რავა მეტყვის უარს რაღაც ნაფლეთი ქაღალდის გულობიზა. ლენინგრადია აქ, იციან მაგენმა ნამდვილი გაჭირვება, — მატომ შვილს გახედა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა მოხდება მერე, რომ ვთხოვოთ? — მოულოდნელად დაიგრუხუნა გენიამ, — თუ ნამდვილია ეს ამბავი, რა ქაღალდია საჭირო, სისულელეა ყველა ქაღალდი!

— ხომ არ ჩამოგვაზრჩობს, — დაუმატა ვალერამ.

გოგას გულზე მოეშვა, მარტო აღარ იყო. როგორც კი ბეჭდიანი ქაღალდები თავიდან მოიშორა, გონება გაეხსნა, გაახსენდა, რომ მეორე ლექცია სწორედ ივან ივანიჩის ჰქონდათ. ბიჭები გაცხოველებით ალაპარაკდნენ, ჭამას უმატეს. მატომ იგრძნო, რომ საქმე მოგვარდა.

— დეიდა მატო, თქვენ ცოტა წაიძინეთ, ვთხოვეთ მორიგეს, ხელს ვერავინ გახლებთ. ჩვენ ვნახავთ ივან ივანიჩს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არაფერი გამოვიდა, მაშინ წავიყვანთ, — გოგამ მხრები აიჩეჩა.

— უდედოდ ხომ არ იქნება მოსული ამქვეყნად, რავა ვერ გაიგებს ჩემს გაჭირვებას. უთხარით, იმის შვილს რამე რომ მოუვიდეს, თავს არ იცოცხლებსთქო, — მატო შედგა. — მე მკვდარი შვილით არ ჩავალ სოფელში, წავვიდონ აქედან ერთი კუბოთი.

გოგას ტანში გააჟრჟოლა.

— რას ბრძანებთ, დეიდა მატო! ორივენი თქვენი ფეხით უნდა დაბრუნდეთ შინ. თქვენ ნუღარ ნერვიულობთ, ვიზამთ რამეს ჩვენ.

მატომ ბიჭებს შეხედა, უნდოდა, მადლობა ეთქვა, მაგრამ ტუჩები აუკანკალდა, ცრემლები მოადგა.

— ჩემს ლოგინზე მოისვენეთ, — შესთავაზა ვალერამ.

— არა, შვილო, ჩამოვჯდები აგერ ჩემს შვილთან, არაფერი გამომეპაროს.

ბიჭები დიდი ხნის წასულები არ იყვნენ, როცა მორიგემ დედა-შვილს მოაკითხა, არაფერი სჭირდებოდეთო. ოთახიდან ხმა არ ისმოდა, კარი ნელა შეაღო. მიშიკოს ეძინა. მის ფეხთან საცოდავად მოკუნტული დედამისი იწვა, შვილის ორივე ფეხი მკერდზე მიეხუტებინა, ეტყობოდა, საბანს გასათბობად საკმარისად არ თვლიდა. ძილშიც კი გატანჯული სახე ჰქონდა. მორიგემ კოჟრიანი ხელებიდან მზერა ჭალარაზე გადაიტანა, სახე არ ეუცხოვა, ასეთი ქალები ბევრი უნახავს ზღვაზე, საქართველოში. „ნუთუ მართალია, რაც ბიჭებმა თქვეს“, გაიფიქრა და მატოს მეტი მონდომებით დააკვირდა. განსაკუთრებული ვერაფერი შენიშნა. აღწერა რომ დასჭირვებოდა, გაუჭირდებოდა.

თითქოს მორიგის დაჟინებული მზერა იგრძნოო, მატო შეიშმუშნა. მორიგემ მიმოიხედა, სკამზე გადადებულ პალტოს ხელი წამოავლო და წელქვევით დააფარა, მერე ზაფრანასავით გაყვითლებულ ყმაწვილს დააცქერდა, თავი გააქნია და ფეხაკრეფით ოთახიდან გავიდა.

— დეიდა ვერა, გეძებდით, თეთრეული დამესვარა..., — აეტუზა წინ სტუდენტი ვაჟი, რომელიც თავს დამნაშავედ გრძნობდა.

— არა უშავს, წასვლისას გასაღები დამიტოვე, შევალ, გამოგიცვლი, — მშვიდად უთხრა ვერამ და გზა განაგრძო. ბიჭმა ყურებს არ დაუჯერა, მოსალოდნელი რისხვის ნაცვლად ალერსიანი პასუხი რომ მიიღო, თვალი გააყოლა. ვერა დაფიქრებული მიდიოდა.

ღამის ცხრა საათი სრულდებოდა, როცა გოგა საავადმყოფოში მივიდა. ძია საშას მისი დანახვა არ გაჰკვირვებია, კარი გაუღო და გასახდელამდეც მიჰყვა.

— ხვალ უკეთებთ, არა, ოპერაციას?

— კი, — გოგამ პალტო დაცარიელებულ გასახდელში ჩამოჰკიდა.

— ხომ არ შეიძლება, რამემ ხელი შეგიშალოთ? — ისე ჰკითხა, თითქოს ივან ივანიჩს მიმართავდა.

გოგას გაეღიმა.

— არა მგონია, ძია საშა, მიშა უკვე მოამზადეს.

— მდაა, — ღრმად ამოისუნთქა კარისკაცმა და ჭაღარა წვერზე ხელი ჩამოისვა.

გოგა დერეფანს გაჰყვა, ფეხს ითრევდა, დეიდა მატოს ნახვა უმძიმდა. რამდენჯერ უნდა ეთქვა, „დარდი ნუ გაქვთ, ყველაფერი კარგად იქნება“. მეტის თქმას კი ვერ ახერხებდა. მისი გამოჩენა პალატის ქალებს ძალიან გაუხარდათ, ის ყველაზე მეტად სჭირდებოდა ახლა დეიდა მატოს. მისალმება არ აცალეს, ერთხმად მიაძახეს, შვილთან წავიდაო, გოგამ მიშასთან წასვლა არ ისურვა და მატოს საწოლთან ჩამოჯდა. ვინ იცის, ეს დედა-შვილის ბოლო საუბარია, ხელი რად შევუშალოო, გაიფიქრა. არც ოპერაციის წინა ღამეს მათი ერთად ნახვა იყო ადვილი.

გოგას პალატაში ყოფნამ ოპერაცია რეალობად აქცია. ქალებს აღელვება დაეტყოთ.

— მაშ, ნამდვილად უკეთებენ, არა? — დეიდა შურა წამოჯდა და საწოლის ზურგს მიეყრდნო.

— მიშა უკვე მოამზადეს, — გაფუჭებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული პატეფონივით გაიმეორა გოგამ იგივე და თვითონვე გაღიზიანდა.

— ამასაც ასვეს რაღაც წამლები და დაძინების წინ კიდევ უნდა გაუკეთონ, — თქვა ნიურამ.

სიჩუმე ჩამოვარდა. გოგამ მიმოიხედა. შურას მეზობლად ახალგაზრდა ქალი ეუცხოვა, დააცქერდა. ქალი თვალებდახუჭული იწვა, ეტყობოდა, არ ეძინა. მუქი ელფერი ედო მის ფართო პირისახეს. ყველა დანარჩენს გოგა კარგად იცნობდა და მათი ცხოვრების და ავადმყოფობის ისტორია, დეიდა მატოს წყალობით, დაწვრილებით იცოდა. გოგა დიდად მადლიერი იყო ამ ქალების, ლუკმას არავინ დაიშურებს, საიდან მოვიდა ამდენი ღვთისნიერი ხალხიო, ეტყოდა ხოლმე დეიდა მატო. ქალები კი, თავის მხრივ, გაიძახოდნენ: რაც მატო მოვიდა, შურა თავისი რძლისა და შვილის საყვედურებს დილიდან აღარ იწყებსო.

გოგამ მზერა ნიურაზე შეაჩერა. ნიურა სანახევროდ ჩამქრალ ჭაღს თვალს არ აშორებდა. გოგამ აიხედა, შეცბა. ჭაღზე სამი სიტყვა ციმციმებდა და მის გვერდით მხრებში მოხრილი ვეებერთელა კითხვის ნიშანი პასუხის მოლოდინში მოუსვენრად ქანაობდა:

— შესძლებ იგივეს გაკეთებას?

გოგამ ჭაღს თვალი სწრაფად მოაშორა, ქალებს გადახედა. დაძაბული სახეები ჰქონდათ, ეტყობოდათ, ისინიც იმავე კითხვაზე გულწრფელ პასუხს ეძებდნენ. იცოდნენ, რომ ამ ღამეს ეს კითხვა ოთახიდან უპასუხოდ აღარ გავიდოდა. შურას ნერვებმა უმტყუნა და წაიბურტყუნა:

— რისთვის იკლავს ეს სულელი თავს? მოუყვანს რძალს და საკუთარ სახლში აღარ დაედგომება, ძაღლივით ქუჩაქუჩა გაუხდება საწანწალო, ზედაც არავინ შეხედავს. ორი თირკმელით არ ვვარგივართ ხალხი, ეგ ხომ ნამდვილი ინვალიდი გახდება.

არავინ განძრეულა. შურას სიტყვებმა ჰაერში გაიბზუილა და უპასუხოდ დარჩა. მოგვიანებით, თითქოს ყველას აზრი გამოხატაო, ნიურამ თქვა:

— ომის დროს, როცა თვალწინ შვილს გიკლავენ, შენს თავზე აღარ ფიქრობ... ახლა... რომ იცოდე მაინც უშველის?!

ქალებს გულზე მოეშვათ, ერთმანეთს გადახედეს.

— როგორ გგონია, გადაიტანს? — მოულოდნელად მიუბრუნდა ნიურა გოგას.

— ოპერაცია ძნელი არ არის, — დასცდა გოგას მზა ფრაზა.

— კარგი ადვილია, მე და ჩემმა ღმერთმა, — უკმაყოფილოდ გააქნია თავი შურამ.

გოგა თავისმა უხეირო პასუხმა შეაწუხა, თავი ჩაღუნა, იატაკს დააშტერდა.

ოთახში მატო შემოვიდა. სევდიანი სახე ჰქონდა. გოგას დანახვაზე თვალები გაუნათდა.

— რა ჰქენი? — ჰკითხა მაშინვე.

— ჩავთვალე.

— კარგი ძალიან. ვწუხდი, ხელი ხომ არ შევუშალეთ-მეთქი. დიდი ხანია მოხვედი?

— ახლახანს.

დეიდა მატო საწოლზე ჩამოჯდა.

— იქ ვიყავი, მიშიკო მანახვეს. მინდოდა ღამეხედა, ხომ არ შიშობს-მეთქი, — მატომ ხმას დაუწია.

— მე რომ ვნახე, ყოჩაღად იყო. დეიდა მატო, რა აქვს ხაშიში, მალე სულ განიკურნება.

— შენ მოგეცა, შვილო, სიკეთე, ეგრე თუ იქნა, — მატომ გოგას მუხლებზე დაწყობილ ხელებს ხელი მოუთათუნა.

— რავა გაცივებულხარ, ბიჭო, ასე ცივა?

— ძალიან, — გოგამ თითები აამოძრავა.

სიჩუმე ჩამოვარდა. გოგა სასაუბრო თემას ეძებდა. მატოს თავისი სადარდებელი არ ეშვებოდა.

— დეიდა მატო, რა გითხრათ მიშიკომ? — სხვას ვერაფერს მოაბა თავი გოგამ.

— რა ვიცი, არ მეშინიაო. რავა დაჰკანკალებენ თავზე! მეც შევუძახე, ვაჟ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი იყავი, გულში ეჭვი არ გაივლო-მეთქი. ვუფიცე, პროფესორმა თქვა, ასპროცენტიანია აგი საქმე-მეთქი. გული მეუბნება, მიშიკოს არაფერი გაუჭირდება.

გოგა დაეთანხმა. მატომ დინჯად განაგრძო:

— ხომ გახსოვს, რა ბიჭი იყო ჩემა მიშიკო? ტოლს არავის უდებდა ბიჭებში, რაც მე მაჭანკლები მომდიოდა... იკლავდნენ თავს გოგოები. მაგრამ არ დამაყენა საშველი, არ მალირსა რძალი, რა მეჩქარება, ქალს რა დალევსო.

გოგას თვალწინ მამალივით გაფხორილი მიშიკო დაუდგა, მედიდურად რომ დაიჭიმებოდა და გოგოების რიხვად მოჰქონდა თავი.

— ისე, სულ გოგოებმა გამიფუჭეს. სადაც კი ჩანგალი და დანა გაჩხარუნდებოდა, ყველგან მაგას ეძახდნენ. გიტარაზე დაკვრა და სიმღერა ქე იცის და არც შესახედავად უჭირს რამე.

მატო შედგა, თავი უკმაყოფილოდ გააქნია, ძველი დრო გაახსენდა.

— რაც მე მაგას ვუძახე, ბიჭო, ნუ შვრები მაგდენს, არ მიგიყვანს კარგ დღემდე-მეთქი... ვინ დაგიჯერა!.. უჯერებთ ვინმეს ახალგაზრდები?

გოგა ფიქრებიდან გამოერკვა, მიშიკოს ღვინით ალეწილი სახე და ამღვრეული, დიდრონი ბდღვრიალა თვალები მოიშორა, მზერა მატოს ხელებზე გადაიტანა. ხელებზე ამ გაუხარელი ქალის მთელი ცხოვრება იყო ასახული.

— როცა გაუჭირდა, იცოცხლე, მერე კი მიძახა, დედა, მიშველე რამე, გადამარჩინეო! მარა, ხომ ხედავ, დადო თავი სასწორზე... ვუშველი კი?! მაგი თუ არ მეყოლა, რად მინდა თავი ცოცხალი?! — მატო უკვე თავის თავს ელაპარაკებოდა.

გოგამ შეხედა. მატოს მშვიდი სახე ჰქონდა. გეგონებოდათ, ხვალინდელი დღე მას არ ეხებოდა. „საიდან აქვს ამ პატარა ქალს ამდენი სულიერი ძალა და სიმტკიცე?“ — გაიფიქრა გოგამ და თვითონაც გაუკვირდა, რა სისწრაფით გაირბინა მის თვალწინ დეიდა მატოს უთავბოლო ცხოვრებამ.

— დეიდა მატო, ყველაფერი კარგად იქნება. ოქროს ხელები აქვს პროფესორს. იცით, რა ოპერაციებს აკეთებს?! — გოგა შედგა, კინაღამ დასცდა სიკვდილის შემთხვევები ცოტააო.

— ხელები არ ვიცი, გული კი ნამდვილად ოქროსი აქვს. რა გადაიხდის ამ კაცის პატივისცემას! ვუთხარი, ჩემი სახლი — შენი სახლია, შენზე ძვირფასი მე არავინ ჩამომივა-მეთქი.

— რა გითხრათ? — დააინტერესა გოგა თავისი სიტყვაძვირი პროფესორის ნათქვამმა.

— ნუ მპატიჟებთ, არ გეგონოთ, არ ჩამოვალო, — მატოს სახე ისე გაუბრწყინდა, ეტყობოდა, ივან ივანიჩი ედგა თვალწინ. — იჯდა კაი ხანს, მასწავლა, ოპერაციის შემდეგ რა ვქნა, რა ვჭამო... თუ ვიქენი... — ჩაილაპარაკა თავისთვის.

გოგას გული შეეკუმშა, ასეთი რამ მატოსგან პირველად ესმოდა. ბოლო სიტყვები ვითომ ვერ გაიგონა,

— რა თქვა, რა ჭამეთო?

— შენ არ შეწუხდე მაგაზე. თვითონ აქვთ ამგენს, რაც საჭიროა. მე ისიც მეყოფა, რომ აკლებ დროს მეცადინეობას ჩვენი გულისათვის.

— რას ამბობთ, დეიდა მატო! ისე შეგვასწავლეთ თირკმლის ოპერაცია, რომ ბიჭები ნატრობენ, გამოცდაზე შეგვხვდესო.

— კაი, თუ რამეში გამოგადექით.

მატო გაჩუმდა. გოგამ ახლაღა შენიშნა, რომ მთელი მათი საუბრის განმავლობაში ქალებს ხმა არ ამოუღიათ.

— გვიანაა, წადი აწი შენ. არ დარჩე ფეხით წასასავლელი, არ გაიყინო სადმე.

— არა. თქვენ თუ მოისვენებთ, კარგი იქნება. წამოწექით, დეიდა მატო!

— რა მეჩქარება, სულ მოსვენებული არა ვარ? მაკეთებინებს ვინმე რამეს თუ?! ჩემი დასვრილი თეფშის წაღებას არ მაცლის აგი გოგო, დაავლებს ხელს და თვითონ მიარბენინებს, — მატომ გოგა უცნობ ახალგაზრდა ქალისკენ გაახედა. — გევიდეთ ახლა აქედან, მინდა გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხრა ორი სიტყვა, ცოდოა ეს ხალხი, ვერ იძინებს.

მატო და გოგა დერეფანში გავიდნენ. კედელზე მიმაგრებული ღამის ნათურა ძლივს ბჟუტავდა. დერეფანი ცარიელა იყო, ფანჯარასთან გაჩერდნენ. მატო თოვლით დაზუნძლულ ნაძვს მიაჩერდა. მისი ყურადღება მთვარის შუქით განათებული თოვლის ელვარებამ მიიქცია.

— რა ლამაზია აგი ნაძვი, ბდღვრიალებს საახალწლო ხესავით!

— მთვარეა გარეთ, — თქვა გოგამ.

— ძველია, ალბათ.

— არც ისე.

— ჩვენსას რომაა, მასეთი დიდი მთვარე ჩანა აქაც?

— კი.

მატო გაჩუმდა, ერთხანს კიდევ უყურა. მერე ხალათის ჯიბიდან შეკრულა ამოიღო, გოგას გაუწოდა.

— რა არის ეს, დეიდა მატო? — გოგამ მამაკაცის ცხვირსახოცის ბოლოებით ჯვარედინად განასკვული შეკრულა ხელში შეათამაშა.

— ჩაიდე კარგად შიდა ჯიბეში და გეტყვი ყოლიფერს. ფულია მანდ.

გოგამ ფული პერანგის ჯიბეში ჩაიდო და ზედ სვიტერი ჩამოიწია. მატო თვალს არ აშორებდა.

— მაგი ფული წამოსვლისას მეზობლებმა მომიტანეს, სიაა მანდ და წერია, ვინ რამდენი. გორა რომ დადგა წვრილი ფულის, გვაჯამ თქვა, — ხომ გახსოვს ჩვენი მოლარე? — ამ ხურდის თრევას მოუნდება აგიო, დამიტოვა ცოტა ხელზე, დანარჩენი კი ასმანეთიანებზე დამიხურდავა. მანდ ხუთასი მანეთია. მე მგონი, გეყოფა ჩემს წასალებად.

— თქვენ რა წაღება გინდათ, თქვენი ფეხით წავალთ ორივე, დეიდა მატო!

— კაი, თუ მასე იქნა, მარა?.. სია არ დაკარგო, ჩვენი სახლი რომ გაიყიდება, მამას სთხოვე, დამდოს პატივი, მიუბრუნოს ყველას თავისი, მორჩება დასამარხს. საფლავი ქე მაქვს და არ უნდა მეზობლებს მეტი შეწუხება, შეკლული მყავს ისეც ხელში.

— დეიდა მატო, ფულს ამ წუთში დაგიბრუნებთ, — გოგამ ხელი ჯიბეზე წაივლო.

— არა, შვილო, არ მითქვამს, აუცილებლად დევიხოცებით-მეთქი. მარა, მინდა თადარიგი დავიჭირო, არ შეგხვდეს შენ გაჭირვება. თუ ცოცხალი დავრჩი, საფლავამდე არ დავივიწყებ შენს სიკეთეს, გოგია. ქალს რომ მოიყვან, ისეთ ხაჭაპურებს დაგიცხობ, ვერ დაივიწყოს ვერავინ. გაზზე კი არა, სულ კეცებზე, ხომ იცი, სულ სხვა გემო აქვს.

— არ ვარ წინააღმდეგი, დეიდა მატო, — გაიღიმა გოგამ.

— რისი ბიჭო, ქალის თუ ხაჭაპურის? —აუჟუჟუნდა თვალები მატოს.

— რასაკვირველია, ხაჭაპურის. ქალი ვინ იცის, ვინ შეგხვდება, — აუბა მხარი გოგამ.

— დეგიხსომებ მე მაგას, და თუ ღმერთმა შენ ქორწილამდე არ მომკლა, ვეტყვი შენს ცოლს, ხაჭაპურში რომ გაცვალე, ბიჭო!

— მე ხაჭაპური გამომიცხვეთ, იმას კი, რაც გინდათ, ის უთხარით, — არ დაიხია უკან გოგამ.

მატოს გაეღიმა, გაიფიქრა, დანატრებულა ეს ბიჭი სახლს, ცოდოა უდედოდო და დიდი სიყვარულით უთხრა:

— გოგია, დიდ საქმეს აკეთებ აქ, ეს გაჩხიკული ბიჭი. სოფელში სულ მაგია სალაპარაკო, გოგიას დამთავრებამდე თუ არ მოვკვდით, ის იმისთანა ჭკვიანია, მერე აღარ მოგვკლავსო. შენ მოგეცა ყოველი სიკეთე, შენი მშობლების გახარებისათვის.

გოგას მალამოსავით მოედო გულზე მატოს სიტყვები.

— თუ სოფელში ჩასვლა მელირსა, სულ წვრილად მოვუყვები ყოლიფერს, რაც შენ გამიკეთე. მაგას კაი ვაჟკაციც ვერ შეძლებდა.

— მე არაფერი გამიკეთებია. ყველაფერი თქვენი გაკეთებულია, დეიდა მატო.

— მე რისი გამკეთებელი ვარ, ჩემი ორი ღერი რუსულით, ვიცი კარგად, — არ დაეთანხმა დეიდა მატო, — ცოტაც მიშველე და, მერე შენი შემწუხებელი არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ. ფული თუ არ გეყოს, ჩვენი კოლმეურნეობის მძღოლს დაურეკე — დათოს, წერია მანდ ნომერი. მიშიკოს გაწყრელი ამხანაგია, ფულს მაშინვე გამოგიგზავნის და დაგხვდება სოხუმში სოფელში წასაღებად. იქ ყოლიფერი მაქვს დაბარებული, შენც გეტყვი აწი. ძროხას თამარიას ბალღებს მისცემენ, პატიოსანი კაცია მისი ქმარი და უჭირს ძალიან. მარუსია სადღობელს წაიღებს, გაუჭდა, ვერ შოულობდა. მეზობლები დაინაწილებენ დანარჩენს. ბევრი არაფერია. ჩემმა საცოდავმა გრიშამ სულ ქეიფში დატოვა, რაც იშოვა. ხათრიანი იყო ზედმეტად, მაგი იყო მისი გაჭირვება. დაიღუპა თავი იმ უბედურმა და დამღუპა მეც. ჩემიანებს ქე შეატყობინებენ.

გოგამ გაჩერება სცადა, მაგრამ მატომ დაასწრო:

— ნუ შემაწყვეტინებ, ბიჭო, დამავიწყდება რამე და ვერ მოვისვენებ. აქაური რაც მაქვს, ქალები ჩააბარებენ. პალტო რომ დამატოვებინეს მოსულისას, ტანსაცმელს რომ კიდებს — ლიდა, იმას მიეცი, ორჯერ არ მექნება ჩაცმული. მართალია, ქე ცივა, მარა პალტოში თუ არ გამომაწყობ, არ მიჭირს არაფერი. მაგან გაჭირვება მომიყვა, მე რა საკითხავი ვარ.

გოგა მატოს მისჩერებოდა და ელოდა, მიშიკოზე რას მეტყვისო.

— კინაღამ არ დამავიწყდა, — მატომ თითიდან ჯვრისწერის ოქროს ბეჭედი წაიძრო, — აგი ბეჭედი შურას მეზობლად რომ ახალგაზრდა ქალია, იმას მიეცი, ყველაზე მადლი მაგიზაა, დახედავს, გაიხსენებს.

გოგას უნდოდა ეკითხა, რატომ არის ყველაზე მადლიო, მაგრამ მატოს სიტყვა არ შეაწყვეტინა,

— თუ ფული რამე მოგრჩეს, არ დააბრუნო, დაუძახე შენს ამხანაგებს, დიდი პატივი მცეს მე მაგათ და, როგორც ჩვენი წესია, დაალევინე თითო ჭიქა შესანდობარი.

მატო გოგას მიაჩერდა. გოგამ გაიფიქრა, მე რომ ახლა რამე დამიტოვოს, გულიც გამისკდებაო. მაგრამ დეიდა მატო უტყუარი ალღოთი გრძნობდა, რა უნდა ეთქვა.

— გოგია, შენ ჩემი ლოცვა-კურთხევა გინათებდეს გზას მთელ სიცოცხლეში. არაფერი ცუდი შეგხვედროდეს ცხოვრებაში. ისეთი ცნობილი ექიმი გამოსულიყავი, რომ ლენინგრადიდან ჩვენსას ჩამოსულიყვნენ აგენი. კეთილი მშობლების შვილი ხარ, ვიცი, სიკეთეს არავისთვის დაიხარებ, და ღმერთსა ვთხოვ, სიკეთე არ მოგაკლოს არასოდეს, — ისეთი გულით ლოცავდა მატო, რომ გოგას სუნთქვა შეეკრა.

მოულოდნელად მატო შედგა, ორი კაცი დაინახა. სანახევროდ ჩაბნელებულ დერეფანში მათი შორიდან გარჩევა შეუძლებელი იყო.

— გენია და ვალერაა მაგი, — იცნო მატომ მოახლოებული ბიჭები.

— გამარჯობათ, — უთხრეს ბიჭებმა ქართულად.

მატოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ყინვისგან აწითლებულ სახეებს თვალს ვერ აშორებდა, არ იცოდა, რა ეთქვა.

— ცივა? — ჰკითხა ბოლოს.

— ცოტა, — ბიჭებს ეტყობოდათ ძალიან ესიამოვნათ, თავისი მოსვლით მატო რომ ასე გაახარეს. ვერც თვითონ მოახერხეს რამის თქმა, მუნჯებივით იდგნენ.

— აქეთ ვიყავით და გოგას მოვაკითხეთ, ვიცოდით, თქვენთან იქნებოდა, — თითქოს თავს იმართლებსო, თქვა ვალერამ.

— წადით აწი შინ, სანამ ყინვა მოიმატებს, — გაუღიმა მატომ.

— დეიდა მატო, მოისვენეთ თქვენც, — გოგა მატოს წინ აეტუზა, წამწამები აფახულა.

მატომ გოგას თავზე აკოცა, ერთხანს შეჰყურებდა, რაღაცის თქმა უნდოდა, ძალას იკრებდა.

— გოგია, სქანი გოლუაფირო! მიშიკოს შენ გიტოვებ, ბიჭო! — მატოს ხმა გაებზარა, — ვიცი, მიმიხედავ. შენსას უფრო დაიჯერებს, უთხარი ორი სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვა. ნახავ, არ არის ცუდი ბიჭი, გამოგადგება ძმასავით.

მატოს სახეზე ობოლი ცრემლი ჩამოგორდა. ბიჭები შეწუხდნენ.

— ყველაფერი კარგად იქნება, დეიდა მატო, — უთხრა გენიამ სასწრაფოდ.

— ნუ გეშინიათ, დილას აქ ვართ, — დაუმატა ვალერამ.

მატომ ბიჭებს მადლიერებით სავსე თვალები შეანათა.

— Хороший мама у вас, хороший — უთხრა დიდი სიყვარულით, შეეშინდა არ ატირებულიყო, მოტრიალდა და პალატისკენ გასწია. თვითონაც გაუკვირდა, ისე ყოჩაღად შევიდა პალატაში.

გენია გოგას თავზე წამოადგა და აღელვებულმა დასძახა:

— გათავდა!

— რა გათავდა? — გული კინალამ გაუსკდა გოგას.

— ოპერაცია გათავდა.

გოგამ ამოისუნთქა.

— ღმერთია, კაცი კი არა! უნდა გენახა, რას მუშაობდა. ასისტენტებმაც ძალიან იყოჩაღეს, — გენია შედგა, — შენ სად შერჭობილხარ, ძლივს გიპოვე?! ვალერა დერეფნის მეორე ბოლოში გაიქცა შენს საძებნელად.

— აქ თვალში არავის ვეჩხირებოდი, ვიყავი ჩემთვის წყნარად.

— წავიდეთ, აი, ვალერაც მოდის.

გოგა ნელა დაიძრა.

— ყველაფერი ვირტუოზულად არის გაკეთებული. ნეტა გეცქირა, — მიაზარა გოგას ვალერამ. — ახლა თუ ორგანიზმმა არ უღალატათ...

— გამოაღვიძეს? — უხალისოდ კითხულობს გოგა და უკვირს, რომ ძალა ელევა, ძლივს მიაბიჯებს.

— ჯერ არა. ამ წუთში დაამთავრეს. ჩვენ შენთან წამოვედით, ბიჭები იქ არიან, — ყრუდ ესმის გოგას ვალერას სიტყვები.

საოპერაციოსთან თითქმის მთელ კურსს მოუყრია თავი, მოუთმენლად ელიან დედა-შვილის გაღვიძებას. გოგა შორიახლოს ჩერდება. ხმას არავინ იღებს. დრო მიიზლაზნება. საოპერაციოს კარი იღება და ექთანი გამოდის.

— გილოცავთ, გაიღვიძეს, — ამბობს და თითი ტუჩთან მიაქვს, არ ახმაურდეთო.

ყველაფერი ირევა. ვინ ვის ეხვევა! გენია გოგას საშველად მიიწევს, ეშინია, არ დაახრჩონ, ზოგი თვალებს უაზროდ აცეცებს. შეშინებული ექთანი სტუდენტებს, რაც ძალა და ღონე აქვს, ერეკება: „წადით, წადით, პროფესორი გამოვა, არ დამღუპოთ!“ ზანტად იშლებიან. გოგა ბიჭებს გასძახის, ახლავე დაგეწევითო და პირდაპირ დეიდა მატოს პალატისკენ გარბის.

განყოფილებაში ყველამ უკვე იცის დედა-შვილის გამოღვიძების ამბავი. ავადმყოფები დერეფანში გამოფენილან. ყველა თვალი გოგასკენ არის მიმართული. თვალი ცისფერი, ლურჯი თუ თაფლისფერი, თვალი კაცის თუ ქალის, მოხუცის თუ ახალგაზრდის. გოგას დერეფნის გავლა ძალიან უჭირს, უხერხულობის გრძნობა ეუფლება. არაფრით იმსახურებს იმ უსაზღვრო ალტაცებასა და პატივისცემას, სიხარულით გაბრწყინებულ თვალთაგან რომ გამოსჭვივის. უცხო ადამიანები ხელს ართმევენ, ულოცავენ, რაღაცას ეუბნებიან. გოგა მადლობის ნიშნად თავს აქნევს, იღიმის. „რა გადაამშენებს იმ ხალხს, სადაც ასეთი დედები ჰყავთ!“ — ესმის და ეშინია, ბავშვივით არ ატირდეს.

პალატაში შესვლას ვინ აცლის, ვიღაც გულში იკრავს. ეს დეიდა ნიურაა, რომ ეხვევა და რაღაცას ბუტბუტებს. ყველა გარს შემოსჯარვია, ხელს არავინ უშვებს, თითქოს ეს სასწაული ამ ხელებით იყოს გაკეთებული. „ჩემკენ გამოუშვით!“ გაიძახის საწოლს მიჯაჭვული შურა. გოგა შურასკენ მიიწევს, თვალი კი დეიდა მატოს დაცარიელებული საწოლისაკენ გაურბის. მაგიდაზე, ჩაის ჭიქაში მიმოზის ერთი პატარა შტო ნებივრობს. მის მწვანე ფოთლებზე ახლად დაჩეკილი წიწილებივით შეყუჟულა ყვითელ-ყვითელი პაწაწინა ყვავილები. თვალს ვერ აშორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სანიტარმა დუსიამ შემოუტანა, როცა დაბრუნდება, გაუხარდებაო, —ეს-მის ქალის ხმა.

გოგას ყურადღებას თავშეუკავებელი ზლუქუნი იპყრობს. შურას მეზობელს თავი ბალიშში ჩაურგია და გულამომჯდარი ქვითინებს.

— Она детдомовская, — ჩურჩულით უხსნის დედა შურა და თავისკენ იზიდავს.

გოგას მეტი აღარაფერი ახსოვს. ეზოში დგას. გრძნობს, რომ რაღაც უხილავი ძალა წინ ეწევა, ადგილზე გაჩერების ნებას არ აძლევს. და აი, ისიც მირბის, სიჩქარეს იკრებს, მიწას სცილდება, ზევით მიიწევს, წამიც და, თოვლის ფიფქებით სავსე ცის უსაზღვრო სივრცეში აღმოჩნდება. გაკვირვებული, ზევით იხედება, თვალებს არ უჯერებს. დედა მატოს ღრუბელივით ფერმკრთალი პირისახე უღიმის. ალბათ, მთვარის სანახავად ასულაო, ამბობს თავისთვის და უდარდელად მოფარფატე თოვლის ფიფქებს მიჰყვება.

წამები საათებად იქცა, საათები კი დღეებად.

გოგამ ბარგი დაყარა და მიშიკოს სანახავად საავადმყოფოში გაქანდა, მატოსათვის მიცემული პირობა რომ შეესრულებინა. იცოდა, რომ მისი ზარის მოლოდინში დეიდა მატო ფოსტაში გაათენებდა. ძლივს დაითანხმა ივან ივანიჩმა ქალი, გოგას შინ გაჰყოლოდა და ძალამოკრეფილი, შვილის წასაყვანად მოგვიანებით დაბრუნებულიყო.

საავადმყოფოში ძია საშამ გოგას დანახვაზე გაიხარა. დაწვრილებით მოაყოლა მატოს ამბავი. ნასიამოვნებმა, მერე სასწრაფოდ აცნობა, პროფესორი აქ არისო. ივან ივანიჩთან სასაუბროდ გოგა უკეთეს დროს ვერ ინატრებდა და პირდაპირ კაბინეტისკენ გაემართა. თვალწინ თავისი პირველი საუბარი დაუდგა, გენერლის ფორმით დამშვენებულ დიდებულ დასტაქარს საცოდავად რომ შეჰკნაოდა, არავითარი საბუთი არა აქვთო. გულშემატკივართა მთელი ჯგუფი ზურგს უკან რომ არ ჰყოლოდა, ხმამაღლაც ვერ ამოიღებდა.

— ყველაზე დიდი საბუთი მათი ავადმყოფობაა, — გარკვევით ჩაესმა გოგას მასწავლებლის პასუხი.

გოგას გული მადლიერებით აევსო, აღელდა. ნეტავი შეეძლოს, უთხრას, რასაც გრძნობს და ფიქრობს. გოგა წელში გასწორდა. „ღრმად პატივცემულო... არა... ძვირფასო ივან ივანიჩ! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხართ ჩვენთვის, სტუდენტებისათვის! თქვენს ლექციას ვინ გააცდენს, თავქუდმოგლეჯილები მოვრბივართ, არ დაგვაგვიანდეს... თქვენი ოპერაციები, თქვენი დამოკიდებულება ავადმყოფებისადმი, საქმისადმი... თქვენ მთელი აკადემია ხართ ყოველი ჩვენგანისათვის... ვინ ვარ მე?.. თქვენ კი ისეთი საქმე გამიკეთეთ, მთელ სოფელში თავი დამადგით..." — გოგას ცრემლები მოერია და ისე გაიტაცა და გააკვირვა საკუთარმა მჭევრმეტყველებამ, რომ კაბინეტს ჩაუქროლა და უკან დაბრუნება დასჭირდა. დაბნეულმა, კარი ოდნავ შეაღო, თავი შეყო.

ივან ივანიჩ მე წერდა.

— შეიძლება? — ხმამ პროფესორამდე ვერ მიაღწია.

გოგა სანახევროდ შევიდა.

— აა, ხოშოლავა, შემოდი! — აწია თავი ივან ივანიჩმა.

გოგა მაგიდის წინ აიტუზა.

— დაჯექი და მოჰყევი, რა ამბავია.

— ყველაფერი კარგად არის, — წაიღუღლუღა გოგამ და სკამზე ჩამოჯდა.

— რა არის კარგი, სახლში ყოფნა, დედასთან, თუ საქართველოში კარგი ამინდია? აი, ჩვენთან კი თოვს.

გოგა წამოწითლდა, საკუთარმა უნიათმა პასუხმა გააჯავრა. წამით შეჩერდა, შემდეგ კი, როგორც ექიმს მოეთხოვება, ისე მოახსენა თავის მასწავლებელს მატოს მდგომარეობა. არაფერი გამორჩენია, მატოს შეგრძნებები და განცდებიც კი.

— ეს სხვა ლაპარაკია, — ესიამოვნა ივან ივანიჩს, — თორემ ვიფიქრებდი, ტყუილად დაგიწერე ნიშანი...

დიდი ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგას გულზე მოეშვა. ჯერი მასწავლებელზე მიდგა.

— ჩვენთანაც ყველაფერი კარგად მიდის, — გაიღიმა ივან ივანიჩმა, — ოღონდ საბოლოო სიტყვისათვის, დროა საჭირო... — პროფესორს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარი ფართოდ გაიღო და სანიტარი დეიდა დუსია ჩაიდანით ხელში შემოგორდა.

დეიდა დუსია ამ საავადმყოფოს სრული გამგებელი იყო. მისი ყველას ეშინოდა; ბლოკადა ჰქონდა გამოვლილი და ბევრი ჯარისკაცის სიცოცხლე საკუთარი ჯანმრთელობის ფასად გადარჩენილი, ომის ვეტერანთა საპატიო დაფაზე მისი სურათი ცენტრში ეკიდა მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული. დეიდა დუსიასთვის რანგები და თანამდებობები არ არსებობდა. თავისი ომახიანი ხმით სიმართლეს მოურიდებლად ყველას პირში ახლიდა, დირექტორიდან სანიტრამდე. არც ურჩ და ჭირვეულ ავადმყოფებს ადგათ კარგი დღე. ამ ფოლადის ქალის ერთადერთი სუსტი წერტილი ივან ივანიჩიაო, —იცინოდნენ ექიმები. ივან ივანიჩი დუსიას თავს ერჩია და თუ საღამოობით მორიგეობისას ხელში ჩაიგდებდა, შვილივით უვლიდა, გაუთავებლად ჩაით ამარაგებდა.

გოგა დუსიას მიესალმა და გაკვირვებული დარჩა, როცა პასუხად მხოლოდ ნამალადევად დაუქნიეს თავი. მაშინვე მიმოზის პატარა შტო გაახსენდა. დაიბნა. გამოლაპარაკება გადაწყვიტა და სანამ ივან ივანიჩი ჩაისთვის ადგილს ათავისუფლებდა, დუსიას წასჩურჩულა:

— მე ახლა ჩამოვედი. მიშას სძინავს, დეიდა დუსია?

— სულელია ეგ შენი მიშა, — დაიგრუხუნა დუსიამ.

ივან ივანიჩმა გაკვირვებით შეხედა.

— დედამისი კინაღამ შეიწირა, ის კი აქ არშიყობს, — აღშფოთდა დეიდა დუსია და განრისხებული თვალებიდან გოგას ცეცხლი შეაფრქვია.

— რაა?! — ყურებს არ დაუჯერა ივან ივანიჩმა.

დეიდა დუსიასაც ეს უნდოდა, დიდი მონდომებით, სულ დაწვრილებით აღწერა პალატაში მომხდარი ამბავი, — თუ როგორ და რა ვითარებაში ჩაბღუჯა მიშიკომ ექთანი და კოცნა დაუწყო.

— მაინც, საიდან გაუჩნდა ამდენი ძალა! სანამ ყვირილზე ექთნები არ მიეშველნენ, ქალმა თავი ვერ დააღწია. მე არ მითქვამს თქვენთვის, ენას ხომ არ მოგიტანდით, — თავმომწონედ დაასრულა თავისი მონოლოგი დეიდა დუსიამ.

დუსიას ყოველ სიტყვაზე გოგა სულ პატარავდებოდა, მთლად დაილია, მხრებში მოკუნტული, საცოდავად იჯდა, თავჩაღუნული.

დეიდა დუსიამ, გული რომ მოიჯერა და მიხვდა, მიზანს მივაღწიეო, მედიდურად გავიდა ოთახიდან.

გოგას თავი არ აუწევია, გაქვავებული იჯდა. მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ერჩია. ამხელა სირცხვილი და თანაც ვისთან!

მოულოდნელად გოგას სიცილი მოესმა. გაკვირვებულმა თავი ასწია. ივან ივანიჩი სკამის ზურგს მიყრდნობოდა, ისე გულიანად იცინოდა, მხრებიც კი უკანკალებდა. ვაჟკაცურ პირისახეზე ნათელი, საზეიმო და მხიარული განწყობილება ეწერა. უცებ შედგა, ცრემლები მოიწმინდა, გოგას შეხედა: — შესანიშნავია, ყველაფერი რიგზეა, შეგვიძლია, ხვალვე გავწეროთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## აკაკი დაუშვილი

# ქაზინო

### მოთხრობა

ყველა ჩვენგანის წინაპარს, ჩემი აზრით, კაცი ჰყავს მოკლული და მათი ცოდვიანი სისხლის ერთი წვეთი ცოფიანი ძაღლივით დაძრწის ჩვენს ძარღვებში (თუ მკვლელობა სამშობლოსა და სამართლიანობისათვის მოხდა, მაშინ ღმერთმა შეუნდოს წინაპართა ცოდვილ სულებს). არის შემთხვევები, როდესაც უსათნოეს ადამიანებსაც კი, ვიღაცის მოსპობის სურვილი უჩნდებათ, ნეტავ, ეს კაცი მომაკვლევინაო, ერთხელ მაინც გაგვივლია გუნებაში. ასეთ დროს, ცოდვიანი წინაპრის ის ერთი წვეთი სისხლი მძლავრობს და ყველგან ყოფნას ასწრებს: გულშიც, ტვინის ორივე ნახევარსფეროშიც და სხვა ორგანოებშიც. მართლაც საინტერესო რამ არის სისხლი. ერთი ადამიანისათვის კეთილშობილ და ძვირფას ხსნარს, შესაძლოა, სხვისთვის გროშის ფასიც არ ჰქონდეს, რამეთუ სისხლი დაყოფილია ჯგუფებად და ქვეჯგუფებად, უარყოფითად და დადებითად, კეთილშობილურად და ველურად, დანტე ალიგიერად, მამაჩემად, მუსოლინად, ილია ჭავჭავაძედ... ბატონო ილია, ერის სულიერო მამავ, ძლიერ ვწუხვარ, რომ თქვენმა ნათელმა შუბლმა, ნაძირალების მიერ ნასროლი ტყვია ვერ აისხლიტა. ასე რომ მომხდარიყო, აი, მაშინ ნახავდით, შიშისაგან როგორ გაუფართოვდებოდათ თვალები ბერბიჭაშვილსა და ფილიპეს, ორჯონიკიძესა და სტალინს, ბერიასა და ეროვნული მოძრაობის ზოგიერთ ლიდერს.

მიყვარს სისხლი, უფრო სწორად, წითელი ფერი, არა ალისფერი, უფრო ზუსტად, მზის ამოსვლის ფერი. „სისხლი სისხლის წილ"; ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო". არეული ნააზრევის გამო, ბოდიშს გიხდით. რას ვიზამ, საავადმყოფოს სარეცელზე გაკრული, მატრაბაზი ფიქრების ტყვეობაში ვიმყოფები. ბედად, ტყვიამ მუცელში მშვიდობიანად გაინავარდა, თორემ აზროვნებას საერთოდ ვერ შევძლებდი. ხელი ჭრილობისაკენ მიმაქვს, თვალს ვახელ. ღამეა. კარი ღიაა და დერეფნიდან შემოსული შუქი პალატას სუსტად ანათებს. მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენა მხარეს, საწოლის კიდესთან, დე და ზის და თვლემს. საკმარისია, ოდნავ შევტოკდე და იგი უმალ გამოიღვიძებს. მართლაც, ძლიერი და მზაკვარი რამ არის რეფლექსი. პავლოვმა, ტიტანური შრომის შედეგად, ადამიანის დამონების, პიროვნების მოსპობის მეთოდი შექმნა. მისი მოძღვრების მიხედვით, თუკი ძაღლს აშიმშილებ და საკვების მიცემისას ჯოხს მოუღერებ, ცხოველს პირობითი რეფლექსი გამოუმუშავდება და ჯოხის შიში უქრება. უფრო მეტიც, მოქნეული ჯოხის დანახვისას, ჯირკვლებიდან ნერწყვი გამოეყოფა. ჩვენმა მურდალმა პოლიტიკოსებმა, ლაბორატორიებში დაწყებული კვლევა კომუნიზმის მშენებარე საზოგადოებაში განავრძეს და ძაღლების მაგივრად, საცდელ პირებად ადამიანები აქციეს. სამწუხაროდ, უზარმაზარ ლაბორატორიაში შეძენილი პირობითი რეფლექსებისათვის დღესაც ვერ დაგვიღწევია თავი. თუკი თანამედროვეობის პირი ლაპარაკობს (მნიშვნელობა არა აქვს, რას ამბობს) ხელისგულები გვექავება, ერთი სული გვაქვს, სანამ ორატორი ლაპარაკს მოათავებს, რომ ტაში დავცხოთ. მაღაზიაში რაიმე გამოჩნდება (მნიშვნელობა არა აქვს, რა) და მაშინვე გავრბივართ, მადლიერების გრძნობით, გრძელ რიგში ვდგებით და ათას სისულელეზე ვოცნებობთ. ავადმყოფს ექიმთან მივიყვანთ და ხელი ჯიბისკენ გაგვირბის. ვიცით, ძმაკაცობით სულელს აწინაურებენ და ვდუმვართ. როდესაც ერთი მთავრობა ყირავდება, სარფიანი ადგილის ხელში ჩასაგდებად, სხვა პარტიებში შევრბივართ. ყურის ძირში გახურებული ომია, თანამომძმეებს გვიკლავენ, მიწას გვტაცებენ და არ ვნაღვლობთ, აშკარად გვატყუებენ და ხმა ვერ ამოგვიღია, მუქარით თითს გვიქნევენ და ვიღიმებით, სულში გვაფურთხებენ და ვითომც არაფერი...

ჭრილობა ამეწვა. საწოლის მარჯვენა მხარეს მეუღლე თვლემს, ვბრაზდები. ასე უქმად ჯდომას, უჯობს შინ წავიდეს და ბავშვს მიხედოს. მერე დედას ვუყურებ და ძველი ამბავი მახსენდება. პატარაობისას, ანცობის გამო, საავადმყოფოში მოვხვდი. რამდენიმე ღამე დედას თვალი არ მოუხუჭავს. როდესაც გამოვმჯობინდი, სამიოდე სკამი შეაერთა და ჩემს საწოლთან დაიძინა. უკვე საკმაოდ მოღონიერებულს, მამამ მექანიკური ავტომობილი მომიტანა, დედამ კი სათამაშო რკინიგზა. ახლაც კარგად მახსოვს ავტომობილის ფერი, ლოკომოტივისა და ვაგონების ფორმა. რატომღაც, ძალიან მომინდა სათამაშო რკინიგზა, მოკლე რელსების ერთმანეთზე გადაბმა და წრიულ ლიანდაგზე პატარა, სამვაგონიანი შემადგენლობის სრიალი. ხელს ვამოძრავებ. ქალები თვალებს ახელენ. ჭიდამები.

— ცუდად ხომ არ ხარ? — დედა მკერდზე მეფერება.

— რამე ხომ არ გინდა? — ეს ჩემი მეუღლეა, ლელა.

— ნუ გეშინიათ, — მშვიდად ვამბობ.

მცირე ხნით ვდუმვართ.

— ყველანი დაიჭირეს, — მითხრა ლელამ.

ეს ამბავი არ მიკვირს, რადგან ჩვენს შორის არსებული უთანხმოება ქალაქში ბევრმა იცოდა და თავდამსხმელების ვინაობის დადგენა სათანადო ორგანოებს არ გაუჭირდებოდათ.

— გამომძიებელი იყო? — ვკითხულობ.

— ალბათ, ხვალ მოვა, — მპასუხობს ლელა.

მეცინება. დარწმუნებული ვარ, გამომძიებელზე ადრე, სხვები მინახულებენ.

— გუშინ იმათი მშობლები იყვნენ, — ფრთხილად მაპარებს დედა. — ძალიან წუხან. უკვე მოსულან. მიზანთროპო პავლოვო, ესეც პირობითი რეფლექსების ბრალია, რადგან კვლავ გვწამს, რომ ფულით ყველანაირი საქმის მოკვარახჭინება შეიძლება.

— ტყვიას შინაგანი ორგანოები არ დაუზიანებია, — გამოცდილი ქირურგივით მამშვიდებს ლელა.

ტყვიამ სისხლი გამახსენა, სისხლმა ძველი, გაყვითლებული და მუყაოზე დაკრული ფოტოსურათი, ფოტოზე გამოსახულ, ორ რიგად ჩამწკრივებულ კა-

ცებს თოფები ჩაუბღუჯავთ, მკერდზე ვაზნებით სავსე სარტყელები შემოუჭერიათ და თავზე ფაფახები და თუშური ქუდები ახურავთ. ზოგს ჭიქა და პატარა ყანწი უჭირავს. იქვე გაბერილი ტიკი გდია. ვიღაც იღიმება. წვერმოშვებულ, თავშიშველა კაცს თოფის კონდახი მიწაზე დაუბჯენია, ცალი ხელით ლულის პირს ეყრდნობა და ფოტოაპარატის ობიექტივს, რატომღაც, მზერას არიდებს. ერთი მკაცრად იყურება. დანარჩენებს დაუნდობელი გამომეტყველება აქვთ. პაპაჩემს ნაგანი უკავია და დაბღვერილი იცქირება. მათ ფერხთით კი დახოცილი თანამოძმეები ყრიან. გულაღმა ამობრუნებულ გვამებს დასახიჩრებული, გაქვავებული სახეები მოუჩანთ.

ქართველისავე დაუნდობელი ხელით უბედურდებოდნენ ოჯახები, ქვრივდებოდნენ ქალები, ობლდებოდნენ ბავშვები. ფოტოსურათზე შემორჩენილ ოციოდე წინაპარს, მიუხედავად განსხვავებული ხასიათისა, ერთი რამ აერთიანებდა — თანამოძმეთა კვლა. ნუთუ სულ სხვა კაცი იყო ჩემი კეთილი და მოსიყვარულე პაპა? ალბათ, ახალგაზრდული ამპარტავნობისა და წინდაუხედაობის გამო სჩადიოდა ასეთ საშინელებებს და ბრმად სწამდა არჩეული გზის სამართლიანობისა.

მუდამ მაოცებდა პაპაჩემის დაპრიალებული ჩექმები და გრძელი, აწკეპილი ულვაში. უფრო გვიანდელი ფოტოსურათი გამახსენდა, რომელზეც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სამი ახალგაზრდაა აღბეჭდილი, სამივეს გაკრიალებული ჩექმები აცვია. ერთ-ერთი მათგანი პაპაჩემია. იგი სამხედრო ბეგარას ფინეთში იხდიდა. სურათზე წარწერაა: „ფინლანდია, 1910 წელი."

დედაჩემისაგან გამეგონა, რომ პაპა სახლში ნაგანს ინახავდა. როდესაც ბერიკაცი კუბოში ჩაასვენეს, მის ოთახში შევიპარე, კომოდის პატარა უჯრას წინასწარ შეგროვილი სხვადასხვაგვარი გახალებებიდან ერთ-ერთი მოვარგე და რაღაც საბუთების ქვემოდან გაპრიალებული ნაგანი გამოვიღე. მბრუნავ დოლში ვაზნები ელაგა მოგრძო ვაზნები უჯრაშიც ეყარა. არასოდეს დამავიწყდება მაშინდელი განცდა. სხეულში ძალის მოზღვავება ვიგრძენი, თავი ყოვლისშემძლედ წარმომიდგა და იარაღის სროლის დაუძლეველი სურვილი დამეუფლა. ფანჯარა გამოვაღე და ჩახმახი ფეხზე შევაყენე. მაშინ ქალაქში თოფს საახალწლოდ თუ გაისროდნენ და მით უმეტეს ბავშვისაგან ამის გაკეთებას დიდი გამბედაობა უნდოდა, რადგან სროლისთანავე ნათესავები და მეზობლები ოთახში შემოცვივდებოდნენ და კარგი დღე არ დამადგებოდა. სასხლეტი გამოვწიე და ნაგანმაც დაიქუხა. უდიდესი სიამაყე ვიგრძენი.

პალატის ფანჯარას სილურჯე დაემჩნა. ქალები ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

— რაღაც მენატრება, — ვთქვი მე.

— რა?! — ერთდროულად შემომძახეს ქალებმა. ლელა თავს მკერდზე მადებს.

— სათამაშო რკინიგზა.

— სათამაშო რკინიგზა? — ლელა თავს სწევს.

დედა შეთქმულივით მიცინის და საბანს მისწორებს. დარწმუნებული ვარ, სკამზე მჯდომს, გრძელი ღამის განმავლობაში საავადმყოფო და სათამაშო რკინიგზა უეჭველად გაახსენდა.

თვალები დავხუჭე. ქუჩა ბნელი და ცარიელი იყო. ისინი ავტომანქანიდან გადმოვიდნენ. ორმოცდაათ ათასს მოგცემთ — მითხრა დათომ. გამეცინა. მან რევოლვერი მუცელთან მომიტანა და კბილებში გამოსცრა: ოთხმოცი ათასი იყოს. ვგრძნობდი, ისროდა, მაგრამ არ დავთანხმებულვარ, რადგან ეს საკუთარი პიროვნების თვითმკვლელობა იქნებოდა და უარის ნიშნად თავი გავაქნიე. მას სახეზე ერთდროულად ღიმილი, სიბრაზე და უსაზღვრო ზიზღი აესახა, ორნი დამცინავად მიყურებდნენ. მათი სახით არა მხოლოდ ბოროტებას და შიშს, არამედ თავად დიდ რუს მეცნიერ პავლოვს ვამარცხებდი და ასეთ შემთხვევას ხელიდან არაფრისდიდებით არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავუშვებდი. გასროლის შემდეგ, სამივენი ავტომობილს მიაწყდნენ და დაძრულ მანქანაში შეცვივდნენ. „კურდღლებივით გაიქცნენ“, — გავიფიქრე, მერე გასისხლიანებულ პერანგს დავხედე, ზურგით სახლის კედელს მივეყრდენი და მუხლებში ჩავიკეცე. ბატონო ილია, დარწმუნებული ვარ, ჩემი საქციელის გამო თქვენი სპეტაკი სული რარიგ გაიხარებდა. ჭრილობა ისევ ამეწვა. ტკივილის ამ მორიგ შემოტევასაც გავუძლებ და შევეცდები მომხდარი დალაგებით, ქრონოლოგიურად აღვადგინო.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ხელოვნების მუშაკთა სახლის შენობაში, კაზინოს გახსნა დააპირეს. უკვე მესამე წელია, რაც აღნიშნულ დაწესებულებას ვხელმძღვანელობ. ამ თანამდებობაზე კოლექტივმა ამირჩია. არჩევნებზე უშუალო კონკურენტებთან ერთად, იმჟამინდელი ხელისუფლებაც დავამარცხე, რადგან „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ურცხვად და კანონის დარღვევით ცდილობდნენ მათთვის სასურველი კანდიდატურის გაყვანას. მაშინ დავრწმუნდი, რომ ერთი მიზნით შეკრული ადამიანების დამარცხება შეუძლებელი საქმე ყოფილა.

არასოდეს დამავიწყდება არჩევნების წინა ღამეს ნახული სიზმარი. მზის სხივებით უჩვეულოდ განათებულ ქუჩაში მიმავალს, თეთრი მტრედი ჯიბეში მიძვრებოდა და ბუდეს იკეთებდა. გზად კი მეზობლის გახარებული ბიჭი შემომხვდა. ბიჭს გიორგი ჰქვია. სიზმარი ისეთი ნათელი იყო, რომ მის ახსნას მკითხავი არ ესაჭიროებოდა, თეთრი მტრედის სახით, სული წმიდა გამომეცხადა, ხოლო ბიჭის სახით, წმიდა გიორგი. სიზმრისაგან მიღებული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, ვიწამე, არჩევნებში გავიმარჯვებდი. ასეც მოხდა.

ხელოვნების მუშაკთა სახლის შენობა ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე დგას, სადაც ათასი ჯურის ადამიანი ირევა. ბოლო ხანს მრავალმა ახლად გამოჩეკილმა ბიზნესმენმა და კოოპერატორმა დაადგა თვალი ძველი ისტორიული შენობის სათავსებს.

იმ დღეს, რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, ლიტერატურული საღამოს სცენარს განვიხილავდი. კაბინეტში შემოსულმა მეხანძრემ ხმამაღლა მითხრა, ბატონ მერაბს სტუმრები ჰყავს მოყვანილი და ფოიეში გელოდებაო. ბატონი მერაბი ქალაქის კულტურის სამმართველოს უფროსია.

— ლადო, ახალგაზრდა დირექტორი, — ჩემი ასაკის, ოცდაათიოდე წლის ბიჭებთან წარმადგინა ბატონმა მერაბმა, მკლავზე ხელი მომკიდა და ხმადაბლა მითხრა: — საქმეზე არიან, ჩემი ახლობელი ხალხია.

რა თქმა უნდა, ცრუობდა. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, ბიჭები ახალი გაცნობილი ჰყავდა.

— დათო, — თქვა საშუალო ტანის, ძვალმსხვილმა ახალგაზრდამ და ხელი ჩამომართვა. სახის ტლანქი ნაკვთები ოდნავ უთრთოდა.

— კოტე, — მაღალმა და გამხდარმა ხელი ზანტად გამომიწოდა.

— ზაზა, — დაბალი და ჩაფსკვნილი ხელის აწევით მომესალმა. მას კუბოკრული ქუდი ეხურა.

ბატონ მერაბს მეტი არაფერი უთქვამს. სტუმრებს შენობა დაათვალიერებინა და წასვლისას მითხრა:

— ხვალ, დილით სამმართველოში შემოიარე და დანარჩენზე იქ მოვილაპარაკებთ, — მან ეშმაკური, მუდამ ანთებული თვალები პატარა ეზოში შეკრებილ თანამშრომლებს მოავლო, მისალმების ნიშნად, თავი დაიქნია, ახლო მდგომებს ხელი ჩამოართვა და ბიჭებს ავტომობილში ჩაუჯდა.

თანამშრომლებმა, მმართველის ვიზიტის გამო, სხვადასხვა ვარაუდი გამოთქვეს. ერთმა ისიც კი აღნიშნა, შენობის შესყიდვა უნდათო. ცხადია, ეს გადაჭარბებულად იყო თქმული, მაგრამ როდესაც ბატონი მერაბი რაიმე საქმისაგან სარგებელს გამოელის, ყველაფერი დასაშვებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით კულტურის სამმართველოში შევიარე. ბატონმა მერაბმა, როგორც ყოველთვის, გულითადად მომიკითხა. მას, რატომღაც, საქმეზე გადასვლა უჭირდა. მდივან გოგონას გამოუძახა და დაავალა, რომ კაბინეტში არავინ შემოეშვა. მერე ტელეფონზე ნომერი აკრიფა, კოსტიუმის გარეთა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლი შეიმშრალა, მაგიდაზე ქაღალდები გადააადგილა, წამით მზერა გამისწორა, ყურმილი დადო და თქვა:

— დავიწყოთ?

— კი ბატონო.

— არის შესაძლებლობა, რომ თქვენი შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდოს და თანამშრომლებს ხელფასი მოემატოთ, მაგრამ საამისოდ ცოტა რამის დათმობა მოგიწევთ, — მან გამომცდელად შემომხედა.

— გააჩნია, ბატონო მერაბ, შემოსავლების სანაცვლოდ რა უნდა დავთმოთ, — ნათქვამი არ სიამოვნებს. ვხვდები, ხელოვნების მუშაკთა სახლის მნიშვნელოვანი ფართობის გაქირავებაზეა ლაპარაკი.

— იმ ბიჭებს, გუშინ რომ შეგახვედრე, კაზინოს გახსნა უნდათ, — მმართველი ოდნავ შესამჩნევად ღელავს.

— კაზინოსი?

— პოლიციის თანამშრომელს ამორიგევებენ და წესრიგი დაცული იქნება, არეულობა არ მოხდება.

— გასაგებია, მაგრამ შენობაში კაზინოს მოსაწყობად ვარგისი ადგილი არ მეგულება.

— ფოიეს დაქირავება უნდათ, — სახვათაშორისოდ ამბობს იგი.

ცხადია, მმართველს ამ საქმის მოკვარახჭინებისათვის დიდი თანხა შესთავაზეს, თორემ ასეთი არარეალური რამ არ წამოსცდებოდა.

— ბატონო მერაბ, ეგ შეუძლებელია. ფოიეს გაქირავება მუშაობის შეწყვეტას ნიშნავს.

— მოდი, რაიმე გზა გამოვნახოთ.

— ფოიე თუ გავაქირავეთ, ხალხი პარტერში ველარ შევა, — ეს არგუმენტი მისი წინააღმდეგობის განატეხად საკმარისი უნდა იყოს.

— იქნებ საამისოდ სასამსახურო შესასვლელი გამოდგეს? — გამოსავალს ეძებს ბატონი მერაბი.

სასამსახურო შესასვლელი შენობის უკან მდებარეობს და მაყურებელთა დარბაზს ვიწრო დერეფნით უკავშირდება.

— ეს ხომ ხალხის მასხრად აგდებაა! თანაც სახანძრო ამის უფლებას არ მოგვცემს, — ცოტა არ იყოს, აღვშფოთდი.

— სახანძროს თანხმობას მე მოვაცემინებ, — იმედის სხივი გამოკრთა მის თვალებში.

— ტუალეტებიც იკარგება, — დამატებით მიზეზს ვასახელებ.

— ტუალეტებამდე სხვა მისასვლელი გავაკეთოთ, — სავსებით სერიოზულად ამბობს მმართველი.

— ოთახები იმდენად გვიჭირს, რომ ფოიეში ქართული ხალხური ცეკვის წრე მეცადინეობს, — უხეშად ვამბობ.

— კარგი, — სინანულით თქვა ბატონმა მერაბმა, — ერთი რამ მაინც შემისრულე.

თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

— ჩვენი საუბრის შესახებ არავის არაფერი უთხრა.

— ეგ ადვილი საქმეა, — ვამშვიდებ და კაბინეტიდან გავდივარ.

დარწმუნებული ვარ, მის გონებაში შეთავაზებული თანხის დაუფლების ახალი გეგმა მწიფდება. კაზინოს გაკეთება მხოლოდ მეორე სართულზე მდებარე დიდ სარეპეტიციო ოთახში და სარდაფში მოწყობილ ბარშია შესაძლებელი. სარეპეტიციო ოთახის გამოყენება წრეების მუშაობას ჩაშლის და ამ საქმისათვის არ გამოდგება. რჩება ერთი გამოსავალი, ბარი. სარდაფი, რომელსაც ქუჩის მხრიდან იზოლირებული ჩასასვლელი აქვს, კაზინოსათვის შესაფერისია, მაგრამ კოოპერატივ „ჰერაკლეს" იგი იჯარით აქვს აღებული და, რაც მთავარია, კოოპერატივის თავმჯდომარე მმართველის ძმისწულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭიანურებული რემონტის შემდეგ, მალე აქ კაფე-ბარს გახსნიან. თავის დროზე, არც სარდაფის გაქირავება მინდოდა, რადგან იქ სამხატვრო სალონის მოწყობა მქონდა განზრახული, მაგრამ დირექტორის თანამდებობაზე ახლად არჩეულმა, ბატონ მერაბს ხათრი ვერ გავუტეხე. თანაც, მის ძმისწულს რეზოს კარგ ბიჭად ვიცნობდი. ცხადია მმართველის იმედი სწორედ ბარს უნდა დაკავშირებოდა.

სამსახურში მიმავალს გზად ნაცნობი შემომხვდა.

— კაზინოს ხსნით? — მკითხა მან და ღიმილით დასძინა: — როდის წავიყომაროთ?

— ვინ გითხრა? — გავოცდი.

— ბიჭები ლაპარაკობდნენ, — მან ხელის მოძრაობით ზარის გაგორების იმიტაცია გააკეთა.

გამიკვირდა, ქალაქში ამ ამბავმა ასე სწრაფად რომ გაჟონა.

საღამო ხანს მმართველმა დარეკა.

— სარდაფის გაქირავებაზე რას იტყვი? — მკითხა მან.

— სარდაფი შეიძლება, მაგრამ ხომ იცით, რეზომ დღე-დღეზე ბარი უნდა გახსნას.

— რეზოს უკვე შევუთანხმდი.

— თუკი რეზოს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, კი ბატონო.

— რეზოსთან დადებული ხელშეკრულება მალე იწურება, არა? — მან ყველაფერი ზეპირად იცის.

— კი, ორ კვირაში.

— მაშინ, ახალი ხელშეკრულება იმ ბიჭებთან დადე. ხვალვე გნახავენ.

ჩემი ვარაუდი გამართლდა. მმართველმა იერიში ბარზე მიიტანა. არადა, რეზომ და მისმა მეგობარმა მთელი წელი სარდაფის კეთილმოწყობას მოანდომეს, ყველაფერი საკუთარი ხელით გააკეთეს და მათთან ხელშეკრულების დარღვევას არ ვაპირებდი.

მეორე დილით რეზო ბარის ჩასასვლელთან დამხვდა.

— რეზო, გაგდებენ? — გავეხუმრე.

მას არ გასცინებია, ხელი ჩამომართვა და სალაპარაკოდ სკვერში გამიხმო. რეზოს სევდიანი, სასოწარკვეთილი სახე ჰქონდა, რაც ცუდად მენიშნა.

— გუშინ ბიძაჩემს წავეჩხუბე, ასე მითხრა, სარდაფი უნდა დათმოო, — გაღიზიანებული ხმით თქვა მან, — არადა ზეგ ბარსა ვხსნით.

— შენზე მითხრა, თანახმააო?! — ვთქვი გაკვირვებულმა.

— წუხელ თავზე დამადგა, წამომიყვანა და ბარი გამაღებინა. ის ბიჭებიც იქ იყვნენ. მოეწონათ. სუპერკაზინოს გავხსნით, ფული ჩეჩქივით წამოვაო. მე არაფერი მკითხეს, არაფრად ჩამაგდეს. კაზა გაგიჟებულია, ხომ იცი, ბარის მოწყობას თან გადავყევით; — იგი წამით დადუმდა და მუქარით დაუმატა: — ვიცი, ბიძაჩემი მაჯობებს, მაგრამ უნდა ვანანო.

— როგორ გაჯობებს?

— ხელშეკრულების ვადა გადის და... — რეზოს სათქმელის დამთავრება ვეხერხულება.

— შენ გგონია, რაკი ბიძაშენმა მითხრა, ხელშეკრულებას იმათთან დავდებ?

— ჰო, — დაირცხვინა მან.

— მაგაზე ნუ იდარდებ, — ვამხნევებ.

— ვაჟკაცურად მითხარი, რამდენი მოგცე? — გამოცოცხლდა რეზო.

მეცინება.

— ახალგაზრდა ხალხი ხართ, ანგარიშს გიწევდით და ნახევარი წელი საიჯარო გადასახადიც კი არ მომითხოვია.

— ისე, იმათზე მეტ ფულს მაინც ვერ მოგცემ, — მადლიერებით თქვა მან.

— ნურაფრის გეშინია, ხელშეკრულებას შენთან განვაახლებ, — სკამიდან წამოვდექი და რეზოს მხარზე ხელი დავკარი.

კაბინეტში შესული, საწერ მაგიდას მივუჯექი, ტელეფონის ყურმილი ავიღე და მმართველის ნომერი ავკრიფე. კედლებზე ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას სურათები მაქვს გაკრული. კომუნისტების წასვლისა და ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მდებობის პირთა კაბინეტში ბელადთა სურათები ოპერატიულად ჩამოხსნეს და ახალი წინამძღოლის სურათი დაკიდეს. ესეც არ იკმარეს და თუ ადრე ბელადთა წიგნები თაროებზე ეწყოთ, ახლა საჩქაროდ გამოცემულ მის წიგნებს საწერ მაგიდებზე მიუჩინეს ადგილი. მერე რა, რომ წიგნები გადაუშლელი და წაუკითხავი იყო? სამაგიეროდ, ეს ახალი ხელისუფლებისადმი მორჩილების თვალსაჩინო გამოხატულებად აღიქმებოდა. თუმცა აღნიშნული წიგნები დიდხანს არ გაუჩერებიათ მაგიდებზე. ახლად გამომტყვრალი ბელადის სურათიც ჩამოხსნეს. მეცოდება ეს ხალხი. დალოცვილებო, დაკიდეთ ილიასა და ვაჟას სურათები და წვალებაც აღარ მოგიწევთ. მაგრამ საკუთარი კეთილდღეობისათვის, მზადა ხართ, ნებისმიერი ადამიანი კერპად აქციოთ.

ვიდეოკასეტების მეშვეობით, ჩვენი ცხოვრების ხინამდვილის ამსახველი მასალები საჯაროდ გავუშვი, რისთვისაც იმჟამინდელმა ხელისუფლებამ თითი მკაცრად დამიქნია. ასეთ დროს, ილიასა და ვაჟას სურათებს შევყურებ ხოლმე.

— გისმენთ! — თქვა მმართველმა.

— გამარჯობათ, ბატონო მერაბ.

— გამარჯობა, ლადო...

— აკი რეზოს მოველაპარაკეო?

— კი, შეთანხმებული ვარ.

— ეხლა შემხვდა. ის წინაალმდეგია. თქვენთვისაც უარი უთქვამს.

— შვილებს გეფიცები, გუშინ თანახმა იყო.

— ხელშეკრულება რეზოსთან უნდა განვაახლო.

— მაგ ღლაპს რა ყურს უგდებ. იმ ხალხთან ყველაფერი შეთანხმებულია. დღეს მოვლენ და ხელშეკრულება გააფორმეთ!

— არა, ბატონო მერაბ, მაგას ვერ ვიზამ.

— რეზო ჩემი ძმისშვილია და ბიძის სიტყვას გაიგებს.

— ეგ საქმე არ გამოვა. რეზოსთან ერთად, მისი მეგობარიც ზარალდება. ისინი სარდაფს ერთად არემონტებდნენ.

— კარგი. რეზოს მე მოველაპარაკები, — მშვიდად თქვა მმართველმა და ყურმილი დაკიდა.

მუდამ მაკვირვებდა მისი თავშეკავება, ახალ ხელისუფლებასთან დაახლოების, შეგუების უნარი. ეს მთელი ხელოვნებაა, სკამის შენარჩუნების ხელოვნება. ხელმძღვანელს სულ პირში უნდა უცინო, ეპირფერო. შენიშვნისას (მნიშვნელობა არა აქვს შენიშვნა სამართლიანია თუ არა) თავი უნდა დახარო, ბოდიშები იხადო და საქმის სწრაფად გამოსწორებას შეჰპირდე. ერთი სიტყვით, ხელი უნდა აიღო სინდისზე, ნამუსზე, პატიოსნებაზე. ბოლო ხანს, დემოკრატიის მოძალებასთან ერთად, ხელქვეითებთან დამოკიდებულება საკმაოდ შერბილდა. ეს იძულებითი სახეცვლილება მრავალგვარ ფაქტორთან არის დაკავშირებული, რაც ხელმძღვანელს აიძულებს, გარეგნულად შეიცვალოს, მაგრამ შინაგანად კი იგივე დარჩეს. სკამის შენარჩუნების ძირითადი პირობა უცვლელი რჩება, ხემდგომთა და საკუთარი თავის გასახარად და დასაცავად ფულის კეთება. აქ შეზღუდვები მოხსნილია.

რეზომ ნერვები ვერ მოთოკა და თავისი გულისნადები ბევრს გაანდო.

შუადღისას კაბინეტში კაზინოს გახსნის მსურველნი შემოვიდნენ.

— ბატონმა მერაბმა დარეკა, არა? — თქვა დათომ.

— კი, დარეკა.

— აი, ხელშეკრულების ტექსტი, — ზაზა ქუდს ისწორებს და ქაღალდს მაჩეჩებს, — წავიკითხოთ და თუ რაიმე გაუგებარი იქნება, შევასწოროთ.

— წვალებად არ ღირს.

— ყველანაირ პირობაზე თანახმა ხარ? — გაკვირვებული მეკითხება დათო.

— ვერ გამიგეთ. თქვენთან ხელშეკრულებას არ დავდებ.

— მერაბმა გვითხრა, დირექტორთან ყველაფერი შეთანხმებულიაო, — ზაზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ხელშეკრულების ტექსტს მაწვდის.

— მისი ნათქვამი ბევრს არაფერს ნიშნავს.

დაიბნენ. ასეთ რამეს არ ელოდნენ. კოტემ სიგარეტს მოუკიდა.

— ისე, სჯობდა თავიდანვე შენთან მოვსულიყავით, მაგრამ ნაწყენს არ დაგტოვებთ, — ყველაზე ადრე გონს დათო მოეგო, კოტეს გაზეთში გახვეული ფული (ამის მიხვედრას დიდი ჭკუა არ სჭირდება) გამოართვა და საწერ მაგიდაზე დამიდო, — აქ ოცი ათასია, ყოველთვიურად ხუთ ათასს მოგცემთ.

ფულის შეკრულადან მზერა ილიასა და ვაჟას სურათებზე გადავიტანე.

— არაფერი გამოვა, — გადაჭრით ვიუარე.

გაფითრდნენ. სიგარეტს ზაზამაც მოუკიდა. მოთმინების ძაფი ყველაზე ადრე კოტეს გაუწყდა. იგი ფეხზე წამოდგა, საწერ მაგიდიდან ფული აიღო და მუქარით მითხრა:

— ეს ფული სახვეწარი გაგიხდება.

კაბინეტიდან გამოუმშვიდობებლად გადიან.

ეჰ, ბატონო ილია, ამათი შემხედვარე, ვინ იცის, რარიგ ხარობს ჩრდილოელი მეცნიერის სული.

ღამე ცუდად მეძინა. ბავშვი გაციებული იყო და ახველებდა. რა გმირად მომაქვს თავი? ვითომ ქონება თავზე გადამდიოდეს. ჩავიჯიბავ იმ ოცი ათასს და კაცურად შევირგებ. ბიჭს ტკბილეულითა და სათამაშოებით გავახარებ, ცოლს ჩასაცმელსა და ფრანგულ სუნამოს ვუყიდი, ალბათ, კოსტიუმსა და ფეხსაცმლისთვისაც დამრჩება ფული. ყოველთვიურად ხუთი ათასს მომცემენ, თუ შევევაჭრები, მეტსაც დავცინცლავ, მაგრამ რეზოს და კახას როგორღა შევხედო? ხომ იტყვიან, კაცობა ფულში გაცვალაო. ამგვარი ფიქრები მთელი ღამე ვერ მოვიცილე და დროდადრო პაველოვის მოცინარე სახეც წარმომიდგებოდა თვალწინ. თითქოს ხარობდა, რომ მეც მისი წარმატებული ექსპერიმენტის მსხვერპლი ვხდებოდი და განუწყვეტლივ ჩამჩიჩინებდა, როდემდე უნდა ეხვეწებოდეს შენი ბიჭი მეზობლის ბავშვებს, მანქანაში ჩამსვითო. პირობითი რეფლექსების მეთოდი გამოიყენე. უბრალო საქმის გაკეთებაშიც კი ფული მოითხოვე და ისე დააჩვევ ადამიანებს, რომ შენს დანახვაზე თავისდა უნებურად ამბობდნენ, ამ კაცთან ფული გვაქვს მისატანი და ხომ არ ვუგვიანებთო. მაიმუნი, სალახანა იყავი, მაგრამ იმდენი მოახერხე, რომ ადამიანებმა ღმერთად გაღიარონ. არა, პაველოვო, არაფერი გამოგივა, რადგან კარგად ვიცი, არანაირი წარმატება არ ღირს საკუთარი თავის შეზიზღების ფასად.

უძილობისა და გაუთავებელი ფიქრისაგან ნამთვრალევივით ვიყავი და დილით სამსახურში მისულს, თანამშრომლებმა მითხრეს, ეტყობა, წუხელ ზედმეტი მოგივიდაო. მიხაროდა, რადგან თითქმის ყველა ჩემი ხელქვეითი (რა ტერმინს არ გამოიგონებს ამბიციებით შეპყრობილი ადამიანის გონება) რეზოს უთანაგრძნობდა.

მმართველის სტუმრობა მოულოდნელი არ ყოფილა, მე მას ველოდი. ხელი ჩამომართვა, მომიკითხა და ილიას სურათის ქვეშ დაჯდა. გუშინდელი ჩემი პასუხით გამოწვეული წყენა არ ეტყობა (უფრო სწორად, ოსტატურად ნიღბავს). მან კარგად იცის, რომ არაკაცურ საქციელზე ვერ დამითანხმებს, მაგრამ ძვალსა და რბილში გამჯდარი ჩვევა, ბოლომდე იჩალიჩოს სარფიანი საქმის მოსაკვარახჭინებლად, აიძულებს იმოქმედოს, ასეთ დროს პასიურ მდგომარეობაში ყოფნა მისთვის სიკვდილის ტოლფასია.

— თქვენს პრობლემებზე დიდი ხანია აღარ გვისაუბრია, — სათქმელს შორიდან უვლის.

— ეს წლობით გადაუჭრელი, თქვენთვის კარგად ცნობილი პრობლემებია, — უკმაყოფილოდ წარმოვთქვი მე. — საჭიროა სახურავის გამოცვლა, სცენის იატაკის დამპალი ფიცრების აყრა

და ახლის დაგება, გათბობის სისტემის შეკეთება...

— კაზინოს გახსნის შემთხვევაში, ყველაფრის გარემონტებას კისრულობენ. ხელშეკრულებაში შესაბამისი მუხლი შეიტანეთ და შესრულების კონკრეტული ვადა მიუთითეთ. რეზო ახალგაზრდა კაცია, ცხოვრების არაფერი გაეგება. წლების შემდეგ ყველაფერს მიხვდება და ბოდიშსაც მომიხდის, — მმართველმა მაგიდას ხელი დაჰკრა, — მე იმის კაცი ვარ, რომ ჩემს ძმისშვილს ცუდი გავუკეთო?

— ბატონო მერაბ, რატომ იგდებთ თავს უხერხულ მდგომარეობაში?

— ლადო, მომისმინე, იმ ხალხს სიტყვა მივეცი, კარგი ბიჭები არიან. უპატივცემლოდ არ დაგტოვებენ.

— მაგათი სამოწყალო არაფერი მჭირს.

მცირე ხნით ვდუმვართ. იგი ილიასა და ვაჟას სურათებს შეჰყურებს.

— სანამ აქ წამოვიდოდი, ბიჭები ქალაქის საკრებულოში ვნახე. თავმჯდომარესთან შედიოდნენ, — ეს ჩემი დაყოლიების უკანასკნელი საშუალებაა და პასუხის მოლოდინში მას სხეული ეძაბება.

— თავს ტყუილად იწუხებთ, არაფერი გამოგივათ.

მმართველს სხეული მოუდუნდა, სკამიდან მშვიდად წამოდგა, გამომემშვიდობა, გაუღიზიანებლად მითხრა, ალბათ ზევით დაგიბარებენო და კარი წყნარად მიხურა.

არა ერთხელ მქონია ურთიერთობა მაღალი (ისევ ამბიციური გამოთქმა) თანამდებობის პირებთან. მათთვის გარეგნული ამპარტავნობა მხოლოდ ნიღაბია, რადგან ამ ბატონების დიდ უმრავლესობას, იმის შიშით, ერთ მშვენიერ დღეს ჭიტლაყი არ ამომკრან და კაბინეტიდან არ მიფრინონო, ხელები უკანალზე აქვთ აფარებული.

შესვენებაზე გასულს რეზო შემომხვდა და ღიმილით მითხრა, შენთან მოვდიოდი, ხვალ, საღამოს ბარს ვხსნით და გეპატიჟები, აუცილებლად უნდა მოხვიდეო. სიამოვნებით დავთანხმდი. რა ვქნა, არ მეგონა, ბიძაჩემს თუ უარს ეტყოდი, კაცური კაცი ყოფილხარ და აწი მე ვიცი შენი პატივისცემაო, გულწრფელად თქვა რეზომ და ხელი ჩამომართვა.

ბავშვისათვის გამოწერილი ოთხი წამლიდან, აფთიაქში არც ერთი არ აღმოჩნდა. ბაზართან ჩავედი. აქ გადამყიდველების მიერ (რომელთაც ახლა კომერსანტებს ეძახიან) პირდაპირ ქუჩაში მოწყობილ „აფთიაქებში“ ყველანაირი წამალი იშოვება. მხოლოდ ორი დასახელების წამლის ყიდვა შევძელი და ჩემდა უნებურად გაზეთში გახვეული ოცი ათასი გამახსენდა. წამლები შინ მივიტანე და ისევ სამსახურში დავბრუნდი.

ისინი საღამო ხანს მოვიდნენ, მომესალმნენ და სკამზე ჩამოსხდნენ. ზაზამ ქუდი მოიხადა და სიგარეტს მოუკიდა.

— ეს შენობა ხოშიან ადგილზეა, თორემ ამ საქმეს ამდენ ხანს არ გავაბაზრებდი. ხვალვე შემიძლია კაზინოს გახსნა, — ამაყად თქვა დათომ.

— ზევიდან დაგირეკეს? — მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს ზაზა.

— არა.

— მაშ, ხვალ დაგირეკავენ, — ზაზა ქუდს იხურავს.

— დარეკვას რა აზრი აქვს? — მხრებს ვიჩეჩავ და ირონიულად მეღიმება.

— ხო იცი, მაინც დაგითანხმებენ. აი, აქ ორმოცი ათასია. ხელშეკრულება გავაფორმოთ, — დათო კურტკის ჯიბიდან ფულს იღებს.

— ფული წაიღეთ და წადით, — სიბრაზე მიპყრობს.

— შენ, ბიჭო... — წამოდგა დათო.

გასაღებების ასხმულას მუშტში ვაქცევ. მთელი ძალით უნდა ვგლიჯო.

— აქ არ გინდა! — ყვირის კოტე და დათოს ხელით აკავებს.

— აქედან აითესეთ! — ვყვირი და ხელს კარისკენ ვიშვერ.

კაბინეტში რამდენიმე საზეგაფითრებული თანამშრომელი შემოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, — დათო ღრმად სუნთქავს და სიტყვების თქმა უჭირს, — სხვაგან შევხვდებით.

კაბინეტიდან გადიან.

დილით ქალაქის საკრებულოს მდივანმა დამირეკა და მითხრა, რომ თავმჯდომარესთან სასწრაფო საქმეზე ვიყავი დაბარებული.

მოსაცდელში ბატონი მერაბი დამხვდა. მან მოკითხვის შემდეგ მითხრა, რომ თავმჯდომარე დაკავებული იყო და მოადგილესთან შემიყვანა. ბატონი გივი მაგიდასთან შუბლშეკრული იჯდა. დავსხედით. ბატონი გივი ის ფუნქციონერია, რომელსაც უკანალზე ხელები მაგრად აქვს აკრული. ამ მოკლე ხანში კაცი მესამე ხელისუფლებას შეეთვისა. იგივე შეიძლება ითქვას ბატონ მერაბზეც.

— გამაგებინე, რა ხდება თქვენთან, რა არეულობაა? — საბჭოთა ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელ სტილში იწყებს ბატონი გივი.

საჭიროა ამ შემოტევას გავუძლო და როდესაც ცრუ არგუმენტები შემოელევა, თავადვე დაცხრება.

— ჩვენთან სრული სიმშვიდეა, —ვპასუხობ აუღელვებლად.

— რატომ არ ცდილობ, რომ შემოსავლები გაზარდო და თანამშრომლებს ხელფასები მოუმატო? — ერთბაშად თანამშრომელთა ხელფასებზე მზრუნველად იქცა მოადგილე.

— ის ბიჭები შენობის გარემონტებასაც კისრულობენ, — დაამატა მმართველმა.

— ხელფასების მომატება და შენობის რემონტი კარგი საქმეა, —ვასკვრი და ვამთქნარებ. ღამე ცუდად მეძინა.

— ჰოდა, მიეცი იმ ხალხს კაზინოს გახსნის უფლება, — ბატონი გივი მაგიდას იდაყვებს აბჯენს და ხელებს შლის.

— ეგ არ მოხდება.

— ვერ გამიგია, რა გიშლის ხელს? — მხრები აიჩეჩა მოადგილემ, — ბატონი მერაბი თავის ძმისშვილთან საერთო ენას როგორმე გამონახავს.

— ეგ პრობლემა არ არის, — დაეთანხმა მმართველი.

— კაზინოს არავის გავახსნევინებ!

— რატომ?! — კითხულობს ბატონი გივი.

— თქვენ ადრე კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყავით, არა? რამდენადაც მახსოვს, ახალგაზრდობას ბარებში სიარულსაც კი უშლიდით. არადა, თავად არც ბარებს იკლებდით და არც დროსტარებას.

მოადგილე წამოენთო.

— რეებს ბედავ! — იგი მაგიდაზე ხელს ურტყამს, — თანაც ნუ გავიწყდება, მაშინ სხვა დრო იყო.

— არ შეიძლება ყველანაირი დანაშაულის სხვა დროის ფაქტორით გამართლება, — იქით ვუტევ.

— ერთი სიტყვით ქალაქისათვის ეგ საქმე მომგებიანია და საკრებულომ გადაწყვიტა, რომ ბიჭებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს. მოკლედ, ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს, — დაასკვნა ბატონმა გივიმ.

— ეს კოლექტივის საქმეა და ხელშეკრულების დადებას ვერავინ დამავალდებულებს, — სიბრაზემ დამრია ხელი.

— ეტყობა, შენ არ გინდა, რომ ქალაქის ბიუჯეტში თანხები შემოვიდეს, — პარტიულ-კომკავშირული ტონი მოიშველია მოადგილემ. ლამის ხალხის მტრად გამომაცხადა.

— ქალაქის ბიუჯეტს კაზინო ბევრს ვერაფერს შემატებს, თქვენს ჯიბეებს კი უთუოდ, — კიდევ უფრო ვბრაზდები და წონასწორობას ვკარგავ.

— იცი, თუ არა, სად იმყოფები?! — ცხარდება ბატონი გივი.

— ძალიან კარგად ვიცი. კომუნისტების წასვლისთანავე ქალაქის ახალმა ხელმძღვანელმა სასწრაფოდ მღვდელი მოიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ მღვდელმა შენობის ყოველი კუთხე-კუნჭული აკურთხა, სამოცდაათწლიანი სიბინძურე მაინც ვერ განდევნა, იმიტომ, რომ მღვდლის ზურგს უკან, ახალი ხელმძღვანელის ჩათვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, ანთებული სანთლები უწმინდურ ხალხს ეჭირა, — ვატყობ, სიშმაგე თავშეკავების უნარს მაკარგვინებს.

— ამ სიტყვებისათვის პასუხს აგებ! — ბატონი გივი აღელვებისაგან ფეხზე წამოდგა.

— თქვენც კარგად იცით, რომ კანონი ჩემს მხარეზეა და ვერაფერს გახდებით. კაზინოს გახსნის იმედი ტყუილად ნუ გექნებათ, — ვდგები და უზრდელი სიტყვა რომ არ წამომცდეს, კაბინეტიდან გავდივარ.

საღამოს ბარის გახსნის აღსანიშნავად, რეზომ და კახამ სუფრა გაშალეს და შინ გვიან წავედი. ადამიანების გულებში ჩაბუდებული შიშის, უნდობლობისა და გაუტანლობის გამო ქალაქში ცხოვრება შებინდებისთანავე კვდება. ფარებჩამქრალი ავტომანქანიდან სამნი გადმოვიდნენ. მათი მოჩვენებითი სიამაყე რევოლვერის სროლისთანავე გაქრა და ისინი მანქანისაკენ დამფრთხალი ხოჭოებივით გაიქცნენ...

ბატონო ილია, ჩვენში მკვლელი წინაპრის სისხლი დათარეშობს და ერს ახლა წიწამურზე დაღვრილი წმინდა სისხლის თუნდაც ერთი წვეთი წამალივით სჭირდება.

ლელა პალატის ფანჯარასთან დგას და გარეთ იყურება. გვერდით საწოლზე მწოლ ხანშიშესულ კაცს მეუღლე მინის ქილიდან მაწონს აჭმევს. აზმაურებული დერეფნიდან დედაჩემი შემოვიდა, მომიახლოვდა და ხმადაბლა მითხრა:

— იმათი მშობლები მოვიდნენ, შემოსვლა უნდათ.

ნამდვილად არ მსურს მათთან შეხვედრა, მაგრამ პავლოვი საბოლოოდ უნდა გავაბითურო და ამიტომ თანხმობის ნიშნად, თავს ვუქნევ. ლელა საწოლის კიდეზე ჯდება და ხელზე მეფერება.

მცირე ხნის შემდეგ დედაჩემს პალატაში სამი ქალი და ორი მამაკაცი შემოჰყავს. ისინი საწოლთან ჩერდებიან,

— დილა მშვიდობისა, — გამხდარი, გრძელცხვირა ქალი მოკრძალებით მესალმება და მზერას მარიდებს.

დანარჩენები თავს მიკრავენ და მიდიან. ვატყობ, ღელავენ, ლაპარაკი უჭირთ.

— თამამად, ბატონებო! — ვამხნევებ მათ.

— ლადო, შენი მდგომარეობა ძალიან გვადარდებს. იმედია, თავს კარგად გრძნობ, — ხმის კანკალით თქვა სქელმა ქალმა და სათვალე შეისწორა.

— ნუ სწუხართ, მშვენივრად ვარ, — ვაწყნარებ მოსულთ.

ხანშიშესული კაცი საწოლზე შეტოკდა, ზუნემა აღმოხდა და შეწუხებულმა ცოლს რაღაც უთხრა.

— ჩვენ გუშინაც ვიყავით და დედათქვენს, ქალბატონ ნანულის ბოდიში მოვუხადეთ, — რაც შეიძლება ხმას ინაზებს ასაკთან შეუფერებლად სახედახატული ქალი.

— რისთვის მოუხადეთ ბოდიში? — თავს ვისულელებ.

— შენთვის მოყენებული ტკივილისათვის, — არ იბნევა გრძელცხვირა ქალი.

— მეტად გულისხმიერი ადამიანია ქალბატონი ნანული, — სქელი ქალი დედაჩემის ქებას შეუდგა, — მის ადგილზე სხვა შვილებს დაგვიწყევლიდა და ლანძღვა-გინებით აგვიკლებდა. მან კი გაგვიგო.

— აქ ხილია, — სახედახატული ქალი მაღალ, კურტაკიან კაცს ცელოფანის პარკს ართმევს და დედაჩემს აწვდის.

კოსტიუმიან მამაკაცს სქელ ქაღალდში შეფუთული რაღაც უჭირავს. დარწმუნებული ვარ, ფულია, მაგრამ ამდენი?

— იცით, ცალკე სჯობია საუბარი, — ხმამაღლა ამბობს გრძელცხვირა ქალი და მზერა მეზობელი საწოლისკენ გადააქვს.

ხანშიშესული ქალი რატომღაც ბოდიშს იხდის, მაწვნიან ქილას დაბალ კარადაზე დგამს, მეუღლეს საბანს უსწორებს და პალატიდან აჩქარებული ნაბიჯით გადის. ლაპარაკს მაინც ვერ იწყებენ, რაღაც ბოჭავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს კაცი ნაოპერაციევია და ადგომას ვერ შეძლებს, — გვერდით საწოლისაკენ ვიშვერ ხელს.

ხანშიშესული კაცი გაჭირვებით ტრიალდება, ზურგს გვაქცევს და საავადმყოფოს პატარა ბალიშს თავზე იფარებს.

— ჩემ დათოს რომ რამე მოუვიდეს, თავს აღარ ვიცოცხლებ, — დახატული ქალმა ნერწყვი გადაყლაპა და განაგრძო: — დათო ჩემი ერთადერთი იმედია.

— საზიზღრები, რა სისულელე ჩაიდინეს, — ამბობს გრძელცხვირა ქალი და მძიმედ ოხრავს.

— არ ვიცი, კოტეს აღზრდაში შეცდომა არ დაგვიშვია, — სქელმა ქალმა დედაჩემს შეხედა და მხრები აიჩეჩა.

— ლადო, ბიჭების ბედი შენს ხელთაა, — დახატული ქალი რკინის საწოლის გისოსს ეხება, — მჯერა, ჩვენს მწუხარებას გაიგებ და ბიჭებს დანაშაულს აპატიებ.

— უხერხულია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს. გამომძიებელს უნდა უთხრა, რომ თავდამსხმელებს არ იცნობ, — ამბობს გამხდარი ქალი და ცხვირსახოცს ჭმუჭნის.

— თუკი ბიჭებს ამოსაცნობად მოიყვანენ, უნდა თქვა, რომ მათ პირველად ხედავ, — კოსტიუმიან კაცს შეკრულა მეორე ხელში გადააქვს.

— დანარჩენს ჩვენ მოვაკვარახჭინებთ, — ჩახლეჩილი ხმით თქვა კურტკაიანმა კაცმა.

— იცოდე, თუ არ დაგვეთანხმდები, თავებს დავიხოცავთ, — დახატული ქალი ხელს საწოლის გისოსს უსვამს.

— ამ საჩუქარზე უარს ნუ გვეტყვი, — გრძელცხვირა ქალი კაცებისაკენ იყურება.

ვდუმვარ.

კოსტიუმიანი საწოლთან მოდის და ფეხებთან საგულდაგულოდ შეფუთულ ფულს მიდებს.

— აქ ასი ათასია, სიკეთეში მოიხმარე, — ხმამაღლა ამბობს სქელი ქალი და ხანშიშესული კაცისაკენ იხედება.

ახლა მე მათთვის სამყაროს ცენტრი — დედამიწის მამოძრავებელი ღერძი ვარ. შეკრულას ფეხით ვამოწმებ, საკმაოდ მძიმეა. არ მეგონა, ერთად შეკუჩებულ ფულს თუ ასეთი წონა ექნებოდა.

— ხომ არ დავითვალოთ? — ცხადია, ვხუმრობ.

ჩემი წინადადება აბნევთ. დედაჩემს უხერხულად ეღიმება.

— რატომ გაფითრდით? მშვიდად იყავით, არაფერი წამომცდება.

ისინი მადლობას მიხდიან, თავს მდაბლად მიკრავენ და კარისაკენ უკუსვლით იხევენ.

— კიდევ გინახულებთ, — ამბობს სახედახატული ქალი და მიცინის.

უცებ ფულს ფეხი ავკარი და შეკრულა ხანშიშესული კაცის საწოლთან მდგარ დაბალ ღამის ქოთანზე დავარდა. ისინი ადგილზე გაქვავდნენ.

— ფული აიღეთ და აქედან აითესეთ, თორემ გამომძიებელთან ყველაფერს დავფქვავ, — ვცხარდები.

ადგილიდან არ იძვრიან.

— ფულიანად გაეთრიეთ, თორემ თქვენს ნაბიჭვრებს ციხეში ამოვალპობ!

— ჩაჩ ვუმაღლებ. ლელა მაწყნარებს.

მთხოვნელები საქმის ასეთ შეტრიალებას არ ელოდნენ და გაოცებულები შემომცქერიან.

— არ დაგვღუპო, — გაფითრებული სახით ამბობს სქელი ქალი.

— ქალბატონო ნანული, თქვენც თხოვეთ, რა? — გამხდარ ქალს თვალზე ცრემლი ადგება, — აპატიეთ ბიჭებს, არ გაგვაუბედუროთ.

დედაჩემი უხერხულად იჩეჩავს მხრებს.

ქალები ახლა გულწრფელად ლაპარაკობენ. მათი შეუნიღბავი განცდები ჩემს განწყობაზეც მოქმედებს და სიტყვებს ვარბილებ:

— თუ ფულს აიღებთ და სწრაფად წახვალთ, არაფერს ვიტყვი.

— მართალს ამბობ? — სახედახატული ქალი ხელებს ნერვიულად იმტვრევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალს ვამბობ, — ვცდილობ, ნათქვამი დამაჯერებელი იყოს.

კოსტიუმიანი კაცი საწოლთან მიდის, წელში იზრება და ფულის შეკრულას იღებს. ქოთანი შარდით ყოფილა სავსე და შეკრულას წვეთები სცვივა. იგი ერთხანს გაუნძრევლად დგას, თითქოს დამცირებასა და ღირსებას შორის არჩევანს აკეთებსო და მერე ისე, რომ შეკრულას ხელს არ უშვებს, უხერხულად სწორდება წელში.

— მჯერა, ბიჭებს არ გასცემ, — საწყალი, სასოწარკვეთილი სახით მეუბნება გამზდარი ქალი.

— შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, არაფერს ვიტყვი.

ისინი კვლავ მადლობას მიხდიან და პალატიდან გადიან. დედასა და მეუღლეს შევყურებ და უსაზღვროდ მიხარია, რადგან ფულის ხელიდან გაშვების გამო სინანული არ ემჩნევათ.

შუახნის კაცი გულადმა ამობრუნდა და შემოსულ ცოლს შესჩივლა:

— ძლივს არ წავიდნენ. გავსკდი კაცი. თუ ქალი ხარ, მოდი, ქოთანი მომაწოდე, — იგი ეშმაკურად გვიყურებს, ელიმება და წამიერი უხერხულობის შემდეგ, ყველანი გულიანად ვიცინით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბადრი თევზაძე

●

შენ, სულო ჩემო,
მე როდესაც ბალახად მოვალ,
იქნებ თმაქოჩორა ბავშვში ჩასახლებულმა
ჩამომიქროლო და ვერც კი იგრძნო,
რომ ერთ დროს შენი სხეული ვიყავ,
მე ვიშრიალებ, ვიშრიალებ, ვიშრიალებ...

## გადარჩენა

ღამის სიმღერამ კვნესა დააზო,
ცა ტოკავს ელვის გრძნეული სვლებით
და მოგონება, როგორც ზარდახშა
მოჭედილია ძვირფასი თლვებით.

ხსოვნაში ელავს ციური კაბა
(ბავშვობა მუდამ ოცნებებს ბადებს),
ამგვარ იმედით ოდესღაც საბა
აღებდა ლუის სასახლის კარებს.

მკაცრი ასული — გვემული ტრფობა.
შემოლეწილი ქარაფებს ნავი,
ძევს ზარდახშაში ძვირფასი გრძნობა,
როგორც პაატას მოჭრილი თავი.

სევდა დამეცა და ვერ ვაოტე
და როს ბუზებმა დაჰკბინეს ტანი,
მოვიდა ლექსი, ვითარცა ცოტნე
და ბედი შეცბა ვითარცა ხანი.

●

მე სხვანაირი მსურდა სიცოცხლე
და სხვანაირი მსურდა სიკვდილი.
ამ უნიათო გონიერებით
ამდენ შეცდომას არ დავუშვებდი,
აჯანყებული მონების გვერდით

იქ, ცარიელი ჯვარი რომ დარჩა,
ვინ მაპატიებს?!
ის ქედუხრელი გამოხედვა
დამარცხებული ბარბაროსის,
რომის ქუჩებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჟრიალებულ ბრბოს რომ აკრთობდა,
ვინ მომაშავა?!
დაღლილი ბამბის პლანტაციებში
მძიმე გოდრების თრაქვით და წყევლით
მე ვიძინებდი ფეხდაბორკილი
და ვოცნებობდი,
რომ ზედამხედველს შოლტს წავგვრიდი
კარიბის ზღვასთან
და კარაველას
(ოკეანეს რომ მივანდობდი)
ცად ააფრენდა სიქველეთა ჩემთა დიდება,
ან ჩემს პატარა საქართველოში
სადმე ციხესთან შევკვდომოდი
მომხვდურის მახვილს,
ბოლოს და ბოლოს
ხმლით ავეჩეხე ენგიჩარებს
დიდებულ სულთნის ჰარამხანაში
საჭურისთაგან შესმენილი.
მე მინატრია ემიგრანტის მწარე ლუკმაც
და მწარე სიკვდილიც ძალუმად ჰქონდა
მაგრამ ყოველთვის
გოდრის სიმძიმე
მიმაქანებდა სიცოცხლისაკენ
და ბორკილებიც გონიერების
მექაჩებოდნენ დღევანდელამდე.
აჰა, მოვედი და თითქოს ჩემი
უნდა შეიქნეს ეს პროსპექტები,
ისევ ვოცნებობ, ეს მოედნები
ჩემი ვნებებით შეიძრას ერთხელ...
და ცხადი არის, წამებსლა შერჩა
ის სიმამაცე აჯანყებულთა,
და ცხადი არის, წამებსლა შერჩა
ქედუხრელობა დაცემულ მხედრის,
და ცხადი არის, ჰარემის ქურდმა
ტანჯვა-ვაებით დალია სული.
ან ემიგრანტიც დავიწყებული
არვის სჭირდება ამ ქვეყანაზე...
მაინც სხვაგვარი მსურდა სიცოცხლე...

●

უკვე ჩადგა ქარი. უკვე აღარ ცივა,
ციდან თეთრი ვარსკვლავები ცვივა.
მე ისევ ვუბრუნდები სიყვარულზე ფიქრს,
როგორც მწერალი სიჭაბუკეში დაწყებულ და
მიტოვებულ რომანს.
ჩემს თმებში თავი შეუყრია უამრავ ფიფქს.
მათგან ყველა როდი გადნება
თბილ ოთახში შესვლისას.
ფიფქი აღვიძებს ჩაძინებულ ტრფიალის ნდომას,
მე შენზე ვფიქრობ და არ ვიცი ვინ ხარ,
რა გქვია:
ლია, მანანა, ანა თუ ელისო,
ციდან კი უამრავი თეთრი ვარსკვლავი ცვივა.
მათგან ვინ იცის, თუ სად ელის თავშესაფარი:
პოეტის თმებში თუ გამჭვარტლულ საკვამლე მილზე.
ბელურას ფრთებზე თუ წარმოდგენის მერე
გადაგდებულ თეატრის ბილეთზე...
ვარსკვლავები მაინც ცვივიან...
შენ შესაძლოა თბილ ოთახში ზიხარ და ფიქრობ
და მუხლებზე გიდევს ჟურნალი, — სადაც ჩემი
ექვსიოდე ლექსია დაბეჭდილი:
„ჩვენ ერთი ფერის თვალები გვქონდა“
და იქნებ მომაწერო ოცნებისათვის ტრადიციული
ცისფერი თვალები,
რაიც არასოდეს არ გქონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ალბათ, ამ დროს შენი სახლის საკვამლე მილზე
რომელიღაც ფიფქს დაეწყება სასიკვდილო აგონია
შენ, შესაძლოა, მეგობარ გოგონებთან ერთად
ფანჯარაზე ხარ გადმომდგარი
და გასცქერი ქუჩას, რომელიც შენი ყელისფრად
არის დაფერილი,
ან კიდევ ვიღაც ადუღებს ყავას,
რისი დალევის შემდგომ, აუცილებლად იფიქრებ
საბედოზე...
ციდან კი უამრავი ვარსკვლავი ცვივა...
მათგან ვინ იცის, თუ სად ელის თავსაყუდელი...
ვარსკვლავები მაინც ცვივიან...
და ახლა თუ ბინაში ისე იგრძენი თავი,
როგორც ფიფქი გრძნობს ღრუბლის
სასახლეში,
სადაც ვერაფრით ვერ ეტევა...
და თუ ფიფქივით აფარფატდი სადმე, ჩემს ახლოს,
იცოდე, მეყვარები თავდავიწყებით...
უკვე ჩადგა ქარი... უკვე აღარ ცივა...
ციდან თეთრი ვარსკვლავები ცვივა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თენგიზ ლიქოკელი

# ტკივილი

მოთხრობა

გიგიას ბიძა წინა დღეს ამოვიდა ხევსურეთში. ქაქუცა ჩოლოყაშვილზე და მის თანამებრძოლებზე აგროვებდა მასალებს, მოხუცებს ვნახავო, დაიბარა და სოფელში გავიდა. გვიან ღამით მობრუნდა ნასვამი. კარგ ხასიათზე იყო, იცინოდა, — სიყრმის ძმაკაცები შემხვდნენ და აღარ გამომიშვესო.

გიგიას ბიძამისი ძალიან უყვარს. ეს ბიძა გიგიას პაპის ძმისშვილია, ნაღდი ვაჟკაცი, სიმპათიური ინტელიგენტი და მოსიყვარულე მამა, თავის დროზე კარგი მოჩხუბარი ხევსურიც იყო.

ახალგაზრდობისას გიგიას ბიძა ხევსურეთში მასწავლებლობდა.

მთაში გვიანობამდე დადიოდა ზმალხანჯლიანი ხალხი და ბიძამისიც რამდენჯერმე მონაწილე იყო შეიარაღებული ჩხუბებისა. ახლაც, ხევსურები რომ გაიგებენ, ვისი ძმისწულია გიგია, საშინელ ჭრილობებს უჩვენებენ და სევდანარევი ღიმილით იგონებენ იმ სისხლიანი ვაჟკაცობის დროს. ბიძამისზე კი იტყვიან: — მაგარი ვაჟია, მაგარიო! გიგიას ჩაეცინება ხოლმე. როგორი წარმოსადგენია ხანჯლით მოჩხუბარი მასწავლებელი, მაგრამ როცა თავს იცავ ან სამართლიანობისათვის იბრძვი, მნიშვნელობა არა აქვს, მასწავლებელი ხარ თუ ჯარისკაცი.

დილით ლაპარაკმა გააღვიძა გიგია. ფანჯრიდან დაინახა, როგორ იმშრალებდა ბიძამისი პირსაბანთან სახეს და მკლავებს. მარჯვენა ბეჭსა და ხერხემალს შუა ძველი, ღრმა ჭრილობა მოუჩანდა, მარცხენა ხელი მაჯაში ჰქონდა გაჩეხილი. წინა ოთახის კარი ღია იყო, იქ გიგიას დედას საუზმე გაემზადებინა და პატარა ხელადაში არაყს ასხამდა, ტაბლასთან გიგიას მამა იდგა და ბიძაშვილის დაჯდომას ელოდა.

მშობლები მოუხუცდნენ გიგიას. მამას კიდევ არა უშავს, დედამისი კი გამუდმებით კვნესის და სახსრებს იტკივებს. რაც თავი ახსოვს, სულ რევმატიზმი აწუხებს. არც მკურნალობამ — გურჯაანისა და უჯარმის ტალახებმა უშველა. შთამომავლობითა აქვს თავისი მამისაგან გადმოცემული. მამამისი მიხეილი, ხევსურეთში სიმამაცით განთქმული კაცი, ისე შეუწუხებია ამ ავადმყოფობას, რომ თავი მოუკლავს. დედამისს, ახლაც რომ აყოლებს ამ ამბავს გიგია, ცრემლი ერევა. ხევსურები, საერთოდ, გულჩვილი ხალხია წარსულის მიმართ, გულის აჩუყება იციან ადვილად. კაცებმა უფრო მაშინ, ვაჟკაცობისას რომ იგონებენ.

„თორმეტი-ცამეტი წლისა ვიქნებოდიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, — უყვება ხოლმე დედა გიგიას. — ჭერხოში აველით, საქონლისათვის თივა რომ ჩამომეყარა. მამაჩემი გულაღმა იწვა, მკერდიდან და ყელიდან სისხლი მოჩქეფდა. ერთადერთი თვალით რაღაცა მანიშნა, ხელიც წამოსწია. ულონოდ. მამაჩემი ძალიან მიყვარდა, ზათქიც მქონდა. სანამ რამეს მეტყოდა, უკვე ვიცოდი, რისი თქმა უნდოდა. ახლაც მივხვდი, მანიშნებდა, იარაღს არ შეეჭრაო. დავიხედე, ჩემს ფეხებთან სისხლიანი ხანჯარი ეგდო. დაბლა სახლში ჩავიყვანეთ. ერთ დღე-ღამეს ველარ იცოცხლა. ტარით მიუდვია ხანჯარი კედელზე და ზედ შეხევია. ეტყობა, გულს ასცდა; რომ არ კვდებოდა, ამოუძვრია და ყელში გამოუსვამს. მამაო, — ვეტყოდი, — არაფერს მეტყვით, მითხარი რამეო! შემომხედავდა თბილად, სიყვარულით, რაღაცის თქმას დააპირებდა, მაგრამ რას მეტყოდა, ყელი ჰქონდა გამოჭრილი და გადმოუგორდებოდა ცრემლი. მე ხო ვიგებდი რო მეუბნებოდა: მეცოდები, ობოლი რომ რჩები, ძმებიც საპატრონოები გყავს და მაპატიეო! იმ დროს ჩემი ძმები სწავლობდნენ, დედაჩემი კი უკვე აღარ იყო ცოცხალი..." აქ საწყალი დედაჩემი ამოიქვითინებდა, მერე იტყოდა: „მაინც, ეტყობოდა, რომ არ ნანობდა თავის საქციელს, იმასაც ვგრძნობდი, რევმატიზმი აღარ აწუხებდა, — გულის ჭრილობამ დაავიწყა. სწორედ იმიტომ ილიმებოდა. თანაც, ჭრილობა მამაჩემისათვის ვაჟკაცობის საზომი იყო და რატომ არ გაიღიმებდა. ჭრილობაზე კვნესა, თუნდაც სასიკვდილო იყოს, როგორ შეიძლება, სირცხვილია!"

●

ჩასძინებოდა, ბიძამისის რიხიანმა ხმამ გააღვიძა. — რა ხალხი იყო! — მამამისს მიმართავდა: — ჩხუბიც იცოდნენ, შერიგებაც და, რაც მთავარია, პატივისცემა და სიყვარული ჰქონდათ მამულწყლისა, დიდ-პატარისა, ქალ-რძლისა.

მცირე ხანს მდუმარედ ისხდნენ, ეტყობა, თავ-თავის ფიქრებს ჩაუღრმავდნენ.

— რაზე ვებრძოდით და ვჩეხდით ერთმანეთს. პატარა გადაბრუნებული სიტყვის გულისთვის როგორ შეიძლება ასე!

— ალბათ ინსტინქტის ბრალია, ბრძოლისუნარიანობა რომ არ დაგვეკარგა მშვიდობის დროს, — თითქოს წაიხუმრა მამამისმა.

— ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად ქისტებთან მესისხლეობა და ბრძოლებიც გვეყოფოდა, მაგრამ მოხუცები იმასაც ამბობდნენ, ახალი სისხლი უნდა ჩადგეს სხეულში, ჭრა-ჭრილობა აუცილებელიაო.

გიგიამ ვერ გაიგო, ესეც ხუმრობით იყო ნათქვამი, თუ მართლა ასე თქვეს მოხუცებმა. დედამისმაც, აქამდე ეჭვით რომ უსმენდა, გაიცინა: ალბათ, ხუმრობენო. — რა ვაჟკაცები შეეწირნენ მესისხლეობას, — თქვა ბიძამისმა. — მოდი, მტრის ხელით მოკლული ყველა კარგი ვაჟკაცის, — ქისტისაც და ხევსურისაც, — შენდობა იყოს!

დალიეს.

ბიძამისს წინაპართა სისხლმა თავი შეახსენა, აჩუხჩუხდა, საბრძოლველად მოუწოდა ძველი ამბების გახსენებისას. ცარიელი ჭიქა მსუბუქად დაჰკრა ტაბლას და... ახლა ხანჯრის ადგილს მოიხსინჯავსო სარტყელზე, გაიფიქრა გიგიამ. ეს გრძნობა მასაც დაუფლებია, მაგრამ სუსტად და ემოციის გარეშე. მამისა და ბიძის აღტყინება, ცოტა არ იყოს, უკვირს კიდეც.

— რძალო, შენი ჭირიმე, ალავერდათ აბიკაისა და მამაშენის ჩხუბისა მოგვიყევი! — გულაჩუყებული, დაძაბული ხმით თქვა გიგიას ბიძამ.

გიგიას წამოდგომა ეზარებოდა. გულაღმა იწვა და უსმენდა.

დედამ ამოიოხრა, ის ალბათ, ოთახის სიღრმეში, დაბალ სკამზე იჯდა მთლად დალეული და დაპატარავებული. გიგიას საოცრად ებრალებოდა.

მაშინ უფრო ცოდო იყო, მშობლებს რომ მოიგონებდა. მიუხედავად თავისა სამოცდაათი წლისა, მათი ხსოვნა გულიდან ვერ ამოეშალა. ის სიობლეც სტკიოდა, უმამობამ რომ აგრძნობინა ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვობისას. ნიკაპი აუთრთოლდებოდა და გუშინ მშობლებდაკარგული ბავშვივით წამოსცვივდებოდა ცრემლები. ძნელია ქალის ბედი. — „ქალი, სხვათ ყორეთ ქვააო“, — იტყვიან ხევსურები. ბუნების კანონია: ქალი უნდა გათხოვდეს, მაგრამ გათხოვილი ხევსური ქალები, რაც უფრო ხანში შედიან, მით უფრო ხშირად იგონებენ მამის სახლს, გულჩვილნი ხდებიან, ამაყობენ თავისი გვარ-ჯიშით, ვერ ფარავენ უკმაყოფილებას, როცა ქმრის გვარის კაცები ხუმრობით, გასაბრაზებლად, თავისას უფრო წინ დააყენებენ. ტირიან, როცა მათი შვილიშვილებისხელა, თავისი კუთხის ყმაწვილს ნახავენ, ქმრის სოფელში მოსულს ლხინსა თუ ჭირში. შინ მოაყვანინებენ. თავით-ფეხამდე დაკოცნიან, დააძინებენ, თვითონ ტირილით მათ ძილს დარაჯობენ. დაძინებამდე კი სკამზე ჩამოსვამენ, ფერხთით დაუჯდებიან, თვალებში შეჰყურებენ, დაწვრილებით გამოჰკითხავენ შინაურ ამბებს. გაიხსენებენ ყოველ ქვას, ხეს, ადგილს, სადაც ძროხები ან ცხვრები უმწყემსიათ, თან ეფერებიან და ცრემლით უსველებენ მუხლებს. უყვართ შვილებიც და შვილიშვილებიც, მაგრამ რა ქნან, იმ წუთში ყველაფერი ავიწყდებათ, თვალთმაქცობა კი არ ეხერხებათ, მგონი, ბევრი იმასაც ნაღვლობს, კაცად რომ არ დაიბადა და მამა-პაპათა სახელს სახელი არ შემატა. ალბათ, ამიტომ ტირის ხოლმე გიგიას დედაც, როცა თავისი მამის და ბიძაშვილების ჩხუბსა და ჭრა-ჭრილობას იხსენებს, ხოლო ალავერდათ აბიკაზე, როგორც ცოხცალზე, „მიწამ შეჭამოსო!“ იტყვის.

გიგიამ კარგად იცის ის ამბავიც, ახლა დედამისი რომ უნდა მოყვეს.

●

ალავერდათ აბიკა გოლიათური აღნაგობის, მამაცი და სახელგანთქმული ვაჟკაცი ყოფილა. იარაღსაც შესაფერისად ხმარობდა. მთელ ხევსურეთში უპირველესი ვაჟკაცისა და მოჩხუბრის სახელს ვერავინ ეცილებოდა. მაგრამ ხალხმა იცოდა და აბიკასაც ხშირად ეჟინ-და გულში წინხადუელი გიორგით მიხეილი, — გიგიას პაპა. საშუალო ტანის, განთქმული მხედარი და ხმალ-ხანჯრის უბადლო მომხმარებელი. კაცის დაჩაგვრა არ უყვარდა, აბიკასავით ავანტიურისტი არ იყო და პირველობას არ ეძებდა, შიშით კი ეშმაკებისა და დევების ლაშქარიც ვერ შეაშინებდა.

ჰოდა, რადგან ალავერდათ აბიკამ იცოდა, რომ ხალხს ეჭვი ეპარებოდა მის პირველობაში, სადღაც წამოსცდა თუ ცნობისმოყვარე, სეირის მაყურებელმა ხალხმა წამოაცდენინა: სადაც შემხვდება გიორგით მიხეილი, თანა ჰქონდესო სამკვდრო სუდარა. აგორდა ჭორები. აისისინდა ენები. მერე აბიკას მომხრეებიც ამბობდნენ: პირველად მიხეილს უთქვამს: აბიკამ, სადაც შემხვდება, სამკვდრო სუდარა თან იქონიოსო. გაბრაზდა მიხეილი, გაბრაზდა აბიკაც. გულს აჰყვნენ. იარაღს ლესავდნენ. ახლა არც ერთი აღარ დაიხედავდა უკან იმაზე, მე ვთქვიო პირველად მუქარის სიტყვები, იმიტომ, რომ გარდაუვალი იყო შეხვედრისას ჩხუბი. გაგიჟებამდე მისულებს აღარ ახსოვდათ, რომელი დაემუქრა პირველად. შეიძლება ის პირველი არც არსებობდა და, უბრალოდ, მეჭორის მიერ მიტანილი იყო ცრუ ამბავი. მათ ერთმანეთი არც ენახათ ჭორების აგორების შემდეგ, მაგრამ არც მუქარის პირველწყარო აინტერესებდათ, რადგან იცოდნენ, რომ ეს ოდესღაც უნდა მომხდარიყო. ერთმანეთის ძალა, ალბათ, გონების თვალით მოსინჯულიც ჰქონდათ, მაგრამ აშკარად რომ შეჯახებოდნენ ერთმანეთს, აქამდე ამის საბაბი არ მისცემიათ, უამისოდ კი ეკრძალებოდნენ, სახელის მაძიებლისა და სხვისი დაჩაგვრის მონატრული კაცის სახელი არ დარჩენოდათ, რადგან იცოდნენ, ხარსა აქვს ჩვევა: მოწინააღმდეგეს რომ მოერევა და გატეხს, მერე სულ ჩხუბი უნდა. სადაც ხარს დაინახავს, თავს დაღუნავს და მიწას დაბრდღნის; გამარჯვებით ატაცებულს, უნდა ყველას კისერი მოუსინჯოს და დაამარცხოს. ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარის ჩხუბსა და გამარჯვებას აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი, მაგრამ დამარცხების შემთხვევაში სიბრალულს არ იმსახურებს, — „ახიაო, რასაც ეძებდა, იპოვა, ყველას მოუნდომაო გატეხა!..“ — იტყვიან ხოლმე.

ჩხუბი-დუელი უნდა შემდგარიყო. აქ არ იყო შეურაცხმყოფელი, არც შეურაცხყოფილი. აქ ინსტინქტი იყო, უფრო ცხოველური ინსტინქტი პირველობისა. ჩხუბი კი ნამდვილად რაინდული იქნებოდა. მოწინააღმდეგისათვის მიყენებული უფრო ბევრი და მსუბუქი ჭრილობით იზომება სისწრაფეც და მამაცობაც, რადგან შიში ვაჟკაცს ხელს არ აუკანკალებს და იარაღს მძიმედ არ მოაქნევინებს. ერთი სიტყვით, ეს იქნებოდა ხევსურეთში ჯერაც არსებული, შუასაუკუნეების სისხლიანი სპორტული სანახაობის საოცარი ზეიმი, რომელიც ორ დიდ ხელოვანს უნდა ეჩვენებინა სანახაობის მოყვარული და მონატრებული ხალხისათვის. ერთმანეთს კი სისხლს გამოუშვებდნენ, რომ მათ ძარღვებში არ დაჭაობებულიყო, არ გადაგვარებულიყო სხვასაც მოსცხებოდა, სისხლს სისხლი მოეთხოვა, რათა ეს პროცესი ხალხში გაგრძელებულიყო და სისხლს ძარღვებში მდორედ კი არ ედინა, ეჩუხჩუხა.

●

ატაბის ბოლოს შეხვდნენ ერთმანეთს, არ მოელოდნენ. აბიკა მარტო მოდიოდა. მიხეილს დედა ახლდა თან. ისე აჩქარდნენ, ერთმანეთის ნახვა თითქოს გაეხარდათ კიდეც. ცხენები ხელის უკან გაშვერით გააჩერეს. ლაგმებსაც მიუხედავად გაუშვეს ხელები. ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ, მცირე მოძრაობაც რომ არ გამოჰპარვოდათ. ხანჯრები ქარქაშებიდან ამოიღეს და უხმოდ მიეტევნენ ერთმანეთს.

„გაჩერდით, მანდილის ხათრი შეინახეთ!“ — დაიძახა მიხეილის დედამ და მოჩხუბართა ფეხებთან ისროლა მოხდილი მანდილ-სათაური. მთასავით აყუდებულმა აბიკამ ხანჯარი დაუშვა და თქვა: — „მე ლელაის მანდილ-სათაურას ვერ გადავაბიჯებ“.

მშვილდივით მოხრილი მიხეილი აბიკას ფართო სახეზე ხანჯრის დასარტყმელ ადგილებს არჩევდა. როდისღა ნახავდა ასე ახლოს თავისი ხანჯრისთვის შეთქმული ნანატრი სხეულის ნაკვეთებს. მოწინააღმდეგისათვის თვალი არ მოუშორებია, გაშიშვლებული მახვილის წვერით ფრთხილად აიღო დედის მანდილ-სათაურა, ბილიკის თავზე დადო და ისევ შემართულ ზამბარად იქცა. მიხეილის მოქმედებამ აბიკა შეაკრთო, ისევ საბრძოლველად გაამზადა, ააღელვა და გული შეუტოკა. მოწინააღმდეგე სიმამაცით არ ჩამოუვარდებოდა და სხეულმა უგრძნო, რომ სისწრაფით უკვე თავდასხმაც დაასწრეს, თავდაცვა კი ნახევრად წაგებას უდრიდა, რადგან სისწრაფეზე იყო ყველაფერი დამოკიდებული.

პირველმა მსუბუქმა დარტყმამ შუბლთან გაიჟღრიალა; აბიკამ ვერც მეორე დარტყმისაგან შეძლო სხეულის დაფარვა, სანამ ხანჯრიანი ხელის უკან გაწევას მოასწრებდა, ფოლადმა დევურ მაჯაზე გაიკაპუნა. „დამკაფავს“, — გაიფიქრა და წელში გამართული, მთელი თავით ასცდა მეტოქეს. გაშლილი, სატევრიანი ხელი თავზემოთ ოდნავ უკან გადაიქნია, თითქოს ფეხის წვერებზეც აიწია, შეშის ჩეხვის დროს რომ იციან, ისე. ამ დროს ერთი რამ გაუკრთა მხოლოდ გონებაში: ჯერ განუცდელი, უკვე დარეკილი ზარი დამარცხებისა, მის პირველობას ზღვარს რომ უდებდა და მით გამოწვეულ სიამაყეს და ამპარტავნობას აკნინებდა. სწორედ ამპარტავნობამ, ვაჟკაცს რომ უნდა ახლდეს არასოდეს, წაშალა ყველაფერი კარგი და საქმე გააფუჭა.

მიხეილის ფართოდ გახელილმა თვალებმა მხოლოდ გაკვირვების გამოხატვა მოასწრეს, თითქოს უნდოდა ეთქვა: — „რას სჩადი, აბიკაო!“ იგრძნო, რომ შხუილით წამოსულ, სანიკვდილოდ მოქნეულ სატევარს ჩვეულებრივი დარტყმისათვის აფარებული ხანჯრით ვერ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკავებდა, გვერდზე გახტომისათვის კი მზად არ იყო, არ სჭირდებოდა, რადგან ასეთ გამეტებულ მოქნევას არ მოელოდა, ისინი ხომ მოსისხლეები არ ყოფილან არასოდეს, მაგრამ მხოლოდ გაფიქრებაღა მოასწრო... საშინელი ხმა გაისმა ხორცის და ძვლის ჩეხვისა. მიხეილი ბილიკს ზემოთ, ბექობს მიაწყდა და ჩაიკეცა. სახის მარცხენა მხარე თმის დასაწყისიდან ნიკაპამდე, წამით თეთრად გადაიხსნა. პირველად თვალის ბუდიდან ამოასხა სისხლმა, მერე მთლიანი ჭრილობიდან იფეთქა სისხლის ნაკადულმა, მთელ სახეზე გადაესხა და მარჯვენა თვალიც დაუფარა. მიხეილმა მარცხენა ხელზე წამოიწია, ვერაფრის დამნახველმა ხანჯრიანი მარჯვენა აიქნია და თავზემოთ გააჩერა.

დარტყმა აღარ განმეორებულა. მიხეილი ვერ ხედავდა აბიკას, ბილიკს რომ მიუყვებოდა მხრებჩამოყრილი და თავჩაქინდრული. იმ წუთში, გაოგნებულს, არც იმაზე შეეძლო ეფიქრა, რას გრძნობდა ან ფიქრობდა მისი უწყალოდ დამჩეხავი. სმენას მხოლოდ დედის წყევლა მისწვდა, აბიკას მისამართით რომ იყო ნათქვამი: „მხდალო, დიაცო, მიწის შესაჭმელო!“ მერე გრძნობაც დაკარგა...

მამისგან ჰქონდა გიგიას გაგონილი: ჩემს ბავშვობაში მიხეილი იყო ბარისა ხოში ჩამოსული. ისეთი სახელიანი კაცი იყო, ბიჭები მის სანახავად გავიქეცით, ჩვენ უფრო იმ საშინელი ჭრილობის ნახვა გვინდოდა, ყველას რომ აკვირვებდაო.

●

გიგიამ სიზარმაცეს სძლია, ჩაიცვა და წინა ოთახში გავიდა. ბიძამისი ცრემლებს იმშრალებდა. დედამისს, თითქოს მამის ჭრილობის ტკივილი გამოჰყოლოდა. ცრემლი მარცხენა თვალიდან მოუგორავდა.

— ცხენის სიკვდილი რომ გაიგო, ის როგორ იყო, რძალო? — ბიძას საბოლოოდ აჩუყებოდა გული და აღარც მალავდა. ვაჟკაცი ვაჟკაცის სიკვდილსა და ვაჟკაცურ წარსულს ტიროდა, ტირილი ამასაც უხდებოდა და იმასაც. გიგიას ბიძას უნდოდა, იმ ვაჟკაცებთან მოგონებებით ყოფილიყო დაკავშირებული. გრძნობდა, რომ მომავალ თაობას გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი წარსულთან, თვითონ კი ამ მოგონებებით უნდოდა ხსოვნისა და კავშირის ძაფები გაემრავლებინა, არ გაეწყვიტა და ეს ტირილი სწორედ იმ გაწყვეტილის ან გასაწყვეტად განწირულის გამოტირება იყო, არასოდეს რომ აღარ გამთელდებოდა, განმეორდებოდა.

●

მიხეილი თბილისში ძლივს გადაარჩინეს სიკვდილს. საავადმყოფოდან გამოწერის დრო რომ მოუვიდა, ბიძაშვილმა ალუდმა ჩააკითხა. ვერ გაბედა ცუდი ამბავი ეუწყებინა. მიხეილი ადგილზე ვერ ჩერდებოდა. თავისუფლებისა და ქროლვის ჟინს აეტანა. ძლიერი მხედარი იყო. საოცრად უყვარდა თავისი ქურანა. ბარძაყებს ცხენის მოფერება მონატრებოდა. როგორ არის ჩემი ყვითლა! — ყრუ ხმით, ვითომ სხვათა შორის ჰკითხა, რადგან იცოდა, იმ ზამთარს ვერ იყო კარგად მისი საყვარელი ცხენი. ალუდამ წაუყრუა, ვითომ ვერ გაიგონა ნათქვამი.

მიხეილს კინაღამ გული გაუჩერდა. უფრო თავის დასაჯერებლად, ვიდრე ალუდასაგან საშინელი პასუხის მოლოდინში, თქვა: „წავალ, ჩემს ყვითლას ნალებს ვუყიდი. ეხლავე მოვალ“.

„აღარ სჭირდება ყვითლას ნალები, აღარა გვყავს:“ — ჩაილაპარაკა ალუდამ. მიხეილმა კი თქვა, წავალო, მაგრამ იქვე იდგა თავდახრილი და მიყურადებული. „აღარ მყავს?!“ — ყელში გაუწყდა სათქმელი, ტროტუარზე ჩაიკეცა და აქვითინდა.

●

გიგიას ბიძას ბევრი ჭირი აქვს გადატანილი. კარგად იცის სირცხვილი როა, ცოლმა ქმრის სიკვდილი იგლოვოს, ქმარმა ცოლისა,— მით უმეტეს. ოჯახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრის სიკვდილზე ჭირის საწყენად მისულ ხალხს ღიმილით ხვდება ხევსური: რას ამბობ, ჩვენი, ბერავების სიკვდილი თქვენ ჭირთან რა სახსენებელიაო" და, ოდესღაც გარდაცვლილ ახლობელზე იქით ეტყვიან სამძიმარს. თავისი თავმდაბლობით სხვას, აამაღლებენ.

„უსისხლოები, უჯიგროებია ეს ხევსურები... — გაიგონა ერთხელ გიგიამ ვილაცის დაკრძალვაზე, — არც ქმარს ტირიან, არც ცოლსა და შვილს..."

აგე, თუ უსისხლოები ვართ. ხედავთ, როგორ ქვითინებს ცხენის სიკვდილზე შუა ქალაქში ტროტუარზე ჩამომჯდარი სახედაჩეხილი პირველი მებრძოლი. განა არ უყვარს ცოლი და შვილები! ისინი ღმერთმა დაუფაროს, მაგრამ დიდ ჭირს, ვარამსა და სატკივარს დათმენა უნდა. მტერს არ უნდა დაანახო, მოყვარე კი გაამაგრო. ხოლო ხანდახან, ცხენის სიკვდილი აწ ლამაზი ლექსი, გულს რომ აგიჩუყებს, უნდა შეუერთო იმ დიდ, დათმენილ მწუხარებას, შეურიო და განიტვირთო. ნელ-ნელა, ცოტ-ცოტა უნდა განიქარვო, რომ გული არ გასკდეს, შთამომავლობას დაწმენდილი და უბოღმო გენი გადასცე, რომ არავინ თქვას, უსისხლოები, უჯიგროები არიანო, და ეს ყველაფერი თავისთავად, ბუნებრივად ხდება ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული, ჩამოყალიბებული. გიგიას დედა პატარა, მთლად მუშტისხელა ზის და უხმოდ ტირის, ბიძა წელანვე არა მალავდა ცრემლებს. გიგიას მამაც, აქამდე რომ თავს იკავებდა, მალულად იხვამს მოხრილ საჩვენებელ თითის ქვედა ქუთოთოზე. სამივე უთანაგრძნობს მიხეილსაც და აბიკასაც, ალუდასაც სხვებსაც. გიგიას მამას და ბიძას დედამისიც ეცოდებათ. დედამისს კი — ორივე აცრემლებული ვაჟკაცი და, ალბად, რადგან მას უფრო ბევრი ეცოდება, ამიტომ არის ასე პატარა და შესაბრალისი, ამიტომ არის ასეთი სათნო და საყვარელი.

სამივე ცრემლებს იმშრალებს ძველი ამბის გახსენებაზე და რაღაცა უფრო დიდს განიქარვებს.

გიგიას ყველა ეს ამბავი მრავალჯერ აქვს მოსმენილი, წამოდგა, სათითაოდ შეათვალიერა მშობლები, მერე ბიძას შეხედა, ჩაიცინა და პირის დასაბანად გავიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ელგუჯა მარღია

### ნაწყვეტი ციკლიდან „ზამთრის ელეგიები“

ცაში ათასი ყვავი ირევა...
ჭრიჭინობელის გართობს კრუალი.
შენს მარტოობას კვლავ მისტირიან,
შუბერტი, გრიგი და მორუანი.
შენს მარტოობას კვლავ მისტირიან
და კოსმიური ზმებით ივსები...
უსასრულობას ზვერავს ისევე
თვალები — შავი ოაზისები.
გამომფიტავი და მომნუსხველი,
გერგო ფუსფუსი ყოველდღიური,
რადგან ბევრია უხსენებელი,
ხორცით მრთელი და სულით ტყიური.
რადგან ბევრია ავისმზრახველი
და მზერა — გვამის გამომშიგნავი...
ო, მსასოვარო, ყოვლისმნახველო,
ამოუხსნელი რჩება იგავი,
ამოუხსნელი... ყველა იგავი,
მარადმედინი, უფლისმიერი,
ნეტავი ადრე როდის იყავი,
ასე სუსტი და ასე ძლიერიც.
ანდა, ო, როდის იყო ნეტავი,
სიტყვა — ვედრებავ გულში ჰყვაოდი...
დავიწყებული, როგორც კენტავრი,
ულრანებივით ცას შებლაოდი.
ულრანებივით ცას შებლაოდი,
სზეულს ჯიჯგნიდა ფიქრი — სვავები...
სისხლი წვეთავდა დარდის ხაოდან
და ვარსკვლავები — ზეცის თვალები
ჩამოგტიროდა მწველი ისრებით,
ლაჟვარდს ფერავდა ცრემლი —
კრისტალი.
ვით მშვენიერი ლედი ისევე,
გეხუტებოდა ქარი მისტრალი.
ცაში ათასი ყვავი ირევა...
ჭრიჭინობელის გართობს კრუალი,
შენს მარტოობას კვლავ მისტირიან,
შუბერტი, გრიგი და მორუანი.
...როგორ მოცოცავს დილა — პითონი,
რამ ჩაალამა მზე და ნაპირი,
სისხლზე ბუღრაობს დრო უტიფარი,
გაუმაძღარი, როგორც ვამპირი.
რამ მოგვიწამლთ მერიდიანი,
რამ მოგვისაჯა ყოფნა — ხავილი...
ჯერაც დაუმცხრალ იმ ძველ იარებს,
ვინ დააფინა ნალვერდალივით
ცოდვა, მეძავთა სულში მროკავი.
ახალშობილი, თუმცა ხნიერიც...
რამ მოამრავლა, ღმერთო მომკალი,
მეფისტოფელი და სალიერი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

იქნება უკვე ზარებს რეკავენ
განკითხვის... ჟამი მოცულა ბინდით,
იქნება, მართლა გზა დაგვეკარგა,
გზები, რომელიც უფლისკენ მიდის;
და საუკუნის რაკი იარა,
სამარადჟამო ცოდვაა დიდი,
ვაი, თუ მართლა იმ გზით ვიარეთ,
გზებით, რომელიც ეშმაკთან მიდის!

●

საით ესწრაფვის მზერა გაბმული,
მზერაში მღვრიე ტალღის დგაფუნი
სად შეაწყდება ჯებირს...
ნუთუ ჩამოწვა ღამე ლუსკუმი,
ნუთუ მარადი ჰქვია უფსკრული
მიწას, რომელზეც ვრჩებით!

დაფიქრებული, შორსგამხედავი,
აპოკალიფსის თეთრი მხედარი
სად შეაჩერებს თეთრონს...
გარდუვალია რაკი სასჯელი,
ყოვლის მეუფე, ყოვლის განმსჯელი —
რითი გვიშველი, ღმერთო!

შემოსალტვია ტაძარს ურჩხული
და ბიწიერთა ლოცვა — ჩურჩული
ცამდე ვერ აღწევს ჩვენი...
ურწმუნოების გამო, ღალატის,
ბედმა გვარგუნა ტანჯვა მარადი,
ცეცხლი, მარადჟამს მწველი!

საით ესწრაფვის მზერა გაბმული,
მზერაში მღვრიე ტალღის დგაფუნი
სად შეაწყდება ჯებირს...
ნუთუ ჩამოწვა ღამე ლუსკუმი,
ნუთუ მარადი ჰქვია უფსკრული
მიწას, რომელზეც ვრჩებით!

●

ღამეს ძერწავ და ამაოდ წუხხარ,
ბინდდება ტვინი — ყვითელი ბორცვი...
ღირს კი, ტაძარში მოხარო მუხლი,
როდეს ცოდვებით გვილპება ხორცი?
როდეს ხორცივით გვეხრწნება სული,
აკლდება შუქი ცასა და ზეფირს...
როდეს წყვდიადი მოცოცავს სრული,
როდეს გავწირეთ უფლისკენ გზები...

●

წამით შეჩერდი და დამაკვირდი,
ეს მე მოვდივარ, ცოდვა მარადი...
ეს მე მოვდივარ, სავსე ღალატით,
ტკივილით, ცრემლით და მასკარადით...
არეულია დღესაც ამინდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამით შეჩერდი და დამაკვირდი:
ჩემი თვალები როგორ ჩაღამდა,
ჩემი პროფილი როგორ დაოსდა...
გულშიც მარადი დამრჩა დამღა და
ხვალაც ქუჩაში გამოვალ, როგორც
ჭირისუფალი სასაფლაოდან...

## დაფიქრება

(არჩილ ფირცხალავას გახსენება)

სად არის ჩემი ზეცა კრიალა,
მანვე გამწირა, ვისაც მივენდე...
ღვინოში, ძმაო, ბოღმას კი არა,
ვახრჩობ გაძარცულ მზეს და იმედებს!

მეგონა, გული მქონდა მედგარი,
ღამე წყეული მიაქვს წვალებას...
მე მახსენდება ახლა ედგარი,
პოეტის ჩუმი გარდაცვალება.

ამაოება, გლოვა, ხანძარი,
ბოროტი თვალი მარად იცნობა...
დგას ალავერდის თეთრი ტაძარი —
ქართული ლექსის მარადისობა!

●

შენი სულიდან ამოშანთეს
მზე — სიყვარული
და ტკივილების ბაირაღი
აგიფრიალეს...
მერე დილეგის სარკმელიც კი
ჩამოგიბნელეს,
ხანდახან ცისკენ რომ ილტვოდა
დაღლილი მზერა...
ვინა ხარ მაინც? —
თუ გგონია, მარტოსული ხარ,
ვინძლო, ეგ შენი
მარტოობა მოგონილია...
წკვარამ ღამეში გასაგნები
ქრება სანთელი,
ზურგზე გიღუის მწველი დამღა —
ეშმაკის თვალი...

სანამდე უნდა ივიშვიშო
არარაობა...
სანამდე უნდა იგლოვო თავი...
დღეიდან ვეღარ გაგახელებს
მზის მცხუნვარება,
ბედმა გარგუნა
სუსხიანი გაზაფხულები...
მარტოობაზე რაც არ უნდა
მელაპარაკო,
აქ, ამ მიწაზე მისი პოვნა
არის ტყუილი...
არც მარადისი სიჩუმეა
გამოსავალი...
თვითმკვლელობებიც
ეშმაკების მოგონილია!..

●

ნახე, ფოთლები ქარის სიმებზე,
რა სევდიანად უკრავენ მოცარტს...

ლიბერი

●

როგორც აკვანში ბავშვი ღიმილით,
არმაზის ხევში გაზაფხული ისე
იღვიძებს...

●

მთვარე — ზეცაში დარჩენილი
პოეტის თვალი...

●

მზეს მოაქვს შენთვის სიხარული,
როგორც წერილი
და აღტაცებით ხვდება იალონს...
ისეთ ვარსკვლავზე ხარ გაჩენილი,
მთელი ცხოვრება ბილიკ-ბილიკ
უნდა იარო.

შენ კარგად იცი, საკუთარი
ჯვარცმა მიგელის,
წინ უფსკრულია და რუბიკონი...
შეიფრთხიალებს გულში, როგორც
ცაში ფრინველი
და უკვდავებას გაზიარებს
ერთი სტრიქონიც...

●

ჩამოქლვარა თვალებს თმები და
ველარ გაუძელ თითების წუწუნს...
და, როგორც სავსე მთვარე მთებიდან,
ამოგიგორდა შიშველი ბუბუ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვლადიმირ ნაბოკოვი

# ლოლიტა

20

ივლისის ერთი განსაკუთრებით ცხელი კვირის განმავლობაში ყოველდღე დავდიოდით ტყეში, რამზდელიდან რამდენიმე მილის დაშორებით მდებარე სათვალისებრ ტბაზე (რომელიც უკვე ვახსენე). ახლა იძულებული ვარ, საკმაოდ მოსაბეზრებელი დეტალებით აღვწერო ჩვენი უკანასკნელი ბანაობა იქ, ერთ სამშაბათს, ტროპიკულ დილას.

ავტომობილი საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას დავტოვე, გზატკეცილთან ახლოს, და, ფიჭვნარში გაკვალული ბილიკით, ტბისკენ გავემართეთ. შარლოტამ მითხრა, რომ იშვიათი შუქური ეფექტების ძებნისას ჯოანა ფარლომ (ის ფერწერის ძველი სკოლის ერთგული იყო) კვირადღეს დაინახა, როგორ ბანაობდა „ლამიშობილა" ლესლი ტომსონი დილის ხუთ საათზე (ასე იოხუნჯა ჯონმა). „ალბათ, წყალი ძალზე ცივი იქნებოდა", ვთქვი მე.

„საქმე ამაში როდია, — შემეპასუხა ჩემი ლოგიკური, თუმცა განწირული გვრიტი, — ის ჭკუასუსტია და ვაღიარებ, — განაგრძო მან (თან ფრაზებს ძალზე გულმოდგინედ გამოყოფდა, რაც მავნე ზეგავლენას ახდენდა ჩემს ჯანმრთელობაზე), — რომ აშკარად ვგრძნობ: ჩვენი ლუიზა ამ კრეტინზეა შეყვარებული".

გრძნობა. „ვგრძნობთ, რომ დოლი ისე კარგად არ სწავლობს, როგორც შეუძლია..." და ასე შემდეგ. (ძველი სასკოლო შეფასებიდან).

ტანთ ხალათები ეცვათ, ფეხზე კი სანდლები.

„იცი, ჰუმ, ერთი კადნიერი ოცნება მაქვს, — წაილაპარაკა ლედი ჰუმმა და თავი დახარა — თითქოს ამ ოცნებისა რცხვენოდა და წითურ მიწას რჩევას ეკითხებოდა. — ძალიან მინდა, მართლაც რომ გაწაფული მოახლე ვიშოვო, იმ გერმანელი ქალის მსგავსი, რომელიც ტალბოტებმა ახსენეს; და რომ ჩვენთან იცხოვროს".

„ადგილი არა გვაქვს", — ვუპასუხე მე.

„რას ამბობ! — თქვა მან ვითომდა იდუმალი ღიმილით, — ძვირფასო, შენ სა-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 7, 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანადოლ ვერ აფასებ ჰუმბერტების სახლის შესაძლებლობებს. მას ლოლიტას ოთახში მოვათავსებდით. ისედაც ვაპირებდი, სახლის ეს ყველაზე ცივი და საძაგელი სორო სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახად გადამეკეთებინა".

„რაზე ლაპარაკობ?"—ვკითხე და ჟრუანტელმა დამიარა (ეს მხოლოდ იმიტომ აღვნიშნე, რომ ჩემს გოგონასაც მსგავსი რამ ემართებოდა გარცხის, ზიზღის, ბრაზის განცდისას).

„შეიძლება, რაიმე რომანტიკული ასოციაცია გიშლის ხელს?" დაინტერესდა ჩემი ცოლი და ჩვენს პირველ კოცნაზე მიმანიშნა.

„არაფერიც, — მივუგე, — უბრალოდ, მსურს, გავიგო, სად მოათავსებ ქალიშვილს, როდესაც შენს სტუმარს ან შენს მოახლეს იშოვი".

„ო! — თქვა ქ-მა ჰუმბერტმა, მეოცნებედ გაიღიმა, ეს „ო" გააგრძელა, ცალი წარბი აჭიმა და ნაზად ამოისუნთქა. — ვშიშობ, რომ პატარა ლოს ეს სრულიად არ ეხება. პატარა ლო ბანაკიდან პირდაპირ პანსიონატში გაემგზავრება — კარგ პანსიონატში, სადაც მკაცრი დისციპლინა სუფევს და რელიგიურ განათლებას სოლიდური პროგრამით იძენენ. შემდეგ კი — ბერდსლი კოლეჯი. ნუ წუხარ, ყველაფერი ეს ძალზე ზუსტად მაქვს გააზრებული".

შარლოტამ დაუმატა, რომ აპირებდა, საკუთარი სიზარმაცე გადაელახა და წერილი გაეგზავნა ბებრუხუნა ფალენის დისთვის, რომელიც წმინდა ალგებრის პანსიონატში ასწავლიდა. ფიჭვებს შორის მოციმციმე ტბა გამოკრთა. მოვიმიზეზე, ავტომობილში შავი სათვალე დამრჩა და ახლავე დაგეწევი-მეთქი.

ყოველთვის მეგონა, რომ ხელების მტრევა მოგონილი ჟესტი იყო ან რომელიმე შუასაუკუნეობრივი რიტუალის ბუნდოვან გამოძახილს წარმოადგენდა. მაგრამ როდესაც სასოწარკვეთილებითა და ძრწოლვით შეპყრობილმა, ტყეს შევაფარე თავი, ჩემი განწყობილება ყველაზე უკეთ სწორედ ამ ჟესტმა გამოხატა („შეხედე, ღმერთო, ამ ბორკილებს!").

შარლოტა ვალერია რომ ყოფილიყო, მეცოდინებოდა, რა მომემოქმედა. — დიახ, „მომემოქმედა" სწორედ შესაფერი სიტყვაა; საკმარისი იქნებოდა, მსუქანი ვალეჩკას სათუთი მაჯა ამომეტრიალებინა (რომელიც ველოსიპედიდან ჩამოვარდნისას იღრძო), რათა მყისვე შეეცვალა თვალსაზრისი; მაგრამ შარლოტას მიმართ ეს წარმოუდგენელი იქნებოდა. გულცივი ამერიკელი შარლოტასი მეშინოდა. იმ დაუდევარი იდეიდან, რომ მისი ნებისყოფა სიყვარულის მეშვეობით დამეთრგუნა, არაფერი გამოვიდა. ის თაყვანს სცემდა ჩემს ხატებას და ვერაფერს ჩავიდენდი ისეთს, რაც ამ ხატებას ხელყოფდა. სანამ ჩემი გოგონას მრისხანე დუენიას წარმოადგენდა, ველაქუცებოდი და მამებლობის კვალი ჩემს ამჟამინდელ დამოკიდებულებასაც შერჩა. შარლოტას წინაშე მხოლოდ ერთი უპირატესობა მქონდა — ის, რომ მან არაფერი იცოდა მისი შვილისადმი ჩემი შემზარავი ლტოლვის შესახებ. აღიზიანებდა, რომ გოგონას მოვწონდი; მაგრამ ჩემი საკუთარი გრძნობების ამოცნობა არ ძალუძდა. ვალერიას ვეტყოდი: „შე ბონძროხა ბრიყვო, ეს მე უნდა გადავწყვიტო, რა არის სასიკეთო დოლორეს ჰუმბერტისთვის"-მეთქი. შარლოტას კი ვერ ვუბედავდი, მეთქვა (პროფესიული სიმშვიდით): „მაპატიე, ჩემო კარგო, მაგრამ ვერ დაგეთანხმები. გოგონას კიდევ ერთი შანსი უნდა მივცეთ. მზად ვარ, შინ ვამეცადინო ერთი ან ორი წლის განმავლობაში, შენ ხომ ერთხელ თვითონ თქვი ასე". მაგრამ შარლოტას გოგონას შესახებ ვერაფერს ვეტყოდი ისე, რომ თავი არ გამეცა. აჰ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ (მეც არასოდეს წარმომედგინა), როგორები არიან ეს პრინციპული ქალები! შარლოტა, რომელიც ვერ ამჩნევდა ყოველდღიური პირობითობების, ქცევის წესების, პატენტიანი საკვების, წიგნებისა და მისი სათაყვანო ადამიანების დამახასიათებელ სიყალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეს, მყისვე შეამჩნევდა არასწორ ინტონაციას, რაც უნდა მეთქვა ლოლიტას ჩემს მახლობლად შენარჩუნების მიზნით. ის იმ მუსიკოსს ჰგავდა, რომელიც შეიძლება ძალზე უხამსი იყოს, ინტუიცია და გემოვნება არ გააჩნდეს, მაგრამ არაჩვეულებრივად ზუსტი სმენის წყალობით, ორკესტრის ყველაზე კნინ ბგერასაც კი აღიქვამს. შარლოტას ნების დასამსხვრევად გული უნდა მომეკლა მისთვის, რაც ჩემს ხატებასაც დაამსხვრევდა. მისთვის რომ მეთქვა: „ან ლოლიტას ისე მოვექცევი, როგორც მსურს — და შენ მომეხმარები საიდუმლოს შენახვაში, — ან ახლავე დავცილდებით ერთმანეთს“, — მას მქრქალი მინის ფერი დაედებოდა და დინჯად მიპასუხებდა: „კეთილი: რაც უნდა დაუმატო, რაც უნდა უარყო, — ყველაფერი დამთავრებულია“. და ასეც იქნებოდა.

აი, რა უბედურება შემემთხვა. მახსოვს, როგორ მივედი მანქანების გასაჩერებლად განკუთვნილ მოედანთან, როგორ ავივსე პატარა შადრევნიდან პეშვი წყლით, რომელსაც ჟანგის გემო დაჰკრავდა. ისე ხარბად დავეწაფე, თითქოს ჯადოსნური სიბრძნით, ახალგაზრდობით, თავისუფლებითა და პაწია მხევლით დამაჯილდოებდა. შემდეგ შრიალა ფიჭვებქვეშ ტლანქად შეკოწიწებული საპიკნიკო მაგიდის კიდეზე ჩამოვჯექი (ჩემი იისფერი ხალათი მეცვა) და ფეხების ქნევას მოვყევი. შორიახლოს ტრუსებისა და ლიფების ამარა ორი გოგონა გამოვიდა ათინათებით აჭრელებული კლოზეტიდან, რომელსაც ეწერა: „ქალებისათვის“. მაბელი (ან მაბელის დუბლიორი) რეზინს ღეჭავდა. ის ნელა, დაუდევრად შეაჯდა ველოსიპედს, მარიონი კი, რომელიც ბუზების მოსაგერიებლად თავს აქნევდა, ფეხებგაჩაჩხული უკან მოუჯდა; ველოსიპედი აქეთ-იქით ირწეოდა. ისინი ნელა, უგულისყუროდ შეუერთდნენ შუქჩრდილს. ლოლიტა! მამა-შვილი, რომელიც ამ უკაცრიელ ადგილას უჩინარდება! ამოცანის ბუნებრივი გადაწყვეტისთვის საჭირო იყო ქ-ნი ჰუმბერტის მოკვლა. მაგრამ როგორ? თავისთავად არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ბოროტმოქმედების იდეალურად ჩადენა; ამასთან, ეს ძალუძს შემთხვევას. კრიმინალისტებს, მაგალითად, ახსოვთ არლელი მადამ ლაკურის გახმაურებული მკვლელობა სამხრეთ საფრანგეთში, გასული საუკუნის ბოლოს. წვეროსანი აყლაყუდა ხალხმრავალ ქუჩაში მიეპარა ამ ქალბატონს (რომელთანაც, შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა გაბმული) პოლკოვნიკ ლაკურზე მისი გათხოვების რამდენიმე დღის შემდეგ და ზურგში სამჯერ ჩასცა ხანჯალი. ამასობაში პოლკოვნიკი, ბულდოგისმაგვარი დაბალი კაცი, მკვლელის ხელს იყო ჩაფრენილი. სასწაულებრივი, შესანიშნავი დამთხვევის შედეგად, სწორედ მაშინ, როდესაც ბოროტმოქმედი დაეჭიდა განრისხებული პატარა ქმრის მოკუმულ ყბებს (ამ დროს ხალხმა უკვე შეგროვება დაიწყო) — ვიღაც მეოცნებე იტალიელი მეზობელ სახლში ჭურვს აცოდვილებდა და სრულიად შემთხვევით აუფეთქდა. ქუჩა მყისვე კვამლის, ჩამოცვენილი აგურებისა და გაქცეული ადამიანების ჯოჯოხეთურ ქაოსად გადაიქცა. აფეთქებას არავინ დაუსახიჩრებია (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მან ნოკაუტში ჩააგდო მამაცი პოლკოვნიკი ლაკური); შურისმაძიებელი მიჯნური სხვებთან ერთად გაიქცა, რის შემდეგაც ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრების გზა განვლო.

ახლა ვნახოთ, რა ხდება, როდესაც ბოროტმოქმედი თავად ცდილობს იდეალური მკვლელობის ჩადენას.

**სათვალისებრი ტბისკენ თავქვე** დავეშვი. პატარა ყურესთან ჩვენ და კიდევ რამდენიმე „რიგიანმა“ ოჯახმა (ფარლომ, ჩატფილდებმა) საბანაო ადგილი შევარჩიეთ: ჩემს შარლოტას ეს ადგილი იმით მოსწონდა, რომ თითქმის „კერძო პლაჟს“ წარმოადგენდა. მობანავეთათვის (ან თვითმკვლელთათვის, როგორც რამზდელის ფურცელში ეწერა) საგანგებოდ კეთილმოწყობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი პლაჟი ტბის მარცხენა (ესე იგი, აღმოსავლეთ) რგოლში მდებარეობდა და ჩვენი ყურიდან თითქმის არ ჩანდა. მარჯვნივ ფიჭვნარს ჭაობი ენაცვლებოდა, რის შემდეგაც, ნახევარწრის გავლით, დასავლეთი რგოლის მეორე მხარეს, ნაპირი კვლავ ფიჭვნარით იყო შემოსილი.

ცოლის გვერდით ქვიშაზე ისე უჩუმრად დავეშვი, რომ შეკრთა.

„წყალში ჩავიდეთ?“ იკითხა.

„ამ წუთას. ერთი კომბინაცია უნდა მოვიფიქრო“, — ფიქრი განვაგრძე. წუთზე მეტმა დრომ განვლო.

„კეთილი. წავიდეთ“.

„ამ კომბინაციაში თუ ვმონაწილეობდი?“

„აბა როგორ!“

„კიდევ კარგი!“ თქვა შარლოტამ და წყალში შევიდა. მალე წყალმა მის მსუქან, ხორკლიან ბარძაყებამდე მიაღწია; შავი რეზინის ქუდი ძალზე უბრალო იერს ანიჭებდა; შეტყუპებული ხელისგულები წინ გაიშვირა, ტუჩები მაგრად მოკუმა და ხმამაღლა დგაფუნით გაცურა.

მოელვარე ტბას ნელ-ნელა მივარღვევდით.

მოპირდაპირე მხარეს, ჩვენგან დაახლოებით ათას ნაბიჯზე (წყალზე სიარულის საშუალება რომ გვქონოდა) ორი ადამიანის პატარა გამოსახულება გავარჩიე. ისინი ბეჯითად მუშაობდნენ თავიანთ ნაკვეთზე. მათი ვინაობა ზუსტად ვიცოდი, ერთი იყო პოლონური წარმომავლობის გადამდგარი პოლიციელი, ხოლო მეორე — ყოფილი მეწყალსადენე, რომელსაც ტბის იმ მხარეს ტყის უმეტესი ნაწილი ეკუთვნოდა. ისიც ვიცოდი, რას აკეთებდნენ — სულელური გართობის მიზნით ხის ნავმისადგომს აშენებდნენ. უცნაურია, მაგრამ კაკუნი, ჩვენამდე რომ აღწევდა, ძალზე ხმამაღალი იყო და არ შეესაბამებოდა მათ პატარა ხელებსა და ხელსაწყოებს: შეიძლებოდა, გვეფიქრა, რომ ბგერითი ეფექტების გამგე ვერ მოურიგდა ჰუპენმაისტერს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ყოველი დარტყმის ხმა მის მხედველობით ხორცშესხმასთან შედარებით აგვიანებდა.

„ჩვენი“ პლაჟის მოკლე ბაცი-ქვიშისფერი ზოლი — რომელსაც ახლა რამდენადმე დავცილდით და ღრმა წყალს მივაღწიეთ — სამუშაო დღეებში უკაცრიელი იყო ხოლმე. გარშემო არავინ ჩანდა ამ ორი თავგამოდებით მომუშავე ადამიანის და მუქ-წითელი, კერძო თვითმფრინავის გარდა, რომელმაც მაღლა, ლურჯ ცაში გაიზუილა და გაქრა. სწრაფი, ბუყბუყიანი მკვლელობისთვის უკეთეს დეკორაციას ვერ მოიფიქრებდი, და აი, უფაქიზესი პუანტი: კანონის დამცველი და წყალგამყვანი იმდენად ახლოს იყვნენ, რომ უბედური შემთხვევის მოწმეები უნდა გამხდარიყვნენ და, ამასთან, საკმარისად შორს იმყოფებოდნენ, რათა ბოროტმოქმედება ვერ დაენახათ. ისინი საკმარისად ახლოს იყვნენ, რომ გაეგონათ, როგორ ითხოვდა შველას და განწირულად ყვიროდა წყალში აფართხალებული მობანავე და საკმარისად შორს იმყოფებოდნენ იმისთვის, რათა ვერ გაერჩიათ (თუკი დროზე ადრე გამოიხედავდნენ), რომ მობანავე დაბნეული კი არ იყო, არამედ ცოლის დახრჩობას ამთავრებდა. ეს სტადია ჩემთვის ჯერ მიუწვდომელი იყო. მინდა მხოლოდ აგიხსნათ მოქმედების სიმარტივე, დადგმის სიცხადე! მაშ ასე, შარლოტა ტლანქი გულმოდგინებით მიცურავდა (მეტად უხარისხო უნდინა გახლდათ) და სიამოვნების საზეიმო განცდით ტკბებოდა (მისი წყლის კაცი ხომ იქვე იყო); ყოველივე ამას — მისი სველი სახის მბზინვარე სითეთრეს (მზეზე ვერაფრით ვერ გაშავდა, თუმცა ძალიან ესწრაფვოდა ამას), და გაცრეცილ ტუჩებს, და შიშველ, ამობურცულ შუბლს, და ვიწრო შავ ქუდს, და სველ, ხავსე კისერს — მომავალი მოგონების თვითკმარი სიცხადით ვაკვირდებოდი (ასე ხდება, როდესაც საგნებს ისეთად აღიქვამ, როგორადაც შემდგომ გაიხსენებ). ვიცოდი, რომ საჭირო იყო, ოდნავ ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრჩენოდი, შემდეგ ფეხის კოჭში ხელი ჩამევლო და, დატყვევებულ გვამთან ერთად, ელვისებური სისწრაფით ჩამეყვინთა წყალში. ვამბობ „გვამთანმეთქი", ვინაიდან მოულოდნელობის, შიშისა და გამოუცდელობის ზეგავლენით საწყალი უნდინა ერთბაშად ჩაყლაპავდა ტბის მომაკვდინებელი წყლის მთელ ვედროს, მე კი ერთ წუთს მაინც გავძლებდი წყალქვეშ, თანაც თვალდაუხუჭავად. ჩაფიქრებული ბოროტმოქმედების წყვდიადში საბედისწერო მოძრაობამ ჩამოვარდნილი ვარსკვლავის კუდივით გამიელვა თვალწინ. ასე უჭირავს ხოლმე მოცეკვავეს პარტნიორი ქალის ფეხი მდუმარე თვალბედით ბალეტში და ისარივით სწრაფად ჩაექანება ნაყალბევ, მაგრამ დამაჯერებელ წყალქვეშა სიბნელეში. ჰაერის ჩასასუნთქად ამოვცურდებოდი (მას კვლავ წყალქვეშ დავაკავებდი), შემდეგ კი იმდენჯერ ჩავყვინთავდი, რამდენჯერაც ამის საჭიროება შეიქმნებოდა. მხოლოდ ფარდის საბოლოოდ დაშვებისას მივცემდი თავს ნებას, შველა მეთხოვა. და როდესაც ოციოდე წუთის შემდეგ მოპირდაპირე ნაპირზე მომუშავე ის ორი მამაკაცი თანაბარზომიერად გადიდდებოდა და ნიჩბიანი ნავით (რომლის ცალი მხარე ახლახან შეელებათ) მომიახლოვდებოდა, კრუნჩხვის ან გულის შეტევის, ან ორივეს მსხვერპლი, საწყალი ქ-ნი ჰუმბერტი უკვე ყირამალა ჩაერჭობოდა მელნისფერ შლამში, სათვალიან-გველური ტბის სარკისებრი ზედაპირიდან ხუთი საჟენის სიღრმეზე.

რა ადვილია, არა? მაგრამ ჩემო ბატონებო, ამის შესრულება ჩემთვის აბსოლუტურად შეუძლებელი იყო!

ის ჩემ გვერდით მიმნდობი, მოუქნელი სელაპივით მიცურავდა და ვნების მთელი ლოგიკა ყურებში ჩამყვიროდა: „ნუ იცდი!", მე კი, ჩემო ბატონებო, არა და არ შემეძლო! მდუმარედ შევბრუნდი ნაპირისკენ და ისიც დინჯად, კეთილსინდისიერად გამომყვა. ყვირილისგან ხმაჩახლეჩილი ეშმაკი კვლავ თავის რჩევას იმეორებდა, მაინც ვერ ვაიძულე თავი, დამეხრჩო უბედური, სველი, ჩათქვირებული არსება. ყვირილი თანდათან მიწყნარდა, რადგან შევიგნე სამწუხარო ჭეშმარიტება, რომ ვერც ხვალ, ვერც პარასკევს და ვერც ერთ დღეს ან ღამით ვერ ვაიძულებდი თავს, ცოლი მომეკლა. ო, მშვენივრად წარმომედგინა, როგორ დავარღვევდი ვალეჩკას მკერდის სიმეტრიას უხეში დარტყმებით ან როგორ მივაყენებდი მას სხვაგვარ ტკივილს. ასევე მკაფიოდ შემეძლო დამენახა, როგორ გავურჭობდი ტყვიას მუცელში მის სატრფოს, ის კი ამოიხვნეშებდა და ჩაჯდებოდა, მაგრამ შარლოტას ვერ მოვკლავდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მდგომარეობა არც ისე უიმედო იყო, როგორც იმ ამაზრზენ დილას მეჩვენებოდა. ხელი რომ მეტაცა მისი ღონიერი ფეხისთვის (რომელსაც ის თავის დასახსნელად დაიქნევდა), მისი გაოცებული მზერა რომ დამენახა, მისი საშინელი ყვირილი რომ გამეგონა და მაინც გადამეტანა ეს საშინელი განსაცდელი, შარლოტას აჩრდილი არასოდეს მომასვენებდა. 1947 წლის ნაცვლად 1447 წელს რომ გვეცხოვრა, ჩემს დამყოლ ბუნებას იმით მოვატყუებდი, რომ ცოლს ღრუ ბეჭედში ჩასმული აქატიდან ჭიქაში კლასიკურ შხამს ჩავუყრიდი და ტკბილ, საბედისწერო ბანგს დავალევინებდი. მაგრამ ჩვენს ბურჟუაზიულ ეპოქაში, როდესაც ყველა ცხვირს ჰყოფს სხვის საქმეებში, ეს ისე უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა, როგორც წარსული დროის მიყრუებულ, ფარჩით აკრულ დარბაზებში. ამჟამად მკვლელი ქიმიკოსი უნდა იყოს. არა, არა, არც ერთი ვიყავი, არც — მეორე. ბატონო მსაჯულნო, მოწყალე ხელმწიფენო და არანაკლებ მოწყალე ქალბატონებო! ზნეობრივი დანაშაულის ჩამდენთა უმეტესობა სევდიანად ელტვის მოზარდ გოგონებთან მთრთოლვარე, ტკბილ, ფიზიკურ, მაგრამ არა აუცილებლად სქესობრივი აქტით შეზღუდულ ურთიერთობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესენი არიან უბოროტო, უსარგებლო, პასიური, მოკრძალებული განკიცხულები, რომლებიც მხოლოდ ერთს რასმე სთხოვენ საზოგადოებას — კერძოდ, იმას, რომ მან ნება დართოს მათ, დაჰყვნენ თავიანთ სრულიად უწყინარ, აბერაციულ, როგორც ამბობენ ხოლმე, მიდრეკილებებს და ისე განახორციელონ სექსუალური გარყვნილების კერძოობითი, უმნიშვნელო, სასიამოვნოდ მწველი და უსიამოვნოდ ნამიანი აქტები, რომ პოლიცია ან მეზობლები თავს არ დაესხან. ჩვენ სქესობრივი ბოროტმოქმედები როდი ვართ! ძალადობას როდი მივმართავთ, როგორც ამას ყოჩაღი ჯარისკაცები აკეთებენ ხოლმე. უილბლო, მშვიდი, კარგად აღზრდილი ადამიანები გახლავართ, შეგუების საკმარისი უნარი გამოვიმუშავეთ, რათა მოზრდილების გარემოცვაში ჩვენი ლტოლვები შევიკავოთ. ამასთან, ნიმფეტის შეხების შესაძლებლობა რომ მოგვეცეს, სიცოცხლის მრავალ, მრავალ წელს გაჭიმეტებდით. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მკვლელები არა ვართ, არავითარი გაგებით. პოეტები არ ჰკლავენ ხოლმე. ო, ჩემო საწყალო შარლოტა, სიძულვილით ნუ მიყურებ შენი სამარადისო სამოთხიდან, რომელიც ასფალტის, რეზინის, ლითონისა და ქვის (მაგრამ, მადლობა ღმერთს, არა წყლის, არა წყლის) ალქიმიურ ნაერთს შორის მდებარეობს.

და მაინც, სასწაულით გადავურჩი განსაცდელს, ობიექტურად რომ ვთქვათ. ამის შემდეგ გამოვლინდა იდეალური მკვლელობის შესახებ ჩემ მიერ მოთხრობილი იგავის არსი.

ხარბი მზის სხივებქვეშ დავსხედით ხაოიან პირსახოცებზე. შარლოტამ ვარშემო მიმოიხედა, ბრეტელები შეიხსნა და პირქვე დაწვა, რათა მზისთვის მისი ზურგით პირის ჩატკბარუნების საშუალება მიეცა. მითხრა, რომ ვუყვარდი. ღრმად ამოიოხრა, გვერდით დაგდებული ხალათისკენ ხელი გაიწვდინა და მის ჯიბეში პაპიროსის კოლოფი მოძებნა, შემდგომ დაჯდა, გააბოლა. თავისი მარჯვენა მხარი შეათვალიერა. ბოლით გავსებული პირი გააღო და ძალუმი კოცნით დამაჯილდოვა. უეცრად ჩვენს უკან, ბუჩქებიდან, ქვიშიან ფერდობზე ორი-სამი კენჭი ჩამოგორდა.

„საძაგელი, მოთვალთვალე ბავშვები, — წაილაპარაკა შარლოტამ, დიდი შავი ლიფი გაისწორა და კვლავ მუცელზე გაწვა. — ამაზე პეტრე კრესტოვსკის მოველაპარაკები“.

ბილიკის გამოსასვლელთან ჩქამი მოისმა და ჯოანა ფარლო გამოჩნდა, თან მოლბერტი და სხვა ნივთები მოჰქონდა.

„შეგვაშინე“, — უთხრა შარლოტამ. ჯოანამ აუხსნა, რომ ფერდობის თავზე იჯდა, ხეების დარანში. იქიდან „ბუნებას ხვერავდა“ (მხვერავებს, ჩვეულებრივ, ხვრეტენ) და ცდილობდა, პეიზაჟი დაესრულებინა — მაგრამ არაფერი გამოვიდა, ნიჭი არ მეყოო, ალიარა (რაც სრული სიმართლე გახლდათ).

„თქვენ, ჰუმბერტ, თუ გისინჯიათ ხატვა?“

შარლოტამ, რომელიც ჯოანაზე ცოტათი ეჭვიანობდა, ჰკითხა, ჯონი მოვა თუ არაო?

დიახ, მოვა. დღეს ის შინ საუზმობას აპირებდა. პარკინგტონში მანქანით მიმავალმა ცოლი აქ მოიყვანა და მალე უკან წაიყვანს. რა მშვენიერი დილაა! ის ყოველთვის მოღალატედ გრძნობს თავს, როდესაც ასე საუცხოო ამინდში მელამპიუსსა და კავალას შინ ტოვებს, დაბმულებს. ჯოანა თეთრ ქვიშაზე დაჯდა შარლოტასა და ჩემ შორის. მისი გრძელი, ყავისფერი ფეხები ჩემთვის დაახლოებით ისევე მიმზიდველი იყო, როგორც წაბლა ცხენის ტორები. გაღიმებისას ღრძილებს აჩენდა.

„კინაღამ ჩემს ტბაში არ ჩაგრთეთ? — თქვა მან. — სხვათა შორის, ისეთი რამ შევნიშნე, რაც თქვენ არ შეგიმჩნევიათ. თქვენ (ჰუმბერტის მიმართ ითქვა) მაჯის საათის მოხსნა დაგავიწყდათ, დიახ, სერ, დაგავიწყდათ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უოტერპრუფია“ (ულტობია), ჩუმად წარმოთქვა შარლოტამ. ტუჩები თევზივით მომუწა.

ჯოანამ ჩემი ხელი მუხლზე დაიდო და შარლოტას საჩუქარი შეათვალიერა, შემდეგ ჰუმბერტის ხელი კვლავ ქვიშაზე დადო, ხელისგულით ზემოთ.

„ღმერთმა იცის, რისი დანახვა შეგეძლო ზემოდან“, — კეკლუცად შენიშნა შარლოტამ.

ჯოანამ ამოიოხრა. „ერთხელ, საღამოს, — თქვა მან, — დავინახე ბიჭი და გოგონა, რომლებიც სწორედ ამ ადგილას ენერგიულად ეძლეოდნენ სიყვარულს. გიგანტური ჩრდილები ჰქონდათ. მგონი, მოგიყევით ლესლი ტომსონის შესახებ, რომელიც აქ განთიადზე შიშველი ბანაობს ხოლმე. ახლა გამუდმებით ველოდები, რომ შავი ათლეტის შემდეგ, დედიშობილა გამოჩნდება მსუქანი კატლეტი, აივორ კუილტი (ჩვენი დანტისტი). ეს მოხუცი, სხვათა შორის, წარმოუდგენელი ორიგინალია. ბოლოს, როდესაც მასთან ვიყავი, თავისი ძმისწულის შესახებ ძალზე უწმაწური ამბავი მომითხრო. თურმე...“

„აი, მეც მოვედი“, — გაისმა ჯონის ხმა.

21.

გაბრაზებისას, ჩვეულებრივ, ვდუმვარ ხოლმე. ჩემი მრისხანებით აღსავსე, ცივი და, თითქოს, ხორკლიანი დუმილი ვალერიას ძალზე აშინებდა: „არ ვიცი, რაზე ფიქრობ, როდესაც ასეთი ხარ და ეს მაგიჟებს“, წუწუნებდა ის. ვცდილობდი, შარლოტა დუმილით დამესაჯა, მაგრამ ქალი, ვითომც არაფერიაო, კვლავ ღუღუნებდა ან მდუმარე ქმარს ნიკაპზე ხელს აცლებდა. გასაოცარი არსება იყო! ვბუტბუტებდი — მეცნიერული ნაშრომი ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დავწერო-მეთქი და ჩემს ყოფილ ოთახს ვაფარებდი თავს; შარლოტა კი სულ უფრო ხალისიანად უვლიდა ჩვენს სახლს, ტელეფონით ტიტინებდა, წერილებს წერდა. ჩემი ფანჯრიდან, ალვის ხის კრიალა, მოლივლივე ფოთლებს შორის შემეძლო, დამენახა, როგორ კვეთდა ის ქუჩას და ფოსტის ყუთში კმაყოფილი სახით აგდებდა მის ფალენთან გაგზავნილ წერილს.

მას შემდეგ, რაც სათვალისებრი ტბის მდუმარე ქვიშას ვეწვიეთ, გაწვიმდა. ერთი კვირის განმავლობაში ბურუსიანი ამინდი იდგა. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე შავბნელი დღეები. შემდეგ იმედის ორი-სამი მკრთალი სხივი აკიაფდა, რაც წინ უსწრებდა მზის საბოლოო გამობრწყინებას.

მოვისაზრე, რომ მახვილი გონება მქონდა, რომელიც ჩინებულად მუშაობდა და ამით უნდა მესარგებლა. ვერ ვბედავდი ლოლიტას (რომელიც ყოველდღე სულ უფრო მეტად თბებოდა და ირუჯებოდა უიმედო შორეთში, ნათელი ცის ქვეშ) გამო ცოლის მიერ შემუშავებულ გეგმებში ჩარევას; და მაინც შემეძლო, მომეძებნა რაიმე ძირითადი ხერხი ჩემი საერთო ავტორიტეტის განსამტკიცებლად, რასაც შემდეგ კერძო შემთხვევებში გამოვიყენებდი. ერთ საღამოს თვითონ მომცა საამისო საბაბი.

„შენთვის სიურპრიზი მაქვს, — თქვა მან (წვნიანით სავსე კოვზი ეჭირა) და ალერსიანი მზერა მესროლა. — შემოდგომაზე ინგლისში მივემგზავრებით“.

აუჩქარებლად გადავყლაპე ერთი კოვზი წვნიანი და ტუჩები ვარდისფერი ქაღალდით გავიწმინდე (ო, გრილი, სიფრიფანა ტილოს თეთრეული ჩემს მირანაში!) და მივუგე:

„მეც მაქვს შენთვის სიურპრიზი, ჩემო კარგო. მე და შენ არ მივემგზავრებით ინგლისში“.

„რატომ? რაშია საქმე?“ იკითხა მან გაცილებით მეტი გაოცებით, ვიდრე მოველოდი, თან ჩემს ხელებს დააკვირდა (უნებურად ვკეცავდი, ვხევდი, ვჭმუჭნიდი და კვლავ ვხევდი უდანაშაულო ვარდისფერ ხელსაწმენდს), მაგრამ ჩემმა ღიმილმა ცოტათი დაამშვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყოველივე ძალზე მარტივია, — მივუგე მე. — თვით ისეთ ჰარმონიულ ქორწინებაში, როგორიც, მაგალითად, ჩვენია, ყველა გადაწყვეტილებას ცოლი როდი ღებულობს. ზოგიერთი საკითხი ქმარმა უნდა გადაწყვიტოს. მშვენივრად წარმომიდგენია ამაღელვებელი სიამოვნება, რომელსაც შენ, ნორმალურ ამერიკელ ქალს მოგანიჭებდა ოკეანის გადალახვა იმავე ტრანსატლანტური გემით, რომლის მგზავრებიც იქნებიან ლედი ბიმბომი, ინგლისის მეფის ბიძაშვილი, და ბილ ბიმბომი, გაყინული ხორცის მეფე, ან კიდევ — ჰოლივუდელი როსკიპი. ეჭვი არ მეპარება, რომ ტურისტულ კანტორას შესანიშნავ რეკლამად გამოადგებოდა ასეთი სურათი: ლონდონში მეფის სასახლის მცველებს, ამ ჟოლოსფერ გვარდიელებს ვუმზერთ, შენ — დაუფარავი თაყვანისცემით, მე — თავშეკავებული შურიანი აღტაცებით. ევროპაზე, ინგლისის ჩათვლით, ალერგია მაქვს. ხომ კარგად იცი, რომ ძალზე სევდიანი მოგონებების გარდა, არაფერი მაკავშირებს ქვეყნიერების ძველ და საკმაოდ დამპალ ნაწილთან. ამ დამოკიდებულებას შენი ჟურნალების ვერავითარი ფერადი განცხადებები ვერ შეცვლის..."

„ჩემო ძვირფასო, — თქვა შარლოტამ, — მერწმუნე, რომ —"

„არა, დამაცადე. ეს წვრილმანია, კერძო დეტალი; მე კი მინდა, განვაზოგადო. როდესაც მოისურვე, მუშაობის ნაცვლად მთელი დღეები ტბაზე გაგვეტარებინა, სიამოვნებით დაგთანხმდი, და, შენი ხათრით, ბრინჯაოსფერი ახალგაზრდობის ერთ-ერთ წარმომადგენლად ვიქეცი, იმის მაგივრად, რომ ლიტერატურისმცოდნისა და... ვთქვათ, პედაგოგის საქმიანობა გამეგრძელებინა. როდესაც ფარლოსთან ბრიჯის სათამაშოდ მიგყავხარ, თვინიერად მოგყვები ხოლმე. არა, თუ შეიძლება, დამაცადე. როდესაც შენ გადაწყვეტილებებს ღებულობ, მე, შეიძლება, წინააღმდეგი ვიყო, გადაჭრით — ან, ვთქვათ, ნაწილობრივ — წინააღმდეგი, მაგრამ ვდუმვარ. შემიძლია ცალკეული შემთხვევების უგულებელყოფა, მაგრამ ზოგადი პრინციპის უგულებელყოფა არ ძალმიძს. მიყვარს, როდესაც მბრძანებლობ, მაგრამ ყოველგვარ თამაშს თავისი პრინციპები აქვს. არა, არ ვბრაზობ. სულაც არ ვბრაზობ. ნუ შვრები ამას. მე ოჯახური კერის მენახევრეს წარმოვადგენ და საკუთარი, სუსტი, მაგრამ გარკვეული ხმა გამაჩნია".

ამასობაში მან მაგიდასთან ჩემ მხარეს გადმოინაცვლა, ნელა, მაგრამ დაჟინებით აქნევდა თავს და მოვლილი ფრჩხილებით ჩემს შარვალს ეპოტინებოდა. მითხრა, რომ აზრადაც არ ჰქონია, ასე მოქცეულიყო. მითხრა, რომ მისი ღვთაება და მბრძანებელი ვიყავი. მითხრა, რომ ლუიზა უკვე წავიდა და შეგვეძლო, დაუყოვნებლივ მივცემოდით სიყვარულს. მითხრა, რომ თუ არ ვაპატიებდი, მოკვდებოდა.

ამ პატარა ინციდენტმა მნიშვნელოვნად გამამხნევა. მშვიდად ვუპასუხე, რომ მთავარი პატიება კი არაა, არამედ სწორი ქცევა; გადავწყვიტე, მიღწეული უპირატესობა განმემტკიცებინა და ამის შემდეგ დროის დიდი ნაწილი გამეტარებინა პირქუშ განმარტოებაში, წიგნზე მუშაობისას, ანდა თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს ვმუშაობდი.

ჩემს ოთახში მდგარი საწოლი-ტახტი, კარგა ხანია, უბრალოდ, ტახტად გვემსახურებოდა (გუნებაში ის ასეთად დარჩა) და შარლოტამ ჩვენი თანაცხოვრების დასაწყისში გამაფრთხილა, რომ ოთახს თანდათანობით გადააკეთებდა მწერლის ნამდვილ კაბინეტად. „ბრიტანული ინციდენტის" შემდეგ ორმა დღემ განვლო. ახალ და ძალზე მოხერხებულ სავარძელში ვიჯექი და მუხლებზე დიდი ტომი მედო, როდესაც შარლოტამ კარზე ბეჭდით დააკაკუნა და შემოგოგმანდა. როგორ არ ჰგავდა მისი მოძრაობები ჩემი ლოლიტას მოძრაობებს, როდესაც ეს უკანას-

კნელი, თავის საყვარელ, ჭუჭყიან, ლურჯ შარვალში ჩაცმული, ჩემთან შემოდიოდა და ნიმფეტების ქვეყნიდან ხეხილის ბაღების სურნელება შემოჰქონდა. მოუხეშავი, და ზღაპრული, და ოდნავ ბიწიერი იყო; ბიჭური პერანგის ქვედა ღილებს არ იკრავდა; მაგრამ ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ პატარა ჰეიზის სიფიცხისა და დიდი ჰეიზის მედიდურობის ქვეშ სიცოცხლის ერთი და იგივე (გემოთი და ხმით) ნაკადული ჩქეფდა. გამოჩენილმა ფრანგმა ექიმმა ერთხელ მამაჩემს უთხრა, რომ ახლო ნათესავების მუცლის ოდნავი ბუყბუყიც კი ერთი და იმავე მუსიკალური ტონისაა.

ამგვარად, შარლოტა შემოგოგმანდა. გრძნობდა, რომ ჩვენ შორის ყველაფერი რიგზე ვერ იყო. წინა დღეს (ისევე, როგორც უფრო ადრე), როგორც კი დავწექით, თავი მოვიმძინარე, დილით კი მის გაღვიძებამდე ავდექი. ალერსიანად მკითხა, ხელს ხომ არ გიშლიო.

„ამ წუთას — არა", ვუპასუხე და გოგონათა ენციკლოპედიის „კ" ასოზე გადაშლილი ტომი მოვატრიალე — მსურდა, უკეთ დავკვირვებოდი სურათს, რომელიც ჩამონაჭრის გასწვრივ იყო დაბეჭდილი.

შარლოტა მაგიდას მოუახლოვდა (ის ნაყალბევი წითელი ხისა იყო და ერთი უჯრა ჰქონდა). მაგიდაზე ხელი დადო. მაგიდა ძალზე ულაზათო იყო, მაგრამ მის წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღოდა.

„დიდი ხანია, მინდა, გკითხო, — თქვა მან (საქმიანი კილოთი, ყოველგვარი სიკეკლუცის გარეშე,), — რატომ კეტავ მაგიდას? გსურს, რომ კაბინეტში დავტოვოთ? ძალიან უშნო კია".

„თავი დაანებე", — გამოვცერი კბილებში. გერლ-სკაუტებთან ვიყავი კალგარიში.

„გასაღები სადაა?"

„დამალულია".

„ოჰ, ჰუმიკო".

„აქ სატრფიალო წერილებია ჩაკეტილი".

შარლოტამ დაჭრილი ქურციკის მზერა მტყორცნა, რომელიც ეგზომ მაშმაგებდა; ვერ გაეგო, ვხუმრობდი თუ არა. არ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა საუბარი, რამდენიმე წყნარი გადაფურცვლის განმავლობაში („კანადა", „კანფეტი", „კინო") უფრო ფანჯრის მინას უცქერდა, ვიდრე მასში იყურებოდა და ბასრი, ჭიაფერის, ნუშისებრი ფრჩხილებით უკაკუნებდა.

ორი წუთის შემდეგ („კრუზზე" თუ „კუნელზე") ის ჩემს სავარძელთან მოვიდა და შოტლანდიური შალის ქსოვილით შემოსილი ძალუმი გავით მის სახელურზე დაეშვა, სწორედ იმ სუნამოს სურნელში გამახვია, რომელსაც ჩემი პირველი ცოლი ხმარობდა. „თქვენ ბრწყინვალებას ხომ არ სურს, შემოდგომა აი, აქ გაატაროს?" მკითხა და ნეკით აღმოსავლეთის ერთ-ერთი შტატის ზედმეტად ლამაზ შემოდგომის პეიზაჟზე მიმითითა. „რატომ?" (მკაფიოდ და დინჯად). მან მხარი აიჩეჩა. (ალბათ, ჰაროლდს უყვარდა წლის ამ დროს შვებულების აღება. ნადირობის სეზონი. თბილი ამინდი. პირობითი რეფლექსი შარლოტას მხრივ).

„მგონი, ვიცი, სადაა ეს, — თქვა მან, თან თითი არ მოუცილებია. — მახსოვს, იქაურ სასტუმროს რომანტიკული სახელწოდება აქვს: „მოჯადოებულ მონადირეთა თავშესაფარი" — იქ შესანიშნავი კვებაა. და ხელს არავინ უშლის ერთმანეთს".

ლოყით საფეთქელზე მომელამუნა. ვალეჩკა სწრაფად გადავაჩვიე ამას.

„რაიმე განსაკუთრებული ხომ არ გინდა სადილად, ჩემო ძვირფასო? მოგვიანებით ჯონი და ჯოანა გვესტუმრებიან".

ამოვიხვნეშე. მან ქვედა ტუჩზე მაკოცა და მხიარულად მითხრა, ტორტს გამოვაცხობო (იმ დროიდან, როდესაც მისი მდგმური ვიყავი, შემორჩა ლეგენდა, თითქოს შარლოტას ტორტებზე ჭკუას ვკარგავდი), და ჩემი უსაქმურობის ამარა დამტოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშლილი წიგნი წესიერად დავდევი მის მიერ მიტოვებულ ადგილას (წიგნმა სცადა, ტალღისებურად გადაშლილიყო, მაგრამ ფანქარმა ეს მოძრაობა შეაჩერა). შევამოწმე, თავის ადგილას იყო თუ არა გასაღები: ის ინახებოდა საკმაოდ მოუხერხებელ ადგილზე, სახელდობრ, ძველი, მაგრამ ძვირადღირებული უსაფრთხო სამართებლის ქვეშ, რომელსაც მანამ ვხმარობდი, სანამ ცოლმა სხვა, უკეთესი და უფრო იაფი სამართებელი მიყიდა. საიმედოდ იყო თუ არა დამალული გასაღები ამ სამართებლის ხავერდის ბუდეში? ბუდე სკივრში იდო, სადაც საქმიან ქაღალდებს ვინახავდი. ხომ არ შეიძლებოდა, უფრო საიმედოდ დამეცვა? გასაოცარია, რა ძნელია რაიმეს დამალვა — განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცოლი გამუდმებით გადააადგილებს ხოლმე ნივთებს.

22.

რამდენადაც მახსოვს, ჩვენი ბანაობის შემდეგ ზუსტად ერთი კვირის თავზე ყოველდღიურმა ფოსტამ მეორე მისს ფალენის პასუხი მოიტანა. ის წერდა, რომ დის დაკრძალვის შემდეგ ესესაა დაბრუნდა წმინდა ალგებრის პანსიონატში. „ეფემია, არსებითად, ველარ გამოჯანმრთელდა ბარძაყის მოტეხის შემდეგ“. რაც შეეხება ქ-ნი ჰუმბერტის ქალიშვილს, მას პატივი აქვს, გვაუწყოს, რომ ამ წელიწადს უკვე გვიანაა, მაგრამ მას (ჯანსალ ფალენს) ეჭვი თითქმის არ ეპარება, რომ შეძლებს გოგონას სკოლაში მიღებას, თუ ბ-ნი და ქ-ნი ჰუმბერტები იანვარში მიუყვანენ დოლორესს. როგორ მოუთქვი სული!

მეორე დღეს, საუზმის შემდეგ, „ჩვენს“ ექიმს (სიმპათიურ უვიცს) ვეწვიე. ავადმყოფებთან მარჯვე მოპყრობა და ორი-სამი პატენტიანი წამლისადმი სრული ნდობა წარმატებით ნიღბავდა მედიცინისადმი მის სრულ გულგრილობას. ის ფაქტი, რომ ლორამზდელში უნდა დაბრუნებულიყო, მომავლის მლვიმეს აცისკროვნებდა და მსურდა, თავი სავსებით მომემზადებინა ამ მოვლენისათვის. სწორედ რომ ვთქვათ, კამპანიას მანამდე შევუდექი, სანამ შარლოტა თავის უმოწყალო გადაწყვეტილებას მიიღებდა. დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი, რომ ჩემი თვალწარმტაცი გოგონას დაბრუნების შემდეგ ყოველ ღამეს, სანამ მას წმინდა ალგებრა არ წამართმევდა, ორ ცოცხალ არსებას ისე საფუძვლიანად დავაძინებდი, რომ მათ ძილს ვერავითარი ხმაური და ვერავითარი შეხება ვერ დაარღვევდა. ივლისის განმავლობაში შარლოტაზე (რომელსაც აბები დიდად უყვარდა) განსხვავებული საძინებელი წამლებით ცდებს ვატარებდი. ბოლო დოზამ (მას ეგონა, რომ ეს ბრომის სუსტი პრეპარატი იყო, რომელიც ნერვებს აშოშმინებდა) ჩემი ცოლი თითქმის ოთხი საათით წააქცია. რადიოს მთელი ძალით ვაყვირებდი, სახეზე ფალიკური ფორმის ფარნის ძალზე კაშკაშა სხივს ვანათებდი. ხელს ვკრავდი, ვზელდი, ვჩქმეტდი, ვჩხვლეტდი, — და მისი მშვიდი და მძლავრი სუნთქვის რიტმს ვერაფერი არღვევდა. ამასთან, სულ უბრალო მოქმედებისგან — ლავიწზე კოცნისგან შარლოტამ მყისვე გაიღვიძა. ძალ-ღონით სავსესა და რვაფეხასავით მტაცებელ ქალს ძლივს დავუძვერი. მაშასადამე, არ ვარგა-მეთქი, ვიფიქრე. რაღაც უფრო საიმედო უნდა მეშოვა. როდესაც ექიმ ბაირონს ვუთხარი, რომ მისი ბოლო წამალი ჩემს უძილობას ვერ მოერია, თავიდან თითქოს არ დამიჯერა. მირჩია, კიდევ რამდენჯერმე დამელია ის და წუთით გაფანტა ჩემი ყურადღება, როდესაც ოჯახური ფოტოსურათები მიჩვენა: დოლის ასაკის მომხიბვლელი გოგონა ჰყავდა; მივხვდი, რომ ჩემს მოტყუებას ლამობდა და მოვთხოვე, არსებულ საძინებელ წამალთაგან ყველაზე ძლიერმოქმედი გამოეწერა. მირჩია, გოლფი მეთამაშა, — მაგრამ ბოლოს და ბოლოს დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმდა, მოეცა წამალი, რომელიც „აუცილებლად იმოქმედებდა"; ეს ენაჭარტალა კაცი მივიდა კარადასთან და გამოიღო მინის სინჯარა, რომელშიც იისფერ-ლურჯი ვაზნები იდო (ერთ ბოლოზე მუქი იისფერი ზოლი აჩნდა). ეს წამალი ახლახან დაეშვათ გასაყიდად და განკუთვნილი იყო არა ნევრასტენიკებისათვის, რომელთაც საქმის მცოდნე ადამიანი ერთი ყლუპი წყლითაც დააწყნარებს, არამედ — მხოლოდ გამოჩენილ ხელოვანთათვის. ამ უკანასკნელთა მარადიული სიცოცხლის უზრუნველსაყოფად ხომ აუცილებელია რამდენიმე საათით დროდადრო სიკვდილი. მიყვარს ექიმების გასულელება და, თუმცა შინაგანად ვზეიმობდი, აბების ჯიბეში შენახვისას მხრები სკეპტიკურად ავიჩეჩე. სხვათა შორის, მასთან ფხიზლად ყოფნა მიხდებოდა. ერთხელ, სრულიად სხვა შემთხვევის გამო, სულელური შეცდომა დავუშვი — ჩემი უკანასკნელი სანატორიუმი ვახსენე. მომეჩვენა, თითქოს მან ყურები ცქვიტა. სულაც არ მინდოდა, რომ შარლოტას ან სხვა ვინმეს სცოდნოდა ჩემი წარსულის ამ პერიოდის შესახებ და სწრაფად ავუხსენი, რომ რომანის წერისას ზოგიერთი რამის საგიჟეებში შესწავლა მომიხდა. მაგრამ ჯანდაბას მისი თავი! ერთი რამ უეჭველია — გაიძვერას მშვენიერი გოგუცუნა ჰყავდა. უცნაურია — ისინი ახლა უკვე დაბერდნენ, ჩვიდმეტისანი არიან...

მისგან რომ გამოვედი, მშვენიერ განწყობილებაზე ვიყავი. ცოლის ავტომობილს ცალი თითით ვმართავდი და მხიარულად მივისწრაფოდი შინისკენ. რამზდელს, საერთოდ, სილამაზე არ აკლდა. ჭრიჭინობელები ხმაურობდნენ, ბულვარი ახლახან მოერწყათ. ჩვენს ციცაბო, აბრეშუმივით გლუვ ქუჩაზე ჩავუხვიე. ამ დღეს როგორღაც ყოველივე ხელსაყრელად გვარდებოდა. ლურჯად და მწვანედ. ვიცოდი, რომ მზე კაშკაშებდა, რადგან სტარტერის მონიკელებული გასაღები მანქანის წინა ფანჯარაში ირეკლებოდა; ისიც ვიცოდი, რომ ზუსტად ოთხის ნახევარი იყო, რადგან დავინახე, როგორ მიცუნცულებდა ვიწრო ტროტუარზე თეთრ წინდებიანი და თეთრ ფეხსაცმლიანი მოწყალების და, რომელიც მოხუც ვიზავისთან ყოველდღე დადიოდა მასაჟისთვის. ყოფილი მეძონძის ისტერიული სეტერი მანქანას ჩვეულებისამებრ შეებრძოლა დალმართზე და, ჩვეულებისამებრ, ადგილობრივი გაზეთი იყო პარმაღზე, სადაც ახლახან დააგდო კენიმ.

წინა დღეს შევწყვიტე გაუცხოების რეჟიმი, რომელიც თვითონვე დავუწესე ჩემს თავს და ახლა მხიარული ყიჟინით (რომელიც ჩემს მოსვლას მოასწავებდა) შევაღე სასტუმრო ოთახის კარი. შარლოტა მაგიდასთან, კუთხეში იჯდა და წერილს წერდა. ჩემკენ თეთრკარაქისფერი კისერი და წაბლისფერი თმის შინიონი მოებრუნებინა. ისევე ეცვა (ყვითელი ბლუზი და მუქი წითელი ფერის შარვალი), როგორც ჩვენი პირველი შეხვედრის დღეს. ჯერ კიდევ კარის სახელური მეჭირა და მისასალმებელი ყიჟინა გავიმეორე. შარლოტამ წერა შეწყვიტა. წამის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდა; შემდეგ ნელა მოტრიალდა სკამზე და იდაყვით მის გაზნექილ ზურგს დაეყრდნო. განცდებისგან სახე ისე შეცვლოდა, რომ არცთუ სასიამოვნო სანახავი იყო.

„საძულველი ქალბატონი ჰეიზი. ჯოჯოხეთის მაშხალა, ბებერი კუდიანი, ბებერი.. ყეყეჩი... ამ ბებერმა ყეყეჩმა ახლა ყველაფერი იცის... მან... მან..."

ჩემი მშვენიერი ბრალმდებელი შეჩერდა, ბალღამი და ცრემლი გადაყლაპა. სახელდობრ, რა თქვა ჰუმბერტ ჰუმბერტმა — ან რისი თქმა სურდა — ამას მნიშვნელობა არა აქვს. ქალმა განაგრძო:

„თქვენ — მხეცი ხართ, საზიზღარი, უნამუსო, უკეთური მატყუარა. თუ მომიახლოვდებით, ფანჯარაში დავიკივლებ. გამშორდით!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობ, აქ კვლავ შეიძლება იმის გამოტოვება, რასაც ჰ. ჰ. ბურტყუნებდა.

„დღესვე წავალ აქედან. ეს ყველაფერი თქვენია. მაგრამ იმ წამხდარ გოგოს ვერასოდეს იხილავთ. გაეთრიეთ ოთახიდან!“

მკითხველო, მე დავემორჩილე. ავედი ჩემს ექს-ნახევრად-კაბინეტში. ზღურბლზე დოინჯი შემოვიყარე. გაუნძრევლად, სრულიად მშვიდად ვუყურებდი გაუპატიურებულ მაგიდას: უჯრა გამოღებული იყო, ერთი გასაღები ჭუჭრუტანას ენით წამოსდებოდა და მასზე ეკიდა. კლიტის სხვა, შინაურული სალებელები მაგიდაზე ეწყო. კიბის ბაქანი გადავჭერი და ბალიშქვეშ შენახული ძლიური აუღელვებლად ჩავიდე ჯიბეში. ამის შემდეგ ქვემოთ ჩავედი, მაგრამ შუაგზაზე შევჩერდი: ის ლაპარაკობდა ტელეფონით, რომლის მავთული იმ დღეს შემთხვევით სასადილო ოთახის შტეპსელში იყო ჩართული, სასტუმრო ოთახის კარის მახლობლად. მინდოდა, მომესმინა, რას ამბობდა: რომელიღაც შეკვეთა გააუქმა და სასტუმრო ოთახში შებრუნდა. სული მოვითქვი და წინკარიდან სამზარეულოში შევედი. იქ შოტლანდიური ვისკის ბოთლი გავხსენი (ჩემი ცოლი სკოტჩით ცდუნებას ვერ უძლებდა ხოლმე), შემდეგ სასადილო ოთახში გადავედი და ნახევრად ღია კარიდან შარლოტას ფართო ზურგს შევხედე.

„ჩემს ცხოვრებასაც ანგრევ და საკუთარსაც — ვუთხარი მშვიდად. — მოდი, საქმე ისე განვიხილოთ, როგორც ორ კულტურულ ადამიანს შეშვენის. ეს ყველაფერი შენი ჰალუცინაციაა. შენ ჭკუიდან შეიშალე, შარლოტა. შენ მიერ ნაპოვნი ჩანაწერები მხოლოდ რომანის მონახაზია. შენი და მისი სახელები შემთხვევით ვიხმარე. მხოლოდ იმიტომ, რომ პირველად მომივიდა თავში. იფიქრე ამაზე, მე კი დასალევს მოვიტან!“

მან არ მიპასუხა და არ მობრუნებულა: კვლავ სწრაფი ტემპით წერდა. ეს ალბათ, მესამე წერილი იყო (ორი — უკვე დაწებებული, მარკებდაკრული, გამზადებული — მაგიდაზე ელაგა). სამზარეულოში შევტრიალდი.

აქ ორი ჭიქა ავიღე (წმ. ალგებრაში? ლოლიტასთან?) და გამოვაღე ელექტრული მაცივარი, რომელიც მრისხანედ მიბღაოდა, სანამ მისი გულიდან ყინულს ვიღებდი. ყველაფერი თავიდან უნდა დავწერო. გადაიკითხოს. დეტალები არ ეხსომება. უნდა შევცვალო. რომანის ნაწყვეტი დავწერო და ჭაჩვენო თუ მის დასანახად დავტოვო სადმე? რატომ წივიან ონკანები ზოგჯერ ასე საშინლად? საშინელი მდგომარეობაა, კაცმა რომ თქვას. ყინულის პაწია ბალიშები — შენი სათამაშო პოლარული დათუნიასთვის გამოსადეგი ბალიშები, ლო! — ტკაცუნა, გულის გამგმირავ ბგერებს გამოსცემდა, როდესაც ონკანის ცხელი წყალი მათ ლითონის ფიჭისგან ათავისუფლებდა. ორივე ჭიქა ერთად დავდგი, შიგ ვისკი ჩავასხი და თითო უნცია ხელტერის წყალი ჩავუმატე. სამწუხაროა, რომ ჩემი საყვარელი ჯინანასი აკრძალა. მაცივარმა დაიბღავლა და დაიგრუხუნა. ჭიქებით ხელში, სასადილო ოთახი გავიარე და სასტუმრო ოთახის კარებში (რომლებიც ახლა ოდნავ იყო გამოღებული, ისე, რომ იდაყვი ველარ შევყავი) შევძახე:

„სკოტჩი მოგიმზადე!“

ამ გიჟმა ალქაჯმა არ მიპასუხა და ჭიქები ბუფეტზე დავდგი, ტელეფონის გვერდით, რომელიც ზუსტად ახლა აწკრიალდა:

„ლაპარაკობს ლესლი — ლესლი ტომსონი, — თქვა ლესლი ტომსონმა, სწორედ იმან, განთიადზე ბანაობა რომ უყვარდა: — მისის ჰუმბერტი, სერ, მანქანის ქვეშ მოჰყვა და სჯობს, მალე მოხვიდეთ“.

ვუპასუხე, — შეიძლება, გაღიზიანებულად, — ჩემი ცოლი საღ-სალამათად არის-მეთქი, ჯერ კიდევ ყურმილი მეჭირა, კარი ბიძგით გავაღე და ვთქვი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აი, ლესლი ამბობს, შარლოტა, რომ მოგკლეს“.

მაგრამ სასტუმრო ოთახში შარლოტა არ იყო.

23.

გარეთ გამოვვარდი. ჩვენი ციცაბო ქუჩის მოპირდაპირე მხარეს უჩვეულო სანახაობა წარმომიდგა: დიდ, შავ, პრიალა „პაკარდს“ ტროტუარი (სადაც ვიღაცის მიერ დაგდებული პლედი აბურცულიყო) გადაეჭრა, მის ვიზავის დამრეც გაზონზე ასულიყო, კარები ფრთებივით გაეშალა და მზის სხივებში ელვარებდა. მანქანის ბორბლები ბუქსში ღრმად ჩაფლულიყო. მის მარჯვენა მხარეს, ფერდობის კოხტად გათიბულ მდელოზე, გულაღმა იწვა საკმაოდ კარგად ჩაცმული (რუხი ორბორტიანი კოსტიუმი, თეთრკოპლებიანი ჰალსტუხი-ბაბთა) ბერიკაცი. ფეხები შეეტყუპებინა და ცვილისგან ჩამოსხმულ, ჩვეულებრივი ზომის გვამს წააგავდა.

მსურს, მყისიერი შთაბეჭდილების ბიძგი, ელდა, განმუხტვა გამოვხატო სიტყვების მეშვეობით; ამასთან, ფურცელზე მათი მატერიალური დახვავება აბათილებს თვით ამ მყისიერებას და არღვევს სურათის მძაფრ ერთიანობას: ეს იყო პლედის პატარა ბორცვი, მანქანა, ბერიკაცი-მუმია, დედაბრის მასაჟისტი ქალი, რომელსაც ხელში ნახევრად ცარიელი ჭიქა ეჭირა და გახამებული კაბის შრიალით გარბოდა ვერანდისკენ — იქ, ალბათ, ბალიშებზე მიყრდნობილი, ტყვექმნილი, მიხრწნილი მისს ვიზავი კიოდა; მის სუსტ ხმას ახშობდა მეძონძის სეტერის თანაბარზომიერი ყეფა. ძალლი ადამიანთა ჯგუფებს შორის დაძრწოდა: ხან ტროტუარზე, უჯრედებიან საგანთან შეკრებილ მეზობლებთან მიირბენდა, ხან ავტომობილს (რომლის დაჭერაც ბოლოს და ბოლოს მოახერხა) უბრუნდებოდა, ხანაც გაზონზე მოქუჩებულ ხალხში გაერეოდა — მათ შორის იყვნენ ლესლი ტომსონი, ორი პოლიციელი და რქისსათვალიანი, ჩასკვნილი ვაჟბატონი. საგზაო პოლიცია სწრაფად იმიტომ გამოჩნდა (უბედური შემთხვევიდან ორი წუთის გასვლის შემდეგ), რომ პატრული სწორედ იმ დროს საჯარიმო ბილეთებს ამაგრებდა იქვე ახლოს, შესახვევში უკანონოდ გაჩერებულ მანქანებზე. სათვალიანი კაცი „პაკარის“ მძღოლი იყო,— ფრედერიკ ბიელი-უმცროსი; მოცელილ ბალახზე მწოლარე კაცი გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოცელილი ბანკირი — ბიელის სამოცდაცხრამეტი წლის მამა, რომელსაც მასაჟისტმა ქალმა ესეს იყო, წყალი დაალევინა. მას გრძნობა კი არ დაუკარგავს, არამედ, მხნედ და მეთოდურად იკრებდა ძალებს გულის მსუბუქი შეტევის ან მისი შესაძლებლობის შემდეგ, და, ბოლოს, ტროტუარის იმ ადგილას დაგდებული პლედი, სადაც ჩემს ცოლს არაერთხელ უკმაყოფილოდ უჩვენებია დაღრეცილი მწვანე ნაპრალები, შარლოტა ჰუმბერტის დასახიჩრებულ გვამს ფარავდა. ქალს ბიელების ავტომობილი დაეჯახა (და შემდეგ რამდენიმე ფუტით გაათრია), როდესაც ის გზაზე გადარბოდა — მისს ვიზავის მიწის ნაკვეთის კუთხეში დადგმულ საფოსტო ყუთში სამი წერილი უნდა ჩაეგდო. ჭუჭყიან ვარდისფერ კაბაში ჩაცმულმა ეშხიანმა გოგონამ აკრიფა და გადმომცა ეს წერილები, რომლებიც შარვლის ჯიბეში დავაქუცმაცე და ნაფლეთებად ვაქციე.

სამი ექიმი და ცოლ-ქმარი ფარლო მალე მოვიდნენ შემთხვევის ადგილას და განკარგულებების გაცემას შეუდგნენ. ქვრივი განსაკუთრებულ თავდაჭერილობას იჩენდა, არ ქვითინებდა და გვამისკენ არ მიიწევდა (მართალია, ოდნავ ბარბაცებდა). პირს მხოლოდ იმისთვის აღებდა, რათა საჭირო ცნობები ეუწყებინა და მიცვალებულის ამოცნობის, გასინჯვისა და წასვენებისთვის აუცილებელი განმარტებები მიეცა. შარლოტას კეფა ძვლების, ტვინის, ბრინჯაოსფერი თმისა და სისხლის ნარევს წარმოადგენდა.

მზე ჯერ კიდევ კაშკაშებდა, როდესაც მეგობრებმა — კეთილმა ჯონმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამტირალევმა ჯოანამ — ქვრივი დოლის ოთახში შეიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს, თვითონ, რათა ახლოს ყოფილიყვნენ, ჰუმბერტების საძინებელ ოთახში მოეწყვნენ. არ ვიცი, იმდენად ზნეობრივად გაატარეს ღამე თუ არა, როგორც ამას საგანგებო შემთხვევა მოითხოვდა.

ალბათ, ამ ძალზე სპეციალური ხასიათის თხზულებაში არ უნდა შევჩერდე ფორმალობებზე, რომლებიც წინ უსწრებდა დაკრძალვას; არც დაკრძალვა უნდა აღვწერო, — მან არანაკლებ სადად ჩაიარა, ვიდრე არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოწყობილმა ქორწილმა. ამასთან, იმ ოთხი-ხუთი დღის რამდენიმე ეპიზოდი მაინც უნდა გავიხსენო.

დაქვრივების პირველ ღამეს ძალზე დავთვერი და იმ ბალღივით ღრმად ჩამეძინა, რომელსაც ამ ლოგინში ადრე ეძინა ხოლმე. მეორე დილას პირველ რიგში ჯიბეში ჩარჩენილი წერილების ნაფლეთები დავათვალიერე. ისინი ისე საფუძვლიანად იყო დანაწევრებული, რომ ვერ შევძელი მათი დალაგება სამ დასრულებულ ტექსტად. ვფიქრობ, რომ სიტყვები „...კეთილინებე და იპოვე ის, რადგან არ შემიძლია, გიყიდო...“ ლოსადმი მიმართულ წერილს განეკუთვნებოდა. სხვა ნაკუწები თითქოს მიუთითებდა შარლოტას განზრახვაზე, ლოსთან ერთად პარკინგტონში ან პისკიში გაქცეულიყო, რათა მერას არ მოეტაცა მისი ძვირფასი კრავი. სხვა ნაკუწები და ნაფლეთები (რა ღონიერი ჭანგები მქონია!) აშკარად გამოხატავდა თხოვნას, მიეღოთ გოგონა არა წმინდა ალგებრის პანსიონატში, არამედ სხვა დახურულ სასწავლებელში. ამ უკანასკნელის შესახებ ამბობდნენ, რომ მისი აღმზრდელობითი მეთოდები მეტად მკაცრი, ერთფეროვანი და უსულგულო იყო (თუმცა პროსპექტში ნახსენები იყო „თელამუშების ჩრდილში კროკეტის თამაში“) და სკოლას დამსახურებულად შეარქვეს „კეთილშობილ ქალთა გამოსასწორებელი სასწავლებელი“. ბოლოს, მესამე წერილი უეჭველად ჩემთვის იყო განკუთვნილი. გავარჩიე ფრაზების ისეთი ნაწყვეტები, როგორიცაა: „...შეიძლება, ერთი წლის დაცილების შემდეგ ჩვენ...“; „...ო, ჩემო საყვარელო, ო, ჩემო...“; „...ან, შეიძლება, მოვკვდე...“, მაგრამ, საერთოდ, ის, რაც მოვაგროვე, საკმაოდ უშინაარსო იყო. ამ სწრაფად დაწერილი უსტარების განსხვავებული ნაწილები ისევე არეული იყო, როგორც საბრალო შარლოტას ტვინი.

ჯონი იმ დღეს კლიენტს უნდა შეხვედროდა, ჯოანას კი — ძაღლები დაეპურებინა. მეგობრები ცოტა ხნით დამშორდნენ. ამ კეთილ ადამიანებს ეშინოდათ, უპატრონოდ მიტოვებისას თავი არ მოეკლა. სხვა ნაცნობებს არ ეცალათ (მისს ვიზავი ლოგინად ჩავარდა, მაკ-კუს ოჯახი შორეულ რაიონში სახლს იშენებდა, ჩატფილდები ახლახან გამოიძახეს ჩრდილოეთის ერთ-ერთ შტატში, სადაც მათ ნათესავს უბედურება შეემთხვა), ამიტომ ჩემთან ლუიზა გამოგზავნეს, იმ საბაბით, რომ ის უამრავი დაობლებული ნივთის გადარჩევასა და დალაგებაში მომეხმარებოდა.

შთაგონების შესანიშნავ წუთებში კეთილ, მიმნდობ ჯონსა და ჯოანას (მათთან ერთად ლესლის ფუცდიდი — ის ლუიზასთან მოდიოდა ხოლმე ფასიან პაემნებზე) შარლოტას ნივთებში ნაპოვნი ფოტოსურათი ვუჩვენე: კაჭარზე მდგარი, ქარისგან თმაგაწეწილი ქალი იღიმებოდა. ფოტოსურათი 1934 წლის აპრილში, ღირსსახსოვარ გაზაფხულზე იყო გადაღებული. იმ წელიწადს ჩემი საქმეების მოსაგვარებლად ამერიკაში ჩამოვედი, პისკიში რამდენიმე თვე გავატარე, შარლოტა გავიცანი და მასთან წინდაუხედავი რომანი გავაბი. სამწუხაროდ, შეუღლე მყავდა, შარლოტა კი ჰეიზის საცოლე იყო. ევროპაში ჩემი დაბრუნების შემდეგ, აწ გარდაცვლილი ერთი მეგობრის დახმარებით, მიწერ-მოწერა გავაბით. ჯოანამ წაიჩურჩულა, რომ ყური მოჰკრა ზოგიერთ ჭორს — შემდეგ სურათი კვლავ შეათვალიერა და ჯერ კიდევ აკვირდებოდა, როდესაც ჯონს გადასცა, და ჯონმა პირიდან ჩიბუ-

ბიბლიოთეკა

ხი გამოსდო, და დააცქერდა მშვენიერ, ქარაფშუტა შარლოტა ბეკერს, და ფოტოსურათი დამიბრუნა. შემდეგ მათ რამდენიმე საათით დამტოვეს. კმაყოფილი ლუიზა სარდაფში კუჭკუჭებდა და კავალერს ტუქსავდა.

ჯონისა და მისი ცოლის წასვლისთანავე ლურჯნიკაპიანი მღვდელი მესტუმრა. შევეცადე, ინტერვიუ მინიმუმამდე დამეყვანა; ვერიდებოდი მისი გრძნობების შეურაცხყოფას და ვცდილობდი, არაფერში დაეჭვებულიყო. დიახ, ვაპირებ, მთელი სიცოცხლე ბავშვის კეთილდღეობისთვის ზრუნვას მივუძღვნა. აი პატარა ჯვარი, რომელიც შარლოტა ბეკერმა მაჩუქა ახალგაზრდობისას. ნიუ-იორკში ბიძაშვილი მყავს. ამ დარბაისელ შინაბერასთან ერთად დოლისთვის კარგ კერძო სკოლას მოვძებნი. ო, მზაკვარო ჰუმბერტო!

ლესლისა და ლუიზას წინაშე გავითამაშე არაჩვეულებრივად ხმამაღალი საქალაქთაშორისო მონოლოგი (ვივარაუდე, რომ ისინი ჯონსა და ჯოანას მოახსენებდნენ ამის შესახებ), თითქოს ტელეფონით დავუკავშირდი შერლი ჰოლმსს, ბანაკ „კუ"-ს უფროსს. როდესაც ცოლ-ქმარი ფარლო დაბრუნდა, ადვილად მოვატყუე ისინი — განზრახ აღელვებული ხმით, დაბნეულად წავიბუტბუტე, ლოლიტა, შუალედურ ჯგუფთან ერთად, ხუთდღიან ექსკურსიაზე წასულა და ვერაფრით დავუკავშირდი-მეთქი.

„ღმერთო ჩემო, — წამოიძახა ჯოანამ, — რაღა ვქნათ?"

ჯონმა მითხრა, რომ ყოველივეს მოაგვარებდა — იქაურ პოლიციას დაუყოვნებლივ მოაძებნინებდა ექსკურსანტებს — ამას ერთი საათიც კი არ დასჭირდებოდა. ამასთან, ის თვითონაც კარგად იცნობდა იმ ადგილებს და...

„ყური დამიგდეთ, — თქვა მან. — შემიძლია, ახლავე გავემგზავრო იქ ავტომობილით, თქვენ კი ამასობაში ჯოანასთან ისიამტკბილეთ" (სინამდვილეში უკანასკნელი ფრაზა არ დაუმატებია, მაგრამ ჯოანამ ისეთი აღფრთოვანებით დაუჭირა მხარი ამ წინადადებას, რომ ეს შეიძლებოდა, გვეგულისხმა).

ისტერიკა გავითამაშე. ვაფიცებდი ჯონს, არაფერი მოემოქმედა. ვუთხარი, რომ ვერ ავიტანდი ატირებულ გოგონას, რომელიც მე ჩამებღაუჭებოდა; მივანიშნე, რომ მგრძნობიარე ბავშვის მომავალზე, ალბათ, გავლენას მოახდენდა ასეთი ელდა, ფსიქიატრებმა გააანალიზეს მსგავსი შემთხვევები... ანაზდად სიჩუმე ჩამოვარდა.

„კარგი, ეს თქვენი საქმეა, — წაილაპარაკა ბოლოს ჯონმა საკმაოდ ცივად... — მაგრამ მე ხომ, ბოლოს და ბოლოს, შარლოტას მეგობარი და მრჩეველი ვიყავი. საერთოდ, მინდა ვიცოდე, რას უპირებთ გოგონას".

„ჯონ! — უთხრა ჯოანამ, — ის მისი ქალიშვილია და არა ჰაროლდ ჰეიზისა. ნუთუ ვერ მიხვდი? საწყალი ჰუმბერტი — დოლის მკვიდრი მამაა!"

„მესმის, — თქვა ჯონმა და ჩემკენ მოტრიალდა. — მაპატიეთ. მესმის. აი, თურმე რაშია საქმე. უცებ ვერ მოვისაზრე. ეს, რა თქმა უნდა, ამარტივებს საქმის ვითარებას. როგორც გული გიკარნახებთ, ისე მოიქეცით".

ღრმად დამწუხრებულმა მამამ განუმარტა, რომ ცოლის დაკრძალვისთანავე ქალიშვილთან გაემართებოდა, შემდეგ კი სრულიად ახალ გარემოცვაში მის გართობას შეეცდებოდა, შესაძლოა, ახალ მექსიკაში ან კალიფორნიაშიც ამოეყო თავი, თუკი, რა თქმა უნდა, მანამდე სიცოცხლეს არ მოისპობდა.

უკიდურესი სასოწარკვეთილების გამოსახატავად ისე გავირინდე, გაუგონარი გაშმაგების წინ ისე დამაჯერებლად გავყუჩდი, რომ ამ უნაკლო ცოლ-ქმარმა თავის სახლში წამიყვანა. ამერიკელთათვის უჩვეულოდ კარგი ღვინო ჰქონდათ, რამაც ძალა შემმატა. უძილობისა და აჩრდილისა — მეშინოდა.

ახლავე აგიხსნით ჭეშმარიტ მიზეზს, რის გამოც დოლორესის შორს ყოფნა ვამჯობინე. შარლოტას ლიკვიდირების შემდეგ შინ დაბრუნებისას მარტოხელა მამის როლში აღმოვჩნდი და სულმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთქმელად გადავყლაპე ჩემ მიერ მომზადებული ორი ჭიქა ვისკი, და მაშინვე დავაყოლე ჯინანასის ერთი-ორი პინტა, და მეზობელთა და მეგობართაგან თავის დასაცავად სააბაზანოში ჩავიკეტე. ცხადია, გონებასა და სისხლში ერთი რამ მიტრიალებდა: სულ რამდენიმე საათის შემდეგ თბილი, ქერათმიანი და მთლიანად, მთლიანად ჩემი ლოლიტა ჩემს მკლავებში ატირდებოდა, მე კი კოცნით უფრო სწრაფად შევუშრობდი ცრემლებს, ვიდრე ისინი თვალებზე მოადგებოდა. სანამ სარკეში საკუთარ გაწითლებულ სახესა და გუგებგაფართოებულ თვალებს ვუმზერდი, ჯონ ფარლომ მორიდებით მომიკაკუნა და იკითხა, ხომ არაფერი გიჭირთო. მაშინვე ვიაზრე, რომ ჩემი მხივ სიგიჟე იქნებოდა, ნება დამერთო ამ სახლში ლოლიტას დაბრუნებაზე. აქ ხომ ბევრი ისეთი ადამიანი ფუსფუსებდა, ვინც გოგონას წამართმევდა. თვით ახირებულ ლოსაც შეეძლო — ვინ იცის? — უეცრად გამოემჟღავნებინა სულიერი უნდობლობა, მოულოდნელი სიძულვილი, ბუნდოვანი შიში და ასე შემდეგ — რის შედეგადაც, სწორედ საზეიმო წუთში, სამუდამოდ გამოვემშვიდობებოდი ჯადოსნურ ჯილდოს.

კიდევ ერთი აბეზარი სტუმარი მეწვია. ეს იყო თავაზიანი ბიელი, რომელმაც ჩემი ცოლის ლიკვიდირება განახორციელა. ამ დარბაისელსა და სერიოზულ კაცს სქელჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, ბულდოგისმაგვარი დრუნჩი, პატარა, შავი თვალები და ამოტრიალებული ნესტოები ჰქონდა. რატომღაც ჯალათის თანაშემწეს მაგონებდა. ჯონმა ის შემოუშვა, შემდეგ მარტო დაგვტოვა და უდიდესი ტაქტით მიიხურა კარი. თავაზიანმა სტუმარმა ძალდაუტანებლად მაუწყა, რომ მისი ტყუპები ჩემს გერთან ერთად სწავლობდნენ. შემდეგ გრაგნილივით გაშალა დიდი დიაგრამა, რომელზეც კატასტროფის ყოველი წვრილმანი აღენიშნა. ამ „გადასარევ" (როგორც ჩემი გერი იტყოდა) დიაგრამაზე სხვადასხვა ფერის მელნით უამრავი შთამბეჭდავი ისარი და წყვეტილი ხაზი იყო გავლებული. ქ-ნი ჰ. ჰ.-ს გადაადგილების ტრაექტორია ბიელს პატარა სილუეტების სერიით დაესურათებინა; სილუეტები წააგავდა სიმბოლურ პაწაწა ფიგურებს — ქალთა სამხედრო-დამხმარე კორპუსის ეგრეთ წოდებულ „კადრის მონაწილეებს", — რომლებსაც სტატისტიკაში მეტი თვალსაჩინოებისთვის იყენებენ ხოლმე. ეს გზა ძალზე თვალნათლივ და დამაჯერებლად კვეთდა გაბედულად გახაზულ კლაკნილს, რომელიც ავტომობილის ორჯერად მოხვევას გამოსახავდა. პირველი მოხვევისას ბიელის მანქანამ აიცდინა მეძონძის სეტერთან (ის დიაგრამაზე ნაჩვენები არ იყო) შეტაკება, მეორე — გაზვიადებულად იმეორებდა პირველს და, თურმე, მიზნად ისახავდა უბედურების თავიდან აცილებას. მოზრდილი შავი ჯვარი აღნიშნავდა იმ ადგილს, სადაც კოხტა პატარა სილუეტი ბოლოს და ბოლოს ტროტუარზე დაწვა. ამგვარი ნიშანი არ იყო დასმული ფერდობზე, სადაც ჩემი სტუმრის მამის აღმნიშვნელი, ცვილისგან ჩამოსხმული კეება ფიგურა განისვენებდა. ამ მოხუცმა (როგორც შემთხვევის მოწმემ) ხელი მოაწერა დოკუმენტს ლესლი ტომსონის, მისს ვიზავისა და სხვათა ხელმოწერებს ქვემოთ.

ფრედერიკის ფანქარი კოლიბრის სიზუსტით და სილაღით დაფრინავდა ერთი პუნქტიდან მეორისაკენ. ის აშკარავებდა თავის სრულ უდანაშაულობას და ჩემი ცოლის უგუნურ წინდაუხედაობას: იმ წამს, როდესაც ფრედერიკმა ძაღლს გვერდი აუარა, შარლოტას ფეხი დაუცდა ახალმორწყულ ასფალტზე და პირქვე დაეცა, მაშინ, როდესაც უკან უნდა დაეხია (ფრედმა მიჩვენა, სახელდობრ, როგორ უნდა მომხდარიყო ეს და ღონივრად დაიქნია ბამბით დატენილი მხრები). მივუგე, რომ ის, რა თქმა უნდა, უდანაშაულო იყო. ძიებამ დაადასტურა ჩემი შეხედულება.

ფრედერიკმა დაღვრემით ჩამომართვა ხელი; ძალუმად ქშინავდა; შემდეგ დახვეწილობა და ჯენტლმენის შესაფერი გულუხვობა გამოიჩინა და შემომთავაზა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამკრძალავი ბიუროს ხარჯებს გადავიხდიო. ეგონა, უარს ვეტყოდი· მთვრალი კაცისთვის დამახასიათებელი სლუკუნით დავეთანხმე. მან ყურებს არ დაუჯერა და მკაფიოდ გამიმეორა ადრე ნათქვამი. მე კვლავ მადლობა მოვახსენე, კიდევ უფრო მხურვალედ, ვიდრე ადრე.

ამ, ცოტა არ იყოს, საზარელი პაემნის შემდეგ, ჩემი სულიერი უშფოთველობა წუთით დაირღვა. რა გასაკვირია! საკუთარი თვალით ვიხილე ბედისწერის მაკლერი; ხელით შევეხე თვით ბედისწერის სხეულს — და მის ბუტაფორულ მხარს. განხორციელდა ბრწყინვალე და შემაძრწუნებელი მუტაცია და, აი, მისი იარაღი. ნახატის რთულ დეტალებში (დაშურებული დიასახლისი, მოლიპული ქვაფენილი, ანჩხლი ძაღლი, ციცაბო დაღმართი, დიდი მანქანა, საჭესთან მჯდომი ყეყეჩი) ბუნდოვნად გავარჩიე ჩემ მიერ შეტანილი ბილწი წვლილი. სისულელის (ან ინტუიტური გენიალობის) წყალობით, დღიური შემოვინახე. მისი წაკითხვის შემდეგ შურისმგებლური გულისწყრომისა და აგზნებული თავმოყვარეობის ზეგავლენით გამოყოფილმა თვალის ტენმა დააბრმავა შარლოტა, როდესაც ის ფოსტის ყუთისკენ გარბოდა. მაგრამ არაფერი მოხდებოდა, შეუცდომელ ბედისწერას (სინქრონიზატორ აჩრდილს) თავის რეტორტაში რომ არ შეერია ავტომობილი, ძაღლი, მზე, ჩრდილი, ტენი, სისუსტე, ძალა, ქვა. მშვიდობით, მარლენ! ბედისწერამ ხელი ჩამომართვა (რაც ბიელმა ღონივრად გაიმეორა გამომშვიდობებისას) და დაარღვია ჩემი უდრტვინველობა. ავქვითინდი. ბატონო და ქალბატონო მსაჯულნო, მე ავქვითინდი!

24.

როდესაც გამგზავრების წინ უკანასკნელად მივიხედ-მოვიხედე, თელამუშები და ალვები მოლივლივე ზურგს აქცევდნენ უეცრად ამოვარდნილ ქარს, საავდრო შავი ღრუბელი კი თავს ადგა რამზდელის ეკლესიის თეთრ კოშკს. ვტოვებდი მკვდრისებრ გაცრეცილ სახლს, სადაც სულ ათიოდ კვირის წინ ოთახი ვიქირავე და იდუმალი თავგადასავლებისთვის ვემზადებოდი. უკვე ჩამოშვებული იყო ჟალუზი — ბამბუკის იაფფასიანი, პრაქტიკული ჟალუზი. „ვერანდებსა და სახლის შიდა მორთულობას მოდერნულ დრამატულ ხასიათს ანიჭებს მათი საუცხოო მასალა", ნათქვამი იყო პრეისკურანტში. ამის შემდეგ ციურ სავანეს საკმაოდ გაძარცული იერი უნდა მისცემოდა. ხელზე წვიმის წვეთები დამეცა. სანამ ჯონი ჩემს ჩემოდნებს მანქანაში აწყობდა, სახლში რაღაცისთვის შევბრუნდი და კურიოზული ამბავი შემემთხვა. არ ვიცი, ამ სევდიან ჩანაწერებში საკმარისად მკაფიოდ მივუთითე თუ არა განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, მომნუსხავი ზემოქმედების შესახებ, რომელსაც ავტორის ეშხიანი ფსევდო-კელტური, მაიმუნისებრ მომხიბვლელი, მამაკაცური (ოდნავ ბიჭურიც) გარეგნობა ახდენდა ნებისმიერი ასაკისა და წოდების ქალზე. რა თქმა უნდა, საკუთარი მონაცემების ასეთი აღიარება შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ; მაგრამ დროდადრო იძულებული ვარ, შევახსენო მკითხველს ჩემი გარეგნობა. როდესაც ამა თუ იმ პერსონაჟს მანჭვა სჩვევია, ან თუ მას ძაღლი ჰყავს, პროფესიონალი რომანისტი ყოველთვის იძულებულია, მიუთითოს ამ მანჭვაზე ან ძაღლზე, როდესაც მოცემული პერსონაჟი მოქმედებაში ერევა. ჩემ მიმართ ეს ხერხი, ალბათ, ღრმა მნიშვნელობას იძენს. ჩემი სახის პირქუში ხიბლი ყოველთვის უნდა იგულისხმებოდეს მკითხველის თვალთახედვის არეში, რომელიც ამ თავგადასავლის ჭეშმარიტი არსის წვდომას ესწრაფვის. მცირეწლოვანი ლო ისევე იბნიდებოდა ჰუმბერტის შარმისგან, როგორც — კრუნჩხვების გამომწვევი მუსიკისგან; მოწიფულ ქალს, ლოტას ვუყვარდი ძალუმი ვნებით, რომლის მიმართ ახლა სიბრალულს ან გაცილებით მეტ პატივისცემას განვიცდი, ვიდრე ამის გამოთქმის უფლება მაქვს. ოცდათერთმეტი წლის ჯოანა ფარლოს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილი ნევრასტენიკი იყო, მგონი, უზომოდ შევუყვარდი.

მის სილამაზეში შეიმჩნეოდა მკვეთრი, ინდიელებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მზისგან ყავისფრად იყო გარუჯული. ტუჩები დიდ წითელ ლოქორებს მიუგავდა და როდესაც მისთვის ჩვეული ყეფისმაგვარი სიცილი აუტყდებოდა ხოლმე, მსხვილ, მქრქალ კბილებსა და მკრთალ ღრძილებს აჩენდა. ძალზე მაღალი იყო და სანდლებსა და ვიწრო შარვლებს ატარებდა, ან კიდევ ფართო ქვედატანსა და საბალეტო ფეხსაცმელს იცვამდა; სკოტჩს ნებისმიერი რაოდენობით სვამდა, ორჯერ მოეშალა მუცელი, თხზავდა საყმაწვილო მოთხრობებს ცხოველებზე; ხატავდა (რაც ჩემი მკითხველისთვის ცნობილია) ტბის ხედებს; სხეულში უკვე ატარებდა კიბოს ჩანასახს, რისგანაც ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ის, ჩემი აზრით, ძალზე შეუხედავი იყო და, თვითონ განსაჯეთ, როგორ შემეშინდა, როდესაც გამგზავრებამდე რამდენიმე წამით ადრე (წინკარში ვიდექით) ჯოანას მოკამკამე ლურჯ თვალებში ცრემლი აუკიაფდა, შემდეგ თავისი ყოველთვის მთრთოლვარე თითები საფეთქლებზე წამავლო და საკმაოდ წარუმატებლად დამაცხრა ტუჩებზე.

„თავს გაუფრთხილდით — მითხრა მან, — და თქვენი ქალიშვილი დამიკოცნეთ".

მთელ სახლში მეხის გრგვინვა გაისმა და ჯოანამ დასძინა:

„შეიძლება, სადმე, ოდესმე, უკეთეს ვითარებაში კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს" (ჯოანა! რასაც უნდა წარმოადგენდე ახლა, სადაც უნდა იმყოფებოდე, მინუს სივრცესა თუ პლუს-დროში, შემინდე ყოველივე — ამ ფრჩხილების ჩათვლით).

ერთი წუთის შემდეგ ცოლ-ქმარს უკვე ვემშვიდობებოდი ქუჩაში, ციცაბო ქუჩაში, და ყველაფერი ბზრიალებდა და დაქროდა თეთრი მერეხის მოლოდინში, და ფურგონი, რომელსაც ფილადელფიიდან გამოგზავნილი ლეიბი მოჰქონდა, თავდაჯერებით მოგორავდა დალმართზე, დაცარიელებული სახლისკენ, და მტვერი ფარფარებდა და იკლაკნებოდა ტროტუარის სწორედ იმ ფილაზე, სადაც, პლედის ახდის შემდეგ, მოკუნტული შარლოტა დავინახე. თვალები უვნებლად გადარჩენოდა, ჯერ კიდევ ნამიანი წამწამები კი შენი წამწამებივით შესწებებოდა, ლოლიტა!

25.

ახლა, როდესაც ყველა დაბრკოლება გადავლახე და ჩემ წინ უსაზღვრო ნეტარების პერსპექტივა გადაიშალა, შემეძლო, ტკბილი, შვების გამომხატველი ოხვრით მოვდუნებულიყავი. ასე არ მოხდა. იმის ნაცვლად, რომ მოღიმარი ბედის სხივებში მენებივრა, წმინდა ეთიკური ხასიათის ეჭვები და შიში ამეკვიატა. მაგალითად: ადამიანებს უცნაურად ხომ არ მოეჩვენებათ, რომ ლოლიტა ჯიუტად არ დავასწარით ოჯახის სასიხარულო ან სამგლოვიარო მოვლენებს? როგორც გახსოვთ, ის არ იყო ჩვენს ქორწილში. ანდა, აი კიდევ რა: თუ მივიჩნევთ, რომ სრულიად უდანაშაულო ქალი თანხვედრის საიდანღაც გამოშვერილმა გრძელმა, ბანჯგვლიანმა ხელმ[illegible]ცილა, განა მას არ შეეძლო, ურჯულოების წუთებში მისივე მარჯვენა ხელით ნამოქმედარი დაევიწყებინა და ლოლიტასთვის მარცხენა ხელით გადაეცა ვიღაცის მიერ უდროოდ გაგზავნილი, თანაგრძნობის გამომხატველი წერილი? მაგრამ უბედური შემთხვევის აღწერა მხოლოდ რამზდელის პატარა გაზეთში გამოქვეყნდა; ის არ მოიხსენია არც „პარკინგტონის უწყებებმა", არც — „კლაიმაქსის მოამბემ": ადგილობრივი გარდაცვალებები მოკლებულია ფედერალურ ინტერესს, ხოლო ბანაკი „კუ" ჩვენს შტატში არ მდებარეობს; მაინც გამუდმებით წარმომიდგებოდა, თითქოს დოლის როგორღაც უკვე შეატყობინეს ეს ამბავი. მისკენ მიმავალი, ვშიშობდი, რომ ამ დროს ჩემთვის უცნობ მის მეგობრებს გოგონა რამზდელში მიჰყავდათ. ამ ვარაუდებსა და საზრუნავზე გაცილებით უფრო საგანგაშო იყო ის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჰუმბერტ ჰუმბერტს, საკმაოდ გაურკვეველი ევროპული წარმომავლობის ახლად გამომცხვარ ამერიკელ მოქალაქეს, არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რათა ცოლის გარდაცვალების შემდეგ ობლად დარჩენილი (თორმეტი წლისა და შვიდი თვის ასაკის) გოგონას კანონიერი მეურვე გამხდარიყო. გავბედავ თუ არა ამ ნაბიჯის გადადგმას? ცახცახმა ამიტანა, როდესაც წარმოვისახე სამოქალაქო კანონთა კრებულის დამაბრმავებელი შუქით განათებული და იდუმალი სტატუტებით შეცბუნებული საკუთარი სიშიშვლე.

ჩემი გეგმა პირველყოფილი ხელოვნების სასწაული იყო. გადავწყვიტე, ბანაკ „კუ"-ში მივსულიყავი, ლოლიტასთვის მეთქვა, დედაშენს არარსებულ საავადმყოფოში სერიოზული ოპერაცია უნდა გაუკეთონ-მეთქი, შემდეგ კი, ჩემს გაბრუებულ ნიმფეტთან ერთად, ერთი სასტუმროდან მეორეში მემოგზაურა; ამასობაში დედამისი ნელა, მაგრამ საიმედოდ გამოჯანსაღდებოდა, საბოლოოდ კი — მოკვდებოდა. ბანაკისკენ მიმავალმა, მღელვარება ვიგრძენი. ვშფოთავდი, ჰაითუ, გოგონა იქ არ დამხვდეს-მეთქი. იმასაც ვვარაუდობდი, რომ უზრუნველი ლოლიტა შეიძლებოდა ქცეულიყო დამფრთხალ, ატირებულ ობოლ ბაღლად და ოჯახის ახლო მეგობრების მიყვანა მოეთხოვა ჩემთვის. მადლობა ღმერთს, ცოლ-ქმარ ფარლოს ის თითქმის არ იცნობდა, მაგრამ სხვა, ჩემთვის უცნობი პირები რომ დაესახელებინა? ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე, შემეკვეთა საქალაქთაშორისო საუბარი, რომლის წარმატებული სიმულირებაც ახლახან მოვახერხე. წვიმა მოშხაპუნებდა, როდესაც პარკინგტონის ავდრით ჩაბინძურებულ გარეუბანში შევჩერდი, ტროტუართან, ასახვევის შორიახლოს. მისი ერთი განშტოება ქალაქს გარს უვლიდა და იმ გზატკეცილს უერთდებოდა, ბორცვების გრეხილის გადაკვეთით „კლაიმაქსის ტბისა" და ბანაკ „კუ"-სკენ რომ მიემართებოდა. ძრავა გამოვრთე; თითქმის ერთი წუთის განმავლობაში ავტომობილში ვიჯექი, თავს ვიმხნევებდი და ვუცქეროდი წვიმას, წყლით დაფარულ ტროტუარსა და ჰიდრანტს. ეს იყო წითელი და ვერცხლისფერი საღებავით დაფარული ულაზათო ბოძკინტი; მის წითელ ტაკვებს წვიმა აპრიალებდა და სტილიზებული სისხლივით ჩამოედინებოდა ჰერალდიკურ ჯაჭვებზე. გასაკვირი როდია, რომ აკრძალულია ავტომობილების დაყენება ამ მახინჯი პატარა ხეიბრების გვერდით. ძრავა კვლავ ჩავრთე და მანქანა ტელეფონის ჯიხურთან მივაგორე. როდესაც უკანასკნელი საჭირო მონეტა წკარუნით ჩავარდა და სხვის ხმას ჩემს ხმაზე გამოხმაურების საშუალება მიანიჭა, უცნაური რამ შემემთხვა.

ბანაკის უფროსმა, შერლი ჰოლსმა მაუწყა, რომ ორშაბათს (ახლა უკვე ოთხშაბათი იყო) ჩემი დოლი თავის ჯგუფს გაჰყოლოდა მთებში, ექსკურსიაზე, და მხოლოდ ღამით დაბრუნდებოდა. მან შემთავაზა, მეორე დღეს მივსულიყავი; იკითხა, რაიმე ხომ არ შეგემთხვათო. ვუპასუხე, რომ ჩემი ცოლი კლინიკაში გადაიყვანეს, და რომ მისი მდგომარეობა სერიოზული იყო. გავაფრთხილე, გოგონას ეს არ უნდა ვუთხრათ, მაგრამ ხვალ უნდა წავიყვანო-მეთქი. დამშვიდობებისას მხურვალე კეთილგანწყობილების მწვერვალს მივაღწიეთ და მექანიზმას რაღაც ორიგინალური ხარვეზის შედეგად, მონეტები ავტომატიდან კვლავ ჩამოცვივდა იმ ჩხრიალით, რომელიც ნევადაში სათამაშო მანქანებით განხორციელებულ მნიშვნელოვან მოგებას ახლავს ხოლმე. ბედნიერების ვადის გადაწევის დასანანი აუცილებლობის მიუხედავად, გამეცინა: საკითხავია, მაკფატუმის გონებაში ფულის ეს უცაბედი გამოყოფა როგორღაც იმ ფაქტს ხომ არ უკავშირდებოდა, რომ ექსკურსია მანამ მოვიგონე, სანამ მის შესახებ შევიტყობდი?

შემდეგ რა მოხდა? პარკინგტონის სავაჭრო რაიონისკენ შევუხვიე და დღის დანარჩენი ნაწილი (ამინდი გაუმჯობესდა, ქალაქი მინასავით ალაპლაპდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსთვის მშვენიერი ტანისამოსის შეძენას დავუთმე. ღმერთო ჩემო, რა არ იყიდა უჯრედებიანი ქსოვილებით, ხასხასა ჩითებით, არშიებით, ფუშფუშა მოკლე სახელოებით, რბილი პლისეთი და წელს ზემოთ მჭიდროდ მორგებული, ფართო ქვედატანიანი კაბებით გატაცებულმა ჰუმბერტმა.

ვით ალიგიერს ბეატრიჩე, პოს
ვირჯინია,
ლოლიტა ისე შემიყვარდა და
ვემონები...
გოგონებს ხტუნვა და ბზრიალი
დაუჟინიათ
და კაბებიდან უჩანთ მოკლე
პანტალონები.*

ალერსიანი ხმები მეკითხებოდნენ, სახელდობრ, რისი ნახვა მსურდა? საბანაო კოსტიუმებისა? ყველა ფერის კოსტიუმები გვაქვს: ვარდისფერი ოცნება, მქრალი აქვამარინი, სოსანი, წითელი ტიტა, შავი კან-კანი. საპლაჟო სამოსი? შალითები? შალითები არ მინდა. მე და ლოს ისინი ყოველთვის გვეჯავრებოდა.

ამ საქმეში დამეხმარა ლოლიტას ანთროპოლოგიური აღწერა, რომელიც დედამისმა გოგონას დაბადების თორმეტი წლის თავზე ჩაინიშნა (ვფიქრობ, მკითხველს ახსოვს წიგნი „შეიცანი შენი შვილი"). ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ქვეშეცნეული შურისა და ანტიპათიის ზეგავლენით, შარლოტამ ზოგან ზედმეტი დუიმი დაუმატა, ზოგან კი — ფუტი; მაგრამ უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში ნიმფეტი უეჭველად გაიზრდებოდა. ამიტომ მივიჩნიე, რომ შემეძლო, დავყრდნობოდი იანვრისდროინდელ უკანასკნელ გაზომვას: თეძოები — ოცდაცხრა დუიმი; ბარძაყის სიგანე (საჯდომთან) — ჩვიდმეტი; წვივისა და კისრის გარშემოწერილობა — ჩვიდმეტი; მკერდისა — ოცდაშვიდი; მკლავისა — რვა; წელისა — ოცდასამი; სიმაღლე — ორმოცდაჩვიდმეტი; წონა — სამოცდათვრამეტი ამერიკული ფუნტი, აგებულება — წაგრძელებული; გგპ (გონებრივი განვითარების კოეფიციენტი) — ას ოცდაერთი; ჭიანაწლავი ამოუჭრელი (მადლობა ღმერთს).

ამ ზომებს გარდა, რა თქმა უნდა, ლოლიტა ისე მკაფიოდ წარმომიდგებოდა, ჰალუცინაციებს რომ სჩვევია. გამუდმებით მეწვოდა და ძალზე ველოლიავებოდი მკერდის ძვლის იმ ნაწილს, სადაც ლოლიტას აბრეშუმისებრ ლბილმა კეფამ ორჯერ მიაღწია ჩემი გულის სიმაღლეს. მუხლებზე ყოველთვის ვგრძნობდი მის თბილ სიმძიმეს (რის გამოც ნიადაგ „ფეხმძიმე" ვიყავი ლოლიტათი); ამიტომ არ გამკვირვებია, როდესაც ჩემ მიერ ნავარაუდევი ზომების სისწორე გამოირკვა. ცოტა ხნის წინ საზაფხულო ტანისამოსის კატალოგი შევისწავლე, რამაც საშუალება მომცა, მცოდნე კაცის გამომეტყველებით შემერჩია სხვადასხვაგვარი კოხტა ნივთები: სპორტული ფეხსაცმელი, ფლოსტები, ჭმუჭნილი გოგონებისთვის განკუთვნილი ჭმუჭნილი ტყავის ფეხსაცმელი და სხვა. სახეშელებილი, შავკაბიანი გამყიდველი ქალი ამ მწვავე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში მეხმარებოდა. მშობლის ცოდნას და ზომის ზუსტ აღწერას ის აქცევდა კომერციულ ევფემიზმად „საშუალოზე ნაკლები". მეორე გამყიდველი მასზე უფროსი იყო, თეთრი კაბა ეცვა, სახეზე თეატრალური გრიმი ჰქონდა წასმული. ის რამდენადმე განაცვიფრა უმცროსი თაობისთვის განკუთვნილი მოდების სფეროში ჩემმა ფართო ცოდნამ. ალბათ, ეგონა, ცირკის ჯუჯას ვყვარობდი. ამიტომ განზრახ დავუსვი გულუბრყვილო მამაკაცური შეკითხვა, როდესაც მიჩვენეს ქვედატანი, რომელსაც წინა მხარეს ორი პატარა პიკანტური ჯიბე ჰქონდა. გამყიდველებმა ღიმილით დამაჯილდოვეს და ამიხსნეს, როგორ მოქმედებდა უკანა მხარეს ჩაკერებული ელვა-შესაკრავი. დიდი სიამოვნება მომანიჭა აგრეთვე ყოველგვარმა საცვლებმა და საბანაო ტრუსებმა. მათში ჩაცმული ლოლიტას პაწაწინა აჩრდილები მთელ დახლზე ცმუტავდნენ, ზღართანს ადენდნენ, საჯდომით სრიალებდნენ. გარიგება დავასრულეთ ბამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ქსოვილის ორი პიჟამით, რომელთაც ყასბის შეგირდის (ყასაბ ჰუმბერტის) ფასონის მრგვალი საყელო ჰქონდათ.

ამ დიდ მაღაზიებს ჯადოსნური ხიბლი აქვთ. თუ განცხადებებს დავუჯერებთ, მოხელე ქალიშვილს შეუძლია, აქ იყიდოს ტანისამოსი დღის ყველა დროისათვის — დილას სამსახურში გამოცხადებით დაწყებული და საღამოს კავალერთან გასეირნებით დამთავრებული. მისი უმცროსი დაიკო კი დატკბება შალის სვიტერის ხილვით და იოცნებებს იმ დღეზე, როდესაც, ამ სვიტერში ჩაცმული, სკოლაში გამოცხადდება და ჩამორჩენილ გიმნაზისტებს გულს აუძგერებს. ყველგან ვაწყდებოდი პლასტმასისგან დამზადებულ, ნატურალური სიმაღლის მანეკენებს. ისინი გამოსახავდნენ ნოლაცხვირიან ბავშვებს, რომელთაც ფავნუსების ჩალისფერი, წენგოსფერი და წაბლისფერი დაჭორფლილი სახეები ჰქონდათ. უეცრად შევნიშნე, რომ ამ საკმაოდ იდუმალ ადგილას ერთადერთი მუშტარი ვიყავი და მომწვანო აკვარიუმში ჩაგდებული თევზივით ვმოძრაობდი. ვგრძნობდი, რომ ჩემს მეგზურ მიბნედილ ქალიშვილებს უჩვეულო აზრები ებადებოდათ; წყალქვეშა კლდიდან ზღვის მცენარეთა კორომისკენ ვინაცვლებდით და ჩემ მიერ შერჩეული სარტყლები და სამაჯურები ალქაჯების ხელებიდან თითქოს გამჭვირვალე წყალში ცვიოდა. ბოლოს კოხტა ჩემოდანი ვიყიდე, ვუბრძანე, ნავაჭრი შიგ ჩაელაგებინათ და უახლოესი დუქნისკენ გავწიე. ძალზე კმაყოფილი ვიყავი გატარებული დღით.

ნატიფი ნივთების ამ წყნარ, პოეტურ სამყაროსთან დაკავშირებით, რატომღაც გამახსენდა ოტელი, რომელსაც მაცდური სახელწოდება ჰქონდა: „მოჯადოებულ მონადირეთა თავშესაფარი". ის შარლოტამ ახსენა ჩემს გათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე. გზის მაჩვენებელი წიგნაკიდან გამოვარკვიე, რომ „თავშესაფარი" ბრაისლანდში იყო, — ლოლიტას ბანაკიდან ოთხი საათის სავალზე, ერთ მივარდნილ ქალაქში. შემეძლო, დამერეკა, მაგრამ მეშინოდა, რომ ხმას ვერ დავიმორჩილებდი და დამტვრეული ინგლისურით კეკლუცად ავყიყინდებოდი. გადავწყვიტე, მომავალი ღამის გასათევად ტელეგრაფით შემეკვეთა ორსაწოლიანი ოთახი. ძალზე ტლანქი, გაუბედავი, სასაცილო ზღაპრული უფლისწული ვიყავი! ზოგიერთი მკითხველი დამცინებს კიდეც, როდესაც გაიგებს, როგორ გამიჭირდა დეპეშის შედგენა. როგორ დავწერო: ჰუმბერტი და ქალიშვილი? ჰუმბურგი პატარა ქალიშვილითურთ? ჰომბერგი და მცირეწლოვანი გოგონა? ჰომბურგი და მისი შვილი? კურიოზული შეცდომა, რომელიც ბოლოს დეპეშაში აღმოჩნდა — ეს „გ" ბგერა გვარის ბოლოს — ჩემი მერყეობის ტელეპათიურ გამოძახილად აღიბეჭდა.

შემდეგ, ზაფხულის ღამის ხავერდოვან წყვდიადში, ვოცნებობდი ჩემს მიერ შემონახულ სასიყვარულო თილისმის შესახებ! ო, ძუნწო ჰამბურგო! მართლაც მოჯადოებული მონადირე ხომ არ იყო ეს ჩაფიქრებული კაცი, თავისი ჯადოსნური ამუნიციით სავსე კოლოფს რომ დაჰყურებდა? გაბედავდა თუ არა, გადაეყლაპა ერთ-ერთი იისფერი კაფსული და უძილობის დემონი დაეძლია? სულ ორმოცი კაფსული იყო — ორმოცი ღამე, გატარებული სათუთი არსების გვერდით, რომელსაც ჩემი აჩქროლებული გული მახლობლად ჩაეძინებოდა... განა შემეძლო, ძილმონატრებულს, ერთი ასეთი ღამე მომეკლო? რა თქმა უნდა, არა! უზომოდ ძვირფასი იყო თითოეული პაწაწინა ქლიავი, ვარსკვლავებით მოჭედილი ყოველი მიკროსკოპული პლანეტარიუმი. ო, ნება მომეცით, ერთხელ მაინც გამოვიჩინო სანტიმენტალობა! ცინიზმმა დამღალა.

26

ამ აკლდამისმაგვარი დილეგის დახშული ჰაერი თავს მატკივებს, მაგრამ ქედს მაინც არ მოვიხრი. უკვე ასზე მეტი ფურცელი შევავსე და ჯერ არაფერი მითქვამს. ჩემი კალენდარი აირია. ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტას წამოსაყვანად 1947 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გავემგზავრე. არა, მგონი მეტი აღარ შემიძლია. გული, თავი, ერთი სიტყვით, ყველაფერი მტკივა. ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა. ასოთამწყობო, გაიმეორე ეს სიტყვა, სანამ ფურცელი არ გაივსება.

27.

ჯერ კიდევ პარკინგტონში ვარ. ძლივს მოვახერხე, ერთი საათით დამეძინა. ჩემთვის სრულიად უცნობ, პატარა, ბანჯგვლიან ჰერმაფროდიტთან უსახელო და საშინლად მომქანცველმა სქესობრივმა აქტმა გამომაღვიძა. უკვე დილის ექვსი საათი იყო და უეცრად გავიფიქრე, რომ აჯობებდა, ბანაკში დათქმულ დროზე ადრე ჩავსულიყავი. მანქანით ასი მილი უნდა გამევლო, შემდეგ კი „ნისლიან მთებამდე“ და ბრაისლენდამდე მიმეღწია. ბანაკის უფროსს იმიტომ ვუთხარი, დოლის წამოსაყვანად შუადღეს ჩამოვალ-მეთქი, რომ ჩემი სულწასული წარმოსახვა ლმობიერი ღამის მალე დადგომას ესწრაფოდა; ამასთან, ახლა ყოველგვარი დაბრკოლებები მელანდებოდა. როდესაც ვვარაუდობდი, რომ ჩემი დაგვიანების შემთხვევაში, მას რამზდელში დარეკვა შეეძლო, მთელი ტანით მაცახცახებდა. მაგრამ როდესაც დილის ათის ნახევარზე ძრავის ჩართვა ვცადე, აღმოჩნდა, რომ ბატარეა დამჯდარიყო. პარკინგტონიდან მხოლოდ შუადღისას გავემგზავრე.

დანიშნულების ადგილას სამის ნახევარზე აღმოვჩნდი; ავტომობილი დავტოვე ფიჭვნარში, სადაც ხულიგნური გარეგნობის, წითური, მწვანეპერანგიანი, პირქუშად განმარტოებული ბიჭი ძველებური თამაშით იქცევდა თავს — მიწაში ჩაჭედილ სოლს ნალებს ესროდა. მან მდუმარედ მიმითითა მობათქაშებულ პატარა სახლზე, სადაც ბანაკის კანტორა იყო მოთავსებული. მღელვარებისგან გატრუნული, რამდენიმე წუთის განმავლობაში ვუსმენდი ბანაკის უფროსის თანაგრძნობის გამომხატველ სიტყვებს. ეს იყო უსუფთაო, ცხოვრებისგან მოქანცული ქალი, რომელსაც ჟანგისფერი თმა ჰქონდა. მან მითხრა, დოლიმ ბარგი ჩაალაგა და გასამგზავრებლად გაემზადაო. გოგონას გაეგო დედის ავადმყოფობის ამბავი, მაგრამ არ იცოდა, რამდენად სერიოზული იყო ეს ავადმყოფობა. ბ-ნ ჰეიზს ანუ ბ-ნ ჰუმბერტს ბანაკის აღმზრდელების გაცნობა ხომ არ სურს? ან იქნებ მომცრო სახლები დაათვალიეროს, სადაც გოგონები ცხოვრობენ? თითოეულ მათგანს უოლტერ დისნეის ერთ-ერთი ცხოველის სახელი ჰქვია. მთავარ შენობას არ ნახავთ? დაუყოვნებლივ ხომ არ გავგზავნოთ ჩარლი დოლორესის მოსაყვანად? გოგონები სწორედ ახლა ამთავრებენ სასადილო ოთახის მორთვას საღამოს წვეულებისთვის (შეიძლება, შერლი ჰოლმსი შემდგომ ვისმე მოუყვეს: საწყალს, ადამიანის სახე აღარ ჰქონდაო).

მინდა, წუთით გავაჭიანურო ეს სცენა მისი ყველა საბედისწერო დეტალითურთ: აშარი დედაკაცი, რომელიც ხელწერილს წერს, თავს იქექავს, მაგიდის უჯრას აღებს, მოუთმენელ ხელისგულზე ხურდას მიყრის, შემდეგ მონეტებზე წესიერად ალაგებს რამდენიმე ასიგნაციას და რიხიანად ამბობს: „აი კიდევ ათი!“ გოგუცუნების ფოტოსურათები; კედელზე საიმედოდ მიბნეული ჯერ კიდევ ცოცხალი ჭრელი პეპელა (ბუნებისმცოდნეობის განყოფილება); ბანაკის დიეტისტის ჩარჩოში ჩასმული დიპლომი; ჩემი აცახცახებული ხელები; ბანაკის გულმოდგინე უფროსის მიერ შედგენილი შეფასება ივლისის განმავლობაში დოლი ჰეიზის ქცევის შესახებ („ფრიად დამაკმაყოფილებელი, აინტერესებს ცურვა და ნიჩბოსნობა“); ხეების შრიალი, და ჩიტების ჭიკჭიკი, და ჩემი გულის ძგერა.

ღია კარისკენ ზურგშექცევით ვიდექი და უცებ თავში სისხლი მომაწვა — მისი სუნთქვა და ხმა მომესმა. ლოლიტა მძიმე ჩემოდანს მოათრევდა. „სალამი, სალამი“, და წყნარად შეჩერდა. ცუღლუტი, სიხარულით აღსავსე თვალებით მომაშტერდა. ნაზ, გადახსნილ ბაგეებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდნავ სულელური, მაგრამ საოცრად მიმზიდველი ღიმილი დასთამაშებდა. გამხდარიყო და გაზრდილიყო. წამით მომეჩვენა, თითქოს სახე დაუშნოებოდა იმ წარმოსახულ ფოტოსურათთან შედარებით, მეხსიერებაში თვეზე მეტი ხნის განმავლობაში რომ ვინახავდი. ჭარბი ჭორფლი ჩრდილავდა მისი ნაკვთების ვარდისფერ, სოფლურ სილამაზეს, ეს პირველი შთაბეჭდილება (ხარბი გულის ორ ძგერას შორის ჩატეული პაწაწინა ადამიანური ინტერვალი) მკაფიოდ მიუთითებდა იმაზე, რომ დაქვრივებულ ჰუმბერტს უნდა გაეკეთებინა ყველაფერი, რის გაკეთებასაც აპირებდა და რისა გაკეთებაც სურდა — სახელდობრ, გამხდარი, თვალებჩალურჯებული, თუმცა მზით შეფერადებული ობლისთვის (რომელსაც თვალებქვეშაც კი ჭორფლი აჩნდა) უნდა მიეცა რიგიანი განათლება, ჯანსაღი, ბედნიერი ბავშვობა, წესიერი ოჯახი, საყვარელი მეგობრები. ამ უკანასკნელთა შორის (თუკი პარკები ინებებდნენ ბედშავ კაცისთვის სამაგიეროს მიზღვას) ალბათ აღმოჩნდებოდა მხოლოდ და მხოლოდ დოქტორ ჰუმბერტისთვის განკუთვნილი ეშხიანი გოგონა. მაგრამ, როგორც გერმანელები ამბობენ ხოლმე, თვალის ერთ დახამხამებაში ქცევის ეს ზეციურ-ზნეობრივი მიმართულება წაიშალა და ნადავლს დავეწიე (დრო ჩვენს ფანტაზიებზე უფრო სწრაფია) და ის კვლავ ჩემი ლოლიტა იყო — კიდევ უფრო მეტად ჩემი, ვიდრე ოდესმე. თბილ ქერათმიან თავზე ხელი გადავუსვი და შემდეგ ჩემოდანი გამოვართვი. ლოლიტა მთლიანად ვარდებისა და თაფლისგან იყო შეზავებული, ყველაზე ხასხასა ჩითის კაბა ეცვა, რომელიც პატარა წითელი ვაშლებით იყო მოხატული. ხელ-ფეხი ოქროსფრად გარუჯოდა, მათზე დაჩნეული ნაკაწრები პატარა შედედებულ ლალებს მიუგავდა, ხოლო თეთრი შალის წინდების ზოლიანი გადანაკეცები ჩემთვის ღირსახსოვარ ადგილამდე სწვდებოდა; მისი ბავშვური სიარულის გამო (ან იმიტომ, რომ ის ყოველთვის დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ატარებდა) მომეჩვენა, რომ თეთრ-ყავისფერი დახურული ფეხსაცმელი ძალზე სრული იყო და ზედმეტად მაღალი ქუსლი ჰქონდა. მშვიდობით, ბანაკო „კუ“, მხიარულო „კუ“, მშვიდობით, უბრალო, არაჯანსაღო საჭმელებო, მშვიდობით, მეგობარო ჩარლი! ცხელ ავტომობილში ლოლიტა ჩემ გვერდით დასკუპდა და მის მშვენიერ მუხლზე დამჯდარ ცქვიტ ბუზს ხელის ერთი დარტყმით სული გააფრთხობინა. შემდეგ განაგრძო რეზინის ენერგიული ღეჭვა, სწრაფად დაატრიალა ფანჯრის ჩამოსაწევი სახელური და კვლავ მიეყრდნო საზურგეს. ზოლიან, დაწინწკლულ ტყეში მივქროდით.

„დედა როგორაა?“ — იკითხა ზრდილობიანად და ვუთხარი, რომ ექიმებმა ჯერ ვერ დაადგინეს, რაშია საქმე. ყოველ შემთხვევაში, ეს კუჭია-მეთქი.

„ფუჭი?“

„არა, კუჭია“.

ავუხსენი, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში დედამისის შორიახლოს ყოფნა მოგვიწევდა, რომ საავადმყოფო მდებარეობდა მხიარული ქალაქის — ლეპინგველის მახლობელ სოფელში, სადაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოჩენილი პოეტი ცხოვრობდა, და რომ უკლებლივ ყველა კინოპროგრამას ვნახავდით. მან დაასკვნა, ეს შესანიშნავი პროექტიაო და იკითხა, საღამოს ცხრა საათამდე თუ მივაღწევდით ლეპინგველამდე.

გაგრძელება იქნება

თარგმნა **თამარ ლომიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჯანსუღ ჩარკვიანი

# ნეტავი იმ დროს!

**— ბატონო ჯანსუღ, ჩვენი ინტერვიუ სპეციალურად ჟურნალ „ცისკრისთვის“ მზადდება და ვფიქრობ, საუბრის დაწყებაც აქედან აჯობებს, — „ცისკარი“ ხომ თქვენი ჟურნალია, თქვენი თაობის ჟურნალი, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში უპირველეს ყოვლისა იმით დარჩება, რომ მწერლობაში შემოუძღვა სამოციანელთა მძლავრ ნაკადს.**

**ამასთანავე, თავად ბრძანდებოდით ამ ჟურნალის რედაქტორი.**

— ერთად დავიბადეთ მე და „ცისკარი“, „ცისკარი“ როგორც ჟურნალი, მე როგორც ახლად გამომცხვარი ჟურნალისტი, ლიტერატორი, მწერალი; მართალია „პირველი სხივის“ სითბო უკვე ნაგრძნობი მქონდა, მაგრამ დამოუკიდებელი გზა ჩემთვის მაინც „ცისკრიდან“ დაიწყო. „ცისკრისა“ და ცისკრელების დიდი შიში ჰქონდა მაშინდელ მთავრობას, ერთხელ ვწერდი კიდევაც, რუსის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც „ცისკარს“. ასე იყო, სითამამეს არ გვპატიობდნენ. რა ვთქვა, რით დავასაბუთო „ცისკრის“ ასეთი პოპულარობა? იმით, რომ სამოციანელები მართლა თავისი სიტყვით მოვიდნენ მწერლობაში, იღბლით თუ ცისკრის მაშინდელი რედაქტორით? კაცმა რომ თქვას, სამივეს ანგარიში უნდა გაეწიოს, იღბალი ჰქონდა „ცისკარს“, სამოციანელების ნიჭიც განაპირობებდა „ცისკრის“ იღბალს, მაგრამ წერე და იკითხე, თუ რედაქტორი მშიშარა და მოსყიდულია, თუ რედაქტორი თანამდებობაზე მოდის იმიტომ, რომ ლაღად იცხოვროს და ქედი მოუხაროს თანამდებობის პირთა დიქტატს. „ცისკარს“ დიდად გაუმართლა, „ცისკრის“ პირველი რედაქტორი გახლდათ ყოვლად განათლებული და დახვეწილი ინტელიგენტი, შესანიშნავი მწერალი და ლიტერატორი ბატონი ვახტანგ ჭელიძე; ჩვენ ვახტანგ ჭელიძეს განსაკუთრებით ვერ ვუწყობდით ხელს, მე პირადად ხელს ვუშლიდი კიდევაც. ერთხელ, ჩემი მორიგეობისას, „პირსისხლიანი მენშევიკების“ ნაცვლად ჟურნალში გაიპარა „პირსისხლიანი ბოლშევიკები“. ახლა იანგარიშეთ, მაშინ, ამ ოცდაათი წლის წინათ, რა დღეში ჩავარდებოდა „ცისკარი“, მისი რედაქტორი და, რაღა თქმა უნდა, მეც.

გადაგვარჩინა რედაქტორის გამჭრიახობამ, გადაგვარჩინა ბატონმა თამაზ ჯანელიძემ, რომელმაც სასწრაფოდ მოიწვია კომკავშირის ცეკას ბიურო, მაგრად გამომლანძღა. მითხრა, რომ უფრო ყურადღებიანი უნდა ვიყო, ამით აღარ ჩამაგდო პარტიის ცეკას ბიუროს ხელში, ადგილზევე „გაგვასამართლა“ და ხაზგასმით შეგვარჩინა სიმართლე, ნათქვამი ბოლშევიკების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჭელიძის დროინდელი „ცისკარი“ მალიან პოპულარული იყო; ამ ჟურნალს მხოლოდ ღირსეულები იწერდნენ, ვინც ფასი იცოდა ქართული მწერლობისა... მე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ამ ჟურნალში გავატარე, ლიტერატურული მუშაკიდან რედაქტორობამდე, ვიყავი პასუხისმგებელი მდივანიც, მოკლედ, მთელი სამზარეულო ჟურნალისა ზეპირად ვიცოდი.

რაც შეეხება ჩემს რედაქტორობას, მე დიდი სურვილი მქონდა, გამეგრძელებინა გზა „ცისკრის“ პირველი რედაქტორისა. ბევრ შემთხვევაში ვახერხებდი კიდეც. ვახერხებდი მებრძოლა „თვალი პატოსანიდან“ „დათა თუთაშხიამდე“. რევაზ ჯაფარიძის მამულიშვილური წერილების გამო ერთხელ „ცისკარი“ საერთოდ დაგვიხიეს სტამბაში, ორი ეგზემპლარი მაინც გადავარჩინეთ, ერთი საჯარო ბიბლიოთეკას ჩავაბარე, ერთი ჩემთვის შევინახე. ნეტა იმ დროს, — თუ ქვეყნად რამე გამახარებს, იმ დღეთა მოგონება, ჩემს მეგობრებთან ერთად ვქმნიდი „ცისკარს“ — ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელ ჟურნალს!

**— თქვენთან შეხვედრამდე თვალი გადავავლე 60-70-იანი წლების „ცისკრის“ ნომრებს და, მართალი მოგახსენოთ, გამაოცა იმ სილაღემ და შემოქმედებითმა ენთუზიაზმმა, რასაც ამ დროის ლიტერატორები ამჟღავნებდნენ. შესაძლებელია დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების მდორე დინების ფონზე მომეჩვენა ასე, მაგრამ მაინც მგონია, ის დრო იშვიათი პერიოდი იყო ჩვენს ლიტერატურაში, ყოველ ნაბიჯზე — სიახლე პროზაში, სიცოცხლე პოეზიაში, საქმიანი ხმაური კრიტიკაში.**

— სიების შედგენას ვერიდები, მაგრამ გადახედეთ ჩვენს დღევანდელ მწერლობას, — თუ ვინმე გამორჩეული ჰყავს, „ცისკრის“ ავტორია. თაობა ათ წელში მაინც უნდა ეტეოდეს, ხოდა, იანგარიშეთ, ორმოცდათხუთმეტი წლიდან 65 წლამდე, ეს ჩვენი თაობაა, მართლა ალორძინებას ჰგავდა მათი შემოქმედება, ახლა ოდნავ უფროსები?! ისინი ხომ სიამოვნებით მოღვაწეობდნენ „ცისკარში“. მაგონდება, ერთხელ ბატონმა სერგო კლდიაშვილმა დამირეკა (იმ დროს მე ვიყავი რედაქტორი) და მითხრა, ე, ბიჭო, ალარაფერი მაქვს, ვერც ვერაფერს ვწერ, ხომ არ შეიძლება, არ დავბეჭდო „ცისკარში“ რამე და მაინც ცისკრელი მერქვასო. მე სიამოვნებით „მივეცი“ ბატონ სერგოს უფლება, რქმეოდა ცისკრელი. დიახ, ასე იყო: იბეჭდებოდა ორიგინალური და გაბედული პროზა, იბეჭდებოდა შესანიშნავი პოეზია, ხოლო კრიტიკა, მოგეხსენებათ, მაშინ წყვეტს ვარსკვლავებს, როცა პოეზიისა და პროზის მაღალ ცაზე ვარსკვლავები არსებობენ.

**— ძველი „ცისკრების“ თვალიერებისას კიდევ ერთ რამეს დავაკვირდი, ერთი საინტერესო მომენტი შევნიშნა, თუმცა შეიძლება ეს ჩემთვი იყოს საინტერესო, სხვებისთვის კი უსიამოვნო. კერძოდ, ძველი „ცისკარი“ ნამდვილად ახალგაზრდულია — იბეჭდებოდა ისინი, ვისთვისაც დაარსდა ეს ჟურნალი; ბოლო დროების „ცისკარი“ ხანდაზმულია, მეჩვენება, თითქოს ავტორთა ძველ თაობას, ძველ ცისკრელებს არ ეთმობათ არც ჟურნალი და, მით უმეტეს, არც ახალგაზრდობა.**

— ძველი „ცისკარი“ მართლა ახალგაზრდული იყო, თუმცა თავს ვიწუხებდით და შეჩენილები ვიყავით ჩვენს უფროს თაობაზე, უფროს თაობათაგან მოპოვებული ლექსი, მოთხრობა თუ წერილი რედაქციის მუშაკებს დიდ საქმედ გვეთვლებოდა, ჩვენც ვიყავით ატუზულნი გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის სახლებთან, ხან წყნეთში მივუხტებოდით, ხან ქალაქში დილაადრიან, ღამით მუდამ დადარაჯებულები ვიყავით, ჟურნალი არასოდეს გამოცემულა მხოლოდ შემოსული მასალებით, ჟურნალი მოპოვებული მასალებით გამოდიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და.. მაგალითად, გავიგებდით, რომ ნოდარ დუმბაძე თუ ედიშერ ყიფიანი ახალ რომანს ამთავრებდა, იმწამსვე მომავალი ჟურნალის ყდაზე ვაუწყებდით მკითხველს, რომ ახალი რომანი უთუოდ „ცისკარში“ დაიბეჭდებოდა, ასე რომ ავტორს სხვა ჟურნალის კარს გადავუკეტავდით და რომანს ჩვენკენ დავითრევდით, ვიბრძოდით შეგვენარჩუნებინა ყველა სტრიქონი ნაწარმოებისა, ვიბრძოდით „მთავლიტში“, ვიბრძოდით ცეკაში, ხოლო, თქვენ წარმოიდგინეთ, იქაც გვხვდებოდნენ ჩვენი ჭკუისანი, რომლებიც ჩვენთან ერთად საკუთარ თავზე იღებდნენ ყველა დარტყმას, დარტყმა კი მტერს, ისეთი გვქონდა ხოლმე. თქვენ ბრძანებთ, ბოლო დროს, „ცისკარი“ ხანდაზმულიაო, ვერ ელევით ვერც ჟურნალს და ვერც თქვენს ახალგაზრდობასო.., რა მოგახსენოთ, მე პირადად დიდი ხანია, არავითარი სურვილი არა მქონია „ცისკარში“ დამებეჭდა ჩემი ლექსი, იშვიათ შემთხვევაში კი, რედაქტორის თხოვნით....

კარგა ხანია „მნათობი“ უფრო კარგი ჟურნალია, ვიდრე „ცისკარი“. კოლეგიის წევრთა შეცვლით ჟურნალი ვერ შეიცვლება. იმაში გეთანხმებით, ძველ ცისკრელებს, წესით, არ უნდა ეთმობოდეთ „ცისკარი“ და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობაც; მე დღეს ბევრ მოხუც პოეტს ვიცნობ, რომელიც ახალგაზრდაა, აგრეთვე, ვიცნობ ახალგაზრდას, რომელიც მოხუცია.

**—ლიტერატურის მომავალი მკვლევარი უთუოდ გაკვირვებით აღნიშნავს ჩვენი დროის ერთ პარადოქსს — 60-70-იან წლებში, როცა მკაცრი იდეოლოგიური კონიუნქტურა და ცენზურა ზეობდა, მწერლობის სახეს დახვეწილი ლიტერატურული მარკა განსაზღვრავდა, ხოლო 80-90-იანი წლების მიჯნაზე, როცა კონიუნქტურა გაქრა, ცენზურა მოისპო და სიტყვის თავისუფლებაც გამოცხადდა, ლიტერატურას აშკარად წალეკვით დაემუქრა შემპარავი სუროგატი და ულმობელი უნიჭობა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერჯერობით შეუძლებელი ჩანს.**

**ნუთუ უსახურობის ჯანღი დანთქავს ჩვენს ლიტერატურას?**

— ბრძოლაში იწრთობა კაციც და მისი ხელობაც, რაც მეტია დაწოლა, მოგეხსენებათ, წინააღმდეგობაც მეტია...

ისიც ხომ გაგიგიათ, აკრძალული ხილი გემრიელიაო. ჩვენ აკრძალულ ხილს ვეტანებოდით, ცენზურის ხაფანგიდან თუ მარწუხებიდან გაძრომა დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა. თუ ნიჭი და ვაჟკაცობა ერთმანეთთან იყო შეჯერებული, ნაწარმოები იმარჯვებდა, მკითხველის თვალში „ცისკრის“ რედაქციაც მაღლდებოდა, თავად „ცისკარიც“ და მისი რედაქტორიც. ეს ყველაფერი ერთ მთლიან ჯაჭვში გახლდათ ჩაბმულ-ჩამარყუჟებული. ერთი მთავარი მინდა მოგახსენოთ, ძალიან მთავარი: სუროგატი და ულმობელი უნიჭობა მაშინაც გვიტევდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო. ვცდილობდით უნიჭობისათვის არ მიგვეცა მწვანე გზა. რაც მე დღეს მტერი მყავს, ყველა მათგანი უნიჭოა, ასე, რომ ახალგაზრდობაში ჩადენილ ჯიუტობას დღეს მწარედ ვიმკი.

უნიჭობისა და სუროგატის წინააღმდეგ ბრძოლა აწი და აწი უფრო გაძნელდება. ახლა ვისაც ფული აქვს, ყველასა აქვს უფლება, წიგნი გამოსცეს. საკმარისია, სექსუალურ თემაზე დაწერილ რომელიმე უნიჭო რომანს ყდაზე მიშველი ქალი მიახატო, რომ წიგნი უმალ გაიყიდოს, ხოლო დიდი ივანე ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია სამი წელი დახლებზე ეყარა. ქართველობა მასობრივად დიდი მკითხველი არა ყოფილა, არც არის საჭირო — ქართული მწერლობა იმ მცირეთა იმედზეა, ვისაც წიგნი უყვარს...

შიშს შეუპყრიხართ, არცაა უსაფუძვლო თქვენი შიში: თუ ქართველმა კაცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე განაგრძო ცხოვრება (მცირე გამონაკლისის გარდა), იმახა, რომ რუსთაველი გენიოსია, ხოლო „ვეფხისტყაოსანი" თავიდან ბოლომდე არ წაიკითხა, უსახურობის ჯანღი მართლა დანთქავს ჩვენს ლიტერატურას. ღმერთი მაღალია, რაღაცას მიგვანიშნებს, ახლა კი, დიდი გალაკტიონისა არ იყოს: ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის".

**— როგორ გესახებათ ქართული მწერლობის უახლოესი მომავალი, ვთქვათ, მეორე ათასწლეულის ბოლომდე?**

— მეორე ათასწლეულის ბოლომდე რაღა დარჩა! არც არაფერი, განსაკუთრებული, ალბათ, არც არაფერი მოხდება, ახალი თაობა მწერლობის გზას დიდი მონდომებით აღარ დაადგება, უფრო ბიზნესს გაჰყვებიან...

ერთი კია, ჩვენს თვალწინ ბოლო სამი წლის მანძილზე იმდენი ტრაგიკომიკური სიტუაცია დატრიალდა, არ შეიძლება ამ ამბებს მწერალი არ გამოუჩნდეს, მაგრამ ის მწერალი ან ჩვენი მომდევნო თაობისა იქნება, ან სულაც ჩვენი თაობის, სწორედ ამ ორ თაობას შეუძლია შეადაროს დღევანდელობა გუშინდელს. კომუნისტურ დიქტატს შემდგომში თავისი მწერალი, სოლჟენიცინი გამოუჩნდა, არ შეიძლება თავისი მწერალი არ გამოუჩნდეს მრგვალი მაგიდის პროვინციულ ფაშიზმს. ეს არ იქნება დიდი მწერლობა, მაგრამ უთუოდ დაიწერება ერთი საინტერესო წიგნი.

**— თქვენი აზრით, ბოლო დროს საქართველოს თავზე დამტყდარი ეროვნული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კატაკლიზმები ჩვენს მწერლობას აპათიას მოჰგვრის თუ ახალ შემოქმედებით იმპულსს მისცემს?**

— მე თქვენ ამ შეკითხვაზე უკვე გაგეცით პასუხი: ერთს კი დავუმატებდი: იმპულსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ბოლო წლებმა ჩვენს მწერლობას უამრავი და, ამავე დროს, შესანიშნავი პუბლიცისტური წერილი შესძინა, პუბლიცისტიკას არ მისდევს ქართველი მწერალი, მე არ ვგულისხმობ ორ-სამ მწერალს, ეს ხომ გამონაკლისია. დღეს კი რამდენიმე საინტერესო წიგნი გამოიცემა (თუ ქაღალდი მოინახა), რომელთა ყდაზე არ იქნება მიხატული შიშველი ქალი, ხოლო წიგნში, ალბათ, ლაპარაკი იქნება იმაზე თუ როგორ გაშიშვლდა და გაიშიფრა ბევრი ქართველი ქალბატონი, რომელიც კარვიდან უმღერდა ბუნკერში ჩამძვრალ „პრეზიდენტს".

**— სამი-ოთხი წლის წინათ, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება გართულდა, მასებიდან არაერთხელ გაისმა საყვედური ქართველი მწერლების მიმართ — განზე დგანან, საზოგადოებრივ მოძრაობას მხარს არ უბამენ, სამიტინგო ტრიბუნას გაურბიანო; ერთი სიტყვით, მწერალი „გარემოების საყვირად" ვერ იგულეს.**

**რამდენად სამართლიანია ეს საყვედური?**

— ოთხი წლის წინათ არ ვიცი, მაგრამ ამ სამი წლის მანძილზე რომ ბევრმა იდედლა, ლაპარაკი არ უნდა. გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ, გმირობაც, ღმერთმა უწყის, რას ჰქვია. გმირობაც ალბათ პირობითია, შეიძლება მოწინავე ხაზზე ვერ დადგე, შეიძლება არც მიტინგები შეაზანზარო „გარემოების საყვირით", მაგრამ პოზიციას რა უდგას წინ? ხომ შეიძლება შენი პოზიცია გამოხატო? ხომ შეიძლება, არ შეშინდე და თავი სახლიდან გამოჰყო? ხომ შეიძლება შენი პროტესტი რაღაცნაირად გამოხატო? იქნებ, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად, მაგრამ მაინც ვიტყვი: იმ კომიკურ დღეებში, როცა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ხმა მომაწვდინა, გამსახურდია საშენოდ სანქციის გაცემას მამალებს და დღესვე საქართველო დატოვეო, იმ კომიკურ დღეებში, როცა მე დავტოვე საქართველო და ვიმალებოდი, ორი-სამი მეგობარი მწერლის გარდა არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის გახსენებია ჩემი ოჯახი, ერთხელაც არ დაურეკავთ ტელეფონით, მკ[illegible] გამომიგზავნეს (ჩემს სახლს ესროდნენ, სამსახურიდან მაძევებდნენ, არავის აინტერესებდა, გვიჭირდა თუ აღარც ვიყავით ცოცხლები. ის კომიკური დღეები ბევრად საინტერესო აღმოჩნდა. მე ტელევიზიის შენობაში მთელი სამი კვირა დღედაღამ ფეხზე ვიდექი ან, იშვიათად, ჩაცმულს მეძინა. იქ შემისრულდა, 30 სექტემბერს 60 წელი, ახალგაზრდა გვარდიელები მოვიდნენ, თავიანთი ულუფა კარტოფილიანი კატლეტი და მაგარი ჩაი მომიტანეს და მომილოცეს. არც მაშინ გავხსენებივარ ჩემს მეგობარ მწერლებს, არამცთუ დეპეშა, ერთი ტელეფონის ზარი რა არის, ისიც ვერ გაიმეტეს, აქაც არ ვგულისხმობ იმ მცირე გამონაკლისს, რომელთაც არ სჭირდებოდა დეპეშის გამოგზავნა, ისინი ჩემს გვერდით იდგნენ და იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. აი, ესაა საწყენი, თორემ, კაცია და გუნება, კაცს სადაც უნდა, იქ დადგება. სამაგიეროდ, აღმოჩნდნენ გამსახურდიას ლაქიები, რომლებიც ვინმე მედეა თუშმალიშვილის მოთხოვნაზე — იზოლაციაში მოვახვედროთ ჭაბუა ამირეჯიბი და ჯანსუღ ჩარკვიანიო, სესიებზე ხელს მაღლა სწევდნენ, მე იმათი დაწერილი დღეს არც კარგი მინდა და არც ცუდი, იმათ დაღუპეს საქართველო.

**— ბატონო ჯანსუღ, ზოგიერთ მკითხველს ისეთი ინტერვიუები მოსწონს, რომელიც მოკლე და ლაკონურ კითხვებს უსვამს რესპოდენტს. თუ ნებას მომცემთ, რამდენიმე კითხვით თავს მოვაწონებ მკითხველს.**

**პირველი ლექსი როდის დაწერეთ?**

— პირველი ლექსი, ათი წლისა ვიყავი, რომ დავწერე, ალბათ, ლექსი არ ერქვა იმას, რაც მე დავწერე, მაგრამ მეგობრები ლექსად მითვლიდნენ და მე რა მენაღვლებოდა. ეს რომ ჩემმა მასწავლებელმა ნინო სუხიაშვილმა შეიტყო, აღარ შემეშვა, მეც გავუტიე და გავუტიე... ერთხელ ჩემს უფროს მეგობართან და ჩემთვის ძვირფას პოეტთან ბატონ ირაკლი აბაშიძესთან ულვაშდამშვენებული მივედი; ოჰ, ულვაში? შემომღიმილა ბატონმა ირაკლიმ, მეც არ დავირცხვინე და ვუთხარი: როგორია, ბატონო ირაკლი, თუ მოგწონთ-მეთქი. ბატონი ირაკლი ოდნავ შეყოვნდა და მითხრა: ჩემო ჯანსუღ, ჯანსულია შავო, ულვაში უბედურება რამეა, ჯერ არ უნდა გოუშვა და თუ გოუშვი — მიდის-ო. ისე მომივიდა მეც. ლექსის წერა არ უნდა დაიწყო, თორემ, თუ დაიწყე, ა, ბატონო, დღემდე ამ ტანჯვაში ვართ მეც და ჩემი საბრალო კრიტიკოსებიც. მე რომ ის პირველი ლექსი არ დამეწერა, ეს საბრალონი რას იზამდნენ, გამსახურდიას დავალებით ვილას გალანძღავდნენ? დიახ, უნდა წერო, თან ბოლომდე, რომ შენს მლანძღველს ლუკმაპური არ გამოულიო.

**— რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში რელიგიას?**

— მე მორწმუნე კაცი ვარ, თუმცა ქართველების უმრავლესობათა მორწმუნეობაში ეჭვი მეპარება, ჩვენ ვერა ვართ ჭეშმარიტად მორწმუნენი, ამან დაგვღუპა ჩვენ.

დავდივარ ეკლესიაში, ვმარხულობ, სანთელს ვანთებ და ვლოცულობ, თითქოს მიმტევებელიც ვარ, მაგრამ...

უნდა გწამდეს ისე, იმრიგად, ვითარცა იოანეს, რომელმაც სთქვა: „და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძე ღმრთისაი“. აი, ამას ჰქვია რწმენა, ჩვენ, ცოდვილნი, ნახევრად მორწმუნენი ვართ, ეს ჩვენ ხოლო, არ ვიცი, ვინ არიან ისინი, ვისაც უწმინდესის და უნეტარესის სურათი გადახაზული აქვს, ცაში კი ატყორცნილი აქვს სურათი ჩეჩენი კომუნისტის, გენერალ დუდაევისა. იოანეს სახარებაში სწერია: „რომელმან არა იცის სჯული, წყეულ არიან“. მე მაინც ჩემი ქრისტიანობით ვცხოვრობ, მაინც იმედით: ქართველი კაცი მიუბრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება უზენაესს, უფალს, მაცხოვარს, თვალშეუდგამ სინათლეს. სიყვარულმა უნდა ააშენოს ეს ქვეყანა, ღმერთი ხომ სიყვარულია?

**— როგორც ქრისტიანს, შეგიძლიათ გიყვარდეთ მტერი ან ცოდვის ჩამდენი ადამიანი?**

— კი ბატონო, ასეა ნათქვამი, გიყვარდეს მტერი შენიო... მე უკვე გითხარით, ბედნიერია ჭეშმარიტი მორწმუნე-მეთქი. მე, სამწუხაროდ, ვერა ვარ ის მორწმუნე, რომელსაც მტერი უყვარს, არც უზნეო კაცის სიყვარული შემიძლია, ჩემი მიახლოება უფალთან ისაა, რომ არც სიძულვილი მაქვს მტრისა, უფრო მებრალებიან ისინი, ვიდრე მძულან... რაც შეეხება ცოდვას, რა გითხრათ, ჩვენ ხომ ყველანი ცოდვის შვილები ვართ?

**— რა არ მოგწონთ ქართველი მამაკაცის ხასიათში?**

— ქართველი მამაკაცის ხასიათში არ მომწონს უხასიათობა.

**— როგორი ქალი მოგწონთ?**

— მე როგორი ქალიც მომწონს, ისეთი მოვიყვანე და ოცდათვრამეტი წელია სახლში მყავს.

**— დაასახელეთ თქვენთვის საყვარელი სამი ქართველი მწერალი.**

— სამი? სამი ცოტაა, სამს ვერ დავასახელებ, ჩემი სამაგიდო წიგნებია: დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, დიდ რუსთაველს სიყვარულსაც ვერ შევბედავ, აკი გითხარით, ყველაზე უფრო რუსთაველი იმას „უყვარს", ვისაც თავიდან ბოლომდე არა აქვს წაკითხული.

**— დიდი ხნის წინათ ლეგენდარული იპოლიტე ვართაგავა თქვენს შესახებ წერდა: „ჯანსუღ ჩარკვიანი ახალგაზრდა პოეტია, რომელსაც ჭეშმარიტად ეკუთვნის მომავალი. მომავალს კი ბევრის თქმა შეუძლია"-ო.**

**რისი თქმა შეძლო და რისი თქმა ვერ შეძლო დრომ?**

— მე როცა პირველად ბატონ იპოლიტე ვართაგავას ასეთი გაბედული ნათქვამი წავიკითხე ჩემს გამო, იგი ცოცხალი აღარ იყო, სიხარულით კინაღამ ვიტირე, შემდეგ ვიდარდე კიდევაც, კაცი შენს გვერდით ცხოვრობდეს, შენ ჩუმად გპატრონობდეს, სამომავლოდ გაქეზებდეს და შენ ასეთ კაცს ახლოს არ იცნობდე? მკრეხელობაა, მაგრამ რა გაეწყობა, ასე იყო. მე ვერაფერს გეტყვით, საინტერესო უფრო ისაა, რას იტყოდა დღეს ბატონი იპოლიტე ვართაგავა ჯანსუღ ჩარკვიანზე, იქნებ ვერ გავუმართლე? იქნებ გავუმართლე კიდევაც? მე ვფიქრობ, რომ უქმად არ მიცხოვრია, მაგრამ ყველაზე კარგი ნაწარმოები მწერლისათვის, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ჯერ არ დაწერილა, სულ გგონია, რომ ხვალ დაწერ უკეთესს, არადა, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, მე მაინც იმის იმედი მაქვს, რომ დიდია თუ პატარა, ქართველ კაცს მკვდარი პოეტი უფრო უყვარს, ვიდრე ცოცხალი, აი, მოვკვდებით და შემდეგ, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენენ.

ესაუბრა **ვანო ამირხანაშვილი**

1992 წლის აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით თევზაძე



# „აკადემიური ასოციაციის“ პოეზია

ქართული პოეზია — ეს იყო ყველაზე მტირალი თვალი საქართველოსი.

კ. გამსახურდია

20-იანი წლების ტრაგიკული ხიბამდვილე განსაკუთრებით მძაფრი დრამატიზმით აღიბეჭდა „აკადემიურ ასოციაციაში“ (1921-1926) გაერთიანებულ პოეტთა შემოქმედებაში: ამ პერიოდის ქართული ლირიკა — ლიტერატურის ეს ყველაზე მგრძნობიარე ჟანრი — დაიწინსლა და დამძიმდა; ცრემლის, დაუმორჩილებლობის, იმედისა და ბრძოლის განწყობილებები ენაცვლება ერთმანეთს.

●

ქართველ პოეტთა მწვავე ეროვნულ დრამას კიდევ უფრო ამძაფრებს პიროვნული ტრაგიზმი; ამის მაგალითია კოტე მაყაშვილის ლექსი „ჩემს მაროს“ (19 თებერვალი). იგი ავტორმა თავის ქალიშვილს, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტს მარიამ მაყაშვილს მიუძღვნა, რომელიც კოჯორთან მოჰკლეს, როცა წითელი ოკუპანტების წინააღმდეგ ომში ქართველ ჯარისკაცებთან მოწყალების და იყო...

ამ ლექსში პოეტის პიროვნული ტანჯვა ცნობიერდება, როგორც საქართველოს დაპყრობით გამოწვეული დიდი ეროვნული ტკივილი:

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის
ძალა მაქვს ხალისი.
თებერვალმა დამიხამთრა სამუდამოდ
მაისი!

გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე
ლოდებით...
საქართველო გაიქლიმა მაყაშვილთა
გოდებით...
. . . . . . . .
სამშობლო თუ შენ — რომელი, — ახ,
ვიტირო რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის სხვათა
ცრემლის მშრობელი!
სადარაჯოს არა ვსტოვებ, ავდარს ვაგდებ
არადა!
და თუ ბედმა წამაქცია მეხით, ცეცხლის
მკვესავით
წავიქცევი უდრეკელი, რაინდული
შენსავით.

●

როგორია გალაკტიონის დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის დიქტატურასთან, საბჭოურ საქართველოსთან?

ამ კითხვას ჩვენ ვუპასუხეთ წერილში „გალაკტიონი და რევოლუცია??“ (ლს, 1991, № 1). მასში შევეცადეთ გაგვეცნობიერებინა პოეტის რთული შემოქმედებითი გზის ერთი მონაკვეთი (1921-1925 წლები) და, წინააღმდეგ ადრე გაბატონებული შეხედულებისა, იმ დასკვნამდე მივედით, რომ გალაკტიონმა არ მიიღო რევოლუცია. პესიმისტური ნაკადი, რომელიც ათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლებიდან ასე დამახასიათებელია პოეტისთვის, ოციანი წლების პირველ ნახევარშიც არ შენელებულა.

„ავდრების“ (1921) ავტორი სულის დაღლილობას უჩივის და ოცნებობს მშფოთვარე გულის დაცხრომაზე, რათა სიმშვიდე ჰპოვოს თუნდაც „სადმე კამჩატკაზე“; მეორე ლექსიც, „დღემ გაიარა“ (1921), რომლის ადრესატად აღიარებულია ალექსანდრე აბაშელი — პოეტი, რომელმაც არ სცნო საბჭოური ხელისუფლება, — ისევ უიმედობაზე მიგვანიშნებს: „ყველაფერი გაქრა ქარივით“...

ცნობილ პოემებში „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“ და „ჯონ რიდი“ ახალი სინამდვილე დახატულია, როგორც შიშის, სისასტიკისა და სისხლიანი ტერორის გარემო:

თვით რესპუბლიკა მოვიდა გემით,
ტყვიით, ტერორით.
აქაც იწყება, იქაც იწყება,
ყველგან ელიან.
ქვეყანა სისხლით რომ მოირწყვება
ეს ნათელია...
. . . . . . .
გამარჯვებულნი სასტიკი ხელით
ალრჩობენ ტყვეებს.
ჰკაფავენ, ხვრეტენ. ხალხის სახელით
უსპობენ დღეებს.
ქურდები ღამით საფლავებს თხრიან
მოკლულთა ცხედრებს...
დახვრეტის დრომდე რაზმი მღეროდა
მარსელიეზას.

ასეთია ფინალი პოემისა „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“ (უნდა ვიფიქროთ, რომ პოემა დაწერილია 1921 წლის გაზაფხულის სინამდვილეზე. სიტყვები: „მოგონებები“ და „როცა იელვა“ ამაზედ მიგვითითებს).

„ჯონ რიდში“ კი მძიმე, სისხლიანი დრამის გაშლისას, ოპტიმისტური განწყობილების ნაცვლად, პოეტი „ვილაცას“ წინასწარმეტყველურად ათქმევინებს:

„ქვეყანა კიდევ უფრო დაიმშევა, უფრო გაძლიერდება სიმწარე, დაეკარგება სინდისს ფასი. ღვთიური ყველაფერი დაიკარგება, დაინგრევა ყოველივე, წმინდა საქვეყნო წყევლით“.

●

„აკადემიური ასოციაციის“ გამოჩენილი წარმომადგენელი ალექსანდრე აბაშელი აშკარად დაუპირისპირდა ანტიხალხურ საბჭოურ წყობილებას; ლექსი „შორეული ნაპირი“, რომელიც გამოაქვეყნა 1921 წელს (ჟურნ. ხომალდი, №1), არის გაბედული მოწოდება ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. პოეტი ტრაგიკულად განიცდის, რომ მის სამშობლოში სერაფიმების მაგიერ „სივრცე დაეთმო შავ-ფრთიან გველებს“ და „აჭაჭანდა ტყვიის მფრქვეველი“; პოეტისთვის „თებერვალი“, თავისი ტრაგიკული შედეგით, ტოლფასია კრწანისის ტრაგედიისა: კრწანისის ველი და თებერვალი ერთი ნაღველის ორი სახელია. ამიტომ ლექსში ისმის ბრძოლისკენ მოწოდების ხმაც: „შურისძიება ახალ მეტოქეს“..*

ეს შეუნიშნავი არ დარჩენია სალიტერატურო კრიტიკას: „ამ ლექსში („შორეული ნაპირი“ — დ. თ.) აბაშელი დაუფარავად ამჟღავნებდა თავის მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. იგი „შავ-ფრთიან გველებს“ უწოდებდა კომუნისტებს“, — წერს ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსი.

„გაბზარულ სარკეში“, — განაგრძობს იგივე ავტორი, — აბაშელს უმთავრესად შეტანილი აქვს 1921 წლიდან დაწერილი ლექსები და რომელი ლექსიც არ უნდა გაიცნოთ აღნიშნულ წიგნში, ყველგან ერთი და იგივე იდეა მოჩანს. ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, გალაშქრება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის წინააღმდეგ და დაცვა ყველაფრის ძველის, წარსულის. საერთოდ აბაშელი ყველაზე უფრო თანმიმდევარი, პირდაპირი, ორგანიული და მტკიცე რეაქციონერი პოეტია. მისი გზა ძველი ქვეყნისკენაა“.

ლექსში „თეთრი კოშკი“ პოეტი გოდებს იმის გამო, რომ მისი სათაყვანებელი თეთრი კოშკი — პოეტური სახე თავისუფალი საქართველოსი — გამცემლებისა და ყაჩაღებისგან დანგრეულია და დათალხული, აზოგადებს 1921 და 1924 წლებში საქართველოს დამარცხების ისტორიულ ფაქტებს და ცდილობს, ლოგიკური კანონზომიერებით ახსნას მოვლენები, რომ ამ გზით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შუქზე შენიშნოს „განთიადი“.

წარმავალია ლხინიც და ჭირიც,
ო, ყველაფერი მიდის და ქრება!
რა მიზანი აქვს სიცოცხლის ჯირითს,
თუ არ ხელების გულზე დაკრეფა.
მოჩვენებაა მიზნის მიღწევა...
ჩვენი გზის ყველა საფეხურები
ანთებულია სიკვდილის შიშით!..

მაგრამ პოეტი აქ არ სვამს წერტილს. მას სწამს, რომ ეს სინამდვილეც (კომუნისტური დიქტატურა) დროებითი და წარმავალია:

---

* 1921 წლის თებერვალი ტრაგიკულის სინონიმად იქცა ქართველი ხალხისათვის. ცნობილ კინორეჟისორს სიკო დოლიძეს 1921 წლის ოქტომბერში ოზურგეთში სანდრო [illegible] მიუძღვნია ლექსი, რომელიც ასე მთავრდებოდა: „გარეთ ქარია, წვიმს, თოვლს ურევს ღამე ნახშირით შავად ნაფერი. ოთახში [illegible] დგუნებს თებერვლის ქარით შემონაბერი“, მ[illegible] სტრიქონებისთვის [illegible] (სიკო დოლიძე, მოგონებები, 1984, გვ. 64-65);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაივლის ხანი — და დღევანდელი
დაიმსხვრევიან ცეცხლის რაშები,
იელვებს შორით სულ სხვა კანდელი,
სხვა განთიადით ნარიჟრაჟები:
(„უძილო ღამე“, ჟურნ. კავკასიონი, № 1).

ამ ლექსის თემატიკური გაგრძელებაა ლირიკული პოემა „მეოცნების დღიური“. მასში შერწყმულია პირადული და ეროვნულ-პოლიტიკური ბედისწერა; თავისი ქვეყნის განთავისუფლებაზე მეოცნებე პოეტი გაწბილდა (1921 წლის ანექსია!). მისთვის მოულოდნელი და მიუღებელია ის სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, რომელიც დამყარდა; სულ სხვა იყო მისი თაობის ოცნება, სხვა ცხოვრებისთვის იბრძოდა და სხვა სინამდვილეში აღმოჩნდა; იგი არ არის „კლდის ნაკვეთი“ და არ შეუძლია „ფოლადის ალფრთოვანება“, რასაც „ახალი დრო“ (კომუნისტური) მოითხოვდა. გაწბილებული მეოცნებე სულიერად გატყდა და გაუცხოვდა:

სიმშვიდე ახალმა დრომ არ
დაგვანება,
განწირულია ჩვენი მოდგმა რბილ-ძვალიანი.
დღეს საჭიროა კლდის ნაკვეთი ადამიანი,
რკინის ნერვებით და ფოლადის
ალფრთოვანებით.
მე კი დავსუსტდი ყოველ წუთში უკან
დახევით.
ვარ ჩვენ დროისთვის სამარცხვინო
რბილი ბუნების.
. . . . . . . . .
ოხ, მეგობრებო! აწ ლექსებით ვის რას
ვასწავლი?
სჯობს თქვენს წინაშე ძირს დაეცეს მძიმე
ქვასავით
უკანასკნელი მეოცნებე ფრთა მოტეხილი
(„ახალი კავკასიონი“, № 1-2, 1925).

ასე ტრაგიკულად განიცდის პოეტი საბჭოურ სინამდვილეს...

მისივე ლექსი „წერილი . ნოე ჩხიკვაძეს“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც წვრილთემიანობის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოები („ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან“), სინამდვილეში უფრო ფართო მასშტაბისაა; მასში გამოხატულია ლირიკოსი პოეტის სულიერი ტკივილი, გაუცხოება იმის გამო, რომ „დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, დაეცა ლოცვა და პოეზია, მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი, და ახალს ჩრდილი შემოესია“ (ჟურნ. ქართული მწერლობა, № 2-3, 1926).

ა. აბაშელი 1926 წელს დაწერილ ლექსშიც ამბობს, რომ „ნაღველი უფრო წამოიზარდა“, „დაეშვა ჩემი მნათობი“ და „მალე საფლავის ტიალ ფიცართან იწვიმებს ცრემლი შემოწირული“ („თეთრი გვირგვინი“).

ასე მძაფრი დრამატიზმით გამოიხატა პოეტის დამოკიდებულება საბჭოურ სინამდვილესთან.

●

ალ. აბაშელის ამ პერიოდის ლირიკას სულიერად ენათესავება კონსტანტინე გამსახურდიას პოეზია, რაც საქართველოს თავისუფლების დაკარგვით უნდა აიხსნას.

„ოჰ, რა ძნელია შუაგულ გზაზე შემოღამება“, — წერს იგი (ლექსი „ფრიდრიხ ნიცშეს“ ჟურნ. ილიონი, № 1, 1922); ეს სტრიქონი გამოხატავს არა მხოლოდ ნიცშეს — გრიგალისგან გადატეხილი ჰაბუკი მუხის ხვედრს — არამედ თვით ახალგაზრდა ავტორის — კონსტანტინე გამსახურდიას წილხვედრსაც, რაც შემდეგშიც გამოვლინდა მისი გმირების — კონსტანტინე არსაკიძისა და თარაშ ემხვარის ბუნებაში.

●

საქართველოს ისტორიის გრძელ გზაზე 1921 წლის 25 თებერვლის ეროვნულ-პოლიტიკურმა კატასტროფამ ქართული პოეზია გაუღინთა ნაწუთრის ამაოების გრძნობითა და ცრემლით:

სად არის, სადა მხარე ნათელი,
რომ დავასვენო სული დაღლილი?
ქარმე, ჩამიქრა გზაზე სანთელი,
დავეხეტები წყვდიად დაყრილი,
— ქვითინებს ვ. რუხაძე (გაზ. ილიონი, № 2).

იგივე პოეტი იმავე პერიოდში წერს, რომ „სისხლის სუნით გაჟღენთილია: ჰაერი, მიწა — სამყარო ჩვენი“ (ჟ. ლომისი, № 2, 1922).

პესიმისტურია მისივე ლექსები: „დაზიანებული გული“ და „ნაპრალის პირად“ (ჟ. ხომალდი, № 4-5, 1922).

●

სოლომონ თავაძე სასოწარკვეთით ქვითინებს „გულგაჩეხილ ერის გოდებაზე“...

ღამეა, ღამე? — ყველა გზები მოკვეთილია,
დაიმსხვრა ფრთები და დროშებიც
დაფლეთილია?
(ლექსი „მწუხარების ბინდები“);

სხვა ლექსში — „1921 წლის გარდაცვალებაზე“ იგი წერს:

„და დაგვრჩა მხოლოდ ღამე წყეული, გოდება, გლოვა და სიმძიმილი“ (ჟ. ლომისი, 1922, № 2).

●

მაღალ კუბოში ვართ ჩამწყვდეული
და ვემონებით ღამეს ბინდიანს
(ს. ვარდოშვილი, „ღამე — მაღალი კუბო“).

●

დღევანდელ ნადიმს არა ვწყალობ,
არ ვარ წვეული...
გამშრალ ცრემლებით მოვაშორე
ჩემს სულს ლაქები,
არა ვსთქვი ლოცვა სხვა ყაიდის,
სხვისი საქმები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამიტომაც მე ამდენხანს არაფერს
ვწერდი".
(მარიჯანი, „პასუხი ჰიანურებს", ილიონი.
№ 2, 1922).

●

არც კი მეგონა მზე ჩამოსული და
ყვავილები უკვე გადახმა,
ო, რა უდროოდ საღამოვდება!..
ცა ბინდის ფერმა დანისლა უკვე
და ლამაზ სიკვდილს უახლოვდება
ჩემი ოცნება და სიჭაბუკე...
(ს. გაჩეჩილაძე, ქ. ლომისი, 1922, № 4).

●

გიორგი ქუჩიშვილმა, რომელმაც დიდი პოეტური გზნებით უმღერა 1917-1920 წლებში თავისუფალ საქართველოს („ჩემს ერს", „ჩემს მამულს", „აღდგომა", „მომავალი საქართველო", „ყივილი", „ჩემი მხარე", „ვაშა გვარდიას" და სხვ.), სამშობლოს ანექსიის პირობებში დაჰკარგა სიმღერის საგანი: მისი ლექსები: „ლექსი ანდერძიდან", „ჟამსა ავადმყოფობისას", „სულის კივილი" და ოციანი წლების დასაწყისში დაწერილი სხვა ნაწარმოებები შექმნილია შწუხარებაში ჩავარდნილი ავტორის მიერ ან პოეტური შთაგონების გარეშე.

●

ტერენტი გრანელის ტრაგიკული სულის კივილი, რომელიც ისმის მისივე ლექსებიდან, უნდა გავიცნობიეროთ, როგორც ლირიკოსი პოეტისა და დატყვევებული სამშობლოს თანაზიარი ბედი. აკი თვით პოეტიც ამბობს: „მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს".

ოციანი წლების (და შემდგომი პერიოდისაც) რაპპულ-ვულგარული კრიტიკა, რომელიც პოეტს ბრალს სდებდა პესიმიზმში, სრულებით არ იყო სამართლიანი. ერთგან ალექსანდრე ბლოკი წერს: „ოპტიმიზმი საერთოდ — მარტივი და ღარიბი მსოფლჭვრეტაა,.

ტრაგიკულ მსოფლმხედველობას... ერთადერთს შესწევს უნარი მოგვცეს სამყაროს სირთულის წვდომის გასაღები". და როცა დღეს ვკითხულობთ ტერენტი გრანელის ლექსებს, ჩანს, რომ მისი პესიმიზმი წარმოადგენდა იმდროინდელი ქართველი კაცის სულის „წვდომის გასაღებს".

სწორად შენიშნავს ლერი ალიმონაკი: „ტერენტი გრანელის პოეზიის ლირიკული გმირი გადმოგვცემს პირად განცდებსა და ემოციებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს და სწორედ პირადის (სუბიექტურის) ჭრილში წარმოგვიდგენს ობიექტურ სამყაროს, რომლის ხილვა და აღმოჩენა მკითხველის საზრიანობასა და გემოვნებაზეა დამოკიდებული. ტერენტი გრანელის პოეზიაში ორი პოლარული მხარე — პიროვნულისა და საზოგადოებრივისა ისე ძლიერადაა ერთმანეთთან შერწყმული, ზოგადი ისეთნაირადაა ინდივიდუალიზებული, ისე ღრმად და ორგანულადაა გათავისებული, რომ პოეტის თანამედროვე საზოგადოებისათვის (ბევრისათვის დღესაც) გაუგებარი დარჩა მისი სევდის წარმომშობი ობიექტური მიზეზები და იგი სუბიექტივისტად, ინდივიდუალისტად მონათლეს" (ლ. ალიმონაკი. ლიტერატურული წერილები. 1974. გვ. 16-17).

ვფიქრობთ, ტერენტი გრანელის სევდა და თუნდაც უკიდურესი სასოწარკვეთილება, უსასოო პესიმიზმი — ამ მშვენიერი პოეტის ეს ერთადერთი „დანაშაულია".

ტერენტი გრანელის პოეტურ კრებულზე „სულიდან საფლავები" (1922) ბიბლიოგრაფი წერს:

„წიგნში მრავალი გულწრფელი ცრემლებია. დიდი ჭმუნვარება. დიდი სევდა გაუხარებელ ნაღველში გამოზრდილ თაობისა. სტრიქონები აქა-იქ სევდიანია როგორც ცოდვილი ქერუმების თეთრი ფრთების შრიალი" (ჟურნ. კოლხეთი, 1928, № 1, გვ. 57).

●

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია!..
გალაკტიონი

სევდა, ცრემლი და საწუთროსადმი საყვედური ოციანი წლების ქართული ლირიკის ერთ-ერთი ლაიტმოტივია, მაგრამ, მეორე მხრივ, აკადემიურ ასოციაციაში გაერთიანებული პოეტებისა და ამ ასოციაციის ორგანოებისთვის ისე, როგორც მთელი ქართველი ხალხისა და მისი ინტელიგენციისთვის, დამახასიათებელია ბრძოლის პათოსი და შეურიგებლობა წითელი რუსეთისა თუ ე. წ. „საბჭოთა კავშირისადმი".

ისტორიულად ცნობილია, რომ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით განხეთქილება წარმოიშვა თვით ქართველ ბოლშევიკთა ხელმძღვანელ ბირთვშიც („უკლონისტები") და მოულოდნელი როდი უნდა ყოფილიყო ის, რომ ქართველი ხალხი სამშობლო მიწის ოკუპაციის დღიდანვე ირჩევს დაუმორჩილებლობისა და აჯანყების გზას; ყალიბდება „დამკომი", რეგიონებში იქმნება შეიარაღებული რაზმები, ინტელიგენცია მოუწოდებს ბრძოლისაკენ; მუქარის ხმა ისმის ქართულ პოეზიაშიც: 1921 წლის 25 თებერვლით არის დათარიღებული ი. გრიშაშვილის ლექსი „ახალ ხელისუფლებას", რომელიც ოციან წლებში ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა „რუსის ჩექმის" სახელწოდებით:

მოვიტანოთ ეს ლექსი მთლიანად, რადგან იგი პოეტის კრებულებში გამოქვეყნებული არ არის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მართალია დღეს ეს ლექსი
ბევრ კომუნისტს გაახარებს,
მაგრამ მაინც თამამ სიტყვას
მოვახსენებ ახალ მთავრებს.
თქვენ ამბობდით: საქართველომ,
რაც გინდ ბევრი გაიბრძოლოს,
დიდ რუსეთის კომუნისტად
გადიქცევა მაინც ბოლოს!
ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით,
ჩვენც მივიღეთ ცრემლით ცხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგრჩნდობთ,
რომ სხვის ხიშტით შემოხვედით,
განა ჩვენ აქ გვქონდა ტახტი
ან ზედ დავსვით ვინმე მეფედ,
რომ ქართველთა წმინდა სისხლი
დაღვარეთ და ააშხეფეთ?
განა ჩვენი არწივები
გაურბოდნენ დროშას წითელს —
რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ
ყველა ბილწს და ყველა სკვითელს,
ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ
ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ
გამარჯვებულ რუსულ ჩექმას.
ზეინაბად გადვიქცევით, გულს ჩავიკლავთ
ალთქმას შმაგურს
და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ
არც ერთ კუთხეს, არც ერთ აგურს.
...მაგრამ თქვენში თუ ვიპოვით
ჩვენზე კარგს და ჩვენზე ძლიერს,
უანგარო მამულიშვილს,
სასახელო ივერიელს,
თუ დაიცავთ ჩვენი ერის
სილამაზეს, ენას, დოვლათს,
თუ ჩვენს ცხელ მზეს არ გარდაქმნით
ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლად,
თუ აღადგენთ საქართველოს
ისტორიულ — მთლიან ხაზად, —
მაშინ ჩვენს გულს ქვეშევრდომულს
თქვენ დაგიფენთ ფიანდაზად,
ხოლო ვინმემ თუ გაბედა,
რომ მოგვსპოს და გადაგვთელოს,
ვიტყვი: მოკვდა საქართველო,
გაუმარჯოს საქართველოს.*

ტფილისი, 1921, 25 თებერვალი."*

ლექსში „ჩემი ლოცვა" (ჟ. ილიონი, № 1, 1922) ი. გრიშაშვილი გამოხატავს ახალი ხელისუფლებისადმი სიძულვილსა და შეურიგებლობას; პოეტი მეუფეს შესთხოვს: „საქართველო— ეს სამოთხის შვების წყარო, — მტრებს არ მისცეს საჯირითოდ, შეიტკბოს და შეიყვაროს!..

ამასთან, პოეტის ლოცვა მხოლოდ ვედრება არ არის. იგი ემუქრება მტრებს და მათ სტვირზე მომღერლებს:

მაგრამ თუ კი — ოი ღმერთო —
ჩაგვითვლიან ლოცვას ტყვილად:
ლოცვას წყევლად გადავაქცევთ,
ავადუღებთ ცრემლებს ტყვიად —
და ვაი მას, ვინც მტრის სტვირზე
თავის ჰანგსაც ახმატკბილებს,
მას პასუხსაც არ ვაკადრებთ,
მას ჩავუმტვრევთ სიბრძნის კბილებს,
მას შხამადაც შერგებია
ჩვენი დედის ტკბილი ხსენი...
საქართველო, მეუფეო,
დაიხსენი... დაიხსენი...

ასე გადაიქცა ქალის „ოქროს ტერფისა" და სიყვარულის მგოსანი მებრძოლ პოეტად.

მართალია, ლექსში „ბებუთი მაგიდაზე" (ჟ. „ილიონი", № 2, 1922) პოეტი სწუხს, რომ ვერ დააფასა წინაპართა ანდერძი და ბებუთით კუბოს დაფაზე ვერ დააკრა ვერც ერთი მტერი დასალუპელი. შეეყოყმანდა: „ვიბრძოლო?" — სვამს იგი კითხვას და პასუხობს: „ბებუთს აღარ სურს მტერი გარეკოს: ჩემს მაგიდაზე ასვენია წიგნის საჭრილად". მაგრამ ეს არ ნიშნავს ფრონტის დათმობას, აქ უფრო ქართველი კაცის ქრისტიანული ბუნება იჩენს თავს, მეტადრე თვით ლექსის ავტორის ფაქიზი, უსისხლო (უფრო ზუსტად, მშვიდობიანი) ხასიათი.

„არსებითად ანტი-საბჭოთა ელემენტების პატრიოტიზმმა იმდენად კარიკატურული სახე მიიღო, რომ თვით ი. გრიშაშვილიც კი მოევლინა ამ მოტივის მომღერლად საქართველოს გასაბჭოების შემდეგ...

გრიშაშვილი ბრძოლისთვისაც ემზადება, მას სურს ბებუთით შეებრძოლოს მტერს, რომელშიაც იგი გულისხმობდა პროლეტარიატს" — წერდა 1931 წელს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ერთ-ერთი თავკაცი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: ი. გრიშაშვილს სწამს სამშობლოს განთავისუფლების, ქართველი ერის თავისუფლების, სწამს, რომ „თბილისი ისევ გაირაკლდება!..."

●

როცა ვაცნობიერებთ ქართველი მწერლების დამოკიდებულებას „ოქტომბრის რევოლუციისა" და „საბჭოური საქართველოსადმი", განსაკუთრებული დაკვირვება გვმართებს გალაკტიონის ლექსზე „ჩვენ, პოეტები საქართველოსი", რომლის აქამდელი ინტერპრეტაცია მართებული არ არის.

ცნობილია, რომ დასახელებული ლექსი დაიბეჭდა 1924 წლის ჟურნ. „მნათობში" (№ 7-8).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟურნ. „მნათობი" დაარსდა 1924 წელს, თებერვალში, პირველ

* ეს ლექსი, რომლის პუბლიკაცია ეკუთვნის ბონდო არველაძეს (იხ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1989, 12 დეკემბერი), ავტორს წაუკითხავს იუჟინ-სუმბათაშვილის შემოქმედებით საღამოზე 1922 წელს, რისთვისაც პოეტი დააპატიმრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვეებში, ჟურნალი ვერ გამოვიდოდა (იხ. რ. თვარაძის სტატია „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“, ალმანახი „კრიტიკა“, 1990, № 41, გვ. 28) და ჟურნალის მე-7-8 ნომრები ამავე წლის ბოლო ნომრებია, მაშინ აშკარაა რომ ლექსი „ჩვენ პოეტები საქართველოსი“ გამოქვეყნდა 1924 წლის აჯანყების შემდეგ, ამასთან ეს არ გამორიცხავს, რომ ნაწარმოები ავტორმა შექმნა ან მისი კონცეფცია მოიაზრა აჯანყების წინ ან აჯანყების დღეებში. ყოველ შემთხვევაში, ლექსი დასტამბულია აჯანყების ცხელ კვალზე.

აგრეთვე, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი:

ა) ვარიანტებში ლექსის სათაურებად გვხვდება „ლექსი მომავალ საქართველოზე“ და „საშუმი მოდის“ (იხ. თხზულებანი, ტ. II, გვ. 877).

ბ) მთელი ნაწარმოები იკითხება მყოფადის აწმყოს ფორმაში („დარეკავს“, „აგუგუნდება“, „იკივლებს“, „წავა“, „წამოვა“, „გადიგრიალებს“, „გადეფარება“, „რომ მოიტანოს“, „გადმოჭანგრიოს“, „მოადგეს“, „დავდგეთ იქ“, „ვწირავთ“).

ამგვარად, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ლექსი დაწერილია 1923 წელს, როგორც ერთერთ ვარიანტში ან 1924 წელს (აჯანყებამდე. აჯანყების დღეებში ან მომდევნო პერიოდში). გამოქვეყნებულ ლექსზე დასმული თარიღი „1924 წლის 25 დეკემბერიც“ სანდოდ მიგვაჩნია, მაგრამ უფრო სწორი იქნება ვივარაუდოთ, რომ ლექსი დაწერილია აგვისტოს აჯანყების დღეებში, როცა ავტორი საკუთარ პოზიციაზე დადგა (შეიძლება პოეტმა ლექსი ცენზურის შიშით არ გამოაჩინა ან „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიამ საგანგებოდ გადააწევინა თარიღი და მოგვიანებით გამოუქვეყნა).

ვიდრე საანალიზო ლექსის შინაარსს გავეცნობიერებდეთ, მინდა შევჩერდე დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გალაკტიონის პოეტურ ქმნილებაზე „დადგა აგვისტო“ (მნათობი, № 10, 1925), რომლის კავშირი ლექსთან „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ აშკარაა და გასაღებს წარმოადგენს ამ უკანასკნელის გასახსნელად. მაგრამ ჯერ მივუთითოთ იმაზე, რომ ამ ლექსს აქვს ზოგადრევოლუციური პათოსიც, პათოსი ბრძოლისა და ნგრევის, კაცობრიობის სწრაფვისა მარადიული განახლებისაკენ, როგორც გამოვლინება კანონზომიერებისა. ეს ლექსის ზოგადი პლანია, და ლირიკულ გმირს სწამს, რომ „არაერთხელ აგუგუნდება დედამიწაზე კიდევ საშუმი“.

ამდენად, პოეტის რწმენით, ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლა და ნგრევა მარადიული კანონზომიერებაა და კონკრეტულად საკითხი ეხება მხოლოდ იმას, თუ ამ პროცესში სად დადგებიან ქართველი პოეტები.

ლექსის ავტორი აქ მიგვითითებს ფრანგ პოეტებზე (პოლ კლოდელი, 1868-1955; ფრანცის ჟამი, 1868-1938 და ანდრე [illegible] 1868-1948), რომლებიც თავიანთი ერის ღირსეული შვილები იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ მათი ცხოვრების გზებს და მებრძოლ — პატრიოტული ხასიათის შემოქმედებას, საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ოდესმე დადგებოდნენ დამპყრობელი და ანტიეროვნული ხელსისხლიანი მთავრობის გვერდით.

საყურადღებოა, რომ ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში იკითხება: „ჩვენ პოეტები საქართველოსი ვიქნებით ხალხთან, ამხანაგებო!“ (სიტყვების: „ვიქნებით ხალხთან“-ის მაგიერ იყო „ბრძოლაში წავალთ“ (იხ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, გვ. 877).

ეს დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ახალი საზრისი მივცეთ პოეტურ სახეს — „ს ი ს ხ ლ ი ა ნ ი ა ნ გ ე ლ ო ს ი“ და საბოლოოდ გავარკვიოთ პოეტის ეროვნულ-პოლიტიკური პოზიცია.

უნდა დავუშვათ, რომ „სისხლიანი ანგელოსი“ პოეტური სახეა არა ოქტომბრის რევოლუციისა, როგორც ადრე ფიქრობდნენ, არამედ 1924 წლის აგვისტოში აჯანყებულ მებრძოლ ქართველთა. სწორედ ამ უკანასკნელთ შეეფერება მხატვრული განსაზღვრება „სისხლიანი ანგელოსისა“ და არა ოქტომბრის რევოლუციას, რომელსაც ჯერ სამოქალაქო ომის, ხოლო შემდეგ რეპრესიების წლებში 60 მილიონამდე მსხვერპლი მოჰყვა (ზოგიერთი ას მილიონამდე ითვლის). გალაკტიონს, როგორც თვითმხილველს, გაცნობიერებული ჰქონდა ქართველი, უფრო ზუსტად, მთელი „საბჭოთა ხალხის“ ტრაგიკული ბედი და, ამდენად, როგორც მივუთითეთ, „ოქტომბრის რევოლუციას“ „ანგელოსის“ (თუნდაც „სისხლიანი ანგელოსის“) სახით ვერ აღიქვამდა.

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ გასაგებია ლექსის ფინალური სტროფი:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

ამგვარი წაკითხვით „ქარიშხალსა“ და „ახალ გრიგალს“ აღვიქვამთ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებად, ხოლო „სისხლიან ანგელოსს“ — აჯანყებულ ქართველად.

ავტორის მოწოდება პოეტის მოვალეობაზე: დადგეს იქ, სადაც ქარიშხალია (სადაც იბრძვის მისი ხალხი — „სისხლიანი ანგელოსი“) ასოციაციას აღძრავს მის პუბლიცისტურ ლიტერატურულ წერილებთან („პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „წინათქმა“ და სხვ.).

ი. ლორთქიფანიძე მიუთითებს კიდეც, რომ გალაკტიონი 1924 წელს გამოქვეყნებული პოემისათვის „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“ (მნათობი, № 5, 1924) „რამდენიმე ღლემეტეხის ციხის ბინადარი გახდა“ (ი. ლორთქი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძე“, 1985, გვ. 189). ხოლო ნ. ტაბიძის სიტყვით, 1924 წელს, როცა გალაკტიონი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა (იგულისხმება აგვისტოს აჯანყების პერიოდი — დ. თ.) ჩუდეცკების ოჯახმა შეიკედლა და დაიფარა.

ზემოთ მითითებულ ლექსში „დადგა აგვისტო“, ვფიქრობთ, პოეტი შეფასებას აძლევს 1924 წლის აჯანყებას. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ „აგვისტო“ მიგვანიშნებს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაზე, არამედ დამარცხებული — ქართველთა მომავალი ბრძოლაც.

ლექსის ლირიკული გმირი (ისევე ჩქარი და „უძლეველი“, „ქარული“) ალხავსეა იმედით და „სურვილი“ (უნდა ვიფიქროთ, გასული აგვისტოს სურვილი — დ. თ). ისევ „უშენს რევოლვერს ცას, ლრუბლებმა რომ გადაუარეს“ (ტ. II, გვ. 183). ცხადია, „ღრუბლებგადავლილი ცა“ 1924 წლის აგვისტოს ქართული ცაა.

ბუნებრივია, ეს მოტივი არც შემდეგ შეწყვეტილა პოეტის შემოქმედებაში (იხ. ჟურნ. „მნათობში“, 1925 წელი, № 10, „ასი ლექსის“ ციკლი: „ორად გაიპო წითელი კლდე“, „დადგა აგვისტო“, „თუ ბრძოლა არ არის“, „წამი წამს ეზიდება“ და სხვ). ამ ციკლიდან უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ლექსები: „ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები“, „შემოდგომის ყვავილები“, „სულ ადვილია რწმენა“, „გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი“, „ლაჟვარდ ცაზე“, „მუხები“, „დღიურ პროზიდან“, „მე არა ერთხელ მქონია ფრთები“.. და სხვა. მათ ალეგორიულ სახეებში არეკლილია ოციანი წლების რთული პოლიტიკურ-ეროვნული ბრძოლის სურათები: პოეტი ხან შინდისის ჭადრების შრიალზე ისმენს „ტირილსა და საყვედურს“, ხან იმ რომანტიკულ დღეებს იგონებს, როცა ფრთები ჰქონდა და „იმ სიმაღლეებსა და იმ ლაჟვარდებში“ ფრენდა (ბრძოლისა და იმედის განწყობილებები!) და ა. შ.

●

ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ კოტე მაყაშვილმა მძაფრად განიცადა ხიშტებით დაპყრობილი სამშობლოს ბედი, მაგრამ შინაგანად არ გატყდა. სატირულ პოემაში („ეშმაკი საქართველოში“) აშკარად იგრძნობა სიძულვილი და ზიზლი იმ ურაკომუნისტებისადმი, რომლებიც „ახალ ცხოვრებას“ აშენებდნენ; იგრძნობა მათი პრიმიტიული ბუნება, უმეცრება და „გაყინულდამზრალი“ ტვინი. პოეტი არც მათ („სულელ ციყვებს“) ინდობს, რომლებიც უსმენენ „მყვირალა ფრაზებს“...

კოტე მაყაშვილს ჯიუტად სჯერა თავისი ხალხის გამარჯვების. პოეტი შორეული წარსულიდან უმზერს ჩვენი ერის ისტორიას და დაასკვნის:

„მარადი ცეცხლი ვარ —
ქართლოსის მხურვალე ცეცხლი!
. . . . .
‚ბრძოლისთვის მოვედი აქ,
ბრძოლისთვის ხელახლა მოვალ,
უკვდავი, უშრეტი ვით ქართველთა
მზიური მოდგმა“.

(ჟურნ. კავკასიონი, 1924; № 1-2).

„სიცოცხლის თავდალმართზე“, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში პოეტმა ანდერძად დატოვა, რომ სიკვდილის შემდეგ მისთვის ამოერთვათ გული, დაეჭრათ და სამშობლოს ყველა მიჯნაზე დაემარხათ, ხოლო სხეული კოცონზე დაეწვათ და სამშობლო მხარეში მიმოებნიათ კიდით-კიდემდე (ლექსი „ანდერძი“, 1925, ჟურნ. „ახალი კავკასიონი“, 1925).

ასეთი იყო ქართველ მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარის (1917-1927), „აკადემიური ასოციაციის“ პირველი თავკაცის კოტე მაყაშვილის რწმენა, პოზიცია და სამშობლოსადმი ერთგულება.

● ● ●

„აკადემიური ასოციაციის“ თავკაცებს საბჭოური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში ვაჟკაცურად უდგას მხარში არცთუ ისე ცნობილი პოეტი და დიდი მოქალაქე იოსებ მჭედლიშვილი. პოეტი საქართველოს ანექსიის პირველი დღეებიდანვე გამსჭვალულია ბრძოლისა და იმედის რწმენით:

აქამდე რისთვის დაიგვიანეს
ჩვენმა ბიჭებმა, ლომებს რო ჰგვანან?
ნუთუ სუყველა ტყვედ წაიყვანეს?
ნუთუ სუყველა საფლავში წვანან?
არა! კვლავ მოვლენ. „მღერის ყიჟინით!...

„მწუხრნი შაბათის“ (7 აპრილი, 1921,
გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი);

რ. კვერენჩხილაძეს თავის წერილში „თავისუფლებისათვის თავგანწირულთა დამტირებელი“ (გაზ. ერი, 1 თებერვალი, 1992) მოტანილი აქვს პოეტის სტრიქონები მიძღვნილი მ. გორკისადმი, საქართველოში მისი ერთ-ერთი ჩამოსვლის გამო:

„რა გინდა ნეტა, აქ რისთვის მოხვალ, ვოლგის ქვეყნისას რა გსურს რიონთან, მე დაჭვრეტილი საქართველო ვარ, მე გეკითხები საიქიოდან: ჩვენს საფლავებზე რად დახვალ შენა“.

ამ სტრიქონების ავტორს, მართლაც, ჰქონდა უფლება თავის თავზე ეთქვა: „1921 წლის თებერვლის 25-ს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დამყარებას არც ერთი პოეტი არ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც მე“.

აქვე მინდა მოვიტანო ვანო ხოსიტაშვილის (იროდიონ ევდოშვილის ვაჟის) ლექსი „ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი", რომელიც გაზ „სოციალისტ-ფედერალისტმა" გამოაქვეყნა 1921 წელს, 15 მაისის ნომერში: ლექსი თავისი პათოსით გამოხატავს ქართველ მწერალთა საბრძოლო განწყობილებას:

ქართველო, ხმა ამოიღე,
პასუხ გაეცი ყველასა,
ნეტავ როგორ სძლებ ამდენხანს,
რათ მისცემიხარ თმენასა,
სამშობლო გასაჭირშია,
მტერი მოგვადგა კარზედა,
შენ კი დადუმდი, ტორტმანობ,
სულაც არ ფიქრობ თავზედა,
. . . . . . .
წყევლა და კრულვა იმასა,
ვინც რომ შიში და მხდალია,
ვინც რომ გაექცეს სამშობლოს,
არ მოიხადოს ვალია.

ლექსი დათარიღებულია 24 ენკენისთვეთი, 1917.*

საბჭოური ეპოქის ქართველ მწერალთა გულისთქმა და აზრი შეიძლება მოკლედ გამოვხატოთ მიხეილ ბოჭორიშვილის თეთრი ლექსით „ახალი წელი".

..."ჩვენს წინ იშლება ბილიკები
უფრო ძნელი და მიმზიდველი.
...ავენთოთ სიხალისით ისევ ბრძოლისთვის.
...ვადღეგრძელოთ ნგრევის ღმერთი —
შურისძიება,
აბჯრები ტანზე აღარ გვამძიმებს,
თვით გაფოლადდა ჩვენი სხეული...

(გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, 1922. № 5).

●

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან, „აკადემიური ასოციაციის" ორგანიზაციულად არსებობის პერიოდშიც, აკადემიკი პოეტები (პროზაიკოსებიცა და დრამატურგებიც) თითქოს ეგუებიან ახალ სინამდვილეს და აღიარებენ „ოქტომბრის მზეს", ლენინისა და სტალინის გზას...

რაკი 1924 წლის სახალხო აჯანყება მარცხით დამთავრდა და მთავრობა შეუდგა ახალი რეპრესიებისათვის მზადებას, ქართველი ინტელიგენცია ბრძოლის ტაქტიკას ცვლის; ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლად მიიჩნევს მთავრობასთან აქტიურ თანამშრომლობას, ხოლო ამ მიზნით იძულებულია ხარკი გაუღოს ოქტომბერს, საბჭოურ წყობილებას, პარტიას, ლენინს, სტალინს...

ახე დადგა ქართული მწერლობა ისე, როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურა, სიყალბის გზას, მეორე გზა არ არსებობდა...

●

ქართველი ხალხი ვერ ეგუება ეროვნული თავისუფლების დაკარგვას!

ქართველი მწერლის ფენომენი დაუმორჩილებელია;

ბრძოლა გრძელდება!..

„ვადღეგრძელოთ ნგრევის ღმერთი— შურისძიება, აბჯრები ტანზე აღარ გვამძიმებს, თვით გაფოლადდა ჩვენი სხეული!.."

ამ სტრიქონების ავტორი 1924 წელს დახვრიტეს, მაგრამ აზრი შურისძიებისა და ბრძოლის, რწმენის, იმედისა და გამარჯვების — დარჩა.

●

როცა ვაჯამებთ „აკადემიური ასოციაციის" პოეზიას, მეჩვენება, რომ ამ გაერთიანების პოეტებმა (ამ პერიოდში ვერც გალაკტიონმა და ვერც გრანელმა) ქართული ლექსი ახალ სიმაღლეზე ვერ აიყვანეს, მათი პოეზია, ფორმის თვალსაზრისით, არსებითად დარჩა „დემოკრატიული პოეტური სკოლის" დონეზე. მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის განცდა და აშკარად ანტისაბჭოური პოზიცია გამოარჩევს მათ სხვა გაერთიანებების პოეტებისაგან.

ეს ცოტა არ არის. შინაგანი პოეტური ალღო და მოქალაქეობრივი გაბედულება, რაც ახე დამახასიათებელია ამ გაერთიანების პოეტებისათვის, დაუმორჩილებლობისა და ბრძოლის რწმენას მატებდა ქართველ ხალხს. ამიტომ ჩვენი ისტორია მარად შეინახავს მათ სახელებს.

---

*ვანო ხოსიტაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი მოხალისედ ჩაეწერა გვარდიაში და იარაღით იცავდა სამშობლოს საზღვრებს. 1920 წელს იგი მტერთან ბრძოლაში დაეცა.

გიორგი გაბუნია

# „ქალებო! ქალებო!! და კიდევ ქალებო"!!!

„დავარდნილს საზოგადოებაში ყველაზედ პირველ ეცემიან ქალები და ხალხის გამოფხიზლების დროსაც პირველი ნიშნები მათში იხედებიან".

ა. წერეთელი

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქალს, როგორც ცნობილია, ყოველთვის საგანგებო მისია ეკისრებოდა. სწორედ ამიტომ დიდი ქართველი მამულიშვილები და ჰუმანისტი მოაზროვნეები თავიანთ მხატვრულ-ლიტერატურულ შემოქმედებასა თუ პუბლიცისტიკაში ხშირად ამახვილებდნენ ყურადღებას ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის, მოზარდი თაობების აღზრდისა და სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე მათი დაყენების საქმეში ქალის გამორჩეულ როლსა და დანიშნულებაზე, რადგანაც, ი. გოგებაშვილის თქმისა არ იყოს: „ქალს უფრო მომეტებული ნიჭი აქვს სწავლებისა და აღზრდისა ბუნებისაგან მინიჭებული, ვიდრე ვაჟსა".

წინამდებარე წერილით მკითხველს გვსურს გავაცნოთ ა. წერეთლის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებანი ქალის ფენომენის შესახებ. ვფიქრობთ, ისინი დღესაც აქტუალურად ჟღერენ და კვლავაც ინარჩუნებენ დიდაქტიკურ-შემეცნებით ღირებულებას.

თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში პოეტი წერდა: „სიტყვა „ქალი" მხოლოდ მერვე საუკუნიდან შემოსულა ჩვენში, არაბულად „ქალიბ" ნიშნავს დედაკაცს, მანამდე ქართულად დედაკაცს „დია" ერქვა. აქედან წარმოსდგება სიტყვა: „დიასახლისი" და კნინობითი „დიაცი". მოგვიანებით დიდი ერისკაცი კვლავ ეხება ხსენებულ საკითხს და ქალის ფენომენზე მსჯელობისას იმ უმთავრესი პრინციპიდან ამოდის, რომ განგებამ მამაკაცი და დედაკაცი ამქვეყნად თანაბარი უფლებებით მოავლინა, ამიტომ გამჩენის ნება ყველასათვის კანონი უნდა იყოს. „როგორც დაბადება მოგვითხრობს, — ბრძანებდა მგოსანი, — ღმერთმა რომ პირველი კაცი, ადამი, გააჩინა, უკმაყოფილო დარჩა; ბევრი ნაკლი აღმოაჩინა მასში და რომ ის ნაკლი შეევსო, გამოუღო გვერდი და შექმნა ქალი. ეს ლეგენდა გვაგულისხმებს: თუ ქალი უფროსად ნდომებოდა უფალს, მაშინ თავის ძვალს გამოუღებდა, თუ უმცროსად — ფეხისას, მაგრამ ნიშნად თანასწორობისა შუადან გამოუღო გვერდი". მიუხედავად ამისა, — განაგრძობდა პოეტი, — „ვინ არ იცის, რომ ქალი სხვა არის და კაცი სხვა?.. ესენი ერთმანეთის განშორებით ორივე, როგორც უქმი ნახევრები ქარწყლდებიან, მაგრამ შეკავშირებით კი ახალ-ძალას აჩენენ, ესენი ურთმანეთოთ არ ვარგანან, ნახევრები არიან, მაგრამ ერთმანეთთან გარმონიულად შეთანხმებით კი ერთმანეთის ნაკლულევანებას ავსებენ და ერთს სრულს ადგენენ. ისინი როგორც მოთხოვნილებით, ისე ხასიათითაც სხვა და სხვანი არიან; მაგრამ ორივენი კი თანასწორები". ყოველივე ამას მგზნებარე მამულიშვილი იმასაც უმატებდა, რომ: „ბევრიც რომ ეცადონ ქალებმა, ათასი მილიც რომ გაიარონ, ათიათასი მილიც რომ გაიზეპირონ, ისე ვერ გამოიცვლიან თავიანთ ბუნებას და მაზედვე დამოკიდებულ

ეროვნული

ხასიათებს, რომ კაცებს დაემსგავსონ, და აგრეთვე კაცებმაც, ბევრიც რომ იტლიკინონ, ქალის ბუნებას ვერ მისწვდებიან", რადგანაც განგებას „კაცისათვის მიუცია თავი და ქალისათვის გული. ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ კაცებს გრძნობა არ ექნებათ და ქალებს ჭკუათქო. არა; შეიძლება, რომ ქალი მილიონ კაცებზეც უჭკვიანესი იქნეს და აგრეთვე კაცი ქალებზედ უგრძნობიერესი, მაგრამ მე აქ უკიდურესს, ე. ი. უზენაესს წერტილს ვილებ ჭკუაგრძნობისას. — თუ ავილებთ უკიდურეს წერტილს კაცის ჭკუისას.... და შევადარებთ უკიდურესსვე წერტილს ქალის ჭკუისას, მაშინ დავრწმუნდებით, რომ მეორე პირველს ჩამორჩება. აგრეთვე გრძნობაზედ შეგვიძლიან ვსთქვათ; სად ქალი და სად კაცი? ქალი გადააჭარბებს!.."

ა. წერეთელი დიდად აფასებდა ქალის როლს საქართველოსა და ქართველთა ყოფის განვითარების, გაძლიერებისა და აყვავების საქმეში. „არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ გრძნობა დაებშოს, საყვარელი მოეკლას და თავისი პირადობა ქვეყნისთვის ემსხვერპლოს ქართველ ქალს!" — აღნიშნავდა იგი და თან სიამაყით დასძენდა: „ადრეც გვითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ დედათ სქესი ისე მაღალ წერტილზედ ბევრგან არა მდგარა, როგორც ჩვენში", ხოლო რადგანაც „საქართველოს ცხოვრებაში ქალებს თუ არ მეტი, კაცებზედ ნაკლები ღვაწლი არ მიუძღვისთ", ამიტომ „ვალდებულია ისტორია, რომ თუ არ უკეთ, ნაკლებ მაინც არ უნდა მოიხსენიოს ქალები კაცებზედ". ამისათვის კი აკაკის აუცილებლად მიაჩნდა ჩვენი უმდიდრესი წარსულის ძირფესვიანად გაცნობა, რამეთუ ღრმად სწამდა, რომ: „საქართველოს ისტორიის შესწავლა თვალ-და-თვალ დაგვანახვებს ჩვენ, რომ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში უმეტესი ღვაწლი მიუძღვის დედათა სქესს. შინში თუ ლხინში, შინ თუ გარეთ ცხოვრების მანქანა მათ ხელში ყოფილა და ჭარაც მათ უტრიალებიათ. სამშობლოსათვის თავის გაწირვა უბრალო რამ, ჩვეულებრივი ყოფილა". დიდი მგოსნის აზრით, სწორედ ეს ფაქტორი იყო ის მთავარი მიზეზი, რის გამოც „სიძველის მკვლევარნი, მეცნიერ-ისტორიკოსები ჰკვირვობენ: როგორ მოხდა, რომ მოზღვავებულ ბარბაროსობას სხვა ძველ ქვეყნების წამლეკავ საუკუნოების განმავლობაში გაუმკლავდა პატარა საქართველო, მცირედი ჯგუფი თავდადებულთა და მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მოიტანა სჯული და თვითარსებობა შეუბღალავად? რა სასწაული მოხდა ესო? ჩვენ შეგვიძლია თამამად ვუპასუხოთ, რომ ეს სასწაული იყო „ქართველი ქალები". სხვათა შორის, თითქმის იგივე მოსაზრება სულმნათმა ერისკაცმა ჩააქსოვა შემდეგ ფრაზაშიაც: „მეისტორიენი, სიძველეთა მკვლევარნი გაოცებით ეკითხებიან თავიანთ თავს; რა მიზეზი იყო და რითი აიხსნება, ზეციური სასწაულით, თუ ქვეყნიურ გრძნეულებით, რომ ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ მოიგერია მაზედ მოზღვავებული მტერი, ის ძლიერი მაჰმადიანთა ერი, რომელმაც გაუპირველათ დაამხო დიდებული ბიზანტია და დაინაწილა სლავიანთა სამთავროები? ადვილი საპასუხოა: ეს სასწაული და გრძნეულება ქართველი ქალი იყო. ის ჭირშიაც და ლხინშიაც მეულლეობას უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა მომავალს".

ამრიგად, აკაკი კდემამოსილებით საუბრობდა სამშობლოს წინაშე ქართველი ქალის დამსახურებაზე და საჯაროდ აცხადებდა, რომ: „მე მხოლოდ მაშინ ვიწამებ ჩვენის ხალხის გამოღვიძებას, როდესაც ჩვენი ქალები ყოველს კეთილსა და საზოგადოებისადმი კეთილ-ნამყოფის მომტან მოვლინებების არა თუ თანამგრძნობნი, თანა-მოქმედნიც იქნებიან"-ო.

ა. წერეთელი საქართველოში ქალთა უფლების საკითხზე მსჯელობისას აანალიზებდა ქვეყნის ისტორიული წარსულიდან აღებულ მაგალითებს და აღნიშნავდა: „ქალთა უფლება არასოდეს არ ყოფილა შეზღუდული საქართველოში და ქართველი ქალები განსხვავდებოდნენ სხვა ერების ქალებისაგან. ამ ჩვენი პატარა სამეფოსი, საქართველოს ისტორიული მიმდინარეობა ისეთი იყო, რომ მამაკაცები ნიადაგ საზღვარზე იდგნენ, ყოველ კუთხით შემოსეულ მტრების მოსაგერიებლად და რთული საოჯახო საქმე და შვილთა აღზრდა დედებს რჩებოდათ ხელში. აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ მერვე საუკუნიდან დაწყებული არაბებს შემოჰქონდათ საქართველოში სწავლა-მეცნიერება, რაიცა მაჰმადიან ქალებს ყურანის ძალით აკრძალული ჰქონდათ და ქართველი ქალები კი, როგორც ქრისტეს მიმდევრები, ხელშეუშლელად ეწაფებოდნენ იმ სწავლა-მეცნიერებას. ყოველივე ამან გაავითარა, აამაღლა ქართველი ქალი და აიყვანა მამაკაცის სისწორემდე და მაშასადამე ლექსი:

ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს
გინდა ხვადიაო"

ეს თანამედროვე აზრი, გამოთქმული რვაასი წლის წინედ ჩვენში ეკუთვნის არა მარტო მეფესა და მის შთამომავლობას, არამედ მთელ ხალხს, მთელ ქართველობას, რომლის გრძნობაგონების გამომხატველიც იყო რუსთაველი".

წინამდებარე პუბლიკაციისათვის საჭირო მასალის ძიების პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1914 წელს „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე (№ 1091, გვ. 8) გამოქვეყნებულმა ა. წერეთლის ერთმა ნაკლებად ცნობილმა სიტყვამ, რომელიც დღემდე შეტანილი არ არის პოეტის არც ერთ თხზულებათა კრებულში. ამ სიტყვის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ იგი ლაკონურად აანალიზებს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქალის როლსა და დანიშნულებას. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით, ხსენებული სიტყვიდან მცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს შევთავაზოთ შემდეგი ვრცელი ამონაწერი: „ქართველი ერის ისტორიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ქალი... მოვიდა საქართველოში ვინმე ქალი კაპადოკიელი, მას ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა, და მის წინ პირქვე დაემხნენ მეფენი და მთავარნი, სარდალნი და დიდებულნი, ქალი და კაცი. მან დაამხო ძველი კერპები, რომელსაც თაყვანსა სცემდნენ ქართველნი. წმინდა ნინო შეიქმნა ქართველი ერის განმანათლებლად, მის ხულის განმასპეტაკებლად. ასეთი დიდია ქალის მნიშვნელობა სარწმუნოებრივ მხრივ. განვლო ხანმა, საქართველომ ბევრი ჭირი და ვაი-ვაგლახი გამოიარა, იგი დაკნინებული იყო. ბევრი წარჩინებული მოღვაწენი ილვწოდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის, განმტკიცებისათვის, ძლევა მოხილებისათვის. აქაც პირველობა ერგო ქართველ ქალს — თამარ მეფეს. მან თავისი გამჭრიახი გონებით და ძლიერის ნების ყოფით შექმნა ერთი მთლიანი საქართველო, ძლევამოსილებისა და განათლების ჯილით მოსილი. თამარ მეფის ხანა დღესაც ქართველობისათვის იდეალად არის შექმნილი თავისი მთლიანობისა და კულტურიანობის მხრივ. დადგა ქართველ ერისთვის შავბნელი ხანა. ურწმუნოთა ურდოები მთელი თავისი საშინელებით დააწვა პატარა საქართველოს და ქრისტიანობის ალმოფხვრას ლამობდა. ბევრმა ქართველმა შეიმოსა თავისი შუბლი მოწამობრივის შარავანდედით. მაგრამ აქ გამოჩნდა ქართველი ქალი ქეთევანი, ვინც თავისი საშინელი ტანჯვა-წამებით აღადგინა იდეალი ზნეობისა... ქართველ ხალხში ეხლაც არის ერთგვარი თამაში „სამაია“. სამი ქალი ჩაჭკიდებენ ხელს ერთმანეთს და ცეკვავენ. ნინო, თამარი და ქეთევანი სწორედ ეს „სამაიაა“ ჩვენი ერის ისტორიაში. ისინი ხელი-ხელ ჩაკიდულნი იცავდნენ ქართველი ერის სარწმუნოებას, ძლევამოსილებასა და ზნეობას“. სხვათა შორის, აკაკიმ თავისი ეს შეხედულებანი შედარებით მოკლედ ამდაგვარად ჩამოაყალიბა: „რჯულის მოძღვრები და მქადაგებლები არასოდეს არ ჰკლებია საქართველოს. მათ რიცხვში მოციქული პირველწოდებული ანდრია და სვიმონ ქანანელიც კი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ის ვერ შესძლო რაც ერთმა სუსტმა ქალმა განმანათლებელმა ნინომ. ურიცხვნი არიან ჩვენის ეროვნებისა და რჯულისათვის წამებულნი, მაგრამ ყველაზე უდიდესი მაგალითი — კი გვიჩვენა ქალმა ქეთევან დედოფალმა. მეფობა გორგასალნისა, ბაგრატებისა, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალისა და სხვათა შარავანდედს ჰფენენ საზოგადოდ მეფობის გვირგვინს. მაგრამ აქაც კიდევ ყველას აღემატა ქალი თამარ მეფე. ესენი არიან ისტორიული მოძღვრები სარწმუნოებისა, მოთმენისა და სიბრძნისა. ეს ციური ტრიუმვირატი მაღლით ნათელს ჰფენდა ჩვენის ცხოვრების გზას და ჩვენი დედაიც ამ უკვდავ იდეალების მოთაყვანე და მიმდევარნი, მათ შიგ ანარეკლის შუქით ბრწყინავდნენ, როგორც დედები და ცოლები!“ აქვე დავძენთ, რომ სულმნათ მოძღვარს თავის მხატვრულ-პუბლიცისტურ შემოქმედებაში არაერთხელ მიუმართავს ნინოს, თამარისა და ქეთევანის უწმინდესი სახეებისათვის, მაგრამ მათ შესახებ ამჯერად აღარ გავაგრძელებთ საუბარს და შემოვიფარგლებით ა. წერეთლის ერთ-ერთი ნაშრომიდან აღებული იმ პატარა ფრაგმენტით, რომელშიც ხსენებული სამი ღვთაებრივი მანდილოსნის გარდა, ზოგადად ქართველი ქალის რაობაზეც არის აზრი გამოთქმული. „საქრისტიანო ლეგენდა გვეუბნება,— ვკითხულობთ ამ ფრაგმენტში, — რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრიაო! ქრისტიანობა ქალმა შემოიტანა საქართველოში... წმინდა ნინომ მოჰფინა ნათელი, ტახტი აამაღლა ქალმა, თამარ მეფემ და მოწამეთა გუნდი გაანათლა ქალმა, ქეთევან დედოფალმა და ამ სამთა ზექალთა მაგალითი, შარავანდსა ჰფენდა საერთოდ ქართველ ქალებს. და ჩვენს დედებსაც ღირსეულად ეჭირათ დროშა. დედის რძესთან ერთად აწოვებდნენ სჯულისა და ეროვნების სიყვარულს, აკვანს რომ ურწევდნენ, მამა-პაპათა საგმირო საქმეებს უმღეროდენ და მით აჩვევდნენ საგმირო საქმეებს, ვაჟკაცობის დროს და ძმას ამხნევებდა, ცოლი ქმარს და დედა შვილს, ასე რომ მანქანად იმ საკვირველებისა, რომელიც ჩვენმა მამაპაპებმა ჩაიდინეს, იყვნენ ქალები“.

ა. წერეთელი ხშირად იხსენებდა სახელოვან წინაპარ ქალებს, მათ თავდადებულ მოღვაწეობას მამულისა და ერის კეთილდღეობის, ღირსეული მომავალი თაობების აღზრდისათვის და წერდა: „მართალია, ჩვენი ძველები სიღარიბეში და მოუსვენრობაში ყოფილან, მაგრამ მათი სიცოცხლე და მათი ცხოვრება ადამიანური იყო და ის ადამიანობა, როგორც სარკეში, ისე იხატებოდა დედათ სქესში: ისინი მამულის შვილებს ზრდიდნენ!.. სამშობლოსათვის თავსა სდებდნენ და არც ერის საქვეყნო საჭიროებას, შეძლებისა-დაგვარად უპასუხოდ არ აგდებდენ! თავის სამშობლოს მტერი საკუთარ პირად მტრად მიაჩნდათ და მოყვარე — მოყვრად. თავის თანამოძმე მამულის-შვილებს ჭირში და ლხინში მხარს აძლევდნენ როგორც საქმით, ისე სიტყვითაც და ამის გამო თვით საქართველოს მოსისხარ მტრებისაგანაც მოწონება ჰქონდათ“. ავლებდა რა პარალელს წინაპარ და თანამედროვე ქალებს შორის, მგოსანი გულწრფელად აღნიშნავდა, რომ თუმცა „დღევანდელ ქართველ ქალებსაც იგივე გარეგნობა და იმდენივე გრძნობა-გონება აქვსთ მინიჭებული ბუნებისაგან, როგორც და რამდენიც ჰქონდათ ძველ დედებს, მაგრამ მოხმარება და ქვეყნის გამოსადეგობა — კი სულ სხვაა! დროთა წინმსვლელობით, მართალია, დღევანდელმა ქალებმა მეტი იციან, ვიდრე ძველებმა. ძველებმა მეტად

ამაზე ნაკლები იცოდნენ, მაგრამ რაც იცოდნენ, ისიც კმარიყო ქვეყნის საკეთილდღეოდ: ნინოსებური სარწმუნოება, ქეთევანისებური თავგანწირვა და ტანჯვის ატანა და თამარისებური ბრძნული წინდახედული დიასახლისობა და ამაებს ყველას ერთად სარჩულად ედვა სიყვარული".

აკაკის ღრმად სწამდა, რომ მის სათაყვანებელ სამშობლოს ძნელბედობის ჟამს ისევ ქართველი ქალი თუ გამოიხსნიდა განსაცდელისგან: „ტყვილა კი არ არის ნათქვამი, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილ-ხვედრიაო! როგორც ლეგენდა, ისე ისტორიაც ბევრს მოგვითხრობს ქართველი ქალის სიდიადეზე. იმათმა მეცადინეობამ შეინახა საქართველო და იქვი არ არის, მომავალსაც ისინი მოგვიმზადებენ", რამეთუ „ქალები საზოგადოდ კაცებზე უფრო კარგები არიან ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში". პოეტს ოპტიმიზმით ავსებდა ის გარემოებაც, რომ: „ჩვენში საზოგადოდ ქალები რომ უდებენ გულს საზოგადო საქმეს, ისე კაცები ვერა!", ვინაიდან, მისივე სიტყვებით: „საზოგადოთ შემინიშნავს, რომ ქალები ჩვენში ყოველთვის უფრო სიმართლისაკენ იწევენ" და „როგორც დავკვირვებივარ ჩვენს ცხოვრებას, ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ის დასკვნა გამომაქვს, რომ ის საქმე, სადაც ქალები არ ურევიან, ვერ ხარობს. ისინი უფრო სიფრთხილითა და სიყვარულით ეკიდებიან მათგან არჩეულს, თუ სხვისგან დავალებულ საზოგადო საქმეებს, ვიდრე კაცები". აქედან გამომდინარე, — დასძენდა აკაკი, — „რომ საქმე კარგად წარიმართოს, საჭიროა საზოგადო საქმეში დედაკაცების დახმარებაც" და ამ რწმენით გულანთებული მხნედ აცხადებდა: „პირადად მე მრწამს, რომ დღევანდელ მომაკვდავ საქართველოს ქალები გამოაბრუნებენ", რადგანაც „ჩვენი მომავალი ქალების ხელშია".

ა. წერეთელი განსაკუთრებული სითბოთი კახელ ქალებს იხსენიებდა ხოლმე. „შედარებით სხვა მხრის საქართველოს ქალებთან კახეთის ქალები უფრო შესანიშნავნი არიან. ისე ლამაზი ვერ არიან, როგორც საზოგადოთ იმერეთის ქალები, მაგრამ ნაზ-იერობა მეტი აქვსთ" — წერდა იგი და თან დასძენდა: „ჩვენის ქვეყნის წარსულ ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უჭირავსთ საზოგადოდ დედებს და განსაკუთრებით კახელ ქალებს. თვით უპირველესმა ჩვენთვის მოღვაწე დედამ, წმინდა ნინომ, კახელი ქალები გამოირჩია ტოლ-ამხანაგებად, აქ გადმოესახლა და აქაურ დედებს ძეგლად და სახსოვრად დაუტოვა თავისი საფლავი".

ა. წერეთელი ქართველი ქალის ერთ-ერთ უდიდეს მისიად სამშობლოსათვის ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდას მიიჩნევდა. „ქალები! ქალები! და კიდევ ქალები!!! — ღაღადებდა სულმნათი მოძღვარი, — ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქართველები" ამის მისაღწევად კი „იმ გზით უნდა წავიდენ ჩვენი ქალები რომელიც დაგვიტოვა ჩვენ განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა და ისე, როგორც მოგვითხრობს მისი წიგნაკი „ბურჯი ეროვნებისა".

ვფიქრობთ, კომენტარს არ საჭიროებს დიდი ერისკაცის ელვარე სტრიქონები:

„ვინ სთქვა: „ქართველ ქალს მშვენება
მადლით არ მოჰმადლებია!"
არც ერთი ნიჭი ბუნების
რჩეულსა არ დაჰკლებია!.."
„ნახავ ქართველ ქალს, ვერ აშორებ თვალს
ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზია!..
იმის ერთ კოცნას შესწირავ სრულად,
შენი რომ იყოს მთელი აზია!!!"
„იქ, სადაც ქართველ ქალს ვერა ვხედავ,
არ მწამს მშვენება და იდეალი!"

ა. წერეთელი ქალს, როგორც ოჯახის უმთავრეს ბურჯს, ყოველთვის უზენაეს ფუნქციას აკისრებდა და ამასთან დაკავშირებით წერდა: „დედა-კაცი არის ჩვენის ცხოვრების გვირგვინი" და ამიტომ „ქმარშვილიანმა ქალმა, მოგეხსენებათ, უნდა იცოდეს ოჯახის მოვლა", რადგანაც „ქალი ოჯახის გვირგვინია და ქმარშვილი კი ქალისათვის სიტკბოება". გარდა ამისა, მგოსანი გულწრფელად აღიარებდა, რომ: „მართალია, საზოგადოთ ქალები მიგვაჩნია კაცებს რაღაც ცალმოგვ-ადამიანებათ; მაგრამ უნდა გამოვსტყდეთ, რომ ჩვენის ცხოვრების ქახრაკები კი მაინც ისინი არიან. ოჯახი — ეს პირველი ბიჯი კეთილ-წარმატებისა — მათ ხელშია. ისინი გვიზდიან შვილებს, ისინი გვივლიან მშობლებს და ისინი ჯერ ლობითა და მერე მეუღლეობით მძიმე ტვირთს გვიმსუბუქებენ". აკაკი განგების მიერ ქალისათვის ბოძებულ სწორედ ამ უკანასკნელ მოვალეობას — მეუღლეობას, ცოლობას უსვამდა განსაკუთრებით ხაზს, ვინაიდან ღრმად სწამდა: „ქალის უბიწო თანაგრძნობა ელექტრონის ძალაა მამაკაცისათვის კეთილ მისწრაფების დროს!..." „ცოლი ქმრის უღელტოლია!", რამეთუ „ცოლი ყველასფერში თანასწორია.., დიახ, თანასწორი და მიტომაც ჩვენ, ქართველები, მეუღლეს ვეძახით, ე. ი. თანასწორად უღლის გამწევს ცხოვრებაში".

ა. წერეთელი, მტკიცედ დარწმუნებული დარბაისელი, ოჯახის მოსიყვარულე დიასახლისის გონიერებაში, საჯაროდ აცხადებდა: „ყოვლად შეუძლებელია, რომ ჭკვიან ქალს ქმარი ხელიდან წაუვიდეს, სადაც უნდა იყოს, ადრე თუ გვიან, ერთხელაც არის, ოჯახს დაუბრუნდება", მამაკაცების გასაგონად კი იგი ბრძანებდა:

სხვებს ვისმეებს რაღას ეძებ,
როცა ცოლი გყავს მომხმარედ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გინათებს ცხოვრების გზას
დღისით მზედ და ღამით მთვარედ!

სულმნათი მგოსანი მაღალ მისიას აკისრებდა ქალს ერისა და ქვეყნის ზნეობრივად გასპეტაკების საქმეშიც. ამასთან დაკავშირებით ის წერდა: „დავარდნილს საზოგადოებაში ყველაზედ პირველ ეცემიან ქალები და ხალხის გამოფხიზლების დროსაც პირველი ნიშნები მათში იხედებიან" და ეს იმიტომ, რომ: „თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგას და, თუ დაბლად არიან, ხალხის ცხოვრებაც იცარება და ეს უეჭველად ასეც უნდა იყოს, რადგანაც ქალია ბურჯი და ქვაკუთხედი, როგორც კერძო ოჯახისა, ისე საზოგადოსაც, ე. ი. მთელის მისის ქვეყნის, მისი სამშობლოსი", ასე რომ, — დასძენდა აკაკი, — „მე არ მიმაჩნია ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხალი არ მოფრენილა. არა მრწამს საზოგადოების გამოღვიძება მაშინ, როდესაც ქალებს კი სძინავთ", ვინაიდან „ქალია საზოგადოდ „ქვეყნის მარილი" და ეროვნებაში — კი ეკალიცა და ყვავილიც, ბორკილიცა და გვირგვინიც. ეს იმაზეა დამყარებული, თუ რომელ გზაზე დგანან: საწალმართოზე, თუ საუკუღმართოზე? საჭიროა იმათი აღზრდა, რომ დედებად ივარგონ და „ხე ნაყოფისაგან საცნაურ იქნეს".

ა. წერეთელი ქვეყნის სოციალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალის როლს ადარებდა ბარომეტრს და აღნიშნავდა: „როცა შეტყობა უნდათ წინდაწინ ამინდის, ბარომეტრში ჩაიხედავენ ხოლმე; რომელიმე ხალხის გაცნობა თუ გინდა, ჯერ ქალები უნდა გავეცნოთ, როგორც ეროვნების ბარომეტრი", რამეთუ „...ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორიც ბარომეტრი ტაროსის". ერთი სიტყვით, დიდი პოეტი თვლიდა, რომ: „ერთა ცხოვრებაში საზოგადოდ ქალებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ბარომეტრს ჰაერის ცვლილებაში", რადგანაც „...ისინი ხალხის ზნეობის ბარომეტრები არიან". ჩვენი აზრით, ღმერთის მიერ მანდილოსნებზე დაკისრებულმა სწორედ ამ მაღალმა ფუნქციამ ათქმევინა მგოსანს: „ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს"-ო.

ა. წერეთელი თვლიდა, რომ, მართალია: „მორცხვობა დედაკაცის ერთი მშვენებათაგანია საზოგადოთ", მაგრამ ვერავითარი მორცხვობა ვერ დაუოკებს ქალს სწრაფვას სილამაზისაკენ და მშვენიერთა სქესის წარმომადგენლების ამ გატაცებას მგოსანი თავისებურად ხსნიდა. კერძოდ, იგი წერდა: „თუ დაუჯერებთ ბიბლიურ მითოლოგიას, რომელს ბრძნული სარჩული უძევს, პირველი ქალი, ევა, ადამის გვერდიდან არის გამოღებული და ჩვენ მამა-კაცები კი მერე მათგან წარმოშობილი და მაშასადამე ადამის მემკვიდრეობაც იმათ მეტი ეკუთვნისთ ჩვენზე, რაიცა გამოიხატება გადაჭარბებულ თავის მოწონებაში. მამა-კაცის თავმომწონეობას ბევრი დარგი აქვს და ქალისას კი ერთი: მისი წარმოდგენილი თავმომწონეობა მთლიანად მხოლოდ სილამაზეშია გადატანილი. დაუდევით მამაკაცს ერთი მხრით სილამაზე, მეორეთი სიმდიდრე და არჩევანში შეიყვანეთ, ის სიმდიდრეს მოჰკიდებს ხელს. იგივე სარჩევი მიეცით ქალს და ის უეჭველად სილამაზეს... მშვენიერებას წაეპოტინება. — რათ ასე სწყურია, ქალს მშვენიერება? მიტომ, რომ ის, ესე იგი, სილამაზე, გზა და ხიდია სიყვარულისაკენ, რომელიც ქალისათვის ყოლიფერია, თვით სიცოცხლე და სიცოცხლეზედაც მეტი!.. სიყვარული მამა-კაცისათვის სიტკბოებაა... ნეტარებაა! მაგრამ იმდენათ ვერ გაიტაცებს რომ გონება დაჰკარგოს! და ყოველგვარი მოვალეობა მსოფლიური დაივიწყოს!. ქალისათვის კი, როგორც ზემოცა ვსთქვით ყოლიფერია... წმინდაწმინდათა!... ვინც უყვარს იმას სწირავს თავის სულის დგმას... თავისს გულის თქმას... აღიარებს მის რჯულს და მიდის იმ გზით, რა მიმართულებისაც მისი სათაყვანოა. აქ ლაპარაკია ნამდვილ-სიყვარულზე და არა გაფოლორცებულზე". ამიტომაც იყო, რომ აკაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის სიყვარულს მამაკაცის სულიერად აღზევებასა და ზნეობრივად განწმენდაში, რამეთუ მტკიცედ სჯეროდა, რომ სწორედ ქალებმა „...უნდა დანერგონ ჩვენში სიყვარული, რომელიც აპატიოსნებს კაცს და რომლის საფუძველი არის პატიოსანი შრომა და განათლება!" მართალია, მგოსანი იქვე დასძენდა, რომ: „საზოგადოთ ქალებს ხასიათის სისუსტეს უწამებიან, მაგრამ მე კი იმ აზრისა გახლავარ, რომ ისინი ჩვენზედ უფრო გულ-ჩვილი, გრძნობიერი და ბუნება თანა-ზიარი არიან და ამის გამო ავიცა და კარგიც მათ უფრო მალე დაეტყობათ ხოლმე". ამის უმთავრესი მიზეზი კი ის არის, მიმართავდა პოეტი ქალებს, რომ: „დედაკაცის სიყვარულში მხოლოდ გული მუშაობს, და მამაკაცის სიყვარულში კი გულს თავიც ეხმარება. ამისათვის თქვენი სიყვარული უფრო ბრმა არის და ჩვენი კი წინდახედული", თუმცა ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან „სადაც გულია, იქ ხომ ქალების სამთავროა?!" ამასთან ერთად, დიდი მამულიშვილი თვლიდა, რომ „ქალი სიყვარულში სიკვდილამდე მცირეწლოვანია", რის გამოც „ქალები საზოგადოდ ცნობისმოყვარულნი არიან, განსაკუთრებით სიყვარულის ამბებს გულმოდგინედ დაუგდებენ ხოლმე ყურს".

ა. წერეთელი ქალის შესახებ მსჯელობისას საგანგებოდ აღნიშნავდა დედაკაცის ბუნებისათვის დამახასიათებელ შემდეგ თვისებასაც: „მისთანა მახინჯს ქალს ვერ ნახავთ, რომ თავი ლამაზი არ ეგონოს, რაც უნდა უშვერი იყოს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედან შეზღუდულობით მაინც გამოძებნის ერთ რამეს თავისს მთელ აგებულებაში დაფარულს ან ფერჩხილს, ან თითს, ან გვერდს ან გულმკერდს და ან სხვა რამე დაფარულს და იმაზე გადაიტანს გადაჭარბებულ წარმოდგენას და თავი მაინც ლამაზი ჰგონია!" რაც შეეხება დიდი აკაკის სიტყვებს: „ნურავინ დაიჩემებს გულგრილობას მაშინ, როცა მის წინ სდგას ლამაზი ქალი, რომლის თვალებშიაც ღრმა ჭკუა იხატება და სახეზე მაღალი გრძნობა!.." ვფიქრობთ, რაინდი მამაკაცებისათვის ისინი ზედმეტ კომენტარებს არ საჭიროებენ.

დაბოლოს, ა. წერეთელს მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებზე ზემოაღნიშნულთან ერთად ეკუთვნის, ცოტა არ იყოს, „მწარ-მწარე" გამოთქმებიც. აი, ზოგიერთი მათგანი: „ბიჭობის მჩემებელი ქალი ისე სასაცილოა, როგორც ძალიან თავგაქალიანებული ხარდანაპალი!..", „გააფთრებულ დედაკაცთან საქმის დაჭერას ტარტაროზის ჩხუბი სჯობია"; დედაკაცის ბუნებას ცოტა გააზარებს... სუსტია!.." „ეს ბუნების წესია: ხშირად დედაბერი უცხარდება და ამტვრევს იმ სარკეს, რომელიც აჩენს მის უსახობას"; „მანდილოსანი თუ გაჯინდა, ბატონო, და შეჯდა ეშმაკის ჯოხზე, ვინდა გადმოახტუნებს?!"; „მე იმისთანა ქალების არა მწამს-რა, ყოლიფერი რომ იციან, მაგრამ თავისი ქვეყნისა კი არა გაეგებათ-რა!"; „სწორედ ეშმაკის გამოგონილი არიან ცოლები... უნდათ ქმარს გადენენ ცხვირში და უნდათ თავს წაგცხებენ ტუჩებზე"; „უკაცრავად პასუხია და ერთი ფინია — დედაკაცი ლომივით ვაჟკაცს შეაწუხებს!" „ქალები უფრო თანამედროვების მიმყოლნი არიან და იმას ამხანურებენ გულისთქმას"; „ქალი რომ ერთს უკანონოდ გაჰყვება, ის სხვებსაც არ უარჰყოფს"...

„დედობა და ცოლობაა
პოლიტიკა ქალის მარტო!.."

„რად დამცირდა? ვინ დაჩაგრა
დღევანდელი ქართვლის ქალი?
მხოლოდ მან, რომ სხვაგვარია
დღეს იმისი იდეალი".

....ქალი სუსტია,
კაცის ოდნობას როგორ შეიძლებს!"

„ზოგიერთი დედაკაცი, — ვის არ
მოეხსენება, —
პირს დაუწყებს წლაკუნსა, რომ რამ
მოეწონება,
რადგანაც იმას იმ დროსა საჭმელი
აგონდება,
თორემ ესტეტიკისა მას არრა ეყურება"
და სხვ.

მართალია, სულმნათი მგოსანი არ მალავდა, რომ: ამ ჩემმა ხელობამ ბევრი სიმწარე გამომაცდევია და ვინ იცის რამდენჯერ გამისქდებოდა გული, რომ აქა-იქ თანამგრძნობლები არა მყოლოდა, უმეტესათ ქალებში მათის გულკეთილობით და ახალგაზრდებში მათის გულუბრყვილობით, რისთვისაც საჯაროთ ვსწირავთ მათ მადლობას", მაგრამ, ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვის კარგად უნდა იყოს ცნობილი ის, თუ რამ განაპირობა პირად ცხოვრებაში იმედგაცრუებული აკაკის მიერ მოხსენიებული „სუსხიანი" სტრიქონებისა და პამფლეტური სტროფების საქვეყნოდ გამომზეურება.

ამრიგად, წინამდებარე პუბლიკაციაში შევეცადეთ მოკლედ წარმოგვეჩინა დიდი ქართველი პოეტისა და კლასიკოსის ა. წერეთლის შეხედულებანი ქალის შესახებ. ცხადია, ამ საკითხზე შეიძლებოდა უფრო ვრცელი მასალის მოტანაც, მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ ზემოთქმულიდანაც ნათლად და მკაფიოდ ჩანს ის უზენაესი მისია, რომელსაც დიდი პოეტი აკისრებდა ქალს ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნისა და მამულის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი სინჯარაძე



# მითოლოგიური ელემენტები ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნააზრევში

ილიას შემოქმედება მრავალმხრივ არის შესწავლილი და გამოკვლეული. მიუხედავად ამისა, ილიას მემკვიდრეობა ჯერ კიდევ მოიცავს საკითხთა წრეს, რომელიც ყურადღებას და გაანალიზებას საჭიროებს. ამჯერად გვაინტერესებს ილიას მხატვრული შემოქმედების ზოგიერთი ასპექტის განხილვა მითოლოგიის საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშკარა მითოლოგიური სიმბოლიკა არ არის ილიას პოეტური სამყაროს ნიშანდობლივი და განმსაზღვრელი თვისება. თუმცაღა ინტერესმოკლებული არ არის ილიას პუბლიცისტიკაში გაბნეული ზოგადთეორიული შეხედულებანი შედარებითი მითოლოგიის კვლევის შესახებ *.

ილიას მთელი შემოქმედება მჭიდრო კავშირშია ქართულ აზროვნებასთან, ქართულ მწერლობასთან. ილიას მემკვიდრეობაში გამოძახილს პოულობს არა მარტო დიდი ლიტერატურული ტრადიციები ჩვენი ეროვნული მწიგნობრობისა, არამედ ის უძველესი ფესვებიც, რომელიც ასე ნიშანდობლივია ქართული მითოსური ცნობიერებისათვის.

---

*. იხ. „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, მ. ჩიქოვანის წერილი „ილია ჭავჭავაძე და ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხები“, ტ. I, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960 წ. გვ. 113-125: ქს. სიხარულიძე „ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება“, სახელგამი, თბილისი, 1956 წ. გვ. 17-19.

მითოლოგიის მოშველიებით ვეცდებით, გავარკვიოთ მყინვარის სახე და, აქედან გამომდინარე, ბეთლემის გამოქვაბულის არსი და მიზანდანიშნულება ილიას შემოქმედებაში.

„მიწა-წყალი“, — სადაც საყმო სახლობს, წმინდა მიწა-წყალია, რადგან ის ჯვარის მიერ არის მოპოვებული და ამ მოპოვების ძალით გამოკვეთილი დანარჩენი სამყაროსგან. ის წმინდაა ერთიანად, მაგრამ საყმო მასში განიცდის და აღიარებს ისეთ ადგილებს, რომლებიც განსაკუთრებული სიწმინდით არიან მოსილი. ამ ადგილებს საყმო კვრივს უწოდებს... ეს სიტყვა საყმოს საკრალურ ლექსიკაში ნიშნავს როგორც ფიზიკურ შეუღწევადობას, ასევე ზნეობრივ შეუვალობას... ფიზიკური შეუღწევადობა ზნეობრივი აკრძალვის მეტაფორაა“ (ზ. კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა. თბ., თსუ. 1985 წ.).

ილიას ბეთლემი თავისი მიუვალობით სწორედ ასეთი ადგილია. „განდეგილში“ ბეთლემის სიწმინდე, საკრალურობა, მიუვალობა მეტაფორულ გადააზრებას ქმნის საქართველოს მიწისას, რომ ეს არის წმინდა მიწა. აქედან გამომდინარე, მყინვარი წმინდა მიწაა, საქართველოა და ამ მიწაზე მცხოვრებ ხალხს მართებს განსაკუთრებული ქცევა, როგორც კვრივში მოხვედრილ ადამიანს. ესე იგი, შეგნება იმისა, რომ ის წმინდა მიწის მკვიდრია და, ამდენად, უფლება-მოკლებულია ზნეობრივი სახის დაკარგვისა. ილიას ინტერესთა სფეროც ხომ იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე აღედგინა ზნეობადარღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეული საქართველო. ამიტომ მოწოდებად გაისმა მისი ხმა: „ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული".

ილიას განმარტება მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ზნეობრივი სრულყოფილების გზით ეროვნული თავისუფლებისაკენ.

მყინვარი — მთა — სულიერ სიმაღლედ, სიწმინდედ გაიაზრება ილიას შემოქმედებაში, მისი ამგვარი აღქმა ხალხური შემოქმედებიდან არის შესული ილიას პოეტურ სამყაროში.

მყინვარი—კავშირი მიწისა და ცისა—ის ადგილია, საიდანაც იფინება სიწმინდე. სწორედ აქ მოევლინა ილიას საქართველოს უკვდავი სული. მყინვარი საქართველოს ფიზიკური სხეულია. მას წიაღში მოთავსებული ბეთლემის გამოქვაბული კი სული. ქვეყნის სრულყოფილი არსებობისათვის აუცილებელია ამ ორივე კომპონენტის ჰარმონიული შერწყმა. რამდენადაც „ცხოვრება ერთი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, — გვამი ერისა მკვდარია".

არ იყო შემთხვევითი ქართველის ცნობიერებისათვის, რომ მიჯაჭვული გმირის, ზოგადად გმირის, ადგილსამყოფელად გამოქვაბული მიიჩნია. „თქმულების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით კი „ამირანის განთავისუფლების ცდების" ციკლი მიჯაჭვული გმირის სამყოფლად გამოქვაბულს აღიარებს... იესოს მსგავსად, ამირანი საუკუნეობრივი წამებული გმირია. იგი ხალხისათვის ეწამა და კვლავ ოცნებობს, როდის დაუბრუნოს ხალხს უსისხლო პურის ჭამის დრო. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, მისი ბიოგრაფიის სიმბოლური მხარე" (მ. ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი", 1947 წ.).

ყოველივე ამით, რასაკვირველია, არ ვაიგივებთ ამირანსა და ილიას ბეთლემის განდეგილს. ჩვენთვის ამირანის გადმოცემა საინტერესოა, როგორც ძველისძველი ეროვნული თქმულება გმირის შესახებ, „რამდენადაც ამგვარი პოეტური შემოქმედებითი პროცესი ემთხვევა ეროვნების ყალიბობის პროცესს და მის ერთგვარ იდეოლოგიურ უკუფენას წარმოადგენს" (მ. ჩიქოვანი, იქვე).

ქართული აზროვნებისათვის ნიშანდობლივია, რომ ბეთლემის კარზე წარმოიდგინა ვოჟა ჯურხაის — გმირის ფარი და ამით სამოქალაქო ასპექტი შეიტანა სარწმუნოებრივ სფეროში. ბეთლემი — ერისთვის წმინდათაწმინდა, საკრალური მნიშვნელობის ადგილი, ქრისტიანული მოსაზრებით — ქრისტეს შობის — ადგილი, ერის სულიერი საზიზარის საუფლო ქართველი კაცის უკიდეგანო, მაგრამ მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულით გალაღებულმა ფანტაზიამ მოქალაქეობრივ ასპექტს დაუქვემდებარა და წარმოსახვა იმდენად გაიფართოვა, რომ ბეთლემზე სახალხო გმირის — ვოჟა ჯურხაის ფარიც კი დაკიდა:

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წყურვილი,
ხანდახან შასძრავს ქარიო.

არ არის ინტერესმოკლებული, რომ ამ ლექსის ერთ-ერთი ვარიანტი თვითონ ილიას ჩაუწერია, ხოლო ჩამწერი თავდაპირველი ვარიანტისა ყოფილა ალ. ყაზბეგი. აი, ილიასეული ვარიანტი ლექსისა:

ლაშქარის ჯვარსა ჰკიდია
ლალის ჯურხაის ფარიო,
მოუვლის ომის სურვილი,
ხანდისხან შეჰსძრავს ქარიო.

როგორც ვხედავთ, ლექსის ერთი ვარიანტიდანაც და მეორედანაც გამომდინარეობს უმთავრესი გამაერთიანებელი ხაზი — სარწმუნოებრივ სფეროში ეროვნულ-მოქალაქეობრივი ელემენტის შეტანა: იქ ბეთლემია, აქ ლაშარის ჯვარი — ქართველთა სალოცავი.

ერთის მხრივ, აქ ცხადდება, რასაკვირველია, ქრისტიანობის უნივერსალიზმი, მეორეს მხრივ, ქართველი კაცის ფენომენი — მოარიგოს ერთმანეთთან სარწმუნოება და მამულის სიყვარული. გამოდის, რომ ქრისტიანობა ქართველისათვის „პირადი რელიგიაა".

უველაზე მთავარი გასათვალისწინებელი და აუცილებელი კვრივის არსებობაა. „მისი არსებობა როგორც წმინდა ადგილისა, აუცილებელია დასახლებულ ტერიტორიაზე. ის შეიძლება ითქვას, ქვეყნის მარილია, რომლის განქარვება შლის, არღვევს მიწას, ქვეყანას, ადამიანთა საცხოვრისს... უხილავი ზღურბლი საყმოს ცოცხალ განცდაშია ჩაბეჭდილი, ის მიჯნავს ხილულს უხილავისაგან, ადამიანურს ღვთაებრივისაგან, ფიზიკურს სულიერისგან, დასახლებულს დაუსახლებლისაგან. აქ ვაწყდებით კვრივის პარადოქსს: კვრივი პრინციპულად დაუსახლებელია, — ასეა ყველგან ტრადიციულ საზოგადოებებში" (ზ. კიკნაძე, იქვე).

ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარად შეგვიძლია, დავძებნოთ ანალოგიები ილიასთან. კვრივი დაუსახლებელია, მყინვარიც დაუსახლებელია; სინას მთა ადგილია უფლის გამოცხადებისა; მყინვარის ბეთლემში დაბინავებულ განდეგილს უფალი ეცხადება მზის სახით; კვრივთან მიკარება შეუძლებელია, მყინვარის ბეთლემთან მიკარებაც შეუძლებელია.

გამოდის, რომ დაუსახლებელი მყინვარისა და მასში მოთავსებული ბეთლემის გამოქვაბულის არსებობა აუცილებელია დასახლებულ ტერიტორიაზე. რამდენადაც ის „ქვეყნის მარილია", კვრივის მსგავსად, რომლის განქარვება შლის, არღვევს მიწას, ქვეყანას, ადამიანთა საცხოვრისს. ილიას ხედვაშიც იმიტომ შემოდის მყინვარი, რომ ილიას თანამედროვე საქართველოსთვის გაუგებარი და მიუღწეველია ის სიდიადე და სიწმინდე, რასაც თავის თავში მოიცავს მყინვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას სურს, დაანახვოს ქართველობას, რომ საზოგადოება გაორებულა. მწერალი ცდილობს, შეაგნებინოს მას მყინვარის მნიშვნელობა, მაგრამ მისი ხმა რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. ქართველობის ცნობიერებაში განქარვებულა მყინვარის — სამშობლოს განუზომელი დანიშნულება. ამ უწინაცხი კანონის განქარვება კი შლის,, არღვევს მიწას, ქვეყანას, ადამიანთა საცხოვრისს. ილიას თანამედროვე საქართველო სხვა არაფერია, თუ არა დარღვეული მთლიანობა — დარღვეული მიწა, ქვეყანა, ადამიანთა საცხოვრისი.

განდეგილი — ზოგადკრებითი სახე ქართველობისა — ამ ალეგორიის, ესე იგი მყინვარის ბეთლემის აღმოჩენა-გაცნობიერებით იქცევა რელიგიურ ადამიანად, რაც ილიას საუკუნეში უიშვიათეს, არარსებულ თვისებად იყო ნაქცევი, უსუსურობამ, სულიერმა სიბერწემ, მოყვასის განუკითხაობამ, ქრისტიანობის, ვითარცა სულის განმწმენდელი და ამამაღლებელი რელიგიის უკუგდებამ ერს ერობა დააკარგვინა და, ილიას თქმით, საძოვარზე მიშვებულ ფარას მიამსგავსა. ამ საქვეყნო წყლულის მოშუშება მხოლოდ ერთი რამით იყო შესაძლებელი — რელიგიური ცნობიერების აღორძინებით.

ეს იყო უმთავრესი და უზარმაზარი პრობლემა ყოფნა-არყოფნისა, რომელიც დროულ გააზრება-გადაჭრას საჭიროებდა. ეს საშიშროება ძალუმად იკრებდა ლონეს ილიას საუკუნეში. აუცილებელი იყო შეჩერება, კატასტროფა პროგრესირებადი სისწრაფით ახლოვდებოდა: სრული ურწმუნოებას, რელიგიის უკუგდებას დაემატა ერის ინდივიდუალობის უმთავრესი ნიშნის — ქართული ენის აბსოლუტური იგნორირება.

ილიასთვის, ვითარცა იაკობისთვის, „ხსნა გზისა“ — იყო „პირადი რელიგია“, რომელიც ერთი სიტყვით განისაზღვრებოდა: „მამულიშვილობა“. ეს იყო რელიგია, რომელიც უნდა გაეზიარებინა და შეეთვისებინა ილიას ქართველობას; ამაში იყო დიდი საიდუმლო ხსნის გზისა. მხოლოდ ამ გზის გავლით, ამ მართლაცდა ერისთვის გოლგოთად ქცეული გზის გავლით შეიძლებოდა ეროვნული თავისთავადობის, ჩვენივე თავისა და რაობის მოპოვება.

კერია არის არა მარტო წმინდა ადგილი, რელიგიის დასაბამი, არამედ მარეგულირებელი ადამიანში, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამშობლოს სიყვარულის გრძნობისაც. რამდენადაც აქ მოქმედებს განზოგადების პრინციპი, საყმოს ცნობიერებაში კერიის დაცვა და საწმინდის ხელშეუხებლობა ვრცელდება ზოგადად სამშობლოს დაცვასა და ხელშეუხებლობაზე.

ბეთლემში მოხვედრა ჭაბუკით შეიძლება. ჭაბუკი რელიგიის სიმბოლოა. „ეს არის კავშირი ფენომენურ და ტრანსცენდენტურ სამყაროთა შორის. აქ ისიც საცნაური ხდება, რომ საქართველო ახალ ჭაბუკზე გადის გზა მხოლოდ რჩეულთა და წმიდანთა, გზა კერიათა კერიისაკენ, სადაც დიდი საიდუმლოა დამარხული“ ([illegible]ნაძე, იქვე).

ილიას განდეგილიც მხოლოდ რელიგიის გზით — ჭაბუკის ავლით — ხდება ღირსი ბეთლემში დამკვიდრებისა. ჩვენში ქრისტიანობა იმდენად შეეზარდა ეროვნულ ცნობიერებას, რომ ქრისტიანული აღმსარებლობის შენარჩუნება ეროვნული მეობის შენარჩუნებას ნიშნავდა: რელიგიას უნდა დაებრუნებინა ქართველობისათვის ის მამაპაპეული სულიერება, რამაც ათასწლეულები გამოატარებინა ერს, სულიერებას მოკლებული, ფიზიკური არსებობისთვის მიდევნებული ქართველობა კვდომის პროცესს განიცდიდა. „მოაზრე ცხოვრება ვეღარ დაიძროდა ადგილიდამ და შედგა, თითქო ერთს ადგილს შეიკრა და გაიყინაო“, — ბრძანებს ილია.

უსულდგმულო ცხოვრება ილიასთან „ერის უქმობას“ ნიშნავს. ცის ნიჭი, ანუ ღვთის ნიშანი მხოლოდ საქმით მეტყველ „სულს აცისკროვნებს“, საქმით მეტყველი სული კი ისევე მარადიულია, დაუსაბამოა, როგორც თვით უფალი „სულის შთამბერველი“, უკვდავებას ის ეზიარება, ვინც ღვთაებასთან მიახლოებას შესძლებს. ღვთაებასთან მიახლოება მხოლოდ ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს ხელეწიფება. ის, ვინც თავისი სიცოცხლით — „კარგი საქმით აღნიშნავს თავის დროსა!“ ამ გზით უკვდავების მოპოვება ღმერთთან ზიარების ტოლფასი და თანაბარია.

მხოლოდ ქრისტიანობის გზით იყო შესაძლებელი ერისთვის ეროვნული თვისობრიობის დაბრუნება. ამიტომაც ილიას განდეგილი ჭაბუკით ადის, ესე იგი, რელიგიის გზით ხვდება ბეთლემში. ჭაბუკითვე ადის გამოქვაბულში მწყემსი ქალიც.

მთისა და ბარის რელიგიური კონსოლიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ მთის სალოცავები საქართველოს ქრისტიანული ცენტრების სახიზრების დანიშნულებას ასრულებდა. ილიასთვის რელიგიური კონსოლიდაციისაკენ სწრაფვა განუზომელი იყო, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობდა საქართველოს პოლიტიკურ-ეროვნულ გაერთიანებასაც. ქრისტიანობა ხომ, ილიას თქმით — ჩვენში ნიშნავდა ქართველობას, მთელ საქართველოს მიწა-წყალს.

ილიამ იგრძნო დიდი საშიშროება. დაცარიელებულიყო ქვეყანა. ამ საოცარ, მამა-პაპის სისხლით გაჟღენთილ მიწაზე ადამიანი არ მოიძებნებოდა, რომელსაც ქვეყნის ტკივილით ასტკივდებოდა სული, არ მოიპოვებოდა „ნაციონალურად ენერგიული ხასიათი“, —ენერგიული პიროვნება“ (ქართული ლიტერატურული ესსე, თბ., 1986 წ.), არადა „ნაციონალურად ენერგიული ხასიათის პიროვნება“ ილიას საუკუნეში გმირის სინონიმად ქცეულიყო. ილიამ. დიდმა მოაზროვნემ, ეროვნული ტკივილის ქურუმმა იცოდა ამ სიცარიელის ფასი, ამიტომაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააბინავა თავისი განდეგილი უკაცურ, დაუსახლებელ მყინვარში, რომ ეჩვენებინა ის სულიერი სიცარიელე, რაც იმდროინდელ ქართველობას დასტყობოდა. ილიასთვის კარგად იყო ცნობილი ის დამღუპველი შედეგი, რაც გამოფიტულ, უსაგნო ცხოვრებას მოჰყვა. და, აი, ილიას შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გმირის, „ნაციონალურად ენერგიული ხასიათის“ პიროვნების, მამულიშვილის ძიება ხდება. „ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“.

თითქოს ყველაფერი ხურვილის, იდეის დონეზეა დამდგარი. იყო და აღარ არის, რომანტიკული ხედვისთვის დამახასიათებელი განწყობაა — „წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა, ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია“.

ყველაფერ ამის გამო, უფრო სწორად, ყველა ამ თვისებათა უქონლობის გამო ილიას ქართველობა წინაპარ ქართველთა აჩრდილად ესახება. ამიტომაც არის, რომ მარადი, უკვდავი სულიც კი ილიას აჩრდილის სახით წარმოუდგება და რატომღაც თანამდევი სული სწორედ მყინვარზე მდგომი მოევლინება, რომელიც მყინვარიდან დაჰყურებს სრულიად საქართველოს და წარსულზე რომანტიკული ხედვით განიცდის ილია საქართველოს აწმყოს, საფუძველს ძალმოსილებისას წარსულში ეძებს და მომავალს წარსულისა და აწმყოს შეჯერების ფონზე ხახავს.

ილია გვიჩვენებს თავის თანამედროვე მეშჩანურ, გამოფიტულ საზოგადოებას. ფაქტობრივად, აქ მოიაზრება ისევ გმირის ძიება, ნაკლებობა იმ სულიერი ღირსებისა, რომელსაც გმირობა მოიცავდა თავის თავში... „ჩვენში ხორციელი თვალი უნდა მოქმედებდეს, ვიდრე თვალი სულისა... ჩვენში უფრო ადვილად წარმოსადეგია „შლიაპიანი“ და „ტურნურიანი“ ქალი ქმარს შემოსწყრეს და კიდეც გაეყაროს,—ჩოხა რად გაცვია და ყალმუხის ქუდი რადა გხურავსო, ვიდრე იმის გამო, რომ გმირი არ ხარო“.

ამით ილიას უნდოდა შეეხსენებინა თანამემამულეებისათვის, თუ რაოდენ შორიშორს დარჩა ერთმანეთისგან რუსთაველის საქართველო და ილიას საქართველო. თუ რუსთაველის საქართველოში გმირობით განისაზღვრებოდა ყველაფერი, ილიას საქართველოში გაფეტიშებული იყო მეშჩანური ინტერესები, „თვალი ხორცისა“ აღზევებულიყო, „თვალი სულისა“ კი დაბრმავებულიყო.

მითოსურ პლანში გმირის ძიება წარმოდგენილია ლექსში „ბაზალეთის ტბა“. აქ არის სახწაულებრივი თანადამთხვევები ბეთლემის გამოქვაბულში მდგარ ოქროს აკვანთან.

ილიას პოეტურმა სამყარომ აკვანი ბაზალეთის ტბაში ჩადგა, წყალი — აღორძინებისა და განახლების სიმბოლო ილიას გენიამ გმირის აღდგომისათვის შემოინახა. ფოლკლორული ტრადიციის მიხედვით გმირი ყრმობისას წყლის სტიქიას გაივლის.

ბეთლემის გამოქვაბულის ოქროს აკვანს მტრედები დასტრიალებენ თავს. ილიას ოქროს აკვანს სირინოზნი ეხვევიან. ბაზალეთის ტბის წალკოტი ისეთივე მიუღწეველია, როგორც ბეთლემის გამოქვაბული. აქ ისევ და ისევ „ფიზიკური მიუწვდომლობით სულიერი მიუწვდომლობაა გადმოცემული“, როგორც ეს ზემოთ გვქონდა მინიშნებული:

ილიას „ბაზალეთის ტბაში“ შეიგრძნობა ზალხური იავნანას განწყობა. აქაც გმირის ძიების პრობლემა იკვეთება. ამ მხრივ საინტერესოა ინგილოებში შემორჩენილი „ნანა“.

დუშმან ბევრ გყავ, დაი
საქმეი ბოლო გოქ, დაი
შენ რუმ გაიზრდები, დაი
ხანჯალს მოგცემ, დაი
მამულს მოუარ, დაი
შემოამაგრ, დაი
დაი, დაი, დაი, დაი, დაი.

ლექსი ჩვენთვის საგულისხმოა იმითაც, რომ აშკარად იგრძნობა მითოსური აზროვნება. მოხმობილია იგივე მითოსური სახეები — ოქროს აკვანი, ოქროსქოჩრიანი ბატონიშვილი, ისე რომ „ბაზალეთის ტბასთან“ სიახლოვე ნათელია.

ბეთლემის ოქროს აკვანში ყრმა ქრისტე წევს. ილიას ბაზალეთის ტბაში ჩადგმულ აკვანში კი ყრმა, რომელსაც ჩუმის ნატვრით ჰნატრულობს ქართველი. ეს იყო მოაზრება — გმირის აღდგომის, ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენის, საუკუნეებში გამოტარებული, საუკუნეებს გადარჩენილი ეროვნული ენერგიის. არ არის შემთხვევითი აქვე მოხმობა თამარის სახელისა — თამარის საქართველო სიძლიერისა და ეროვნული პოტენციალის სადიდებელი — ყველა ეპოქის ადამიანის საოცნებო საქართველოა. ეს არის იდეალი საქართველოსი.

ამ ლექსშიც ქრისტიანობა მოქალაქეობრივ ასპექტშია გადატანილი. აქ ნაგულისხმევია მსხვერპლშეწირვის აქტი. ქრისტე ჯვარს ეცვა იმისთვის, რომ კაცობრიობის ცოდვანი ეტვირთა. ილიას ყრმა — მომავალი გმირი მსხვერპლშეეწირება მშობლიურ ერს.

ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ „ბაზალეთის ტბა“ და პოემა „განდეგილი“ 1888 წელს დაიწერა. „განდეგილის“ დაწერის მიზანი ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების გამოღვიძება, გმირის ძიება იყო. 1888 წელსვე იწერება ილიას შინაური მიმოხილვა (XXIV), სადაც ილია ფაქტობრივად, ნათელს ჰფენს „განდეგილში“ დასმულ პრობლემას: „აღარავის ახსოვდა მაშინ, რომ ეგ საზოგადოებრივი ასპარეზი იყო დიდ სამსხვერპლოდ გადაქცეული და სამსხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რპლოზედ იკვლოდნენ და იწირვოდნენ ძენი მამულისანი, რომ ეს უკანასკნელნი მათხავით ძვირად არ აფასებდნენ თავიანთ თავს. თითონ ხორცსა და ამ ხორცის მხოლოდ ხორციელს არსებობას, უსულოდ, უგულოდ, ქვეყნისათვის თავგამოუდებლად, მისთვის თავშეუწუხებლად".

ილია ერთ-ერთი პირველი ინიციატორი და ამაღორძინებელია ერისა. ნეტარ მამათა ცხოვრებაც მყინვარში ესაჭიროება იმდენად, რომ დავიწყებული წარსული შეახსენოს ერს და ის ღირშესანიშნაობა ადამიანურად ცხოვრებისა, მამულიშვილობა, ქვეყნის სიყვარული და ერთგულება რომ ჰქვია.

ილიამ განდეგილი დააბინავა გაქვავებულ მყინვარში; ამით უნდოდა სიცოცხლის იმპულსი შეეტანა უმოძრაო და ყინულად ქცეულ მთაში.

წარსულში აქ მყოფ წმინდა მამებს შემდეგ ღვთის ტაძარი გაუქმებულა. ილია ვერ ითმენს უქმობას, უმოძრაობას, უსიცოცხლობას. ეს შემთხვევით არ ხდება. გაუქმებულ ღვთის ტაძარს მხოლოდ ღვთის ღირსი — ე. ი. ცოდვათაგან განწმენდილი უახლოვდება. ეს არის გარკვეული ეტაპი განვლილი სულიერი ცხოვრებისა, რომელიც უფლებას აძლევს ადამიანს გახდეს „ღვთის ღირსი", ანუ იმისი, რომ მიუახლოვდეს წმინდა ადგილს, რომელსაც კრძალვით შემყურებს ერი.

მოიაზრება თუ არა მყინვარი საქართველოს სახედ? ილიას თანამედროვე საქართველო ხომ ისევე უკუმდგარია სიცოცხლისუნარიანობისა და ქმედებისაგან, როგორც მყინვარი? არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მყინვარში ცხოვრობდნენ წმინდა მამანი და აქ გაისმოდა ქება წმიდა-წმიდითა. ხომ არ არის აქ ავტორისეული მოაზრება, მონატრება საქართველოს წარსულის ძლიერებისა და ნდომა ყოველივე ამისა თანამედროვეობაში? საქართველოს უკვდავი სულიც ხომ მყინვარზე დგას და სასოებით შესთხოვს უზენაესს მამულის აღდგენას.

ილიას აზრით, საქართველო ისევე სიცოცხლეჩამკვდარი, უქმადმყოფი და მიუკარებელია, როგორც თვით მყინვარი, რომელსაც „ორბნი, არწივნიც ვერ შეჰხებიან". მას შემდეგ, რაც წმინდა მამანი, ანუ ნამდვილი მამულიშვილები ამქვეყნიდან გასულან, ღვთის ტაძარი საქართველო გაუქმებულა. თუმცაღა გარდასულ დღეთა მადლი ილიას თანამედროვეობასაც გადმოსწვდენია და ქართველებს „შორის ყველგან განთქმულა". და, აი, ილია მყინვარში მიუჩენს ადგილს განდეგილს, რათა აღადგინოს ამქვეყნიდან გასულ მამათა ღვთის ტაძარი, ესე იგი, აღუდგინოს ერს ერობა, მამულიშვილობის უკეთილშობილესი გრძნობა, რამდენადაც ერმა, ისევე როგორც ცალკეულმა პიროვნებამ, უნდა განვლოს სულიერი ცხოვრების სწორედ ის ეტაპი, რომელიც უფლებამოსილს ხდის მას, იყოს „ღვთის ღირსი", აღმა აუყვეს ზნეობრიობის იმ რთულ და მაღალ კიბურს, რომელიც უზენაესთან მიაახლოებს და ქვეყნის სატკივარსაც უშუალოდ განაცდევინებს. ილიას შემოქმედებისათვის, ისევე როგორც მთელი, ქართული მწერლობისთვის, ყოველთვის ნიშანდობლივი იყო მოქალაქეობრივი, ადამიანური მოვალეობების გაშუქება ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე. ქრისტიანობა მხოლოდ და მხოლოდ რელიგია არ ყოფილა ქართველობისათვის, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ უკვე, ის გარკვეული პოლიტიკური ორიენტაციის მატარებელი იყო ოდითგანვე, ქართველობამ მხოლოდ ამ გზით აიცდინა გაყინვა, უქმად ყოფნა, უმოქმედობა, კვდომა.

როგორც უკვე ვთქვით, ილიას თანამედროვე ქართველობაში ჩამკვდარი იყო მამულიშვილობის დიდებული გრძნობა. განდეგილი ამ ეპოქის შვილია. მას ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული და გათავისებული იმ ტვირთის სიმძიმე, რაც დაკისრებული ჰქონდა უფლისგან. მასში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ცოდვა-მადლის ჭიდილი. ცოდვილი ეპოქის შვილს ცოდვა სძლევს ბოლოს. „ქართველთ მადლს ცოდვამ დასძლია, რა აღმწონელმან აღწონა" (დ. გურამიშვილი, დავითიანი).

განდეგილი იყო ილიას თანამედროვე ქართველობა, რომელსაც ცოდვით ჰქონდა სული დამძიმებული და ამიტომაც არ შეეძლო ესოდენ ამაღლებული მისიის აღსრულება. განდეგილის— ქართველობის — გზა იყო მცდელობა ხრწნადაწყებული ეროვნული სულის გადარჩენა-გაჯანსაღებისა, რომელსაც არ შესწევდა უნარი, ჭეშმარიტებით დაეგვირგვინებინა „გზა ხსნისა". ამ უკანასკნელის აღსრულება მომავლის საქმე იყო.

ილიას საუკუნე განიცდიდა გმირთა სიმწირეს, გმირთა აღმზრდელი დედების — გმირის დამბადი დიდი საგნების „ნაკლებობას", „დედაკაცობის" ძიება ილიასთან გმირის ძიებაა. მცნება დედაკაცობისა ამ დროისათვის დაშრეტილა, დაფუყულა და დავიწროვებულა. „ვაი, რომ „დედაკაცნი" წავიდნენ, აღარ გვყვანან და მარტო „ქალებიღა" დაგვრჩენ და, ჩვენის ფიქრით აქ არის სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურებისა".

ქართველობის უბედურების სათავედ ილიას სწორედ „უდედაკაცობა" მიაჩნია. ვინაიდან მამულიშვილობის გრძნობაჩამკვდარ ქართველობას, ილიას თქმით, აზრის გარდაცვლა და საქმეების ჩამოდნობა მოჰყოლია: „ქალისათვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია. დედაკაცისათვის — სახლია პატიოსანი შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალეწი, სარბიელია საომარ ჭკუითა და მარჯვენითა, ქალი უფარ-ხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარ-ხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!"

ის ფაქტი, რომ ილია პოემას უძღვნის ოლღას

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავის მეუღლეს, უაღრესად დამაჯერებელია და უკვე თავისთავად დიდი მნიშვნელობისაა. ისეთ მასშტაბურ მოაზროვნესთან, როგორიც იყო ილია, შემთხვევითობა გამორიცხულია, მექანიკური მიძღვნა არ მოხდებოდა.

ილიას ეკუთვნის ხუთი პოემა: „აჩრდილი", „განდეგილი", „ქართვლის დედა", „მეფე დიმიტრი თავდადებული" და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ". აქედან ოთხი პოემა მიძღვნაა. „აჩრდილი" ეძღვნება ილიას გიმნაზიელ მეგობრებს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს: ილია წინამძღვრიშვილსა და ივანე პოლტორაცკის. პოემები „ქართვლის დედა" და „მეფე დიმიტრი თავდადებული"—ილიას გიმნაზიელ მეგობარს, პეტრე ნაკაშიძეს. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე შერჩნენ ილიას ერთგულ მეგობრებად და რომელთაც თავიანთი სიცოცხლით, მოღვაწეობით ნათელი კვალი დაატყვეს XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. აღნიშნულ პოემებში დასმული პრობლემები მათთვისაც ახლობელი და მისაღები იყო. ერთი სიტყვით, ისინი იყვნენ ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც სამოქალაქო ბილიკით მოუწოდებდნენ საქართველოს.

ხოლო რაც შეეხება პოემა „განდეგილს", აქ მიძღვნა ეკუთვნის ოლღა გურამიშვილს. ილიას ერთგულ თანამეცხედრეს, დარბაისელ ქართველ მანდილოსანს. ოლღა მთლიანად იზიარებდა ილიასეულ შეგონებას: „დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის, ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე",

სამშობლოს სიყვარული იყო მთავარი პირობა, რაც ილიას და ოლღას აერთიანებდა. ჯერ კიდევ ადრე, ჯვრისწერამდე გაგზავნილ ბარათში ილია ოლღას სწერდა: „ვინ გეძახის პატრიოტს? იმათ რ ც არ უნდა თქვან, შენ მართლა პატრიოტი მეყოლები..., ეს დიდებული სახელწოდება მათთვის საძრახისია, ჩემო კარგო, მაგრამ შენ ამით იამაყებ, — ამიტომ მეჩვენები ძვირფასად. ამიტომ უყვარს შენს ილიკოს ოლიკო.

მახსოვს დოლზე ვიყავით, შენ შემაქე და პატრიოტი მიწოდე, თუმცა ჩემისთანა ძალის ადამიანი სად შესწვდება პატრიოტიზმს. მაგრამ ამ სიტყვებითა და კილოთი, რომლითაც შენ თქვი, მე მივხვდი, ვისთანაც მაქვს საქმე... და, როცა ღმერთი ინებებს ჩვენს ერთად ყოფნას, მე გიჩვენებ კაცს, რომელსაც შენს შესახებ ვუთხარი, რომ ეს ქალი ატარებს თავის გულში სამშობლოს ხატს".

ამრიგად, ჩვენთვის გასაგებია, რატომ მაინცდამაინც ოლღა გურამიშვილს მიუძღვნა ილიამ „განდეგილი". ოლღა თავის თავში მოიცავდა „დედაკაცობის" სანატრელ ცნებას და თავისი სიცოცხლით ცხადყოფდა ამ უიშვიათესი ცნების ცხოველმყოფელობას. ილია, რომელიც უშუალო მოწმე იყო თავისი მეუღლის თითოეული ნაბიჯისა, საქმიანობისა, ამ მოღვაწეობის დასტურად უძღვნის ოლღას „განდეგილს" და აქვე ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას „დედაკაცობის" მიმართ. ვინაიდან, ვიმეორებთ, თუ გვეყოლებოდნენ ილიასეული „დედაკაცები", გვეყოლებოდნენ გმირი მამულიშვილები და მაშინ ილიას აღარ დასჭირდებოდა საქართველოს ისტორიული წარსულიდან გმირ მამა-პაპათა სახეთა მოხმობა (თანამედროვეთა ეროვნული თვითშეგნების გამოსაღვიძებლად და მამულიშვილობის აღსაზრდელად... „ჩვენი საქმე ლამის სულის ამოხდამდე მივიდეს და უდედაკაცოდ ულონოდ ქმნილი მამაკაცობა იწვევს თავის დედებს, დებს, მეუღლეებს, თქვენც კაცნი ხართ, როგორც ჩვენ, მოდით, მოგვეშველენით, ერთმანეთით გავღონიერდეთ, გავძლიერდეთ, გავმხნევდეთ, რადგანაც უთქვენოდ ყოველივე ეს შეუძლებელია".

„სულიწმინდა ქალის წიაღში იმიტომ განხორციელდა, რომ ღვთაებრივი ზნეობის საფუძველი დედაკაცია. თორემ მითოლოგია კარგად იცნობს ღმერთის უქალოდ გაჩენის იგავსაც: ათინა დაიბადა ზევსის თავიდან" (აკ. ბაქრაძე, „კრიტიკული გულანი", თბ. 1977 წ.).

ასეთია ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე თუ რატომ მიუძღვნა ილიამ „განდეგილი" ოლღას მეტ-ნაკლებად ვისაუბრეთ მწირის პიროვნებაზეც — როგორც განსახიერებაზე ქართველობის ზოგადკრებითი სახისა. მითოლოგიის საფუძველზე გვინდა გავარკვიოთ მწყემსი ქალის სახეც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხევის ბეთლემი სიწმინდითა და საკრალურობით პალესტინის ბეთლემს უტოლდება. ყოველივე ამაღლებული, რაც კი ეხება პალესტინის ბეთლემს, ვრცელდება ხევის ბეთლემზეც. აქედან გამომდინარე, ბეთლემში მოხვედრა შეეძლო მხოლოდ მას, ვინც იყო ღირსი ღვთისა. მაშასადამე, მწყემსი ქალი არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი პიროვნება. ქალი არის პირველი, ვინც განდეგილი ბერის სულს ჩასწვდა „ჯვარის მხილველნი შემთხვევით, არ არიან. მწყემსები, ის მოხევენი — ცოფური და სისაური, მწყემსები იყვნენ, რომლებმაც თავიანთი სალოცავის გულისათვის გაწირეს საცხოვარი და აღარ მიბრუნებულან მასკენ. ბეთლემს — ქრისტეს შობის ადგილს, ანგელოზების ჩაგონებით, პირველად მწყემსები მოადგნენ. მწყემსები იყვნენ ამ საიდუმლო შობის პირველმხილველნი. ჩვენს ანდრეზულ ტრადიციაშიც მწყემსებს გხედავთ ჯვარის პირველმხილველებად" (ზ. კიკნაძე, იქვე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის, რომ მწყემსი ქალი მართლაც არ არის შემთხვევითი პიროვნება. მასაც აქვს მომადლებული უფლისაგან, ღირსი გახდეს ხეთლემში შეღწევისა.

„მწყემსს განსხვავებულ ფიზიკურ სინამდვილეში უხდება ყოფნა — მაღალ მთებზე. ამ დროს მისი სული მართლაც „ვარსკვლავებზე უვრცესია". მისი სამყოფელი მიწიერი ამაღლებულობის სიმბოლოც არის, მოსე სწორედ მწყემსობის დროს აირჩია ღმერთმა თავის „მკადრედ" და ქიდაგად, როცა მან სინას მთაზე ყველაზე უმაღლეს ადგილს მიაღწია. არ არის შემთხვევითი, რომ ბეგროთ სალვთო (ხადუს ერთ-ერთი ხილოცავი) მეცხვარის ნაპოვნია" (ზ. კიკნაძე, იქვე).

გარდა ამ ზემოთ აღნიშნული ნიშნისა, მწყემსი ქალი და განდეგილი ბერი თავიანთ წილნაყარობას ღმერთთან იმითაც ამჟღავნებენ, რომ ორივე უფლის გამოცხადებას მზის სახით აღიქვამს.

მზის სახით უფლის ხილვა ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი სიმბოლურ-ალეგორიული ხერხია. მზის ესთეტიკა მითოსური ხანიდან მოყოლებული მსჭვალავს მთელ ქართულ ლიტერატურას. ამ ხაზით შევიდა ის ილიას შემოქმედებაშიც. ამრიგად, მწირისა და მწყემსი ქალის მიერ უფლის გამოცხადება მზის სახით ქართული ესთეტიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ელემენტია. მწყემს ქალთან დაკავშირებით გვხვდება რიგი ეპიკური პასაჟები, რომელიც ნიშანდობლივია ქართული ხალხური ეპოსისათვის: ამინდის გაუარესება, თავშესაფრის ძებნა, ღამით გამოქვაბულში დარჩენა.

უმთავრესი, რაც განდეგილსა და მწყემს ქალს აერთიანებს, არის რწმენის დაკარგვა. ორივე უიმედო ადამიანია. ეს ნათქვამი ერთის მხრივ წინააღმდეგობას ქმნის მაგრამ ამის შესახებ თვით პოემის ტექსტშიც მოიძებნება მასალა და მითოლოგიაშიც.

მწყემსი ქალი კარგავს ნაზირს. ნაზირი კი საყმოს შეგნებაში იმედია წუთისოფლისა. „საქონელი ჩვენი საყმოს სახსარია, მისი იმედი ამ წუთისოფელში" (ზ. კიკნაძე, იქვე), ესე იგი, მწყემსი ქალი კარგავს იმედს. განდეგილიც რწმენადაკარგული ბერია. ისმის კითხვა: რას შეეძლო ერისა და ბერის რწმენის დაკარგვა. პასუხი, რასაკვირველია, იმ პოლიტიკურ წყობაშია, რასაც ილიას თანამედროვეობა ერქვა: „სხვა აქაური ამბები რა მოგწეროო: ყოველიფერი ძველებურად არის, ჩვენებურად: იგივ მთა, იგივ ბარი და იგივე გულაცრუებული ერი, კაცი არ არის გარეშემოში, რომ ადამიანის ნიშანწყალი ჰქონდეს. ვყრივართ ისე — როგორც ნაზირი ბაკში". (ილ. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 98).

გამოდის, რომ ილიას განწყობა, მიუხედავად წლების მიმდინარეობისა, არ იცვლება.

რასაკვირველია, ამგვარი სინამდვილე რწმენას დაუკარგავდა ადამიანს. მხოლოდ ილიას მსგავს მონოლითურ, შორსმჭვრეტელ პიროვნებას შეეძლო, დაეძლია ურწმუნოების ბარიერი და მომავლისთვის იმედიანად შეეხედა. ამგვარი უიმედობა ეუფლება მყინვარზე მდგომ საქართველოს უკვდავ სულს, ურწმუნოების მოუცავს ლელთ ღუნია. ქვეყანაზე გამეფებული თვალთმაქცობა და გულის დამამშვიდებელი მშვიდობა. ვაი, ამისთანა მშვიდობას!

„რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტვამაქით. რაი არნ მშვიდობა? უზმარ სატევარს ჟანგი დაეძევის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის... რაჲ არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის... აწინა ერობა დაიშალის, მეძავმრუშობაი ჩამოვარდნის, ზარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობაბძარვაი გაზშირდნის... წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაჲ აწინა ჩვენი ცარიელი? ერი [illegible]ნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი".

საინტერესოა, რომ საქართველოს უკვდავი სულისა და ლელთ ღუნიას დაკვირვების ობიექტი საქართველოა. ორივე ქვეყნის თვალ-ყურის მდევნელია. აჩრდილიც და ლელთ ღუნიაც ორივე საქართველოს წარსულს იხსენებს: „ადრიდა ავად - კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა? ერთ-ურთს დავეყუდენით... ადრიდა ქვრივ-ობოლთ ვიფარავდით... დაცემულ ვიურვებდით... აწინა არა არნ კაცნ და თუ არნი — პირად და გულად ჭუდურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ".

როგორც ვხედავთ, ილია თავის პირველსავე მხატვრულ ნაწარმოებში განიცდის მამულის ტკივილის გამზიარებელი შვილის ნაკლებობას, ერის დავრდომას, „უდედაკაცობას". მართალია, ილია ლელთ ღუნიას გამვლელ მგზავრად წარმოგვიდგენს, მაგრამ მას იხდის თავისი გულისტკივილის თანაზიარებლად. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" — სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თათია ქემერტელიძე

# ხასპერთა გაერთიანების შესახებ

დასაწყისიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნოგრაფიულ ეგრისში (დასავლეთ საქართველო), ქართლში (აღმოსავლეთ საქართველო) და მესხეთში (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) მოსახლე ქართველური მოდგმის ტომები, სხვადასხვა დროს და განსხვავებული ისტორიული პირობების შესაბამისად, მშვიდობიანი, თუ არამშვიდობიანი გზებით შეჭრილან ხოლმე ერთიმეორის წილხვედრ მიწებზე. ამ ამბებს, რა თქმა უნდა, შედეგად მოსდევდა მათი აღრევა ან ისეთი შეჯვარება, როგორიც არის დადასტურებული ახ. წ. II ს-ის ბერძნულ წერილობით წყაროში (კლავდიოს პტოლემაიოსთან) სვანო-კოლხების სახით, არქეოლოგიისა და ტოპონიმიის მონაცემების საფუძველზე, აგრეთვე ძველი ქართული ისტორიული თხზულების (იგულისხმება ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა", ქართლის ცხოვრება, I) კვლევისას, აღინიშნება ე. წ. „მესხური ნაკა[illegible]" შეღწევა აღმოსავლეთ საქართველოში (ძვ. წ. VI-IV სს.). ამასთან, გაგვაჩნია VI ს-ის მწიგნობრის პროკოფი კესარიელის ცნობა მესხების განსახლების შესახებ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, სვანეთ-ლეჩხუმის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე მესხეთამდე. ზემოთ აღნიშნულის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს კოლხურ სამფლობელოთა გაფართოება დიაოხის ქვეყნის ხარჯზე (ძვ. წ. VIII ს-ის შუა ხანებში) და სხვ. ამგვარ მოვლენებს ეხმიანება თ. მიქელაძის თვალსაზრისიც, რომ სტრაბონის-დროინდელი ცნობა (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.) „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო... (და) ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს, ხოლო მესამე არმენიელებს", — ძალიან საინტერესოა, რადგან ის შესანიშნავად ასახავს ცალკეული ეთნო-პოლიტიკური ერთობების ბრძოლას თავისი გავლენის დასამკვიდრებლად. ამ ცნობაში აშკარად ჩანს ქართების მოძრაობა დასავლეთისკენ. მაგრამ ქართიზაციასთან ერთად ასევე ნათლადაა არეკლილი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი თემების არმენიზაციის პროცესიც". სტრაბონის უწყებიდან გამომდინარე, კოლხების, ანუ ეგრისელების დასავლურ-ქართულ ეთნო-პოლიტიკურ ერთობას, აგრეთვე, ჰქონია მესხთა მიწა-წყალზე საკუთარი გავლენის გავრცელების მცდელობა.

ე. წ. ქართიზაციის მკვეთრი ნიშნები მესხეთში აღინიშნება ჯერ კიდევ ფარნავაზის მეფობის ჟამიდან (ძვ. წ. IV-III სს). თ. მიქელაძის სიტყვით, ცოტა ადრეც, IV-III სს-მდე ქართიზაციის მიზანდასახულ პროცესს შეიძლება წინ უსწრებდა ქართების სტიქიური დენა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საგულისხმოა, რომ ლეონტი მროველი მიუთითებს ქართლიდან რაღაც ნაკადის შეჭრაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ვიდრე სპერის ზღვამდე: მცხეთოსმა „აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა, და უწოდა სახელით თვისი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგვითგან დასავლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა". თ. მიქელაძის აზრით, ქართების დენას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადგილი უნდა ჰქონოდა არა ხაზართა (კიმერიელებისა და სკვითების) შემოსევების (ძვ. წ. VIII-VII სს.) უწინარეს, როგორც ამას მროველი გადმოგვცემს, არამედ ძვ. წ. VI-IV სს-ში.

დღესდღეობით არავისთვის აღარ არის სადავო, რომ ტოპონიმ „მცხეთის" გაჩენა დაკავშირებულია მესხთა გავრცელებასთან აღმოსავლეთ საქართველოში. (გ. მელიქიშვილი, **К истории древней Грузии**). მესხებში ძირითადად ქართულენოვან თემთა სამხრეთ-დასავლური განშტოება ივარაუდება, ხოლო ჩვენ ვაღიარებთ მათ სვანურენოვანობას. ქართველთა ძველი ისტორიის თხრობისას ლეონტი მროველი შეგნებულად უქცევს გვერდს მესხთა ეთნო-პოლიტიკური ერთობის ხსენებას და, გარკვეული მოსაზრებით, მათ სავარაუდო ექსპანსიას ქართლში ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრიდან (შესაძლოა ცოტა ადრეც) უნაცვლებს ქართლოსიანი მცხეთოსის უფლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას SW საქართველოს ქვეყანათა ზოგიერთ ნაწილზე. წინამდებარე თხზულების პირველ თავში კიდეც აღინიშნა, რომ ლეონტი მროველი ეთნოგრაფიულ მესხეთს (იგულისხმება მდ. ჭოროხის აუზი და მტკვრის დინების ზემო წელი) იმთავითვე აღმოსავლურ-ქართული თემთა კუთვნილ მიწა-წყლად სახავს და საერთოდ უგულებელყოფს მას, როგორც საქართველოს ერთ-ერთ ცალკე ეთნოგრაფიულ ერთეულს.

ამრიგად, ძვ. წ. VII-VI სს.-დან აღინიშნება მესხთა თემების შეჭრა ქართლში. ამასთან, ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ქართების ხტიქიურ დენასაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. საფიქრებელია, რომ სწორედ ამგვარ ვითარებას ასახავს ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში დადასტურებული სასპერების გაერთიანება. ჰეროდოტე (ისტორია, IV, 37), როგორც ცნობილია, შავი ზღვიდან სპარსეთის ყურემდე გაშლილ ტერიტორიაზე მოსახლე ოთხ ხალხს ასახელებს. ესენია: კოლხები, სასპერები, მიდიელები და სპარსელები". (თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ). გ. მელიქიშვილის სიტყვით, ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობის საფუძველზე ისეთი წარმოდგენა იქმნება, რომ ძვ. წ. VI ს-ში სასპერების სახით არსებობდა მსხვილი გაერთიანება, პოლიტიკური ერთეული, რომელიც მეთვალყურეობდა და გავლენის სფეროში აქცევდა ვრცელ ტერიტორიას კოლხეთსა და მიდიას შორის, ყოფილი ურარტუს სამეფოს ჩრდილოეთი პროვინციების ჩათვლით. იგი მიიჩნევს, რომ ეს გაერთიანება ეთნიკურად საკმაოდ ჭრელი უნდა ყოფილიყო. კერძოდ, სპერის მხარე, რომელიც მდ. ჭოროხის ზემო დინების აუზს მოიცავს, ცოტა ადრე ურარტუს სახელმწიფოს მეზობელი ქვეყნის — დიაოხის (შეესატყვისება ქართულ ტაოს — მდ. ჭოროხის შუა დინების აუზი) შემადგენელი ნაწილი გახლდათ; ხოლო ძვ. წ. VI ს-ში სასპერების თაოსნობით შექმნილი პოლიტიკური ერთეული გ. მელიქიშვილს წარმოუდგენია, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული დიაოხის თემთა გაერთიანების (ძვ. წ. XII-VIII სს.) ერთგვარი მემკვიდრე. მისივე აზრით, სასპერების გაერთიანება შესაძლებელია მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოსაც და, არ არის გამორიცხული, რომ ამ გაერთიანების სათავეში აღმოსავლურ-ქართული ტომები მდგარიყვნენ.

აღნიშნული ვითარების გამოხატულებას გ. მელიქიშვილი ხედავს ხოვლეგორაზე და, საერთოდ, შიდა და ქვემო ქართლის ბევრ ნამოსახლარზე დადასტურებულ არა ტრადიციულ, არამედ „სხვა ჯურის" არქეოლოგიურ მასალაში სადაც ჩანს ეგრეთ წოდებული „სამხრეთული ელემენტი". დ. მუსხელიშვილის კვლევის თანახმად, ძვ. წ. VI ს. დასაწყისიდან ხოვლეგორაზე სულ სხვა ჯურის კერამიკა ჩნდება, ვიდრე მანამდე: შემოდის „წითლად გამომწვარი" ჭურჭელი, რომელიც არ ამჟღავნებს არავითარ გენეტიკურ კავშირს წინამორბედთან და შემდგომ საუკუნეებში (ხოვლე III და ხოვლე II) თანდათან გაბატონებულ მდგომარეობას იძენს, ვიდრე ნამოსახლარის არსებობის ბოლომდე (ხოვლე I ძვ. წ. IV ს.). დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ „ეს გარემოება არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კერამიკული წარმოების ტექნიკის პროგრესით. ახალი ტექნიკური ხერხების გამოჩენა ახალი კულტურული დინების შემოსვლაზე, რომელიც ურარტულ სამყაროზე მიუთითებს და, შესაძლებელია, დაკავშირებულია ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლასთანაც". დ. მუსხელიშვილის აზრით, „ეს უნდა ყოფილიყო თანდათანობით, მშვიდობიანი ინფილტრაციის პროცესი, რომელსაც არ გამოუწვევია ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური სახის შეცვლა. ურარტული სამყაროდან ამ ახალი ნაკადის გავრცელებას ადასტურებს არა მხოლოდ ხოვლური კერამიკა, არამედ ქვემო ქართლის ბევრი პუნქტიდან ცნობილი სათანადო მასალაც... ეს კერამიკა ვრცელდება როგორც ქვემო ქართლში და შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთ ნაწილში (ხოვლეგორა, ხიდისთავი, ღილომი), ასევე მტკვრის ჩრდილოეთითაც, რასაც თვალსაჩინოდ ადასტურებს შიდა ქართლის 1955 წლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა (ქვახათალის, კარალეთის, აჩაბეთის, ავნევის და სხვა „გორები").

აქ უნდა ითქვას, რომ, გ. მელიქიშვილის ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისის საპირისპიროდ, დ. მუსხელიშვილს სათუოდ მიაჩნია ძვ. წ. VII-VI სს-დან ქართლში გავრცელებული „წითლად გამომწვარი" ჭურჭლის სასპერთა გაერთიანებასთან დაკავშირება, „რადგან ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი იყო საკუთრივ „სასპერების" მატერიალური კულტურა ამ დროს, კერძოდ მათ სავარაუდო სამშობლოში, „სპერში". სხვაგან იგი აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული ზემოთ აღნიშნული ჯურის კერამიკის ქართლში შემომტანად რომელიღაც ქართულივე ტომები მივიჩნიოთ".

გვიანი ბრინჯაოს ხანაში მესხეთი კოლხური კულტურის გავრცელების არეს წარმოადგენდა. ურარტელთა ექსპანსიას (ძვ. წ. IX ს-ის ბოლოსა და ძვ. წ. VIII ს-ში) და, საერთოდ, ხურიურარტული მოსახლეობისა და მათი კულტურის შეღწევას სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა მესხეთის, განსაკუთრებით კი მისი სამხრეთი ოლქის — დიაოხის ქვეყნის სულიერ და მატერიალურ ყოფაში. ვინაიდან სპერი (ერზრუმის რეგიონთან ერთად) დიაოხის შემადგენელი ნაწილი იყო, ძვ. წ. VII ს-ის ბოლოსა და VI ს-ის დასაწყისიდან აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებული ადგილობრივისგან განსხვავებული „სხვა ჯურის"

ეროვნული

არქეოლოგიური მასალის ნიმუშები, სადაც ჩანს ე. წ. „სამხრეთული ელემენტი", შესაძლოა, ჩავთვალოთ მესხი სასპერების კუთვნილად.

დ. მუსხელიშვილის თვალსაზრისით, „ფრიად საინტერესო ჩანს ევსები კესარიელთან (და მოსე ხორენელთან) შემონახული ცნობა მეგასთენესი (ძვ. წ. III ს.),ვითომც იბერიელნი ამიერკავკასიაში ნაბუქოდონოსორს (ძვ. წ. 604-562) დაესახლებინოს. ცნობის ლეგენდარულობისდა მიუხედავად, მისი სინქრონიზმი ჩვენთვის საინტერესო არქეოლოგიურ მოვლენასთან შესაძლებელია ნიშანდობლივიც იყოს". მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქართლის" მეორე სახელი „იბერია" სუბარ-სასპერ-ჰესპერ-სპერტერმინისგან უნდა მოდიოდეს, რასაც არაერთი მეცნიერი იზიარებს.

თ. მიქელაძის სიტყვით „იბერების ქართებად მიჩნევისათვის არა გვაქვს მაინცდამაინც მტკიცე საყრდენი, მიუხედავად იმისა, რომ გვიან წყაროებში მოხსენიებული იბერია აშკარად ქართლს გულისხმობს". ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული ეთნონიმი ქართლში უნდა შემოჰყოლოდათ იმ-ჟამად (ძვ. წ. VI ს.) სპერელ თემთა სახელით წარმოდგენილ სვანურენოვან მესხებს (ვარაუდი მოსხთა და სვანთა იდენტობის თაობაზე გამოთქმული აქვს ნ. მარს).

თუკი სასპერების მსხვილი გაერთიანების არსებობა ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში და ლეონტი მროველის უწყება ქართლოსიანი მცხეთოსის უფლობაზე ქართლსა და მესხეთში კავშირშია ერთმანეთთან, სავსებით დასაშვებია, რომ ქართველ მწიგნობარს ესარგებლა რომელიღაც უძველესი ისტორიული წყაროთი, სადაც ასახული ყოფილა სპერელ მესხთა ჰეგემონობა აღმოსავლეთ საქართველოში. ამრიგად, ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში სასპერთა თაოსნობით მომხდარა გაერთიანება როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მესხთა თემების, ასევე ყველა იმ ხალხებისა, რომელნიც მათ გაერთიანებაში იგულისხმებიან; გ. მელიქიშვილის ვარაუდით, ესენი უნდა ყოფილიყვნენ აღმოსავლურ-ქართული თემები, ხურიურარტული მოდგმის ხალხთა ნარჩენები და შესაძლოა სკვითურ-კიმერიული ტომები.

სასპერთა ისტორიული სახელის მაინცდამაინც აღმოსავლურ-ქართული ელფერით შემორჩენა (იგულისხმება ქართული პრეფიქსი «სა» სასპერი) (გ. მელიქიშვილი). შესაძლოა განაპირობა სასპერთა თაოსნობით შექმნილმა აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თემთა თუნდაც დროებითმა პოლიტიკურმა ერთიანობამ ცენტრით აღმოსავლეთში და, ამასთან, ქართების სავარაუდო გავრცელებამ მესხეთში.

ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისში ქართლში შეღწეულ ე. წ. „მესხურ ელემენტს" იქ გარკვეული პოლიტიკური ძვრები და კულტურული სიახლენი შეაქვს. ლეონტი მროველი წერს, [illegible]მა აღაშენა მცხეთა და სჩანს იგი სატახტო ქალაქადაც გაუხდია. მისი მემკვიდრეების დროს მცხეთა უკვე ნამდვილად იწოდებოდა დედაქალაქად. თუ ლეონტი მროველის ცნობას დავეყრდნობით, მცხეთოსის სიკვდილის შემდგომ ქართლოსიანთა შორის (იგულისხმებიან მესხეთის, ქვემო ქართლის, შიდა და გარე ქართლის, კახეთ-კუხეთის გამგებელნი) „არავინ იყო უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილათი-ადგილად თავადნი იჩემდიან, ხოლო [illegible] იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის უფროსთა მათ სხუათა ზედა, და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელ და ბჯე სხუათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებული იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდეს დედა-ქალაქად". სასპერთა გაერთიანებას დიდი ხნით არ უარსებია. მის შენარჩუნებას უთუოდ შეუშალა ხელი ახლო აღმოსავლეთში ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებიდან დაწინაურებულმა სპარსთა სახელმწიფომ, რომელმაც დაიპყრო მიდია, ხოლო შემდეგ თითქმის მთელი მცირე აზია, სირია, პალესტინა, ბაბილონი და სხვა (საქართველოს ისტორიის ნარკვევი, ტ. I). ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული სასპერთა გაერთიანებაში შემავალი ზოგიერთი ხალხი — სასპერ-მესხები, ალაროდიელები, მატიენები სპარსეთის ადმინისტრაციის უშუალო გამგებლობაში მოქცეულან, ხოლო უფრო ჩრდილოეთით მცხოვრები იბერების (ქართების) ნაწილი თითქოს გადარჩენილა მათი ულლისგან (გ. მელიქიშვილი).

ძვ. წ. V ს-ის ბოლოდან, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მცირე აზიის მთელმა რიგმა თემებმა გარკვეული თავისუფლება მოიპოვეს (თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბაზისი"), კვლავ უნდა დაეწყო ჩამოყალიბება ქართველურ თემთა პოლიტიკურ გაერთიანებებს. გასაზიარებელია გ. მელიქიშვილის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ შეიძლება მცხეთა არც იყო რაიმე დიდი გაერთიანების ცენტრი. „ადრეანტიკური ხანის ფენები მცხეთაში (სამთავროს სამაროვანზე) არ გვაძლევს ისეთ მდიდრულ სამარხებს, როგორც გვაქვს ჩვენ ამ ეპოქიდან აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებში" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I). მცხეთოსისგან დაარსებული მცხეთის დედაქალაქობა რომ უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, ეს ლეონტი მროველის ზემოთ მოტანილ ცნობაშიც იგულისხმება, ხოლო მონათხრობში იმის თაობაზე, რომ უფლოს მცხეთოსის ძემ, ვინაც მემკვიდრეობით მიიღო მამისგან „ზენა სოფელი", ანუ „შიდა ქართლი" — მდ. არაგვიდან და თბილისიდან ვიდრე ტაშისკარამდე და ფარავნის ტბამდე (ქც., I 10-11) და ვინც აღაშენა უფლისციხე, გ. მელიქიშვილის აზრით, შეიძლება ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხული იყოს ქართლის მიწებზე უფლისციხის ოდინდელი ჰეგემონობა. მისივე სიტყვით, თუ ეს მოსაზრება სწორია, ამას, რა თქმა უნდა, ადგილი უნდა ჰქონოდა წინარეელინისტურ ხანაში, რადგან ელინისტური ხანის დასაწყისიდან მცხეთის პირველობა ეჭვს არ იწვევს".

დ. ხახუტაიშვილი აღნიშნავს, რომ უფლისციხის კლდეში გამოკვეთილი და გრანდიოზული ციხე-ქალაქის შექმნა უკვე ადრეანტიკურ ხანაში და, შეიძლება, კიდევ უფრო ადრეც დაწყებულიყო. გ. მელიქიშვილის სიტყვით, „აქ საქმე გვაქვს უფრო სამხრეთში — მცირე აზიასა და ურარტუში გავრცელებული კლდეში გამოკვეთილი კომპლექსების ანალოგიასთან, რომლის შექმნაც ალბათ სამხრეთიდან შემოღწეულ მესხურ ელემენტს უკავშირდება... უფლისციხის გარდა, ამავე ხანის მნიშვნელოვან ცენტრებად ქართული წყარო („მოქცევაჲ ქართლისაჲ") ასახელებს სარკინეს (სოფ. ძეგვთან) თავისი „ციხე დიდით", ურბნისს და ოძრხეს".

ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ „ვითარცა მოკუდა მცხეთოს, ძე ქართლოსისი, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისათა: იწყეს ბრძოლად და კლომად ურთიერთას... და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამსამე აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა, და ხხუანი შეეწეოდიან რომელნიმე მას; და რომელნიმე კუალად სხუანი აღდგეს ერთმანეთსა ზედა და სხუანი შეეწეოდიან. რომელსამე ჟამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის, და კუალად შეიშალნიან და ებრძოდიან", როგორც ჩანს, ძოძმეთა შორის ურთიერთშუღლს და პირველობისთვის წარუმატებელ ბრძოლასაც უნდა დაეჩქარებინა სასპერთა მსხვილი გაერთიანების მალევე დაშლა.

უნდა ითქვას, რომ ძვ. წ. VII-VI სს-დან სასპერ-მესხების თემთა განსახლებას ქართლში და მათ მიერვე შექმნილი სასპერთა პოლიტიკური ერთეულის ცენტრის გადმოტანას აღმოსავლეთ საქართველოში, ჩვენი აზრით, გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები გააჩნდა. მაგალითისთვის გავიხსენოთ, რომ ფეოდალურ ხანაშიც და უფრო ადრეც სპერელთა სამშობლო ჭოროხის აუზში, ფაქტობრივად „პერიფერიას წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ კავკასიისათვის საერთოდ" (დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები), დ. მუსხელიშვილის სიტყვით, „ჭოროხის აუზი გაერთიანებული საქართველოს (მითუმეტეს—ამიერკავკასიის და, საერთოდ, კავკასიის) ცენტრად ვერ გამოდგებოდა. ამის მოწმობაა სწორედ ის, რომ ბაგრატ III-ის სამეფოს ცენტრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კი არ გადაიწია, საიდანაც თვით ბაგრატი იყო, არამედ ქუთაისში დარჩა, რადგან ეს ქალაქი სახელმწიფოს შუაგულში მოექცა და, ამდენად, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისითაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ამისივე მოწმობაა, რომ უფრო გვიან, როდესაც არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასია გაერთიანდა ქართველ ბაგრატოვანთა ხელქვეით, ამ დიდი ფეოდალური მონარქიის ცენტრი კვლავ ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ დედაქალაქში გადმოდის. სწორედ ქართლი და არა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა კავკასიის შინანაციონალურ ურთიერთობათა კვანძს" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I).

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ მართებულია, ჩვენს მიერ წამოყენებული ვარაუდიც იმის თაობაზე, რომ ძვ. წ. VI ს-ში შექმნილი სასპერთა გაერთიანების ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ვიგულვოთ. თუკი ყოველივეს შევუსაბამებთ იმ ისტორიულ პირობებს, რომელშიც სასპერების გაერთიანება არსებობდა და მათი პოლიტიკური ერთეულის მომცველობასაც თუ გავითვალისწინებთ, ადვილი შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ მცხეთა (მომავალში ქართლის სამეფოს დედაქალაქი) სასპერების კავკასიაში ჰეგემონობის დროს იყოს დაარსებული. ამ ქალაქს ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. მცხეთაზე გამავალი გზები დღესაც უმთავრესი არტერიებია, რომლითაც ქართლი უკავშირდება დასავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიას, აზერბაიჯანსა და სომხეთს. ეს გზები თავს იყრიან სწორედ მცხეთა-თბილისის რაიონში (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I).

გ. მელიქიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სასპერთა გაერთიანების შექმნა იყო ერთგვარი წინაპირობა ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის.

მისი აზრით, ძვ. წ. VIII ს-ის შუახანებამდე სპერის მხარე დიაოხის ქვეყნის გამგემბლობაში ითვლებოდა. ძვ. წ. VIII ს-ის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მომძლავრებულმა კოლხთა სამეფომ დაიპყრო მესხეთის (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს) მხარეთა ნაწილი, დიაოხის ქვეყნის სამფლობელოთა ჩათვლით. ძვ. წ. VIII ს-ის 20-30-იან წლებში ჩრდილო კავკასიიდან დაიწყო სკვითურ-კიმერიული ტომების გამანადგურებელი შემოსევები ამიერკავკასიაში და აქედან ახლო აღმოსავლეთში. კიმერიელებს მიეწერებათ კოლხეთის სამეფოს დარბევა, რადგან ურარტუს მეფე სარდურ II (ძვ. წ. 764-735) შემდგომ კოლხთა ქვეყანას ურარტულ წარწერებში აღარავინ მოიხსენიებს, როგორც ჩანს, კოლხეთის სამეფოს დასუსტებით ისარგებლეს ჭოროხის აუზში მოსახლე ქართველურმა თემებმა და ძვ. წ. VII ს-ში, როცა ურარტუს სახელმწიფო ადრინდელთან შედარებით დაუძლურებული იყო და სკვითურ-კიმერიული ტომების შემოსევათა ტალღასაც გადაევლო, კვლავ შექ-

ეროვნული

მნეს ჭოროხის აუზის თემთა გაერთიანება, მხოლოდ ამჯერად სპერელთა თაოსნობით. ამ გაერთიანებამ თავიდან, ალბათ, მხოლოდ ჭოროხის აუზი მოიცვა (საზღვარი ეთნოგრაფიულ მესხეთსა და კოლხეთს შორის მდ. ჭოროხის შესართავთან და მახლობლად მდებარე „მოსხურ მთებზე“ იდო). გარკვეული დროის შემდეგ სპერელთა გაერთიანებას კოლა-არტაან-ჯავახეთის და სამცხის მკვიდრნიც უნდა შემატებოდნენ, რადგან ისტორიულად ასე ყოფილა, რომ „ვისაც სპერია ჭოროხის აუზი, იგი ამით გაცილებით მეტი ფართობის მფლობელი გამხდარა აღმოსავლეთითაც“ (Н. Я. Батуми, Ардаган, Карс — исторический узел межнациональных отношений Кавказа). დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ჭოროხის აუზისთვის დამახასიათებელია „ბარის“ ზონის სივიწროვე, ანუ ინტენსიური სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგი მიწის ფართობის ნაკლებობა. სამაგიეროდ, იგი ცნობილია სპილენძის საბადოების სიმრავლით და ამ მხარეში ოდითგან განთქმული მელითონეები სახლობდნენ, რომლებიც საუკეთესო მჭედელნი იყვნენ არა მარტო სპილენძის, არამედ რკინისაც (ოთ. ლორთქიფანიძე, „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“). მტკვრის სათავის აუზი კარგი საძოვრებითა და პურით ყოფილა მდიდარი (ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი), თუმცა ლითონის ჩამოსხმის ოსტატობით ეს მხარეც უძველესი დროიდანვე ჩანს დაწინაურებული (ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა). საფიქრებელია, რომ ბრინჯაოს ხანაში მტკვრის აუზის სამთამადნო ბაზა ძირითადად დაფუძნებული იყო ჭოროხის აუზიდან შემოტანილ სპილენძზე. მტკვრის ზემო წელის (სამცხე-ჯავახეთი-ერუშეთი-არტაანი-კოლა) ეკონომიკური ურთიერთობა ჭოროხის აუზთან ყოველთვის მნიშვნელოვანი ყოფილა (დ. მუსხელიშვილი).

ამრიგად, ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან მესხეთში კვლავ იწყებს ჩამოყალიბებას შემდგომში საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური ერთეული, რომელიც, რა თქმა უნდა, მიდიელებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდა ოდესღაც ძლევამოსილი ურარტუს სახელმწიფოს განადგურებაში (დაახლ. ძვ. წ. 590-585 წწ.). ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისისთვის ქართლი უკვე სასპერთა გაერთიანებაში შემავალი ქვეყანა იყო. აღმოსავლურ-ქართული თემები და ქართლის ტერიტორიებზე (ქვემო ქართლი, თრიალეთი) შერჩენილი სკვითურ-კიმერიული ტომების ნაწილი, აგრეთვე, იბრძოდნენ ურარტელების წინააღმდეგ (გ. მელიქიშვილი). გ. მელიქიშვილის აზრით, კავკასიელთა ტომებს იმჟამად ხელში ჩაუგდიათ ურარტუს ჩრდილოეთი რაიონები (სამხრეთი ამიერკავკასია). ალბათ, ასე მოექცნენ სასპერთა გავლენის ქვეშ ხური-ურარტული მოდგმის თემები — მატიენები და ალაროდიელები. ზოლო მიდიამ, ყოფილი ურარტუს ცენტრალურ[illegible] განავრცო ხელისუფლება.

როგორც აღვნიშნეთ, სასპერ-მესხების ქართლში დაფუძნებას გარკვეული მიზეზები გააჩნდა. ქართლისა და მესხეთის იმჟამინდელი გაერთიანება არ ყოფილა მხოლოდ კავშირი ორ ეთნოგრაფიულ ერთეულს შორის ან ერთი მხარის მიერ მეორის დაპყრობა. უფრო მეტად ეს საქართველოს ორი ეთნოგრაფიული ერთეულის შერწყმის პროცესის საწყისი ეტაპია, რადგან აღინიშნება მესხთა მასობრივი გადასახლება ქართლში და, პირიქით, ქართების დენა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსკენ. ძვ. წ. VI საუკუნიდან დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს „ბარის“ ფართე და მასიური ათვისება (ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში). უნდა ითქვას, რომ, განსხვავებით მესხეთისაგან, რომელიც ინტენსიური მიწათმოქმედებისთვის საჭირო მიწის ფართობის ნაკლებობას განიცდის, აღმოსავლეთ საქართველოში სამიწათმოქმედო „ბარი“ საკმარისია. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით „ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან ჩანს, რომ უძველესი დროითგან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას ამ მხრივ უვენახობა, უხილობა და მარცვლეულობის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას — სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და მოსავლიანობა“.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ბუნებრივი და სამეურნეო თვალსაზრისით ორ ზონად იყოფა. პირველი, ეს არის მტკვრის სათავის აუზი, ანუ ჯავახეთის ზეგანი კოლა-არტაან-ერუშეთთან ერთად, რომელიც, ვახუშტის აგრო-ბოტანიკური სისტემის მიხედვით, „უვენახ-ხილო“, „ბალახყვავილოვან“ არეალს განეკუთვნება. ჯავახეთის მეურნეობისთვის დამახასიათებელია მემინდვრეობა (ხორბალი, ქერი, შვრია), ზეთის ხდა და მესაქონლეობა. ასეთივე ვითარება გვხვდება კოლა-არტაან-ერუშეთში, რომელნიც, ვახუშტისავე სიტყვით, „ვითარცა ჯავახეთი“ არიან. ამრიგად, აღნიშნული ტერიტორია „მთას“ წარმოადგენს და უძველესი სასოფლო-სამეურნეო დარგი აქ მეცხოველეობა ყოფილა (დ. მუსხელიშვილი). რადგან სათიბი არის ძირითადი ბაზა მესაქონლეობის განვითარებისათვის (ი. კიკვიძე), ამ მხარეში ოდითგან უნდა ყოფილიყო სათიბების სარწყავი მარტივი სისტემები, როგორიც დადასტურებულია სვანეთში. ამგვარი სარწყავი სისტემები მეცნიერთაგან მიჩნეულია არქაული ტიპის მქონედ. ი. კიკვიძის სიტყვით, სწორედ სათიბების მორწყვის დროს ღებულობდნენ ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას ირიგაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხეთის მეორე ბუნებრივ-სამეურნეო ზონას შეადგენს ჭოროხის აუზი და სამცხე. აქ, ვახუშტისეული „მთის“ არსებობის გარდა, დამახასიათებელია ინტენსიური სოფლის მეურნეობის, მებაღეობა-მევენახეობის, ანუ ვახუშტისეული „ბარის“ არსებობაც (ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV). მიწის ნაკლებობისა და რელიეფის თავისებურობის გამო მიწათმოქმედება ამ მხარეში ტერასული ხასიათისა ყოფილა და „რაოდენიცა მიწანი იკვნიან“. ანუ „მიწა ამის, რაოდენიც იხმარების სივიწროვედ“, ადამიანის უდიდესი შრომისმოყვარეობის ხარჯზეა განაყოფიერებული. აქ უნდა აღინიშნოს, რომ შუა ბრინჯაოს ხანის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების წესი დიდად განსხვავდებოდა გვიანი ბრინჯაოს დროის, ანტიკური და ფეოდალური ხანის სოფლის მეურნეობის ხასიათისგან. ეს განსხვავება ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ის, რაც ადრეულ ხანაში სასოფლო სამეურნეო ცხოვრების მხრივ ლამის პირველქმნილი სახითაა მოცემული (ი. კიკვიძე), მომდევნო დროში უკვე დამჯდარ და საუკუნეებისგან გამოცდილ სახეს ატარებს. გვიანი ბრინჯაოს ხანაში დაიწყო ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება, რასაც შეუძლია აწარმოოს ჭარბი პროდუქცია მეურნეობაში დაუკავებელი მოსახლეობის გამოსაკვებად, ხოლო... (ძვ. წ. VII-VI სს-დან) მესაქონლეობის წამყვანი ადგილი მეურნეობაში მიწათმოქმედებამ დაიკავა. მიმდინარეობდა „ბარის“ სამიწათმოქმედოდ ინტენსიური ათვისება, შემუშავდა რთული საირიგაციო სისტემები, გასაქანი მიეცა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების შემდგომ განვითარებას, როგორიცაა მევენახეობა და მებაღეობა. აღინიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური მიწისმოქმედებისთვის გამოსადეგი „ბარის“ გაცილებით ფართე ზონა გვაქვს, ვიდრე მესხეთში. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „გასაკვირელიც არაფერია, რომ გეო-ბოტანიკური და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვთენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა“.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ისიც აღსანიშნავია, რომ, ვინაიდან მესხები ძველთაგანვე განთქმული მეღითონეები იყვნენ და მათი ცხოვრების ერთ-ერთ საფუძველს სწორედ აღნიშნული საქმიანობა შეადგენდა, ჩვენი აზრით, რკინის ფართო ათვისების ხანის დადგომას მნიშვნელოვანი ძვრები უნდა შეეტანა მათ სამეურნეო ცხოვრებაში. ძვ. წ. IX-VII სს. ახლო აღმოსავლეთში რკინის ფართო ათვისების ხანად ითვლება, ხოლო მისი საწყისი ეტაპი ძვ. წ. XII ს-ზე მოდის. მესხეთი სპილენძის საბადოებით არის ცნობილი, რამაც იმჟამად დაკარგა განსაკუთრებული სიმდიდრის მნიშვნელობა. ამის გამო მეღითონეთა მთელი რიგი თემები თითქმის უსახსროდ უნდა დარჩენილიყვნენ. მესხეთში მოპოვებული ლითონი იყო ერთ-ერთი უახლოესი სამთამადნო ბაზა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვისაც (ოთ. ლორთქიფანიძე), საიდანაც მის სანაცვლოდ, ალბათ, გარკვეული სახის ძვირფასი ნივთები, ნედლეული და საკვები პროდუქტები შემოჰქონდათ. მართალია, ჭოროხისპირელი ხალიბები „თავისებური წესით“ მთელს ახლო აღმოსავლეთში საუკეთესო რკინას მოიპოვებდნენ, მაგრამ სპილენძზე მომუშავე თემებისთვის ეს, რა თქმა უნდა, არავითარ შეღავათს არ წარმოადგენდა, ხოლო მესხეთის რელიეფი, სამიწათმოქმედო „ბარის“ სიმცირის გამო, ვერ მისცემდა გასაქანს იქ მოსახლე სპილენძის მომპოვებელ და დამმუშავებელ თემებს. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი მესხების აღმოსავლეთ საქართველოში განსახლებისა. გარდა ამისა, ქვემო ქართლში არსებობდა მთელს წინა აზიაში ყველაზე მდიდარი და ადვილად დასამუშავებელი მრავალრიცხოვანი რკინის საბადოები.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ მაინცდამაინც აღმოსავლეთ საქართველო აურჩევიათ მესხებს ნავარაუდევი მასობრივი გადასახლებებისთვის და არა ვთქვათ, დასავლეთ საქართველო — ეგრისი, რომელიც ასევე მდიდარია სხვადასხვანაირი მადნეულის საბადოებით და სადაც სამიწათმოქმედო საქმიანობისთვისაც კარგი პირობებია. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ იმავე ეპოქაში მესხთა გარკვეულ ნაწილს დასავლეთ საქართველოშიც შეეღწია; მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძვ. წ. VII ს-ში კოლხეთის სამეფო წინანდელთან შედარებით (იგულისხმება ძვ. წ. VIII ს-ის შუახანები) დასუსტებული იყო, მაინც ერთ მთლიან პოლიტიკურ ორგანიზმს წარმოადგენდა და იქ მესხთა მასობრივი განსახლება მარტოოდენ დაპყრობის სახით თუ იქნებოდა შესაძლებელი; ხოლო, იმჟამინდელი აღმოსავლეთ საქართველოს და მესხეთის ერთიანობა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ბუნებრივად გამოიყურება. ძვ. წ. XIV-VII სს-ის აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლენი წარმოგვიდგებიან, როგორც ქართულ თემთა საკმაოდ არამშვიდობისმოყვარე და არცთუ დიდი გაერთიანებები, მოკლებულნი ყოველგვარ სახელმწიფოებრიობას (კ. ფიცხელაური, „აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები ძვ. წ. XV-VII სს.“). (О. Лордкипанидзе, «Наследие древней Грузии» ქართლის ცხოვრება, ტ. I). ძვ. წ. VI ს-ში აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკური გაერთიანების ჩაშლის მიუხედავად, მესხთა მოდგმის დამკვიდრებას ქართლში ფართო და ინტენსიური ხასიათი ჰქონოდა. ამაზე მაშინდელი ზოგადპოლიტიკური ვითარებაც მიანიშნებდა ადგილს: ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან „სამხრეთის აღმოსავლურ-ქართული გაერთიანებები, სამხრეთ-კოლხური გაერთიანებების მსგავსად (იგულისხმება მესხეთი), სპარსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცნენ. უფრო ჩრდილოეთით მყოფმა გაერთიანებებმა კი, ალბათ, ისევე, როგორც კოლხებმა დასავლეთ საქართველოში, მოახერხეს აქემენიდების მიმართ ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობის შენარჩუნება" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I). გ. მელიქიშვილის აზრით, „ამაზე უნდა მიუთითებდეს პლუტარქესთან დაცული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც „იბერები (ე. ი. თანამედროვე აღმ. საქართველოს მოსახლეობა) არ ემორჩილებოდნენ არც სპარსელებს, არც მიდიელებს და მაკედონელთა უღელიც აიცილეს („პომპეუსი", XXXIV)". აქემენიდთა სატრაპიებში მოქცეული ქართველური თემები იხდიდნენ ხარკს და სამხედრო ბეგარასაც ასრულებდნენ (თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან). აღნიშნული მოვლენები, ალბათ, ხელს შეუწყობდნენ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი თემების აყრას და შედარებით „მშვიდ" ქართლში განსახლებას. ამგვარი გადასახლების გამომწვევ ზოგად სამეურნეო მიზეზებზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. გამოდის, რომ ძვ. წ. VII-V სს-ში არსებობდა რეალური საფუძველი მესხების მასობრივი გადასახლებებისა აღმოსავლეთ საქართველოს მიწებზე.

თ. მიბჩუანის კვლევის თანახმად, სვანური ტოპონიმები და ჰიდრონიმები აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ-კახეთში და აღმ. საქართველოს მთიანეთში) ფრიად გავრცელებულია. აღნიშნული საკითხი შემდგომშიაც საგანგებო ძიებას საჭიროებს, მითუმეტეს, თუ ე. წ. „მესხური ნაკადის" აღმ. საქართველოში შეჭრას დავაკავშირებთ სვანური ელემენტის გავრცელებასთან.

აქ იმ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ ქართველი მწიგნობარი ლეონტი მროველი, ვიდრე აზონის მიერ ქართლის დაპყრობის (ძვ. წ. IV ს-ის 20-იანი წლები) ამბავს გადმოგვცემს, ასე წერს: „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა", ხოლო ძვ. წ. VII ს-ისა და ძვ. წ. 585 წლამდე ამბების აღწერისას ლეონტი მროველი გვაუწყებს, რომ „ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა... და „რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ აქუან სრულ ხარკისა მისათვის...

აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური, და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული".

ლეონტი მროველი, ვინაც საქართველოს ძველი ისტორიის აღწერისას ჩვენთვის უცნობი წყაროებით სარგებლობდა, დიდ გაუგებრობაში ჩავარდნილა და ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული მესხური (სვანური) ენის ნაცვლად თხზულებაში სომხური ენა მოუხსენიებია.

არ არის გამორიცხული, რომ იმ ისტორიულ წყაროში, რითაც მწიგნობარმა იხელმძღვანელა, სასპერთა სახელიც ყოფილიყო ნახსენები. ჩვენ შემდეგში ვნახავთ, რომ ორი ქართული პროვინცია — ტაო და სპერი — ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნისას (ძვ. წ. IV-III სს.), სხვადასხვა ისტორიული პირობების გამო, ვერ მოხვედრილან ქართველთა სამეფოს ფარგლებში და დროებით სომხებს დარჩენიათ, ხოლო ძვ. წ. II საუკუნიდან ახ. წ. 190 წლამდე ქვემო ქართლსა და მესხეთის გარკვეულ ნაწილში გაძლიერებული სომხეთის პიტიახშნი — მესხი (სპერელი) ბივრიტიანნი ისხდნენ, რომელთაც ლეონტი მროველი „არმაზელი მეფეების" სახელით მოიხსენიებს. აღნიშნული მოვლენები ლეონტი მროველთან კარგად იკითხება. ალბათ, ამიტომ, ქართველთა ძველი ისტორიის თხრობისას, მწიგნობარმა სპერელებში სომხები იგულისხმა, დანარჩენი მესხეთი (სპერისა და ტაოს გამოკლებით) წარმოგვიდგინა ეთნოგრაფიული ქართლის ნაწილად, ხოლო მცხეთოსი, რომელიც ეთნონიმ მესხის განპიროვნებული გადმოცემაა, ქართლოსიანად წარმოსახა. გარდა ამისა, ძვ. წ. VII ს-ის ბოლოს ქართლში შემოსულ მესხთა თემებს ლეონტი მროველი „თურქებს" უწოდებს და ქალაქ „სარკინეს" დამაარსებლადაც მათ მიიჩნევს; საბოლოოდ კი, მესხეთის ეთნოგრაფიული ერთეულის მიზანშეწონილად უგულებელყოფის გამო, გამოუვიდა, რომ ძვ. წ. VII-VI სს. იბერიაში სომხურად მეტყველებდნენ, ეს მაშინ, როცა სომხების გამოჩენა სომხეთის ზეგანზე თარიღდება ძვ. წ. VII-VI სს-ით (ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები).

ძვ. წ. VII-VI სს-დან სვანური ენის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელება უდავო უნდა იყოს. ჩვენს მიერ ზემოთგანხილული მიგრაციული მოვლენები ბუნებრივად ქმნიან ამგვარი თვალსაზრისის საფუძველს.

რაც შეეხება „თურქების", ანუ ე. წ. „ბუნთურქთა" მოხსენიებას ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში, უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მროველი მათ ორგზის ახსენებს: „თურქები" დასახლებულან ქართლის მიწებზე მანამ, ვიდრე იერუსალიმიდან დევნილი ებრაელნი („ურიანი") მოვიდოდნენ (ძვ. წ. 597-586 წწ.), ხოლო შემდეგ ისინი, „ბუნთურქებად" წოდებულნი, დახვდნენ ქართლში შეჭრილ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარს.

„მოქცევაი ქართლისაი"-ს მიხედვით, ბუნთურქნი წარმოშობით ერთ-ერთ ებრაულ ტომს განეკუთვნებიან (ა. ბარამიძე, ბუნთურქთა საკითხის შესწავლის ისტორიიდან): „ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მხხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხს ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი და ოძრახე, და ციხენი მათნი: ციხე დიდ სარკინისა უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა.

დაუკვირდა ალექსანდრე და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ხორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჭამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლაი მეფესა, და წარვიდა".

„მოქცევაი ქართლისაი" ბუნ-თურქთა შემდეგ გადმოსახლებულ ებრაელთა ნაცვლად ასახელებს „ჰონნებს": „მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანა ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქვან მას ხარკი.

და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფეჲ ყოვლისა ქუეყანისაი, და დალეწნა ხამნი ესე ქალაქნი და ციხენი, და ჰონთა დასცა მახვილი..."

გ. ქავთარაძის სიტყვით, აღსანიშნავია, რომ, ამავე დროს, „ქართლის ცხოვრებაც" იცნობს ქალდეველების ქართლში გადმოსახლების ამბავს, ოღონდ „ჰონთა" მოუხსენიებლად: „...გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშენნეს იგინიცა ქართლს..."

გ. ქავთარაძის კვლევის თანახმად, „მოქცევაი ქართლისაი"-ს „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონნებში" ებრაელები არ იგულისხმებიან. „ქართლის ცხოვრება" გვამცნობს, რომ „...ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქუან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქუან ხერკ ხარკისა მისთჳს". აღნიშნული ამბავი იგივეა, რაც „მოქცევაი ქართლისაი"-ში წერია ჰონების ქართლში დასახლების შესახებ, ოღონდ „ქართლის ცხოვრებაში" ნაცვლად ჰონებისა „ურიანი" იხსენიებიან, ხოლო დამხვდურ „ბუნთურქთა უფლის" მაგიერ — „მცხეთელთა მამასახლისი".

გ. ქავთარაძის თვალსაზრისით, რამდენადმე ყურადსაღებია ჯ ს. სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის" ბერძნული ტექსტის „მასახა ჰონნები", სომხური ტექსტის მათი შესატყვისი „მასქუთებითურთ". მასქუთებში ზოგიერთი მეცნიერი მესხებს ხედავს; თუმცა კი უფრო ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში მასქუთ (მასახებს, კასპიისპირა მასაგეტებად, ხოლო „ჰონნებს" ჰუნებად მიიჩნევენ. გ. ქავთარაძე აღნიშნავს, რომ „თუ „მოქცევაი ქართლისაი"-ს „ჰონნებს" ჰუნებთან გავაიგივებთ, გაურკვეველია — რა კავშირი უნდა ჰქონოდათ მათ სამხრეთმესოპოტამიურ ქალდეასთან?" მკვლევარის აზრით, „ჰონნების" ვინაობის დადგენისთვის ყურადღებას იმსახურებს ი. ორბელის შენიშვნა, რომ ძველ სომეხ ისტორიკოსებთან დადასტურებული ეთნონიმი ჰონქი, სვანური ტომის — ჰონ/ჰენიოხების, ანუ იგივე სანი-სანიგების აღმნიშვნელია და არ შეიძლება მისი აღრევა ჰუნების სახელწოდებასთან, რაც შეეხება ქალდეველთა სახელწოდებას, ცნობილია, რომ ბაბილონეთის გარდა, ქალდეა აღნიშნავდა პონტოს აღმოსავლეთ ნაწილს — ჭანეთს, ჭანეთი კი, ისევე როგორც მესხეთი, სვანური თემების (ტიბარენების, ხალიბების, სანების და სხვ.) [illegible] საცხოვრისი იყო.

ლეონტი მროველის ცნობით, როდესაც ირანის ლეგენდარულმა მეფე ქაიხოსრომ „თურქები" შემუსრა, დამარცხებულმა „თურქებმა" „განმოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა, ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა, ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შეშწეობისთვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა, ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი მცხეთას, დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკუეთილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან, მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე".

„მოქცევაი ქართლისაი", განსხვავებით „ქართლის ცხოვრებისაგან", ბუნ-თურქთა (იგივე „თურქთა") დაარსებულად მიიჩნევს არა მარტო სარკინეს, არამედ უფლისციხეს, ურბნისსა და ოძრახეს; საგაგიეროდ, მცხეთის, ოძრახის, უფლისციხის და ურბნისის მაშენებლად ლეონტი მროველი მიიჩნევს ქართლოსიან მცხეთოსს (მცხეთოსი, როგორც ითქვა, ეთნონიმ მესხის განპიროვნებული გადმოცემაა) და მის შთამომავლებს უფლოსსა და ოძხოსს, ამის მიხედვით, სავსებით დასაშვებია, რომ ბუნ-თურქებშიც მესხები ვიგულისხმოთ.

ლეონტი მროველი და „მოქცევაი ქართლისაი" ბუნ-თურქებს მოიხსენიებენ, ვითომც ისინი სასტიკნი და ველურები ყოფილიყვნენ. ცხადია, ქა-

ლაქთა და ციხეთა მაშენებელი ე. წ. „ბუნ-თურქები" არ იქნებოდნენ ველურნი.

ტერმინი „ბუნ-თურქნი" (თურანელები; „პირვანდელი", „თავდაპირველი", „ძირეული" თურქები) სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის. მხოლოდ ქართულ მატიანეებს შემოუნახავთ საკმაოდ ბუნდოვანი ცნობები „ბუნთურქთა" ყოფნაზე საქართველოში. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს „ბუნ-თურქნი" ლეონტი მროველთან „ბუნთურქებად" და უბრალოდ „თურქებად" იწოდებიან.

გ. მამულიას გამოკვლევის თანახმად, ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში მოთხრობილ ამბავს „ავი ზნის" ბუნთურქთა შესახებ („ავ ზნეს" ლეონტი მროველი „ყოველთა ქართველთა" მიაწერს) საფუძვლად დასდებია წინა აზიაში ფართოდ გავრცელებული ლეგენდები ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა „უწმინდურ ტომთა" წინააღმდეგ მასისის მთის იქით. ეს ლეგენდები, გ. მამულიას სიტყვით, ზეპირი თუ ლიტერატურული გზით ქართლშიაც შედიოდა და, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ინტენსიურად ჩვენში ჰუნებისა და თურქების ძლიერების ხანაში (IV-VI სს.) იჭრებოდა, რაზედაც ის მიუთითებს, რომ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მიხედვით, ალესანდრე ქართლში ჰუნებსა და ბუნთურქებს ებრძვის. ამრიგად, ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ ქართლში მოსახლე „უწმინდურ ტომთა" წინააღმდეგ VI ს. ადრე ვერ დათარიღდება (გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში).

მეორე მხრივ, წოდება „ბუნ-თურქნი" (ან, უბრალოდ, „თურქნი") ძველ მესხთა აღსანიშნავად და ტერმინი „არიან-ქართლი" — სანაცვლოდ „მესხეთის ქვეყნისა", — ქართველი მწიგნობრების მიერ არის შეთხზული. რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ კი, ძვ. წ. VII ს-ის ბოლოდან ქართლში მასობრივად შემოსული მესხების სვანურენოვნების დაფარვას და მათ წარმოჩენას ან აღმოსავლურ-ქართულ თემებად (ლეონტი მროველთან მცხეთოსი ქართლოსიანია), ან ქართლში შემოღწეულ არაქართველურ, უცხო თესლად; აგრეთვე, მესხეთისა და ქართლის ეთნოგრაფიული ერთეულების შერწყმას, რაც ქართლის (შემდგომში საქართველოს) სახელმწიფოს შექმნისა და სიმტკიცის საწინდარი იყო.

ასე რომ, ძველ ქართულ წყაროებში შეფარვით, მაგრამ მაინც ასახულა ქართლში მესხების გადმოსახლებებისა და საქმიანობათა ამბავნი ძვ. წ. VII-IV სს.

აღმოსავლეთ საქართველოში სასპერების (მესხების) გავრცელების ხანა — ძვ. წ. VII ს-ის ბოლო და ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმიდან აყრილი ებრაელების ქართლში მოსვლის თარიღი — ძვ. წ. 597-586 წწ., თითქმის თანხვდება ერთიმეორეს. აქედან უნდა მოდიოდეს ლეგენდა ერთიანი საქართველოს მეფეთა წარმომავლობის შესახებ, რომ ისინი — სპერელი ბაგრატიონები ებრაელთა შთამომავალნი იყვნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში ძვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან მოყოლებული (იქნებ უფრო ადრეც) უნდა არსებულიყო ქართველური თემების ცხოვრების ამსახველი რაიმე ჩანაწერები ან „წიგნები", რისი გადამუშავების საფუძველზეც შექმნილა „მოქცევაჲ ქართლისაჲ" (IX ს.) და ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა..." (XI ს.).

მიხეილ ლანიშაშვილი

# და საქართველო ისევ აღსდგება...

1987 წელს გამომცემლობა „მერანმა“ დაბეჭდა ბასილ მელიქიშვილის მოთხრობების კრებული „მკერდშებოლილი მერცხალი“, რომლის შესავალ წერილშიც ბატონი ალექსანდრე გომიაშვილი სხვათა შორის აღნიშნავდა: „სიამოვნებით მინდა აღვნიშნო მწერლის სიყრმის მეგობრების — ევგენი ხარაძისა და ქუჯი ძიძიშვილის დიდი ამაგი ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შენახვის გამო... — მიხეილ ჯავახიშვილთან, გერონტი ქიქოძესთან და კონსტანტინე ჭიჭინაძესთან ერთად სწორედ მათ დასდეს უკანასკნელი პატივი ბასილს, 1930 წლის 27 აპრილს, სოფელ წვერში, ძველი საყდრის ნანგრევებთან უხმოდ დაიტირეს მეგობრებმა უდროოდ დაკარგული ძმობილი და მშობლიურ მიწას მიაბარეს.

გავიდა დრო და გარდაცვალებიდან 30 წლის თავზე კვლავ შეიკრიბნენ მეგობრები მწერლის საფლავთან. მისი ნეშტი წვერიდან პანტიანში გადმოასვენეს. დაკრძალეს ახალ სამარხში და ზედ ქართული გრანიტის ლოდი დაადეს. იმ დღეს გადაწყდა ბასილ მელიქიშვილის მოთხრობების გამოცემაც.

სწორედ ამ ფრაზებით შეგულიანებულმა გადავწყვიტე, ბატონ ევგენი ხარაძეს დავკავშირებოდი, ამას თან დაერთო ალმანახ „კრიტიკის“ მაშინდელი მთავარი რედაქტორის, ბატონ დავით მჭედლურის სიტყვები: „მგონი ბასილ მელიქიშვილს რაღაც კავშირი ჰქონია 1924 წლის შეთქმულებასთან... მისი მეგობრებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ყველანი წასულები არიან... ნახე ბატონი ევგენი ხარაძე, იქნებ გაიხსენოს რაიმე...“ რჩევა ჭკუაში დამიჯდა და მხცოვან მეცნიერს სახლში დავურეკე. ბევრი რამ უკვე აღარ მახსოვს და ვშიშობ იქნებ მთლიანად ვერ გავამართლო თქვენი იმედებიო, — მითხრა მან. მაინც ვეწვიე დათქმულ დროს.

და აი, რა მიამბო:

„ადრე ბასილ მელიქიშვილი — დაიწყო ბატონმა ევგენი ხარაძემ, — სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, საიდანაც მალე ჩვენთან, სათავადაზნაურო გიმნაზიაში გადმოვიდა, სწორედ მაშინ გავიცანი. მგონია, მეოთხე კლასიდან ერთად ვიყავით უკვე. გავიცანი, ალბათ, თავისთავად, ისევე, როგორც დანარჩენი მეგობრები, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე კლასში, ჩემი ყურადღება მან თავიდანვე მიიქცია ერთგვარი გულჩათხრობილობით, რაც პირველივე შთაბეჭდილებას ჰქმნიდა მასთან შემხვედრის წარმოდგენაში. თითქოს თავად უფრო იჩენდა სურვილს ჩემთან დაახლოებისას. ასეთი იყო, სხვათა შორის, სხვებთან ურთიერთობაშიც... თუ მცირე საბაბი მიეცემოდა, უთუოდ ვაჟა-ფშაველაზე, მის პოეზიაზე დაიწყებდა საუბარს, უყვარდა მისი ნაწარმოებების მოყოლა. მერე მთაზე გაახშირა საუბრები. მთის შესახებ ისე მყვებოდა, რომ მეგონებოდა ვაჟას კარმიდამოში ცხოვრობს ან ყოველ კვირას იქ ადისო. გვიან გახდა ჩემთვის ცხადი, რომ უფრო ხშირად სოფელ პრიუტში ადიოდა (მანგლისის გზაზე, კოჯრის შემდეგ) და ეს უქმნიდა მას მთის ილუზიას. მაგრამ ვაჟას მთის სიყვარული მაინც ნამდვილი ჰქონდა. რაღაც განსაკუთრებული, გამძაფრებული. მეორე რიგში, ყაზბეგს ეთაყვანებოდა. ხშირად გვქონია საუბარი მის რომანებზე. მისი ნაწერებიდან მთელ ადგილებს ზეპირად წ[illegible]მოთქვამდა ხოლმე, მოსწონდა პერსონაჟთა [illegible]ოხევური დიალექტით მეტყველება. საერთოდ, დიდად აფასებდა და ეთაყვანებოდა მთის კილოებს... ხოლო გამწვავებული, მე ვიტყოდი, პატრიოტული სული, თითქოს გაღიზიანებული და მშფოთვარე, ბასილს ყოველთვის თან ახლდა. დაუოკებელი პროტესტი სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფევდა მის ხასიათში, განწყობილებაში; თუმცა უხმაურო იყო, მოკრძალებული, კარჩაკეტილი, სახეზე მუდამ ნაღველი ეხატა. მაღალი იყო, გამხდარი, სახენაყვავილარი, თავზე მრგვალი ნაბდის ქუდი ეხურა, უფრო სწორად, მოგდებული ჰქონდა დარდიმანდულად. არცთუ ისე იშვიათად ჩემთან ბინაზე მოდიოდა. საუბარი გვქონდა ყოველთვის ქართულ ლიტერატურაზე (ვაჟა, ყაზბეგი, ბარათაშვილი...). ბოლო დროს საკუთარი ნაწარმოებებიც გამოაჩინა, მიყვებოდა ახლად შეთხზული მოთხრობების შინაარსს, მაკითხებდა ხელნაწერებს. არ მახსოვს დეტალები. თუმცა ყოველთვის ყურს ვუგდებდი ყურადღებით, ინტერესით, თანაგრძნობით, მომწონდა მისი მწერლობა, რაც ძალიან ხიამოვნებდა და აზალისებდა... ტერენტი გრანელის სახელი, მისი ლექსები პირველად მისგან მოვისმინე. გრანელს სულ ზეპირად მიკითხავდა, ძლიერ უყვარდა მისი მელანქოლიური პოეზია, ეტყობა რაღაც სულიერ სიახლოვეს გრძნობდა მასთან!.. ძალიან მეგობრობდა ქუჯი ძიძიშვილთან. ქუჯიც ფაქიზად ეპყრობოდა, პატივს სცემდა, უყვარდა, აფასებდა, ეცოდებოდა, იგი ბოლომდე დარჩა მისი ერთგული. ქუჯი ბასილის დებსაც (თუ დას!) დაუახლოვდა, სწვევია კიდეც ძმის გარდაცვალების შემდეგ რამდენჯერმე, არც მერე გაუწყვეტია კავშირი, მე მგონია იგი მატერიალურადაც ეხმარებოდა ბასილს. ქუჯი ყოველ წლისთავზე მოინახულებდა ხოლმე მის საფლავს სოფელ პრიუტის ახლოს, ტყეში, ბუნების წიაღში. მას ძალიან აწუხებდა, რომ ბასილის საფლავს ძეგლი არ ადგა. მხოლოდ 1960 თუ 1961 წელს, როცა გადავწყვიტეთ, რომ რაღაც უნდა გველონა ამ მხრივ, ჩვენი უნივერსიტეტის პრორექტორს სამეურნეო-ადმინისტრაციულ დარგში ალექსანდრე კანდელაკს (მაშინ მე უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა მეკავა) დავეკითხეთ რჩევას, თუ როგორ იყო შესაძლებელი ბასილის საფლავისთვის შეგვექვეთა სადა, მაგრამ მწერალი კაცის შესაფერისი ძეგლი. მან გვირჩია: უნივერსიტეტის ეზოს ბოლოში „უხსოვარი დროიდან“ ძევს უშველებელი უფორმო (ანუ ნატურალური, დაუმუშავებელი) ლოდი, „უპატრონო და უმაქნისი“. ჩვენ ძალიან მოგვეწონა ეს აზრი. ისევ ალექსანდრეს დახმარებით სატვირთო მანქანით ავიტანეთ იმ ხელშეუხებელ ტყეში და დავასვენეთ ბასილის საფლავზე. რამდენჯერმე მეც ვყოფილვარ ქუჯისთან ერთად მას შემდეგ იმ საფლავზე. არადა, ყოველწლიურად კი არის საჭირო, მოვინახულოთ ის ადგილი ამდენი ხნის გავლის შემდეგ! ეგებ მწერალთა კავშირის ყურადღების ქვეშ იყოს? არ ვიცი!.. ალექსანდრე კანდელაკის წინადადება კი იმიტომაც მოგვეწონა, რომ მაშინ რაღაც სიმბოლური დავინახეთ ამაში — ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტიდან მიგვქონდა მწერალ ბასილ მელიქიშვილის საფლავზე სამახსოვროდ საფლავის ლოდი! თითქოს ბასილსაც უფრო მეტი დაფასება, სიყვარული და პატივისცემა მივაგეთ ამით... იცით, წეღანაც შევნიშნე და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ ბასილს რაღაც გამძაფრებული გრძნობა ჰქონდა პატრიოტიზმისა. თუმცა არც ის მახსოვს, რომ აქტიურ პოლიტიკაში გარეული იყოს, შეიძლება იყო, მაგრამ მე არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, 1921-1924 წლებში, ჩვენ საამისოდ ახალგაზრდები ვიყავით ძალიან. დღეს უფრო ადრეული ასაკიდან შედიან დიდ პოლიტიკაში! ისე კი, ხასიათი განწყობილება მაშინ ყველას გვქონდა გადმოღებული უფროსებისგან. ვწუხდავდით, რომ ეს იყო ძალადობა, ხიშტითა და უცხო ძალით ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის ხელყოფა, რაც ჩვენს სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა. მახსოვს, როგორი ძლიერი ზემოქმედება მოახდინა ბასილზეც და ყველა ჩვენთაგანზეც 1921 წლის თებერვალში, ემიგრაციაში წასვლის წინ, თბილისში ნოე რამიშვილის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა, რომლის ბოლო ფრაზებიც ასეთი იყო: „...და საქართველო ისევ აღსდგება!“ ეს სიტყვები ჩვენ შემდეგ პაროლად ვაქციეთ და, როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, გამარჯვების ნაცვლად ამ სიტყვებით მივმართავდით ერთიმეორეს. ამ „ეროვნულ მოძრაობაში“ ბასილიც აქტიურად იყო ჩაბმული, ამ პაროლზე უფროსები ზოგან კეთილი განწყობით იყვნენ, ზოგან კი გვიჯავრდებოდნენ. მახსოვს, გიმნაზიაში სწავლისას გაზეთებიდან ამოვჭრიდით ხოლმე თეთრი გიორგის გამოსახულებიან საქართველოს გერბს და გიმნაზიელის ქუდზე გვქონდა მიკრული და ისე დავიარებოდით. ბევრი უვლია ასეთი ქუდით ბასილსაც, თან როგორ ემაყებოდა და უხაროდა! ცუდი დრო იყო, ბიფათიანი, ამიტომ ჩვენ, ზოგმა მეცნიერებას მივაშურეთ, ზოგმა — მწერლობას, ვფიქრობდით, ასე შევძლებდით საქართველოსთვის სამსახურს. ბასილმა მწერლობაში შედგა ფეხი, მაგრამ ნაადრევად გარდაიცვალა. არადა, რა ხალასი ნიჭის პატრონი იყო, რამდენს შესძენდა ჩვენს მხატვრულ ლიტერატურას...“

წამოსვლისას ბატონმა ევგენიმ გადმომცა გაყვითლებული, ნერვული ხელით ნაწერი ბარათები, რომლებიც სხვადასხვა დროს მისთვის გაუგზავნია ბასილ მელიქიშვილს და მითხრა, თუ რამეში წაადგება ქართული მწერლობის ისტორიას, შეგიძლია გამოაქვეყნოო.

საჭიროდ მიმაჩნია, ზოგიერთი მათგანი მართლაც გაიცნოს მკითხველმა. ბასილ მელიქიშვილის შემოქმედების მკვლევარს ოდესმე შეიძლება გარკვეული სამსახური გაუწიოს ამ სტრიქონებმაც.

### ჩემო ბენო!

მე ხვალ სოფელში მივდივარ. ვრჩები მოწყენილი, რადგან ვეღ გნახე. თქვენსა ვიყავი ტატიშვილთან ერთად, მაგრამ შენ შინ არ დამიხვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი... გიგზავნი ალბომს ქებაძის ხელით, აქა-იქ აკლია ლექსები და თუ დაწერე კიდევ, ჩაგიწერ. ეს ლექსი „ნისლების მოადგილე“, არ გაგიკვირდეს რომ არაჩვეულებრივია, დაუმთავრებელია, როდესაც ჩემი სულის ჰანგს უფრო მძლავრად ჩახვდები, შენ თვითონ მიუწერ... და მოვა დრო და გაიგებ, თუ რა არის „ნისლების მოადგილე“...

შენი მეგობარი ბასილ მელიქიშვილი
1922 წელი 10 მარტი
თბილისი

პოსტ სკრიპტუმ: ყაზბეგმა სთქვა: „ხანდახან ადამიანს ისეთი ალი უტრიალებს გულში, უნდა მოიშოროს, შეიმსუბუქოს მისი სიმწვავე (სხვისთვის თქმით), მაგრამ არ შეუძლია, რადგაც მოხდის და დედ-მამას, ძმა-დას, ძმადნაფიცს, მეგობარსაც ვერ უმჟღავნებს და ამისათვის მას ვერ გაამტყუვნებთ“-ო.

## ჩემო გენო!

მე ის აღარა ვარ... ძველი ნიშან-წყალიც-კი გაქრა ჩემში. მე მეორე მახაკოვანი ვარ და მიყვარს და მეყვარება სულით და გულით ჩემი „ნისლები“, თუმცა ჩავიწყვეტავ ხმას და ვეცდები „დავივიწყო ყველაფერი, სულ დავივიწყო“ თუ შევძელი. შენ სახელი გაიგე და გვარიც იცი, დავწერდი, მაგრამ არ ძალმიძს.., თვითონ ჩაუმატე... ნუ გაგიკვირდება სწორედ, რაც გითხარი, ყველა მართალი იყო — მე იმ აზრისა ვარ... ჩემს სიყვარულს და პირველ კოცნას შევწირავ თამარს და თუ შესაძლებელი იქნება, სიცოცხლესაც, განა ეს მელირსება?.. შენ კი ეს ქუჩური ან ბავშვური გატაცება ნუ გეგონება, მხოლოდ გთხოვ, წერილი და ყველა ეს საუბრები გულში ჩამარხო... მე კი კიდევ ვეცდები და ვეცდები, რომ ეს გრძნობა ჩავიკლა გულში, მაგრამ, გენო, შევძლებ „თვალების-ქურის“ დავიწყებას? განა ამოშლი იმ სახეს, რომელიც გულის ეკრანზე გამოსახულა, განა შევძლებ დავივიწყო სახელი, რომელიც ჩემს გონებას მუდამ თან სდევს? ვერ წარმომიდგენია! მართალია, ნამდვილი სურათი არა აქვს ჩემს ხილულ თვალებს, მაგრამ გულის, გულის თვალები კარგად ხედავენ.., ყველგან ყურები წივიან: „თამარ!“ „თამარ!..“ თუ დავიმორჩილე გულიც, ყურებიც და ყველა, ყველა... მაშინ, მხოლოდ მაშინ არის იმედი. მეტი რა მოგწერო, ნახვამდის. მშვიდობით! ყველაფერი ძალიან წერი მოიწერე ხოლმე...

მარად და მარად შენი მეგობარი ბასილი
1922 წელი 28 მაისი
დედაქალაქი

## საყვარელო მეგობარო გენო!

მოგიკითხავ დი..იდი სიყვარულით. ო, გენო, გენო, რა მოგწერო? შენ ყველაფერი იცი, შენ ხედავ, გესმის ჩემი გულისძგერაც და ამიტომ სიტყვა აღარ მომდის. მაინც გეტყვი, რომ მე მიყვარს გადარევით, ელგუჯასავით... შენ ვერ გაგიგია ჩემი ლაპარაკი იმის შესახებ, ვითომ მე ეხლავე მინდოდეს ქორწინება! ეგ ხომ ყოვლად შეუძლებელია! მინდა, განა არ მინდა დამეგობრება, დაახლოება, მაგრამ რა ვსთქვა.., ეს შეუძლებელია. მე და „იმის“ შუა დიდი, დიდი კედელია აშენებული, ხიდი ჩატეხილია (წაიკითხე, გენო, „ქუჩი“ ვაჟასი და გაიგებ ყველას: „ეს ხომ სასიამოვნო ტანჯვაა, ამბობს ქუჩი, ის ჩემთან არ მოვა, მე — იმასთან“), ეხლა კი ნახვამდის, ჩემო გენო.

1922 წელი 27 ივნისი
პრიუტი
შენი მოსიყვარულე მეგობარი თრიალა

## ძვირფასო გენო!

როგორა ხარ? მე ძალიან ავათა ვარ! მძლივსა ვწერ წერილს. ავათა ვარ, გენო, ფიზიკურადაც და ფსიხოლოგიურადაც, აშფოთებული სიჩუმით ვცდილობ დავიმშვიდო თავი. მაგრამ მწარე მოგონება... წყეული (თუ დალოცვილი!) არ მახვენებს, თანა მდევს. როგორ გადავურჩები, როგორ, ბუდამ უწყის! სული დამიავადმყოფდა... ძალიან მინდა მანდ ყოფნა, მაგრამ ლოგინიდან ეხლა ავდეგი და ძალიან სუსტად ვარ, ხელი მიცახცახებს. ო, გენო, რა ვქნა, რა ვქნა? მოჯადოებული სახე... და მაგონდება ნ. ბარათაშვილის ლექსი „ო ცაო, ცაო!“ ყველაფერი მიუწვდომელია... როგორც ცა, როგორც საიდუმლოება ბუნებისა... ჩემი ოთახის ფანჯრები გადმოჰყურებენ ვერის ხევს, თბილისს, ჩემს სამშობლოს... გენო, როგორ გავბედო, როგორ... მაგრამ ვერ მოვითმენ... ულრმესი პატივისცემით სალამი ნისლეთს თბილისში, სალამი ნაცნობაური... სალამი ჩაფერფლილი გულიდან ამოტყორცნილი... რაღა მოგწერო. მოწყენილი ვარ, გიმნაზიაზე ფიქრები თავს მატკიებენ. ძველი გიტარა ვიშოვე და ხელები დაგლეჯილი მაქვს იმისი რახუნითა.

შენი ბასილ მელიქიშვილი
1922 წელი 18 იანვარი
ზირბითი

## ძვირფასო გენო!

უმდაბლესი სალამი.

როგორ ჩახვედი სოფელში, რა გუნებაზე ხარ, მე ძალიან მაინტერესებს.

მე ჯერ ისევ თბილისში ვარ, თუმცა ძალიანაც მცხელა და ატესტატიც ავიღე. ამ ორ დღეში უსათუოდ წავალ. წავალ და მთელი ზაფხული მარტოდ-მარტო უნდა დავრჩე და მოდი და ნუ გახდები პოეტი ან მძაფრი გრძნობების კაცი. ხომ იცი, სიმარტოვე არის დედათაგანი პოეზიისა და გრძნობისა.

ეხლა მინდა გესაუბრო ჩემს განწყობილებაზე მე და შენს შუა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულრმესი ბოდიში... ბოდიში და ბოდიში შენს წინაშე... მართალია ბევრი რამ გაწყენინე, მაგრამ ეს უფრო სიყვარულითა და მეგობრობით მომდიოდა, ჩემი გრძნობა შენდამი ისეთივეა, როგორიც იყო აქამდე...

თამარს სალამი.

თამარს სალამი... ჰმ!.. „ვინც დავიჭრენით, გამოვრჩით, კიდევ ცოცხლები დავრჩითა“.

შენი ბასილ მელიქიშვილი
1924 წელი 28 ივნისი
დედა-ქალაქი რესპუბლიკის

## ძმაო ბენო!

თარუნანო, ჰა თარუნანო... რა უნდათ ამ სიტყვებს ნეტა შენც გაგრძნობინა, როგორც მე ვგრძნობ... — ჩამოიხევა ფარდა ამ სიტყვას (პათოსში გადადი და ისე გაიგე ყველა)... იქით კლდეები, აწყვეტილი ღრუბლები და, რაც უმთავრესია, გიჟი, გიჟის თვალები, გამორეცხილი, უაზრო თვალები, თვალების ამოშრეტა და სხვა და სხვა.

აქ, სადაც მე მიხდება ზაფხულობით ცხოვრება, გაყინული გულიც კი გათბება, რაღაც ეშმაკი პოეზია რომ არის, მახაც გაჰკაწრავს... ღამე აქ არის სიგიჟე, ავარვარება, აწყვეტა, გახელება (გრ. რობაქიძე), აშრეტა, ატმახვნა და სხვა და სხვა. აქვეა — სიდინჯე, სიდიადე — სიფრიადე —

——————— რა მინდა ყოველივე ამით ვთქვა? ის, რაც უნდა იგრძნო შენ ამ წერილის მიღების შემდეგ, სხვა, აქ არის ჩემი გული.

ჩემი წერილი „ქართული ანბანი, როგორც პოემა“ მგონი არ მიჩვენებია? როგორ ენანობ. მოიწერე წერილი. ნახვამდის.

შენი ბასილ მელიქიშვილი
1924 წელი 24 ივლისი
სოფ. პრიუტი ზირბითი

## ძმაო ბენო!

მივიღე ყველაფერი. დიდად გმადლობთ. მე ყველაფერი მაქვს, ნუ შესწუხდები. მოკითხვა ყველას, ვისაც ვიცნობ. თუ შეიძლება წიგნი შემომიგზავნე რამე. მოკითხვა თამარს.

შენი ბასილი
1924 წელი, 7 დეკემბერი

## ძმაო ბენო!

მივიღე შენი გამოგზავნილი წიგნი. დიდად გმადლობთ. მოკითხვა ყველას. თუ გამოგზავნო როდისმე წიგნი, ისევ ლიტერატურული კრიტიკა ან უახლესი პოეზია. იქნებ მალე განახოთ. მოკითხვა თამარს.

შენი ძმა ბასილი
1924 წელი 18 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

# მშვენიერების მაძიებელი

გასული წლის ოქტომბრის მიწურული იყო; საკმაოდ მღელვარე, შფოთიანი დრო, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით — წლის ბოლომდე ამდენი უბედურება თუ დაგვატყდებოდა თავს.

კეთილად დამამახსოვრდა ის დღე. ორიოდე ახლობელთან ერთად ვესტუმრე ჩვენს ცნობილ მხატვარ ქალს მანანა ბობოხიძეს, რომელსაც იმხანად ორმოცდაათი წელი შესრულებოდა. მასპინძლობას გვიწევდა მისი მეუღლე, საუცხოო ვაჟკაცი — ალეკო ფურცხვანიძე — ხელოვნების დიდად მოყვარული და დამფასებელი პიროვნება. თავად ქალბატონი მანანა (თუ მოეწონეთ და გული გადაგიხსნათ) ძალზე უშუალო, ხალისიანი და, ამავე დროს, ზომიერად ამაყი, არტისტული ბუნების ადამიანი გახლავთ, თავისი მყარი, ჩამოყალიბებული პრინციპები აქვს.

ამ ოჯახის გამორჩეული ლაზათი და იშვიათი წესრიგიანობა კიშკართანვე ვიგრძენი ჰაერში ხხეულის დამბანგველი სითბო იდგა, ფოთლებში გამჯდარი ოქრო გადახრილ მზეზე ბრიალებდა. სიმწიფისგან შუაზე გადახსნილ, თავმოკრულ ქისასავით ჩამოკონწიალებულ ბროწეულს სისხლისფერი მარცვლები უბრწყინავდა. მოშორებით ნაყოფით დახუნძლული, წელში გადრეკილი ხურმის ხე თვალისმომჭრელად ანათებდა. ირგვლივ სიმშვიდესა და თავბრუდამხვევ სილამაზეს დაესადგურებინა. შემაღლებიდან საამო ხედი გადაიშალა: აბრჭყვიალებული მტკვარი ლოკავდა შლამიან, შეგრილებულ ლოდებს, კენწეროები უბრიალებდათ კელაპტრებივით ჩამწკრივებულ ალვებს... მდინარის თავზე ვერცხლისფრად შეღებილი ვეება მილი გაწოლილიყო.

იმ წარმტაც, საგულდაგულოდ მოვლილ ეზოში, თუ მარტო ხარ, მთლად უხიფათოდ ვერ შეაბიჯებ; მესერის გაყოლებაზე კარგი მოშვრისტოლა, სადაფივით გასრიალებული, ბეწვებმხზინავი, ჯიშიან მაღალ ფეხებზე შემდგარი დოგი დარბის და დროდადრო მოგუდულ, მაგრამ გული რომ შეგიქანდება, ისეთ ხმაზე დაიყეფება, სანამ იქაურობას არ გაარიდებენ და ცალკე არ შეამწყვდევენ, თავისუფლად ვერ გაივლი.

მანანა ბობოხიძის ფერწერული ნამუშევრების თვალიერებას რომ იწყებ, თავიდანვე გაოცება გიპყრობს, ოჯახის მოვლა-პატრონობასთან ერთად (იგი შესანიშნავი დიასახლისია), ამ ნაზმა არსებამ, როგორ შესძლო, როდის მოასწრო ამდენი რამის შექმნა, ამდენი შთანაფიქრის განხორციელება.

მხატვრის სასინებელ ოთახში ჰკიდია [illegible] მოხუცებული, ნაოჭებისაგან შუბლდაღარული ლადო გუდიაშვილის უაღრესად შთამბეჭდავი ფოტოსურათი. ჯადოქრულად ირკალება გა[illegible]კნილი, თავთუხის ფხებივით რქანაყარი ს[illegible] წარბები. თითქოს ყოვლის მილმა იმზირება ოხტატის უჩვეულოდ ცოცხალი, გრძნეული თვალები, ზღაპრულად განათებული უზარმაზარი სამყაროს დანახვა და უკვდავყოფა რომ მოასწრო და მაინც ვინ იცის, ამ კაცს რამდენი განუხორციელებელი ოცნება დარდად ჩაჰყვა საფლავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევითი სულაც არ უნდა იყოს, რომ სწორედ დიდმა ლადო გუდიაშვილმა, ერთმა პირველთაგანმა შეამჩნია და მისებურად დალოცა სრულიად ახალგაზრდა მანანა ბობოხიძის გამორჩეული ნიჭი (საგანგებო წერილი უძღვნა, რაც საკმაოდ იშვიათად ხდებოდა), იგრძნო მასში მონათესავე სული და გოგონას ნატიფ თითებში მოქცეული ფუნჯის მოძრაობა, ცისარტყელას ელვარებას შეადარა.

ცოტა იქნებოდა იმის თქმა, რომ ერთგულ შეგირდს, მადლიერების გრძნობა დღემდე არ განელებია — ლადო გუდიაშვილი თავის უპირველეს მოძღვრად, გზის მანათობლად მიაჩნია, იგი მის ცნობიერებასა და შემოქმედებაში უმნიშვნელოვანეს, ცალკე თემად შემოვიდა ისევე, როგორც თავის დროზე ლეგენდარული ფიროსმანი გახდა გუდიაშვილის შთაგონების უშრეტი წყარო, ხოლო ტყისულამაზესი პირმშო, უმანკოებისა და მშვენიერების სიმბოლო — შველი — ფიროსმანის ხილვებიდან რომ ამოიზარდა და გუდიაშვილმაც გაითავისა, მანანა ბობოხიძის ტილოებიდანაც არაერთხელ შემოგვანათებს ნაღვლიან, მოწყლიანებულ თვალებს.

ლადო გუდიაშვილის პორტრეტებში მათმა ავტორმა იმდენი სიყვარული და ენერგია ჩახდო, მათზე საგანგებო წერილი დაიწერებოდა, რაც ჩვენი უშუალო მიზნიდან გადაგვახვევინებდა. რამდენის მთქმელია თუნდაც ის, რომ ძვირფასი მასწავლებლის ხსოვნას, მანანა ბობოხიძემ უძღვნა სიმბოლური აზრით განმსჭვალული თავისი ერთ-ერთი საუკეთესო, შთაგონებული ნამუშევარი „ფრესკის ტირილი“.

თვითონ გუდიაშვილმა ახალგაზრდა მხატვრის ყმაწვილქალობაში წინასწარმეტყველური სიზუსტით, ბრწყინვალედ მოხაზა მისი ოცნების სამყარო, საუცხოო გრაფიკულ ნამუშევარში ჩასტოვა ძლიერი ნებისა და დაუოკებელი ლტოლვის გამომხატველი მეოცნებე სახე.

პორტრეტი მხატვრობაში ერთ-ერთი ყველაზე ურთულესია და სწორედ აქ იჩენს ხოლმე თავს ხელოვანის სუსტი მხარეები თუ ძალმოსილება, ტემპერამენტის სიმძლავრე თუ ხედვის თავისებურებანი, ვლინდება ოსტატობის დონე, ტექნიკის სრულყოფილება.

ნამდვილად არსებობს იმის საფუძველი, ითქვას, რომ მანანა ბობოხიძე ოსტატურად ფლობს პორტრეტის ხელოვნებას. საკამათო არ გახლავთ — ჭეშმარიტად დიდი უნარია საჭირო, რათა ამ ძალზე ტევად და უძნელეს ჟანრში შენი სახე, გამორჩეული ხელწერა გამოავლინო, თანაც ისე, საკუთარი მანერა შტამპად არ გექცეს და ამავე დროს თავისთავადობა შეინარჩუნო. ყოველივე ამას მძაფრი, განუწყვეტელი ძიება და გამოსახვის ახალ-ახალი ხერხების მიგნება ესაჭიროება.

თავდაპირველად ზოგი რამ გვინდა ვთქვათ მხატვრის ავტოპორტრეტებზე, მითუმეტეს, მანანა ბობოხიძის ამ ტიპის ნამუშევრები ვრცელი საუბრის საბაბსაც იძლევა. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტოპორტრეტში ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მხატვრის ბუნება ტემპერამენტი, გარესამყაროსადმი დამოკიდებულება, ფერებისადმი გამორჩეული მიდგომა, მიდრეკილება, შემოქმედების სხვადასხვა ეტაპები, ერთი პიროვნების არსებაში მიმდინარე განუწყვეტელი სახე-ცვლილება, ესთეტიკური მრწამსი და მრავალი სხვა რამ, რისი ჩამოთვლაც შეუძლებელია.

ქალწულური აფეთქების, ჯერ კიდევ გაურკვეველ ბურუსში ყოფნის ნეტარ წუთებს გადმოგვცემს ერთი ადრინდელი, ძალზე საყურადღებო ნამუშევარი — „ავტოპორტრეტი მეცხრე კლასში“. შავ ტონებში შერეული შინდისფერი ფონი მოზარდის სისხლის მღელვარებას, თავბრუდამხვევ ქროლვას გვაგრძნობინებს. ყოველ ხაზში, ყოველ შტრიხში, თვით ფერთა გაბედულ შეხამებაში ახალგაზრდული სითამამე გამოსჭვივის; ოდნავ სევდიან გამომეტყველებაში, მოქნილ სხეულში ზღვა ენერგიაა დაგუბებული.

ავტოპორტრეტთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ერთ-ერთი უფაქიზესი ქმნილება — „ქალიშვილის ფიქრები“, სადაც ახალგაზრდა მხატვარი კომპოზიციის აგების სანიმუშო ნიჭს ამჟღავნებს; ქათქათა სახე და მკერდი გიშერივით თმისა და შავ თვალ-წარბთან შეხამებული ამავე ფერის კაბის ჩარჩოშია მოქცეული. გარშემო მომწვანო-მოლურჯო, გრძელი ქარისგან მიმოზნექილი ფოთლებია შემოყოლებული. ფოთლებს მარმარილოს ფეროვნება და დაძარღვული ღარები დაჰყვება. ყოველი დეტალი სკულპტურული სიცხადითაა გამოყვანილი. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ერთმანეთზე მიჯრილი (ერთი შავი და ორი მომწვანო) იაპონური თეატრალური ნიღბის სილუეტი — ხაზი ესმება ნამუშევრის სიმკვეთრეს, ზომიერ დეკორატიულობას, რაც მანანა ბობოხიძის ხელში ძალზე მარჯვე, მოხდენილ სტილისტურ ხერხად გვევლინება.

თითქოს ორიგინალურობით არ გამოირჩევა შველთან ერთად დახატული ავტოპორტრეტი. მაგრამ, ვფიქრობთ, მნახველს არც ეს გემოვნებით, ოსტატურად შესრულებული ნამუშევარი დასტოვებს გულგრილს. მისი მაღალი ყელის სინატიფეს ასევე ნარნარად იმეორებს შველის კისერი, რაც სასურველ განწყობილებას, ერთიან რიტმს ქმნის. მუქი და ღია წაბლისფერი, ჩამავალი მზის გამდნარი ოქრო კეთილშობილურ შუქსა და ელვარებას ფენს ამ მეტად პოეტურ სურათს.

თუ პოეზიის სიმბოლო ჩანგია, მხატვრობას მოლბერტი და ფუნჯები განასახიერებს. სწორედ ეს მეტყველი ემბლემაა გამოყენებული მანანა ბობოხიძის საუკეთესო, ყველაზე შთამბეჭდავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოპორტრეტში. მუქი თვალების გრძელი, ნუშისებური ჭრილი და სპილოსძვლისფერი მაღალი, მოხდენილი ყელი, ბაგეების მკრთალი, თავშეკავებული სიწითლე გამოსახულებას მდიდრულ და ამავე დროს ხალხურ არისტოკრატიულ იერს აძლევს. დატალღული თმის ირგვლივ ყვავილის ფიფქივით დაწინწკლული, დიადემასავით გაბრწყინებული თეთრ-ნაცრისფერი ხალებავის ანაბეჭდები და ხეების დამარხველ ქარში აფარფატებული წითელ-ყვითელი ფოთლების ჯაჭვი საუცხოო ფონს ქმნის და გარდი-გარდმო ამოშვერილ, ფუნჯების ფერს ეხმიანება — რაც ბუნებრივად კრავს სურათის კომპოზიციას. თხელი მაქმანებით გაწყობილი კაბა უშუალოდ ერწყმის საერთო ფონს, ყოველი დეტალი ჰარმონიის კანონს მორჩილებს. ამ დახვეწილ ნამუშევარში მადლიანი შემოდგომის სიმსუყე, დარბაისლური სიმშვიდე, აუმღვრეველი გარინდებაა დასადგურებული და მჭვრეტელზეც კეთილშობილურ გავლენას ახდენს.

მხატვარ ქალს, რა თქმა უნდა, კვლავაც მოუხდება ავტოპორტრეტების დახატვა და ამის საჭიროებას იგი ხელოვანის შეუმცდარი გუმანით იგრძნობს, მაგრამ ისიც ცხადია — იგი თავის თავს არ გაიმეორებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეეცდება თავისი ნიჭის, შესაძლებლობის ახალი წახნაგი წარმოაჩინოს.

მანანა ბობოხიძეს, სხვადასხვა დროს, მეუღლის რამდენიმე პორტრეტი აქვს შესრულებული და ყოველ მათგანს თავისებური ელფერი და ღირებულება გააჩნია — შინაგან სიმშვიდეს მიმზიდველ გარეგნობას, რაინდული თავდაჭერილობა და სიკეთის სამსახურისათვის სულიერი მზადყოფნა ებამება.

ერთ ადრეულ, სიჭაბუკის ხანაში შესრულებულ პორტრეტს „მეოცნებე“ ეწოდება. მთვარისგან განათებული, დაგრაგნილი ღრუბლების ფონზე, შავთმიანი, მწვანე, მხრებზე მოხდენილად მორგებულ ხამოსში გამოწყობილი, ხევდიანად ჩაფიქრებული ახალგაზრდა კაცი ზის; ხელში ზღაპრულად აყვავებული ნატვრის ხის ნერგი თუ, სიცოცხლის სიმბოლოდ მოაზრებული „სინათლის ყვავილი“ უპყრავს... ღრუბლის შეწითლებულ გარსში მოქცეული მთვარე გვირილას გულყვითელა ყვავილივით დაცურავს ცის უსასრულობაში და მის ირგვლივ ყველაფერი არაამქვეყნიურ შუქში ეხვევა.

ცხოვრებამ საკმაო სუსხი აგემა ამ სურათზე გამოსახულ მეოცნებე ყმაწვილს, ბევრი იმედი გაუცრუა, ბევრ ჯურღმულში ჩაახედა, მაგრამ სიკეთის კეთების სურვილი ვერ ჩაუკლა, მოძმისადმი სიყვარული და ერთგულება ოდნავადაც არ განელებია.

მოსიყვარულე დედას თავისი ერთადერთი ქალიშვილის — ვეროკოს — სახეც მრავალჯერ გადაუტანია ტილოზე, მაგრამ ამათგან განსაკუთრებით მომწონს ორი ნამუშევარი. ერთზე ლოყებშეწითლებული პატარა გოგონა (ხუთი თუ ექვსი წლისა) თოჯინებს შორისაა მოქცეული, თავის განუმეორებელ, ზღაპრულ სამყაროში ტრიალებს, თვალებში მიამიტური ფიქრი და გაოცება ეხატება. მეორეზეც დაახლოებით ამავე ასაკისაა, სავარძელზე ჩასძინებია, სიზმარში ანგელოსთა ფრთების მსუბუქი ჩრდილი ადგას... ორივე ეს სურათი, როგორღაც თავისებურია და განკერძოებულად, სტილისტური თვალსაზრისითაც განსხვავებულად გამოიყურება მხატვრის მთელს შემოქმედებაში.

ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ერთმა ფერწერულმა ტილომ. მხატვარს თავისი მიცვალებული მამა წარმოუსახავს — ტახტზე, ყვავილებში უღონოდ მისვენებული ხუჭუჭთმიანი, კეთილი მოხუცი. სივრცე თითქოს იასამნის სურნელით არის გაჯერებული. სურათი დიდ ადამიანურ სითბოს ასხივებს. სიკვდილის განცდა, თავზარდამცემი საშინელება სადღაც იკარგება, როგორღაც ქარწყლდება. ქალბატონმა მანანამ მითხრა: — მიცვალებულს, საერთოდ, სიახლოვეზე ვერ ვეკარები, შიში მაქვს, ეს კი სულ სხვა რამე იყო. მამას ველარ ვშორდებოდი. ცრემლმორეული სიყვარულით დავჩერებოდი და მერე არც მიგრძვნია, ეს სურათი ისე ბუნებრივად დაიბადა.

ჩვენს მხატვარს ადრეული ბავშვობიდანვე მწერალთა, ლიტერატორთა სიახლოვეს უხდებოდა ყოფნა, რამაც განსაკუთრებით შეაყვარა ეს ადამიანები, გონებაში ჩაებეჭდა მათი ბუნების პიროვნების დამახასიათებელი შტრიხები, ბევრ მათგანზე კი უფროსების მონათხრობიდან შეექმნა წარმოდგენა; ვინც უშალოდ არ უნახავს, ან ვისაც არ მოსწრებია, მათი შემოქმედება აქვს შესწავლილი და ამანაც შეაძლებინა წარსულის არაერთი მოღვაწის საყურადღებო პორტრეტი შეექმნა.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ პოეტის სახეს წარმოგვიდგენს, მანანა ბობოხიძე თვითეული მათგანის განუმეორებელ სამყაროს წვდება, ურჩევს აუცილებელ ფონს, ურომლისოდაც სასურველი განწყობილება ვერ შეიქმნებოდა, ხოლო განწყობილება, თვალებში არეკლილი სულის მოძრაობის გადმოცემა, ამ ტიპის ნამუშევრებში მთავარი გახლავთ.

ცხადია, ყველაფერი თანაბრად საინტერესო და მიმზიდველი არავის გამოსვლია და არც ჩვენს მხატვარს გამოუვიდოდა, მაგრამ შეგვიძლია დავასახელოთ არაერთი ისეთი ნამუშევარი, სადაც მანანა ბობოხიძე ოსტატობის სასურველ დონეს აღწევს.

მხატვრის ოჯახში, სხვადასხვა დროს შესრულებული გალაკტიონ ტაბიძის რამდენიმე მშვენიერი პორტრეტია. თითქმის მთელი კედელი უკავია, საკმაოდ დიდი ზომის ტილოს, რომელზედაც ლურჯად განფენილი „დახინძული ქლიავისფერი“ მთების ფონზე, ახალგაზრდა გალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტიონია წარმოსახული — „მე და ღამის", „მთაწმინდის ღამის", „მერის" ავტორი. სურათის მთელს არეზე ლურჯი ფერია გაბატონებული და თვალსაწიერსაც რომანტიულობის მსუბუქი ბურუსი გადაფარებია. გამოხედვაში, ღვთიური ცეცხლით აღსავსე თვალებში იგრძნობა, პოეტის სამანდაუდებელი ფიქრის ქროლვა. ცხადია, ასაკოვანი, წვერმოშვებული გალაკტიონიც არ დარჩენილა მხატვრის ყურადღების მიღმა და თავისებურად გამოხატა კიდეც მისი ბობოქარი, სხეულში დაუტეველი სულის დაუდგრომლობა.

დიდი პოეტის სამყაროსვე უკავშირდება უბადლო სილამაზის ქართველი ქალის, გალაკტიონის მუზად სახელდებული მერი შერვაშიძის საუცხოო პორტრეტი, მთელ გარდასულ ეპოქას რომ აცოცხლებს ჩვენს წარმოსახვაში. დიდრონი, სევდაჩაგუბებული ზღვისფერი თვალები თითქოსდა წინასწარ დასტირის მშვენიერების მქონობას, წარმავლობას. მხოლოდ ამ სურათზე დარჩება ღმერთქალი და მის თითებზე გადაწვენილი, ლეროგადმოთლილი წითელი ვარდი — ფერშეუცვლელი.

ლადო ასათიანის პორტრეტი ერთი საუკეთესოთაგანია, რაც მანანა ბობოხიძეს ამ ჟანრში შეუქმნია. განზე მაცქერალი, სევდიანი და მეოცნებე, წყლიანი თვალები უმალ გაგრძნობინებენ, რომ თქვენს წინაშე უნატიფესი სულის პოეტია, ადრეულ სიჭაბუკეშივე განწირული და სიკვდილის ნიშნით აღბეჭდილი. ამ იშვიათი გარეგნული ხატის შემხედვარეს უნებლიეთ გახსენდება პოეტისავე ლაღი, ნათელი სტრიქონები:

ამ ხეივანში ის ძალზე ხშირად
დასეირნობდა ჩვენს სასახელოდ,
ხელში ცისფერი წიგნი ეჭირა
და აწეული ჰქონდა საყელო..

ერთხელ კიდევ, მწარე სინანულთან ერთად, სიამაყის გრძნობა გვეუფლება, რომ ყმაწვილმა კაცმა ამდენის გაკეთება მოასწრო. სამშობლოს უსაზღვრო, თავდავიწყებამდე მისული სიყვარული და პოეზიის წმინდა სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანილი მისი უმშვენიერესი სიცოცხლე, მთელ თაობებს საქართველოს ძლიერებისათვის ბრძოლის, მამულიშვილობის უკვდავ მაგალითად რჩება.

ასეთსავე სულისკვეთებას გვაგრძნობინებს ლადო ასათიანისავით უდროოდ დაღუპული ჩვენი სათაყვანებელი გურამ რჩეულიშვილის პორტრეტი. ბრიალა, შუქიან თვალებში უძირო სევდაა ჩაბუდურებული; მათში აშკარად იკითხება თავგანწირული ჭაბუკის ტრაგედია, ბედისწერის გარდუვალობა, ბრმა, დაუნდობელ სტიქიასთან შეჯახების მტანჯველი მოლოდინი. ამთავითვე თვალში გვეცემა ხარის გამძლე, ღონიერი კისერი: აცვია შავი, საკინძემოღეღილი ხალათი, ასე რომ უყვარდა და კიდევაც შვენოდა და მის კუნთებდაბურცულ სხეულს ფონად თითქოს ქაფმოდებული ზღვაა გამოყენებული. მარჯვენა მხარეს ასევე დანაღვლიანებული ქალის გვერდზე დახრილი სახე ილანდება, საგანგებოდ და შესამჩნევად დეფორმირებული — ატალღებული, მღელვარე წყლის ზედაპირზე არეკლილი რომ გეგონება. გურამის მთელი ფიგურა უტეხი ნების, სიძლიერის გამომხატველია. ეს სწორედ ის უხედნელი კვიცივით დაუოკებელი ბიჭია, ვინც ალავერდის გუმბათზე ავარდა და გამოლენჩებული, გაავებული ბრბოს გონზე მოყვანა სცადა. ნათელმხილველმა ჭაბუკმა მაშინვე განჭვრიტა, რომ გადაგვარებულ, გაპიროტყვების გზაზე დამდგარ, მონებად ქცეულ არსებებს სიყვარულისკენ შემობრუნება, გონიერი ქმედებისა და სინათლისკენ გაძღოლა ჭირდებოდა.

მანანა ბობოხიძის მიერ შესრულებული პორტრეტების მრავალფეროვანი, მდიდარი გალერეა, მხოლოდ ქართული სამყაროთი არ შემოიფარგლება. დიდი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი გამოჩენილი რუსი პოეტების — პუშკინის, ბლოკის, ესენინის, მაიაკოვსკის და სხვათა პორტრეტებში, სადაც ყოველი მათგანის ხასიათი, ტემპერამენტი, გარემომცველი სინამდვილის თავისებური აღქმაა მოცემული. ნაწყისი, ამოსავალი, ბიძგის მომცემი, აქ მუდამ მათი შემოქმედებაა და ამის სიმბოლური ნიშნები თვითეულ ცალკე შემთხვევაში, ოსტატურად შერჩეულ ფონზე იკითხება, სურათის სიღრმეშია გადატანილი.

ზემოთ რაც ვახსენეთ და რასაც შემდგომ ვიტყვით, მხოლოდ მცირე ნაწილია მხატვრის მიერ შექმნილი ნამუშევრების ფართო, ძალზე საინტერესო წრისა და ამ პორტრეტების ერთიან ალბომად გამოცემა მრავალს დაანახვებს, რა სულიერი ფასეულობებისკენ არის მიპყრობილი მანანა ბობოხიძის გულისყური, როგორია მისი ესთეტიკური მრწამსი.

გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მანანა ბობოხიძის ერთ ძირითად თემასა და ამოცანას წარმოადგენს შემოქმედ ადამიანთა (მწერლების, მხატვრების, მოქანდაკეების, მუსიკოსების, მსახიობების, მოცეკვავეების, მომღერლების და სხვათა) განუმეორებელი სულიერი სამყაროს წვდომა და წარმოჩენა, მათი ოცნებისა და ფიქრის ფერწერის ენაზე ამეტყველება.

გიორგი შავგულიძე ყოვლად უაზროდ, ტრაგიკულად როცა დაიღუპა, მანანა ბობოხიძე სკოლის მოსწავლე, პატარა გოგონა იქნებოდა, მაგრამ უთუოდ ნანახი ეყოლებოდა თბილისის ქუჩებში ამაყად, მოხდენილად მიმავალი, შეუდარებელი გარეგნობის ვაჟკაცი; შესაძლოა იგი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და კინოფილმშიც ეხილოს ორიოდე როლშიც. სხვაგვარად იგი ვერ შექმნიდა ასეთ ცოცხალ, ხასიათის ასე ზუსტად გამომავლინებელ პორტრეტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შუბლზე ოდნავ ჩამოშლილი თმა, გვერდული მზერა, თხელი ნესტოების შეკავებული, ოდნავ შესამჩნევი თრთოლვა, ამ ფენიმიერესი კაცის შინაგან მღელვარებას, მძლავრ, დაუოკებელ ტემპერამენტს გვაგრძნობინებს, თვალწინ გვიყენებს განუმეორებელი პიროვნების ძვირფას ხატს, ერთ დროს ასე რომ „შვენოდა და ალამაზებდა ჩვენს ქალაქს; გვიცოცხლებს შემოქმედს, ვისაც თავისი უზარმაზარი შესაძლებლობების დიდი ნაწილი დაუხარჯავი დარჩა.

მანანა ბობოხიძეს ქართველ მსახიობთა კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი სახე აქვს შექმნილი. მათგან გამორჩეულად შთამბეჭდავი და ორიგინალურია ქართული ბალეტის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ზურაბ კიკალეიშვილის მრავალპლანიანი პორტრეტი. მოცეკვავეს მომწვანო სპორტული იერის პიჯაკი და მოწითალო დაბალყელიანი თხელი სვიტერი აცვია, უბრალო კეპი ხურავს. სახეზე ნაღვლიანი ღიმილი დაჰფენია, განვლილი გზის სურათები თუ ახსენებს თავს. ცალი ხელი კუთხისკენ აქვს გაშვერილი. იქაც თვითონ დგას, ოღონდ გრიმწასმული, თეატრალურ კოსტიუმში გამოწყობილი. ეს იგივე სახეა, გვერდით თავალერილი რომ დაიკლაკნებოდა გონწასული მავრის სიახლოვეს.

სიღრმეში ფოთლებისაგან განძარცული, ტანდაგრეხილი და რტოებგაკლაკნილი ხე დგას. ხის მარჯვნივ ამ უცნაურ მცენარესავით წელში წახრილი და ხელგაშვერილი მოცეკვავე შეუყოვნებულა. მარცხნივ, საპირისპირო მხარეს გადახრილ, თხელ საბურველში გახვეულ ქალს კამარა შეუკრავს, მიწას მოწყვეტილი თითქოს ცაში მისცურავს. გვირილებით ამოქარგული მინდორი და ლურჯ-მწვანედ აქოჩრილი ტყე თვალს ეფერება, მშვიდი, პოეტური განწყობილება სუფევს; სცენის შემოზღუდული არე მაცოცხლებელი ბუნების წიაღშია გადატანილი.

ასეთივე ხასიათისაა და ურთულესი კომპოზიციის ოსტატურად აგების საუკეთესო მაგალითად წარმოგვიდგება, თანამედროვეობის გამოჩენილ მოცეკვავეზე, მაჰმუდ ესამბაევზე შექმნილი მრავალპლანიანი ვეება ტილო, სადაც ფერწერის უმდიდრეს ენაზეა გადატანილი აზიური რიტმების ნაირგვარობა, სხეულის უკიდურესი მოქნილობა, ამოუწურავი პლასტიკა.

დიდ ხელოვნებისა და, კერძოდ, ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი თაყვანისცემა იგრძნობა მანანა ბობოხიძის ცნობილ ტილოში „ანდრია რუბლიოვის გახსენება". თვით ავტორის ხელში გაბრწყინებული კელაპტარი, ფართო შუბლსა და ცისფერ თვალებს უნათებს მხოფლიოში სახელმოხვეჭილ რუს ოსტატს, რომლის უკან მისი ყალმით გამოყვანილი ქრისტე და წმინდანები ილანდებიან. აქვეა ფრესკებიდან გადმოსული ფიგურები — ქართული იერის მქონე, „ქართული პატიოსნებით" გასხივოსნებული, თავდახრილი ღვთიშობელი და ოთხფრთიანი, მღვიმეთა ბინადარი ბერები, რითაც სურათი ღრმა სიმბოლურ აზრსა და თავისებური განზოგადების ძალას იძენს.

სასიამოვნო სისადავით გამოირჩევა და იქცევს ყურადღებას ჩვენი სახელოვანი მოქანდაკისა და ფერმწერის ელგუჯა ამაშუკელის პორტრეტი. აქ ძირითადად ლურჯი, მშვიდი ტონებია გამოყენებული. სწორედ ეს ტონალობა განსაზღვრავს, რომ ჩვენს წინაშეა შინაგანად გაწონასწორებული, მაგრამ მძლავრი ნებისა და ტემპერამენტის შემოქმედი, გამორჩეული ინტელექტის პიროვნება, ვისი მონუმენტური ქმნილებებიც საქართველოს არაერთ კუთხეს ამშვენებს.

საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მსახიობის, რამაზ ჩხიკვაძის პორტრეტიც მანანა ბობოხიძის საუკეთესო ნამუშევართა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. აქ ძირითადად თეთრი, წითელი, მოყავისფრო და მწვანე ლაქები ჰარბობს — სხეულს, სახეს, თვალებს ღია ხიწითლე გადამკრავს. გამომეტყველებაში დაღლა და სევდა იგრძნობა, მძიმე განცდების, დაძაბული წუთების შემდგომ რომ ეუფლება კაცს. მოშიშვლებულ, მოლიავებულ მკერდს, ფრთხილად ეხება მსახიობისავე გრძელი, ნატიფი მოყვანილობის თითები. აქ, იგი, არცერთ როლს არ განასახიერებს; მარტოა დარჩენილი საკუთარ თავთან, ყველაზე ძნელ ფიქრებთან, ხელოვანის გულში აღძრულ ვნებათა დაუმცხრალ ჭიდილს რომ გვიმხელს. მოდელის დაღვრემილი, დაღლილი სახე, მოშვებული პოზა ერთგვარ კონტრასტს ქმნის მსახიობის ცეცხლოვან, ჰალისიან ბუნებასთან, მაგრამ ეს არაფერს აკლებს ამ ნამუშევრის ღირსებას, პირიქით, უფრო ღრმად გვახედებს შემოქმედი ადამიანის შინაგან სამყაროში.

მანანა ბობოხიძის ნამუშევრების ყველაზე დიდ და ტრაგიკულ სერიას წარმოადგენს „შეწყვეტილი სიმღერები" (ეს სიმბოლური სახელწოდება არაა ძნელი გასაშიფრი). ნაადრევად დაღუპულ სხვადასხვა გატაცებებისა და ნაირგვარი ბუნების ადამიანთა (ძირითადად ხელოვანთა) ცხოვრებისადმი მიძღვნილი ამ ტიპის ზოგიერთ ნამუშევარზე ცოტა რამ ჩვენ უკვე ვთქვით. ხსენებულ სერიას ისევე, როგორც ამქვეყნიურ ყოფასა და საბედისწერო შემთხვევებს, მიწიერი არსებობის მანძილზე, რა თქმა უნდა, დასასრული არ ექნება. აქვე მინდა მოკლედ გამოვხატო სულიერი ტკივილი, ბედისგან განწირული რამდენიმე ადამიანის პორტრეტების ნახვისას რომ განვიცადე.

ერთი ასეთი ნამუშევართაგანია ყველასათვის დიდი სინანულით მოსაგონარი, ლექსისა და სიმღერის ტრფიალის, ინოლა გურგულიას პორტრეტი. დიდრონი, გაოცებული და უსაზღვროდ სევდიანი თვალები, გვერდზე გადახრილი თავი,

მკერდზე ლონემიბდილად შემოწყობილი, სანთლებივით ჩამოქნილი თლილი თითები აშკარად მიგვანიშნებს — ის, ვინც ამ ტილოზეა გამოსახული, ანგელოსთა საუფლოშია, ცოცხალთა შორის აღარ იმყოფება. ამ ფიქრს კიდევ უფრო აძლიერებს ქარზე გადახრილი, ლეროსუსტი ყვავილები, თავის გარშემო დიადემასავით წრედ მოვლებული. მოკლედ, მტკავლის სიგანეზე წინ შეკრეჭილი წაბლისფერი თმა, ჰქვიან შუბლს ფარავს. ვინ მოსვთლის, სტუმრად მისულები, ლარაბულ ოჯახში რამდენჯერ დავუტკბივართ ინოლას უნაზეს სიმღერებს. უკეთეს მასპინძლობაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, ვიდრე ერთმანეთზე გრძნეულად გადაბმული, მისი სულივით ათრთოლებული ის განუმეორებელი სიმღერები იყო. თითქოს ახლაც ყურში ჩამესმის გიტარის მინელებული, ბინდში ჩამდნარი ხმა.

ასევე ტრაგიკული და მომხიბლავია ინოლას მსგავსად განუკურნებელი სენითვე დაღუპული უნიჭიერესი მომღერლის, ჯილდა დათუაშვილის იერსახე. როგორც ამბობენ, ეს იყო თავად უმანკოება, არაამქვეყნიური სიწმინდის არსება, სულით ხორცამდე ხელოვნებისადმი მსხვერპლად შეწირული, ვისი მიწიერი ცხოვრების ოცდახუთი წელი ერთთავად სიმღერის გულდამწველ ჰანგებში ჩაინავლა.

ჯილდას სიმღერას პირველად მანანა ბობოხიძის მეუღლემ, რაინდული ბუნებისა და დახვეწილი გემოვნების ადამიანმა, ალეკო ფურცხვანიძემ მიაქცია ყურადღება. ძალზე სასიამოვნო ხმის პატრონი, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის ჩინებული მცოდნე, ახალგაზრდობისას იგი თავად მღეროდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრში და უცნობი გოგონას ხმამ მაშინვე მოხიბლა; მერე ყველანაირად ხელს უწყობდა მის წარმატებებს, ეხმარებოდა დიდ სარბიელზე გამოსვლაში. ბატონი ალეკო იგონებს საკვირველ შემთხვევას, როცა მიკროფონი გაფუჭებულა და ჯილდას ყოველგვარი გამაძლიერებლის გარეშე უმღერია, მსმენელებზე გასაოცარი ეფექტი მოუხდენია, მთელი გუნდის პრესტიჟიც მარტოკას უხსნია. არაერთი ასეთი ფაქტის გახსენება შეუძლიათ ცოლსაც და ქმარსაც. ჯილდას უდგთო სიკვდილი მათ მწარედ განიცადეს. ეს სინანული ხსენებულ პორტრეტშიც ჩანს... შემოგყურებს ლეგენდად დარჩენილი ქალიშვილის სევდამოძალებული, ზეციური შუქით გაცისკროვნებული თვალები და არაფერიც რომ არ იცოდე, გრძნობ — ამ ტილოზე გამოხატული არსება აღარაა ცოცხალი, მისთვისაც დახურულია სამზეო. ფონი აქ უფრო დეკორატიულია, უფრო გამოკვეთილი და საგნიერი. სახის გარშემო აქაც ყვავილებია შემოგრაგნილი, ნაადრევად ჩამქრალი სიცოცხლის სიმბოლოდ აელვარებული, ნაირფერად მოხასხასე. გეგონება, ყოველ ნაბიჯზე — [illegible] საუფლოა გადაშლილი...

ქალბატონ მანანას სახლის მყუდრო, ზედა სართულზე აქვს ერთი კუთხე, სადაც ისევ და ისევ ნაადრევად მზედაბნელებული ადამიანების პორტრეტებია გამოფენილი. ტრაგიკულად დაღუპული ყოველი ახალგაზრდა ქართველი (ეს კი ბოლო წლებში, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვეულებრივი ამბავი გახდა), მძიმე კვალს სტოვებს მხატვრის სულში. მისი ფუნჯი ამ დროს, თითქოს სისხლად იწრიტება, სალებავთან ერთად ნაღველი წვეთავს და ეს განწყობილება ტილოზე გადადის; საბრალობლად შემოგვყურებს განწირულთა გაუხარელი სიჭაბუკე... ერთი მათგანი გოგლიკო ჩოგოვაძეა. თბილისის ზღვაზე კატარღაში დენისგან მოკლული, დიდი მომავლის მქონე უმშვენიერესი ყმაწვილი (იმ ავადსახსენებელ ზაფხულის დღეს მათთან ერთად დაიღუპნენ სიცოცხლით სავსე, ასეთივე საამაყო ჭაბუკები, ძმები — გოგიტა და კახა ჩხაიძეები), გუნება გემხამება ამ ბიჭების შემხედვარეს. ერთზე მხატვარი მეუბნება, რომ იგი მისი ნათესავია, ბესიკ შუბლაძე, რომელზე გინდა შეაჩერო ყურადღება, რითი ინუგეშებ თავს. ქალბატონმა მანანამ, სამწუხაროდ, ისეთი შემთხვევებიც გაიხსენა, როცა ჭირისუფლებს შეუთვალა, სურათი რომ დახატული მქონდა და რატომღაც ზოგიერთს აქამდე ვერ წოეცალა, ტილოზე სრულიად უანგაროდ აღბეჭდილი, უახლოესი ადამიანის პორტრეტის სანახავად. გაუგებრობას უფრო გავს, არ მინდა ეს ჩვეულებრივ ქართულ დაუდევრობად ჩავთვალო.

წარმოვიდგინე, როგორ იმოქმედებდა ასეთი მძაფრი გრძნობების ხელოვანზე ჩვენს მრავალჭირნახულ ქალაქში, დეკემბერ-იანვარში დატრიალებული საშინელი ტრაგედია, რამაც ამდენი ახალგაზრდა ქართველის სიცოცხლე შეიწირა, კოშმარულ ნანგრევებად აქცია რუსთაველის გამზირი, რაც სამუდამოდ მოუშუშებელ ჭრილობად შერჩება ჩვენი ერის სხეულს, სამარცხვინო ლაქად დააჩნდება ჩვენს ისტორიას.

ძნელია სასოწარკვეთამ არ მოგიცვას, როცა ხედავ, რომ უბედურებათა ჯაჭვს ბოლო არ უჩანს, ათასგვარი სადისტური დანაშაულობანი თანდათან სულ უფრო შემზარავ ფორმებს იღებს; ლამის ყველაფერი, რაც წმინდა და ღირებულია, სისხლმა და სიძულვილმა წალეკოს.

ასეთი გაუხარელი, ჯოჯოხეთური ყოფის ატანა ყველაზე მეტად ხელოვანს უჭირს, მაგრამ წონასწორობა, სულიერი სიმშვიდე სამუდამოდ არ უნდა დავკარგოთ, ქაოსს, მხეცურ ინსტინქტებს წინ უნდა აღვუდგეთ, რათა ერის ნამდვილი სახე გამოვაჩინოთ, ჩვენი, ყველასაგან გამორჩეული წვლილი შევიტანოთ მსოფლიო კულტურაში. შეუძლებელია შემოქმედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნებას ამაზე დიდი სურვილი და მიზანი ჰქონდეს.

ცნობილია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლურჯსა და ცისფერს — პოეზიასა და მხატვრობაში. მანანა ბობოხიძის სახელოსნოს დათვალიერებისას ყურადღებას იქცევს შედარებით ადრინდელი ტილოების მთელი წყება, სადაც ძირითადად თეთრთან შეზავებული, შეწონასწორებული ლურჯი ფერია გამოყენებული (ამის საუკეთესო მაგალითად „ღამის იდილიაც“ იკმარებდა) და ეს პოეტურ, ამაღლებულ იერს აძლევს ამ ნამუშევრებს; თითოეულ ხაზს, დეტალს არაჩვეულებრივი სიწმინდე და ჰაეროვნება ახლავს, რომანტიულობის თხელ, უჩინარ ბურუსშია გახვეული მხატვრის ფანტაზიით წარმოსახული სილამაზე.

ასევე ოსტატურად ფლობს მანანა ბობოხიძე ლია ვარდისფერს და ამ დროს ტილოებს ადრეული გაზაფხულის სინაზე დაჰყვება. ასეთია, მაგალითად, მითოლოგიურ პერსონაჟებად — ქარიტებად თუ დრიადებად წარმოდგენილი სამი ქალის ფიგურა, რომელთა სახეებში მფარველ სულებად მიჩნეული ოჯახის უახლოესი ადამიანების ამოცნობა შეიძლება. ესენი არიან — თვით მხატვრის დედა, მირანდა ფალავანდიშვილი და ქეთევან ირემაძე. ამ უკანასკნელის ძალზე ეფექტური, ფერთა შეხამების მხრივ უაღრესად მდიდარი, აჟურული პორტრეტი ადრე ცალკეც აქვს შესრულებული მხატვარს და ეს ჩვენი საზოგადოებისთვისაც ცნობილია.

●

ერთი ძმა ჰყავდა მანანა ბობოხიძეს, მასზე ცოტათი უმცროსი, ომარი, ყოვლად სათნო, ბავშვურად გულუბრყვილო, მორიდებული, უზომოდ კეთილი პიროვნება. შარშან ზაფხულს ქვიშხეთში ისვენებდა დასთან, სიძესთან, დისწულთან ერთად, მაშინ გავიცანი, ძალზე თავისებური, ფაქიზურად ნიჭიერი კაცი იყო, სახემოცინარი, ერთიანად გაჭაღარავებული; ოდნავ წახრილი დადიოდა. ფენომენალური სმენის პატრონს შეეძლო ბგერებით გამოეხატა არაერთი სახელგანთქმული ოპერის მუსიკა, იცოდა ჯაზის ყველა მიმდინარეობა, უამრავი ორკესტრების, ანსამბლების, სხვადასხვა როკ-ჯგუფების წარმომავლობა და ისტორია, შეეძლო დაწვრილებით დაეხასიათებინა გამოჩენილი მომღერლები და მუსიკოსები, მოეთხრო თვითეული მათგანის თავგადასავალი. ხატვაც ეხერხებოდა, პატარ-პატარა, მშვენიერი გრაფიკული პორტრეტები გამოსდიოდა.

შარშანვე, ნოემბრის მიწურულს, ვერის დაღმართი ამოვიარე და ხამათან ბაღის ახლოს, ზურგიდან ნაცნობი ხმა შემომესმა: „კარგო კაცო, ვერ მეტყვი, რომელი საათია?“ ოთხი სრულდება-მეთქი, ვუპასუხე და შემოვტრიალდი, ხელთ ომარი შემრჩა. თვითონაც გაოცებული დარჩა. ორივეს გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა, მოკითხვა დამაბარა ოჯახის წევრებთან. მერე მითხრა, ერთ ადამიანს ამას წინათ ცოტა ფული ვესესხე, ვადაც დავუთქვი და მინდა სამსახურში მივუსწრო, სიტყვის გატეხვა არ მიყვარსო, ბოდიში მომიხადა და დამემშვიდობა, ნაბიჯს აუჩქარა. მერე აღარც მინახავს. თებერვალში, იმ საშინელი არეულობის დროს, გზად მიმავალს, ვიღაც თავზეხელაღებულს მანქანა დაჯახებია და დაღუპულიყო. გვიან შევიტყვე ეს უბედურება და ძალიან შევწუხდი. „კარგო კაცო“ მისი საყვარელი მიმართვა იყო. უნდოდა ყველა, ვისაც გაიცნობდა და ვისთანაც საქმე ჰქონდა, კარგი და სასიამოვნო ყოფილიყო. თუმცა სიკეთედ იღვრებოდა ხოლმე, ომარი არც ისეთი მიამიტი გახლდათ, ავი და კარგი ვერ გაერჩია. უბრალოდ, როცა ვინმეს უკეთურებას, სულმდაბლობას შეატყობდა, გაერიდებოდა, მასთან ურთიერთობას გაურბოდა. სამწუხაროა ასეთი ალალი, მოყვასი ადამიანების დაკარგვა.

შეუძლებელი იყო ამ ტრაგედიას ღრმა კვალი არ დაეტოვებინა, არ შეეძრა მხატვრის მთელი არსება, დას თავისებურად არ დაეტირა უერთგულესი ადამიანი, მისი სისხლი და ხორცი და მართლაც, პორტრეტი, რომელიც მანანა ბობოხიძემ უდროოდ დაღუპული ძმის ხსოვნას უძღვნა, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეულად შთამბეჭდავია მის შემოქმედებაში.

აქ ომარი უფრო ახალგაზრდა და მოწყენილი, გულსაკლავად დაფიქრებული გამოიყურება. მოკუმულ ტუჩებში, გატანჯული, ნაწამები კაცის დარდია მოქცეული; ამასვე ამჟღავნებს სევდაჩაგუბებული, შეშუპებული თვალები. შემართული მარჯვენა დამშვიდობების, ამ ქვეყანასთან გამოთხოვების მრავლისმეტყველ, ტრაგიკულ ჟესტად აღიქმება, თითქოს დაძრული ვაგონის ფანჯრიდან გვიქნევდეს ხელს (სწორედ თეთრი ხელისგულივით სუფთა და უმწიკვლო იყო მისი ხანმოკლე სიცოცხლე). ამ უიღბლო კაცის სევდიან ფიგურას, როგორც პოეტი იტყოდა, „სანთლების ალყა არტყია“, მხარზე უცნაური, უცხოგვარგვიანიანი, მასავით მოწყენილი, ფრთებდაკეცილი ფრინველი აზის, თეთრი სანთლების ალზე გაჩირაღდნებული სახე. მისი შეუბღალავი სულის ნათელში ყოფნას გვაუწყებს...

●

ცხადია, ყველა საყურადღებო და მნიშვნელოვან ნამუშევარს არათუ ვერ დავახასიათებთ ერთ საჟურნალო წერილში, უბრალოდ, ასეთი ტილოების მხოლოდ ჩამოთვლაც კი ძნელი იქნებოდა.

არავინ იფიქროს, თითქოს მანანა ბობოხიძის ნამუშევრების მიმართ, დილეტანტობის მიუხედავად, შენიშვნები არ გაგვჩენოდეს. ზოგიერთი ფიგურა ცოტა უსიცოცხლოდ გამოიყურება, ზედმეტად სტატიკურია. ეს იქნებ ხატვის მანერიდანაც მომდინარეობს, ფრესკასთან მისი ტილოების ნათესაურ კავშირზე მეტყველებს. მაგრამ აქაც ალბათ მეტი ზომიერების გრძნობაა საჭირო. ვფიქრობ, იგი უფრო მეტ კრიტიკულ მიდგომას უნდა ამჟღავნებდეს თავისი თავისადმი. არც ისე მცირეა იმ ნამუშევართა რაოდენობა, ექსპრესიას, შინაგან დრამატიზმს და მკაცრ გემოვნებას მოკლებული, ზედმეტად დატვირთული რომ გვეჩვენება. ეს, რა თქმა უნდა, არ გახლავთ მხოლოდ მანანა ბობოხიძის ნაკლი.

დასასრულ გვინდა, ვუსურვოთ შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მყოფ ჩვენს მხატვარ ქალს, რაც შეიძლება იშვიათად სწვეოდეს „შეწყვეტილი სიმღერების" სევდა, რაც შეიძლება მეტი ჰქონოდეს სიხარულისა და ბედნიერების მიზეზი და თავისი მღელვარე ცხოვრების მზიანი დღეები კვლავაც მშვენიერების, სილამაზის თავდაუზოგველ ძიებაში გაელიოს.

№ 377
22.XII 92

ტექნიკური რედაქტორი ზიული სირაძე

ჟურნალი ააწყვეს: ელიკო საქნელაშვილმა და ლარისა ლეჟავამ
დამკაბადონებელი პაატა ციციშვილი

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1, ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38. განყოფილებები: 98-36-43, საკორექტორო — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 14.08.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.92 წ., ქაღალდის ზომა 70X108¹/₁₆, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 13.05 შეკვეთა 1425. ტირაჟი 7 000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო", 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმის ხსოვნა'





მომღერალი ჯილდა დათუაშვილი –
„გაზაფხულზე დაუზამთრდა“

2-92 66/2 92-377
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 5 მან.
ხელმომწერთათვის 2 მან.

ინდექსი 76286

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-6023

# ცისკარი

11/92